Это, несомненно, были такие «петербургские» грузины, в числе которых посол Гарсеван Чавчавадзе, первый секретарь посольства писатель Георгий Авалишвили, царевичи Иоанн, Баграт и Михаил, но более всех – епископ Варлам Эристов. Участие последнего в написании «Истории» было столь велико, что митрополит Евгений впоследствии отказывался от авторства, ссылаясь на то, что истинный автор не он, а представители грузинской эмиграции, в первую очередь Варлаам Эристов. Но авторство митрополита Евгения было широко известно – основанием для принятия Е.Болховитинова в члены Российской Академии (1806) по рекомендации Г.Р.Державина были названы два его труда – «Исторической изображение Грузии» и «Историческое, географическое и экономическое изображение Воронежской губернии».

Митрополит Евгений был выдающимся литератором своего времени. И к жанру описания страны он обращался не впервые. Еще в 1788 году он напечатал остроумное историко-географическое описание … страны Горы Парнаса. Это была удачная попытка соединить в прозе заметки путешественника с характерным для поэзии классицизма конца XVIII века жанром поэмы, посвященном странам и континентам («Россиада» Хераскова, «Иерусалим», «Европа», «Америка» У.Блейка»).

Первая «страноведческая» книга Митрополита Евгения называлась «ПАРНАССКАЯ ИСТОРИЯ, заключающаяся в двух книгах, из которых ПЕРВАЯ содержит описание горы Парнасса, находящихся на нем строений окрестных Потоков, источников, Болот, Лесов и обретающихся там животных; а ВТОРАЯ Жителей, Правления, Чинов, Судилищ, Жертвоприношений, Праздников и торгов Парнасских.

Переведена С … Евг. Болх. Москва, В типографии Пономарева, 1788, С.72.» (Болховитинов 1788)

«Парнасская история» состояла из ироничного, но детально и последовательно представленного описания страны, касающегося: //Гл. 1. О горе Парнассе и ея истинном положении, // 2. О Храме Памяти, // 3. О потоках, Касталии и Ипокрене, //4. О источнике Пермессе, //5. О болотах и

окрестностях Парнасса, // 6. О перелесках и рощицах Геликонских и смежных лесах, // 7. О парнасских животных».

Здесь особенно занитыми были «поющие обезьяны Пификоды». Дальше следовало разъяснение. «При подошве горы в лощине и долине есть многочисленные животные подобные ослам, которых называют Грамматофорами» (Болховитинов 1788: 26).

Книга 2 рассказывала: // Гл. 1 О обитателях Парнасса, // 2. О Парнасском правлении, // 3. О штатах или Чинах Парнасских, // 4. О судилищах Парнасских. // 5. О Парнасских законах. // 6. О жертвоприношениях и Праздниках, торжествуемых на Парнассе. // И, наконец, «7. О торгах Парнасских.»

В последней главе говорилось: «В пространной долине, лежащей между Парнасом и Геликоном бываюят ярмонки, открывающиеся в известные дни. Там находятся два великих рынка. Один из них занят Грамматиками, а другой Словарями. Между тем Тогровщики различных народов раскладывают свои товары. Лавки на рынке *Лексиконов* или *Словарей* имеют у себя вывескою Азбучные буквы написанные над дверьми в своем естественном порядке. Подле их видны красочные товары, т. е. Румяны, притиранья и уборы в небольших бумажках: их обыкновенно называют Риторическими красками. На сих рынках, так как и на наших есть воры и мошенники. Есть ли они будут признаны, то народ гонится за ними с криком и свистом; и сие почитается их наказанием. // Монета, которую там употребляют при торгах, есть похвала и прославление. Сею-то монетою платится цена вещей, награждение и Парнасское жалованье» (Болховитинов 1788: 70-71).

Описание парнасской истории заканчивается изящным заключением: «И так я все объявил, что знаю о Парнассе, как самовидец и как слышавший. Что принадлежит до того, что я видел, то по справедливости скажу, что в оном я дал отчет верный и сколь возможно точной: а в рассуждении того, что я знаю только по словам *так-сказывали*, об оном я не ручаюсь. Их ведомости к нам приходят из стихотворческой земли, которая тем, кои в ней не живут, неизвестна; да и те, которые там находятся подозрительны во лже, и потому нельзя ничего сказать прямо достоверного о всем том происходящем, разве, прежде самому туда сходив, прилежнее разсмотреть» (Болховитинов 1788: 72).

«История Грузии», появившаяся через 15 лет после «Парнасской Истории» написана с другими целями и, соответственно, интонация и характер изложения ее совершенно другие. Это рассуждение не о вымышленной стране поэзии, а о Государстве Российском, современной политике и обосновании присоединения новых земель. Благодаря этому сотрудничеству митрополит Евгений описывает Грузию как бы изнутри. Он в

курсе и последних событий касающихся русско-грузинских отношений, и ее истории, церковной и светской. Он знает, что «Церквей в *Карталинии* и *Кахетии* можно щитать до 3 тысяч; но большая часть оных в бедном состоянии, а пограничные разорены и опустошены от частых нашествий Персиян и других народов». Митрополит Евгений сообщает русскому читателю, что «Грузины имеют еще и вне своего отечества два своих монастыря один в *Иерусалиме*, основанный, как выше упомянуто, еще с V века князем грузинским *Татианом*, а другой в *Афонской Горе*, заведенный там в X веке тремя Грузинскими князьями монахами, о чем также выше упомянуто. Оба они подробно описаны Российским путешественником *Григоровичем* в путешествии его ко св. местам на страницах 201 и 508 и след. Однакож в обоих монастырях ныне уже властствуют греки» (Митр. Евгений 1802: 54-55). Ниже автор в разделе «О языке и письменах Грузинских» дает два варианта «Отче наш», с ударениями, в столбик. «Коренной Грузинский язык по Библейскому тексту». Справа – «Нынешний простонародный Грузинский язык».

Книга содержала широкий историко-культурный материал, Грузия была представлена на фоне событий европейской культуры и политики ее восточных соседей. Болховитинов охотно обращался к мифологии и литературе, начиная с античности. «Грузинская земля в самой глубокой древности была знаменита многими в Европу выпущенными из себя селениями. Она воспета еще древними Греческими стихотворцами в славных баснях о *Прометеев* прикованном, по выражению Вергилиеву, к угрюому и недоступному Кавказу; а еще более прославлена у Греков походом к ней *Аргонавтов* и повестьми о золотом руне, о Язоне, о знаменитых спутниках его о чародействующей *Медее* и неусыпаемом *Драконе*. Черпает он сведения и из грузинских источников, как мифологических, так и исторических (Митр. Евгений 1802: 65).

Этот труд был роскошно оформлен и поднесен государю императору Александру I. Он содержал точные и позитивные сведения: «древние Иверы владения свои распространили было по всему пространству между Каспийским и Черным морем Персидского города Тавриса и Турецкого Ерзерума до устья реки Дона. Все почти народы, населяющие Кавказские горы, и Кабарда были у них в подданстве» (Митр. Евгений 1802: 5).

В «Истории», написанной с глубоким знанием и истинным уважением к Грузии, содержались следующие разделы: «1. О древностях грузинского народа и знатнейших в нем происшествиях. //О просвещении Грузии христианскою верою и о состоянии церкви Грузинской. //О богослужении и церковных книгах грузинских и о их церковной типографии. //О языке

и письменах грузинских. //О учебном состоянии Грузии, ее школах и классических книгах. //О грузинских летописях и других, в народе обращающихся книгах. //О грузинском стихотворстве и музыке.”

В ней также содержалась довольно точная генеалогия Багратионов, автор знакомил читателя с историей Грузии как в периоды расцвета, так и в полосах упадка.

В книге митрополита Евгения на 103 страницах компактно и ярко представлена политическая история Грузии от первого царя Парнаваза до последнего Георгия XII, особо раскрыты роли царицы Тамары, Давида IV, Ираклия II в политическом и культурном возрождении страны. Это был серьезный труд историка, первая часть содержала сведения о сложных, трагических и запутанных отношениях между Грузией, Персией, Османской Портой. Митрополит Евгений приводил интересные свидетельства русско-грузинских отношений в XVII и XVIII. Но, явно, с наибольшим увлечением, он описывал литературу и поэзию Грузии.

Болховитинов рассматривал основные периоды развития истории грузинской литературы в контексте литературы европейской. «Где же лучше можно было родиться гению поэзии, как не в сей очаровательной стране, больше всех в свете похожей на древнюю греческую Фессалию, во всех своих предметах стихотворцами обоготовленную? Но в Фессалии один только Олимп: а в Грузии многие необозримые Олимпы сближают землю с небесами» (Митр. Евгений 1802: 84). Автор пишет о «славной поэме» Чахрухадзе «Тамариани», высоко оценивает «Витязя в тигровой шкуре» Руставели: «Содержание первой поэмы Вепхишткаосани есть почти романическое, взятое из Индской истории. Сцены действий подобны Ариостовой поэме *Роланду*: но красоты, оригинальность картин, естественность идей и чувствований — Оссиановы. Поэма сия при царе Вахтанге V была в Тифлисе напечатана, однако ж вскоре истреблена так, что ныне весьма редко можно видеть печатные оной экземпляры» (Митр. Евгений 1802: 86).

Митрополит Евгений приводит сведения о грузинской системе стихосложения, и, судя по всему, делится этими знаниями с Державиным.

В неизданной части «Рассуждения о лирической поэзии», как это было отмечено исследователями, Державин приводит сведения о форме грузинского классического стиха, указывая что бывают «не токмо такие стихи, которые в каждой строке на конце имеют рифму, но и такие, в которых помещаются к каждой строке по четыре рифмы, бывают и двадцатисложные с четырьмя и двумя рифмами» (Догонадзе 1961: 28). Эти сведения о грузинском стихосложении были почерпнуты Державиным

у своего младшего друга, чьим информантом, естественно, являлся митрополит Евгений, включивший в свою книгу 9 вариантов грузинского стиха в ту же книгу о Грузии. Болховитинов пишет о грузинском стихе как о «пиррихо-дактилическом, однако же сродни ему и все прочие меры Греческой поэзии» (Митр. Евгений 1802: 88), в первую очередь разумея шаири. Затем рассматривает чахрухаули, приводя 2 стиха из «Тамариани». Третим родом грузинского стиха он называет Ред-Рули, который состоит из 7 стихов, как и шаири. IV – загнакорули, состоящий из 3 стихов, 2 стихов одного метра, а 3 без рифмы и особого метра, V – цкобили, VI – пистикаури, как чахрухаули второго рода, VII – лексси, состоящий из 2 стихов однорифменных по образцу шаири, VIII – состоит из 1 стиха и имеет рифму в цезуре, IX он называет заимствования из персидской поэзии (Митр. Евгений 1802: 93).

В архиве митрополита Евгения сохранились два сборника: «Записки по истории Грузии» [Библиотека Вернадского, рукописный фонд, ед. хр. 18 (727), лл. 132-134] и «О грузинской литературе» [Там же, ед. хр. 297(599), л. 64], не вошедшие в его книгу по неизвестным причинам. Однако они представляют исключительный интерес*. Е. Болховитинов пытается переводить Руставели. Среди его бумаг есть перевод строфы из 36-й главы «Витязя в тигровой шкуре»:

Ты, в ком образ Божий, как говорит философский язык,
Ты помоги пленному, цепьми скованному железными,
Хрусталь и лали я искал, но стекло черное потерял и простое
Тогда не терпел я близко быть, а ныне каюсь, что удален.

Болховитинов описывает грузинские салонные словесные игры – «эмса» – слияние слогов, пытается разобраться в грузинском стихосложении и нотации древнегрузинской музыки. Он делает две нотные записи квадратной пятилинейной нотацией, распространенной в России в XVII – XVIII первый ирмос первой песни утреннего канона «Отверзи уста мои» Иоанна Дамаскина и в главе, названной «О стихотворстве и музыке» пишет следующее: «Из старинного грузинского стихотворца Руставели, писавшего четверослогом, есть печатное гражданскими буквами при Вахтанге VI.

Вис хатад гитквиан филасофста энани,
Шен мишвеле ра тгве – кмнилса, чачвни мабиан ркинани,
Брол балахшиса, мзебнелман, сатни давкарген минани,
Машин вер гавдзел сиахле, ац сишореса винани» (Там же, л. 28).

* См. Приложение – И. Б-М.

Вместе с ранее опубликованным в книге отрывком это первые попытки перевода Руставели на русский язык.

Интерес культуре и истории, истории церкви Грузии был у митрополита Евгения стойким и постоянным. Не препытался и круг чтения. В его библиотеке — книга Варлама Эристова «Толкования Евангелий на Господские и Богородичные праздники с нравоучительными беседами. / Сочинено членом Св.Синода Варлаамом, митрополитом и кавалером, в бытность его экзархом Грузии, то есть Иверии. Переведено с грузинского на российский язык. СПБ, в тип. Иос. Иоанесова, 1821».

Вскоре после назначения А.П.Ермолова наместником Кавказа, в письме к В.Анастасевичу от 1817 года митрополит Евгений проявляет озабоченность тем, как складываются современные русско-грузинские отношения: «Еще хуже у нас вздуман проект послать в Грузию и русских духовных начальников. Скорее они возмутят, нежели успокоят нацию, по азиатски умствующую и чувствующую. Каждая нация особую имеет логику и характер и натурально непрязнена сердцем ко всему не отечественному, особенно если станут принуждать» (Евг.Болховитинов — Анастасевичу 1880: 631).

Искренний интерес митрополита Евгения к Руставели был продолжен в русской культуре не с разу. Следующий всплеск интереса к поэму Руставели происходит в конце двадцатых годов XIX века. В 1827 году в петербургском журнале «Азиатский вестник» появилась статья, «Барсова кожа (Вепхис Ткаосани). Грузинская поэма, сочиненная Шотою Руставелем», написанная предположительно Н.Д.Чубинашвили (Чубиновым), переводчиком Азиатского департамента.

В 1 № за 1832 год в «Тифлисских ведомостях» была помещена статья «Краткий взгляд на грузинскую литературу. Задумано из грузинской газеты, коей редактор г.Дадаев-Магарский. Он же сочинитель сей статьи». Эта статья Соломона Ивановича Додашивили сразу же была перепечатана «Московскими ведомостями» (1832, № 10) и включена в «Историю древних и новых литератур, наук и изящных искусств» А.Жарри де Манси, которая была переведена на русский язык И.Милашевичем и издана в Москве летом 1832 года. Прошло время, прежде чем на русском появилась великая поэма. Но первый вклад митрополита Евгения в создание рустиклологии на русском языке, ясно очертил масштабы «Витязя в тигровой шкуре» в масштабе человеческой культуры, был полон знаний и любви к величайшему грузинскому поэту.

ЛИТЕРАТУРА:

Библиотека Вернадского, рукописный фонд: Библиотека им. Вернадского АН Украины, рукописный фонд, 312, опись Петрова, ед хр. 18 (727), лл. 132-134.

Там же : ед. хр. 297 (559), л.67.

Догонаძе 1961: Догонаძэ Г. *Державин и грузинские писатели*. Вестник Отделения общественных наук АН ГрузССР, 1961, № 1.

Евгений Болховитинов 1788: Евгений Болховитинов. *ПАРНАССКАЯ ИСТОРИЯ*, заключающаяся в двух книгах, из которых ПЕРВАЯ содержит описание горы Парнасса, находящихся на нем строений окрестных Потоков, источников, Болот, Лесов и обретающих там животных; а ВТОРАЯ Жителей, Правления, Чинов, Судилищ, Жертвоприношений, Праздников и торгов Парнасских. Переведена С ... Евг. Болх. Москва, В типографии Пономарева, 1788.

Евг.Болховитинов — Анастасевичу 1880: Евг. Болховитинов — В.Анастасевичу. 27. IV. 1817. Древняя и новая Россия, 1880, Т.3, № 12.

Митр. Евгений 1802: Митр. Евгений. (Е.А.Болховитинов) *Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии*. Сочинено в Александро-Невской Академии. СПБ, 1802.

Переписка Евгения 1868: Имеется в виду «Письмо из Тифлиса» в журнале «Друг Просвещения», 1805, № 1. Цит. по Переписка Евгения с Державиным чтения Я.К.Грота, СПБ, 1868, С.106.

Лекишвили 1985: Лекишвили С.С. *Е.Болховитинов и вопросы древнегрузинской культуры и истории*. Памятники культуры. Новые открытия. Письменность. Искусство. Археология. Ежегодник. 1983. Л, «Наука», 1985.

Рукавицьна-Гордзиневска 2010: Е.В.Рукавицьна-Гордзиневська. *Київський митрополит Євгеній (Е.О.Болховитинов). Бібліографія. Бібліотека. Архів*. Київ. Ізд. Нац. Акад наук України, Нац. Бібліотека України им. Вернадского, 2010, С.1200.


Сабетова 2012: Сабетова М.В. *Издания XVIII века в коллекции «Книги Г.Р.Державина» в фонде Тамбовской областной универсальной научной библиотеки им. А.С.Пушкина*. Г.Р.Державин и диалектика культур. Материалы Международной научной конференции. Казань-Лаишево. Казанский Университет, 2012.

Шмурло 1887: Шмурло Е. *Заметка об отношениях Киевского митрополита Евгения к Державину до личного знакомства с поэтом*. СПБ, 1887.


Приложение


Евгений Болховитинов. О грузинской литературе.

Киев, Библиотека Вернадского, рукописный фонд, ед. хр. 297 (599), л. 64:




О б Гиршев Габе б. Марк
Из архива НИИКиРа № 193. Фото № 10
Марк Канка и Наканчуковы из села
Будышилук. Основатель села Бодышилук
и Янтарный и Марк в
одной из первых деревень Соловецкого острова.
На снимке: Гиршев Габе б. Марк
Из архива НИИКиРа № 193. Фото № 10
Марк Канка и Наканчуковы из села
Будышилук. Основатель села Бодышилук
и Янтарный и Марк в
одной из первых деревень Соловецкого острова.
На снимке: Гиршев Габе б. Марк
Из архива НИИКиРа № 193. Фото № 10
Марк Канка и Наканчуковы из села
Будышилук. Основатель села Бодышилук
и Янтарный и Марк в
одной из первых деревень Соловецкого острова.
На снимке: Гиршев Габе б. Марк
Из архива НИИКиРа № 193. Фото № 10
Марк Канка и Наканчуковы из села
Будышилук. Основатель села Бодышилук
и Янтарный и Марк в
одной из первых деревень Соловецкого острова.
На снимке: Гиршев Габе б. Марк
Из архива НИИКиРа № 193. Фото № 10
Марк Канка и Наканчуковы из села
Будышилук. Основатель села Бодышилук
и Янтарный и Марк в
одной из первых деревень Соловецкого острова.
На снимке: Гиршев Габе б. Марк
Из архива НИИКиРа № 193. Фото № 10
Марк Канка и Наканчуковы из села
Будышилук. Основатель села Бодышилук
и Янтарный и Марк в
одной из первых деревень Соловецкого острова.





Reinmann 86 1722 Egg. nocte partie May 29
Bachalla Topic. 86 no. Bacha instrument not known

28



и в речи ученой 86 87 г. употреблено неоднократно

в первом аете, и в первом балете, и в первом
и втором балете, и в первом балете, и в первом балете

и первом аете, и в первом балете, и в первом балете
и первом аете, и в первом балете, и в первом балете

и первом аете, и в первом балете, и в первом балете



NOMADI BARTAIA

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

David the Builder and Georgian National Writing

As it is known, Seljuk Turks, upon conquering of Iran, remained Persian language in the country in their own functions.

It is also known, that Seljuk Turks hadn't been satisfied only with conquering of Iran, they covered the whole Middle East and as a result of this the Persian language had been given a broad field; it became the state and satellite language of the whole Seljuk Turks' Empire.

In this way, the politically conquered Iran had culturally conquered the capturer with its whole Empire.

When appeared on the political field, Seljuk Turks had already intervened into the territory of Georgia.

David managed to force the Turks out from Georgia, released Tbilisi from supremacy of Arabians lasting for four centuries and created an integral independent state.

Apart from David, Georgia would be one of the composite parts of the Seljuk Turks' Empire with a Persian language as a state and satellite language.

It is very easy to imagine if in what language the Georgian Writing of the XII century would have been composed.

In addition to it, it is very easy to imagine if in what language the Georgian Writing of the Renaissance Era in time when the Persian language had a great influence on it and the Georgian language had scarcely been survived.

Thus, it is doubtful if our national writing could survive till the XIX century without David Aghmashenebeli.

Key words: David Aghmashenebeli, Georgian Writing.

ნომადი გართაია

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დავით აღმაშენებელი და ქართული ეროვნული მწერლობა

ნაშრომში ახლებურად არის დანახული მოვლენები ქართული საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარებასთან დაკავშირებით.

ჩენი აზრით, რომ არა დავით აღმაშენებელი, საქართველოშიც გაბატონდებოდნენ თურქ-სელჩუკები, რომელთა სამფლობელოში სალიტერატურო ენა იყო სპარსული.

შესაბამისად, შესაძლებელია, XII საუკუნის, და არა მხოლოდ XII საუკუნის, საერო მწერლობა საქართველოში ყოფილიყო სპარსულებოვანი.

ვიდრე უშუალოდ საკითხს შევეხებოდეთ, მიზანშენონილად მიგვაჩინია, ზოგადად წარმოვაჩინოთ XII საუკუნის მახლობელ აღმოსავლეთსა და საქართველოში არსებული პოლიტიკურ-კულტურული პროცესები.

ორმოცი წლის იყო მუჰამადი (570-632) ხილვები რომ დაეწყო და – სამოცდაორის – რეალობად რომ აქცია ისინი. სულ რაღაც ოცდაორ წელინადში მან შეძლო არაბეთის ნახევარკუნძღვები მიმოფანტული მრავალმერთიანი არაბული ტომები ერთი ღმერთის გარშემო შემოეკრიბა და ისლამის დროშის ქვეშ დაერაზმა.

დიახ, ის-ის იყო, მუჰამადმა დარაზმა არაბები ისლამის დროშის ქვეშ, არაბეთის ნახევარკუნძულიდან გასასვლელად და დაპყრობითი ომების სანარმოებლად, მაგრამ სწორედ მაშინ მოუწია მას გასვლა ამ სოფლიდან.

ეს მოხდა 632 წელს.

632 წელი გახდა მახლობელი აღმოსავლეთის, მათ შორის ირანელი ხალხებისთვის ახალი ერის დასაწყისი.

იმავე წელსვე დაარსდა ხალიფატი. ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ ომაელები. დაიწყო მოჰამადის იდეის განხორციელება და არაბები ელვისებურად დაეპატრონენ მთელ მახლობელ აღმოსავლეთს. მათ ერთდროულად შეუტიეს ერთმანეთთან ბრძოლებში დასუსტებულ ირანსა და ბიზანტიას და, უკვე მეშვიდე საუკუნის მეორე ნახევრის

დასაწყისისთვის, გამარჯვება მოიპოვეს ირანზე, ხოლო ბიზანტიას ჩამოაცილეს აღმოსავლეთის პროვინციები – სირია და ეგვიპტე. ამავე დროს ამიერკავკასიაში გააგზავნეს მარიელი ლაშქრები.

მოხდა წარმოუდგენელი რამ, მსოფლიოს ერთ-ერთმა უდიდესმა იმპერიამ, ოთხსაუკუნოვანმა სასანურმა ირანმა, უცებ დაკარგა ცა-მეტსაუკუნოვანი ზოროასტრული რელიგია, მშობლიური ანბანი და სალიტერატურო ენა, სანაცვლოდ მიიღო ისლამი, არაბული ანბანი და სალიტერატურო ენად – არაბული (ამ დროს ქართველებმა, იმავე დამ-პყრობთა ხელში, ყველაფერი შეინარჩუნეს).

ჩაბარდა წარსულს ირანის სახელმწიფოებრიბა, რომელიც, თუ არ მივაქცევთ ყურადღებას სამანიდების მიერ დამოუკიდებლობის ნაწილობრივ აღდგენას (X ს.), ირანს, სეფიანი შაჰების მოსვლამდე (1501 წ.), დაკარგული ჰქონდა.

არაბები, შედარებით ირანელებთან, პოლიტიკურად და კულტურულად განვითარების დაბალ საფეხურზე იყვნენ, ამიტომ ისინი, ამ მიმართულებით, წარმატებით იყენებდნენ ირანულ რესურსებს. ირანელებიც ყოველმხრივ აქტიურად ჩაებნენ არაბთა იმპერიის სამსახურში, პოლიტიკური კუთხით იქნებოდა ეს თუ კულტურული. განსაკუთრებით კი კულტურის სფეროში გამოიჩინეს მათ თავი.

არაბებმა დაიწყეს მიღება ცივილური სამყაროს მონაპოვრებისა, როგორც აღმოსავლეიდან, ისე დასავლეთიდან.

ასე ჩაისახა და დაიწყო განვითარება კულტურამ, რომელიც არაბულ-მუსლიმური კულტურის სახელით დარჩა ისტორიაში.

ამგვარად, ირანელები, ასე ვთქვათ, გაარაბდნენ, მაგრამ თურმე ერთი შეხედვით. მათ გარეგნულად მოუსხამი მხოლოდ არაბული მანტია. აღმოჩნდა, რომ მათში არ ჩამერალა ეროვნული სულისკვეთება, რომელსაც გასაქანი მიეცა 750 წლიდან, ირანული ორიენტაციის მქონე აბასელთა დინასტიის მოსვლის შემდეგ.

სახალიფოს პირველი საუკუნე, ანუ ომაელთა ხანა, მძიმე იყო ირანელთათვის, რადგან ომაელები ზემოდან უყურებდნენ დაპყრობილ ხალხებს. აბასიდების დროს კი ისლამი გახდა საერთაშორისო რელიგია და წაიშალა ეთნიკური ზღვარი არაბებსა და არა არაბებს შორის.

გათანაბრების ეს პროცესი მძიმე ტვირთად დააწვა გლეხობას, იმ მიზეზით, რომ „თუ ომაელების დროს მათ მარტო არაბები „ჭამდნენ“, ახლა ირანელი და ადგილობრივი ფეოდალებიც მიემატნენ და გლეხი აუტანელ მდგომარეობაში აღმოჩნდა“ (გაბაშვილი 1957: 106).

ყოველივე ამას მოჰყვა გლეხთა აჯანყებანი, რომელთა დასაყრდენ ძალას წარმოადგენდნენ სახალიფოს პოლიტიკურ ასპარეზზე დაწინაურებული ირანელი და შუა აზიელი ფეოდალები.

აბასელთა ხალიფებიც თანდათან ნომინალურ მმართველებად იქ-
ცნენ და იმპერიაც IX საუკუნიდან საამიროებად იწყებს დაიშლას.

დაინტერესული სახალხო ინტელექტუალური მოძრაობა.
ირანელთათვის მამოძრავებელი ძალა აღმოჩნდა თავიანთი დიდი წარ-
სული ლოზუნგით: „ჩვენ ჯემშიდის ჩამომავლები ვართ, არაბს კი თა-
ვისი პაპის სახელიც არ ახსოვს“ (გაბაშვილი 1957: 107).

ასე დადგა დღის წესრიგში ირანის სახელმწიფოებრიობის აღდგე-
ნის სკითხი.

მალე ირანულმა ეროვნულმა დინასტიებმა წამოჰყვეს თავი თაჲე-
რიდების, საფარიდებისა და სამანიდების სახით და საბოლოოდ, რო-
გორც ჯეიმს დარმსტეტერი წერს: „სამანიდებთან ერთად, ტახტზე
სპარსული ენაც ავიდა“ (დარმსტეტერი 1985: 9).

ასი წელი გასტანეს სამანიდებმა. ამ დროს ახალ სპარსულ ენაზე
შეიქმნა დიდი ლიტერატურა, რომელზედაც ფართოდ გაიშალა და დგას
დღემდე დიდი სპარსული მწერლობა.

საუკუნოვანი არსებობის დასასრულს, სამანიდების დინასტია,
მათსავე კარზე მონობიდან სულთნობამდე აღზევებულმა თურქმა,
მაპმუდ დაზნელმა დაამხო.

თურქები ანტიორანული განწყობისანი იყვნენ. მაპმუდ დაზნელმა
სცადა სპარსულის ნაცვლად ისევ არაბული ენის დაბრუნება ირან-
ში, მაგრამ სპარსულ ენაზე აწყობილი სახელმწიფო სტრუქტურების
გადაყვანა სხვა ენაზე არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდა. ამავე დროს,
დაზნელები სამანიდების კარზე იყვნენ აღზრდილები და მათ სმენას
ისედაც საამოდ ელამუნებოდა ტკბილებმოვანი სპარსული ყასიდები,
რამაც, ერთგვარად, ხელი შეუნყო სპარსულის დარჩენას თავის
ფუნქციებში.

მაპმუდ დაზნელმა ინდოეთი დალაშქრა, სადაც შეიტანა ისლამი
და სპარსული ენა, რითაც სპარსულ ენას მეტი ასპარეზი მიეცა. თუმ-
ცა ნამდვილი ასპარსეზი მას, როგორც ვნახავთ, თურქ-სელჩუკთა ბა-
ტონობის ხანაში მიეცემა.

ნახევარ საუკუნემდე გაძლეს დაზნელებმა, რომლებიც მერე
თურქ-სელჩუკებმა შეცვალეს. სელჩუკთა დინასტიის დამაარსებელმა
თოლღულ-ბეგმა 1055 წელს აიღო სახალიფოს დედაქალაქი ბაღდადი.
მას თავზე ორრქიანი გვირგვინი, ნიშნად აღმოსავლეთისა და დასავ-
ლეთის მფლობელისა, თვით ხალიფამ დაადგა.

თურქ-სელჩუკებმაც დაპყრობილ ირანში, სპარსული ენა დატოვეს
თავის ფუნქციებში.

ახალი დამპყრობლები ირანის დაპყრობით არ შემოფარგლულან.
მალე ისინი მოედვნენ მთელ მახლობელ აღმოსავლეთს, შექმნეს იმ-
პერია და სპარსულ ენას, ძალაუნებურად, არნახული ასპარეზი მიეცა.

ამგვარად, მოხდა ისე, რომ პოლიტიკურად დაპყრობილმა ირანმა კულტურულად დაიყყრო არა მარტო დამპყრობი თურქ-სელჩუკები, არამედ მთელ მის იმპერიაში შემავალი ხალხები.

ასე რომ, მახლობელ აღმოსავლეთში არაბებს პოლიტიკურად ჩაენაცვლნენ თურქ-სელჩუკები, ხოლო არაბულ სალიტერატურო ენას – სპარსული. შესაბამისად, არაბულ-მუსლიმურ კულტურას ჩაენაცვლა, ახალ თვისობრივ რანგში გადასული სპარსულ-მუსლიმური კულტურა.

ბუნებრივია, თურქ-სელჩუკთა იმპერიაში შემავალ ყველა ხალხს ჰქონდა თავისი კულტურული წარსული. ასევე ბუნებრივია, რომ მათგან გამოსულ ყველა შენაკადს შეპქონდა რაღაც თავისი სპარსულ-მუსლიმური კულტურის საერთო ოკეანეში. სწორედ ამიტომ „გარეგნულად ირანულ ფორმაში გამოხვეულ კულტურაში (შუა აზიდან ეგვიპტემდე) გამჭვირვალედ მოჩანს თურქ-სელჩუკთა მიერ დაპყრობილი ხალხების თავისთვადი, ადგილობრივ ნიადაგზე განვითარებული კულტურა, ხელოვნება, მწერლობა“ (გაბაშვილი 1957: 137).

აი, რატომ არის სპარსულ-მუსლიმური ლიტერატურა მსოფლიოში სახელგანთქმული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი გაგრძელდა ირანში მონალთა და თემურელთა ბატონობის ხანაშიც, რამაც განაპირობა ის, რომ დღეს მთელ მახლობელ აღმოსავლეთში მიმოფანტულა სპარსულ-ენოვან მხატვრული სიტყვის ისეთ დიდოსტატთა საფლავები, როგორიც არის ნიზამი განჯელისა (XII ს.) – აზერბაიჯანში, ჯელალ ედ-დინ რუმისა (XIII ს.) – თურქეთში, ხოსრო დეპლევისა – ინდოეთში (XIII-XIV ს.), აბდ ორ-რაჰმან ჯამისა (XV ს.) – ავღანეთში და სხვა.

„XI საუკუნეში არაბული ელემენტის უპირატესობა შეიცვალა სპარსული ელემენტის უპირატესობით“ ... „ამიერიდან „სპარსელი“ მაჰმადინანსაც ნიშნავს, „სპარსული“ მაჰმადინანურს, „სპარსეთი კი სამაჰმადინოს“ (გაბაშვილი 1980: 12).

ამ დროს „სპარსულ ამბავში“ („ესე ამბავი სპარსული“...) მოსაწონი ამბავი იგულისხმება.

მაგრამ, მონლოლთა ხანიდან, ტერმინს ს პ ა რ ს ი , ჩაენაცვლა თ ა თ ა რ ი , რამაც შებძლა ის იმიჯი, რომელიც გააჩნდა მას ქართველთა წარმოდგენაში სპარსელთა, როგორც კულტუროსან ხალხთა მიმართ.

ეს მცირე ექსკურსი იმიტომ გავაკეთეთ, რომ დაახლოებით წარმოგვეჩინა თუ რა სახის პოლიტიკურ გარემოსა და კულტურასთან ჰქონდა შეხება საქართველოს XII საუკუნეში.

საქართველოშიც ამ დროს მოხდა ასევე მნიშვნელოვანი მოვლენა. დავით მეოთხემ, რომელსაც ხალხმა აღმაშენებელი უწოდა, დავით III

კურაპალატიდან (IX ს.) დაწყებული საქართველოს გამთლიანების პროცესი ბოლომდე მიიყვანა და შექმნა ისეთი დამოუკიდებელი ძლიერი სახელმწიფო, რომელიც თავდაცვითი ომებიდან თავდასხმით ომებზე გადაიყვანა.

რა თქმა უნდა, თურქ-სელჩუკები გულგრილად არ დაუწყებდნენ ცეკვას საქართველოს და 1080 წლიდან ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავალეთ ნაწილში იწყება მათი თარებიც. „თურქების შემოსევა არსებითად განსხვავდებოდა ბიზანტიილებისა თუ არაბების ბატონობისგან. თურქები მომთაბარე-მეჯოგენი იყვნენ. ისინი გადმოსახლებით მოდიოდნენ და დაპყრობილ ქვეყნებში თავისი მეურნეობისათვის საჭირო მიწებს იჭერდნენ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს, თუ როგორ შეუთავსებელი, როგორ ერთმანეთის გამომრიცხველი იყო ორი მეურნეობა – თურქულ-მომთაბარული და ქართულ-ფეოდალური“ (ბერძნიშვილი 1954: 6).

თოხი ათეული წელი გასტანა საქართველოში თურქთა თარეშმა, რასაც ბოლო მოუღო დავითმა და რომელიც 1122 წელს დავითის მიერ თბილისს არაბთა აოხსაუკუნოვანი ბატონობისგან განთავისუფლებით დაგვირგვინდა.

იმ მრავალ გარდამტებ ქმედებათაგან, რომელიც განახორციელა დავითმა, ამ შემთხვევაში გამოვყოფით ერთს – ისლამურ სამყაროსთან მის დამოკიდებულებას, რაც გამოიხატა ტოლერანტიზმისა და შირვანთან მჭიდრო პოლიტიკურ-ნათესაური ურთიერთობის დამყარებაში, რომელმაც შემდეგ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართული ლიტერატურული პროცესების განვითარებაში.

ტოლერანტიზმს მოჰყვა ის, რომ მუსლიმებს შეექმნათ იმაზე უკეთესი პირობები, ვიდრე მათ ჰქონდათ მუსლიმურ ქვეყნებში, რაზეც ნათლად მეტყველებს არაბ ისტორიკოსთა ცნობები. აი, ზოგი მათგანი:

ალ-ფარიკი: დავით IV-ემ „მიაგო მუსლიმებს უდიდესი პატივი, მეცნიერებს, ლვთისმეტყველებსა და სუფიებს ისეთი ლირსება და პატივი ჰქონდათ, რაც არ ჰქონდათ [თვით] მუსლიმებთანაც კი“;

ალ-ჯაუზი: დავით IV და მისი ვაჟი დემეტრე I საჯაროდ გამოხატვდნენ თავიანთ პატივისცემას ისლამისადმი. ისინი პარასკეობით დადიოდნენ მეჩეთში, ისმენდნენ ხუტბასა და ყურანის კითხვას, ასაჩუქრებდნენ ხატიბსა და მუაზზინებს“;

ალ-ფარაჯი: „მე ვნახე ალიმები, მქადაგებლები, დიდებულები, სუფიები, მლოცველები, რომელთაც მეფე (დემეტრე I) პატივით იღებდა და ასაჩუქრებდა. ის კეთილად ექცევდა [მათ], რისი მსგავსიც არ არსებობს. მე ვნახე [იქ] ისეთი პატივისვემა მუსლიმებისა, რაც ბალდადშიც კი არ ექნებოდათ“ (ჯაფარიძე 1995: 242).

შირვანთან მჭიდრო პოლიტიკურ და დინასტიურ ქორწინებაზე დამყარებულ ნათესაურ ურთიერთობას (დაცით ქალიშვილი თამარი დაქორწინებული ჰყავდა შირვანშაჲზე) კი მოჰყვა ქრისტიანულ და ისლამურ სამყაროს შორის კულტურულ ურთიერთობათა დამყარება, კერძოდ, შირვანის გზით, დიდი სპარსული ლიტერატურის შემოდინება ქართულ მწერლობაში.

არაბთა ხალიფათის დაშლის პროცესი დღვანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებსაც მოედო.

შირვანზეც ისე თარეშობდნენ თურქ-სელჩუკები, როგორც საქართველზე, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლაში დავითმა მოკავშირედ გაიხადა შირვანშაჲები.

თურქ-სელჩუკთა მიერ დღევანდელი აზერბაიჯანის დაპყრობას, პოლიტიკურ-კულტურულთან ერთად, მოჰყვა ეთნიკური ცვლილებები. მოხდა ადგილობრივი ირანული ტომის მოსახლეობის ასიმილირება თურქებთან, რასაც მოჰყვა საშუალო სპარსული ენის თურქულით ჩანაცვლება.

სახალიფოს დაშლამდე, ამ ტერიტორიის მოსახლეობის სახელმწიფო და კულტურის ენა იყო არაბული, რომლის ადგილიც, თურქ-სელჩუკთა გამოჩენიდან, დაიკავა სპარსულმა.

პირველი ირანული დინასტიის წარმომადგენლებს – სამანიდებს (X ს.) ტახტი შუა აზის ქალაქ ბუხარაში ედგათ. სპარსული ლიტერატურის ცენტრიც იქ იყო, რომელმაც, ხელისუფლებაში ღაზნელთა გამოჩენასთან ერთად, ღაზნაში გადაინაცვლა, ხოლო თურქ-სელჩუკთა მოსვლის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ იმპერიის სატახტო ქალაქი ისფაპანი იყო, მისი გადაადგილება აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთ ირანში, კერძოდ, შირვანში მოხდა. შეიქმნა სპარსული ლიტერატურის შირვანის სკოლა, სადაც განვითარების ახალ საფეხურზე ადის სპარსული ლექ-სი, რომელიც შემდეგ ტონის მიმცემი ხდება მთელი სპარსული პოეზიისათვის.

სპარსულ მწერლობაში ცნობილია სამი სტილი, სამი მშვენება სპარსული ლიტერატურისა: ხორასნული (XI ს.) – იგივე სამანიდური, ერაყული (XII-XV სს.) – იგივე აზერბაიჯანული და ინდური (XVI-XVIII სს.) – იგივე ისფაპანური. ანუ იმის თქმა გვინდა, რომ ერთ-ერთი თვით-სობრივად განსხვავებული სტილი, რომელიც მოიცავს სპარსული კლასიკური პერიოდის ლიტერატურის უდიდეს პერიოდს (XII-XVI სს.) შირვანის (აზერბაიჯანული) ლიტერატურული სკოლიდან იღებს სათავეს, რაც „ძალოვანი ცენტრების ხორასნიდან ქვეყნის ცენტრალურ და ჩრდილოეთ ნაწილში გადასვლას მოჰყვა“ (მეიმანათ 1373: 129).

ისე როგორც ირანში, საქართველოშიც, პოლიტიკური ცენტრის ქუთაისიდან თბილისში ადგილმონაცვლეობას მოჰყვა კულტურის ცენტრის ადგილმონაცვლეობაც, რის გამოც ქართულ-სპარსული ლიტერატურული ცენტრები გეოგრაფიულად დაუახლოვდნენ ერთმანეთს.

იმასაც თუ გავითვალსწინებთ, რომ შირვანი ამ დროს საქართველოს გასალური ქვეყანა იყო, რომელიც 1124 წლიდან შემოიერთა დავითმა, იმისი თქმაც შეიძლება, რომ ამ დროს სპარსული ლიტერატურული ცენტრი ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ სივრცეშიც კი მოექცა, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა ქართულ-ქრისტიანულ და სპარსულ-მუსლიმურ კულტურათა ურთიერთდახლოება.

ამავე დროს, დავით მეფემ, რამდენადაც, ქვეყნის დამოუკიდებლობით, პოლიტიკურად გადაუკეტა გზა სპარსულ ენას საქართველოში, იმდენად გაუხსნა კარები ამ ენაზე შექმნილ კულტურას, კერძოდ, უდიდეს სპარსულ ლიტერატურას, რითაც მსოფლიოში მიმდინარე საერო ლიტერატურული პროცესების მონაწილე გახდა ქართული მწერლობა, რამაც, ვფიქრობთ, დიდად განაპირობა ქართული ს ა ე რ ო მწერლობის აღმოცენება-განვითარება.

სამწუხაროდ, იმ მრავალ ლიტერატურულ ქმნილებათაგან, რომელიც შემოვიდა ამ დროს ქართულ ლიტერატურაში, მხოლოდ „ვის-რამინას“ უბადლო თარგმანმა მოაღწია ჩვენამდე. დანარჩენთა არსებობის შესახებ ქართულ მწერლობაში (ფირდოუსის „შაჰნამე“, ნიზამისა და ონსორის პოემები, „ქილილა და დამანა“...) ისტორიულმა წყაროებმა თუ შემოგვინახეს მხოლოდ ცნობები.

ასე მაგალითად, თამარის ისტორიკოსი გიორგი მესამეზე წერს, რომ იგი არის: „ალექსანდრე და ქაიხოსრო მანებელთა შორის: აქილევ და სამბსონ და ნებროთ გმირთა შორის; სპარსები გორგანი და ნებროთ გმირთა შორის“ (ქართლის ცხოვრება 1942: 42). ამ ერთ წინადადებაში, შედარებისთვის, „შაჰნამეს“ ოთხი გმირის სახელია მოყვანილი, რაც იმას მოწმობს, თუ რაოდენ ნაცნობნი ყოფილან ჯერ კიდევ XII საუკუნში „შაჰნამეს“ გმირები ქართველთაოვის.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართველები „შაჰნამეს“ გმირებს იცნობდნენ მანამდეც, სანამ ფირდოუსი (Xს.) შექმნიდა თავის უკვდავ ქმნილებას, იცნობდნენ მას რამდენიმე საუკუნით ადრე, მისი პირველ-წყარო – ფალაური „ხვადაინამაკიდან“ („მეფეთა წიგნი“).

ახლა კი თითო მაგალითი „ვეფხისტყაოსნიდან“ და „ვისრამიანიდან“:

ისრითა მოკლის ნადირი, როსტომის მელავს უგრძესია.

(რუსთველი 1966: 196/3)

„ნეტარძი, თუმცა ცხენსა ზედა მჯდომი მაშურალი ვნახო, რომელ პირი ჩემენ ექმნას და ზურგი მარავისკენ! ნეტარ ვერ ვნახავ ჩემთუის მოსრულსა ჭაბუკად როსტომის საბატონოსა (გორგანელი 1962: 113).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ „ვისრამიანში“, სპარსულიდან ნათარგმნ ძეგლშიც კი, როცა დედანში არ არის ნახსენები „შაჰ-ნამეს“ პერსონაჟი როსტომი, თარგმანში მოხსენებულია, რაც მაუწყებელია იმისა, თუ რაოდენ მახლობელი ყოფილა მაშინ ეს სახელი ქართველთათვის.

ასევე იმდენად მახლობელია ნიზამი განჯელისტვის ქართული სამყარო, რომ „ხოსროვ-შრინანში“ პროტოტიპებად თამარისა და რუსუდანის სახეები იკვეთება (ფალავა 2014: 109).

ამ დროის ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ახლო ურთიერთობებზე მიუთითებს ის ცნობაც, რომ დემეტრე მეფის დაკრძალვაზე თბილისში ჩამოსულან ორი დიდი შირვანელი პოეტი ხაყანი და ფალაქი.

ეს ის ხაყანი შირვანელია, რომელიც ერთ-ერთ თავის ყასიდაში წერს: ბაგრატიონთა კარი ჩემთვის ყოველთვის ღიააო.

ეს ის ხაყანი შირვანელია, რომლის შემოქმედება, განსაკუთრებით სახოტბო ლირიკა, ნიზამის შემოქმედებასთან ერთად, მიბაძვის საგნად იქცა მთელი მახლობელი აღმოსავლეთის მხატვრული სიტყვის ოსტატთათვის.

მას მერე რაც დავითმა ეკლესია დაუმორჩილა სახელმწიფოს და სამეფო კარი საერო კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრების ცენტრი გახდა, ასეთი ცნობები მოულოდნელი არც არის.

ამ დროის საკარო ლირიკაც, რომელიც, სამწუხაროდ, მხოლოდ ფრაგმენტების სახით არის მოღწეული ჩვენამდე, თავისი პოეტური ორგანიზებულობით, ნათლად მეტყველბს იმაზე, თუ რა დახვენილი და მაღალი დონის წყობილსიტყვაობა გვქონია XII საუკუნეში.

მაშინ, როცა შირვანის ლიტერატურულმა სკოლამ დიდი გავლენა მოახდინა მთელი მახლობელი აღმოსავლეთის ლიტერატურაზე, რა თქმა უნდა, იგი გარკვეული ტონის მიმცემი იქნებოდა ქართული მხატვრული აზროვნებისთვისაც.

ჩვენი აზრით, შექმნილმა ვითარებამ დიდად შეუწყო ხელი ქართული საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარებას, რომელსაც, ამდროისათვის, მოყოლებული გრიგოლ ხანძთელიდან (759-861 წწ.), საკმაოდ ჰქონდა მომზადებული ლიტერატურული ნიადაგი.

რაც შეეხება ნიადაგის მომზადებას, უფრო შორსაც წავალთ, როგორც ალექსანდრე გვახარია წერს: „დავით აღმაშენებლის ეპოქის საქართველოში სავსებით იყო შემზადებული ნიადაგი კლასიკური სპარსული კულტურის ასათვისებლად, რადგან კარგად იყო ცნობილი

მისი ძველსპარსული დ ფალაური (საშუალო სპარსული) საფუძვლები“ (გვახარია 2001: 131).

ქართული მწერლობა, მეზუთედან მეთორმეტე საუკუნემდე, წამება-მარტვილობათა უწყვეტი ჯაჭვით, იყო ჰაგიოგრაფიული. მეთორმეტე საუკუნეში კი მის გვერდით, „ვეფხისტყაოსნის“ სახით, უცებ ამოიფრქვა საერო მწერლობის ულევანი.

ეს მოულოდნელი მოვლენა იყო არა მარტო ქართულ, არამედ მთელი საქრისტიანოს მწერლობისთვის, რამაც მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ნაწილმა ეს მიიჩნია გარე ფაქტორის ძალიდან, კერძოდ, სპარსულიდან მომდინარედ (მარი 1899: 251), ნაწილმა – შიდა ფაქტორის (კეკელიძე 1945: 14) და ნაწილმაც – ორივე ფაქტორის არსებობა დაუშვა (აბულაძე 1954: 95).

საბოლოოდ კი გაბატონდა აზრი ამ მოვლენის შიდა ფაქტორის ძალის მომხრეთა სასარგებლოდ. აი, რას წერს აკადემიკოსი ალექსან-დრე ბარამიძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ 1966 წელს გამოცემული სახელმ-ძღვანელო წიგნის, ქართული ლიტერატურის ისტორიის მეორე ტომში: „ნ. მარის ადრინდელ თეორიას ქართული საერო მწერლობის სპარსუ-ლი ლიტერატურის ზეგავლენით წარმოშობის შესახებ ახლა აღარავინ იზიარებს (ამ თეორიას თავის დროზე ბევრი მიმდევარი ჰყავდა). სა-დავო არ არის, რომ ისეთი დიდი მასშტაბის მოვლენა, როგორიც არის ქართული საერო მხატვრული მწერლობის წარმოშობა, არ შეიძლება უცხოური გავლენით აიხსნას“ (ბარამიძე 1966: 8).

შევნიშნავთ, რომ ეს კრებული დღემდე სახელმძღვანელო წიგნად არის მიჩნეული.

თუმცა აკადემიკოს კორნელი კეკელიძეს მაინც დარჩა გაუგებარი ამ მოვლენის არსი და წერს: „ის, რაც საეკლესიო მწერლობის წიაღში სტიქიურად მზადდებოდა, გარკვეული დროიდან, როდესაც შესაფე-რისი პირობები მომწიფდა, სახელდობრ, მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებიდან, მკვეთრად გამომჟღავნდა და მხატვრული საერო ლიტერატურის სახით გაიშალა და გაიფურჩქნა. თუმცა შესაძლოა, ასეთი წინასწარი კულტურული პირობები სხვა ქვეყანაშიც არსებობდა, მაგალითად, ბიზანტიაში, მაგრამ იქ საერო ლიტერატურა არ აღმოცენებულა, მაშასადამე, საჭირო იყო კიდევ რაღაც სხვა პირობა“ (კეკელიძე 1981: 12).

ჩვენი აზრით, ის „კიდევ რაღაც სხვა პირობა“, რომელიც ბურუსით იყო მოცული სულმნათი მეცნიერისთვის, საძიებელია სწორედ ქარ-თულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობებში ანუ ქრისტიანულ

და ისლამურ ცივილიზაციათა ურთიერთგადაკვეთაში, რომელიც განხორციელდა XII საუკუნის საქართველოში.

მართალია, ამ დროს სპარსული ლიტერატურული ცენტრი მოქცეულია ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, მაგრამ თვით ქართული ლიტერატურული სამყაროა მოქცეული კუნძულივით ისლამური ლიტერატურის ოკეანეში.

ბუნებრივია, ასეთ პირობებში, ასე ვთქვათ, ოკეანის ჰავა შეეზავებოდა კიდეც კუნძულის ჰავას.

მართლაც, „სპარსულ-მუსლიმურ კულტურასთან შეხვედრის შედეგად საქართველოს ისტორიასა თუ კულტურაში ისეთი ხასიათის მოვლენებია, რომლებიც მხოლოდ ამ კულტურასთან ურთიერთობით აიხსნება“ (გაბაშვილი 2011: 11).

ვჯიქრობთ, ყოველივე ამან გავლენა იქონია ქართულ ლიტერატურაში მიმდინარე მოვლენებზე და დააჩქარა ქართული საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარების პროცესი.

სწორედ ამ პირობებში წარმოიშვა „ვეფხისტყაოსანი“, ასე ვთქვათ, ნაზავი სპარსულ-მუსლიმური „ოკეანისა“ და ქართულ-ქრისტიანული „კუნძულის“ ჰავისა, რაშიც უნდა ვეძიოთ ამ პოემის უნიკალურობაც.

გამომდინარე აქედან, XII საუკუნის ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი შეიძლება ჩავსვათ ქრისტიანულ და ისლამურ ცივილიზაციათა დიალოგის ჩარჩოში.

თანამედროვე მსოფლიოში, პოლიტოლოგთა შორის (ჰანდიგთონი 1993: V 72 n.p.22 /28/) მუსირებს რადიარდ კიბლინგის მოარული ფრაზა: „აღმოსავლეთი არის აღმოსავლეთი, დასავლეთი – დასავლეთი, ისინი ვერასოდეს შეხვდებიან ერთმანეთს“ („Oh, Fast is East, and West is West, and never the twain shall meet“) (კაბლინგი 1983: 71).

აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის იგულისხმება ისლამი და ქრისტიანობა, რომელთა შორის მდებარე ქვეყანაზე, როგორც ივანე ჯავახიშვილი წერდა: „აზიისა და ევროპის საზღვარზე მდებარე საქართველო აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ქრისტიანულისა და მაჰმადინანურის კულტურისა და განათლების შემთვისებელი და შემაერთიანებელი იყო“ (ჯავახიშვილი 1965: 306).

მიგვაჩნია, რომ თეზა: „აღმოსავლეთი არის აღმოსავლეთი, დასავლეთი კი – დასავლეთი, ისინი ვერასოდეს შეხვდებიან ერთმანეთს“ – უსაფუძვლოა, რადგან ისინი შეხვდნენ ერთმანეთს ჯერ კიდევ XII საუკუნის საქართველოში და რახან ეს მოხდა ერთხელ, ასევე შეიძლება მოხდეს მომავალშიც.

კულტურათა ურთიერთგადაკვეთა შეიძლება მოხდეს ორი გზით – მშვიდობიანი და ძალდატანების. ქრისტიანობასა და ისლამს შორის

კი საქართველოში იგი შედგა მშვიდობიანი გზით, მაშინ როცა საქართველო იყო მძლავრი დამოუკიდებელი სახელმწიფო და მას ძალით ვერავინ მოახვევდა თავზე თავის ნებას.

ქართველებს უცხოურ ლიტერატურასთან იმდენად შემოქმედებითი დამოკიდებულება ჰქონდათ, რომ რელიგიურ ტექსტებსაც კი, ისე თავისუფლად ექცეოდნენ, ქრისტიანობაში ქართული ნაკადი შეიტანეს, რის გამოც იმდენად დაშორდნენ დედანს, რომ ხელმეორედაც შეიქნა ისინი სათარგმნი.

ამ დროს ადვილი წარმოსადგენია, თუ რა თავისუფლად მოეპყრობოდნენ ისინი საერო მწერლობას, თანაც მუსლიმურს.

მართლაც, ამის თვალნათლივი ნიმუშია თუნდაც „შაჰნამე“, რომლიდანაც ჩვენს წინაპრებს მხოლოდ თავიანთვის საინტერესო ამბები გადმოულიათ, თანაც არა თარგმანის, არამედ მიბაძვა-გადაკეთებისა და ვერსიების სახით.

აქვე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ერთ მომენტზე. „შაჰნამე“ მსოფლიოს მარავალ ენაზეა თარგმნილი, რომელსაც ყველგან თავისი სახელი აქვს შენარჩუნებული. ერთადერთია ქართული მწერლობა, სა-დაც მას არა „შაჰნამე“, არამედ „როსტომიანი“ ეწოდება. ეს იმიტომ, რომ ქართველები, მისი მთავარი მითოლოგიური გმირის, როსტომის გარშემო არსებული საგმირო-საფალავნო ამბებით დაინტერესებულან და არა – ირანელ მეფეთა ისტორიით.

ალბათ, სწორედ ამიტომ არის, რომ „შაჰნამეს“ გმირთა სახელები: როსტომი (როსთამ), ზურაბი (სოპრაბ), გივი (გივ), მანუჩარი (მანუჩეპრ), გოდერძი (გოდარზ), თამაზი (თაპმასბ), უშანგი (ჰუშანგ), ლუარსაბი, (ლოპრასბ), ჯემშიდი (ჯამშიდ), თეიმურაზი (თაპმურასბ), ქაიხოსრო (ქაიხოსროვ) და სხვა, ოდითგანვე ქართულ ეროვნულ სახელებად ქცეულა.

XII საუკუნემდე ქართული ლიტერატურა მოდიოდა მხოლოდ ს ა - ს უ ლ ი ე რ ო ნაკადით, XII საუკუნიდან კი მის გვერდით ჩნდება მეორე ნაკადი – ს ა ე რ ო .

თუ პირველ ნაკადზე გავლენა მოახდინა ბ ე რ ძ ნ უ ლ მ ა ს ა - ს უ ლ ი ე რ ო მწერლობამ, მეორეზე გავლენა იქონია ს პ ა რ ს უ ლ - მ ა ს ა ე რ ო ლიტერატურამ.

ორივე შემთხვევაში მოხდა ერის ფსიქოლოგიაში მათი შემოქმედებითად გადამუშავება, რის შედეგადაც, პირველ შემთხვევაში, მივიღეთ დიდი ქართული სასულიერო, ხოლო მეორეში -ასევე დიდი ქართული ს ა ე რ ო მწერლობა.

ს ა ს უ ლ ი ე რ ო მწერლობას ჩვენ არ ვეხებით. ს ა ე რ ო მწერლობის აღმოცენება-განვითარება კი, ვფიქრობთ, უკავშირდება დავით აღმაშენებლის სახელს.

ჩვენი აზრით, რომ არა დავით აღმაშენებელი:

საქართველო შეიძლება ყოფილიყო თურქ-სელჩუკთა სამფლობელოში შემავალი ერთ-ერთი ქვეყანა, სადაც სალიტერატურო და ელიტარული ენა იყო სპარსული.

ბუნებრივია, საქართველოშიც სალიტერატურო და ელიტარული ენა იქნებოდა სპარსული.

მაშინ მიღებული წესების თანახმად, შირვანშაჰმა აღსართანმა უბრძანა ნიზამი განჯელს გაელექსა ლეილისა და მაჯნუნის სასიყვარულო ამბავი, ოღონდ არა თურქულ, არამედ „მთვის საკადრის ფარსულზე“.

ნიზამიმაც ბრძანება ისე შესრულა, რომ არაბული სამყაროს სამიჯნურო ამბავი მთელი სპარსულენოვან სამყაროს პოეტთა თავდაცინების თემად იქცა და – არა მხოლოდ სპარსულენოვან სამყაროს.

დღეს ლეილისა და მაჯნუნის ასეულობით პოეტური ვარიანტი არსებობს, მათ შორის ქართულ ლიტერატურაშიც, რომლის ძირისძირი სწორედ ნიზამის „ლეილი და მაჯნუნია“.

ისევე, როგორც შირვანშაჰმა უბრძანა ნიზამი განჯელს გაელექსა ლეილისა და მაჯნუნის ამბავი არა თურქულ, არამედ „მათვის საკადრის ფარსულზე“, ასევე, საქართველოშიც, ვინმე სულთანი უბრძანებდა ვინმე მესს მელექსეს, ექცია წყობილსიტყვად რომელიმე ამბავი, ოღონდ არა ქართულ, არამედ „მთვის საკადრის ფარსულზე“ და, ვინ იცის, ისიც, არანაკლებ ნიზამი განჯელზე, შეასრულებდა ბრძანებას.

რომ არა საერო მწერლობის ასეთი ძლიერი პირველი პერიოდი (XII ს.), რომელიც ოქროს ხანადაა წოდებული ქართული ლიტერატურის ისტორიაში, საეჭვოა, იქნებოდა თუ არა მისი მეორე პერიოდი (XVI-XVIII სს.) – ცნობილი ვერცხლის ხანად, როცა ისეთი მძიმე იყო სპარსული ენისა და ლიტერატურის ზენოლა ქართულზე, რომ ქართველი პოეტი თეიმურაზ პირველი ამბობს: „სპარსული ენის სიტკბომან მასურვა მუსიკობანი“.

ეს კიდევ არაფერია მის მომდევნო ტაეპთან შედარებით: „მძიმეა ენა ქართველთა, არ ძალმდს მათებრ თხრობანი“ (თეიმურაზი 1975: 44).

ამ პოეტური სიტყვების ავტორი ხომ უკვე მერტალობით სპარსულია, რითაც ნათლად ჩანს თუ როგორ ეკიდა ბენვზე ამ დროს ქართული სალიტერატურო ენის ყოფნა-არყოფნის ბედი.

თანაც უნდა გვახსოვდეს, რომ XVIII-XIX საუკუნებში არა ერთი და ორი ეთნიკურად ქართველი პოეტის მხატვრული ქმნილება ამშვენებს სპარსულებრვან მწერლობას.

ამგვარად, რომ არა დავით ალმაშენებელი, XII საუკუნის და, არა მხოლოდ XII საუკუნის, საერო მწერლობა საქართველოში შეიძლება ყოფილიყო სპარსულებრვანი.

დამოცვებანი:

აბულაძე 1954: აბულაძე ი. „შაჰნამეს“ ქართული ვერსიების ნარმოშობისათვის. თსუ შრომები, ტ. 53. თბილისი: 1954.

ბარამიძე 1966: ბარამიძე ა. „საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარება“. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II. საქართველოს მცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი. თბილისი: 1966.

ბერძნიშვილი 1954: ბერძნიშვილი ნ. საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის. მნათობი, № 6. თბილისი: 1954.

გაბაშვილი 1957: გაბაშვილი ვ. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიდან. თბილისი: 1957.

გაბაშვილი 1980: გაბაშვილი ვ. „შუა საუკუნეების ახლოაღმოსავლური კულტურა“, „აღმოსავლური კულტურა“. თბილისი: 1980.

გაბაშვილი 2011: გაბაშვილი მ. სპარსულ-მუსლიმური კულტურა და მისი თავისებურებანი. ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილების შ. „კალამი“. თბილისი: 2011.

გვახარია 2001: გვახარია ა. ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიიდან. თბილისი: 2001.

გორგანელი 1962: გორგანელი ფახრ ედ-დინ. ვისრამიანი (ალ. გვახარიასა და მ. თოდეუას რედაქციით). თბილისი: 1962.

დარმსტეტერი 1985: დარმსტეტერი ჯ. სპარსული პოეზიის სათავეებთან (თარგმანი ფრანგულიდან ბ. ბრეგვაძისა). თბილისი: 1985.

თეიმურაზი 1975: თეიმურაზ პირველი. ქართული პოეზია თხუთმეტ ტომად. ტ. 3. თბილისი: 1975.

კეკელიძე 1945: კეკელიძე კ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. თბილისი: 1945.

კეკელიძე 1981: კეკელიძე კ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II. თბილისი: 1981.

კიპლინგი 1983: Kipling R. Poems. Short stories. Moscow: 1983.

მარი 1989: Mapp H. Возникновение и разцвет древне-грузинской светской литературы, ЖМНП, С-П. 1899.

მეიმანათი 1373: მეიმანათ მირზა სადეყი. პოეტური ტერმინების ლექსიკონი. თეირანი: 1373 (1994) (სპარსულ ენაზე).

რუსთველი 1966: რუსთველი შ. ვეფხისტყაონი. თბილისი: 1966.

ფალავა 2014: ფალავა კ. ნიზამი. თბილისი: 2014.

„ქართლის ცხოვრება“ 1942: „ანა ედოფლისეული ნუსხა“. ქართლის ცხოვრება (ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით). თბილისი: 1942.

ჯავახიშვილი 1965: ჯავახიშვილი ი. ქართველი ერის ისტორია. ტ. II. თბილისი: 1965.

ჯაფარიძე 1995: ჯაფარიძე გ. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. თბილისი: 1995.

ჰანტიგტონი 1993: Hantington S. P. *the Clash of Civilizations*. Foreign Affairs, summer, V 72 n.p.22 (28). 1993.

TINATIN BOLKVADZE

Georgia, Tbilisi

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Rustaveli in Nikolay Marr's Scientific Heritage

Nikolay Marr was first scholar who noticed that poetic parallelism is the base of the structure of stanza of the “Knight in Panther’s Skin”. He used poetic parallelism for the reconstruction of the damaged places of the poem.

Key words: N. Marr, Shota Rustaveli, Gradation, Enumaration, Repetition

თინათინ პოლქვაძე

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რუსთაველი ნიკო მარის სამეცნიერო მემკვიდრეობაში

თანამედროვე რუსთაველოლოგის ძირითადი მიმართულებები სამ ძირითად მიზანს ემსახურება:

1. ზოგადი იდეის კვლევა, რაც ამჟამად ნიშნავს პოემის ფაბულისა და სიუჟეტის, მისი მხატვრული სტრუქტურის სიმბოლურ და ალეგორიულ ინტრეპრეტაციას: „ვეფხისტყაოსნის“ ტროპიკის, გმირთა სახეების ფუნქციათა შესწავლას, პოემის მითოსური არქეტიპების ძიებას, მსოფლიო ლიტერატურის სხვადასხვა ძეგლებთან ტიპოლოგიური კავშირების დადგენას (გამსახურდია 1991: 5).

2. პოემის ენის კვლევა, რაც გულისხმობს: ა) ერთი მხრივ, „ვეფხისტყაოსნის“ ენის შესწავლას ქართული ენის ისტორიის თვალსაზრისით და ბ) მეორე მხრივ, რუსთაველის ენის პოეტურ თავისებურე-

ბათა კვლევას. ორივე შემთხვევაში, როგორც პრაღის ლინგვისტური სკოლის წარმოდგენილი ო. მუკარულესკი იტყოდა, საუბარია, ერთსა და იმავე საკითხზე მხოლოდ ერთმანეთისაგან განსხვავებული თვალ-საზრისით და პრობლემის სხვადასხვაგვარი გაშუქებით (მუკარულესკი 1967: 406). „ვეფხისტყაონი“ წამდვილად არის როგორც ქართული ენის დოკუმენტი, რომელიც აჩვენებს გარკვეული ეტაპს ქართული სალი-ტერატურო ენის განვითარების ისტორიაში. მაგრამ აუცილებელი და არანაკლებ მნიშვნელოვანია რუსთველის ენის პოეტურ თავისებურებათა კვლევა, რომელიც ატარებს ეპოქის ძეგლებს (დონდუა 1975: 255).

3. „ვეფხისტყაონის“ ენის კვლევა, როგორც ქართული სალიტერატურო ენის, ისე რუსთველისეული პოეტური თავისებურების გამოვლენის თვალსაზრისით, უმჭიდროეს კავშირშია **პოემის ტექსტის დადგენასთან**, რომელიც კვლავ რჩება რუსთველოლოგიის ძირითად პრობლემად. ნაწარმოების ტექსტს დადგენის მიზანია, საქმაოდ მივუახლოვდეთ იმ პოემას, რომელიც პოეტის ხელიდან გამოვიდა. სრული მიახლოება და ეჭვ-მიუტანლად ყველაფრის ისე აღდგენა, როგორც შოთას უნდა დაეწერა, მეტად ძნელია და თითქმის შეუძლებელიც, რადგან ჩვენამდე მოლწეული ხელნაწერები მე-17 საუკუნის იქით არ მიდის (შანიძე 1986: 94), რ. ერისთავი, ო. გოგებაშვილი და ო. მეუნარგია ალნიშნავდნენ: შვიდ საუკუნეში, რომელიც გასულია რუსთველის დროებიდან, „ვეფხისტყაონი“ ბევრი გადაწერ-გადმოწერით, ჩამატებით, გამოკლებით ისე შეცვლილა, რო გვგონია, რუსთველის გენიამ სამჯერ უარყოს პოემის ავტორობა, სანამ ერთი გამოცემა გაიყიდებოდეს (ერისთავი, გოგებაშვილი, მეუნარგია 1980: 5).

როგორც უკვე ითქვა, „ვეფხისტყაონის“ ენის კვლევა და პოემის ტექსტის დადგენა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, უფრო მეტიც, ისინი ერთმანეთს განაპირობებებნ. ო. გიგინეიშვილი წერდა: სანამ პოემის ტექსტის დადგენის საქმე მოგვარებული არაა, მანამ ენობრივი თვალსაზრისით პოემის სრულსა და ამომწურავ დაახასიათებას მრავალი სიძნეელე ელობება წინ. მეორე მხრივ, იმისათვის, რომ პოემის ტექსტის მეცნიერულად დადგენა მოხერხდეს, სრულიად აუცილებელია „ვეფხისტყაონის“ ენის ყველა ნიუანსის გათვალისწინება (გიგინეიშვილი 1975: 6).

ნიკო მარი რუსთველოლოგიის საკითხებით დიდად იყო დაინტერესებული. მან რუსულად თარგმნა „ვეფხისტყაონის“ პროლოგი და საინტერესო ნაშრომი დაურთო. ზოგჯერ მისი მოსაზრებები ძალიან წინააღმდეგობრივი იყო. იგი ხშირად თვითონვე უარყოფდა საკუთარ მოსაზრებას. მაგალითად, შოთა რუსთაველის პოემას თვლიდა მე-

ტეორად ქართული ლიტერატურის ისტორიაში, რადგან მისი აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ ბუნებრივად არ გამომდინარეობდა ქართული ლიტერატურის ისტორიის წინა პერიოდებიდან. მეცნიერი დიდი ხნის მანძილზე დარწმუნებული იყო, რომ პოემის შინაარსი საფუძველს იღებდა აღმოსავლური ფოლკლორიდან და აუცილებლად აღმოჩნდებოდა ის „ზღაპარი“, რომელიც რუსთაველმა ლექსად თარგმნა ქართულ ენაზე, თუმცა მოგვიანებით მან ორივე საკითხზე შეიცვალა აზრი.

- Mitsch 1974:** Mitsch, Ruthmarie Hamburge. *Monologue in the Tristan of Thomas*. Ph.D. diss., University of Florida, 1974.
- Perret 2003:** Perret, Michèle. *Le paradoxe du monologue*. Thélème. Revista Complutense de Estudios Franceses, número extraordinario, 2003, 139-159.
- Perret 2004:** Perret, Michèle. *Aux origines du roman, le monologue*. J. M. López-Muñoz et al. (eds). *Le discours rapporté dans tous ses états*. Paris : L’Harmattan, 2004, 214-221.
- Rayfield 1994:** Rayfield, Donald. *The Literature of Georgia: A History*. Oxford: Clarendon Press, 1994.
- Velinova 2012:** Velinova, Malinka. *Genre Interference behind the Uses of Medieval Monologue: Towards Hypothesising the Genre Hybridism of Shota Rustaveli’s The Man in the Panther’s Skin*. I. Ratiani (ed.). *Medieval Literary Processes. Europe, Asia, Georgia*. Vol. I. Tbilisi: Shota Rustaveli Institute of Georgian Literature Press, 2012, 159-169.

Corpus:

Georgian literature:

Roustavéli, Chota. *Le Chevalier à la peau de panthère*. Traduit par G. Bouatchidzé.

Moscou : Radouga, 1989.

Rustaveli, Shota. *The Man in the Panther's Skin*. Translated by M. S. Wardrop. New York: Routledge, 1912.

Visramiani. The Story of the Loves of Vis and Ramin. Translated from the Georgian version by O. Wardrop. London: Royal Asiatic Society, 1914.

French literature:

Chansons de geste:

end of the 12th century – *La Prise d'Orange*. Ed. C. Lachet. Paris : Champion, 2010.

beginning of the 13th century – *Ami et Amile*. Ed. P. F. Dembowski. Paris : Champion, 1987.

Verse romances:

c. 1170 – Chrétien de Troyes. Érec et Énide. Ed. J. M. Fritz. *Romans*, dir. M. Zink. Paris : LGF, 1994. (C. W. Carroll (Ed.): Chretien De Troyes. *Erec and Enide*. New York & London: Garland Library of Medieval Literature, 1987. Edited with a translation. On-line: <http://www.gutenberg.org/files/831/831-h/831-h.htm>.)

1172-1176 – Thomas, *Tristan*. Ed. F. Lecoy. Paris, Champion, 1991. Publié en ligne par la Base de français médiéval, <http://catalog.bfm-corpus.org/thomas>. Dernière révision le 2007-05-31.

1165-1200 – Béroul, *Tristan*. Ed. E. Muret & L. M. Defourques. Paris, Champion, 1947. Publié en ligne par l'ENS de Lyon dans la Base de français médiéval, dernière révision le 25-08-2011, <http://catalog.bfm-corpus.org/beroul>.

c. 1200-1202 – *L'Escoufle*. Roman d'aventure. Ed. H. Michelant & P. Meyer. Paris : Librairie de Firmin Didot et C^{ie}, 1894.

last third of the 13th century – *Floriant et Florete*. Ed. A. Combes & R. Trachsler. Paris : H. Champion, 2003.

Prose romance:

1200-1210 – *Merlin*. Roman en prose du XIII^e siècle. Ed. G. Paris & J. Ulrich. Tome I et II. Paris : Librairie de Firmin Didot et C^{ie}, 1886.

Chantefable:

13th century – *Aucassin et Nicolette*. Ed. Ph. Walter. Paris : Gallimard, 1999.

SABA METREVELI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

“The Knight in the Panther’s Skin” and Theatre

From our point of view, experiments of producing or staging “The Knight in the Panther’s Skin” is futile owing to the fact that its true essence and significance is expressed through its artistic words. The aesthetics and the outlook of the poem is defined by its literary nature. Therefore, watching its theatrical interpretations will always give us the feeling of insufficiency. If we want “The Knight in the Panther’s Skin” to be staged, we must take into consideration the fact, that the piece will not contain all chapters of the poem and besides, its language will become more prosaic.

Key words: Rustaveli; Theater.

საპა მეტრეველი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„ვეფხისტყაოსანი“ და თეატრალური ხელოვნება

„ვეფხისტყაოსანის“ სასცენო ხელოვნებასთან დაკავშირება დაწყებულა არა მისი ინსცენირებით, არამედ სხვათათვის მოსასმენად შესრულებით – ე.ნ. მხარტვრული კითხვით. ფიქრობენ, რომ რუსთაველის საქართველოში „ვეფხისტყაოსანი“ წამდერებითა და საკრავის თანხლებით იკითხებოდა. ქართული ოჯახი იყო ის კერა, რომელიც ამ შემთხვევაში სცენისა და თეატრის მაგივრობას სწევდა.

პლატონ იოსელიანის ცნობით, მეცე გიორგი მეცამეტე (გარდაიცვალა 1800 წ.) „ტქბილად აბოლოებდა შოთას ცრემლით ნათქვამთა“, იგი პირდაპირ მიუთითებს, რომ გიორგი მე-13 „ვეფხისტყაოსანს“ კითხულობდა „ძველთა დროთა ჩვეულებრივთა წესითა“, ანუ – წამდერებით (იოსელიანი 1936: 182).

მე-19 საუკუნემ ლექსის სასაუბრო ენის სისადავით შესრულებისკენ აიღო გეზი. ამ დროს გაჩნდა ლიტერატურული წრეები და სალონები, იმართებოდა საოჯახო და საჯარო ლიტერატურული საღამო-კონცერტები და დივერტისმენტები. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 30-იან

წლებში თბილისის პირველ გიმნაზიაში ჩამოყალიბდა ლიტერატურული წრე ს. დოდაშვილის ხელმძღვანელობით. მასში ირიცხებოდნენ: ნიკოლოზ ბარათაშვილი, მიხეილ თუმანიშვილი, პეტრე ბაგრატიონი... ლუკა ისარლიშვილი წერს: აქ „ჩვენ ვკითხულობდით „ვეფხისტყაოსანს“ (ბალახაშვილი 1940: 120).

1875 წლის 4 აპრილს თბილისის საზაფხულო თეატრში მოეწყო პირველი სალიტერატურო – მუსიკალური სალამო. სერგი მესხი წერდა: „დიმიტრი ყიფიანი ნამდვილი ოვაციით მიიღო საზოგადოებამ. რაც შეეხება შესრულებას, მას კარგად ნაუკითხავს, მაგრამ, საუბედუროდ, ისე დაბლი ხმით, რომ ზოგიერთებს არ გაუგონიათ“ (დროება 1875:), თუმცა არაა დასახელებული პოემის ის თავი, რომელსაც კითხულობდა.

შემდგომშიც „ვეფხისტყაოსანის“ ცნობილი საჯარო მკითხველები ქართველი მწერლები არიან:

1. გრიგოლ დადიანი (კოლხიდელი) – კითხულობდა დინჯად, აუჩქარებდად, მკაფიოდ, ხმას არ აუწევდა, ხელებს არ იქნევდა და მკერდს არ იცემდა. იონა მეუნარგიას შეფასებით: „თითოეული მისი მოძრაობა იყო მოხდენილი და იშვიათი. ჩვენში „ვეფხისტყაოსანს“ ღილინებდნენ და არ კითხულობდნენ... ახალმა დრომ კითხვა დაუწყო „ვეფხისტყაოსანს“, მაგრამ გალობის ტონი ჯერ კიდე არ გამონელებია“ (მეუნარგია 1941: 333);

2. მამია გურიელი – მისი სიტყვა რაღაც პირის სიღრმეში იბადებოდა – ამბობს იონა მეუნარგია – მის კითხვაში კაცი ვერც ჩვეულებრივ ქართულ მონოტონურ ღილინს გაიგონებდა, ვერც ევროპულ გავარდნილ დეკლამაციას (მეუნარგია 1944: 97);

3. დავით ერისთავი – უყვარდა დაძაბული, დრამატული მომენტები – ეს კითხვა კი არა, თამაშიაო. ისიც სადად კითხულობდა „ვეფხისტყაოსანს“ (მეუნარგია 1944: 100);

4. აკაკი წერეთელი – საუკეთესო მკითხველი იყო. 1881 წლის 13 თებერვალს ვეფხისტყაოსანის „ტექსტის დამდგენი კომისიის მეორე სხდომაზე ის და ილია მონაცემებით კითხულობდნენ „ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“ (დაწვრილებითი ცნობები ამ კითხვის შესახებ არ მოიპოვება);

5. ივანე მაჩაბელი – კომისიის მერვე სხდომაზე ისე კარგად ნაიკითხავს ადგილებს, რომ შემდეგ თითქმის სულ მას აკითხებდნენ;

6. ილია – „ვეფხისტყაოსანის“ ტექსტის დამდგენ კომისიაში რუსთაველის პოემა მთლიანად ნაუკითხავთ 1881 წლის თებერვლიდან თითქმის ერთი წლის განმავლობაში. თავმჯდომარეობდა გრიგოლ

ორბელიანი. სავსე დარბაზის თანდასწრებით, სინათლის შუქით განათებული რუსთაველის პორტრეტის ქვეშ (მხატვარ მირიანაშვილის მიერ შესრულებული) 13 თებერვალს ილას წაუკითხავს „ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“. აღტაცებული იონა მეუნარგია წერდა: „ილია ჭავჭავაძე, რომელიც ამ საღამოს კითხულობდა „ვეფხისტყაოსანს“, საზოგადოდ, კარგი მკითხველია. იმას მშვენიერი ხმა აქვს, მშვენიერი გამოთქმა, ჩინებული კილო, მის კითხვაში ნამდვილი ქართული სიმების ჟღერა ისმის, მაგრამ თვითონ კითხვაში კი იმას ხელოვნება აკლია. რაღაც გამოუთქმელ სიამოვნებას ვპოვებ მე ჭავჭავაძის კითხვაში, როდესაც ის თავისი ხმის სასიამოვნო ტემბრით შემოსძახებს:

„მაგას ნუ ბრძანებ, მეფეო, ჯერ ვარდი არ დაგჭენობია“.

რაღაც დიდებული, რაღაც გრძნობისთვის სასიამოვნო რამ ისმის ამ ხმაში, ამ ერის გულიდამ გამოსულ სიტყვების გამეორებაში, მაგრამ რა გინდა, რომ სულ გუნებით კილოთ, ამ გულის ხმას მისდევს ბატონი ილია და ყველა ადგილებს ერთი და იგივე გვარად ამბობს“ (დროება 1881, 36:).

ცოცხალ სურათებად დადგმული „ვეფხისტყაოსანი“ ათვლას 1881 წლიდან იწყებს. პირველი ბეჭდური ცნობაც ამ დროიდან მოგვეპოვება და უკავშირდება პოემის იმ ეპიზოდს, რომლის მიხედვითაც ტარიელი მიჯნურთან შესახვედრად კოშკში მიჰყავს ასმათს. წარმოუდგენიათ სამი სურათი, აქედან მესამე – „ვეფხისტყაოსანისა“. ზოგიერთი მოსაზრებით, ცოცხალ სურათებად დადგმული „ვეფხისტყაოსანი“ მ. ბებუთოვს ეკუთვნოდა, ბ. გორდეზიანის აზრით, კი – მიხეილ ზიჩის, თუმცა უნდა ითქვას, რომ 1881 წელს „დროებაში“ (220, 21 ოქტომბერი) დაიბეჭდა ინფორმაცია საქართველოში ზიჩის მოგზაურობის მიზანთან დაკავშირებით, რომ მან უნდა „შეისწავლოს ჩვენი (ქართველების) ტიპები და დახატოს რუსი პოეტის ლერმონტვის პოემის „დემონის“ სურათებისათვის“... ამ ცნობასთან ერთად, იქვე გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ „დღევანდელ ქართულ წარმოდგენაზე, სხვათა შორის, გამართულ იქნება ერთი ცოცხალი სურათი „ვეფხისტყაოსანიდან“, ის სურათი, როდესაც ასმათი კოშკში მიიყვანს ტარიელს ნესტანდარეჯანთან“ (დროება: იქვე). ამდენად, ცოცხალ სურათებად წარმოდგენილი ეს ეპიზოდი „ვეფხისტყაოსანისა“ რომ მიხეილ ზიჩის დადგმული ყოფილიყო, კორესპონდეციის ავტორი ამას აუცილებლად მიუთითებდა. გაზეთმა „დროებამ“ დაიწუნა ნამუშევარი: „სურათი „ვე-

ფხისტყაოსნიდან“ ისე მოხერხებულად არ გვეჩვენა, როგორც საგანს ეკადრებოდა“ (დროება, 228, 1881:).

1882 წ. 6 თებერვალს თბილისის საზაფხულო თეატრში მ. ზიჩიმ წარმოადგინა საილუსტრაციოდ შერჩეული ეპიზოდები ცოცხალი სურათების სახით. იგივე გაზეთი „დროება“ წერდა: „ზიჩიმ დაგვანახვა ჩვენ სცენიდან ცოცხლად რუსთაველის გმირნი და გადმოგვცა მთელი შინაარსი „ვეფხისტყაოსანისა“ (დროება 1882, 27:). სწორედ მ. ზიჩის ხელმძღვანელობითა და ბარბალე ბარათაშვილის თაოსნობით ჩვენეს სულ 10 სურათი, რომლებშიც 100-ზე მეტი მონაწილე ყოფილა დაკავებული. ჩვენებისათვის გაკეთდა დეკორაციები, შეიკერა ძვირფასი ტანისამოსი. ეპიზოდები მხატვარმა ასე შეარჩია:

1. როსტევან არაბეთის მეფისაგან დაგვირგვინება თინათინისა;
2. მეჯლისი ფარსადან მეფესთან;
3. ნესტან-დარეჯან თავის ოთახში ზის, ასმათს ტარიელი შემოჰყავს;
4. დავარი ზანგებს აძლევს თავის ძმისნულს ზღვაში ჩასაგდებად;
5. ნადირობა და აღმოჩენა ტარიელისა;
6. გაცნობა ტარიელისა და ავთანდილისა გამოქვაბულში, აქვე ასმათი;
7. ფატმანის კაცებისაგან დახნასა ნესტან-დარეჯანისა;
8. წარდგენა ნესტან-დარეჯანისა გულანშაროს მეფის მელიქ-სურხავის წინაშე;
9. ქაჯეთის ციხის აღება და ნესტან-დარეჯანის განთავისუფლება;
10. მეფე მელიქ სურხავთან ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის დაქორწინება.

ეს თანმიმდევრობა (გარდა უკანასკნელისა – ზიჩის ჩანახატებში პოემის მთავარ წყვილთა ქორწილია და არა მხოლოდ ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა) სრულად მეთხვევა მ. ქვლივიძის მიერ გამოქვეყნებულ ზიჩისეული ილუსტრაციების ყველაზე ადრინდელ მცდელობებს (ქვლივიძე 1960:). ამ ჩამონათვალით აშკარაა, რომ „ზიჩის მიერ ცოცხალი სურათებისათვის შერჩეული იყო დინამიკური, ქმედითი ეპიზოდები (შეხვედრა, გატაცება, აღმოჩენა, დახსნა, გათავისუფლება), აგრეთვე ისეთები, რომლებშიც სანახაობის ჩვენება იყო შესაძლებელი (დაგვირგვინება, მეჯლისი, ქორწილი). ყველა ერთად კი შეადგენდა ერთი მთლიანი წარმოდგენის ნაწილებს. მას ჰქონდა დასაწყისი და დასასრული“ (ურუშაძე 1967: 56). მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ პოემიდან შერჩეულ სურათს ახლდა შესაბამისი ტექსტი, რომელსაც თურმე რომელიმე მსახიობი კითხულობდა სცენის უკან (გორდეზიანი

1960: 37). ზიჩის გარდა, წარმოდგენის გაფორმებაში მონაწილეობდნენ: მხატვარი ფილიპოვიჩი, მოქანდაკე ფ. ხოდოროვიჩი, მხატვარ-პორტრეტისტი კოლჩინი და ერთი დეკორატორი – ჯუსტიჩი.

ზიჩისეული მონტაჟი 1882 წელს 6-ჯერ დაიდგა: 4-ჯერ თბილისში, 2-ჯერ ქუთაისში. ზიჩის საქართველოდან წასვლის შემდეგ „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალ სურათებად დადგმა, თბილისისა და ქუთაისის გარდა, გახშირებულა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (ოზურგეთი, ქვიშეთი, გორი, ჩოხატაური, ხაშური, ზუგდიდი). გაზეთ „ივერიის“ ცნობით, „ტფილისში დადგმებს ატარებდნენ მხატვრები ფილიპოვიჩი და კოლჩინი“ (ივერია 1897, 253:). საქართველოს გარდა „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათები დაიდგა პეტერბურგში, მოსკოვში, იურიევში, ხარკოვში, ვლადიკავკაზში, ლაიფციგსა და ბრიუსელში (დაწვრილებით იხ. ჯანელიძე 1937: 63; ურუშაძე 1967: 69-83).

1883 წელს აღ. ყაზბეგის ხელმძღვანელობით გაუმართავთ საღამო, რომლის პირველი განყოფილება იყო სწორედ ცოცხალი სურათები „ვეფხისტყაოსნიდან“ (დროება 1883, 44:), თუმცა არც მონაწილენი და არც სურათების შინაარის მითითებული არ არის.

„ვეფხისტყაოსნის“ ინსცენირების ცდები:

- გოდერძი ფირალიშვილი, 5-მოქმედებიანი ტრაგედია „მემკვიდრე ინდოეთისა, ინდოეთის ტახტის მემკვიდრე და სიყვარული სამშობლოსადმი“, დაწერილია რუსულად 1805 წელს. პიესის ტექსტი დაკარგულია, მაგრამ მოხსენიებულია ოქროპირ ბაგრატიონის მიერ პიესად გადაკეთებული „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობაში. იქ ძირითადი ნესტანისა და ტარიელის ამბავია. ვ. კიკნაძის ცნობით, მასვე ეკუთვნის 5-მოქმედებიანი ტრაგედია „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ფირალიშვილს საგარეო საქმეთა მინისტრ რუმანცევისთვის უწვენებია, მაგრამ პიესა დაუწეუნებიათ კლასიცისტური კახონების დარღვევის გამო (კიკნაძე 1983: 22). გოდერძი ფირალიშვილი მეფე ერეკლეს მდივანი ყოფილა, ხოლო იმ პერიოდში, როცა „ვეფხისტყაოსნის“ ინსცენირებას აკეთებდა, მსახურობდა პეტერბურგის „ინოსტრანნი კოლეგიაში“ (ნაქაძე 2003: 346);

- 1853 წელს მოსკოვში გამოიცა ოქროპირ ბაგრატიონის 5-მოქმედებიანი ტრაგედია „ვეფხისტყაოსანი“. დადგმის შესახებ ცნობები არ მოიპოვება. მისივე თქმით, იდეა „ვეფხისტყაოსნის“ წარმოდგენისა გიორგი ერისთავს დაებადა;

• გიორგი ერისთავმა პიესად გადააკეთა „ვეფხისტყაოსანი“ (5 მოქმედებად), რომელიც დაიწყო ნესტანისა და ტარიელის შეხვედრით. მას სურდა ეჩვენებინა ცოცხალი ამბავი, რომელიც ახლა მიმდინარეობს;

• გაზეთ „ივერიის“ ცნობით, ქართული თეატრის რეჟისორის თანაშემწეს ა. თამაზაშვილს დაუწერია „ვეფხისტყაოსანი“, დრამა 5 მოქმედებად და 7 სურათად (ივერია № 103, 1895). ეს პიესა დაკარგულად ითვლებოდა, თუმცა 6. ურუშაძე მას მიიჩნევს ოქრ. ბაგრატიონის პიესის პროზაულ ვარიანტად, რომლის ენა მდარეა და ზედმეტად გაუძრალობული (ურუშაძე 1967: 140);

• 1912 წლის 24 თებერვალს ქუთაისის თეატრის მსახიობ ვ. ბარველს დაუწერია „ვეფხისტყაოსანი“ ინსცენირება 6 მოქმედებად, რომელიც თავადვე დაუდგამს („სახალხო გაზეთი“ 1912, № 538);

• ერთი ვერსიით, ივანე მაჩაბელს რუს კომპოზიტორ მ. იპოლიტოვ-ივანოვის თხოვნით დაუწერია ლიბრეტო ოპერა „ვეფხისტყაოსნისათვის“ (მაჩაბელი 2009:), თუმცა სხვაგვარ ცნობას გვანვდის 1966 წლის „საბჭოთა ხელოვნებაში“ (№10) გამოქვეყნებულ წერილში მ. ყვარელაშვილი. პუბლიკაციას პქვია „ვეფხისტყაოსნის“ პირველი საოპერო ლიბრეტო“, რომელიც ეხება იპოლიტოვ-ივანოვის „ნესტანდარეჯანს“. მასში ლიბრეტოს ავტორად სწორედ კომპოზიტორია დასახელებული. ასევე, ტატიანა ბროსლავსკაია მოგვიანებით განმარტავს: „მ. იპოლიტოვ-ივანოვმა 1885 წელს ჩაიფიქრა, უკვდავი პოემის მიხედვით შეექმნა თპერა. ს. სავანელმა მიუთითა პოემის მთელრიგ ნაწყვეტებზე (თარგმანი მაჩაბელმა), რის საფუძველზეც კომპოზიტორმა თვითონ დაწერა მომავალი ოპერის ლიბრეტო, მაგრამ ეს ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა“... გავიდა თითქმის 40 წელი და კომპოზიტორი კვლავ მიუბრუნდა ამ თემას, დაწერა ახალი ლიბრეტო. როგორც ცნობილია, 1924 წელს მან დაასრულა მუშაობა 4-მოქმედებიან ოპერაზე „ნესტან-დარეჯანი“, „მაგრამ იგი არ გამოქვეყნებულა და არც შესრულებულა. დღემდე არ არის დადგენილი, თუ სად ინახება ამ ოპერის ხელნაწერი“ (ბროსლავსკაია 1977: 68).

• 1901 წელს პეტერბურგში გამოიცა რ. მყინვარის ლიტერატურულ-სცენური კომპოზიცია „ვეფხისტყაოსნისა“ 16 სურათად, აპოთეოზით. მისი ეს ვარიანტი არის პოემის თეატრალურ ტექსტად ქცევის სერიოზული მცდელობა. იგი ემიჯნება ოქროპირ ბატონიშვილის ინსცენირების პრინციპებს („რუსთველს შესდგომოდა, ვინაიდან რუსთაველი უკეთესად მოუთხრობს“) და ცდილობს, პოემა ქმედით სიტყვად აქციოს და მეტი დინამიკა შეიტანოს პიესაში;

- 1909 წელს პ. მირიანაშვილმა დაწერა პიესა „ვეფხისტყაოსანი“, ამ მოვლენას უურნალი „ფასკუნჯი“ გამოხემაურა: „პ. მირიანაშვილს „ვეფხისტყაოსანი“ გადაუკეთებია სასცენოდ... პიესა შეიცავს 11 სურათს, დასადგამად არ წარმოადგენს ტექნიკურ სიძნელეს, უეჭველია, თუ დადგმული იქნება ჯეროვანის ყურადღებით, დიდს შთაბეჭდილებას მოახდენს საზოგადოებაზე“ (ფასკუნჯი“, № 9, 1909). პიესა არ დადგმულა, მოგვიანებით, 1923 წ. ლიბრეტოდ გამოიყენა ლეო ფალიაშვილმა თავისი 4-მოქმედებიანი ოპერა „ნესტანი და ტარიელისათვის“;

- 1923 წელს კოტე მარჯანიშვილმა გადაწყვიტა „ვეფხისტყაოსნის“ სასცენო ვარიანტის შექმნა, თუმცა მანამდეც არაერთხელ განუცხადებია, რომ ოცნებობდა მის დადგმაზე. რეჟისორმა 1923 წლის 17 ივლისს საჯაროდ წაიკითხა მოხსენება მომავალი წლის რეპერტუარის შესახებ და ვრცლად ისაუბრა „ვეფხისტყაოსნის“ დადგმის თაობაზე, საგანგებო კომისიაც (კ. ანდრონიკაშვილი, მ. ქორელი, ა. ფალავა, დ. ანთაძე, ა. გველესიანი) კი აურჩევია პოემის სცენისთვის გადასაკეთებლად (ცრცელი წერილი გამოქვეყნდა „რუბიკოში“, №12, 1923). დაიწყო მუშაობა. რეპეტიციების დღიურების მიხედვით, მას დაუშვებლად მიაჩინდა ტექსტის ოდნავი შეცვლაც კი. მისი ჩანაფიქრით, გმირთა ცხოვრება ქართული ორნამენტით მოჩუქურთმებულ ტრიპტიხში უნდა გაშლილიყო... სამწუხაროდ, რეჟისორის ეს სურვილი ვერ განხორციელდა, არადა, გამოხმაურება იმთავითვე დიდი იყო: „ქართულ სიტყვაში“ დაიბეჭდა ჯერ ცნობა, რომ მარჯანიშვილის რეჟისორობით მზადდება სპექტაკლი „ვეფხისტყაოსანი“ (ქართული სიტყვა, 2 დეკემბერი, 1923), მოგვიანებით ქვეყნდება წერილი პ. მირიანაშვილისა, რომელიც გაზეთში კამათის გამართვას ითხოვს იმის გამო, რომ პოემა კაცობრიობის საუნჯედაა გადაქცეული „და არა მით, ვითომ იქ გამოყვანილი ქვეყნები საქართველო და ქართველი ხალხი იყოს“ (ქართული სიტყვა, 12, 3 თებერვალი, 1924);

- 1937 წელს „ვეფხისტყაოსანის“ 750-ე წლისთავის საიუბილეოდ პოემა გაასცენიურა აკაკი ფალავამ (5 მოქმედებად), ინსცენირება დრამატურგთა სექციაში რუსთველოლოგთა მონაწილეობით განიხილეს და მოინონეს, განსახორციელებლად გადასცეს რუსთაველის თეატრს, თუმცა სცენაზე არ დადგმულა (დაწვრილებით იხ. ბარამიძე 1966: 16-17);

- იყო მცდელობა მარჯანიშვილის თეატრში გ. უურულის, მუშაახალგაზრდობის თეატრში კი შ. ადეიშვილის ინსცენირებათა დადგმისა, მაგრამ ჩანაფიქრი ვერც ამჯერად განხორციელდა.

• 1947 წელს მონტე-კარლოში, ხოლო მოგვიანებით პარიზის გრანდ-ოპერაში „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტზე ფრანგმა ბალეტმა-ისტერმა სერჟ ლიფარმა საკუთარი ბალეტისთვის დაწერა ლიბრეტო; ცოტა ხანში არტურ ონეგერმა დამოუკიდებლად შექმნა ბალეტი, რომელსაც საფუძვლად დაუდო „ვეფხისტყაოსნის“ მოტივები.

1946 წელს დაწერა შალვა მშველიძის 4-მოქმედებიანი ოპერა „ამ-ბავი ტარიელისა“, რომლის ლიბრეტო ა. ფალავას ეკუთვნის (ორჯონივიძე 1966: 17-28);

შოთა რუსთაველისა და მისი პოემის ირგვლივ შექმნილია: 5 ოპერა, 2 ბალეტი, 2 ორატორია, ერთი კანტატა, ერთი ინსტრუმენტული კონცერტი, ორი საგუნდო, ერთი სიმღონიური და ერთიც ქორეოგრაფიული პოემა; ასევე – გუნდები, სიმღერები, ქორალები, ფრესკები, ოდები, საერო პარტიები, ქართული ხალხური სიმღერები და მათი დამუშავებანი (იხ.: ფიჩხაძე 1966: ლონდარიძე 2006:)

პროფესიულ მუსიკაში რუსთაველის თემა პირველებმა შემოიტანეს ნიკო სულხანიშვილმა, დიმიტრი არაყიშვილმა, ზაქარია ფალიაშვილმა, ანდრია ყარაშვილმა და ლევან ფალიაშვილმა. მათ თითქმის ერთსა და იმავე პერიოდში შექმნეს სხვადასხვა ჟანრისა და ფორმის ოპუსები, თანაც როგორც რუსთაველისადმი მიძღვნილი, ისე მისი პოემის მიხედვით. „დღეისათვის საოპერო ჟანრში შექმნილია 5 ნიმუში: დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ (1919 წ.), ა. ყარაშვილის „ვეფხისტყაოსანი“ (1924 წ.), ლევან ფალიაშვილის „ვეფხისტყაოსანი“ (1925 წ.), შალვა მშველიძის „ამბავი ტარიელისა“ (1946 წ.), დიმიტრი არაყიშვილის ოპერა „ნესტანი“. ანდრია ყარაშვილის ოპერა დაუმთავრებელია, ლ. ფალიაშვილისა მხოლოდ საკონცერტო შესრულებით იქნა წარმოდგენილი; ასევე არ დადგმულა „ნესტანი“. სცენური განხორციელება პოვა მხოლოდ არაყიშვილის ლირიკულმა ოპერამ – „თქმულება შოთა რუსთაველზე“ და მშველიძის ეპიკურ-ჰეროიკულმა ოპერამ – „ამბავი ტარიელისა“ (ლონდარიძე 2006:).

„ვეფხისტყაოსანი“ შეიქრა საბალეტო თეატრშიც (ვრცლად იხ. წულუკიძე 1985: 66-76), თავდაპირველად ვანო გოკიელის ქორეოგრაფიულ პოემაში „ვეფხისტყაოსანი“ (1933 წ.). როგორც უკვე ვთქვით, 1947 წელს მონტე-კარლოში, ხოლო მოგვიანებით პარიზის გრანდ-ოპერაში „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტზე ფრანგმა ბალეტმაისტერმა სერჟ ლიფარმა დადგა 5-მოქმედებიანი ბალეტი „შოთა რუსთაველი“; ცოტა ხანში არტურ ონეგერმა დამოუკიდებლად შექმნა ბალეტი, რომელსაც საფუძვლად დაუდო „ვეფხისტყაოსნის“ მოტივები. რაც შეეხება ალექ-

სი მაჭავარიანის ბალეტ „ვეფხისტყაოსანს“, იგი 1985 წელს წარმატებით დაიდგა პეტერბურგის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თატრის სცენაზე (დამდგმელი დირიჟორი – კომპოზიტორის ვაჟი ვახტანგ მაჭავარიანი, ქორეოგრაფი და ლიბრეტის ავტორი ოლეგ ვინოგრადოვი).

„ვეფხისტყაოსანის“ სცენისთვის მორგების ცდები:

- ქართულ სცენაზე 1895 წლის 21 მაისს პირველად დაინიშნა ა. თამაზაშვილის მიერ ინსცენირებული „ვეფხისტყაოსანის“ პრემიო-ერა. აფიშა გვაუჩენებდა: „პირველად ახალი პიესა ვეფხისტყაოსანი. დრამა 5 მოქმედ. და 7 სურ. შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანიდან, სასცენოდ პროზად გადაკეთებული. ტარიელის როლს შეასრულებს ს. პ. სვიმონიძე, ნესტან-დარეჯანის როლს შეასრულებს ვ. ნ. მელიქშვილისა“. საოცარი ისაა, რომ თბილისური პრემიერის შესახებ გაზეთში ინფორმაციაც კი არ განთავსდა. ამის შემდეგ იგივე პიესა ქუთაისშიც ჩაუტანიათ, მაგრამ სპექტაკლი იქაური მსახიობების მონაწილეობით ძალიან მდარე მხატვრული ხარისხისა ყოფილა და საზოგადოების სრული აღშფოთებაც გამოუწვევია (დაწვრილებითიხ. ჯანელიძე 1937: 68).
• 1912 წლის 24 თებერვალს ქუთაისის თეატრში მსახიობ ვ. ბარველს თავადვე დაუდგამს „ვეფხისტყაოსანი“ 6 მოქმედებად მის მიერვე სასცენოდვე გადმოკეთებული. ამის შესახებ „სახალხო გაზეთი“ (1912, 538) აღშფოთებით წერდა, რომ საზოგადოებამ უნდა დაგმოს და ალაგმოს ბარველისნაირ „მადააშლილ პირთა ამგვარი თავხედური საქციელი“;
• 1952 წლის 12 მაისს შ. ადეიშვილმა სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში წარმოადგინა 5 დრამატული სცენა „ვეფხისტყაოსანიდან“ (ადეიშვილი 1966:);
• 1960 წელს კრაკოვის პოეტურმა თეატრმა (პოლონეთი) მოაწყო „ვეფხისტყაოსანის“ ლიტერატურულ-თეატრალური კითხვა (პოემა თარგმნა ეჟი ზაგურსკიმ, ინსცენირების ავტორი იყო თავად რეჟისორი – მტისლავ კოტლიარჩოკი, მხატვარი – მარიამ ტარლიცკი, მუსიკალურად გააფორმა ანატოლი ზარუბიანიმ, ცეკვები დადგა ზბიგ-ნეკ პენკოვსკიმ (თეატრალური თბილისი 1960: 50);
• 1966 წლის 27 სექტემბერს, რუსთაველის დიდ იუბილესთან დაკავშირებით, „ვეფხისტყაოსანის“ პრემიერა გაიმართა შოთა რუსთაველის თეატრში. კომპოზიციის ავტორი იყო რევაზ ებრალიძე;

დამდგმელები: გ. გეგეჭკორი, ბ. კობახიძე, გ. უორდანია, რ. სტურუა, ნ. ხატისკაცი და გ. ქავთარაძე. რეჟისორთა ერთობლივ ნამუშევარს საბოლოო სახე მისცეს არჩილ ჩხარტიშვილმა და მიხეილ თუმანიშვილმა; მხატვარი ო. ლითანიშვილი, ქორეოგრაფი ო. ზარეცკი. მაყურებელმა უკვე აფიშიდანვე იცოდა, რომ სპექტაკლს კი არა, ლიტერატურულ-დრამატულ კომპოზიციას ნახავდა. ამიტომაც წერდა გ. ბარამიძე: „რუსთაველის თეატრის მიერ წაკითხულ „ვეფხისტყაოსანს“ არა აქვს პრეტენზიები, სპექტაკლად იწოდებოდეს“ (ბარამიძე 1967: 18). კომპოზიციის ავტორს ინსცენირებაში შემოჰყავდა მთხოვნელი და ანტიკური ქორო. ეს იყო მხატვრული კითხვა დადგმული მიზანსცერებით. მონაწილეობდნენ: სერგო ზაქარიაძე, ზინაიდა კვერენჩილაძე, სალომე ყანჩელი, მედეა ჩახავა, გურამ სალარაძე, ეროსი მანჯგალაძე, ბუხუტი ზაქარიაძე, კოტე მახარაძე, იზა გიგოშვილი, ბელა მირიან-აშ-ვილი, ნუგზარ ჯულელი, ჯემალ მონიავა, ედიშერ მაღალაშვილი, ლეილა ძიგრაშვილი, დავით პაპუაშვილი, მერაბ თავაძე, გია მატარაძე, გოგი ხარაბაძე...

- ამავე პერიოდში ბათუმის თეატრმა გონიოს ძველ გალავანზე ღია ცის ქვეშ დადგა ფრიდონ ხალვაშის „რუსთაველი“; ონის სახალხო თეატრმა – დ. კასრაძის „ლეგენდა რიუსთაველზე“; თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში დაიდგა ო. ვაკელის პიესა „რუსთაველი“, რომელიც ცოტა ადრე ტყიბულის თეატრმა განახორციელა.

- 2003 წლის 15 თებერვალის გაზეთ „24 საათში“ დაიბეჭდა ინტერვიუ რობერტ სტურუასთან, რეჟისორმა საზოგადოებას აუწყა, რომ იწყებდა „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობას. ინტერვიუ სკანდალური აღმოჩნდა, თუმცა რეჟისორის სურვილი თუ მცდელობა ამაო აღმოჩნდა, სპექტაკლი ვერ დაიდგა. 2014 წელს ისევ პკითხეს სპექტაკლის შესახებ და პასუხი ასეთი იყო: „ვეფხისტყაოსანზე“ ლაპარაკი მრცხვენია. დიდი ფული არ მჭირდება, 300 ათასი მეყოფა. შემიძლია, დავდგა სპექტაკლი ღარიბი თეატრის სტილისატყიკაში, მაგრამ თუნდაც ერთი სცენა, თინათინის გამეფება ხომ უნდა იყოს ისე დადგმული, რომ მიხვდე, ეს ქვეყანა ძლიერი და მდიდარია... ასეთი სიმდიდრე გაქვს და მხოლოდ წიგნად არ უნდა დარჩეს“ („რეიტინგი“, 18.09. 2014).

2016 წლის ივლისში ისევ გავრცელდა ინფორმაცია, რომ რ. სტურუა რუსთაველის თეატრში „ვეფხისტყაოსანს“ დგამს (თაომსი 2016:). თუმცა ამჯერადაც ამაოდ.

ბოლოდროინდელმა რუსთველოლოგიურმა კვლევებმა დაადასტურა კიდევ ერთი სიახლე: „ვეფხისტყაოსანი“ სიუჟეტურ წყაროდაა

გამოყენებული დიდი ინგლისურ დრამატურგიაში და ეს ჩანს უილიამ შექსპირის („ციმბელინი“), ფრანსის ბომონტისა და ჯონ ფლეტჩერის პიესებში („ფილასტერი“; „მეფე და არა მეფე“), რომლებიც თითქმის ერთდღოულად შეიქმნა მე-17 საუკუნის პირველ ათწლეულში და უაღრესად პოპულარული იყო ინგლისის თეატრალურ სცენაზე მე-17-19 საუკუნეებში (ვრცლად იხ. ხინთიბიძე 2008: ხინთიბიძე 2014: 110-122).

ჩვენი აზრით, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ დადგმის ექსპერიმენტები უშედეგოა, რადგან პოემის არსიც და მნიშვნელობაც, უპირველესად, მხატვრულ სიტყვაშია გამოხატული. რა თქმა უნდა, მცდელობები „ვეფხისტყაოსნის“ გასცენიურებისა და დადგმისა წარუმატებელი იმიტომ კი არ არის, რომ თავად პოემას აკლია დრამატიზმი, კოლიზიები, მკვეთრი ხასიათები, ცოცხალი დიალოგები, მონოლოგები, ქვეტექსტები თუ მოულოდნელობები... მაგრამ, „დრამატურგიული ხერხების სიმრავლე და მაღალხარისხოვნება, რა თქმა უნდა, პიესად არ აქცევს „ვეფხისტყაოსანს“. პოემაში მათი არსებობა მხოლოდ იმის საბუთია, რომ გენიოსი რუსთაველი, სხვა ლირსებებთან ერთად, სინამდგილის დრამატურგიული ხედვის იშვიათი ტალანტითაც იყო დაჯილდოებული“ (ურუშაძე 1967: 214). „ვეფხისტყაოსნის“ კულტურულ-სააზროვნო სივრცე, მისი ექსპრესიული და ემოციური ინფორმაციული კოდი (ასე აუცილებელი პიესად ქცევისათვის) მანც პოეტიკურ ნაკადებში მიედინება, სიტყვის სიღრმითა და პლასტიკით, გნებავთ, ორნამენტით, ამიტომ, ჩვენი ღრმა რწმენით, მისი სიდიადე იჩრდილება ინსცენირებით, ანუ სხვა სივრცეში გადატანით (ჯერ პოეტურიდან პროზაულ ენაზე და შემდევ თეატრალურ ტექსტად ქცევით). ტრანსფორმაცია ბუნებრივად ნიშნავს რეცეფციასაც. თანაც „სიბრტყეზე არსებული სიტყვის ტრანსფორმაცია სივრცობრვ განზომილებაში“ (არველაძე 2013: 42) ანუ ერთი მოცემულობიდან მერე სტრუქტურაში მისი გადატანა (ინტერპრეტაციის პრობლემა) ქმნის იმის საშიშროებას, რომ რუსთაველის სიტყვაში გაცოცხლებული იდეაც, დროც, ღირებულებათა სისტემაც, პოეტიკისა და მხტვრული რიტორიკის თვალსაზრისით, მონტაჟირებას დაექვემდებარება. ინსცენირება, ფაქტობრივად, ახალი ნაწარმოების შეთხვას გულისხმობს. ისიც აქსიომაა, რომ ვერც ერთი ინსცენირება ვერ დადგება პირველწყაროს სიმაღლეზე. თუ მაინც გვსურს, „ვეფხისტყაოსანი“ ვიხილოთ სცენაზე, მაშინ აპრიორულად უნდა შევეგუროთ იმასაც, რომ მოხდება პირველწყაროს გადაკეთება: კლებაიცა და მატებაიცა, დადგება პოემის მოვლენათა რიგის შეცვლის აუცილებლობაც, რადგან ასეთია სანახაობითი

კულტურის კანონი – სცენის ენაზე გადატანა, ტექსტის გაცოცხლება მოქმედებით. გარდა ამისა, „ესა თუ ის ნაწარმოები იმიტომ იბადება ან რომანად, ან ლექსად, ან პიესად, რომ მას სხვა სახით და სხვა უანრით დაბადება არ შეძლო. ე.ი. ინსცენირებით ხშირად ირღვევა უანრების თავისთავადობისა და შეუცვლელების კანონი“ (ბაქრაძე 1965: 84).

„ვეფხისტყაოსნის“ ჯერ ინსცენირება და მერე მისი თეატრალურ ტექსტიდ ქცევა დიდი რისკის შემცველია, რადგან იქ, სადაც რუსთაველის სიტყვა ხმიანებს (თავად მხატვრულ ტექსტში), სხვა სიტყვის (ანუ ინსცენირების, მეორე სიტყვის) ადგილი აღარ რჩება!

დამოცვებანი:

ადეიშვილი 1966: ადეიშვილი შ. „ვეფხისტყაოსნის“ გასცენიურებანი. საბჭოთა ხელოვნება, №10, თბილისი: 1966.

არველაძე 2013: არველაძე ნ. თეატრმცოდნეობის საფუძლები. თბილისი: „მერიდიანი“, 2013.

ბაგრატონი 1960: ბაგრატიონი თ. განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“ (გ. იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით). თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960.

ბალახაშვილი 1940: ბალახაშვილი ი. ლიტერატურული წრეები და სალონები საქართველოში. XIX საუკუნის პირველი ნახევარი. დოკუმენტალური ნარკვევი. თბილისი: „საბლიუგამი“, 1940.

ბარამიძე 1966: ბარამიძე გ. „ვეფხისტყაოსნის“ აკაკი ფალავასეული ინსცენირება. „საბჭოთა ხელოვნება“, № 9, თბილისი: 1966.

ბარამიძე 1967: ბარამიძე გ. „ვეფხისტყაოსანი“ რუსთაველის თეატრში. საბჭოთა ხელოვნება, №2. თბილისი: 1967.

ბაქრაძე 1965: ბაქრაძე ა. პროზა თუ დრამატურგია. „ცისკარი“, № 2, თბილისი: 1965.

ბროსლავსკაია 1977: ბროსლავსკაია ტ. რუსთაველი და მისი პოემა მუსიკაში. საბჭოთა ხელოვნება, №12, თბილისი: 1977.

გორდეზიანი 1960: გორდეზიანი ბ. მ.ა. ზიჩი საქართველოში. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1960.

დროება 1875: გაზეთი „დროება“. თბილისი: 1875.

დროება 1881, №36: გაზეთი „დროება“, თბილისი: 1881.

დროება 1881: „დროება“, № 220, 21 ოქტომბერი, თბილისი: 1881.

დროება 1881: დროება, №228. თბილისი: 1881.

დროება 1882: გაზეთი „დროება“. №27. თბილისი: 1882.

დროება 1883: გაზეთი „დროება“, № 44. თბილისი: 1883.

თამაში 2016: „რუსთაველის თეატრში „ვეფხისტყაოსანის“ დასადგმელად ემზადებიან და დგამს თვით მაესტრო“. რობერტ სტურუა. გაზ. ჯორჯიან თამაში. თბილისი: 2016, მისამართი: http://geotimes.ge/index.php?m=5&news_id=26510&cat_id=32.

თეატრალური თბილისი 1960: შოთა რუსთაველი კრაკოვის სცენაზე. თეატრალური თბილისი, № 18. თბილისი: 1960.

ივერია 1897: გაზეთი „ივერია“, № 253. თბილისი: 1897.

იოსელიანი 1936: იოსელიანი პ. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. თბილისი: ფედერაციის გამომცემლობა, 1936.

კიკაძე 1983: კიკაძე ვ. რუსთაველიდან გალაკტიონამდე. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1983.

ლონდარიძე 2006: ლონდარიძე ე. „რუსთაველი მუსიკაში“. რუსთაველოლოგია. № 4. თბილისი: 2005-2006.

მაჩაბელი 2009: ივანე მაჩაბელი. ბიოგრაფია. განთავსებულია 2009 წლიდან. მისამართი: <https://burusi.wordpress.com/2009/09/12/machabeli/>.

მეუნარგია 1941: მეუნარგია ი. ქართველი მწერლები, I. [ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი]. თბილისი: „საბლიუტგამი“, 1941.

მეუნარგია 1944: მეუნარგია ი. ქართველი მწერლები. II .თბილისი: „საბლიუტგამი“, 1944.

ორჯონიძე 1966: ორჯონიძე გ. პირველი ოპერა „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით. საბჭოთა ხელოვნება, № 10. თბილისი: 1966.

24 საათი 2003: გაზეთი „24 საათი“, 15 თებერვალი. თბილისი: 2003.

რეიტინგი 2014: ჟ. „რეიტინგი“, 18.09. თბილისი: 2014.

რუბიკონი 1923: ჟ. „რუბიკონი“, №12. თბილისი: 1923.

სახალხო გაზეთი 1912: გაზ. „სახალხო გაზეთი“, № 538. თბილისი: 1912.

ურუშაძე 1967: ურუშაძე ნ. „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული სასცენო ხელოვნება. თბილისი: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1967.

ფასუნჯი 1909: ჟ. „ფასუნჯი“, № 9. თბილისი: 1909

ფიჩაძე 1966: ფიჩაძე მ. რუსთაველი და ქართული მუსიკა. საქართველოს ქალი, № 10. თბილისი: 1966.

ქართული სიტყვა 1923: გაზ. „ქართული სიტყვა“, № 2 დეკემბერი. თბილისი: 1923.

ქართული სიტყვა 1924: გაზ. „ქართული ქართული სიტყვა. № 12. 3 თებერვალი, თბილისი: 1924

ქვლივიძე 1960: ქვლივიძე მ. „ვეფხისტყაოსნის“ დასურათების ისტორიისათვის. თბილისი: „ხელოვნება“, 1960.

ყვარელაშვილი 1966: ყვარელაშვილი მ. „ვეფხისტყაოსნის“ პირველი საოპერო ლიბრეტო. საბჭოთა ხელოვნება, № 10. თბილისი: 1966.

ნაქაძე 2003: ნაქაძე ი. „ვეფხისტყაოსნის“ გასცენიურების პირველი ცდები“. რუსთველოლოგია, II. თბილისი: 2003.

წულუკიძე 1985: წულუკიძე ა. „ვეფხისტყაოსანი“ ბალეტში. საბჭოთა ხელოვნება, № 12. თბილისი: 1985.

ხინთიბიძე 2008: ხინთიბიძე ე. ვეფხისტყაოსანი შექსპირის ეპოქის ინგლისში, მივიწყებული წარსულის საიდუმლო. მონოგრაფია. თბილისი: „ქართველოლოგი“, 2008.

ხინთიბიძე 2014: ხინთიბიძე ე. „ვეფხისტყაოსანი – ინგლისური დიდი დრამა-ტურგის უშეალო ლიტერატურული წყარო“. აღმოსავლეთმცოდნეობა, № 3. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტუტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. თბილისი: 2014.

ჯანელიძე 1937: ჯანელიძე დ. რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“ თეატრსა და დრამატურგიაში. საბჭოთა ხელოვნება, № 6, თბილისი: 1937.

ჯანელიძე 1967: ჯანელიძე დ. რუსთაველი და სახიობა. თბილისი: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1967.

MAIA NACHKEBIA

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Baroque World-view in the Sequels of “The Knight in the Panther’s Skin”

Cycle of sequels of “*The Knight in the Panther’s Skin*” is the anthology of new literary trend which was generated in Georgian reality. In these sequels is expressed world-view opposite to Rustaveli’s poem. In the sequels are dominating notions such as “falseness”, “unreliability”, “hypocrisy”, “badness” of this world, and the metaphor “Life is a dream”. On the basis of the analysis of this material can be concluded that the Baroque style was formulated in Georgia by the end of the XVI century, it was generated by the life itself and it is the Georgian Baroque.

Key words: Baroque, Sequels of the Knight in the Panther’s Skin, disharmony, falseness, “Life is a dream”.

Crisis of human worldview at the end of 16th century lead to creation of the new style in the art and literature, which lasted for entire 17th century and which is known as Baroque. In Europe, Baroque is the cultural and art style epoch covering 16th and 17th centuries, though, in different countries its commencement and completion differ significantly. For illustration, French Baroque was from 1570 to 1660, whereas Slovak Baroque scopes are from 1650 to 1780. This was the age of dramatic strain and peripety.

Baroque Age is characterized with emphasis on religious issues in the entire Christian world and this showed up in different ways: in some places (Western and Eastern European countries) these were fierce religious confrontations and wars between Christian confessions, in the other places (in Georgia) this was fierce battle of Orthodox Christians against Moslem invaders.

Spirit of the Baroque artist is disturbed; therefore, his pieces are marked with emotions. Antithesis became the major means for Baroque thinking and perception. Baroque person suffered of the feeling of internal discord. The essence of this period is its antithesis nature. These are the matter (nature) – spirit (god); secular world – divine world; harmony – disharmony; sensationalism – spiritualism; temporal – eternal; etc.

By the reason of deep crisis, chaos and generally dark atmosphere, characterizing epoch of baroque, people had the feeling of hopelessness, they had doubts and distrust to the temporal life and therefore, they sought the only lively truth in the transcendent world, the afterworld. Worldview, dramatically different from the renaissance humanism gave birth to the new creative vision of reality and this was reflected by the characteristic methods.

In the studies dealing with the Georgian Baroque, we are first of all attracted by the sequels (majority of them are anonymous) of Rustaveli's "*The Knight in the Panther's Skin*" (XII century), written during the next centuries. They are as follows:

1. Avtandil's First Testaments to His Son;
2. Tariels' Testament Told While Dying;
3. One More Testament and Blame on Life by Tariel and Nestan-Darejan

Written By Jozef Tbileli.

This Testaments are followed by the three chapters:

1. Death of Tariel and His Wife;
2. Avtandil's Testament Uttered by Him at the Moment of Approach of His Death;
3. Avtandil's One More Testament Told While Dying;

Also additional chapters to the poem:

1. Death of Avtandil and His wife Tinatin;
2. Pridon's Sobbing and Weeping While Visiting Both Places;
3. Pridon is Grieving Deeply and Mourning for Tariel, Nestan-Darejan, Avtandil and Tinatin.

In my opinion cycle of sequels of “*The Knight in the Panther’s Skin*” is the anthology of new literary trend which was generated in Georgian reality. It is not just an exercise of a pen by a scribbler on a theme of “*The Knight in the Panther’s Skin*” at leisure time, (more so as Rustaveli finished his work with an optimistic note), but it is a desire of a suffering soul to express his emotions, expressing it through the most adored by him heroes. This is equalization of his own self with the heroes of Rustaveli. Moreover, this is a picture of the world and life, which is imprinted in emotions and minds of definite epoch.

Baroque is known for its trend to reflect ruin of harmony, replacement of harmony with disharmony, beauty – with ugliness, deformity. Thus, for example, in these sequels Rustaveli’s young and pleasant to look at heroes undergo such transformation:

“*Senility make Tariel and his wife ugly and unattractive,
After eighty years of life they became blind, wrinkled, feeble*” (2065: 3-4)*.

Let’s compare Nestan-darejans description in Rustaveli’s poem:

“*That madan was called by the name Nestan-daredjan. When she was seven years old she was a gentle and wise maid, moonlike, not equaled by the sun in beauty; from her how can heart bear separation adamant or forged?*” (315).

and Tariel’s characterization in the *The Knight in the Panther’s Skin*:

“*They was a certain stranger knight; he set weeping on the bank of the stream, he held black horse by the rein, he looked like a lion and a hero; his bridle, armoire and saddle were thickly bedight with pearls; the rose (on his cheek) was frozen in tears that welled up from his woe-stricken heart*” (84).

* Due to the fact that non of *The Knight in the Panther’s Skin*’s sequels are translated into English, here and in what follows I suggest my close translation – M.N.

The fact that the creator of this strophe from the “*Death of Tariel and His Wife*” purposefully transforms and imitates poetic images of Rustaveli is apparent from the cited strophe. In such inverse perception of beauty we feel deep pessimistic attitude that is dictated by ugly reality, ugly reality finds expression in ugly artistic image.

Aesthetics of this anonym continuer, how strange it may seem, immediately responds to the aesthetics of the great representative of Baroque, such as Gongora (1561-1627). It may quite be that the period of activity of these two persons, the anonymous Georgian interpolator and the famous Spanish poet, coincide with each other. Besides, it is also important that these two authors are processing themes of other poets: Georgian author – those of Rustaveli, while the Spanish author, those of Torquato Tasso. To draw a parallel between the above cited strophes I will bring here one of the well-known verses of Gongora – “*Till gold of you hair sways*”, which represents a paraphrase of one of the sonnets of Torquato Tasso. When in Tasso’s sonnet the contrast between youth and old age is emphasized, Gongora opposes not youth and old age, but life and death, while in the last strophe he says directly that the gold of hair will not be changed by silver, but this very beautiful lady will turn into earth, dust, nonentity. Such stylization in Gongora’s verse pursues to make more profound tragic sounding, perception of an original. World outlook of the above cited anonym continuator of “*The Knight in the Panther’s Skin*” confronts to the aesthetic credo of Rustaveli: “*Senility make Tariel and his wife ugly and unattractive*”, “*After eighty years of life they became blind, wrinkled, feeble*”: this is all what he sees in his sunny heroes. There should have been a specific mentality in the epoch to make a person express himself in this form (Nachkebia 2009: 26-27). “*Avtandil’s Testament Uttered by Him at the Moment of Approach of His Death*” is written with the same mood:

“*Everybody living in this world will never avoid this, ...they lost interest towards beauty of the world, their love and mind become weaker, love – freezing and they became indifferent towards each other*” (2068).

There is other strophe expressing similar attitude:

“*I would say that transient world is like a shadow! [...] It quickly rotes, wears out as a fabric of head-dress...*” (2070)

Here we have to pay attention to the comparison of the transient world to the shadow, which is one of the stable images of European literature of Baroque epoch. That the transient world is merciless, it was already stated by the author

of the second testament of Tariel, but he didn't compare the life with the shadow; this is a new note in the creative activity of continuers of *The Knight in the Panther's Skin*.

As to a theme of turning into nobody, it is expressed by the epithets of rot, decay and wear, withering of youth's flower and exclamations expressing the highest tragic tension: "Sky, fall down together with your stars, celestial bodies, what are you doing there?"

"Merciless", "not to be trusted" "false", "instant" (2039) "breeze", "evil wind" (2075) "put as a trap" (2079) "hard time" (2103) life in *Avtandil's Testament* acquires new definition, interpretation, new description; this is a "life – shadow":

"I say this merciless life resembles the shadow" (2070)

Shadow is one of the main motifs in European Baroque; it is encountered in the poetry of the epoch of Baroque as well in dramaturgy and philosophical works of that time. Many inherent, characteristic features of Baroque depend on the poet's perception of reality; a writer of the epoch of Baroque strives to understand what common is among objects, phenomena and for it, he addresses comparison: comparison is one of the main leading logical and artistic approaches, tools of this epoch. It is through this way that becomes possible to draw parallel between phenomena and objects. A poet of Baroque, striving to show peculiarities of the reality imagined by him, considers any phenomenon or objects as a base for comparison. Therefore it is not unexpected that incompatible objects are compared, are equalized. This idea of reflection, where all objects have their copies, which are not externally their adequate, but irrespective of it, reflect its essence, was widely spread in peculiarities of Baroque style. With this in view the mirror motif and together with it, a motif of shadow is most interesting. West European and Slavonic Baroque poets and philosophers were attracted by the main property of a mirror – reflection. In the titles of many works you will find the word "mirror". On the one hand it was generated thanks to a theory of mimesis, that is reflection, and on the other hand it took origin thanks to didactic trend in literature. When a reader used to look in the "literary work – mirror", he perceived better his sins he was to abandon (Sofronova 1982: 84). In Georgian Baroque we rarely meet a motif of mirror; instead, at the very starting stage of Georgian Baroque, we clearly see a motif of a "shadow", "life – is a shadow", as the deepest tragic emotion of a man, to express his earthly life essence we often meet it in sequels of *The Knight in the Panther's Skin* and by the use of this motif, it comes into touch with European Baroque, irrespective of the fact that in Georgian historic reality it was generated as one of the main metaphors expressing life disharmony:

“I say this merciless life resembles the shadow” (2070, 2)

“There is no evening, nor morning in earthly life, there is only dream and shadow” (2106, 1-2).

This is a declaration of human doom, his nonentity, vanity of this life and this could be thought only by a man who in this life couldn't see light, by the wide meaning of this world, and couldn't see exit from this horrific reality. The XVI century Georgia formed fertile soil for such emotions because of its unfortunate historic fate.

Therefore, free and frisky hymn of Rustaveli, full of love to mundane life and faith was replaced in the sequels of *The Knight in the Panther's Skin* by pessimistic mood and worldview of authors, most of whom remaining unknown. In the sequels written by them they reflect spiritual atmosphere of those centuries which severe the *The Knight in the Panther's Skin* and the “so-called period of the Renaissance”. This was period of war with Mongols and defeat of Georgia, disintegration of the state, social disparity – it is namely the hard period when “the strong wind blows”. This is why we can state convincingly that those who wrote sequels of *The Knight in the Panther's Skin* were not the scribblers motivated with just a whim; they were persons who expressed spiritual, moral attitude of the whole Georgian nation in the heaviest period of Mongol's yoke and ruin of Georgian statehood. Their mood required different literary style. Georgian study of literature calls it “motif of sorrow for the world/life” (Motif of reproach”), while a generalized European term for it is “Baroque”. As a result of analysis of the above offered material we can conclude that the Baroque style was formulated in Georgia by the end of the XVI century, it was generated by the life itself and it is the Georgian Baroque.

BIBLIOGRAPHY:

Nachkebia 2009: *Issues of Georgian baroque. Merani publishing House.* Tbilisi: 2009 (ნაჭყბაია, მ. ქართული ბაროკოს ხაკითხები. თბილისი: „მერაბი“, 2009).

Sofronova 1982: Sofronova L.A. *Principle of reflection in Baroque Poetics. Baroque in Slav Cultures.* M.: Nauka, 1982 (Софронова Л. А. *Принцип отражения в прозе барокко. Бароко в славянских культурах.* М.: „Наука“, 1982).

Rustaveli 1966: Rustaveli. Shota. *The man in the Panther's Skin. A close Reading from Georgian.* Attempted by Marjory Scott Wardrop with a Preface by Sir Oliver Wardrop). Literatura da Khelvneba Publishings. Tbilisi: 1966.

Versions ... 1963: *Versions of The Knight in the Panther's Skin manuscripts.* Forth volume. Tbilisi: 1963 (ვევხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები. ნაკვეთი მეოთხე. თბილისი: 1963).

NESTAN SULAVA

NANA GONJILASHVILI

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

For New Understanding of the Internal World of the Main Characters of “The Knight in the Panther’s Skin”

For many centuries, “The Knight in the Panther’s Skin” was the source of new discoveries, explanations, new interpretations, creative investigations. This is primarily due to new human ideal created by Rustaveli – so high and at the same time so worldly. An individual is placed in the center of Rustaveli’s thinking system, with his own thoughts, judgments, joys and pains, courage and kindness. Shota Rustaveli is interested in internal, mental life of his characters, each nuance of their soul, determining and causing their actions. Emphasizing individual characters, phenomena and facts by the author’s implications provides ground for reading in many respects. The work provides new vision of some episodes and passages of the poem, as well as the nuances of the main characters’ psychological portraits, their sense and meaning are found and described as far as possible.

Key words: “The Knight in the Panther’s Skin”, woman, psychology.

ნესტან სულავა

ნანა გოჯილაშვილი

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

**„ვეფხისტყაოსნის“ გმირთა შინაგანი სამყაროს
ახლებური გაზრებისათვის**

**1. ნესტანისა და ტარიელის პირველი შეხვედრის ეპიზოდი და
მასთან დაკავშირებული რეალიები**

რუსთველოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზისაა
განხილული ნესტანისა და ტარიელის პირველი შეხვედრის ეპიზოდი,
როდესაც ნესტანი მხოლოდ „ტებილად“ შეხედავს ტარიელს, „ვითამცა

რა შინაურსა“ და სიტყვის უთქმელად დაასრულებს პაემანს, ასმათის მეშვეობით ტარიელს აცნობებს – „ან წადიო, ვერსა გითხობს“. ამ ეპიზოდის რაობის ახსნისა და არსის გაანალიზებს იშვიათი ნიმუშია იღლა ჭავჭავაძის ნააზრევი: „აი, გულთამხილავი რუსთაველი, რამ-სიდიდე გრძნობას ხედავს ნესტან-დარეჯანის გულში და რა ხატით გვაჩვენებს ჩვენც მის ძლიერებას, სიდიადეს და ძლევამოსილობას: ქალმა ვეღარა თქვა-რა, სიტყვა შეეკრაო. იგივე რატომ არ მოუვიდა თინათინს, როცა ავთანდილი დაიბარა პირველად სალაპარაკოდ? იმიტომ, რომ ღრმად კაცად-კაცის მცოდნე რუსთაველმა იცოდა, რომ თინათინი სხვა ბუნებისაა და ნესტან-დარეჯანი სხვა. და ეს ბუნების სხვადასხვაობა სხვადასხვა ზემოქმედებასაც ექვემდებარება“ (ჭავჭავაძე 1984: 593). ილიასეული განმარტება მრავალმა მეცნიერმა გაიზიარა და იგი გარკვეულწილად დამკვიდრდა კიდეც რუსთველოლოგიაში.

ლიტერატურული ნანარმოების მხატვრულ-ესთეტიკური ფენომენის შესაცნობად ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამომსახველობით საშუალებად დუმილის ესთეტიკას მიიჩნევენ. მსოფლიო ლიტერატურული მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს როგორც პერსონაჟის სახის სრულყოფილების წარმოსაჩენად, ისე მთელი ნანარმოების სიუჟეტის განვითარების წარმოსადგენად. მხატვრულ სააზროვნო სივრცეში დუმილის ესთეტიკის გასათვალისწინებლად ბიბლიური სიბრძნის გახსენება გვმართებს, რომლის მიხედვით, დუმილს უდიდესი ფუნქცია აკისრია. ეს ბიბლიური სიბრძნე, რომლის წყაროდ სოლომონის სიბრძნეს მიიჩნევენ, გიორგი მერჩულის პერიფრაზში ასეა გაშინაარსებული: „ბრძნად მეტყუელებად ვეცხლი არს წმიდაო, დუმილი – ოქროღ რჩეულ“. დუმილი ყველაზე ნათლად გამოხატავს ადამიანის შინაგან სამყაროს, მის ბუნებას. ის, რაც სიტყვით არ მიიღწევა, დუმილით მიიღწევა. დუმილის ესთეტიკა ამაღლებულის კატეგორიას განეკუთვნება, იგი მოზღვავებულ განცდათა გამოხატულებაა.

რ. სირაძის განმარტებით, „დუმილი არაა სათქმელის არქონა, ესაა დიდი სათქმელის ართქმა. დუმილით დაშორდნენ ერთმანეთს ტარიელი და ნესტანი პირველი შეყრისას, რადგანაც ერთმანეთისთვის სათქმელი ორთავემ ისედაც იცოდა, თავად კი კარგად ვერც მიხვდნენ თავიანთი მდუმარების მიზეზს“ (სირაძე 1982: 142).

6. ნათაძე სხვაგვარ ახსნას უძებნის მიჯნურთა პირველი არაორდინალური შეხვედრის ეპიზოდს: „მისი (მკვლევარი ნესტანზე საუბრობს) პირველება ნამდვილად გაშლას იწყებს ჩვენს თვალწინ პირველი პაემნიდან, როცა მოულოდნელ და ლრმა ინტუიციით შესრულებულ სცენაში, რომლის სინამდვილეს ჩვენ შემდეგ ვგრძნობთ, ნესტანი

ერთგვარ რევანშის იღებს იმ გამბედაობისაა და ინიციატივისთვის, რომელიც პირველ წერილში გამოიჩინა, კიდევ ჯაჭვავს თავის პიროვნებაზე ტარიელის გრძნობებს და ამავე დროს ერთგვარ დისტანციასაც უჩვენებს. ამ მუნჯ სცენაში ღირსებაც არის, ქალური ეშმაკობაც და ქალისთვის ბუნებრივი სიამაყეც, რომელიც ამ მაღალ სფეროებშიც მოქმედებს და იდეალურ გმირთა ურთიერთობას, მისი გაუბრალოების გარეშე, ჩვენთვის სინამდვილედ აქცევს“ (ნათაძე 1966: 215).

საკითხის უკეთ გასააზრებლად მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, უფრო დეტალურად განვიხილოთ დუმილით დასრულებული ნესტანტარიელის პირველი შეხვედრა, რომელშიც დუმილის ესთეტიკასთან ერთად, სხვა, პერსონაჟის ფსიქოლოგიური მდგომარეობის სიღრმისეული ნიუანსებიც შეინიშნება.

ტარიელი ავთანდილს უყვება, რომ სიყვარულით დატყვევებული სათვის ნესტანის მიერ ხმობა უდიდესი სიხარული, ბელის განათება („ლეინმან ბელი განმინათლა“) და ბორკილთა მომაფონებელი („ამი-ფოლხა ჯაჭვთა მანა“) იყო. „უფურჭვნელი და დაუმჭნარი ვარდის“ სანახავად მისულ ამირბარს ასმათი გაუძღვა და, ტარიელის თქმით, მან ბალაზშითა და ლალით შემკულ კუბოში მჯდომარე, „პირითა მზისაებრ ელვა-მკრთალითა“ ნესტანი იხილა. ტარიელი იხსენებს, რომ ქალმა მელნის ტბისებრი თვალებით ლამაზად შეხედა და ამ მზერის სილამაზეში სიტკბოებაც იყო ჩაქსოვილი, რომელიც მხოლოდ ახლობლის, „შინაურისთვის“ არის განკუთვნილი – „მე შემომხედნის ლამაზად მის მელნის ტბისა თვალითა“ (შოთა რუსთაველი 1966: 397)* და „ოდენ ტკბილად შემომხედნის ვითამცა რა შინაურსა“ (398). გარეგნულ სილამაზეს შინაგანი განცდის სილამაზეც ერთვის და ამგვარად წარმოდგენილი შშვენიერება ამთლიანებს პერსონაჟის ხატ-სახესა და ხასიათს. შოთა რუსთაველი უდიდესი სიმძაფრით დატვირთულ მიჯნურთა პირველი შეხვედრის ეპიზოდს ნესტანის დუმილით ამეტყველებს და ეს დუმილი ვერცხლად მიჩნეულ „ბრძად მეტყულებაზე“ უფრო ფასეული ოქროა.

დუმილის ესთეტიკის გასააზრებლად მოვიხმობთ ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივში“ გიორგის გარდაცვალების წინ ჩამოვარდნილ დუმილს, რომელიც, მართალია, სულ სხვა საფუძველს ემყარება, მაგრამ დუმილის განცდის სიღრმესა და ტრაგედიას მწერლის სიტყვებში

* შოთა რუსთაველი 1966: შოთა რუსთაველი, ვეფხის ტყაოსანი, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ, ორ ტომად, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, I, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1966. შემდგომში ციტატებს ამავე რედაქციიდან ვიმოწმებთ.

ნათლად განასახოვნებს; აქ დუმილის სიდიადე, სიტყვასთან შედარებით მისი უპირატესობა ჩანს. დუმილის განცდის სიღრმეს, სიტუაციის ტრაგიკულობას ნათლად წარმოაჩენს მწერლის სიტყვები, როდესაც დედის მიერ გიორგის უძმედო მდგომარეობის ხილვასა და ამ ტრაგედიის აღქმას აღნერს. როგორც ილია ამბობს, მომაკვდავი შვილისკენ მიმავალ ოთარაანთ ქვრივს „ხმა არავინ გასცა რიდისა და კრძალვისაგან. ზარი დიდი იყო. ოთარაანთ ქვრივი მივიდა შვილის ლოგინთან და რა დაპხედა ცოცხალ-მკვდარ შვილს, ერთი საშინელი შემოიკრა თავში ხელი და იქავ მუხლი მოეჭრა და ჩაიჩინქა. ხმაგაკენდილს ოთახში ენა ვეღარავინ დასძრა, ასოც ვეღარავინ შეატოკა. მარტო ერთად-ერთის სანთლის ალი ჰარტონდა ლოგინის თავში, სხვა ყველა სული-ერნი თითქო გაქვავდნენ, თითქო მარილის სვეტებად გადიქცნენო. დადუმდა, შესდგა ყველა და მარტო დედა-შეკლობის საცოდავობა-ღა თავის დიდებულის ზარით ჰდალადებდა უთქმელად, უტყვად, ხმა-ამოულებლად. მას მარტო თვალი გულისა-ღა თუ ჰედავდა და ყური გულისა-ღა თუ ისმენდა!.. ხორციელი სმენა, ხორციელი ხედვა ამისთვის უღლონა“ (ილია ჭავჭავაძე, 1984: 501). მთელი ამ ნაწყვეტის არსი დუმილის ესთეტიკითა წარმართული, რასაც სიტყვის თქმა მხოლოდ გააუფერულებდა და მხატვრულ არსა თუ გამომსახველობით ძალას მოაკლებდა, ძირითად სათქმელს აზრს დაუკარგავდა.

დაგუბრუნდეთ „ვეფხისტყაფოსანს“ და მიყვეთ მის თხრობას. ზე-მოაღნიშნული ეპიზოდის განხილვისას ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მიჯნურთა პირველი შეყრის ამბავი ტარიელის მონათხრობია, ამ ამბავს მხოლოდ ტარიელის პოზიციებიდან ვეცნობით. ტარიელის ნაამბობიდან ვიგებთ, რომ სატრფოს მოსურვებულ ამირბარს ნესტანმა, რომელმაც თავად იხმო მიჯნური, ხმა არ გასცა, ერთი სიტყვაც კი არ უთხრა: „დიდხანს ვდევ და არა მითხრა სიტყვა მისსა მონასურსა“ (398), მხოლოდ მზერა აკავშირებდა მდუმარებაში მყოფთ. რუსთველი მიჯნურთა შორის გამეფებულ სიჩუმეს არ არღვევს მამინაც კი, როდესაც ნესტანისა და ასმათის „მოუბნების“ შემდევ ეს უკანასკნელი ნესტანის წადილს ამირბარს ყურში უჩურჩულებს: „ქალი მოდგა, მითხრა ყურსა: „აწ წადიო, ვერას გითხრობს...“ (398). ეს შეხვედრა, როგორც ტექსტიდან ჩანს, უხმოდ, სიჩუმეში ხდება – ნესტანი ტარიელთან სიტყვას არ ძრავს, ასმათი და ნესტანი ასევე ჩუმად უბნობენ („მოიუბნეს“), თათბირობენ, რა უთხრან ტარიელს; თავის მხრივ, ასმათიც ამირბარს ნესტანის ამგვარი ქცევის მიზეზს ყურში უჩურჩულებს. ამდენად, მიჯნურთა შეხვედრის მთელი სცენა სიჩუმეში მიმდინარეობს; შთაბეჭ-

დილება იქმნება, თითქოს შეთქმულნი შეყრილან და „მოყურიადისგან“ თავის „შემოსაზღუდად“ ხმადაბლა საუბრობენ. ამგვარი აღწერა ეპი-ზოდს იდუმალებით აღავსებს და მკითხველიც ამგვარი განცდით იმსჯვალება.

ნესტანის ამგვარმა ქცევამ, დუმილმა, ტარიელი მეტად დააღონა: „მე კვლა მიმცა ალმან მურსა“ (398) და „გულმან გაყრისა სიძნელე კვლა უფრო დამიტია-რე!“ (399). სიტყვის უთქმელად გაბრუნებული მოყმე, რომელიც ნესტანთან შეხვედრის გამო იმთავითვე უდიდესი სიხა-რულით იყო შეპყრობილი და ბედნიერებით ფრთაშესხმული ელოდა სატრფოს ხილვასა და მასთან უბნობას, იმედგაცრუებული აღმოჩნდა. ამის გამო იგი კვლავაც საწუთროს ემდურვის, რომელმაც თავდაპირ-ველი ლხინი მწუხარებით შეუცვალა, მისმა გულმა კი სატრფოსთან განშორების ტკივილი იგრძნო. შინ დაბრუნებულს, როგორც თავად ამბობს, „ნაკადი ცრემლთა მილისა“ სდიოდა და ძილის ლონე არ ჰქონ-და. ნესტანის საქციელით დაღონებულ ტარიელს ერჩია ღამე და „არ-გათენება დილისა“ (402). მისი შინაგანი სიმძიმილი და სევდა რუსთ-ველმა გმირის გარეგნობაშიც გადმოლვარა და „ბროლი და ლალი“ ტარიელის სახე „ულურჯესი ლილის“ ფერად შეღება (402).

საინტერესო ისაა, რომ, თუ ნესტანის პიროვნებაში სიყვარული იმ-დენად ძლიერი და ყოვლისმომცველი გრძნობაა, რომელიც სატრფოს-თან პირისპირ შეყრისას დაადუმებს და მიჯნურთან პირისპირ შეხვედ-რა მხოლოდ დუმილით განიცდება, მიჯნური ტარიელი რატომ ვერ სწვდება და ვერ აცნობიერებს ენით უთქმელი განცდის სიღრმეს, ნეს-ტანისეული უსაზღვრო სიყვარულით გამონვეულ დუმილს. მიჯნური ხომ უსიტყვოდ, უხმოდ გრძნობს და შეიცნობს სატრფოს გულისნა-დებს, ფიქრს, განცდებსა და ემოციებს; ამისათვის ხომ ერთი შეხედვაც საკმარისია. მაგრამ ტარიელის შემთხვევაში ეს ასე არ ხდება. პირიქით, რუსთველი ნესტანის დუმილის გამო „ხელჯმინილი“ ტარიელის წუხილს, შეშფოთებას, სიმძიმილს გამოკვეთს და ამირბარის ამგვარი შინაგანი განცდის გადმოცემას რამდენიმე სტროფს უთმობს.

დაისმის კითხვა: რატომაა ერთფერ გმირ მიჯნურთაგან სიყვა-რულის განცდის გამოხატვა და აღქმა სხვადასხვაგვარი? თუ დავუკ-ვირდებით, ტექსტი ამის პასუხს სავსებით ცხადად იძლევა, კერძოდ, სულის სიღრმემდე შეძრულ ტარიელს „სევდის მუფარახი“ ასმათი ამშვიდებს, რომ გულიდან სიმძიმილი მოიშოროს და სიხარულისათ-ვის გულის კარი გააღოს: „სიმძიმილის ერდო დახაშ, სიხარულის კარი აღი“ (400). სწორედ აქ გააცხადებს ასმათი ნესტანის დუმილის მიზეზს

– „სირცხვილი აქვს საუბრისა, მერმე თავსა ჰკრძალავს ლალი“. ნესტანისაგან ტარიელის უუბრად გასატუმრების მიზეზების დასახელება არაა უყურადღებოდ დასატოვებელი. სწორედ აქ წარმოჩნდება რუსთველის მიერ ადამიანის ბუნების, სულიერი სამყაროს მიმოხვრა-ძვრების ნიუანსების ღრმა ცოდნა, რომელთა მეშვეობით პოეტი ნესტანის პორტრეტის ფსიქოლოგიურ შტრიხებს ძერწავს. ზემოაღნიშნულ პასაუში ორი მიზეზი სახელდება – „საუბრის სირცხვილი“ და „თავის კრძალვა“, ქალის ღირსების წარმომაჩენელი ეს ორი მიზეზი ურთიერთგამომდინარეა და ერთმანეთს მსჯვალავს.

ამ მიზეზთა ასახსნელად საჭიროა, გავიხსენოთ ნესტანისაგან ტარიელის სააშიკოდ გაგზავნილი წერილები და ასმათის მოციქულობა – „რაცა პატრონისა პრძანებასა უთქმევია“ (378). ტექსტიდან ირკვევა, რომ ტარიელის პირისპირ მდგომი ნესტან-დარეჯანი, თინათინისაგან განსხვავებით, სიყვარულს პირდაპირ ვერ აცხადებს და ამისათვის სხვა გზას ირჩევს. წერილების გაგზავნით ნესტანი, რომელიც თავის პიროვნებას მაღლავს, შესაძლებელია, ცდილობს, გაარკვიოს ამირბარის ხასიათის გარკვეული, მისთვის საინტერესო მხარეები, თუ როგორ მიიღებს ამირბარი ქალის მხრიდან წამოწყებულ აშიკობას, როგორ მოიქცევა, რა ნაბიჯებს გადადგამს. ჩანს, რომ ნესტანისათვის არაა ადვილი სიყვარულის პირდაპირ გაცხადება. ამგვარი ქცევა იმდროინდელ საქართველოში და შემდგომაც საზოგადოდ მიუღებელი, ერთგვარად „უცხო“ იყო და გაყიცხვის საგანი გახდებოდა. რუსთველმა ერთგვარად დაარღვია ნორმადქცეული პრინციპი და მიჯნურთა შორის პირველობა სიყვარულის აღიარებაში ქალს მიანიჭა. შესაძლოა, ნესტანს სიყვარულის გაცხადების სიფრთხილეს ამირბართან „განაზარდობაც“ განაპირობებს და ისიც, რომ იგი ზრდასრულ, პირველებად ჩამოყალიბებულ ტარიელს არ იცნობს (გავიხსენოთ, ფარსადანმა ნესტანისთვის კოშკი ააგო და მეფის ასული განცალკევებით იზრდება); ამასთანავე, როგორც ტექსტიდან ირკვევა, მისი „კრძალვა“ და „რიდიც“ ჰქონდა. ამდენად, ნესტანის დუმილი არა მარტო უდიდესი სიყვარულითაა გამოწვეული, „კრძალვა და რიდი ამირბარისა“ ავსებს და ხსნის მის ქცევას. აქ თავს იჩენს წმინდა ფსიქოლოგიური მომენტი, რაც ესოდენ კარგად იცის რუსთველმა.

ზოგადად, ადამიანისათვის წერილის მეშვეობით საკუთარი გრძნობების გამხელა (საიდუმლოს გაცხადება, ცოდვების აღიარება, შენდობა-მიტევების თხოვნა და სხვ.) და წერილობით გულაბდილი მსჯელობა-საუბარი ბევრად იოლია. ეს ნაკლებ ემოციასთან, ნაკლებ

განცდასთანაა დაკავშირებული, ვიდრე სხვასთან პირისპირ დგომისას, თვალის გასწორებისას საკუთარი გრძნობების გამუღავნება-გამოთქმა და მეტად მძაფრი სულიერი განცდების გადმოღვრა (მით უფრო – სატრფოს წინაშე). ამას ცხადყოფს სხვადასხვა მიზეზთა გამო (ძირითადად, დროის უქონლობა და მრევლის სიმრავლე) ჩვენს ყოფაში შემოსული სიახლე მოძღვართან აღსარების ჩაბარების წერილობითი ფორმა, რაც, ჩვენი აზრით, მოკლებულია ძალზე მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ მხარეს და ადამიანის შინაგანი ბუნების სრულად გამომუღავნების, ემოციური მღლელვარებისგანაა განძარცვული, დაცლილია ყოველგვარი ცხოველმყოფელი ძალისა და სინედლისაგან. უწინარეს ყოვლისა, მოძღვარსა და სულიერ შვილს შორის არ ხორციელდება საიდუმლო სულიერი კავშირი, რაც ყველაზე ამაღლელვებელი და სათუთი გრძნობაა, სულის ურთულეს ლაბირინთებს, უმტკივნეულეს განცდებს გამოამზეურებს, სინანულს, ცრემლს, შინაგან მღლელვარებას, პასუხისმგებლობას, სირცხვილს, ყოველგვარ უმდაბლეს ქმედებებსა თუ ნაფიქრალს გამოიტანს მზის სინათლეზე. ეს კი ყველაზე და ყველაფერზე აღმატებულია თავისი სირთულითა და სიმძიმით. აღსარების წერილობით გაფორმებისას იკარგება უმთავრესი, რაც აღსარებისთვისაა უცილობელი და ნიშნეული. ასეა სხვა შემთხვევებშიც და, განსაკუთრებით, სიყვარულის „სიშმაგითა“ და „გახელებით“ შეპყრობილთათვის; სიყვარულის აღიარება ხომ ერთგვარი აღსარებაა, როდესაც საყვარელ და უძვირფასეს ადამიანთან პირისპირ დგომისას სულიერი განცდები გადმოიღვრება.

ამდენად, შოთა რუსთველის მიერ ნესტანის დუმილის ახსნა – „სირცხვილი აქვს საუბრისა, მერმე თავსა ჰერძალავს ლალი“ (400), ალბათ, ამ გარემოებასაც უკავშირდება. ამასვე მოწმობს ნესტანის სიტყვები მიჯნურთა მეორედ შეყრისას (თავი – „ტარიელისა და ნესტანის პირის-პირ შეყრა“).

მიბრძანა: „ძოლან გენწინა გაშვება უუბარისა...

მაგრა ხამს ჩემგან სირცხვილი და რიდი ამირბარისა“,

– ასე გადასცემს ტარიელი ავთანდილს ნესტანის ნათქვამს.

როგორც ვხედავთ, აქაც ნესტანის დუმილის მთავარ მიზეზად დასახელებულია „სირცხვილი და რიდი ამირბარისა“. ამის შემდგომ ნესტანი ხაზს უსვამს ქალისაგან მამაკაცისადმი დიდი კრძალვის ქონის აუცილებლობას („თუცა ჰმართებს დედაკაცსა მამაცისა დიდი კრძალ-

ვა“ – 415) და, მიუხედავად ამისა, მისთვის „ჭირთა მალვა“ და „არათქმა“ მეტად ძნელია და იგი ტარიელს სიყვარულით სავსე გულს უშლის.

ამდენად, მიჯნურთა უსიტყვოდ დასრულებული პირველი შეყრა ნესტანისათვის არის მიჯნურთან მომავალი შეხვედრების, მომავალი ურთიერთობის ფსიქოლოგიური მზაობისათვის მოსამზადებელი საფეხური, მისი უდიდესი სიყვარულის წარმომაჩენელი და იმავდროულად ამირპარისადმი მისი დამოკიდებულების – „კრძალვისა და რიდის“ (რაც ქალს მამაკაცის წინაშე უნდა მართებდეს) – გამომხატველი, სიყვარულის ტყვეობისაგან თავის ვერდახესნის, კრძალვა-რიდის გამო პირის პირ გრძნობათა გაცხადების და სულისშემძვრელი, მეტად მტკიც-ნეული განცდების ამსახველი.

ამ ეპიზოდის ანალიზისას გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნესტან-ტარიელის პირველ შეხვედრას ახლავს ურთიერთშეცნობის, ერთმანეთის გაცნობის წადილი და განცდა და, ამდენად, ამ შეხვედრის მნიშვნელობა ერთმანეთის „შემეცნების“, აღქმის ფსიქოლოგიზმითაც არის დატვირთული. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ეპიზოდი საყურადღებოა გენდერული თვალსაზრისითაც, რადგან ქალის როლი და საზოგადოებრივი ფუნქცია იმ სოციოკულტურული კონტექსტისაგან განსხვავდებულად წარმოჩნდება, რომელშიც იწერებოდა „ვეფხისტყაოსანი“.

2. ნესტანის ფსიქოლოგიური პორტრეტის წარმოსადგენად მეტად მნიშვნელოვანია სატრანსადმი გაგზავნილი მისი წერილი ქაჯეთის ციხიდან.

რუსთველოლოგიაში ეს წერილი არაერთგზისაა განხილული და მის შესახებ სხვადასხვა თვალსაზრისია გამოთქმული. მიუხედავად ამისა, იგი ყოველთვის იქნება განხილვის საგანი, რადგან ყოველი დრო, ყოველი ეპოქა მხატვრულ ტექსტს ახლებურად კითხულობს და თავისი ეპოქის ინტერესებიდან, ლიტერატურულ-ესთეტიკური პრინციპების კვალიბაზე გაიაზრებს. ეს ეპიზოდი რუსთველის სიტყვის „ხელოვანებასთან“ ერთად, ადამიანის (კონკრეტულ შემთხვევაში – ქალის) ურთულესი შინაგანი სამყაროს ღრმა წვდომის კიდევ ერთი ცხადყოფაა.

ამჯერად ჩვენი მიზანი არ არის ნესტანის წერილის დაწვრილებით განხილვა, ვერ განვიხილავთ მასში დასმულ და გადმოცემულ ყველა მნიშვნელოვან საკითხს, ყურადღებას ჩვენთვის საინტერესო მხოლოდ

რამდენიმე წიუანსზე შევაჩერებთ. კერძოდ, წესტანი მთელი არსებით, მთელი გულითა და გონებით, ტარიელს სთხოვს, ევედრება, რომ მის დასახსნელად არ წავიდეს, რადგან მას დიდი საფრთხე ელის – ქაჯნი სხვა მეომრებს არ ჰგვანან:

„მათთა შემბმელთა დაპხოცენ, მართ ცეცხლად მოედებიან“;
„ნუთუ ესენი გეგონნენ სხვათა მებრძოლთა წესითა!“ (1300-1301).

წესტანი ყოველგვარი ძალისხმევით ცდილობს, მიჯნური დაიცვას და სიკვდილს აარიდოს. საამისოდ იგი ყველა საშუალებას მოიხმობს და ამირბარს მრავალ მიზეზს უსახელებს, უპირველესად, მიჯნურის და-ლუპვის შემთხვევაში თავის უცილობელ სიკვდილზე ესაუბრება: „ნუცა მე მომკლავ ჭირითა, ამისგან უარესითა, შენ მკვდარსა გნახავ, დავი-წვი, ვითა აპედი კვესითა“ (1301), კვლავაც არწმუნებს, რომ მის გარეშე სიცოცხლე არ სურს: „არამ სიცოცხლე უშენოდ!“ (1301), ყოველგვარ ეჭვს ფიცით უფანტავს: „შენმან მზემან, უშენოსა არვის მიპევდეს მთვარე შენი; შენმან მზემან, ვერგის მიპევდეს, მო-ცა-ვიდენ სამნი მზე-ნი!“ (1303) და ამცნობს, რომ ახლოს მდებარე დიდი კლდეებიდან თავს „გარდაიცვეს“. ტარიელს ქაჯეთში საომრად წამოსვლა რომ აარი-დოს, წესტანი კიდევ ერთ მიზეზს ასახელებს:

„წადი, ინდოეთს მიპართე, არგე რა ჩემთა მშობელთა,
მტერთაგან შეინრებულსა, ყოვლგნით ხელ-აუპყრობელსა“ (1307).

წესტანი მიჯნურს საკუთარ სულს ავედრებს და შესთხოვს, რომ კლდეზე უმაგრესი გულით დათმოს მიჯნური და მისი სიყვარული არ იგლოვოს: „დამთმე გულითა, კლდისაცა უმაგრესითა!“ (1301) და „ნუცა მტირ და ნუცა მიგლოვ, ჩემო, ჩემსა სიყვარულსა!“ (1306), მხოლოდ ერთს სთხოვს: „მისთვის ცრემლ-შეუშრობელი“ მიჯნური მოიგონოს; თან შეახსენებს, რომ სანამ ტარიელი ცოცხალია, წესტანი მის „სატირ-ლად და სატკივარად“ დარჩება.

დაისმის კითხვა – მართალია, წესტანმა ყველა ღონე მოიხმო, ტარი-ელს ქაჯეთში არნასვლის მრავალი მიზეზი დაუსახელა, მაგრამ ასეთი წერილი შეძლებდა კი ლომ-ვეფხვთან და სიკვდილთან მებრძოლი ხელ-ქმნილი მოყმის დარწმუნებას და უარის თქმას სატრფოს დახსნაზე? განა ტარიელს რაიმე შეაჩერებდა? (მით უფრო, რომ წესტანი წერ-ილში საკუთარი სიცოცხლის სიკვდილით დასრულებაზე საუბრობს, თუკი მიჯნურს მკვდარს იხილავს). ამირბარი წესტანის დავალებით

ხატაელებზე საღაშქროდ უსიტყვოდ, უყოყმანოდ წავიდა და საკუთარი სატრფოს დასახსნელად რაიმე დაბრკოლება შეაშინებდა? ნესტანმა ყოველივე ეს კარგად იცის, რაც თვალზათლივ ვლინდება წერილის ერთ სტროფში, რომელიც ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებო ნიუანსს წარმოაჩენს, კერძოდ, ნესტანი მიჯნურს სწერს:

ციხეს ვზი ეზომ მაღალსა, თვალნი ძლივ გარდასწვდებიან,
გზა გვირაბითა შემოვა, მცველნი მუნ ზედა დგებიან,
დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ დასცდებიან... (1300)*.

ეს ქაჯეთის ციხის გარემოს, მისი მისადგომების აღწერაა, შეიძლება ითქვას, რომ ეს ციხის ასაღებად გასათვალისწინებელი ერთგვარი გეგმაცაა. ამ სიტყვებით ნესტანი მიჯნურს თავისი ადგილსამყოფლის დეტალების შესახებ ამცნობს, რადგან შინაგანად იგი დარწმუნებულია, რომ ტარიელი უცილობლად გაემართება მის დასახსნელად (ამას ფატმანის წერილიც მოწმობს, რომელშიც ქაჯეთის დაწვრილებითი აღწერის თხოვნა იკითხება) და ამდენად, ქაჯეთის შესახებ მიწოდებული ცნობებიც ტარიელის სიცოცხლის მოფრთხილება-გადარჩენის მიზნითაა ნაკარნახევი. ამ წერილის მიხედვით, ნესტან-დარეჯანი, ერთი მხრივ, მიჯნურს ევედრება საომრად არ წამოვიდეს, რათა უცილობელ სიკვდილს აარიდოს, მეორე მხრივ, დეტალურად აღუწერს ქაჯეთის ციხის მისადგომებს, რადგან დარწმუნებულია, ტარიელს ვერაფერი დააბრკოლებს. ამასვე მოწმობს ფატმანთან გაგზავნილი მისი წერილიც, რომელშიც კვლავ თხოვნაა გამუღავნებული ტარიელის შესაჩერებლად: „გეაჯები, საყვარელსა შემახვევე, შემაბრალე, ნუ წამოვა ძებნად ჩემად, მიუწერე, შე-ცა-სთვალე“ (1289), კვლავაც ისმის სიტყვები, რომ მისი სიკვდილის შემთხვევაში თავადაც მოკვდება: „მას მკვდარსა ვნახავ, მოკვდები მე სიკვდილითა ორითა“ (1290). აქ ყურადღებას იქცევს „ორი სიკვდილის“ ცნება, რომელშიც, ერთი მხრივ, მიჯნური ქალის ფიზიკურ და სულიერ სიკვდილსაც შეიძლება მოას-

* ალსინიშნავია, რომ ვანის ქვაბთა მონასტრის კედლებზე ანარჩეულაშვილის ხელით წარწერილია რუსთველის პოემის ორი სტროფი, რომელთაგან ერთ-ერთი სწორედ ეს სტროფია. ანა რჩეულაშვილი თავისი ნების წინააღმდეგ ჩანს ვანის ქვაბთა მონასტერში გამოკეტილი და „ვეცხისტყაოსნის“ სტრიქონებში აქსოვს თავის განწყობილებას, განცდას, გვამცნობს თავის მდგომარეობას. მას არ სურს მონასტერში ყოფნა, ახლობლების წრები ცხოვრება ერჩია, რაც ამ სტრიქონებით გამოხატა და ოცნებობს, რომ ნესტანის მსგავსად, ისიც ვანმებ დაიხსნას და გაიყვანოს დახურული სივრციდან (ზიანი 1959-1960; სულავა: 2010).

წავებდეს*, მეორე მხრივ, იგი იდიომური გამოთქმაა და მოქმედების გაძლიერების მიზანდასახულობის ფუნქცია აკისრია. ამავე წერილში ამსათანავე ქაჯეთის ამბებიცაა აღნიშნული: „ქაჯთა მეფე არ მოსულა, არცა მოვლენ ქაჯნი ჯერე, მაგრა სპანი უთვალავნი მცვენ და მათი სიალფე-რე...“ (1287). ნესტანის ფატმანისადმი გაგზავნილ ამ მცირე ზომის წერილში (სულ – 7 სტროფი) ქაჯეთის ციხის აღწერა და მასზე ყურადღების გამახვილება უცნაურად მოგვეჩენება, ზემოაღნიშნულ გარემოებას თუ არ გავითვალისწინებთ: ნესტანი დარწმუნებულია, რომ ტარიელს ვერაფერი შეაჩერებს და ამიტომაც ორივე წერილში გეგმის სახით ერთგვარ მონახაზს აკეთებს იქაური ვითარების შესახებ. ამ გზით იგი ტარიელს ერთგვარად მიანიშნებს კიდეც, რომ კარგად იცნობს მის პიროვნებას, სჯერა, რომ მიჯნური არაფერს შეუშინდება, სიცოცხლეს არ დაიშურებს მის გამოსახსნელად, ქაჯეთის გეგმა კი მას ბოროტ ძალებთან შებმას გაუადვილებს. აღნიშნული, თავის მხრივ, იმა-საც გულისხმობს, რომ ნესტანი ტარიელს ელოდება. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ გულის სიღრმეში ყველა მიჯნურს სურს, რომ სატრფომ განსაცდელისგან დაიხსნას და მათი „სიკვდიმდე გასატანი“ ტრფობა ბედნიერებით დაგვირგვინდეს. ნესტანის წერილში შესაძლებელია ამ ქვეტექსტის წაკითხვაც. ამას გვაფიქრებინებს ნესტანისგან საკუთარი სიცოცხლის უცილობელ ხელყოფაზე საუპარი და ტარიელისადმი მისი უსაზღვრო სიყვარულის, მისი სულიერი მდგომარეობის, შინაგანი განცდის არაერთგზის ხაზგასმა: „მომიგონებდე, გახსოვდე მე შენთვის დაკარგული სად; ვზი მზრდელად სიყვარულისა მის, ჩემგან დანერგულისად“ (1297); „მე სიკვდილი აღარ მიმდიმს, შემოგვედრებ რათგან სულსა, მაგრა შენი სიყვარული ჩავიტანე, ჩამრჩა გულსა; მომეგონოს მოშორვება, მემატების წყლული წყლულსა; ნუცა მტირ და ნუცა მიგლოვ, ჩემო, ჩემსა სიყვარულსა!“ (1306). როგორ არა ჰგავს ნესტან-დარეჯანის მიერ ქაჯეთის ციხიდან მიჯნურისათვის მიწერილი წერილი ინდოეთში მიჯნურისათვის მიწერილ პირველ წერილს, რომელშიც ინდოეთის ამაყი და თვითდაჯერებული მეფის ასულის ამპარტავანი პოზიცია ჩანს და მიჯნურს სწერს: „მზემან მეტი რაღა გიყოს, აჲა, ბნელი გაგითენ!“ (382). ქაჯეთის ციხეში ტყვედქმნილი ნესტანის პიროვნული თვისებები, შინაგანი ბუნება, სულიერი სამყარო სრულიად განსხვავებულია ინდოეთში მყოფი მეფის ასულისაგან, იგი

* ორი სიკვდილის არსის გააზრება იოანე პეტრინის „სათნოებათა კიბეშია“ მოცემული, რომელიც ითახებს სიხელის „კლემაქსითაა“ მოტივირებული. თხზულებაზი ორგვარი სიკვდილი გააზრებულია, როგორც 1. ბუნებრივი და 2. სულიერი, საქმეთა-გან გამოწვეული (პეტრინი, 1968: 64, 184; სულავა, 1977: 79).

გარდასახულია იმგვარ პიროვნებად, რომელსაც შეცნობილი აქვს სიყვარულის ყოვლისმომცველი და ცხოველმყოფელი ძალის სიძლიერე, წუთისოფლის აკარგი, სივეთისა და ბოროტების არსი. სწორედ ამითაა მიჯნურისადმი დამოკიდებულებაც განპირობებული.

ამგვარად, განხილული პასაჟები, ჩვენი აზრით, კიდევ უფრო გამოკვეთს ნესტანის ბუნებას და მის ფსიქოლოგიურ პორტრეტს ახალი შტრიხებით ავსებს. ამგვარი გააზრება გმირის სახეს უფრო მეტ ადამიანურობას ანიჭებს, მის ქალურ ბუნებას უფრო მეტად გახსნის და წარმოაჩენს. „პირგამებული“ და „მშვენიერი“ ვეფხვი-ნესტანი რეალურ ადამიანად, მიწიერ არსებად წარმოჩნდება, რომლის ხასიათის ცალკეულ თვისებებში სხვადასხვა ეპოქის მანდილოსნები საკუთარ თავს აღმოაჩენენ და შეიცნობენ. ყოველივე ზემოაღნიშნული კიდევ ერთხელ ცხადყოფს შოთა რუსთველის მიერ ადამიანის ურთულესი სამყაროს უცდიმელ წვდომას, მისი სულის ლაბირინთების (დეტალებამდეც კი) ღრმა ცოდნას (განურჩევლად სქესისა, წოდებისა, ასაკისა), უდიდეს ფსიქოლოგიურ გამოცდილებას და სიყვარულს ყოველივე ადამიანურისა, რაც ავტორის რენესანსული აზროვნებისაკენ მიღრეკილებაზე მიუთითებს.

3. „ყაბაჩა და ერთი რიდე“ – გმირთა ფსიქოლოგიური სამყაროს ნიუანსთა წარმომაჩენელი სახე-სიმბოლო.

„ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, ტარიელმა ხატაელთა საგანძურში ნაპოვნი ყაბაჩა და რიდე ნესტანის საჩუქრად დასახა – „იგი საძღვროდ მისად დავსხენ, ვისი შუქი მანათობდა“ (465/462, 1), – ამბობს იგი.

სამახსოვრო საჩუქარი, ზოდადად, შეიცავს არა მარტო საყვარელ ადამიანთან სიახლოვისა და დამკვიდრების განცდას, არამედ მოულოდნელი სიხარულის, აღფრთოვანების გრძნობასაც. ეს უკანასკნელი მას განსაკუთრებულ ხიბლს ჰმატებს და, ამდენად, უფრო ბუნებრივი იქნებოდა, ტარიელს ის ნესტანისათვის პირადად გადაეცა; მით უფრო, რომ მან „ყაბაჩა და ერთი რიდე“ ნახვისთანავე ნესტანის საძღვროდ განაჩინა. საპირისპიროდ ამისა, ინდოეთში გამარჯვებით დაბრუნებულ გმირს ნადიმზე მიჯნურისათვის განკუთვნილი რიდე თვით ჰქონდა მობურული:

რიდენი რომე მეშოვნეს ქალაქსა ხატაელთასა,
იგი მეხვივნეს, მშვენოდეს, ვახელებ გულსა ხელთასა,

მეფე გარდახდა, დარბაზსა შევედით ჩემთა მზრდელთასა,
და შევხედენ, დავჰკრთი ელვასა ღაწვთა მათ მზებრ ნათელთასა.

(481/478),

– ამბობს იგი.

რუსთველი ტარიელის ამგვარი ქცევის აღნერით, ვფიქრობთ, მკითხველის მოლოდინს აცრუებს და მოულოდნელობის ეფექტს ქმნის. ჩვენთვის თითქოს წინასწარ ცნობილი და მოსალოდნელი პასაჟი სულ სხვაგვარ სახეს იღებს, რაც მომავალი, არაორდინარული თხრობისადმი ინტერესს აძლიერებს. ამასთანავე, იგი გამოკვეთს აზრს, რომ „უცხო მოყმისაგაბა“ უცხო ქმედება არა საკვირველი, რომ იდეალური გმირი თავისი ფსიქიკით, ქცევითა და განცდით სხვათაგან განსხვავებულია. პოეტისეულ ამ ხერხს, ვფიქრობთ, სხვაგვარი დატვირთვაც აქვს: ტექსტის მიხედვით, რიდემ სანადიმოდ შემოსილ გამარჯვებულ ტარიელს (სხვათა გულის გასაგმირად) სიტურჯე შეპმატა და მისი მშვენიერება მომეტებულად წარმოაჩინა („იგი მეხვივნეს, მშვენოდეს, ვახელებ გულსა ხელთასა“). შესაძლებელია, ამ ქმედებით ტარიელმა უცხო რიდისაგან განკრძალა მტრისეული იერი და მას რაინდისა და მიჯნურის სახე-ხატი დაუმკვიდრა. გმირმა თავისი სულიერი სამყაროთ შემოსა, სითბო-სიყვარულით დამუხტა რიდე, ახალი სიცოცხლე შთაბერა და ნესტანთან გასაგზავნად განამზადა, რათა იგი სატრფო-სათვის მუდმივი სიყვარულის სიმბოლო-ნიშანი გამხდარიყო. ამასთანავე, ავტორი კიდევ ერთხელ აღნიშნავს რიდის განსაკუთრებულობას, მნახველებზე მისი მშვენიერების გამაოგნებელ, „გამახელებელ“ ზემოქმედებას, რაც მისი ფლობის დიდ წყურვილს აღძრავდა. ალბათ ეს გარემოება გაითვალისწინა ტარიელმა, წინასწარ განჭვრიტა, რომ რიდე სატრფოს უთუოდ მოეწონებოდა (გონჯილაშვილი, 2000: 57-76).

ტარიელის ინტუიცია გამართლდა – რიდის ხილვამ სწორფერის გულში მისი ფლობის სურვილი წარმოშვა. მართლაც, ნადიმზე ტარიელის მხილველი ნესტანი ვერ ფარავს თავის აღტაცებას მიჯნურისა და მისი თავსაბურავის მშვენების მიმართ. წერილში იგი რაინდს უმხელს სიყვარულს და სთხოვს მისეული რიდის ჩუქებას: „და რომე წელან მოგეხვიენეს, იგი ჩემთვის არიდენო“ (498/495, 4).

სამეცნიერო ლიტერატურაში (დ. კარიჭაშვილი, ვ. ნოზაძე, სილ. ხუნდაძე, კ. ჭიჭინაძე, ალ. ბარამიძე) ამ სტროფთან, კერძოდ, სიტყვის – „არიდენო“, სემანტიკასთან დაკავშირებით გამოოქმულია სხვადასხვა ვარაუდი. უმრავლესობის აზრი შესაძლოა გამოიხატოს ამ სტროფის ვ. ნოზაძისეული განმარტებით: „მაჩუქე შენი რიდე, რომელიც ამას წინად

შენ გშვენოდა; როცა მე შენი რიდეთი მნახავ, შენც გეამება, ვინაიდან როგორც შენეული ანუ შენ მიერ ნაქონები, მეც დამშვენდესო“ (5, 71). შემდგომი ტაეპები მართლაც ამტკიცებენ ამგვარ წაკითხვას:

იგი მე მომეც რიდენი, რომელნი წელან გშვენოდეს,
რა მნახო, შენცა გეამოს, შენეულითა მშვენოდეს (499/496, 1-2), –
ნერს იგი.

ნესტანმა არ იცოდა საჩუქრის წარმომავლობა. საკვირველი რიდე მისთვის ძვირფასი იყო, ვითარცა ტარიელის მშვენების წარმომჩენი, პიროვნული სამშვენისი, რომელიც მას სატრფოს გულისა და სხეულის სითბოს უწილადებდა.

რიდე, ერთგვარად, ტარიელის სახების გამანივთებელია ნესტანში („შენეულითა მშვენოდეს“); თავად ტარიელისათვის კი საამო განცდის მომტანია მისი საჩუქრით სატრფოს ხილვა („რა მნახო, შენცა გეამოს“). თავისი სრულქმნილების გამო, რიდის სახე-სიმბოლოს შესწევს უნარი, ნესტანს ტარიელის სიტურფე-სინატიფე განაცდევინის და ასეთ ფონზე თავადაც ტურფად სანახავი გახდეს. რუსთველისთვის მშვენიერია ის, რაც მშვენიერია უმაღლეს იდეალთა წვდომასა და ადამიანთან მიმართებით.

ამასთანავე, ძვირფასი საჩუქრები ნესტანისათვის იყო მიჯნურის შეუდარებელი გმირობის მოსაგონარი სამახსოვრო, უმაგალითო ბრძოლაში მოპოვებული, რომელიც სწორედ ნესტანის დავალებით განხორციელდა. მიჯნურს, უწინარეს ყოვლისა, გმირობა ამშვენებს. ნესტანი რაინდის მოვალეობად და მათი სიყვარულის გამამყარებელ ძალად სახელის მოხვეჭასა და „თავის კარგად გაჩვენებას“ მიიჩნევდა. ამდენად, ყაბაჩა და რიდე საბრძოლო ქველობის ლირსებით იყო შემკული და სატრფოსათვის კიდევ უფრო მეტად ფასეული. იგი გმირთა განუშორებლობის, შეკავშირების ერთგვარ ნიშნად აღიქმება. ამ ვარაუდს საფუძველს უმაგრებს ნესტანისგან მომდინარე წინასწარი ქმედება: რიდის სანაცვლოდ და ტარიელის საამებლად, ნესტანი მას უგზავნის თავის სამშვენისს – სამკლავეს, როგორც ძვირფას სახსოვარს, რომელიც მისი თხოვნის შესრულების ერთგვარი გარანტია:

ესე სამკლავე შეიბი, თუ ჩემი გა-ლა-გვლენოდეს,
და ერთი ასეთი ცოცხალსა სხვა ღამე არ გაგთენოდეს (499/496, 3-4),
– სნერს ნესტანი.

ტარიელმა, ასმათის ხელით, მიიღო სატრფოსეული ნიშან-სიმბოლო – სამკლავე და დაუყოვნებლივ აღასრულა ნესტანის თხოვნა:

ასმათის ნახვა მეამა, ჩემგან დად საესავისა.
წიგნი რა ვნახე, მომართვა ესე საპამი მკლავისა.
მკლავსა შევიძი მაშინვე, მოვიხსენ რიცე თავისა,
და იგი უცხო და ღარიბი, მტკიცისა რასმე შავისა (505/502),

– მოუთხრობს ავთანდილს ტარიელი, საიდანაც ვიგებთ, რომ იგი ნესტანის თავისი გრძნობის პასუხად ყაბაჩასა და რიცეს უგზავნის:

განალამცა ვიწინაშე, აპა რიცე, რომე მთხოვე;
ყაბაჩაცა ასეთივე, ამისებრი ვერა ვპოვე (508/505, 1-2),

– დასძენს იგი.

ვ. ნოზაძის აზრით, „ამ საჩუქართა გაცვლით ნესტანისა და ტარიელის ნიშნობა ხდება, – ეს საჩუქარი მათი ურთიერთი სიყვარულის ნიშანი არის და ამასთანავე ალთქმა სიმტკიცისა და მარადისობისა სიყვარულში“ (ნოზაძე 1975: 340)

ამ ეპიზოდთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი გარე-მოება: მეფე-დედოფალმა ნადიმზე ტარიელის თავსაბურად თავისი უცხოობით და ერთადერთობით გამორჩეული რიცე იხილა, რომელიც შემდგომ ნესტანის განუშორებელ ნაწილად იქცა; ნესტანისეული სამხრე კი მუდამ ამშვენებდა ტარიელის მკლავს. შესაბამისად, მათი წარმომავლობის დადგენა ნესტანის მშობლებისათვის ძნელი არ იქნებოდა. ამდენად, არა მარტო ნესტანის დანახვისას ტარიელის დაბნედა, არა მხოლოდ „მალვით ჭვრეტა“, არამედ ყველაზე თვალნათელი ფაქტი – ტარიელისა და ნესტანის მიერ სამახსოვრო საჩუქრების (ყაბაჩარიდისა და სამხრის) გაცვლა – სრულიად საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რათა მეფე-დედოფალს მათ შორის ტრფობის ცეცხლი შეემჩნია. ვფიქრობთ, სწორედ ყაბაჩა-რიცე და სამკლავე ფარსადანისათვის თვალნათელი მოწმობა მათი დაფარული სიყვარულისა და ერთ-ერთი მიზეზი (თუმცა, დაუსახელებელი) მეფის სიტყვებისა –

მეფე ბრძანებს: „ვიცი, ვიცი, მეტად კარგად შემიგნიან:
მას უყვარდა ქალი ჩემი, სისხლი ველთა მოუღვრიან... (576/576, 2-3).

ამგვარად, რუსთაველის მიერ შექმნილი მხატვრული სახეები – ყაბაჩა-რიცე და სამხრე – სიმბოლურად გმირთა ამაღლებული სიყვარუ-

ლის თვალნათელი მოწმობაა, მიჯნურთა საიდუმლო ნიშნობის განხორციელებაა; ამავდროულად, სამეფო კარისათვის მათ შორის არსებული ფარული ურთიერთობის გაცხადება და ერთგვარი დემონსტრირებაც კი, თუმცა რუსთველი ამაზე არ საუბრობს და მის ამოკითხვა-ამოცნობას მკითხველს მიანდობს.

ამრიგად, ჩვენ მიერ განხილული ეპიზოდები კიდევ უფრო მეტად წარმოაჩენენ და გამოკვეთენ ნესტანისა და ტარიელის ბუნებას, მათ ფსიქოლოგიურ პორტრეტს ახალი შტრიხებით ავსებენ. ამგვარი გააზრება თითოეული გმირის სახეს უფრო მეტ ადამიანურობას ანიჭებს, ნესტანის ქალური ბუნების უკეთ გახსნასა და ტარიელის შინაგან სამყაროში მიმდინარე ჭიდილის უფრო მეტად წარმოჩენას ემსახურება. „პირგამეხებული“ და „მშვენიერი“ ვეფხვი-ნესტანი რეალურ ადამიანად, მიწინერ არსებად წარმოჩნდება, რომლის ხასიათის ცალკეულ თვისებებში სხვადასხვა ეპოქის მანდილოსნები საკუთარ თავს აღმოაჩენენ და შეიცნობენ. ტარიელის სახე-ხატის ვაჟკაცური ბუნებისა და მიჯნური რაინდის ნაზი, ყოვლისშემძვრელი განცდების ასახვით ავტორი ადამიანის მრავალფეროვან ფსიქოლოგიურ სამყაროზე ამახვილებს ყურადღებას. ყოველივე ზემოაღნიშნული კიდევ ერთხელ ცხადყოფს შოთა რუსთველის მიერ ადამიანის ურთულესი სამყაროს უცდომელ წვდომას, მისი სულის ლაბირინთების (დეტალებამდეც კი) ღრმა ცოდნას (განურჩევლად სქესისა, წოდებისა, ასაკისა), უდიდეს ფსიქოლოგიურ გამოცდილებას და სიყვარულს ყოველივე ადამიანურისა, რაც ავტორის რენესანსული პზროვნებისაკენ მიდრეკილებაზე მიუთითებს.

დამოშეგანი:

გონჯილაშვილი 2000: გონჯილაშვილი ნ. „ყაბაჩა და ერთი რიდე“. შოთა რუსთველი, სამეცნიერო შრომების კრებული, I. თბილისი :L 2000.

ნათაძე 1966: ნათაძე ნ. რუსთველური მიჯნურობა და რენესანსი. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1966.

ონიანი 1959ა: ონიანი შ. „ვეფხისტყაოსნის“ ორი სტროფი ვანის ქვაბთა მონასტრის ერთ წარწერაში“. საიუბილეო კრებული. მიძღვნილი აკად. კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისავისადმი. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1959.

ონიანი 1959ბ: ონიანი შ. ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია. საბჭოთა ხელოვნება, № 7.1959.

ონიანი 1960: ონიანი შ. ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია. საბჭოთა ხელოვნება“, №8. 1960.

რუსთველი 1966: შოთა რუსთველი. ვეფხის ტყაოსანი. ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ, ორ ტომად, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით. I. თბილისი: „მეცნიერება“, 1966.

სირაძე 1982: სირაძე რ. სახისმეტყველება. თბილისი: „ნაკადული“, 1982.

სულავა 1977: სულავა ნ. რუსთაველი და ძველი ქართული სასულიერო პოეზია. საკანდიდატო დისეტრაცია, თბილისი, 1977 (ხელნაწერის უფლებით).

სულავა 2010: სულავა ნ. „ვეფხისტყაოსნის“ ანა რჩეულაშვილისეული ვერსიის მნიშვნელობა რუსთველობრივისათვის. გულანი. ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, № 9.2010.

პეტრინი 1968: პეტრინი იოანე. სათნოებათა კიბე. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმ. თბილისი: „მეცნიერება“, 1968.

ჭავჭავაძე 1984: ჭავჭავაძე ი. თხზულებანი. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1984.

NANA PRUIDZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

For Interpretation of the Fragment of “The Knight in the Panter’s Skin”

“Vepkhistkaosani” is being studied for many years. Also there are many parts in the text which demand to be read and considered several times.

Now our topic to discuss is etymology of “Sevda” (Sorrow). It is an Arabian word سَادَهْ (sawdā') and means “a black dot in the heart”. It is also explained as “black” and “melancholy”. In Turkish language “Sevda” was imported from Arabian, but with completely different meaning: “Love”, “Strong love” “Passionate love”. We think that Rustaveli had already known the “new” definition of Sevda and in several occasions they used the new meaning.

Key words: “Vepkhistkaosani”, “Sevda”(Sorrow), interpretation.

ნანა ფრუიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ერთი ფრაგმენტის ინტერპრეტაციისთვის

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შესწავლას მრავალნაიანი ისტორია აქვს და მთელი ამ ხნის განმავლობაში რუსთველოლოგები არა მარტო ძირითადი ტექსტის დადგენას, არამედ პოემის შინაარსის სწორად განმარტებასაც ესწრაფვიან. მიუხედავად მეცნიერთა რამდენიმე თაობის თავდაუზოგავი შრომისა, დღემდე იკვეთება რიგი საკითხებისა, რომელთა შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა; ასევე, მრავლად შეიძლება დაიძებნოს ტექსტში ისეთი ადგილი, რომელიც განსხვავებული წაკითხვისა და გააზრების სურვილს აღძრავს.

ზოგადად, ცნობილი ფაქტია, რომ ენა სარკესავით ირეკლავს მძლავრების ქვეშ გატარებულ წლებს და ცვლილებას ყველაზე ადრე ლექსიკა განიცდის; უცხო სიტყვების სიმრავლე პირდაპირპროპოზულადაა დამოკიდებული მონობაში გატარებული დროის ხანგრძლივობაზე. როგორც წესი, ამგვარი იძულებითი ნასესხობისას სიტყვის მნიშვნელობა უცვლელი რჩება, თუმცა ისეც შეიძლება მოხდეს, რომ სიტყვამ ძველის პარალელურად ახალი მნიშვნელობაც შეიძინოს; ამ მოვლენას ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სხვადასხვაგვარი ახსნა გააჩნია. ამჯერად ჩვენი მსჯელობის საგანია „სევდის“ ეტიმოლოგიისა და პოემაში ამ სიტყვის სემანტიკური ველის გაფართოვების საკითხი.

სევდა ს უ ა ძ ა შ (sewda') არაბულიდან ითარგმნება, როგორც „გულში არსებული შავი წერტილი“; ამ სიტყვით აღნიშნავენ „შავ ნაღველს“, „მელანქოლიას“; ქართულში ხსენებული სიტყვა სწორედ ამ მნიშვნელობით დამკვიდრდა არაბთა ბატონობის პერიოდში და დღემდე ასე გამოიყენება. სულხან საბას განმარტებითაც სევდა „სხვათა ენაა. ქართულად შავი ნავდელი ჰქვიან“ თუმცა იყო პერიოდი, როცა სევდა ჩვენში კიდევ ერთი, სრულიად განსხვავებული მნიშვნელობით იხმარებოდა.

X საუკუნეში რეგიონში პოლიტიკური „კლიმატი“ შეიცვალა – თურქებმა ნელ-ნელა განდევნეს არაბები წინა აზიიდან, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, მათგან ბევრი რამ შეითვისეს და გაითავისეს. თურქულმა ენამ და კულტურამ არაბულის მძლავრი ზეგავლენა განიცადა, მაგრამ გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო, უფრო ხშირად ამას არა მწიგნიბრული, არამედ ზეპირმეტყველებითი ხასიათი ჰქონ-

და. შესაძლოა, სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ძველ ოსმალურში არაბულიდან შესულმა „სევდამ“ მწუხარების ნაცვლად „სიყვარულის“, „სიყვარულით აღძრული ძლიერი ვნებისა და სურვილის“, „სიყვარულით გამოწვეული დაავადების“, „დამაუძლურებელი გრძნობის“, „დაუთმენელი ძლიერი ვნების“ მნიშვნელობა შეიძინა.*

არაბთა იმპერიის დასუსტების კვალობაზე საქართველო წელ-ნელა ცდილობდა დანაწევრებული ეროვნული სხეულის გამთლიანებას, მაგრამ სანამ დავით აღმაშენებელი საბოლოოდ განდევნიდა ჩვენი ქვეყნიდან არაბებს და მათ უკანასკნელ ციტადელს – თბილისის საამიროს – გაანადგურებდა (1121–1122), X-XI საუკუნეებში დამპყრობელთა ახალი მძლავრი ტალღა დაგვატყდა თაგას. ეს ხანა „დიდი თურქობის“ სახელითაა ცნობილი. თურქ-სელჩუკებმა სამხრეთ საქართველო პირველად 1064 წელს მოარბიეს. ინტენსური ხასიათი კი მათმა შემოსევებმა 1080 წლიდან მიიღო. სელჩუკებმა წესად შემოიღეს გაზაფხულზე შემოსვლა და დაზამთრებამდე დარჩენა. ამდენად, მათი გავლენა მეტად საგრძნობი შეიქნა არა მარტო პოლიტიკური და ეკონომიკური, არამედ ყოფითი თვალსაზრისითაც (ენა, ჩვეულებები და ა. შ.).

როდის უნდა შემოსულიყო „სევდა“ ქართვულ ენაში? ცხადია, ეს ვერ მოხდებოდა VII საუკუნის შუახანებამდე, ანუ არაბთა მძლავრების დაწყებამდე, ხოლო მეორე, განსხვავებულ მნიშვნელობას „სევდა“ მხოლოდ XI საუკუნეში თუ შეიძენდა, „დიდი თურქობისას“. ჩვენი აზრით, არც ისაა გამორიცხული, სიტყვა „სევდა“ პარტიკულად ერთდროულად გაეცნო როვე მნიშვნელობით ქართველ მკითხველს, რადგან არც კლასიკურ ხანაზე ადრე შექმნილ აგიოგრაფიულ ტექსტებში და არც მატიანებებში ამ სიტყვის გამოყენება არცერთი მნიშვნელობით არ დასტურდება**. სევდა საეროლიტერატურამ შეითვისა და, შესაძლოა, ეს იმიტომ მოხდა, რომ სწორედ ნათარგმნ საერო ტექსტს „შემოჰყვა“ ეს უკანასკნელი.

დავით აღმაშენებელმა, მართალია, პოლიტიკურად „ჩაკეტა“ ქვეყნის საზღვრები, მაგრამ გზა გაუხსნა აღმოსავლურ კულტურას, რომლის ერთ-ერთი ცენტრი ჩვენგან სულ ახლოს, შირვანში მდებარეობდა. სპარსულ სინამდვილეში იქმნება ბრწყინვალე ტექსტები, რომელთა

* ჩვენს შემთხვევაში ისიც ნიშანდობლივად გვეჩვენება, რომ თურქულში „აშქ“ მოზეიმე, ბედნიერი სიყვარულია, „სევდა“ კი – ცალმხრივი, ნარუმატებელი, გაურკვეველი მომავლის მქონე ძლიერი გრძნობა.

** „სევდა“ მხოლოდ ერთადერთ და ისიც გვიანდელ აგიოგრაფიულ ტექსტში გვხვდება. ესაა XVIII საუკუნეში შექმნილი „წნმება წმიდისა მღდელთ-მონაშისა შიოსი და მოყუასთა მისთა“ („სევდა და წნუშილი ჰქონდა მიცვალებისათვის მეულლისა...“ (ძველი 2014: 101).

დედნის ენაზე გაცნობის შესაძლებლობა უკვე აქვს ქართულ არისტოკრატიას; შესაბამისად, ჩნდება სურვილი ყველაზე პოპულარული ტექსტებს ქართულ ენაზე გადმოღებისა და აი, იმ დროისათვის რეკორდულად მცირე ვადაში, შექმნიდან დაახლოებით ასი წლის შემდეგ, XII ს. შუახანებში სარგის თმოველი თარგმნის „ვისრამიანს“, რომელიც სელჩუკთა სამეფოს დამაარსებლის, თოლრულ-ბეგის (1037-1063) კარის მგოსანმა, ფახრ უდ დინ გორგანმა სავარაუდოდ 1055 წელს ააუღერა ახალ სპარსულ ენაზე.

აშკარაა, რომ „ვისრამიანმა“ მძლავრი ბიძგი მისცა ჩვენში საერო ლიტერატურის განვითარებას. ყოველ შემთხვევაში, კლასიკური ხანის თითქმის ყველა ავტორი საჭიროდ მიიჩნევს, რომ ამა თუ იმ ფორმით გამოამჟღავნოს მისი ცოდნა. „ვისრამიანის“ გმირები ქართული კლასიკური მწერლობის თითქმის ყველა ძეგლში არიან მოხსენიებულნი, მათ შორის „აბდულმესიანში“ – „გვმობ ვამეყ-ვისსა, ართუ მეყვისსა“ (შავთელი 1988: 32,1-2), „თამარიანსა“ – „რამინს უშენოდ, სტკივის: უშენოდ შვრებოდა ვისის ნამიჯნურევად (ჩახრუხაძე 1988: V,22) და, ცხადია, „ვეფხისტყაოსანშიც“: „იგი ჭირი არ უნახავს, არ რამინს და არცა ვისსა“ (რუსთაველი: სტრ. 183, 3). ფატმანს ჰკვლიდა უმისობა, რამინისა ვითა ვისსა“ (რუსთაველი: სტრ. 1080, 4). „ნუ ეჭვ მიჯნურად მათებრსა, ნუმცა თუ რამინს და ვისსა“ (რუსთაველი: სტრ. 1543, 4). საგულისხმოა, რომ „ვისრამიანის“ გმირთა სახელები მოხსენიებულია თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (კეკელიძე ...1969:147).

ვფიქრობთ, „სევდას“ პირველად „ვისრამიანის“ ტექსტში უნდა შეხვედროდა ქართველი მკითხველი, რადგან სწორედ „ვისრამიანის“ თარგმნის შემდეგ იკიდებს ფეხს ეს სიტყვა ქართულ ლიტერატურაში.

ცნობილია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გარდა, კლასიკური ხანის სამი ორიგინალური ტექსტია ჩვენამდე მოღწეული: „ამირანდარეჯანიანი“, „აბდულმესია“ და „თამარიანი“. დასახელებულთაგან ყველაზე ადრინდელი „ამირანდარეჯანიანი“ უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, „ვისრამიანის“ თარგმნამდე შექმნილს ჰგავს, რადგან ჯერ ერთი, მასში არ არიან ნახსენები „ვისრამიანის“ გმირები; მეორეც, ამ სარაინდო ეპოსის გმირების სულიერი სამყარო ჯერ არც ავტორის და, როგორც ჩანს, არც მკითხველის ინტერესის საგნად არ არის ქცეული. როცა „ამიარანდარეჯანიანი“ იწერება, ქართულ სინამდვილეში ჯერ კიდევ არ ცდილობენ ჩაიხედონ გმირის სულში, ახსნან მისი ქმედება გრძნობა-განცდათა კვალობაზე; რაინდის პიროვნული, ინდივიდუალური სახე ჯერ კიდევ გაურკვეველი და ბუნდოვანია, ხოლო ქალი პერსონაჟები სრუ-

ლიად სქემატურნი და უსახურნი არიან. ამდენად, ლოგიკურია, რომ „სევდის“ გაგება უცხოა „ამირანდარეჯანიანის“ პერსონაჟებისათვის და ქართულ ლექსიკაში რომც იყოს ეს სიტყვა შემოსული, ავტორი, მოსე ხონელი, მას არ გამოიყენებდა.

დანარჩენი ორი ოთხულება – „აბდულმესია“ და „თამარიანი“ – სახოტბო პოეზიის ნიმუშებია და, სავარაუდოდ, არც იყო მოსალოდნელი, რომ მათში გამოეყენებინათ სიტყვა „სევდა“, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შავთელიცა და ჩახრუხაძეც იცნობენ „ვისრამიანის“ ტექსტს.

სარგის თმოგველის მიერ შესრულებულ „ვისრამიანის“ პრეინ-ვალე პროზაულ თარგმანში „სევდა“ ოთხერაა ნახსენები და მათგან სამ შემთხვევაში აშკარად მწუხარების მნიშვნელობით:

1. „ყოველი ქვეყანა მისგან მხიარულ იყო და იგი დაღრევილ იჯდა, კაცთა ლოცვა და ქენება მას სევდად და მოთქმად უჩნდა“ (ვისრამიანი 1964:48).

2. „ოდესცა მიბრძანოთ, განაღამცა სირბილითა მოვიდოდე თქვენს წინაშე. ნუთუმცა ამა სნეულობასა და სევდიანობასა ავეხ-სენ, თქვენითა წყალობითა მთასა და ბარსა ნიადაგ ნადირობითა ვი-ხარებდე, ზოგჯერ ავაზითა, ზოგჯერ ქორითა და ძალლითა გამოვს-ცადო სანადირო ყველაი!“ (ვისრამიანი 1964:199).

3. „ხელმწიფენი და მათნი ცოლნი, დიდებულნი და მათნი ცოლნი შვილთათანა მოვიდიან კითხვად და მიდამოუსხდიან. ზოგმან ზაფრა და სევდა თქვის და ზოგმან გრძეულთაგან მოჩიბულობა“ (ვისრამიანი 1964: 227).

მაგრამ ცალსახად ასე ვერ გავიგებთ ტექსტის შემდეგ ფრაგ-მენტს: „შენი სევდა საყელოთა მაგრად დამიჭირავს და სიყვარულსა ვერ მოვითმენ, შენსა გონებასა ვერ მიგრიდებ და ხელთა შენისა სამ-სახურისაგან არ დავიწყნარებ; არცა თვალითა ჩემითა უშენოდ ლბინისა გამცდელი ვეგები. ვირე ცოცხალ ვარ, ვიწვი შენითა გონებითა. რაღა ვთქვა შენი სამართალი ქება, თუ გონება აღარა მაქვს და ენა დამბ-მია? მოშორება შენი არცა ან შემიძლია“ (ვისრამიანი 1964:370). თუ გავიხსენებთ, რომ „სევდა“ თურქულში „სიყვარულით აღძრულ ძლიერ ვნებასა და სურვილს“ /„დაუთმენელ ძლიერ ვნებასაც“ ნიშნავს, მაშინ დამონმებულ ფრაგმენტში სწორედ დაუთმენელ ვნებაზე, ლტოლვასა და კვლავ ვისისთან ერთად ყოფნის სურვილზე უნდა იყოს საუბარი და არა უბრალოდ მეუღლის გარდაცვალებით გამოწვეულ მწუხარებაზე.

„ვეფხისტყაოსანში“ სიტყვა „სევდა“ 23-ჯერ არის გამოყენებული. ვფიქრობთ, რუსთველისთვის ნაცნობია სევდის ორივე მნიშვნელობა

და ეს სიტყვა პოემაში ზოგიერთ შემთხვევაში სწორედ „სიყვარულით აღძრულ ძლერ ლტოლვას“ უნდა ნიშნავდეს.

ჩვენი კონცეფციის გასამყარებლად დავიმოწმებთ მაკა ელბაქიძის სტატიაში „სენი მე მჭირს რაცა ჭირად...“ (ელბაქიძე 2006: 63) მოხმობილ უაღრესად საინტერესო ამონარიდს ერთი არაბული ანთოლოგიდან: „მეტროვ პოეტს ეკითხება: რა უნდა იღონოს შეყვარებულმა მამაკაცმა? პოეტი უპასუხებს: მან უნდა დამალოს სიყვარული, სევდა დაითმინოს, იყოს თავმდაბალი, მორჩილი და მოკრძალებული. ხოლო თუ მას სიყვარულის დათმენა არ ძალუძს, მხოლოდ ტანჯვაა ერთად-ერთი სასურველი გზა. მეტროვე: გემორჩილები, მაგრამ მე მეტს ვე-ლარ ვიცოცხლებ; აცნობე მას, ვინც ჩემი გული ცეცხლის ალში გახვია, ჩემი სავალალო თავგადასავალი. მე დავწვები მისი კარის დირესთან და თავს მოვიკლავ. ბედნიერი ვიქები, თუკი აღდგომის დღე ერთმანეთს კვლავ შეგვყრის“. საყურადღებოდ გვეჩვენება რეკომენდაციათა თანმიმდევრობა – „სიყვარული დამალოს... სევდა დაითმინოს“ (შრდ.: „არ დაჩნდეს მიჯნურობა, სჯობს, თუ კაცსა ეახლების“). ვფიქრობთ, აქაც მწუხარებაზე კი არა, სიყვარულით გამოწვეული ვნების, ლტოლვის დათმენაზე უნდა იყოს საუბარი; მწუხარება კი არ უნდა დაითმინოს მიჯნურმა, პირიქით, სწორედაც უნდა იტანჯოს და რამდენადაც გაუსაძლისი იქნება დარდი, იმდენად მოახლოვდება აღსასრული, რომელიც საუკუნო განსასვენებელში ბედნიერების მოპოვების ერთად-ერთი გზაა.

„ვისრამიანში“ რამინის გამიჯნურების ამბის მოთხრობის შემდეგ ავტორი ერთგვარ ლირიკულ წიაღსვლას გვათავაზობს: „მიჯნურსა ჭირად ესე ეყოფის, რომელ მიწყით ჭირსა შიგან არის და მოყვარისა ნატვრასა. ნიადაგ ხვაშიადსა გულსა შიგან შენახვა უნდა, ვერვის გლახ მიანდობს თავის გულისა სიტყვასა“ (ვისრამიანი 1962: 46). როგორც ვხედავთ, აქაც სწორედ იმავე საკითხებზე კეთდება აქცენტი, რომლებზეც არაბულ ანთოლოგიაში იყო საუბარი: მიჯნური შესაბრალისია, რადგან მუდმივად სატრიფოს ნატვრაშია, მისადმი უნუგეშო ლტოლვა ტანჯავს და ვერც ვერავინ დაეხმარება, რადგან იძულებულია, საიდუმლოდ შეინახოს თავისი გრძნობა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვფიქრობთ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ რამდენიმე შემთხვევაში „სევდა“ დაუთმენელი სასიყვარულო ლტოლვის მნიშვნელობით უნდა იყოს გამოყენებული. კერძოდ, შემდეგ სტროფებში: 304,2; 310, 4; 352,2; 369,1; 517,1 და 726,3. შევეცდებით ცალ-ცალკე განვიხილოთ თითოეული პასაჟი.

კაცმან ვით პოვოს, ღმრთისაგან რაც არა დანაბადია! მით გული ჩემი სევდამან ან ასრე დანაბა დია, კვლა გზასა მიკრავს, მიჭირავს მითქს ბადე დანაბადია; და ან ხელთა, ნაცვლად ლხინისა, ჩალა მაქვს და ნაბადია“. (რუსთაველი: სტრ. 304,2)

ამ სიტყვებს მაშინ ტარიელი ამბობს, როცა უკვე გადაწურული აქვს ნესტანის პოვნის იმედი, მაგრამ მისი სურვილის ბადეში გაპმულს სანის გზის პოვნა არ ძალუდს.

ისმენდი, მიეც გონება ჩემთა ამბავთა სმენასა; საუბართა და საქმეთა ვისთა ძლივ ვათქმევ ენასა, იგი, ვინ ხელ-მქმნის, მოველი მისგან აროდეს ლხენასა, და ვისგან შევუცავ სევდათა, სისხლისა ღვართა დენასა. (რუსთაველი: სტრ. 310,4)

ამ შემთხვევაშიც შესაძლებლად მიგვაჩინა, ტარიელის სიტყვები შემდეგნაირად გაიგოთ: მისგან, ვინც გონება დამაკარგვინა, ლხენას ალარ მოველი, ამიტომაცაა გაუსაძლისი მისი სურვილი.

აქიმნიცა იკვირვებდეს: „ესე სენი რაგვარია? სამჯურნალო არა სჭირს რა, სევდა რამე შემოჰყრია“. ზოგჯერ შმაგად წამოვიჭრი, სიტყვა მცთარი წამერია. დედოფალი ზღვასა შეიქმს, მას რომ ცრემლი დაუღვრია. (რუსთაველი: სტრ. 352.2)

სამეფო კარის ექიმები თვლიან, რომ ტარიელის მკურნალობას აზრი არ აქვს, რადგან ის შეყვარეულია, ამ სენს კი წამალი არ შველის. „ვისრამიანში“ მთხოობელი როცა ახლად გამიჯნურებული რამინის უნუგეშო მდგომარეობას აღწერს, ამბობს: ადამიანს სიცხეს რომ მის-ცემს, შიშობენ, რამე არ დაემართოს და ათასგვარ წამალს ასმევენ, მიჯნურის დახმარებას კი არავინ ცდილობს, რადგან ეს შეუძლებელია.

ვეცდებოდი, არა მცალდა სევდისაგან თავის კრძალვად; ვიგონებდი, ცეცხლი უფრო მედებოდა გულსა ალვად; ჩემი სწორნი წავიტანენ, ჩემსა დავჯე, მთქვიან ალვად, შევქმენ სმა და ნადიმობა პატიუთა და ჭირთა მალვად.

(რუსთაველი: სტრ. 369,1)

ვფიქრობთ, ამ სტროფშიც ტარიელი ნესტანისადმი აღძრულ დაუთმენელ სურვილსა და ლტოლვაზე საუბრობს. რაინდის თქმით, რაც უფრო მეტს ფიქრობდა სატრფოზე, მეტად ედებოდა ცეცხლად მისი სურვილი, ამიტომ ტოლები სანადიმოდ აწვია, რათა გული გადაეყოლებინა.

მეტმან სევდამან მიმწურა გულსა დაცემად დანისად.

ასმათის მონა შემოდგა, მე ვჯე ლალი და ჯანისად,

წიგნი მომართვა, ეწერა: „ვინ სჩან ალვისა ტანისად,

ადრე მოდიო, გიბრძანებს, დაუყოვნებლად ხანისად.

(რუსთაველი: სტრ. 517,1)

ამ სტროფშიც, რომელშიც ტარიელი თავის სილადეზე საუბრობს, „სევდაში“ მწუხარება არ უნდა იგულისხმებოდეს. რაინდს სატრფოს-თან სიახლოვის დაუძლეველი და, მისი აზრით, სრულიად განუხორციელებელი სურვილი აღუძრავს თავის მოკვლის წადილს.

საყურადღებოდ გვეჩვენება პოემის კიდევ ერთი ეპიზოდი: არა-ბეთში დაბრუნებული ავთანდილი თინათონთან პირისპირ შეხვედრის შემდეგ ძლიერ სულიერ მღელვარებას განიცდის. სასახლიდან წამოსული ადგილს ვერ პოულობს – „ზოგჯერ ადგის, ზოგჯერ დაწვის, ხელსა რადმცა დაეძინა!“ (რუსთაველი: 724,3). სიყვარულით გახელებული იმასდა ნატრობს, თინათინი სიზმრად მაინც იხილოს: „ცხადად ნახვასა არ ღირს ვარ, ნეტრამცა სიზმრად გნახეო!“ (რუსთაველი: 725,4), მა-გრამ ბოლომდე არ ჰყვება ემოციებს, მოუხმობს გონიერებას და თავს დაიმოძღვრავს:

ამას მოთქმიდის ტირილით ცრუემლისა დასაღვაროთა;

კვლა გულსა ეტყვის: „დათმობა ჰგვანდეს სიბრძნისა წყაროთა.

არ დავთმოთ, რა ვეჭნათ, სევდასა, მითხარ, რა მოვუგვაროთა?

თუ ლხინი გვინდა ლმრთისაგან, ჭირიცა შევიწყნაროთა.

(რუსთაველი: სტრ. 726,3)

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაშიც ავთანდილი მწუხარების კი არა, სწორედ სიყვარულით აღძრული ლტოლვის დათმენას გულისხმობს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ამას სრულიად გაუთვალისწინებელი და ფრიად არასასურველი შედეგები შეიძლება მოჰყვეს. „ვისრამიანის“ მიხედვით, როდესაც რამინს ვისის სიყვარულმა „დაუწვა ტვინი და გონება წაუღო“, ანუ როცა გრძნობების მართვის უნარი დაკარგა,

„მისისა მიჯნურობისაგან ხე ესეთი გამოვიდა, რომლისა ნაყოფი ვე-ლად გაჭრა და გახელება იყო“ (ვისრამიანი 1962: 44). ავთანდილს ახლა ამისი დრო არ აქვს – ტარიელის დასახმარებლად მიეჩქარება, ამიტომ სწორედაც რომ უნდა დაითმინოს ამჯერად თინათინის სურვილი, რადგან სხვა წამალი არ არსებობს.

ამდენად, მიგვაჩინია, რომ ხსენებულ ეპიზოდებში რუსთველი ქარ-თულ სინამდვილეში შედარებით ახლად დამკვიდრებული შინაარ-სით იყენებს „სევდას“. სავარაუდოდ, ეს ტრადიცია შემდგომიც უნდა გაგრძელებულოყო. ამჯერად ჩვენ მხოლოდ ერთ „ირიბ“ არგუმენტს მოვიხმობთ ამ მოსაზრების დასტურად: აღიარებულია, რომ ძველ ქართულ მწერლობაში ბესიკი რუსთველის ერთ-ერთი ღირსეული მემ-კვიდრეთაგანიაპოეტური სემანტიკის თვალსაზრისით. მისი ლირიკულ შედევრთა შორისაა ლექსი „სევდის ბაღს შეველ“, რომლის გმირი, სიყ-ვარულით გატაცებული ჭაბუკი, ბედნიერების წალკოტისკენ (სევდის ბაღისკენ) ისწრაფვის, რათა სატრფოს სიახლოვით დატკბეს.

სევდის ბაღს შეველშენაღონები:
მოკრეფად მსურდა ვარდის კონები.
(ჩვენი ... 1960: 375)

სამწუხაროდ, მშვენიერი ასული პოეტს განრისხებული დაუხვდება, გააძევებს და „სევდის ბაღის“ კარიც სამუდამოდ ჩაირაზება უბე-დური მიჯნურისათვის. მას ისღა დარჩენია, სიკვდილი ინატროს, რადგან გაუსაძლისია სატრფოს სურვილი და მონატრება:

....დავბრუნდი ყოვლგნით შეუბრალები;
ბაღის კარს დავჯექ შენაძალები,
ცრემლით აღმევსნეს მწირნი თვალები;
ვიყავ ბედისა დამაბრალები.
ვინცა მნახვიდენ დამაშვრალები,
შეიქმნებოდენ ჭირნაკრძალები.
მეც მომხვდა სოფლის მკვლელი ბრჭალები!
ბესიკი სიკვდილს არ ვემალები.
(ჩვენი ... 1960: 376)

როგორც ვხედავთ, სარგის თმოგველისა და რუსთველის მიერ ქარ-თულ სინამდვილეში დამკვიდრებული ტრადიცია – გაფართოვებული-ყო „სევდის“ სემანტიკური ველი – XVIII საუკუნეშიც შენარჩუნებული

ყოფილა: ბესიკმაც იცის, რომ „სევდა“ მხოლოდ მწუხარებას არ ნიშნავს და მას „ძლიერი სიყვარულის“ მნიშვნელობაც გააჩნია. ზემოხსენებულ ლექსში „სევდა“ ცალსახად ამ გაგებითაა გამოყენებული. ბესიკის „სევდის ბალი“ ნამდვილად არ არის „ლელე გლოვისაი“, პირიქით, ის ბედნიერებისა და სიყვარულის წალკოტია, სადაც მიჯნური მხოლოდ ბედნიერებას შეიძლება ეზიაროს.

დამოცვებანი:

ელბაქიძე 2006: ელბაქიძე მ. „სენი მე მჭირს რაცა ჭირად“. ლიტერატურული ძიებანი, XXVII. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2006.

ვისრამიანი 1964: ვისრამიანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ა. გვახარიამ და მ. თოდუამ. თბილისი: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964.

კეკელიძე ... 1969: კეკელიძე კ., ბარამიძე ალ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1969.

რუსთაველი 1966: რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი. სარედაქციო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე, ალექსანდრე ბარამიძე, პავლე ინგოროვა, აკაკი შანიძე, გიორგი ნერეთელი. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1966.

ქართული ... 1960: ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად. სარედაქციო კოლეგია: გ. ლეონიძე, გ. აბზიანიძე, ალ. ბარამიძე, დ. ბენაშვილი, კ. კეკელიძე. ტ. II: (XII-XVIII სს.). თბილისი: საქ. სსრ მეცნ. აკად., რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ. ინ-ტი, 1960.

შავთელი 1988: შავთელი ი. „აბდულმესიანი“. ქართული მწერლობა. ტ. III. თბილისი: „ნაკადული“, 1988.

ჩახრუხაძე 1988: ჩახრუხაძე. „თამარიანი“. ქართული მწერლობა. ტ. III. თბილისი: „ნაკადული“, 1988.

ჩვენი ... 1960: „ჩვენი საუნჯე“. ქართული მწერლობა ოც ტომად. სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე, ა. გვახარია, ლ. მენაბდე. ტ. V. თბილისი: „ნაკადული“, 1960.

ძველი ... 2014: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი. ტ. III: ს-ყ., გოგუაძე, ნარგიზა (რედ.). თბილისი: „არტანუჯი“, 2014.

MERAB GHAGHANIDZE

Georgia, Tbilisi

Tbilisi Free University

Rustvelian Studies on the Religion Confession of the Author of *Vekhistkaosani* in the Twentieth Century Social and Cultural Context

Rustavelian studies in the 20th century confirmed that Rustaveli belongs to the Orthodox Christian Tradition, and that was conditioned by better theoretical knowledge of Christianity and better available of Christian Georgian sources. On the other side, the pressure of the communist censorship was weakened in Georgia and the anticlerical tensions became not so dominant generally.

Later, when the new sources of the biography of the poet were discovered, the researches on Rustaveli's religion confession knitted together with the researches on Rustaveli's biography. The biographical researches also showed that he was a Christian.

Key words: *Vekhistkaosani*, Rustvelian Studies, Religion, Christianity.

მერაბ ღაღანიძე

საქართველო, თბილისი

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

**რუსთველის კვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის
რელიგიური აღმსარებლობის შესახებ მეოცე საუკუნის
საზოგადოებრივ-კულტურულ კონტექსტში**

რუსთველის კვლევები აღმოცენების უმაღლ., – რაც „ვეფხისტყაოსნის“ პირველ გამოცემას (1712) და ამ გამოცემაზე თანდართულ მეფე ვახტანგ მეექვსის კომენტარებს უკავშირდება, – საგანგებო ყურადღებას მიაპყრობდა რუსთველის რელიგიური აღმსარებლობის საკითხს. განვლილი სამასი წლის განმავლობაში საკითხის სიმწვავე არ შენელებულა, ხოლო ეს სიმწვავე იმასაც განაპირობებდა, რომ პრობლემატიკის განხილვა მნიშვნელოვანნილად პოლემიკურ ჭრილში წარიმართებოდა. პოლემიკური პათოსი თავად ვახტანგისაგან იღებს სათავეს, რაკი იგი რუსთველის გაურკვეველ-დაუზუსტებელ კრიტიკოსებს ეკა-

მათება და დაუინებით (არცთუ ხშირად წარმატებით) ამტკიცებს, რომ პოემა მთლიანად განმსჭვალულია ქრისტიანული სულისკვეთებითა და ალუზიებით. ისიც უნდა ითქვას, რომ ვახტანგის პოზიცია უფრო მეტად დეკლარაციულია, ვიდრე საფუძვლიანად და ვრცლად არგუმენტირებული.

ზოგადად, რუსთველის კვლევების განვითარებაში განსაკუთრებით ნაყოფიერი და დინამიკური იყო მეოცე საუკუნე, როცა ამ კვლევათა გაფართოება და გაღრმავება რუსთველის რელიგიური ორიენტაციის გარკვევის სხვადასხვა მცდელობებშიც გამოვლინდა.

გამოითქვა განსხვავებული შეხედულებები, ერთი მხრივ, ამა თუ იმ მკვლევრის მიერ წარმოსახული რუსთველის პირადი, ბიოგრაფიული აღმსარებლობის შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში გამოვლენილი რელიგიური პოზიციის გამო (ხშირ შემთხვევაში, ორივე ეს მხარე ერთმანეთს ფარავდა).

გასული საუკუნის განმავლობაში ჩამოყალიბდა რამდენიმე, მეტნაკლებად დასაბუთებული და წყაროებით მეტ-ნაკლებად შემაგრებული რუსთველის ცხოვრების ამბავი. გამომდინარე ამ წარმოსახული ბიოგრაფიიდან და არჩევანის კვალობაზე, მკვლევარი რუსთველს მიაკუთვნებდა ხოლმე რომელიმე შესაბამის კონფესიას. მაგალითად, პავლე ინგოროვას „რუსთველიანაში“, რაკი ქრონიკული მასალებიდან ცნობილი შოთა კუპარი (ან: კუპრი) მიჩნეული იქნა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორად, რომელიც იმავე მასალების ინტერპრეტაციის შედეგად გამოცხადდა მანიქეველთა სექტის მიმდევრად თუ მეთაურად, შესაბამისად, მკვლევარმა დაიწყო მანიქეური რელიგიის გამოძახილის ძიება თავად პოემის ტექსტში. ასევე, როცა მოგვიანებით შალვა ნუცუბიძე პოემის შემოქმედს იერუსალემელ მომლოცველად ან პროკოფი რატიანი რუსთველ ეპისკოპოსად წარმოადგენდა, პოემის დაწერის გარემოებანიც საეკლესიო-სამონასტრო გარემოთი იხსნებოდა.

ცალელ საქმე იყო პოეტურ ტექსტში მიმოფანტულ იმგვარ მინიშნებათა ამოკრება, რომელიც ავტორის რელიგიური კუთვნილების შესახებ მეტყველებდა, და შემდგომ კი, – მათი ახსნა, კონტექსტური ანალიზი და პოემის ავტორის (სწორედ ავტორის!) რელიგიური შეხედულებების გამო დასკვნების გამოტანა. განზოგადებას ისიც ართულებდა, რომ არ არსებობდა საერთო და დადგენილი თვალსაზრისი, თუ რა ეკუთვნოდა პოემის მოღწეულ ხელნაწერებში ნაწარმოების ავთენტიკურ ავტორს (თანდათანობით ცხადდებოდა, რომ ტექსტის შემადგენლობის საპოლოო დადგენა შეუძლებელი ხდებოდა ჩანართებისა და დანართების უზარმაზარი რაოდენობის გამო).

მეოცე საუკუნეში ამა თუ იმ რელიგიური კონფესიისადმი პოეტის მიუთვნების დიაპაზონი მეტად ფართო აღმოჩნდა: მანიქეველობიდან (პავლე ინგოროვა) პანთეიზმამდე (ივანე ჯავახიშვილი, შალვა ნუცუბიძე), სეფასიანობიდან (იუსტინე აბულაძე) ისლამამდე (ნიკო მარი), ქრისტიანული ხეოპლატონიზმიდან (ნიკო მარი) ქრისტიანულ არისტოტელიზმამდე (მოსე გოგიძერიძე, ელგუჯა ხინთიძე), ბიბლიური ქრისტიანობიდან (კორნელი კეკელიძე) ეზოთერიულ ქრისტიანობამდე (მანანა გიგინეიშვილი, ზვიად გამსახურდია).

ეკლესიის მოძღვრებას დაფუძნებული მართლმორწმუნე (ორთოდოქსული) ქრისტიანული აღმსარებლობის მიჩნევა რუსთველის პირად თუ შემოქმედებით კონფესიად რუსთველის კვლევათა შორის მხოლოდ ორიოდ სეროზულ გამოვლინებას მოითვლის, რომლებიც ინსტიტუციონალურად (კალისტრატე ცინცაძე) თუ გეოგრაფიულად (ვიკტორ ნოზაძე) დაზღვეული იყო კომუნისტური გავლენის ან კომუნისტური იდეოლოგიური ცენზურისაგან: პირველ შემთხვევაში მკვლევარი სასულიერო წოდებას ეკუთვნოდა, თანაც მის უმაღლეს ფენას, ხოლო კათოლიკოს-პატრიარქს არც მარქსისტული პოზიციით „ვეფხისტყაოსნის“ განსჯა მოეთხოვებოდა და არც ქრისტიანულ თემათა ძიებისათვის მიიღებდა კომუნისტური პარტიისაგან საყვედლებს; პოემის რელიგიურობის მეორე შემსნავლელი კი ლათინურამერიკულ თუ პარიზულ ემიგრაციაში იმყოფებოდა და, ბუნებრივია, არავითარ ანგარიშს არ უწევდა საბჭოთა მეცნიერებაში დამკვიდრებულ სხვა-დასხვა კონვენციებს.

ამ პოზიციის შემდგომი, თუნდაც არასისტემური გამოძახილი გაჩნდა ივანე ლოლაშვილისა და აკაკი განერელიას გამოკვლევებში, სადაც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის რელიგიური აღმსარებლობის საკითხი განიხილებოდა მართლმორწმუნე ქრისტიანობის ფარგლებში და ეს დასტურდებოდა – კალისტრატე ცინცაძისა და ვიკტორ ნოზაძის კვალობაზე – აღმოსავლურქრისტიანული დოგმატური თუ ლიტურგიული (მათ შორის, ჰაგიოგრაფიული) ტექსტებით. ზემორე მოხსენიებულებთან ერთად, ამ ნაკადს უნდა მიეკუთვნოს მაია რაფავაც, რომლის მცირე ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთ რელიგიურ-თეოლოგიურ ცნებათა წყაროდ მიჩნეულია იოანე დამასკელის მთავარი დოგმატური კომპენდიუმი. მაგრამ ეს უკვე ის ხანაა, 1960-1970-იანი წლები, როცა საბჭოთა ცენზურის სიფხიზლე მნიშვნელოვნად იყო შესუსტებული.

ამჟამად საკითხი ამგვარია: რამ განაპირობა, რომ რუსთველის კვლევები – დაწყებული „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამო-

ცემიდან – პოემის ავტორის რელიგიურ აღმსარებლობად მართლ-მორწმუნე ქრისტიანობას მიიჩნევდა (რაც თავისთავად ძველ ქართულ კულტურულ სივრცეშივე არ იყო საყოველთაოდ გაზიარებული, რასაც ადასტურებს – სულ მცირე – პოემის ხელნაწერების თითქმის უგამონაკლისოდ პირველი ჩანართი სტროფი: „პირველთავი დასაწყისი ნათ-ქვამია იგ სპარსულად“ და ტიმოთე გაბაშვილის ინვექტივა პოემისა და მისი ავტორის წინააღმდეგ), მაგრამ ვახტანგ მეექვის შემდგომ მაინც ხანგრძლივი დრო დასჭირდა იმ თვალსაზრისის მყარად დამკვიდრებას, რომ პოემის ავტორი არც ანტიქრისტიანი, არც არაქრისტიანი და არც ქრისტიანობის რომელიმე მარგინალური მიმდინარეობის მიმდევარი არ ყოფილა, და ეს დამკვიდრება თანდათანობით მხოლოდ მეოცე საუ-კუნეში, და განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში, გახდა შესაძლებელი?

როგორც ჩანს, რუსთველის მკვლევართა მიერ რუსთველის რელი-გიური აღმსარებლობის ძიება ეკლესიის დოგმატური მოძღვრების ფარგლებს გარეთ განპირობებული იყო მეოცე საუკუნის იდეოლოგი-ური, პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კულტურული კონტექსტით:

ა) ეპოქისათვის – განსაკუთრებით საუკუნის პირველი ნახევრი-სათვის – ჩვეული და დამახასიათებელი ზოგადი ანტიქრისტიანული (თუნდაც ნიცველობით აღბეჭდილი) მისწრაფებებით (ამ მისწრაფე-ბათა შეგრძება კი ცხადი იყო იმ სააზროვნო-კულტურულ გარემოში, სადაც „ვეფხისტყაონის“ მკვლევრები სულიერად საზრდოობდნენ და საქმიანობდნენ, – ეს ის გარემოა, რომლის ღირებულებებს ვასილ ბარ-ნოვი, გრიგოლ რობაქიძე, ქართველი სიმბოლისტები, კონსტანტინე გამსახურდია წარმოადგენენ);

ბ) ლიბერალურ პოზიციაზე დაფუძნებული თვალსაზრისით, რომ პირვენება და, შესაბამისად, შემოქმედი მით უფრო „პროგრესულია“ (ანუ „შეუზღუდავია“), რაც უფრო მეტადაა მოშორებულია, საერთოდ, რელიგიას ან, მით უმეტეს, რაც უფრო მოწყვეტილი თუ დაპირისპი-რებულია ეკლესიასა და საეკლესიო მოძღვრებას (მეოცე საუ-კუნის ქართული ლიტერატურის ნებისმიერი კვლევები, რომელიც არასაკლესიო-არასასულიერო ტექსტებს შეისწავლიდა, ამ მიმარ-თულებით მიედინებოდა);

გ) პრაგმატიულ-პრაქტიკული მოსაზრებით, რომ კომუნისტურ ქვეყანაში რუსთველის სახელმწიფოებრივი კულტის დასამკვიდრე-ბლად (განსაკუთრებით 1934 წლის შემდგომ, როცა საბჭოთა მწერ-ლების პირველი ყრილობის დასრულებისთანავე კლასიკური ლიტე-რატურა იდეოლოგიურად ნებადართულად და სახელმწიფოს მხრივ მხარდაჭერილად გამოცხადდა) მნიშვნელოვანწილად უფრო მისაღები

იქნებოდა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის – თუ არა მთლად ანტირელიგიური, „ღმრთისმებრძოლური“ – ყოველ შემთხვევაში, „თავისუფლად-მოაზროვნე“, არაეკლესიური, „ანტიკლერიკალური“ პროფილი (შედრ. თუნდაც გვიანდელი პოლემიკა პროკოფი რატიანის იმ თეორიის ირგვლივ, რომელიც ამტკიცებდა, რომ „რუსთველი“ ახალ დრომდე მხოლოდ და მხოლოდ ქალაქ რუსთავის ეპისკოპოსს ნიშნავდა და, შესაბამისად, პოემის შემქმნელიც უეჭველად ეპისკოპოსი იქნებოდა, – ამ თეორიის წინააღმდეგ ხუთი ცნობილი პროფესორის კრიტიკულ სტატიას ასე ეწოდებოდა: „რუსთაველზე კლერიკალური თვალსაზრისის წინააღმდეგ“, რომელიც 1969 წელს გამოქვეყნდა, საბჭოთა რეჟიმის საკმაოდ „ვეგეტერიანულ“ ხანაში!).

შედეგად, შესაძლებელია დარწმუნებით ითქვას, რომ სწორედ ეს სამი გადამწყვეტი მიზეზი განაპირობებდა რუსთველის კონფესიური კუთვნილების ძიებას მართლმორნმუნე ქრისტიანობის მიღმა, – სავარაუდოდ, ეს სამი მიზეზი უმეტეს შემთხვევაში არც იკვეთებოდა ერთმანეთთან, – და არანაირი გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონია ისტორიულად არსებულ არცთუ სანდო და მცირედ მეტყველ საბუთებს: ქართულ ლიტერატურულ ტრადიციაში ძველთაგანვე მოარული ბუნდოვანი ცნობა რუსთველისა და მისი პოემის კონფლიქტურობის შესახებ ეკლესიასთან თუ ეკლესიის მოძღვრებასთან სხვადასხვა სესენბულ კონცეფციათა უფრო არგუმენტს წარმოადგენდა, ვიდრე წყაროს (ახალ დრომდე ქართულ კულტურაში რუსთველის მიმართ „პოლემიკური“ დამოკიდებულება საფუძვლიანად შეისწავლა მერი გუგუშვილმა, რომელმაც სწორედ ეს კონფესიურ-დოგმატური დაპირისპირების მოტივი უარყო; შემდგომ ამავე დასკვნებამდე მივიდა შერმატინ ონიანიც). სავარაუდოა, რომ უმეტეს შემთხვევაში წინასწარგანწყობა, განპირობებული ამ სამი მიზეზით, მაინც წინ უსწრებდა კონცეფციის ჩამოყალიბებას და ამდენად წყაროებს აღარ ენიჭებოდა პირველადი თუ გადამწყვეტი მნიშვნელობა.

საკითხი ამგვარად გაგრძელდება: რომელმა გარემოებებმა განაპირობა რუსთველის კვლევების სვლა იქით, რომ პოეტის პირადი კონფესიის ან პოემაში გამოხატული რელიგიური აღმსარებლობის სახელდება მართლმორნმუნე ქრისტიანობის მიმართულებით წასულიყო? გარდა იდეოლოგიური და კულტურული კონტექსტისა, თუნდაც „კეთილმობილური“ მისწავლებებით რუსთველის „ავტორიტეტის“ შენარჩუნების სურვილისა, რა უშლიდა ხელს პოემის ტექსტში ტრადიციული და მყარი ქრისტიანული ალუზიების დანახვას?

საკულტური მასალის შესწავლა და განსჯა იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ ამ გზის სირთულე, – ანუ სირთულე კონკრეტული და წყაროებით დასაბუთებული პასუხის პოვნისა, – განაპირობა, კონკრეტულად, ძველი ქართული თეოლოგიურ-თეორიული ცოდნის უკმარობამ, ხოლო, ზოგადად, ქრისტიანული მოძღვრების წყაროთა მიუწვდომლობამ თუ გაუთავისებლობამ, რითაც ალბეჭდილი იყო მეოცე საუკუნის უმეტესი დრო, და კიდევ, მეცხრამეტე საუკუნიდან და, განსაკუთრებით, საუკუნის ბოლოდან გადმოსულმა გაბატონებულმა ნიჰილისტურმა დამოკიდებულებამ ქრისტიანული მემკვიდრეობის მიმართ.

ამ მხრივ, გასულ საუკუნეში პირველი – და კარგა ხნის მანძილზე ერთადერთი – გამონაკლისი იყო კორნელი კეკელიძის კვლევანი: რუსთველის შემოქმედების ქრისტიანობასთან დაკავშირების საგანგებო მცდელობა. თუმცა ამ კვლევებსაც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი მაინც გაპყავდა ქრისტიანობის მაგისტრალური მართლმორნმუნეობის ფარგლებიდან და მიაუთვნებდა მას, „ბიბლიურ ქრისტიანობას“, რომელიც, მკვლევრის აზრით, დაშორებული იყო ყოველგვარ დოგმატურ მოძღვრებას (რაც, სიმართლე რომ ითქვას, შესამჩნევ ანაქრონიზმად ჩანს, – ოდენ წმიდა წერილზე დაყრდნობილი ქრისტიანული მოძღვრება ქრისტიანობის ისტორიაში პრინციპულად მხოლოდ რეფორმაციის ხანიდან ჩნდება, ანუ მეთექვსმეტე საუკუნიდან).

გასათვალისწინებელია, აგრეთვე, დროითი და გეოგრაფიული გამორჩეულობა ქართული ეგრეთ წოდებული საერო-საკარო ლიტერატურისა, რომელიც ტრადიციულად „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის ეპოქას უკავშირდება. მეოცე საუკუნის განმავლობაში ამგვარი ლიტერატურის წარმოშობის თეორია სამი განსხვავებული კონცეფციის სახით ჩამოყალიბდა: სპარსული პოეზიის გავლენა (ნიკო მარი), ქართული წარმართული, ანუ „ანტიკური“ მემკვიდრეობის აღორძინება (პავლე ინგოროვა, შალვა ნუცუბიძე; შდრ. ნუცუბიძისეული მოძღვრება „აღმოსავლური რენესანსის“ შესახებ, რომელსაც შემდგომ ინგოროვაც მიემსრო), ქრისტიანული მწერლობის ორგანული განვითარება (კორნელი კეკელიძე). შესაბამისად, ამ სამი თეორიიდან იმთავითვე მხოლოდ იგი დაუკავშირებდა „ვეფხისტყაოსანს“ ქრისტიანულ რელიგიას, ვისთვისაც საერო-საკარო ლიტერატურა ქრისტიანულ საწყისებზე აღმოცენდა.

შემდგომმა კვლევებმა საკმაოდ საფუძლიანად დაადასტურა რუსთველის კუთვნილება მართლმორნმუნე ქრისტიანობის წიაღისათვის, რაც იმჟამად განაპირობა ქრისტიანობის უკეთესმა თეორიულმა

ცოდნამ (კალისტრატე ცინცაძე, ვიკტორ ნოზაძე) და ქართული ქრისტიანული ტექსტების უკეთესმა ხელმისაწვდომობამ (ივანე ლოლაშვილი, აკაკი განერელია, მაია რაფაელა და სხვ.), რაც ამ ტექსტების სისტემურმა გამოქვეყნებამ მოიტანა.

ამავე დროს, შესუსტდა, ერთი მხრივ, კომუნისტური იდეოლოგიის წნებიც საქართველოში (განსაკუთრებით გასული საუკუნის ბოლო მესამედში) და, მეორე მხრივ, ლიბერალურ-ანტიკლერიკალური განწყობებიც ზოგადად.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში, ისევე როგორც სხვა მეზობელ თუ შორეულ ქვეყნებში, თანდათანობით არა მარტო ყურადღება მიეცყრობა შუა საუკუნეების კულტურას, არამედ ის დიდადაც დაფასდება, ხოლო მისი შესწავლა თავისთავადი – ავტონომიური და საგანგებო – გახდება (ამ კულტურის ლირებულება აღარ განისაზღვრება, ვთქვათ, ისტორიულ ძიებებათათვის დახმარების თუ ხელშეწყობის სარგებლიანობით).

ეგრეთ წოდებული საერო-საკარო ლიტერატურის წარმოშობის კვლევისას კი სულ უფრო ნაკლებად და ფერმერთალად განიხილებოდა ის თეორიები, რომლებიც საყრდენ საფუძვლად არ განიხილავდა ქრისტიანულ ლიტერატურულ მემკვიდრეობას. სტალინური რეჟიმის მიერ „ეროვნულ კულტურის“ დამკვიდრების ცდებმა 1930-იანი წლებიდან, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა 1940-იანი წლებიდან (ამ ათწლეულის ბოლოს წამონებული „ბრძოლით კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ“ და თავისი სამომავლო ნაციონალისტური განჭვრეტებით), სრულიად შეუძლებელი გახადა კვლევების წარმართვა სპარსული გავლენებისა და ალუზიების საძიებლად, რასაც საზოგადოებრივ-კულტურული განწყობებიც გამორიცხავდა (მაგალითად, თავისი ამგვარი ადრეული „შეცდომების“ მონანება მოუხდა ალექსანდრე ბარამიძეს; არასოდეს გამოქვეყნებულა ელენე მეტრეველის ნაშრომი რუსთველისა და ნიზამის მონათესაობის შესახებ). ასევე, მალე მინავლდა „აღმოსავლური რენესანსის“ თეორიის მიმდევართა მგზნებარებაც, – თუნდაც ამ ცნების არსებრივი განუსაზღვრელობის გამო.

1960-1970-იან წლებში „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის რელიგიური კუთვნილების კვლევა გადაეჯაჭვა რუსთველის ბიოგრაფიის საკითხების კვლევას, რაც განპირობებული იყო იმ ახალი აღმოჩენებით (განსაკუთრებით, იერუსალემური მასალების მონაცემებით), რომლებიც პოეტად მიჩნეული პიროვნების ბიოგრაფიას ქრისტიანობის ფარგლებში ათავსებდა. მკვლევართა მიერ წარმოსახული რუსთველი

წმიდა მიწაზე ქრისტიანული მონასტრის სენაკში აღმოჩნდა (თუნდაც, ზოგიერთი თვალსაზრისით, იყი ბოლომდე მაინც ერისკაცად დარჩა). ამ ნაკადის უკიდურესი გამოვლინება იყო პოემის ავტორის ეპისკო-პოსად მიჩნევა (პროკოფი რატიანი). მაშინ, როცა უკვე მკაფიოდ გამო-იკვეთა რუსთველის მართლმორწმუნე ქრისტიანად აღიარების მხარ-დამჭერთა უპირატესობა, შალვა ნუცუბიძე ცდილობს, ჩამოაყალიბოს ახალ კონცეფცია ორი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ: ამ თვალსაზრისით, რუსთველს, ეკლესიასთან შერიგებულს, უკვე მოხუც, მონანიე პოეტს, დაუმთავრებელი რჩება „მეორე“ „ვეფხისტყაოსაანი“, – ამჯერად დოგ-მატური, საეკლესიო ქრისტიანობის სულისკვეთებით განმჭვალული წიგნი, – რომლის შემორჩენილი ნაწყვეტები გაბნეულია „პირველი“ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში.

ამ დროსვე ჩნდება თვალსაზრისი, რომელიც ჯერჯერობით მაინც ფრაგმენტულ კვლევებად რჩება: რუსთველის რელიგიურ შეხედულე-ბათა დაკავშირება ეზოთერიულ-ოკულტურ მოძღვრებებთან (მანანა გიგინეიშვილი, ზვიად გამსახურდია). როგორც ჩანს, ჯერ ერთი, იმ-დროინდელი ეკლესიის მარგინალურობა ქართველ საზოგადოებაში არ იძლეოდა საშუალებას – საკუთარი აღქმიდან გამომდინარე – ქართუ-ლი კულტურის ცენტრალური ტექსტი მთლიანად და ოდენ ეკლესიურ გარემოში მოთავსებულიყო, ხოლო, მეორე მხრივ, რუსთველის კონფე-სიური ადგილის მიჩნა ამ ოკულტური მოძღვრებების წიაღში საჭირო აღმოჩნდა ეროვნულ ნიადაგზე საყრდენის მოსაპოვებლადაც და „ვე-ფხისტყაოსნის“ ავტორის „ზიარებულთა“ შორის ჩასარიცხადაც.

რენესანსისა და მისი ღირებულებების მიმართ საუკუნის მიწურუ-ლისათვის გაჩენილი უნდობლობლობა, ზოგადი დაეჭვება რენესან-სული ნახტომის შედეგების შეფასებისას უბიძგებს ელგუჯა ხინთიპი-ძეს რუსთველის პოეზიის რელიგიურ საფუძვლად შუა საუკუნეების სულიერ-კულტურულ მემკვიდრეობაზე დაყრდნობილი ქრისტიანული ჰუმანიზმი მიიჩნიოს.

არა მარტო მწერალნი, არამედ ამ მწერალთა შემსწავლელნიც კონ-კრეტულ, შეზღუდულ დროში ცხოვრობენ და ეს კონკრეტული, შეზ-ღუდული დრო ისევე გარდაუვალად აირეკლება სწავლულთა კვლევებ-ში, როგორც – მწერალთა შემოქმედებაში.

SOPHIO CHKHATARASHVILI

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Rustaveli and his Poem as Transpired by Maxim Rilski

An article is about famous Georgian poem “The Knight in the panther’s skin” and it’s reception by famous Ukrainian poet Maksim Rilski.

In Ukrainian literary studies the reception of Rustaveli and his “The Knight in the panther’s skin” keeps actuality a dozen years.

In the beginning of the 20th century prominent Ukrainian translators and poets expressed considerable interest in “The Knight in the panther’s skin” (MPS) by Rustaveli. One of the scholars was Maxim Rilski, a member of the Neo-Classical group, translator and theoretician of translation theory. As revealed by the research material, Rilski’s thoughts regarding the MPS are close to the translation theories as transpired in the works of Neo-Classics.

Maxim Rilski wrote about the main problems, which is discussed by almost all philological and translational theory. How to translate the masterpiece, for its success.

Key words: Ukrainian literary, Neo-Classic, Georgian-Ukrainian, cultural dialogue.

სოფიო ჩხატარაშვილი

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რუსთველი და მისი პოემა მაქსიმ რილსკის ნაზრევში

უკრაინულ ლიტერატურათმცოდნეობაში რუსთველისა და მისი „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლა საუკუნეზე მეტია აქტუალობას არ კარგავს. უკრაინულ ლიტერატურაში და ლიტერატურულ დისკურსში გვხვდება „ვეფხისტყაოსანსა“ და მის ავტორზე შექმნილი ორიგინალური თუ თარგმნილი ნაწარმოებები, პუბლიკაციები და, რაც მთავარია, პოემის სრული თარგმანი გენიალური პოეტის მიკოლა ბაჟანის ავტორობით.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლა და თარგმნა გადაწყვიტეს საქართველოში გადმოსახლებულმა

უკრაინელმა მკვლევრებმა მიკოლა გულაკმა (ავტორია სამეცნიერო კვლევებისა და ლექციების ციკლისა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ) და ოლექსანდრ ნავროცკიმ (ავტორია „ვეფხისტყაოსნის“ პირველი არასრული თარგმანისა) ანტიმპერიული ორგანიზაციის „კირილე-მეთოდეს ძმობის“ წევრები ქმნიან „ვეფხისტყაოსნის“ აღქმის პირველ ნიმუშებს უკრაინულ ლიტერატურაში. მ. გულაკის კვლევა შესავალია უკრაინულ რუსთველოლოგიაში, ო. ნავროცკის თარგმანი კი „ვეფხისტყაოსნის“ უკრაინულ ენაზე თარგმნის პირველი მცდელობაა.

მეოცე საუკუნის დასაწყისში „ვეფხისტყაოსნით“ ინტერესდებიან ცნობილი უკრაინელი მთარგმნელები და პოეტები. ერთ-ერთი ასეთია ნეოკლასიკოსების ჯგუფის გამორჩეული წევრი, მთარგმნელი და თარგმანის თეორეტიკოსი – მაქსიმ რილსკი. როგორც საკვლევი მასალა გვიჩვენებს, რილსკის მოსაზრებები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ ახლოს დგას ნეოკლასიკოსების მთარგმნელობით კონცეფციებთან, მიუხედავად მისი შემოქმედებითი სახეცვლისა შემდგომ პერიოდში.

მაქსიმ რილსკის, როგორც მთარგმნელის მემკვიდრეობა შექსპირისა და კორნელის, მოლიერისა და ვერლენის, მალარმესა და გოეთეს, ჰაინქს, კრილოვის, გრიბოედოვის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის, ბლიუის, ნერუდას, საიათოვას, აკაკი წერეთლის, გიორგი ლეონიძისა და თვით გალაკტიონის შედევრებს მოიცავს. „მისი ძალა კლასიკური ლექსის ვირტუოზულ ფლობაში, უნაკლო სტილისტიკური ტაქტისა და ენის საუცხოო მარაგსა და ბრწყინვალებაში მდგომარეობს“ (კოჩური 1970 : 14), „უკრანანი პოეტის დამსახურება მთარგმნელობით მოღვაწეობაში დაფასებულია მაქსიმ რილსკის სახელობის პრემიით, რომელიც ყოველწლიურად საუკეთესო მხატვრული თარგმანისათვის გაიცემა“ (ბუდნი... 2008: 101), „მაქსიმ რილსკი XX საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო პოეტია, რომლის წვლილი ერის ნაციონალური და სულიერი აღორძინების საკითხში შეუფასებელია. მან, ნეოკლასიკური სტილის გამორჩეულმა ოსტატმა შექმნა ჰუმანისტური არსით გაუდენთილი განუმეორებელი მხატვრული სამყარო. იგი უკრაინულ სამყაროს მოევლინა როგორც პოეტი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, ფოლკლორისტი, ეთნოგრაფი, ხელოვნებათმცოდნე, ლიტერატურათმცოდნე, ენათმეცნიერი“ (ტკაჩუკი 2014: 132-133) ასე აფასებენ უკრაინელი ლიტერატურათმცოდნეები მ. რილსკის.

მაქსიმ რილსკი 12 წლის ასაკში (1907 წ.) აქვეყნებს თავის პირველ ლექსს და და მეოცე საუკუნის დასაწყისშივე საკუთარ ხელწერას ტოვებს უკრაინულ ლიტერატურაში. 15 წლისა უკვე პოეტური კრებულის ავტორია („თეთრ კუნძულებზე“, 1910 წ.) და გამოკვეთილად

მუღავნდება ნეოკლასიციზმის პრინციპებისათვის დამახასიათებელი სადა, მაღალი გემოვნების მქონე ლირიკა. 1922 წელს გამოიცა მ. რილსკის ლექსების კრებული „ლურჯი შორეთი“, რომელიც ეძღვნება ანტიკურ სამყაროს, მის გმირებსა და დრო-სივრცეში მათ უამთაცვლას. ამავე პერიოდს ემთხვევა ფუტურისტული მიმდინარეობის გავლენა ხელოვანთა შემოქმედებაზე „მის პოეტურ სამყაროში უხვად შემოცურდნენ ანტიკური სამყაროსა და თანამედროვე მსოფლიოს კულტურის მოღვაწეთა თუ მათ ნაწარმოებთა გმირების სახეები“ (ბაქანიძე 2004:150). სამწუხაროდ, რილსკის შემოქმედებით ინსპირაციას თავისუფლება დიდი ხნით არ ენერა, სოცურეალისტური რეჟიმის მარნუხებში მის „ჭეშმარიტ ტალანტის“ ალტერნატივა არ გააჩნდა. „პავლო ტიჩინას კვალდაკვალ მაქსიმ რილსკიმ და მიკოლა ბაჟანმა შესაბამისად ნეოკლასიკურობიდან და ფუტურიზმიდან სოციალისტური რეალიზმის ბანაქში გადაინაცვლეს. იმავე გზით წავიდა ანდრეი მალიშევიც. თუმცა ყველა მათგანი შემდგომ ნლებში შეძლებისამებრ ცდილობდა სახელლირსების დაცვას, ულიორსი ნაბიჯებისაგან თავის შეკავებას. გადარჩენის საზღაური საკმაოდ დიდი იყო: მიკოლა ბაჟანი თავს მხატვრულ თარგმანს აფარებდა, ანდრია მალიშევი კი სასიმღერო ტექსტებს წერდა“ (ჩილაჩავა 2014: 37). შეიძლება ითქვას, მაქსიმ რილსკის ალტერნატიული დისკურსიც სწორედ თარგმანი იყო.

1929 წლამდე მაქსიმ რილსკის პოეზია თავისუფალია, შემოქმედებითად დატვირთულია. მწერლის ინტერესის საგანია თვით ადამიანი, თავისი ლირსებებით და სისუსტეებით, ასევე უმთავრესა პოეზიისა და პოეტის დანიშნულების განსაზღვრა, შემოქმედისა და შემოქმედების ურთიერთდამოკიდებულების გამოვლენა, 1930 წლიდან კი რილსკის ლექსებში სხვა ტონალობა შეინიშნება: „იცოცხლეთ და იხარეთ, კომბაინებო“ (რილსკი 1977: 44) დაწერს საპყრობილიდან ახლადგათავისუფლებული მაქსიმ რილსკი.

XX საუკუნის 20-იან წლებში კომუნისტური პარტიის მმართველობის ფონზე, როდესაც სასტიკი დევნა დაიწყო სულიერი და ეროვნული აღორძინებისა თუ თავისუფალი შემოქმედებითი აზროვნების წინააღმდეგ, წარმოიშვა 1925-1928 წლების ლიტერატურული დისკუსია. ამ დისკუსიის წამომწყები იყო მიკოლა ხვილოვი, ცნობილი ახალგაზრდა პოეტი და ავანგარდისტი, რომელმაც თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე ხარკოვში, უკრაინელი მწერლებისთვის აშენებულ სახლში „სლოვო“.

ნაციონალისტური მოძრაობა საბჭოთა ხელისუფლებას დიდი საფრთხეს უქმნიდა. უკანასკნელ პერიოდში გამოჩენილი კვლევები

მოწმობს, რომ ი. სტალინი პირადად აკონტროლებდა უკრაინაში მიმდინარე პროცესებს და, მათ შორის, ისეთ „საფრთხისშემცველ“ სფეროს, როგორიც მწერლობა იყო.

დაიწყო უკრაინელი მწერლებისა და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლების ფართომასშტაბიანი ემიგრაცია სხვადასხვა ქვეყანაში, რადგან სამშობლოში მათი შემოქმედებითი არეალი მეტისმეტად შეიზღუდა. იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც ემიგრაციასაც „ვერ შეაფარეს თავი“. მათ შორის იყო მაქსიმ რილსკიც. 1931 წელს მაქსიმ რილსკი დააპატიმრეს. იგი რამდენიმე თვის მანძილზე იმყოფებოდა ქ. კიევში მდებარე ლუკინის საპყრობილები.

რილსკი გადარჩა. მოგვიანებით იგი გახდა უკრაინის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. თუმცა გადარჩა მხოლოდ ფიზიკურად, რადგან შეწყდა მისი შემოქმედებითი აღმასვლა.

ზემოაღნიშნულის შესაფასებლად მოვიშველიებთ **XX** საუკუნის 20-იანი წლების უმნიშვნელოვანეს გახმაურებულ მოვლენას – ე.ნ. „დაცხრილულ აღორძინებას“, რომელმაც მსოფლიო შეძრა და, ამასთანავე, განსაზღვრა მთელი თანამედროვე უკრაინული კულტურის ესთეტიკური არჩევანი. იური ლავრინენკოს (ავტორი 300-ზე მეტი სამეცნიერო – ლიტერატურული გამოკვლევისა და პუბლიცისტური სტატიისა) ეკუთვნის ამავე სახელწოდების ანთოლოგია, რომელიც 1954 წელს გამოიცა. ავტორმა იგი რეპრესირებულ მწერლებს მიუძღვნა. ადსანიშნავია, რომ დაცხრილულ შემოქმედთა შორის, მიკოლა ზეროვთან (დახვრიტეს 1937 წლის 3 ნოემბერს), ოლექსა სლისარენკოსა (დახვრიტეს 1937 წლის ნოემბერში) და მიკოლა ხვილოვთან (სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა 1933 წელს) ერთად, ლავრინენკომ მოიხსენია იმ დროისათვის აქტიურად მოღვაწე პ. ტიჩინა, მ. რილსკი და სხვანი. ყოველივე ეს იმით ახსნა, რომ მათმა შემოქმედებითმა ნიჭმა პროგრესი ვერ განიცადა, პირიქით – დაემორჩილა ცენზურას.

„ჩემში ორი რილსკი ცხოვრობს: რილსკი თავისუფალი და რილსკი დევნილი“ – ამბობდა ხოლმე ჩუმად მწერალი. მოშველიებული ფრაზა უფრო ამძაფრებს ინტერესს ერთდროულად დევნილი და თავისუფალი მაქსიმ რილსკის თვალით დანხსული რუსთველისა და მისი პოემის შესახებ (რილსკის შემოქმედებითი ტალანტის შესახებ ბევრს საუბრობდა ანტისაბჭოთა ემიგრაცია).

მაქსიმ რილსკის შემოქმედებაში შოთა რუსთაველი და მისი პოემა სხვადასხვა რაკურსითაა წარმოდგენილი: ვგულიხმობთ საავტორო, მიძღვნითი ხასიათის ლექსებს, თარგმანებსა და კრიტიკული

წერილებს რუსთველის შესახებ. რილსკის რუსთველის პოემაზე დაკვირვებისას აინტერესებს შემდეგი საკითხები: რუსთველის იდეოლოგია, როგორც შუა საუკუნეების პოეტისა და ფილოსოფოსისა; „ვეფებისტყაოსნის“ უკრაინულად თარგმნის საკითხი (სირთულეები და მათი გადაჭრის გზები); „ვეფხისტყაოსნის“ ადგილი უკრაინულ ლიტერატურაში. რუსთაველი, როგორც ავტორი, მაქსიმ რილსკის ნაზრევში მსოფლიო გენიოსია.

მაქსიმ რილსკის სტატია „რუსთველის პოემა უკრაინულ ენაზე“ 1937 წლის 30 ივნისში გამოქვეყნდა გაზეთში „ლიტერატურნა გაზეტა“. სტატია დანერილია სიმონ ჩიქოვანთან თანაავტორობით. როგორც ჩანს, ქართველი პოეტი მას კონსულტანტის როლს უწევდა პოემის თარგმანის ანალიზის შემუშავებაში.

„თანამედროვე ცხოვრებაში მხატვრული, მეტადრე პოეტური თარგმანის კულტურამ მაღალ დონეს მიაღწია. თანამედროვე მწერლებთან ერთად ჩვენი კლასიკოსები შევჩერი, პუშკინი, რუსთაველი ხელახლა იწყებენ ულერადობას მეზობელი ერების ლიტერატურაში, მათი სახელები ახალ შემოქმედებით იმპულსს აძლევს დღეს ჩვენ გარშემო მოღვაწე პოეტებს. ლიტერატურის საშუალებით, მსოფლიო თანავარსკვლავედის გენიოსთა კვალდაკვალ, რუსთაველი ხელმისაწვდომი ხდება ფართო მასებისთვის“ (რილსკი 1975:158-159), ასეთია შე-სავალი მიმოხილვითი ხასიათის წერილისა, რომელიც ბევრ საინტერესო ცნობას შეიცავს „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. „ამ დიდ საქმეში მოძმე ერებისთვის პოეზის გაცნობის საკითხში მ. ბაჟანის თარგმანი „ვეფხისტყაოსნისა“ უდაოდ იკავებს განსაკუთრებულ ადგილს“ (რილსკი 1975: 159) – განაგრძობს მაქსიმ რილსკი.

მაქსიმ რილსკის შეხედულებით, ნანარმოების თარგმნისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ ენების ცოდნა, პოეტს მიაჩინია, რომ მთარგმნელმა კარგად უნდა გაიცნოს იმ ერის ისტორია და კულტურა, რომლის ლიტერატურული მემკვიდრეობის თარგმნასაც აპირებს მყითხველისათვის, ამ შეხედულებას ავითარებს იგი წერილებში „მხატვრული თარგმანის პრობლემები“, „მთარგმნელის სიტყვა“, „თარგმანები და მთარგმნელები“, „უკრაინელი კლასიკოსები რუსულ ენაზე“, „შევჩერი პოლონურ თარგმნებში“, „ლვანლი რთული და სასიხარულო“ და სხვ. იგი ხაზს უსვამს მიკოლა ბაჟანის მიერ საქართველოს გაცნობას წინასწარ, „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის დაწყებამდე: „პოეტი მ. ბაჟანმა ჯერ კიდევ 1929 წელს დაიწყო შესასრულებელი სამუშაოსთვის მზადება. ის ეცნობოდა საქართველოს როგორც თანამედროვე მდგომარეობას, ისე მის კულტურულ ნარსულს. მ. ბაჟანი ტექ-

სტოან ერთად საქართველოს ისტორიას სწავლობდა, მოგზაურობდა მის სხვადასხვა კუთხეში, დაკვირვებით მოინახულა მატერიალური კულტურის ძეგლები (არქიტექტურა, ხატნერა, ორნამენტები, ხალხური მუსიკა), ეცნობოდა ყოფასა და წეს-ჩვეულებებს, უმუალოდ უკავშირდებოდა ხელოვნების მუშაკებს და მთელ საბჭოთა საზოგადოებას. (ამ ყოველივემ, უნდა ითქვას, იმოქმედა მ. ბაჟანის მემკვიდრეობაზე, ახალი მოტივებით გაამდიდრა იგი). მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ მ. ბაჟანი ტექსტის შესწავლას შეუდგა რუსთაველის ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნის, დოცენტ იორდანიშვილის დახმარებით“ (რილსკი 1975: 159).

სოლომონ იორდანიშვილის როლი მართლაც უმნიშვნელოვანესია „ვეფხისტყაოსნის“ უკრაინულად დაბადების საკითხში. „ვეფხისტყაოსნის“ მის მიერ შესრულებულმა პწკარედულმა თარგმანმა პოემის თარგმნას შეუწყო ხელი არა მხოლოდ უკრაინულ, არამედ სხვა უცხო ენებზედაც.

მაქსიმ რილსკი თარგმანის თეორეტიკოსის პოზიციიდან აფასებს მიკოლა ბაჟანის ღვაწლს: „შემოქმედებითი მოღვაწეობის ორი წელი პოეტმა მხოლოდ თარგმნას მიუძღვნა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს გახლავთ პირველი პოეტური თარგმანი, რომელიც ყველაზე მეტადაა მიახლოებული დედანთან. შედარებამ გვიჩვენა დედნისა და თარგმანის უპირობო აზრობრივი მსგავსება ერთმანეთთან. ბაჟანის პოეტურ თარგმანს არ ჰყოლია წინამორბედი, რომელიც მას საქმეს გაუიოლებდა. ბალმონტის ნამუშევარს თარგმანად ვერ მივიჩნევთ, თვითონ ბალმონტი უწოდებდა მას რუსთველის სიუჟეტის გადამღერებას. ამიტომაც ბაჟანის წინაშე გადაულახავი ამოცანა იდგა“ (რილსკი 1975: 159). რილსკის მაგალითად მოჰყავს ბალმონტისეული სტროფი, ადარებს მას ბაჟანისეულ თარგმანს და დასძნეს: „ბალმონტის თარგმანში რუსთველის პოემამ ზღაპრის სახე მიიღო, რაც ზასლავსკიმაც აღნიშნა „პრავდაში“. ეს იმიტომ მოხდა, რომ რუსთველის მთელი ფილოსოფიური კონცეფცია ბალმონტმა ბუნდოვნად აქცია“ (რილსკი 1975: 159).

მაქსიმ რილსკის სათანადო წარმოდგენა აქვს რუსთველის სალექსო საზომის შესახებ და მისი თარგმნის სირთულეზე ასეთი შეხედულებისაა: „რუსთველის პოემა შესრულებულია მაღალი და დაბალი შაირებით, რაც მუსიკაში მაჟორსა და მინორს უტოლდება. პწკარედში ეს მონაცვლეობა ავტორს განსაზღვრული უდერადობის, პოეტური აზრისა და რითმის მრავალფეროვნებისათვის ესაჭიროება. ამ თავისებურების გადატანა სლავურ ენაზე ძალიან რთულ ამოცანად გვესახება. ბაჟანმა იგი ძალიან მოხერხებულად, ლექსის შესაძლებლობების

ფხიზელი გაანგარიშებითა და უკრაინული ენის თვისებების გათვალისწინებით შეძლო. ამიტომ მის თარგმანში დაქტილური რითმები ამოვარდა და დედნისეული დაქტილური და ქალური რითმების ნაცვლად გაჩნდა ქალური და ვაჟური რითმები. რა თქმა უნდა, საბოლოოდ ამან შექმნა ქართული დენის ანალოგიური ეფექტი. საქმე ისაა, რომ დაქტილური რითმა ძალიან დაამძმებდა უკრაინული – ტონური (ან მეტრულ-ტონური) ლექსის ულერადობას, რომლითაც ქართული სილაბური ლექსნყობის გადმოცემა, რა თქმა უნდა, პირობითია. მკითხველი გაგვიგებს, როცა გაიხსენებს მიცეკვიჩისა და ვერლენის რუსულ თარგმანებს. სხვათა შორის რუსთველის პოემის ერთ-ერთმა უახლესმა მთარგმნელმა სრულიად უსაფუძვლოდ შეცვალა რითმის მონაცვლეობითი ხასიათი. მან საქმე გააითლა, თუმცა არ დაუმშვენებია“ (რილსკი 1975: 159) – შენიშნავს მაქსიმ რილსკა.

აღსანიშნავია, რომ მაქსიმ რილსკის „რუსთველის პოემა უკრაინულ ენაზე“ არის პირველი წერილი უკრაინულ პუბლიცისტიკაში, რომელიც მიკოლა ბაჟანისეული თარგმანის შესახებ დაიბეჭდა.

მ. რილსკი ყურადღებას ამახვილებს ნესტან-დარეჯანის წერილზე: „ნესტან-დარეჯანის წერილი ერთ-ერთი აღსანიშნავი ადგილია, სადაც რუსთველის ლირიზმი კულმინაციას აღწევს. პოეტი უდიდესი ოსტატობით აღწერს ნესტან-დარეჯანის გრძნობებს. ეს წერილი მიიჩნევა თავგანწირული სიყვარულის პიმნად, რომელიც რუსთველის გასაოცრად დახვეწილი მელოდიური სტრიქონებითაა გადმოცემული. ეს ადგილი მიგვაჩნია თარგმანის ყველაზე რთულ მომენტად, მაგრამ მიკოლა ბაჟანი ღირსეულად ართმევს თავს ამოცანას, გადმოაქსა ორიგინალის მელოდიურობა და წერილის ხიბლი“ (რილსკი 1975: 159).

მაქსიმ რილსკის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ და ზოგადად, საქართველოს აღქმა, დასახელებული წერილით არ შემოიფარგლება. როგორც ჩანს უკრაინის მსგავსი ბედის მქონე ქვეყანაზე უკრაინელ პოეტს ხმირად უფიქრია. 1937 წელს თბილისში გამართულ რუსთაველის იუბილეზე მ. რილსკის ნაუკითხავს ლექსი „შოთა რუსთაველი“. „შოთა რუსთაველი“ ქართველი გენიოსისადმი მიძღვნილი პიმნია. მაქსიმ რილსკი გაოცებულია რუსთველის სიბრძნით, მისი თითოეული აფორიზმით, რომელიც ხალხში ანდაზებივით მიმოფანტულა და არც უკაირს მომავალი თაობები ერთმანეთს ასე გაფრთხილებით რომ გადასცემენ ამ ძვირფას განძს, რომ მის პოემაში ნაამბობი სიყვარულის ისტორია ავსებს თაობებს ყველა საუკუნისა და ყველა ქვეყნისა. სიბრძნე რომ უკვალოდ არ ქრება, კარგად იცის უკრაინელმა პოეტმა და ვეფხისტყაოსანს უნოდებს იმ მარგალიტს, რომელიც უკვდავია და საუკუნეების

ტალღებში ჩაძირული ბრწყინვას მუდამ ყოველი სტრიქონის გაელვება შოთა რუსთაველს ახსენებს უკრაინელ პოეტს და თაობიდან თაობისთვის გადასაცემ ხელიხელ საგოგმანებ სიბრძნეს იხსენებს: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა – დაკარგულია/ Хто бере – үсе той тратить, кто дас – үсе приданое“ აქვე გვახსენდება, რომ ნესტან-დარეჯანის წერილის შემდეგ ყველაზე დიდ სირთულედ მაქსიმ რილსკის პოემის პროლოგისა და იმ აფორიზმების თარგმნა ეჩვენება, რომლებიც ხალხში ანდაზებივთაა გაბნეული და სცილდება ერთი კონკრეტული ნაწარმოების საზღვრებს. როგორც ჩანს, დიდხანს დარჩა მეხსიერებაში რუსთველის აფორიზმები „უკრაინული ლექსის მოცარტს“ – მაქსიმ რილსკის.

ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ მ. რილსკიმ იცის შოთა რუსთაველის ადგილი არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურაში. მისი თქმით, ყველა ეროვნების პოეტი ადიდებს მესხ რუსთაველს, ყველა პოეტის ნინამძღვრად სახავს იგი ქართველ შემოქმედს. რილსკი შოთა რუსთაველს ყველა სხვა ერის ნინამძღვრობას ანდობს: „ყველა ერის პოეტები ადიდებდნენ მესს რუსთაველს/ I поети всіх народів славята месча Руставелі“ (რილსკი 1977: 65).

ასეთი შეფასების შემდეგ გასაკვირი აღარაა, რატომ იყო აღფრთვანებული მაქსიმ რილსკი „ვეფხისტყაოსნის“ მიკოლა ბაჟანისეული თარგმანით. შოთას სიბრძნის გადატანა ნებისმიერ ენაზე ხომ ურთულესი და თითქმის წარმოუდგენელია. მ. ბაჟანმა ეს საუკეთესოდ შეასრულა. როგორც თარგმანმცოდნეს, რილსკის არ შეიძლებოდა გამორჩეოდა ბაჟანის დამსახურება უკრაინული ლიტერატურის წინაშე. ბაჟანმა თვით დიდი რუსთველის საგანძურს აზიარა უკრაინელი ერი.

მაქსიმ რილსკის მიერ საქართველოსადმი მიძღვნილ ლექსებს შორისაა: „საქართველო“, „ხევსური ბარში“, „მირგოროდის ჩანაწერები“, „დავით გურამიშვილი“, „ქართველ მეგობრებს“.

მაქსიმ რილსკისთვის, როგორც თარგმანმცოდნესათვის, კარგად არის ცნობილი როგორ უნდა შეფასდეს თარგმანი და რა წინაპირობები გააჩნია კარგ მხატვრულ თარგმანს. შ. ნუცუბიძე კატეგორიულია მხატვრული თარგმანის შეფასებაში, როდესაც ეთანხმება ა.ტოლსტოის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ „ვეფხისტყაოსანი“ აუცილებლად დედნიდან უნდა ითარგმნოს და წერს: „როგორც დიდმა ერუდიტმა პოეტმა და პროზაიკოსმა ალექსეი ტოლსტოიმ დაამტკიცა... რუსთველის თარგმნა აუცილებლად მოითხოვს დედნიდან თარგმნას... ალექსეი ტოლსტოის ეს მოთხოვნა აუცილებლად საქმიანი და სამართლიანია...“ (ნუცუბიძე 1968: 139). მაქსიმ რილსკი, მიუხედავად ბაჟანისეული თარგმანის პწკარედიდან შესრულებისა, ხაზს უსვამს

უკრაინელი მწერლის თარგმანის ხარისხს და სოლომონ იორდანიშვილის კვალიფიციურობა და პროფესიონალიზმი, თარგმანში შესაძლო დანაკარგის ანაზღაურებად ესახება.

„მთარგმნელი, თუ იგი ჭეშმარიტად ოსტატია, – წერდა მაქსიმ რილსკი, – უნდა თარგმნიდეს ერთმანეთისაგან განსხვავებულ პოეტებს და თან შეიცნობდეს მათ შემოქმედებით სამყაროს სიღრმისეულად“ (რილსკი 1975: 101), ასევე აღნიშნავდა „მიკოლა ბაჟანმა ბრწყინვალედ თარგმნა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ და გურამიშვილის „დავითიანი“ – ნანარმოებები, რომელთა შორის მცირეოდენი სტილისტიკური თანხვედრა არსებობს. ამასთანავე თავად ბაჟანი გვევლინება მაიაკოვსკის ერთ-ერთ პროდუქტიულ მთარგმნელად და პროპაგანდისტად. ძნელია იპოვო მსგავსება რუსთაველს, გურამიშვილს, მაიაკოვსკისა და თვით პოეტ-ბაჟანს შორის!“ (რილსკი 1975: 101).

თარგმნა და მთარგმნელობითი მოღვაწეობა მ. რილსკისთვის სიახლესთან, საინტერესო ინოვაციებსა და კრეატიულობასთან ასოცირდება რეინის ფარდით შემოსაზღვრული საბჭოეთის ფარგლებში.

მაქსიმ რილსკის შემოქმედების რეცეფციას სალიტერატურო კრიტიკაში გადახედვა ესაჭიროება. საზღვრების დადგენაა საჭირო „ორი რილსკის“ (როგორც თავად ავტორი აღნიშნავდა) შემოქმედების ორ სხვადასხვა პერიოდს შორის. საგულისხმოა, რომ XX საუკუნის უკრაინაში 50-იანი წლების მინურულს ჩნდება თაობა, რომელიც ისტორიას დღემდე სამოციანელთა სახელით შემორჩა. სოციალისტური რეალიზმის თეორიის მსხვრევა უკრაინულ ლიტერატურაში და ეროვნული იდენტობის საკითხის მწვავედ დასმა „სამოციანელთა“ მოღვაწეობას უკავშირდება. 50-იანი წლების მინურულს „მამათა და შვილთა“ დაპირისპირების მონმე უკრაინაც ხდება. „მამები“ (ა. მალიშევ, პ. ტირინა, მ. ბაჟანი...) მძაფრად, შიშით აღიქვამებ ყოველგვარ სიახლეს „შვილების“ (დ. პავლიჩქო, ი. დრაჩი, ლ. კოსტენკო, მ. ვინგრანოვსკი, ვ. სიმონენკო, ვ. სტუსი) მხრიდან და მათ მოწინააღმდეგებად გველინებიან. ერთადერთი, ვინც მხარი დაუჭირა მომავალი თაობის ინიციატივას მშობლიური ენისა და ისტორიის საკითხებში, იყო მაქსიმ რილსკი.

ზემოაღნიშნული მოწმობს იმაზე, რომ „დევნილობამ“ იგი კიდევ უფრო პროგრესულ მწერლად აქცია. დღესაც აქტუალური და ჯერ კიდევ შესასწავლია რილსკის დისკურსი უკრაინულ ლიტერატურაში და ამ პროგრესული აზროვნებით აღქმული „ვეფხისტყაოსანი“ მნიშვნელოვანი მემკვიდრეობაა, როგორც უკრაინული, ისე ქართული რუსთველოლოგისათვის.

დამოცვებანი:

ბაქანიძე 2004: ბაქანიძე ო. უკრაინული ლიტერატურა. ტ. 3. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2004.

ბუღნი ... 2008: Будний В., Ільницький. *Порівняльне літературознавство*. Київ: відавничий дім «Киево-Могилянська академія», 2008.

კოჩური 1970: Kochur G. "Штрихи к портрету Максима Рыльского". Сборник «Мастерство перевода». Выпуск 7, 1970.

ნუცუბიძე 1968: ნუცუბიძე შ. ვეფხისტყაოსნის ერთი გამოცემის გამო. მნა-თობი „№ 11. თბილისი: „მერაბი“, 1968.

რილსკი 1975: Рильський М. *Мистецтво перекладу..* Київ: відавництво 'Радянський письменник~, 1975.

რილსკი 1977: Рильський М. *Слово про рідну матір*. Київ: відавництво „молодь“, 1977.

ტკაჩუკ 2014: Ткачук М. *Українська література ХХ століття*. Тернопіль: 2014

ჩილაჩავა 2014: ჩილაჩავა რ. დანისბირებით გაფოთლილ ბალბი. თბილისი: „ინტელექტი“.

KETEVAN KHITARISHVILI

Georgia, Tbilisi

Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts

One More Folk Version of the “Knight in the Panther’s Skin”

At K. Kekelidze National Center of Manuscripts there are preserved the records of Konstantine Martvileli about the land of Artaani, where he traveled in the period from 1913 to 1918. The records contain significant legend related to the castle built at Rabat (supposedly Kaji Castle) – legend about Mze-Kala, which resembles the storyline of the “Knight in the Panther’s Skin” and it could be regarded as one more folklore samples of the poem. In this legend certain places of the “Knight in the Panther’s Skin” are changed significantly though the main storyline – rescuing of Mze-Kala from Kaji – is repeated without any changes.

Key words: Tao-Klarjeti version of folk “Knight in the Panther’s Skin”.

პეთევან ხითარიშვილი

საქართველო, თბილისი

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ კიდევ ერთი ვარიანტი

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება კონსტანტინე მარტვილელის ჩანაწერები არტაანის მხარის შესახებ. ამ პიროვნებაზე მნირი ცნობები მოგვეპოვება. ცნობილია, რომ ის იყო სააქციო უწყების მოხელე ქ. მარტვილში.

კონსტანტინე ოდიშარია 1913-1918 წლებში მოგზაურობდა არტაანის ოლქში. ის აღნიშნავს, რომ ეს მრომა მეცნიერული ხასიათის კვლევა-ძიებას არ წარმოადგენს, უფრო დაინტერესებული მოგზაურის შთაბეჭდილებებია. აღსანიშნავია, რომ ის 1917 წელს გაზეთ „საქართველოში“ ბეჭდავდა კორესპონდენციებს არტაანის ქართველი მუსლიმების ცხოვრების წესისა და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. მისი მიზანი იყო ქართველ საზოგადოებას ყურადღება მიექცია მოწყვეტილი მოძმე მხარისთვის. ჩანაწერებში კონსტანტინე მარტვილელი დეტალურად აღწერს თითოეულ სოფელსა თუ ნასოფლარს, ეკლესის ნაგრევებსა თუ ციხეებს. შეიძლება ითქვას, რომ მოცემულია იმ პერიოდის არტაანის ოლქის მნიშვნელოვანი პუნქტების ისტორიულ-გეოგრაფიული მდებარეობა და თითქმის თითოეული სოფლის მცხოვრებთა სტატისტიკური მონაცემები. ახსნილია სოფლებისა თუ ნასოფლარების ქართული სახელწოდებების ეტიმოლოგიაც. მოცემულია ის ისტორიული რეალიები, რომლებმაც ესა თუ ის სოფელი ნასოფლარად აცია. ყურადღების ღირსია დიალოგები ქართველ მუსლიმებთან, რომლებმიც ჩანს მათი მენტალობა და დამოკიდებულება რელიგიურ და ეროვნულ საკითხებთან. მარტვილელის ცნობებით, მისი მოგზაურობის პერიოდში ქართველი მუსლიმები კარგად საუბრობდნენ ქართულად, განსაკუთრებით ხანდაზმულები.

ჩანაწერებში მნიშვნელოვანია სოფ. რაბათში აგებულ ციხესთან დაკავშირებული (სავარაუდოდ, ქავის ციხე) თქმულება მზე-ქალას შესახებ. ქართველი მუსლიმის – იბრაგიმ-ბეგ სულხან მოურავის მიერ მოთხრობილი ლეგენდა ციხის შესახებ გარკვეულნილად ჰგავს „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულას. უნდა ითქვას, რომ პოემის ინტერპრეტაცია ერის გარკვეული ჯგუფის (ამ შემთხვევაში ქართველი მუსლიმების) ისტორიულ მეხსიერებაშია შემონახული. ისტორიული მეხსიერება კი ის მოვლენაა, რომელიც სავალდებულოა ნებისმიერი საზოგადოების

არსებობისთვის, ეფუძნება დაგროვებას, შენახვას და რაც მთავარია, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და თვითგადარჩენის უმ-თავრესი პირობაა. ხალხში ზეპირსიტყვიერების გზით ტრანსფორმირებული პოემის ფაბულში გარკვეული პასაჟები მათი რელიგიური აღმ-სარებლობის ჭრილშია მოცემული და ზოგიერთი ადგილი სოციალური ფაქტორებითაც გაიაზრება. ქართველი მუსლიმების გადმოცემით, ეს ციხე აუგია თამარ ყიზილ ფადიშაპს. საინტერესოა, რომ თქმულებაშიც მთავარი პერსონაჟი თამარ მეფეა (თამარ ყიზილ ფადიშაპი), რომლის ბიძაშვილია ტარიელ ბეგი, ხოლო მისი მეუღლე კი – მზე-ქალა (იგივე ნესტან-დარეჯანი). ნესტან-დარეჯანის ამგვარად მოხსენიება არ არის მოულოდნელი ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ ვარიანტებში, რადგან უნდა შევნიშნოთ, რომ პოემის ამ პერსონაჟის სახელი ყველაზე მეტად განიცდის ცვლილებებს და გვხვდება ხოლმე შემდეგი სახით: ლერწამ-დარეჯანი, ნესტან-დარეჯანი, მზე ქალი, დარჯი, მანიჯარი.

შეიძლება ითქვას, რომ ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ ამ ვარიანტის გარკვეული ადგილები მნიშვნელოვნად შეცვლილია, თუმცა პოემის მთავარი ღერძი უცვლელად მეორდება: ტარიელ ბეგი ფიზიკურად სრულყოფილია, ძლიერი და ის ცალი ხელით იჭერს ლომს, მზე-ქალა ისეთი ლამაზია, რომ პირბადის ახდისას, მზე ბნელდება. როდესაც ქაჯთა მეფე მოიტაცებს მზე-ქალას, მისი მეუღლე ველად გაიჭრება და გაჭირვების დროს მასთან ერთად არის ასმათი. აქაც ავთანდილი მიაგნებს მზე-ქალას ადგილსამყოფელს და სამივე გმირი ამარცხებს ქაჯთა მეფეს და ათავსუფლებს მზე-ქალას. თქმულებაში ტარიელის შესახებ ნათქვამია, რომ ქაჯის შეტყოფნით ასასა ხოცავდა; სადაც მივი-დოდა ტარიელი, იქ მყისვე დახოცილ ქაჯთა მთები დგებოდა. რაც შე-ეხება თამარ ყიზილ ფადიშაპს, თქმულებაში ის ისლამის მიმდევარი და მეჩეთების მაშენებელია.

მითოსურ-ზღაპრულ ელემენტებთან ერთად ჩანს სოციალური მო-ტივებიც. თქმულებაში ტარიელ ბეგი შეებრძოლება დევს, რომელიც გლეხებმდე არ უშევებს აუზიდან ჩამომდინარე რძეს. ის ვერ აიტანს ამ უსამართლობას ხალხის მიმართ და დევს გულს ხანჯლით განუგმირავს; აღნიშნული მოტივი უცხო არ არის ხალხური „ვეფხისტყაოსნისთვის“, არსებობს ისეთი ფოლოელორული მასალა, რომელშიც ტარიელი თა-ვადებს ემტერება (ქორიძე: 1999: 150).

საინტერესოა და სრულიად განსხვავებული ლეგენდის ფინალი. როდესაც ტარიელ ბეგი მზე-ქალას გამო ველად გაიჭრება, თამარ ყიზილ ფადიშაპი განიცდის ამ ამბავს და მეფობას ვაჟს გადაულოცავს. ალაპს კი ისე უყვარს თამარს ყიზილ ფადიშაპი, რომ ანგელოსთა თან-

ლებით მუჰამედი გამოუგზავნის, რომელიც მას ცოცხლად აიყვანს ზეცაში. როცა ტარიელ ბეგი და მზე-ქალა თამარ ყიზილ ფადიშაპთან დაბრუნდებან და შეიტყობენ მისი გარდაცვალების ამბავს, თავს დამნაშავედ მიიჩნევენ. ისინი ერთმანეთს და-ძმობას შეჰვიცებენ და დადებენ პირობას, რომ ყოველწლიურად იგლოვონ თამარი. ლეგენდაში ამ დღის თარილიც დაკონკრეტებულია (1 მაისი – საეკლესიო კალენდრის თანახმად, ძველი სტილით თამარ მეფის ხსენების დღე). მნიშვნელოვანია, რომ თქმულების გარკვეული მოვლენები ტაო-კლარჯეთის გეოგრაფიულ ადგილებს უკავშირდება: პლაკაციის ტბა, სოფლები: სარძევე, ჭინჭროფი, ჭალა, ანუ ხაზგასმულია თქმულების წარმომავლობა.

როგორც ვხედავთ, კ. მარტვილელის ჩანაწერებში შემონახულია „ვეფხისტყაოსნის“ კიდევ ერთი ფოლკორული ნიმუში, რომელიც ინარჩუნებს პოემასთან, პირველწყაროსთან გარეგნულ მსგავსებას. აქ აშკარად თვალშისაცემია ფრაგმენტულობა და ამბის მოუწესრიგებელი თხრობა. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, მასში კარგად არის აკუმულირებული ერის ისტორიული წარსული და კულტურული მეხსიერება. ცნობილია, რომ ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ უამრავი ვარიანტი არსებობს, ეს ვერსიაც შეიძლება ვიგულვოთ ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ ტაოკლარჯულ ვარიანტად, რომელიც კონსტანტინე მარტვილელის ჩანაწერებში პროზაული სახით გვხვდება.

როდესაც ჩვენმა სასოებამ თამარ ყიზილ ფადიშაპმა აღავოეს ციხე, გაიხარა, მოენონა დიდად. დაიპარა მთელი დუნიას ქვრივ-ობლები და დავრდომილნი და უხვად გასცა მოწყალება. ის იყო ნადიმად დასხდნენ, რომ ირანიდან ეწვია მას ყრმობიდან გადახვენილი საყვარელი ბიძაშვილი ტარიელ ბეგი თავისი დანიშნული მზე-ქალათი. მზე-ქალა ისეთი ლამაზი იყო, აიხდიდა თუ არა პირ-პადეს, მზე ბეჭლდებოდა. ხოლო ტარიელ ბეგი ისეთი მძლავრი იყო, რომ ლომბ ცალი ხელით იჭერდა. ტარიელ ბეგის სიმძლავრე მთელს დუნიაზე გრგვინავდა. მისის შიშით მდევები და ქაჯები ძრნოდნენ. შესახედავად ისეთი ლამაზი, ახოვანი და ტანადი იყო, რომ ქალები მისის სიყვარულით იწოდნენ. თამარ ყიზილ ფადიშაპი ბიძაშვილის ნახვით სიხარულს მიეცა და ნადიმი ნადიმზე განაგრძო. ხარობდა და ლალობდა საქართველოც ტარიელ ბეგისა და მზე-ქალას მოსვლით. ხოლო ჩვენი გმირები სიხარულითა და ტარიელ ბეგის სიყვარულით ცასა სწვდებოდნენ. ინვევდნენ მას სანადიროთ, ისრის ნიშანში სროლისა და ჯირითშიც, მაგრამ ამაოდ, მასთან ყველანი უსუსურნი აღმოჩნდნენ. ამას სჭვრეტდა თამარ ყიზილ ფადიშაპი, განაგებდა სამეფოს და მზე-ქალა სიხარულით უკოცნიდა მას ხელებს და აქებდა მის სიბრძნეს. თუ ხმა გაგარდებოდა, საქართველოზე ძლიერი მტერი

მოდისო, მზე-ქალა მყისვე დაიბარებდა ტარიელ ბეგს და ეტყოდა: აბა, ჩემო ვეფხო, ტარიელ ბეგ, დამიმტკიცე სიყვარული, შეები მტრებს და დაუმორჩილე იგი შენს ბიძაშვილსო და ტარიელ ბეგიც არ ყოყმანობდა, მყისვე აისხამდა იარაღს, გაუძღვებოდა თავის რაზმს, შეებმებოდა მტერს და მალე მათ მეფეს კისერზე ხმალჩამოკიდებულს მოათრევდა და მიშვერიდა ხოლმე თამარ ყიზილ ფადიშაპს და დააჩოქებდა მის წინაშე და ბოდიშს მოახდევინებდა. ამასობაში გავიდა დრო, დამშვიდდა ქვეანა, საქართველოს მტერი აღარ ჰყავდა. სწყუროდა ტარიელ ბეგს ომი. სწყუროდათ ქართველ გმირებსაც ომი, მაგრამ მტერი აღარავინ ჰყავს საქართველოს. ტარიელ ბეგი სახლში ვეღარ ჩერდება. მიდის ღამ-ლამობით სანადიროდ. ეომება ლომებს, ვეფხვებს, ხოცავს და დროს ამაში ატარებს. რცხვენიათ ჩვენს გმირებს, რომ ვეღარ უნევენ ტარიელ ბეგს მეტოქეობას. ერთხელ თამარ ყიზილ ფადიშაპს ესტუმრა უცხო სახელმწიფოს მეფე დიდის ამალით და ძლვენით. თამარ ყიზილ ფადიშაპი ღირსეულად შეხვდა, გაიმართა ზეიმი და სამს დღეს ილხინეს. მეოთხე დღეს სანადიროდ წავიდნენ, მაგრამ ტარიელ ბეგის ნასროლ ისარს ნადირი არ გადაურჩა. ამ დროს მოისმა მონადირეების ყვირილი და გან-გაში. მათ დაინახეს მათკენ მომავალი ლომები და ვეფხვი, მათი ყვირილი ციხის გრგვინვას მოგაგონებდათ, პირდაღებული ვეფხვი კი კატასავით მიიპარებოდა. ტარიელ ბეგმა რა დაინახა მხეცები, მყისვე მათკენ გაექანა და შეიქნა ომი, ტარიელმა სძლია ლომებს და ვეფხვს შეუტია, მაგრამ შეშინებულმა ვეფხვმა მოჰკურცხლა, დაედევნა ტარიელ ბეგი. ამასობაში დაღამდა. სამარისებულ სიბნელეები მოიცვა ბუნება. მონადირეები ელვის განათებით იკვლევდნენ გზას, სწუხდნენ ტარიელ ბეგის გაჭრას ტყეში, ემინოდათ რაიმე ხიფათი არ შეჰყუროდა. უნდოდათ დახ-მარების აღმოჩენა, მაგრამ გზა-კვალს ვეღარ იკვლევდნენ. ტყეში მეხი გრგვინვადა, ამტვრევდა, სპობდა ხეებს, კერძოდა ტყე, ზანზარებდა მიდამო, წვიმა კოკისპირულად ასხამდა, დადგა ნიაღვარის ტბა. თამარ ყიზილ ფადიშაპი და მზე-ქალა ერთად ისხდნენ, ბაასობდნენ, ელოდენ ტარიელ ბეგს, მათი გული ნალველმა მოიცვა. შუალამე გადასულიყო. თამარ ყიზილ ფადიშაპი და მზე-ქალა მოსვენებას მიეცნენ. ლოდიში დალლილ-დაქანცულებს ძილი მოერიათ. ქაჯთა მეფე გამოძვრა პლაკაციოს ტბის ქვეშ გვირაბიდან. იგი ჯადოსანი იყო. იცოდა ტარიელ ბეგის ტყეში გაჭრა. მოფრინდა თამარ ყიზილ ფადიშაპის სასახლეში, აქაც სამარისებული სიჩუმე იყო. სეფე ქალებსაც დასძინებოდათ. აფ-რინდა ქაჯთა მეფე, შეაღო სარკმელი, შევიდა თამარ ყიზილ ფადიშაპის სახლში, ქაჯთა მეფემ ფრთხილად მოხვია ხელი მზე-ქალას, აიყვანა, ჩაიხუტა გულში და რადგანაც ადამიანთა ტომს ნყლის ქვეშ გვირაბში

ცხოვრება არ შეეძლო, ჩაფრინდა ციხეში და მზე-ქალი ფადი შაჰის სასახლის სარეცელზე დააწვინა და თვითონ ჩაჰეტა შიგნიდან ციხის კარები და ზედ დარაჯები დააყენა. ამ დროს გამოეღვიძა მზე-ქალას და რა ნახა თავისი თავი ქაჯთა მეფესთან, მორთო მოთქმით ტირილი და ძახილი, იგი ტარიელ ბეგს მოუწოდებდა: ტარიელ ბეგ, ტარიელ ბეგ! მოდი მიშეველე, ქაჯთა მეფემ მომიტაცა და დამიხსენიო, მაგრამ ამაოდ, ციხე ისე მტკიცედ იყო გაკეთებული, რომ გარეთ ადამიანთა ხმა აღარ გამოდიოდა.

გათენდა. გამოეღვიძა თამარ ყიზილ ფადიშაპს, გადახედა მზე-ქალას სარეცელს და მზე-ქალი რომ ვერ იხილა, ელდა ეცა, მოუხმო სეფე ქალებს, მაგრამ ამაოდ, ვერავინ მისი ამბავი ველარ გაიგო. შეწუხდა ფადიშაპი, აფრინა მდევარი სოფელ ჭალაში, ტბის ქვემა გვირაბში, იკოდნენ, რომ აქ ცხოვრობდა ქაჯთა მეფე და იგი მოთაცებდა მზე-ქალას, მაგრამ ამაოდ. მნახველიც კი ვერავინ ნახეს. ამ დროს ტარიელ ბეგიც მოვიდა. მას ვეფხვი მოეკლა და ტყავი თამარ ყიზილ ფადიშაპისთვის მოჰკონდა. სეფე ქალებმა მოახსენეს თამარ ყიზილ ფადიშაპს. შემოვიდა ტარიელ ბეგიც, მოიყარა მუხლები თამარ ყიზილ ფადიშაპის ნინ, თაყვანი სცა, მიართვა ვეფხვის ტყავი და მოახსენა:

— დიდებულო ფადიშაპ, მთლად გამარჯვებული იყავი შენი საყვარელი სამწყსოს სიბედნიერით, მაგრამ ტარიელ ბეგმა ფადიშაპის თვალებზე ცრემლი რომ შეამჩნია, მიხვდა რაშიაც იყო საქმე. კვლავ თაყვანი სცა ფადიშაპს და გაიჭრა ველად მზე-ქალას საძებნად. მას თან გაჟყვა ასმათი და ტარიელმა და ასმათმა მაღაროს ქვემოთა დიდ მღვიმეში მოიკალათეს. ტარიელ ბეგი მტირალი დადიოდა ველში სანადიროთ, ჰკლავდა შევლს, მოჰკონდა მაღაროში და ასმათი მცვრიან მწვადებს ამზადებდა და ორივე მტირალი შეექცეოდნენ მწვადს.

თამარ ყიზილ ფადიშაპზე ცუდი გავლენა იქონია მზე-ქალას მოტაცებამ და ტარიელ ბეგის გაჭრამ ველათ და დაიბარა თავისი ვაჟიშვილი და დაუწყო დარიგება: მე, შვილო, უკვე ოცი წელი ვემსახურე სამწყსოს, დავთორგუნე მტრები, ორგულნი გავაერთგულე, არაბთა, სპარსთა და თურქთა ხარკი დავადევი. გავამდიდრე ქვეყანა ჩემი, ავაყვავე სწავლა-განათლებით ხალხი, ავაგე ეკლესიები, მოვფინე სარწმუნოება მაჰმადისა, შეუქენი ხანა ოქროსი ჩემს ერს. დღეს მძლავრია სამწყსო ჩემი. მე უკვე მოვიქანცე, ერის ნინაშე ჩემი მოვალეობა პირნათლად შევასრულე და ახლა მინდა შეუდგე სულზე ზრუნვას, მოვინანიო ნებსით თუ უნებურად ჩემ მიერ ჩადენილი ცოდვები, ამიტომ მე მინდა აღვიკვეცო მონასტერში მონოზნათ და შევავედრო ჩემი საყვარელი სამწყსო ზეცას. ან მიიღე, შვილო, სამწყსო ესე, იგი წილებვედრია

ალლახის, გაუძებ მას, მტკიცეთ დაადგექ ჩემ მიერ გაკაფულ გზას. ყოველი შენი პირადი ინტერესები უკუადე და შეუდექი სამწყსოს კეთილდღეობისთვის ზრუნვას. ნუ გახდები გულუბრყვილო ვითა ბავშვი, ნუ ენდობი სხვათა ლამაზ სიტყვებს, რადგან სიტყვაში მაცდურობაა, ყველა შენი ხელქვეითის მოქმედება ასწონ-დასწონე, დაუფიქრდი ღრმად, გაეცანი მისი სულის ვითარებას. მის ფარულ აზრებს და თუ ნახო მასში ერთგულება, ნუ განიშორებ. იყავი მხნე და მედგარი, ვითა ლომი ღვთის მოშიში, მცოდნე კეთილისა, შემბრალებელი ქვრივ-ობლებისა და დავრდომილთა უხვათ გასცემდე მონწყალებას. ნუღარ დაინდობ მოლალატეთა და ბოროტ მოყმეთ, არ მიეცე ვწებას, რათა არ ნარსნებინდოს სამწყსო შენი, გახსოვდეს, რომ შენ ხარ პასუხისმგებელი ღვთისა და ხალხის ნინაშე ყოველ შენს და შენი ხელქვეითთა მოქმედებაში. გახსოვს, რომ ერის ბედი და უბედობა შენს ხელშია. ასე დაარიგა შვილი თამარ ყიზილ ფადიშაპმა, აკურთხა, მოიხადა თავიდან სამეფო გვირგვინი და დაადგა შვილს თავზე. მერე ილოცა, შვილსაც ალოცვინა, გამოესალმა სამწყსოს და წარვიდა მეჩეთათ და შეუდგა ალლახს: „ალლახ! ალლახ! შეგცოდე და მიიღე სული ჩემიო“. შეევედრა ბოლოს თამარ ყიზილ ფადიშაპი ალლახს და რაკი უყვარდა ალლახს თამარ ყიზილ ფადიშაპი, ისმინა მისი ლოცვა, გამოუვზავნა ანგელოსთა თანხლებით მუჰამედი, ალიყვანა ცოცხლად ზეცაში და ჩვენ კი მის საფლავს აქ ვეძებთ. ტარიელ ბეგი კი ამ დროს დადიოდა მტკირალი და ექებდა მის მზე-ქალას. გაიგეს რა ტარიელ ბეგის ამხანაგებმა ავთანდილ ბეგმა და ფრიდონ ფადიშაპმა, გადასწყვიტეს წასულიყვნენ ტარიელ ბეგთან და მომზადებულიყვნენ ქაჯებთან საომრად. ამ დროს გმირთან ერთად გულთმისანი იყო. ფრიდონ ფადიშაპი კი გმირი და მპყრობელი უამრავ ჯართა, მას შეეძლო ქაჯთა ნინააღმდეგ დიდალი ჯარის გამოყვანა. ავთანდილმა იჯიქრა, იაზროვნა და დიდი ძებნის შემდეგ მიაგნო, გაიგო ყოველივე მზე-ქალას დანვრილებითი ამბავი და წამოვიდნენ ტარიელ ბეგთან. ამ დროს ტარიელ ბეგი ლომებზე ნადირობდა, რომ სოფ. სარძევეში დაინახა შავი მდევი მიდგომია აუზს, რომელშიაც ზევითა აუზიდან რძე ჩამოდიოდა. ტარიელ ბეგი განრისხდა, ვერ მოითმინდა უსამართლობა მდევისა ხალხის მიმართ. მყისვე გაეშურა მდევისაკენ საბრძოლველად. მდევი შეკრთა, გაქცევა დააპირა, მაგრამ უკვე გვიან იყო და ის საომრად მოემზადა. შეიბნენ ტარიელ ბეგი და მდევი. მათი ლახტის ცემით მთები ზანზალობდნენ. გახარებული გლეხები სოფელ ჭინჭროფში აუზთან იდგენ და ტარიელ ბეგის სიცოცხლეს ღმერთს ავედრებდნენ. კარგა ხანი ბრძოლის შემდეგ ტარიელ ბეგმა ჩააგო ლახტი ბუდეში და ხელდახელ შეეჭიდა მდევს. დიდხანს იბრძოლეს, ბოლოს ტარიელ ბეგმა გადმოილო

მდევი მხარულზე, დასცა მინაზე და გული ხანჯლით გაუგმირა და ის იყო გაეკიდა მის მიერ დაკოდილ ვეფხს, რომელიც იქვე მტკვრის პირად იდგა და იღოვავდა ჭრილობას, რომ ავთანდილ ბეგი და ფრიდონ ფადიშაპი ურიცხვის ჯარით თავს წაადგნენ. ტარიელ ბეგმა იცნო მეგობრები და სიხარულით აღივს: ავთანდლ ბეგმა გადასცა ტარიელ ბეგს მზე-ქალას მიერ გამოგზავნილი წერილი. ტარიელ ბეგს გაუხარდა, გახსნა წერილი და რომ წაიკითხა, მეტის სიხარულისაგან გული შეუღონდა და რომ მოასულიერეს, ტარიელ ბეგმა უჩვენა მეგობრებს მოკლული მდევი და სოფელ მდევის საჭურჭლისაკენ წაიყვანა. გახსნეს ზანდუეკი, ამოალაგეს უამრავი ოქრო, ვერცხლი, თვალ-მარგალიტი და ალმასის ხმლები, ჩაიცვეს ფოლადის აბჯრები და გაუდგნენ მზე-ქალას ციხისკენ საბრძოლველად, შევიდნენ გვირაბში და რომ ციხეში შესავალი კარი ვერ ნახეს, ტარიელ ბეგმა ჰერა წიხლი ციხის კედელს და შეამტკრია. შეიქნა საშინელი ომი. ავთანდილ ბეგი და ფრიდონ ფადიშაპი ვით კაკაბთა გუნდს შავარდენი, მუსრს ავლებდა ქაჯთა ჯარს. ამ დროს ტარიელ ბეგი ხელჩართულ ბრძოლას ანარმოებდა მტერთან, ერთი ქაჯის შეტყორცნით ასსა ხოცავდა. შეკრთა ქაჯთა ჯარი, დაბრთხა, ვეღარ გაუძლო ტარიელ ბეგის მკლავთა ღონეს და აცნობეს ქაჯთა მეფეს, რომ მოშველებოდა ჯარით. ქაჯთა მეფე შეშინდა, მთელი ჯარი შეუსია ტარიელ ბეგს, მაგრამ ამაოდ, ქაჯთა ჯარი ამოსნუყიტეს და შევიდნენ ციხეში. აქაც ომი. ქაჯთა ჯარი აქაც დამარცხდა და მყისე ჩაიკეტა კარი ციხის მთავარ სიმაგრეში. ტარიელ ბეგმა აქაც ჰერა წიხლი ციხის კედელს და შეანგრია, შევიდა და ქაჯებს მუსრი გაავლო, შეშინებული ქაჯები ციხის მესამე სიმაგრეში მოექცნენ, დიდი სისხლი დაიღვარა ქაჯთა, სადაც მივიდოდა ტარიელ ბეგი, იქ მყისე დახოცილ ქაჯთა მთები დგებოდა. ასე იბრძოდნენ ავთანდილ ბეგი და ფრიდონ ფადიშაპიც. გაიგო რა მზე-ქალამ ტარიელის, ავთანდილის, ფრიდონის მოსვლა და გამარჯვება ქაჯებზე, მოესმა მათი გმირული ყიუინის ხმაც და შემინებულ ქაჯთა განგაში, დაიწყო მათ გასამხნავებლად სიმღერა. მოესმა რა ტარიელ ბეგს მზე-ქალას სირინოზივით ადამიანის ვულის მომაჯადავოებელი სიმღერის ხმა, ძალა ერთი ათასად გაუორეცდა, ვეღარ გაუძლო ტარიელის გონებამ მზე-ქალას ხმის სიხარულს, მიანება აქ ციხეში ომს თავი, შემოუარა ციხის კედელს, ნახა კარი, ჰერა წიხლი და როს შეამტკრია, გაექანა მზე-ქალასაკენ. ამ დროს შიშით შეძრნუნებული ქაჯთა მეფე მივარდა მზე-ქალას, ნააქცია და ის იყო ხანჯლით ყელი უნდა გამოეჭრა, რომ ეღვის სისწრაფით გაჩნდა ტარიელ ბეგი. ქაჯთა მეფე შეჰერთა გაშმაგებული ტარიელის დანახვაზე, დაანება

თავი მზე-ქალას, აფრინდა და ას მთას იქით გადაფრინდა. მზე-ქალა კი ნამოდგა ფეხზე, გამოექანა ტარიელ ბეგისეკენ და სრული სიყვარულის გრძნობით ჩაეკრა გულში ტარიელ ბეგს. ამ დროს ავთანდილ ბეგი და ფრიდონ ფადიშაპი ხოცავდნენ მტერთა ჯარებს და ხმალთა ქნევით დაექებდნენ ტარიელ ბეგს და რომ დაინახეს ორი მიჯნური ერთმანეთს გადახვეული, მიულოცეს მათ გამარჯვება. მოსპეს ქაჯთა ჯარი, განმინდეს არემარე მათი სიბილნისაგან, დატვირთეს ჯორ-აქლემები ქაჯთა უთვალავი სიმდიდრით და თავიანთ გმირი ჯარის თანხლებით ნამოვიდნენ თამარ ყიზილ ფადიშაპთან, რომ მიელოცნათ, გაეხარებინათ მისი გული, მაგრამ რა გაიგეს თამარ ყიზილ ფადიშაპი უკვე აღარ არის, ალლახმა იგი მისი თხოვნით აღიყვანა ცოცხალი ცაში, სცნეს თავიანთი თავი დამნაშავეთ, დაიწყეს ტირილი და გლოვა, იხოვდნენ ლანგებს, გამოეთხოვნენ ავთანდილ ბეგსა და ფრიდონ ფადიშაპს, რომ მარტონი დარჩენილიყვნენ ტარიელ ბეგი და მზე-ქალა, გადაკოცნეს ძვირფასი მეგობრები და გლოვად დასხდნენ, იგლოვეს, იგლოვეს და ბოლოს, როგორც დამნაშავენი თამარ ყიზილ ფადიშაპის უდროვოდ ამ წუთისოფელს გამოსალმებისა, შეჰვიცეს ერთმანეთს და-ძმობა და დასდეს პირობა, რომ მთელ მათს სიცოცხლეში, ჩამოსულოყვნენ ყოველწლიურად ერთხელ და ელოცნათ, ეგლოვათ თამარ ყიზილ ფადიშაპი, ეკოცნათ მისი ნაკვალევი მიწა და დილას, გათენების ჟამს, ადამიანთა თვალთაგან დაუნახველები ნასულოყვნენ. ამიტომ ალლახმა ისინი უკვდავჰყო და მას მერმე ყოველ წელს ღამე 30 აპრილს მოდიან, ტირიან, ლოცულობენ და პირველ მაისს, რიჟრაჟის დროს, ტარიელ ბეგი მაღალის ხმით მტირალი შესძახებს თამარ ყიზილ ფადიშაპს ცოდვების პატიებას და მის ნაკვალევზე პირდამხობილი ჰკოცნის მიწას და როდესაც ტარიელ ბეგი ადგება, მზე-ქალა დაიჩოქებს, აიხდის პირბადეს, რომ ემთხვიოს თამარ ყიზილ ფადიშაპის ნაკვალევ მიწას, ერთბაშად დაირღვევა სიბრძლის ზენარი და ვით დღე განათდება და ისინიც მყისვე უჩინარ იქნებიან (ხეც, სხვადასხვა N351: 49-57).

დამოცვებანი:

ქორიძე 1999: ქორიძე ე. „ვეფხისტყაოსნისა“ და „ტარიელიანის“ ურთიერთ-მიმართება. თბილისი: 1999.

ფონდი : კ. ეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საარქივო ფონდი: სხვადასხვა N351.

MARY KHUKHUNAISHVILI-TSIKLAURI

Georgia, Tbilisi

Member of the British Folklore Society

Motifs of the Magic Tales in the Oral Narratives of “The Knight in the Panther’s Skin”

Shota Rustaveli’s “The Knight in the Panther’s Skin” played a significant role in the formation of the oral narratives. The folk narratives of the poem are spread all over Georgia and exist in prose and in the mixed form.

Rustvelologist G. Imedashvili studying the architectonics of the theme of the poem took attention to the scheme of the theme: loss-searching-finding, peculiar to the magic tales, too. In difference with them in the poem the scheme is doubled.

The motifs frequently used in the oral narratives are ATU 516, ATU 507, ATU 449 that play an important role in the development of the subject matter.

Key words: *Folklore, Magic Tales, Architectonics, Motifs*

“Every nation great or small, primitive or sophisticated, possesses its own poetic heritage, which enriches the individual and collective consciousness of the people, and symbolizes the aspirations, the ethos and collective consciousness of the community” (Lang 1971:9). The product of this process is Shota Rustaveli and his poem “Knight in the Panther’s Skin” dominating the national scene until today.

Nourished with the cultural heritage of the country, with the folklore, his immortal work caused mutual interaction: many lines and phrases of the poem have become proverbs, the images and the plot of the poem have stimulated creation of the folk narratives of “The Knight in the Panther’s Skin”. Investigation of the interconnection of the folklore and the fiction is of the high priority of the folklorists and the specialists in literature. Presented paper is an attempt to prove the mutual influence of the poem and of the magic folktales on the creation of the oral narratives of “The Knight in the Panther’s Skin”.

Folk narratives of the poem are widespread in Georgia and exist in prose, in verse and in the mixed form. They are enriched with the parallel episodes of the popular Georgian folk traditions and legends: “Amiraniani” (Chikovani

1937:105-106, 111, 117, 126, 153; Ghloni 1948:161-166; Alavidze 1961:54), “Eteriani” (Chikovani 1937: 92-93, 120), “Bejhaniani” (Chikovani 1937:345), of the folk poetry (Chikovani 1937:112,121, 97-98) and of the motifs of the magic tales which is not accidental.

Rustvelologist G.Imedashvili studying the architectonics of the theme of the poem took attention to the scheme of the theme: loss-searching-finding (Imedashvili 1968: 243-261). The scheme is a common tradition of the artistic construction of Chivalry tales and peculiar to the magic tales, too. In difference with magic tales Shota Rustaveli in the poem doubled the scheme of the narrative (giving two knights ‘-Tariel’s and Avtandil’s story) causing high artistic effect together with the mastery of the art of versification and the verbal dexterity. The scientist M. Karbelashvili thinks that the poem genetically is connected to the magic tale and the scheme of “The Knight in the Panthers Skin” coincides with its scheme (Karbelashvili 1982:649-652).

In the paper is used The Classification of the Types of the International Folktale edited by Hans-Jorg-Uther in three volumes in Helsinki in 2004. Basic motifs of the narratives are ATU 516 and ATU 507.ATU 516 “Faithful John” tells the story of a prince who wants to marry a beautiful princess. A faithful servant, a friend (an adoptive brother) helps him in the search during which he overhears creatures prophesy the future: about certain dangers that threaten the prince during the bridal night and how it can be averted by particular actions, but anyone who reveals this will be turned to stone. The faithful friend averts the danger, his actions appear excessive and irrational to the prince, the friend is forced to disclose the secret and he is turned to stone. The prince and his wife mourn the helper. The prince discovers that he can bring his friend back to life by sacrificing his own child (children). He kills the child, the helper is restored and the child is revived, too.

ATU 507 “The Monster’s Bride “consists of one introductory and of the main part. Young man during his travels in seeking fortune provides a suitable funeral for an unknown man whose corpse was mistreated by creditors. Later he meets a travelling companion (a servant) who wants to help him on the condition they will divide all their winning, On their way the companion obtains magic objects, the young man woos a princess . He marries her who is enchanted having snakes in the stomach. At the bridal night they crawl out of her mouth to kill the bridegroom but his companion who keeps watch over him kills the snakes. In some variants of ATU 507 the companion according to the agreement demands half of the winnings among them the princess. Dividing the princess in two parts the snakes crawl out of the body of the maiden and she is disenchanted. He puts

the halves together, explaining that this was the test of the faith. It must be noted that both variants are used in the folk narratives of the poem.

The mainstream of Shota Rustaveli's poem – friendship, loyalty and courage is a dominant tendency for the folk narratives of the poem using for that corresponding motifs of the tales of magic around which are grouped episodes of other international folktales – ATU 408, ATU 332C*, ATU 518, ATU 571, ATU 706C, ATU 707, ATU 300, ATU 303, ATU530, enriching the plot of the story, intensifying the effects of the danger of the adventures, of the supernatural events , prolonging the story of the quest for the lost sweetheart. In our opinion the motifs can be widened if the new texts are discovered confident in which we are relying on the fact of the newly discovered texts. They have recently been found in the folklore archive of Shota Rustaveli Institute of Georgian Literature while working on the project of “The Georgian-English Electronic Platform of the Comparative Analysis of the Folk Prose.”

The investigation is based on the texts published by M. Chikovani (Chikovani 1937:71-354), by A.Ghlonti (Ghlonti 1948:26-35), by M. Alavidze (Alavidze 1961:53-55) and of the texts of the folklore archive of the Institute (<http://www.folktreasury.ge>). Hence we try to give a generalized anatomy of the folk tales of “The knight in the Panther’s Skin”.

The folk narratives of “The Knight in the Panther’s Skin” are mainly entitled as “Tariel” or “Tariel’s Story”. Two kings, the king of the East and the king of the West take oath to marry their children to each other if their wives give birth to a boy and to a girl (Chikovani 1937: 319-323). To the king of the East is born a son, they call him Tariel. According to the variants he has a golden tooth or his teeth cast light, his magic sleep extends over long period of time and only his horse can awake him out of dream (Chikovani 1937:149, 309, 111, 82). To the king of the west is born Mzetunakhavi. It must be noted that the name is characteristic for the beloved maidens of the Georgian tales of magic .Literary it means a beauty never seen by the sun. Generally Tariel’s sweetheart is called Nestan-Darejan,there are some variations of the name, too – Lertsam-Darejan, Nestor-Darejan, Melton-Darejan. Tariel’s , Avtandil’s and Pridon’s names are fixed and don’t change.

Tariel’s father dies. One day he meets an old woman, playing a joke on her he breaks her jars of milk. Angry woman blames the prince and advices him better to be troubled about Nestan-Darejan whom the father is going to marry to other prince. Tariel kills the Bridegroom. Furious father orders the servants to kill the daughter. They feel pity for the princess, put her in the chest and throw in the sea, bring the knife and the shirt of the maiden dipped in hen’s blood to the king as the

evidence of her murder. They are widespread motifs of magic tales (ATU 706C “The Father Who Wanted to Marry His Daughter,” ATU 707 “The Three Golden Children”). In another variant the father wants to give Tariel impossible tasks to destroy him – ATU 530 “The Princess on the Glass Mountain“ (Chikovani 1937:147). Tariel calls for help his vizier Avtandil, he is born with a star on the forehead. Avtandil practises magic and helps Tariel in overcoming of the dangerous obstacles (Chikovani 1937:109). They set out and come to Pridon’s kingdom. It is remarkable that in some narratives Tariel, Avtandil and Pridon are brothers (Chikovani 1937: 147, 155), in other versions Pridon is not always represented as the second helper and not always occupies the triangle of Nestan-Darejan’s rescuers as it is in the case of Shota Rustaveli’s poem. The narratives mainly submit the schemes of ATU 516 “Faithful John” and of ATU 507 “Monster’s Bride” – two friends’ story, sometimes inserting the starting episode of ATU 408 “ The Three Oranges”: a prince insolently breaks an old woman’s jar and she curses him.

The long roaming of the friends is full of various supernatural episodes. Avtandil revives Tariel with his tears, with a magic handkerchief, with the blood of the fish killed with the arrow in the sky, heals his broken ribs with the feather of Paskunjia , fabulous bird of the Georgian fairy tales (Chikovani 1937:93, 311, 145,129-130). Tariel seems not less skilful, he expands his arm and turns it into a bridge and helps a man being in trouble to cross the river (Chikovani 1937:79), he finds a magic whip and rescues Avtandil turned to a dog by an evil king – ATU 449 “The Tsar’s Dog“ (Cikovani 1937:167). They fly on the magic carpet, ride on a magic horse (Chikovani 1937: 315-318, 151 321). Thus the episodes of magic objects and animals, of magic remedy are very often used. Avtandil kills the youth living in the sea and keeping people in thirst, where the episode of life token is used (Ghlonti 1948:32-33). The motif is a popular one in folktales: ATU 300 “The Dragon Slayer“, ATU 303 “The Twins or Blood-Brothers.“

The friends reach the castle of Kajis (demons, evil creatures of the Georgian mythology) where Nestan-Darejan is captured. The king of Kajis wants to marry to her but the princess lays down the condition: in the case if the Kaji makes her laugh, which is impossible for the king of Kajis (the motif of the ATU 571 “All Sticks Together “ – a melancholy princess is promised in marriage to whoever can make her laugh). With the help of the ring as of the identification sign Tariel succeeds in contacting with Nestan – Darejan- well known motif of the folktales (Chikovani 1937:95, 175, 180-181, 321). In the episodes of the fight against the Kajis the motif of transformation is used – old magicians change millet into Kajis, turning backward the spinning wheel multiply Kajis (Chikovani 1937:116,

96, 164) intensifying the battle scenes of Tariel and Avtandil against the evil spirits (Chikovani 1937:116). In the end the long roaming is finished.

Nestan-darejan is rescued but she is enchanted, kajis are residing in her stomach. Avtandil being a clairvoyant knows about the Kajis plan of killing Tariel for obtaining the princess, or hears about the secret by chance. The secret mustn't be revealed, if so, he will turn to stone. Avtandil brandishes the sword towards Nestan-Darejan and the Kajis jump out her mouth. Avtandil avoids Tariel's death but his acts appear strange and cause his friend's anger. Avtandil discloses the truth and turns to a stone. Tariel learns from a magician or from Saint George that Avtandil can be revived with the blood of his child. He is ready to act in this way, kills his child. Avtandil is restored and at the same time the child is revived, too (Chikovani 1937:312-313; 322-323). It must be noted that this motif is not always the final one in the narratives, sometimes they are ending with the episode of throwing out the Kajis from Nestan-Darejan's stomach –ATU 507 "Monster's Bride".

As we see Rustaveli and his immortal work "The Knight in the Panther's Skin" attracted and attracts people not only because it is a love story with the dangerous adventures but for being a hymn to friendship, loyalty and high endeavor which is the national character of Georgians. That is why the folk adopted it and turned into a folktale multiplying in versions using for the mainstream the widespread motifs ATU 516 and ATU 507 based on faithfulness and friendship enriched with numerous episodes of the magic tales, with Georgian folk epos and poetry , thus showing the high artistic talent of the folk whose product is Shota Rustaveli himself.

The investigation of this mutual process of interaction of fiction and folklore needs further development. The unknown texts newly discovered in the Folklore Archive of Shota Rustaveli Institute of Georgian Literature put on the agenda the necessity of editing the renewed collection of the folk narratives of the poem adding to them the archive texts, the oral narratives published by the various scientists after the publication of the collection of the folklore texts by professor M. Chikovani in 1937. This will help to continue the process of creative collaboration of the folklorists and the specialists in literature on the problems of Rustvelology.

BIBLIOGRAPHI:

Alavidze 1961: Alavidze, A. *Folklore of Lechkhumi* (in Georgian).Tbilisi: “Sabchota Mtserali”, 1961.

Chikovani 1937: Chikovani, M. *Folk Versions of “The Knight in the Panther’s Skin”* (in Georgian).Tbilisi: Tbilisi State University, 1937.

Ghlonti 1948: Ghlonti, A. *Georgian Folktales and Legends* (in Georgian).Tbilisi: “Sabchota Mtserali”,1948.

Imedashvili 1968: Imedashvili, G. “*The Knight in the Panther’s Skin” and the Georgian Culture* (in Georgian).Tbilisi: “Metsniereba”, 1968.

Karbelashvili 1982: Karbelashvili, M. *Mythological Roots of the Plot of “The Knight in the Panther’s Skin”*(in Georgian). Bulletin of the Georgian Academy of Sciences , Vol.105, #3 .Tbilisi:1982.

Lang 1971: Lang, D. *Introduction, Shota Rustaveli, “ The Knight in the Panther’s Skin” translated by Venera Urushadze*. Tbilisi: “Sabchota Sakartvelo”, 1971.

Uther 2004: Uther, hans-Jorg. *The Types of International Folktales, Classification and Bibliography*, Volumes 1,2 3. Helsinki: 2004.

„ვეფხისტყაოსანი“ და შუასაუკუნეების
ლიტერატურული კანონი
“The Knight in the Panther’s Skin” and
Medieval Literary Canon

NINO VAKHANIA

*Georgia, Tbilisi
University of Sukhumi*

Towards the One Opinion of Pavle Ingorokva

In accordance with one icon (main martyr Giorgi) kept in Khobi monastery, Pavle Ingorokva concludes that this icon inscribed by the son of Tbeli Grigol of the brother of Shota Rustaveli was taken to Dadianis' family from Hereti by Tsotne's wife named Borena, the daughter of Tbeli. Under the probability and without any argumentations can be read: Borena may not be Shota's daughter (did it happen that some item belonged to uncle or family treasure used to be given to daughter as a dowry?). Everybody does not agree with the opinion expressed by Pavle Ingorokva is scientific literature stating that Shota, the same Shota Rustaveli is participant of Kokhtistavi conspiracy, though neither opposite argumentation is not duly suggested. Son-in-law and father-in-law may together participated in the conspiracy.

Key words: Pavle Ingorokva, Tsotne Dadiani, Shota Rustaveli, Son-in-law, father-in-law.

ნიმ ვახანია

საქართველო, თბილისი
სოხუმის უნივერსიტეტი

პავლე ინგოროვას ერთი მოსაზრების კვალდაკვალ

უამრავი ისტორიული წყაროს, ლიტერატურული ძეგლის, ხელოვნების ნიმუშის, არქეოლოგიური მონაპოვრის, სამეცნიერო გამოკლევისა თუ სხვა მონაცემთა შესწავლა და შეჯერება უდევს საფუძვ-

ლად პავლე ინგოროვას გასაოცარ აღმოჩენებს. მკვლევარმა თითქმის დეტალურად აღადგინა შოთა რუსთაველის ბიოგრაფია და მართლად წარმოგვისახა XII-XIII საუკუნეების საზოგადოებრივ-კულტურული გარემო. შეიძლება მეცნიერის ზოგი მოსაზრება საკამათოდ აღძრავდეს მკითხველს, მაგრამ ამავე დროს ყოველთვის უბიძგებს ახალი ვარაუდებისა თუ მიგნებებისკენ.

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის სიტყვები: „თვალთა, მისგან უნათლოთა, ენატრამცა ახლად ჩენა“ – რუსთველოლოგიაში სხვადასხვანირადაა ახსნილი და გაგებული. სასკოლო სახელმძღვანელოში, რომელსაც ნოდარ ნათაძის კომენტარები ახლავს, წერია: „ეს ტაეპი შეიძლება კითხვადაც გავიგოთ... (ამ მეტაფორის აზრია: განა თამარის შვენებისაგან გონდაკარგული კაცი კვლავ გონზე მოსვლას ინატრებს?). აქ შორეული გამოძახილია ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრებისა ლვთის შეუცნობლობის და, ამ აზრით, მისი ბნელით მოცულობის შესახებ...“ (ნათაძე 2011: 466).

პავლე ინგოროვას არ ეეჭვება, რომ ეს სტრიქონი აირეელავს შოთას ბიოგრაფიის ერთ მონაკვეთს, როცა იგი (ალბათ, იძულებით) დაშორებული იყო საქართველოს სამეფო კარს და, რა თქმა უნდა, თვით მეფეს – თამარს. ეს „არის პოეტის დიდი პირადი ტრაგედიის ნაჩრდილი“, – წერს მკვლევარი (ინგოროვა 2016: 193). ზემომოყვანილ სტრიქონს პავლე ინგოროვა ასე კითხულობს: „ჩემს თვალებს, რომელთაც აღარ უნათებს [მზე-თამარ], ვით არ მოენატროს მისი ახლად ხილვა“ (ინგოროვა 2016 : 187). „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის თარიღად მკვლევარს მიაჩნია 1196-1207 წლები და ამ და სხვა სტროფებზე დაყრდნობით დამაჯერებლად არკვევს, რომ პოემა ავტორს განდევნილობაში, თამარისაგან შორს მყოფს დაუწერია. სამეფო კარისგან შორს ყოფნისა და პოემის დაწერის წლები დაახლოებით ემთხვევა ერთმანეთს. ისეთი დაკვირვებული, ერუდირებული და ღრმა ანალიზის უნარის მქონე მეცნიერისთვისაც კი, როგორიც პავლე ინგოროვაა, შეუძლებელი აღმოჩნდა ან განდევნის მიზეზების, ან ლტოლვილობის ადგილის დადგენა. ამდენი საუკუნის წინანდელი ამბები თუმცა ნისლს მოუცავს, მაგრამ პავლე ინგოროვამ ბევრი რამ ამოიკითხა და ნათლად დაგვანახა. სხვადასხვა ისტორიული წყაროს მონაცემები, თავისი თანამედროვე თუ ძველი გამოკვლევები ერთმანეთს შეუდარა, ერთმანეთით შეავსო და თითქმის მთლიანად აღადგინა მე-11 – მე-13 საუკუნეების საქართველოს ყოფა და რაც ამჟამად ჩვენთვის საყურადღებოა, თვალწინ გადაგვიშალა შოთა რუსთაველის ბიოგრაფია.

ხობის მონასტერში დაცულ სიწმინდეთაგან გამოირჩევა თამარის გულსაკიდი ჯვარი, რომელიც მეცნიერთა (ე. თაყაიშვილი, დ. ბაქრაძე, ნ. კონდაკოვი, პ. ინგოროვა) აზრით, შერგილ დადიანის ოჯახში მოხვდა თამარის გარდაცვალების შემდეგ, მე-13 საუკუნის პირველ მეოთხედში. არ ვიცით, რა გზით და რა ვითარებაში.

მხოლოდ ვეკითხულობა: შეიძლებოდა თუ არა, სამეფო კარიდან განდევნილ შოთა რუსთაველს დროებით დასავლეთ საქართველოში, დადიანების სამფლობელოში შეეფარებინა თავი (ასეთი რამ ხომ ხდებოდა ჩვენი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე). შეიძლებოდა თუ არა, რომ თამარის ჯვარი მეფესთან დაახლოებული იჯახის, რუსთაველთა საგვარეულო განძი ან უმუალოდ მოთას საკუთრება ყოფილიყო. თუ ზემოთქმულს დავუშვებთ (ან დავამტკიცებთ), მაშინ გასაგები გახდება ამ ჯვრის დადიანთა მონასტერში მოხვედრის პერიპეტიები.

ჰავლე ინგოროვა ხობის მონასტერში დაცულ კიდევ ერთ ძეგლს მიაქცევს ყურადღებას და უაღრესად საინტერესო და ჩვენი ისტორიისა და კულტურისათვის მნიშვნელოვან და ძვირფას დასკვნას გვთავაზობს.

საუბარია გიორგი მთავარმონამის ხატზე, რომელიც ჰერეთის ბაგრატიონთა ოჯახს ეკუთხნდა და რომელზეც შოთას ძმის, ტბელი გრიგოლის dის წარწერაა (ხატის ორი – შავ-თეთრი და ფერადი ფოტო – მოთავსებულია პავლე ინგოროვას რუსთაველოლოგიური თხზულებების II ტომში, რომელიც „ჩვენმა მწერლობამ“ გამოსცა 2016 წელს). როგორც უტყუარად აქეს დადგენილი პავლე ინგოროვას, ტბელი მონაპირე სპასპეტი (მხედარმთავარი) ყოფილა თამარ მეფის დროს. მკვლევარი საგანგებოდ მიაქცევს ყურადღებას იმას, რომ ამ ძვირფას, ოქროქანდაკებულ ხატზე შესრულებულია არა ჩვეულებრივი წარწერა (როგორიც, ვთქვათ, ანჩისხატზე), არამედ როგორც მხატვრული ნაწარმოები. ნიგნში დაბეჭდილია წარწერის ტექსტი მხედრული ასოებითაც. ნაშრომში სავსებით სწორადა შენიშნული: „თვით ტექსტი წარწერისა ხელოვნების ნამდვილი ძეგლია, მხატვრული სრულყოფით აღბეჭდილი. შესრულებულია იგი ბრწყინვალე ძველ-ქართულით“ (ინგოროვა 2016: 264).

ჩემი ყურადღება მიიპყრო წარწერის დასაწყისმა. გიორგი მთვარმონამისადმი მიმართვის შემდეგ წერია: რომელმან მოიგე გვირგვინი უხრწელობისაი...

„ვეფხისტყაოსანიც“ ხომ ზუსტად ასე, ამავე სიტყვით იწყება: „რომელმან“.

ეს დასაწყისი შეიძლება ნიშნავდეს შოთას გავლენას ძმაზე, შეიძლება იყოს ეპოქისთვის დამახასიათებელი კლიშე ან იქნება, სულაც რუსთაველის დაწერილი იყოს ეს არტისტული სტილით შესრულებული ნარჩერა. ეს, მით უფრო არაა გამორიცხული, რომ ხატი ჰერეთის ბაგრატიონთა საოჯახო რელიკვია იყო, შეკვეთილი უთუოდ ტბელი გრიგოლის ძის მიერ.

დეტექტივის ინტერესით, ალლოთი და ჟინით იკვლევს პავლე ინგოროვა გზას, რომლითაც შეიძლება ხატი ჰერეთიდან ხობში მოხვედრილიყო. სავსებით სწორად ვარაუდობს, რომ უთუოდ ჰერეთელი ბაგრატიონის ქალის მზითვის შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო. რადგან დედა ცოტნესი, შერგილის მეუღლე, ნათელი, ბაგრატიონი არ ყოფილა, როგორც ჩანს, ხატიც და, სავარაუდოდ, ზემოთ ნახსენები ჯვარიც ცოტნეს მეუღლისა უნდა ყოფილიყო. ხოლო ვინ იყო ცოტნეს მეუღლე? ამაზე მეცნიერო ერთმნიშვნელოვნად და შეუვალად პასუხობს. ბორენა, ასული ტბელისა (ძმისწული შოთასი). და ამ დასკვნის გასამყარებლად ერთადერთი საბუთი მოაქვს – ტბელი გრიგოლის ძის ბრძანებით დამზადებული და მისივე ნარჩერიანი ხატი. მაგრამ, არ ვიცი, არ შეიძლება, რომ ცოტნეს მეუღლე შოთას ასული ყოფილიყო და არა ძმიშვილი (იმავე მზითვით)? ნუთუ მარტო ის, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ავტორის უიმედო სიყვარული ჩანს თამარისადმი, გვაძლევს უფლებას ვამტკიცოთ, რომ რუსთაველს ოჯახი არ ჰყოლია? ნეტა, სად გაიცნეს ერთმანეთი ცოტნე დადიანმა და ჰერეთის ბაგრატიონის ასულმა? ბავშვობაში ხომ არა, როცა, სავარაუდოდ, შოთა სამეფო კარიდან განდევნილი იყო და იქნება, ოჯახთან ერთად დადიანების სამფლობელოს აფარებდა თავს?...

მეუღლე ცოტნესი, ბორენა, სწორედ ის პოეტი ქალია, რომლის ნარჩერიანი ხატი სვანეთში, ლენჯერის მონასტერში იყო დაცული. ბორენა რომ მე-13 საუკუნის მოლვანეა და არა მე-11-ისა, როგორც ამას აღ. ხახანაშვილი და კ. კეკელიძე ფიქრობდნენ, ეჭვშეუვალი საბუთებით დაამტკიცა პავლე ინგოროვამ. მანვე აღმოაჩინა ბორენას პოეტურ ხერხებსა და „ვეფხისტყაოსანს“ შორის მრავალი უეჭველი მსგავსება: რითმათა, სიტყვათნარმოებისა, ერთნაირი დასაწყისისა „რომელმან“, რიტმისა და შინაგანი რითმის გამოყენებისა და სხვა.

შოთასთან ბორენას პოეტური აზროვნების სიახლოვე და ამ ორი პოეტის შეხვედრები სრულიად თვალსაჩინოა, სრულიად ნათელია. მკვლევარი ასკვნის: „პოეტი ქალი ბორენა, ასული ტბელისა, შთაგონებულია შოთას პოეზიით.“ არაფერი მეტქმის. რატომაც არ შეიძლება ძმიშვილი შთაგონებული იყოს ბიძის პოეზიით, მაგრამ ისევ ვკითხუ-

ლობ: განა უფრო ლოგიკური არ იქნება, ვიფიქროთ, შვილი იყო მამის პოეზიის მექავიდრე?

ბორენას ლექსის ერთი ეპითეტი, „ჭირ-მრავალი“ პავლე ინგოროვას, მიმაჩნია, სავსებით სამართლიანად, აფიქრებინებს, რომ პოეტი ქალი რაღაც კონკრეტულ ჭირს, გასაჭირს გულისხმობს, „ეს ლექსი, მისი სული, ასე გვეჩვენება, შთაგონებულია ცოტნეს და შოთას თავდადებით, როდესაც გმირულმა თავგანწირვამ დაამარცხა ძალი ბოროტისა“, – ვკითხულობთ ნაშრომში და ავტორი გულისხმობს შოთა რუსთაველისა და ცოტნე დადიანის მონანილეობას კოტისთავის შეთქმულებაში. აჯანყების მზადების შესახებ უთუოდ ეცოდინებოდა ბორენასაც, მისი მეუღლის თავდადება მერე ყველა ქართველისთვის გახდა ცნობილი და დღესაც სამაგალითოა. ცოტნეც შოთას ნააზრევზე ჩანს გაზრდილი. „მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვკრებ კიტრად ბერად, ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად,“ – როგორც ჩანს, მისი ცხოვრების ნარმმართველი სიტყვები გახდდათ. ბორენას წინასწარ რომც არაფერი სცოდნიდა აჯანყების მზადების შესახებ, მაინც შეიძლება საკუთარი თავისთვის „ჭირ-მრავალი“ ეწოდებინა. მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ შოთას ოჯახში გაზრდილი, საქართველოს ერთიანობის იდეით ანთებული ერთმეფობისა და გამარჯვებული და გალადებული სამშობლოს მომსწრე მამა-ბიძათაგან შთაგონებული, თვითონაც განდობილი ყოფილიყო (თუ მონანილე არა) აჯანყებისთვის მზადებაში. ასე რომ, მრავალი ჭირი აქ ნათესავ-ახლობელთა მნარე ბედს კი არ უნდა ნიშნავდეს მარტო, არამედ, უპირველესად, საქართველოს უბედობას. აკაკი წერეთელსაც ხომ პოემა „ნათელას“ შექმნისას ცოტნეს მეუღლის სახე აღაფრთოვანებდა – ზეპირი გადმოცემებიც მოესმინა მის შესახებ. თუმცა სახელად სხვას (ცოტნეს დედის სახელს) არქემევს, მაგრამ, როგორც ჩანს, მე-19 საუკუნეში ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა გადმოცემები ცოტნეს მეუღლის გმირული სულის, არისტოკრატიული სულიერი წყობის, ერთიანი საქართველოს ტრუიალებისა და რომანტიკული განწყობის შესახებ.

რაც შეეხება შეთქმულებაში შოთას მონანილეობას. სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა იმის შესახებ, თუ ვინაა ეს შოთა კუპრი (კუპარი), კოხტისთავის შეთქმულების მონანილე. ზოგს მიაჩნია, რომ კუპრი (კუპარი) ეწოდა სახის მუქი ფერის გამო, ზოგი ფიქრობს, რომ შესაძლოა, მის სამფლობელოში კუპრი მოიპოვებოდა, პავლე ინგოროვას ახსნით, კუპარი ქრისტიანობისაგან გადახვევას, მანის მიმდევრობას უნდა გულისხმობდეს. ეს მოსაზრება არ არის გაზიარებული. თუმცა რასაც უნდა ნიშნავდეს „კუპრი“, ჩვენთვის ამჟა-

მად საინტერესო ისაა, თუ ვინ, რომელი შოთაა იგი და აი, იმავე პავ-ლე ინგოროვას და ბეჭითებული მტკიცებით, რომელსაც სავსებით ვეთანხმები, ეს ხანდაზმული შოთა რუსთაველია. იგი, როგორც ჩანს, ერთი რიგითი მონაწილე კი არ ყოფილა შეთქმულებისა, არამედ, რო-ბორც ხანდაზმული (და გამოცდილი) და აგრეთვე, როგორც ბაგრატი-ონი, წარმმართველი, მეთაური ჯანყისა. ოღონძ საინტერესოა, რატომ არ იღებს აქ მონაწილეობას მისი ძმა, ტბელი, სპასპეტი? იქნებ, უკვე აღარცა ცოცხალი. თუმცა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, საეგე-ბიოდ (როგორც პავლე ინგოროვა წერს) გამოვთქვამ ვარაუდს: იქნებ უფრო ლოგიურია, რომ სიძე-სიმამრს ერთად მიეღო შეთქმულებაში მონაწილეობა.

და კიდევ ერთი საკითხი, კვლავ პავლე ინგოროვას მიერ შესწავ-ლილი და ჩვენთვის გაზიარებული.

აღმოჩნდა, რომ იერუსალიმში ჯვრის ქართული მონასტრის გა-ნახლებაში 1245-1250 წლებში ერთად მონაწილეობდნენ შოთა რუს-თაველი და ცოტნე დადიანი. მათი წარმომადგენლები ყოფილან ანტონ ალავერდელი და გრიგოლ დრანდელი. ამიტომ რუსთაველის ფრესკას-თან ერთად, საგულვებელია, რომ იმავე სვეტზე გამოსახული ყოფი-ლიყო ცოტნე დადიანის პორტრეტიც. ისევ ერთად ორი სახელი და ისევ ლოგიას თუ ინტუიციის მინიშნებით – უფრო სიძე და სიმამრი, ვიდრე სიძე და ცოლის ბიძა.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან არ მინდა, ვინმეს ისეთი შთაბეჭ-დილება დარჩეს, თითქოს პავლე ინგოროვას ვეკამათები ან მის რამე მოსაზრებას არ ვიზიარებ. მეცნიერის ყველა მოსაზრება დასაბუთე-ბულია, არგუმენტირებული და წყაროებით გამყარებული. ძნელია, თუნდაც წვრილმანში არ დაეთანხმო მას. სწორედ მის მოსაზრებებზე დაყრდნობით ვძედავ გამოვთქვა ოდნავ განსხვავებული ვარაუდი. არ უარვყოფ იმის შესაძლებლობასაც, რომ ცოტნეს მეუღლე, ბორენა, ტბელი გრიგოლის ძის ასული ყოფილიყო, მაგრამ შოთასა და ცოტნეს სულიერი სიახლოვე, პოლიტიკურ თუ კულტურულ ასპარეზზე ერთო-ბლივი მოღვაწეობა, ცოტნესგან „ვეფხისტყაოსანის“ არა მარტო ცოდ-ნა, არამედ გათავისება, შინაგანად განცდა და ამ იდეათა პრაქტიკულად აღსრულება და სხვა გარემოებები მიბიძგებს დავუშვა, რომ ბორენა, ძმიშვილი კი არა, შესაძლებელია, შვილი ყოფილიყო რუსთაველისა.

ლიტერატურისმცოდნეობაში გამოთქმულია მოსაზრება, თითქოს „ვეფხისტყაოსანი“ ყოველდღიურ ცხოვრებას განრიცებული პოემაა და არც მისი ავტორი ასახავს უშუალოდ საქართველოს ცხოვრებას. ასეთი რამ მხოლოდ სტრიქონებს შორის უნდა ამოვიკითხოთ. ცნობილი

მკვლევარი ვიკტორ ნოზაძე წერს: „თუ დიდი იტალიელი დანტე (1265-1321) თავის უკვდავ თხზულებაში იტალიის რაობას გვიჩვენებს და მასთან დაკავშირებით იტალიის ისტორიასა და კულტურას გვაცნობს, დაწვრილებითაც აგვინწერს, – შოთა რუსთაველი, მისი უფროსი თაობის ძე, მეტად განყენებულად მოჩანს“ (ნოზაძე 1958: 3). თუმცა სრულიად საპირისპირო ვარაუდებიც არსებობს და მათ შორის პავლე ინგოროვყასი. სხვათა შორის, ერთგან დავით წერედიანი, რომელიც თავს რუსთაველოლოგად არ მიიჩნევს, წერს: „რუსთაველის ენა აკი თითქმის ყველა ქართული კუთხის კილოკავს მოიცავს, რაც საეჭვოა, მნიგნობრული გზით ჰქონოდა შეთვისებული. ერთი წუთით ნარმოვიდგინოთ, რომ საქართველოს ბევრ კუთხეში კარგახნობით უცხოვრია, ახლოს იცნობდა მათ ყოველდღიურ ყოფას, რა უჭირდათ და რა ულებინდათ“ (წერედიანი 2005: 9). დაახ, როგორც ჩანს, გარკვეული დროის განმავლობაში სწორედ ცხოვობდა (და არა მოგზაურობდა) დასავლეთ საქართველოში რუსთაველი. ცხადია, დადიანისა და ჰერეთელი ბაგრატიონის დაქორწინება პოლიტიკურ ნიშანსაც ატარებს, საქართველოს ერთიანობის იდეით აღბეჭდილს, მაგრამ ამ პოლიტიკურ ქორწინებას საფუძველს ხომ არ უმაგრებდა სიძე-პატარძლის ბავშვობისდროინდელი მეგობრობა?

ყოველივე ზემოთქმული მაფიქრებინებს, რომ ცოტნე დადიანი და შოთა რუსთაველი, ორი ერისკაცი, სიძე-სიმამრი უნდა ყოფილიყვნენ, არამარტო ნათესაურად შეკავშირებულნი, არამედ უფრო სულიერად დანათესავებულნი ერთმანეთთან.

დამოშეგანი:

ინგოროვა 2016: ინგოროვა პ. რუსთაველოლოგიური თხზულებანი. ტ. III. თბილისი: 2016.

ინგოროვა 2016: ინგოროვა პ. რუსთაველოლოგიური თხზულებანი. ტ. II. თბილისი: 2016.

ნათაძე 2011: შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. სასკოლო გამოცემა. თბილისი: 2011.

ნოზაძე 1958: ნოზაძე ვ. ვეფხისტყაოსნის საზოგადოებათმეტყველება. სანტიაგო დე ჩილე: 1958.

წერედიანი 2005: წერედიანი დ. „ესე ამბავი სპარსული“. ანარეკლი. თბილისი: „ნეკერი“, 2005.

GOCHA KUCHUKHIDZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

On One Biblical Reminiscence of the poem “The Knight in the Painter’s Skin”

In our opinion, the words said in the first stanza of the prologue to *The Knight in the Painter’s Skin* according to which **from God “is every monarch in His likeness”**, are associated with the Epistle of the Apostle Paul. These words immediately resonate with Paul’s message to the Romans: “Let every person be subject to the governing authorities. **For there is no authority except from God**, and those that exist have been instituted by God”. Rom.13: 1).

Rustaveli (Rustveli) emphasizes the fact that Georgian monarchs Queen Tamar and David Soslan are given their authority directly from God and everybody’s duty is to obey them. It is noteworthy that Rustaveli makes a reference to the Epistle of the Apostle Paul to call attention of those with separatist aspirations to the centralized power.

The reference to the epistle of the Apostle Paul once more emphasizes that Rustaveli’s world outlook is Christian Orthodoxy.

Key words: Apostle Paul, Christian Orthodoxy and Rustaveli.

გოჩა კუჩუხიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი სახარებისეული რემინისცენცია

„ვეფხისტყაოსნის“ პირველ სტროფზე დაკვირვება არაერთი დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს. მოვიყვანოთ ეს სტროფი:

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ჰყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე, სახითა მის მიერითა.

(ვეფხისტყაოსანი 1966)

ვფიქრობთ, რომ ამ სტროფის ბოლო ტაეპი – „მისგან არს ყოვლი ხელმწიფე, სახითა მის მიერითა“ უშუალოდ არის დაკავშირებული ბიბლიასთან, კერძოდ, – ახალ აღთქმასთან. ეს სიტყვები პირდაპირი გამოძახილია პავლე მოციქულის მიერ რომაელთა მიმართ მიწერილი შემდეგი ფრაზისა:

– „ყოველი სული ჰელმწიფებასა მას უმთავრესისასა დაემორჩილენ, რამეთუ არა არს გელმწიფებამ, გარნა ღმრთისაგან, და რომელნი-იგი არიან გელმწიფებანი, ღმრთისა მიერ განწესებულ არიან“ (რომაელ. 13: 1, – პავლენი 1947).

პავლე მოციქული ბრძანებს, რომ ყველა უნდა დაემორჩილოს თავის ხელისუფალს. როგორც ჩანს, იგულისხმება, რომ ადამიანს, როგორ ხელისუფლებასაც იმსახურებს, ისეთი ჰყავს, რომ ღმრთი იმ ხელისუფლებას უგზავნის მას, როგორის ღირსიც არის... ადამიანმა არ უნდა აღმართოს იარაღი ხელისუფალის წინააღმდეგ, უნდა დაემორჩილოს მას, – ანუ მისცეს „კეისარს კეისრისა“ (მარ. 12: 17; – პარალელი პავლე მოციქულთან – „ამისთვის ხარკსაცა მისცემდით, რამეთუ მსახურნი ღმრთისანი არიან, ამისთვისცა მოღუანებასა განკრძალულ არიან“; – რომაელ. 13: 6), გადაუხადოს გადასახადი და მთელი არსებით კი ღმერთს ემსახუროს, – მისცეს „ღმრთისა ღმერთს“ (მარ. 12: 17)... პავლე მოციქულის და რუსთველის სიტყვები მხოლოდ შინაარსობრივად კი არა, – ლექსიკურადაც ემთხვევა ერთმანეთს, – რუსთველის სიტყვებში პავლე მოციქულის ეპისტოლესთან უშუალო სიახლოვე ჩანს: „არა არს გელმწიფებამ, გარნა ღმრთისაგან“, – „მისგან არს ყოვლი ხელმწიფე“. ვფიქრობთ, ეჭვგარეშეა, რომ ავტორი პოემის პირველ სტროფში პავლე მოციქულის ეპისტოლეზე აკეთებს რემინისცენციას (ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ქართულენოვან თარგმანთან შეინიშნება სიახლოვე...). პავლეს ეპისტოლედან გამომდინარე მსგავსი სიტყვები, შესაძლოა, სხვა ავტორებთანაც აღმოჩნდეს, მაგრამ რუსთველი პოემის დასაწყისში, ვფიქრობთ, მკითხველს უშუალოდ პავლეზე მიანიშნებს, – ცხადია, რომ ქრისტეს მიმდევართა ერთ-ერთ ყველაზე უფრო დიდ ავტორიტეტზე გადაიტანდა იგი მკითხველის ყურადღებას... საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ამავე ეპისტოლეში, ცოტა ქვემოთ, პავლე წერს: – „რამეთუ ღმრთის მსახური არს შენდა კეთილისათვას. ხოლო უკუეთუ ბოროტსა იქმოდი, გეშინოდენ, რამეთუ არა ცუდად კრმალ აბს“ (რომაელ. 13: 4); რუსთველი ზემომყვანილი სიტყვების შემდეგ თავის მონარქებზე წერს: – „ვის შვენის ლომს ხმარება შუბისა ფარ შიმშერის მეფისა მზის თამარისა“, – ჩანს, რომ საჭურველზე საუბრის დროს, ასევე, პავლეს ეპისტოლესგან არის იგი დავალებული

და ქვემოთ მოყვანილი სიტყვებიც პავლესაგან მომდინარეობს... ორგზის დამთხვევა უფრო ნათელყოფს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დასაწყისში უშუალოდ ქრისტეს ამ უდიდეს ავტორიტეტზე მიანიშნებს პოეტი მკითხველებს.

რისთვის უნდა სჭირდებოდეს პავლეზე მინიშნება რუსთველს?

გავისხენოთ იმდროინდელი საქართველოს რეალიები, – საქართველოდან გაძევებულია იური ბოგოლუბსკი, მოყვანილია დავით სოსლანი, – ახალი მეფე. ცხადია, რომ დავითის მიმართ, მომხრეობასთან ერთად, არის ოპოზიციური განწყობა, მიუღებლობა, საქართველოში არიან ის ძალებიც, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ტახტის კანონიერი მემკვიდრე დემეტრე უფლისნული იყო... ცნობილია ყუთლუ არსლანის დასის წინააღმდეგობაც... ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ყოველივე ეს არის ერთადერთი, მაგრამ, ჩანს, ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ იმისა, რომ რუსთველი პავლე მოციქულის ამ სიტყვებზე აკეთებს მინიშნებას.

პირველი სტროფის უმთავრესი სათქმელი მოკლედ ასე შეიძლება, რომ გადმოიცეს: – ვინც შექმნა სამყარო, ვინც შექმნა სიცოცხლე და ჩვენ, ადამიანებს, ქვეყანა მოგვცა, სწორედ მისგან არის ყველა ხელმნიფე დადგინდებული, როგორც ამას პავლე მოქიცული პრძანებს; შემდეგ თამარსა და დავითს ახსენებს რუსთველი და, აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ პოემის დასაწყისში პოეტის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ქართველთა ხელმნიფების მორჩილებისაკენ მოწოდებაა, პოეტი „პავლეზზე“ დაყრდნობით გვეუბნება, რომ ქართველთა მონარქები, – თამარი და დავით სოსლანი მისგან არიან დადგინდებულნი, ვინც ყოვლის საწყისი, ყოვლის შემოქმედია და მათი მორჩილება აუცილებელია.

პავლე მოციქული არის იგი, ვინც მესამე ცამდე მიწევნის შესახებ წერს (II კორინ. 12: 2). მისი სიტყვები სამყაროს იერარქიულობას წარმოგვიჩენს. არეოპაგეტიკული თხზულებების დაწერაზე ადრე სამყაროს იერარქიულობის მოდელი სახარების ამ ადგილასაც მოჩანს და, არეოპაგეტიკა, გარდა მთელი სახარებისა, ცხადია, მასზეც არის დაფუძნებული, მისითაც ამართლებს თავის დებულებებს. სამყარო რუსთველთან რომ იერარქიულად არის წარმოდგენილი, ეს აზრი გამოთქმული აქვს შალვა ნუცუბიძეს (ნუცუბიძე 1947), რასაც არაერთი მკვლევარი იზიარებს და, ვფიქრობთ, ზემოხსენებული დებულების სისწორეს პოემის პირველი სტროფიც ადასტურებს:

ამ სტროფში სამყაროს შემოქმედი ლმერთის შემდეგ მკითხველის ცნობიერებაში წარმოდგება არსთა საუფლო, ქვეყნად მცხოვრები ადამიანის მზერა, რომელიც ლმერთის ხსენების შემდეგ უსაზღვრო სიმაღ-

ლეთაკენ მიემართება, ღვთის მიერ შემნილ არსთა მოხსენიების მერე ცოტა ქვემოთ ემუშავა და ანგელოზთა წიაღები წარმოუდგება თვალწინ.

რადგან ხსენებულ სტროფში შემდგომ არსად წერია, რომ ღმერთმა შექმნა ადამიანი, შექმნა ცხოველები, საერთოდ, – სიცოცხლე, ამიტომ გასაგებია, რომ „არსი“, საერთოდ, ყველა ცოცხალ არსებას გულისხმობს. ცათა სიმაღლეებშია ანგელოზთა საუფლო და ადამიანის პირველსაცხოვრისიც, როგორც ჩანს, სწორედ იმ მაღალ წიაღებს შორის არის რუსთველისეულ მსოფლმხედველობაში წარმოსახული.

რუსთველი წერს, რომ ღმერთმა „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“ და ამ შემთხვევაში უკვე ადამიანთა შემდგომ საცხოვრისს გვიხატავს. რუსთველთან სიტყვები – „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა“, ადამიანისათვის ქვეყნის ბოძება, უკვე იმ ეტაპს გულისხმობს ღმერთის შესაქმისა, როცა ადამიანი სამოთხიდან გამოძევებულ იქნა და საცხოვრისად ქვეყანა მიეცა. ღმერთმა ადამიანს მას შემდეგ უბოძა „უთვალავი ფერით“ შექმნილი ქვეყანა, ამ ქვეყანაში მას შემდეგ დაუდგინა ხალხს მეფები, რაც ადამი და ევა სამოთხიდან გამოაძევა. ყოველმა სულმა, რომელიც მათგან იშვა, გაიზიარა ადამისა და ევას სასჯელი, ყველა ის სული დაისაჯა, ვინც მათ ცოდვასთან არის დაკავშირებული... ცხოველებმა და მცენარეებმაც დაკარგეს უკვდავება...

რუსთველთან აღნერილია სამყარო, რომელიც დასაბამიდან იქმნებოდა და რომელიც იმ სახით, როგორითაც დღეს არსებობს, სამოთხიდან ადამიანის გამოსვლის შემდეგ ჩამოყალიბდა. ჩვენს წინაშე ასე წარმოდგება იერარქიული სამყარო, რომელშიც ერთ-ერთი დაბალი წიაღი ქვეყანაა, მინაა... ამ სამყაროში ყველაზე უფრო მაღლა, უსაზღვროებაში, ღმერთია, – იგი, ვინც უსაზღვროებაშიც არის და სამყაროშიც, ადამიანის გვერდით, იმყოფება... შემდეგ, ცოტა ქვემოთ, წარმოდგება ცათა წიაღები, ანგელოზთა საუფლოები, – ის სიმაღლეები, სადაც, ერთ-ერთ წიაღში, ადამიანის პირველსაცხოვრისიც იყო... მკითხველის ცნობიერებაში სამყაროს შემოქმედი ღმერთის ხსენების შემდეგ არსთა მოხსენიება უპირველესად ანგელოზთა საუფლოს ასოციაციას ინვევს, ჩანს, ამგვარად აქვს წარმოდგენილი მკითხველის ემოცია ავტორს, – იცის, რომ სამყაროს შემოქმედი ღმერთის შემდეგ არსთა ხსენებისას მკითხველის ცნობიერებაში უპირველესად ზენა არსი, ანგელოზები წარმოდგებიან, ანგელოზთა წიაღები წარმოესახება ოვალწინ; შემდეგ ამ სტროფში წარმოჩენილ სურათში, უფრო ქვემოთ, იხატება ღმერთის მიერ ადამიანისათვის მოცემული ქვეყანა, რომელშიც ცოდვით დაცემის შემდეგ დაესახლა ადამიანი; „უთვალავი ფერით“ შექმნილი ქვეყა-

ნა, წუთისოფელი, თუ პლატონისეული თვალთახედვით შევხედავთ, ერთგვარი „ილოზორული“ წიაღია, – ის წიაღი, რომელიც ცოდვით დაცემის შემდეგ წარმოქმნა და რომელიც, ქრისტიანობის თანახმად, შემდგომ სულიერ, ზეციურ საწყისს უნდა დაუბრუნდეს, მიწა, ქვეყანა უნდა გასულიერდეს, – თავისი ჭეშმარიტი სახე და მდგომარეობა უნდა აღუდგეს... თავისი არსით ადამიანიცა და მისი გარემომცველი სამყაროც უკვდავია, მაგრამ ჭეშმარიტი მდგომარეობა დაკარგული აქვს...

ამგვარად, ვფიქრობთ, „ვეფხისტყაოსნის“ პირველ სტროფში იერარქიულ წიაღებს წარმოაჩენს რუსთველი მკითხველთა წინაშე...

აქვე უნდა ითქვას შემდეგი: ხსენებულ სტროფში წმიდად მხატვრული თვალსაზრისით, ძალზე შთამბეჭდავ სურათს ქმნის პოეტი, ძალზე დინამიკური სურათით იწყებს თხრობას. შევეცდებით, წარმოვაჩინოთ ეს თავისებურება:

ჩვენ ვხედავთ, რომ რუსთველის სურვილია, მკითხველის მზერა ჯერ მაღლა, – უსაზღვროებათაკენ, უსაზღვრო სიმაღლეთაკენ აღმართოს, რომ შემდეგ ცათა წიაღებისაკენ, ცათა სიმაღლეებისაკენ წარმომართოს მკითხველის თვალი, შემდეგ ღვთისგან მოცემული, „უთვალავი ფერით“ შექმნილ ქვეყანამდე უნდა დაეშვას მკითხველის მზერა, უსაზღვროებათაგან და ცათა სიმაღლეებიდან ნელ-ნელა იმ ქვეყანაზე უნდა გადმოვიდეს მისი ყურადღება, რომელზედაც ღმერთის მიერ დადგინებული ხელმწიფები განაგებენ ხალხს... რუსთველს ცათა წიაღებიდან ნელ-ნელა ქვემოთ გადმოაქს აქცენტი, ციდან მიწისაკენ ჩამოატანინებს მკითხველებს მზერას და ასე ამზადებს მას პოემის ამბავთა მოსასამენად... პოემის პირველ სტროფში უსაზღვროებიდან, ზენა საუფლოებიდან, ცათა სიმაღლეებიდან მიწისაკენ კინოკადრებივით ეშვება პოეტის თვალი... ნელ-ნელა შემოდის ჩვენი თვალთახედვის არეში ქვეყანა, რომელზედაც ნესტანისა და ტარიელის, სხვათა ამბები უნდა განვითარდეს. პოეტი თავის მსმენელს უქმნის ისეთ განწყობას, რომ ღმერთი ციდან გადმოჰყურებს მათ, რომ ანგელოზები გადმომზერენ ადამიანს. ამ ამბავთა მკითხველებს არ უნდა დაავიწყდეთ, რომ ღმერთი და ანგელოზები არიან მათ მაღლა... პოეტი ისე იწყებს ნესტან-ტარიელისა და სხვათა შესახებ თხრობას, რომ ცათა სიმაღლეებიდან შემოქმედის თვალს, ანგელოზებს გრძნობდეს მისი მკითხველი თუ – მსმენელი...

რუსთველის რელიგიური მსოფლმხედველობის შესახებ ძალიან ბევრია დაწერილი. ჩვენ წინამდებარე მოხსენებით მხარს უკურთი იმ მკვლევარებს, რომელიც ქრისტიანულ მსოფლმხედველობას ხე-

დავენ პოემაში. საერთოდ, მაცხოვარს, ქრისტეს, როგორც ვიცით, არ ასესნებს რუსთველი, მაგრამ ქრისტიანულ მსოფლმხედველობას ამ-უღავნებს, როგორც ეს ძალაან ბევრ მკვლევარს მიაჩნია და, ჩანს, რომ ქრისტიანული პოსტულატები იმგვარად არის გადმოცემული პოემაში, იმგვარი სახით არის მკითხველთან მიტანილი, რომ სხვა რელიგიათა აღმსარებლებმაც ადვილად მიიღონ ისინი, თავიანთ რელიგიათა საზღვრებიდან ადვილად მიეახლონ მათ... ქრისტიანობა სხვა რელიგიათა აღმსარებელთათვის, ყველასათვის, მისაღებ სარწმუნოებად არის რუსთველთან წარმოჩენილი. ამ საკითხებზე ცალკე ვმსჯელობთ და ამჯერად სიტყვას აღარ გავაგრძელებთ (იხ. კუჭუხიძე 2015; კუჭუხიძე 2005...).

ამრიგად, ჩვენი აზრით, „ვეფხისტყოსნის“ პირველ სტროფში და შემდეგობაც პავლე მოციქულის მიერ რომაელთა მიმართ მიწერილ ეპისტოლებზე პოემის დასაწყისში აღუზია. პავლე მოციქულზე რემინისცებია კი თავიდანვე მიგვანიშნებს რუსთველის ქრისტიანულ აღმსარებლობაზე.

დამოცვებანი:

ეპისტოლენი 1947: პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები (ქ. ძონენიძისა და კ. დანელიას გამოცემა). ძველი ქართული ენის შრომები, XVI. თბილისი: თსუ, 1974.

ბოლო რედაქცია 1979: ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია (ივ. იმ-ნაიშვილის გამოცემა). თბილისი: 1979.

ვეფხისტყაოსანი 1966: შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი (სიუბილეო გამოცემა). თბილისი: 1966.

კველიძე 1981: კველიძე კ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II. თბილისი: 1981.

კუჭუხიძე 2005: კუჭუხიძე გ. „მოთმინებით სულის პოვნა („ვეფხისტყაოსნის“ კონცეფციისათვის)“. რუსთველოლოგია. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. თბილისი: 2005.

კუჭუხიძე 2015: კუჭუხიძე გ. „ორი შრე „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში“. ლიტერატურული ძიებანი, XXXVI. რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი: 2015.

ნუცუბიძე 1947: ნუცუბიძე შ. Руставели и Восточный Ренессанс. Тбилиси: 1947.

NANA MREVLISHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

General Archetypal Models and Modification Features in “The Knight in the Panther’s Skin”

Regardless the formal-ideological contrast of ecclesiastical and secular writingmonuments, both of them demonstrate such properties, which clearly designate a close relationship between these two monuments. Monument of secular writing germinating from ecclesiastical writing, following the formation into independent genre units, saved not only separate signs of ecclesiastical writing but also the whole system of signs, which gives us an opportunity to discuss this similarity at a paradigmatic level. Currently, our discussion touches the fundamental principles for construction of perfect characters of “The Knight in the Panther’s Skin”, and peculiarities for formation of mental space of these characters.

Key words: “The Knight in the Panther’s Skin”, mental space, ecclesiastical writing, secular writing.

ნანა მრევლიშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ზოგადი არქეტიპული მოდელები და მათი მოდიფიცირების თავისებურებანი „ვეფხისტყაოსანში“

ეპოქა ქმნის ტექსტს, ეპოქის მოთხოვნა განსაზღვრავს ტექსტის კონტექსტს, სტრუქტურას, რაგვარობას. ეპოქა შობს ნოვაციას, თუმცა ხშირად ფორმის და თუნდაც – იდეის, ნოვაცია, შესაძლოა, ტრანსფორმირებული ზოგადი მოდელი იყოს. ამგვარად საზრდოობს საერო მწერლობა სასულიერო მწერლობის, კერძოდ – აგიოგრაფიული ჟანრის მოდელებით, ხოლო თავად აგიოგრაფია კიდევ უფრო არქაულის – ძველი ალთქმის არქეტიპული მოდელების ერთგვარი ტრანსფორმირებით ქმნის საკუთარ პარადიგმულ სისტემას (იხ. ჩვენივე წერილი მრევლიშვილი 2016:). ამდენად, სასულიერო და საერო მწერლობის ძეგლთა ფორმალურ-იდეური კონტრასტის მიუხედავად, ორივე ტიპის ძეგლები

გვიჩვენებენ ისეთ მახასიათებლებს, რომლებიც ცხადად მიანიშნებს ამ ძეგლთა მჭიდრო ურთიერთკავშირს. სასულიერო მწერლობის წიაღ ჩასახული საერო მწერლობის ძეგლები დამოუკიდებელ უანრობრივ ერთეულებად ფორმირების შემდგომაც შემოინახავენ არა მხოლოდ ცალკეულ ნიშნებს სასულიერო მწერლობისა, არამედ – ნიშანთა მთელ სისტემას, რომელიც ამ მსგავსების პარადიგმულ დონეზე განხილვის საშუალებას გვაძლევს.

სასულიერო და საერო მწერლობის ძეგლთა ამგვარი ტიპოლოგიური მიმართებების განხილვისთვის სამ ძირითად პლასტს გამოვყოფთ – 1. კონცეპტუალური (ტექსტის იდეურ-იდეოლოგიური პლასტი); 2. პერსონაჟის (გმირის) სტრუქტურული ტიპი (მენტალური სივრცის რაგვარობა) და 3. ქრონოტოპი, როგორც მენტალური სივრცის ფორმირებისა და გმირის რეალიზების ერთგვარი ველი.

მივყვეთ თანმიმდევრულად.

1. კონცეპტუალური ანუ ტექსტის იდეურ-იდეოლოგიური პლასტი.

კონცეფცია, რომელსაც ეფუძნება როგორც სასულიერო, ისე – საერო მწერლობა, იდენტურია ორივე ტიპის ძეგლებისათვის – ეს არის მსახურება იდეალისა, თავშეწირვა ამ იდეალისათვის. ამ კონცეფციით იქმნება სტრუქტურული ტიპი პერსონაჟისა, გმირისა, რომელსაც ამ იდეალის მსახურება დაუსახავს მიზნად, და ანტიგმირისა – რომელიც ინტერესთა სრულიად განსხვავებულ ვექტორს გვიჩვენებს. შესაბამისად, ავტორთა მიერ პირველი შემთხვევა განიხილება, როგორც ნიმუში ზეობრივობისა, ნიმუში ბაძვისა, ხოლო მეორე შემთხვევა შეფასებულია, როგორ უზნეობა, სიმდაბლე და არაკეთილგონიერება.

სასულიერო მწერლობაში იდეალისთვის თავშეწირვა, მისთვის მსახურება, უანრობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, მცირედ განსხვავდება წამებათა და ცხოვრებათა უანრის აგიოგრაფიულ ტექსტებში. ცხოვრებათა უანრის ძეგლებში იდეალისთვის მსახურება არსებობის, ყოფიერების იმგვარი ფორმის მიღებას გულისხმობს, როდესაც ადამიანი საზრისს მხოლოდ ერთი ასპექტით მიმართავს – ღვთისთვის თავშეწირვა, ღვთისთვის მოუწყინებელი ღვნა და მისი მსახურება – სიკვდილი მიწიერისთვის, ქვეყნიერისთვის და ახალშობა, აღმოდაბადება ზეციერისთვის, ღვთიურისთვის. ყოფიერების ამგვარი ფორმის განხორციელებისათვის კი პერსონაჟები ირჩევენ უდაბნოს – მარტო-მყოფობაში მოღვაწეობას ან სამონასტრო საძმოში, ერთობაში გაერ-

თიანებას. წამებათა უანრის ძეგლებში ღვაწლის უფრო რადიკალური ფორმებია მოცემული – მარტინილობა, ხორცის განირვა სულისათვის, საკუთარი სიცოცხლითა და სისხლით დამოწმება ქრისტეს რწმენისა, იდეალის ჭეშმარიტებისა.

ამდენად, სასულიერო მწერლობის უძირითადესი იდეურ-იდეოლო-გიური ვექტორია ჩვენება კორელაციისა **ადამიანი => ზეცა**. მინა საინ-ტერესოა იმდენად, რამდენადაც იგი დროებითი სამყოფელია ადამი-ანისა, მინა, როგორც სივრცე გამოცდისა და გამოსყიდვისა.

რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით ვეფხისტყაოსანში? როგორც ზე-მოთ შევნიშნეთ, სასულიერო და საერო მწერლობის ძეგლებს იდენტური კონცეპტუალური საფუძველი აქვთ – იდეალისთვის თავშეწირვა, მისი მოუწყინებელი მსახურება. მაგრამ რა არის ეს იდეალი საერო მწერ-ლობის, ჩვენ შემთხვევაში, ვეფხისტყაოსნის დადებითი პერსონაჟები-სათვის? ზოგად კონტექსტში – ეს არის ალსრულება იმ მოვალეობისა, რომელიც მათ, როგორც ადამიანებს, აკისრიათ, უფრო კონკრეტულად – ერთგულება და სიყვარული ქვეწის, მოყვასის – მეფის, მშობლის, მიჯნურის, მეგობრისა. თუმცა, ამ ყველაფერზე აღმატებული პოემის იდეალური პერსონაჟებისათვის არის უზენაესი არსება, რადგან ყველა-ნაირი ზნეობრივი კოდექსი ვეფხისტყაოსნის გმირებისათვის მნიშვნ-ელობას ჯერ ირეალურ (ზეცა/ღმერთი), ხოლო შემდეგ – კონკრეტულ ყოფით კონტექსტში იძენს: მეფე-პატრონის ერთგულება, მისი მსახ-ურება მნიშვნელოვანია, რადგან უპირველესად ეს ღვთისთვის სათნო ქმედებაა: „ვინცა მოკვდეს მეფეთათვის სულნი მათნი ზეცას რბიან...“ მეგობრისათვის თავდადება, მისი ერთგულება იმქვეყნად წასამძღვა-რებელ კეთილ საქმეთა შორის განიხილება, ხოლო – მისთვის მიცემუ-ლი ფიცის გატეხვა, მისი განმიღება – იმგვარ სირცხვილად, რომელიც საუკუნოდ დააჩნდება ადამიანის სულს და იმქვეყნადაც შერცხვენილი ივლის: „პირისპირ მარცხვენს, ორნივე მივალთ მას საუკუნოსა“ და ა. შ. ამგვარ თვალსაზრისს ავტორი პროლოგშივე წარმოგვიდგენს, როცა მიწიერ გრძნობას („ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცითა ხვდებიან“) ზეციურთან მიმართებაში განიხილავს და მხოლოდ იმგვარ სიყვარულს მიიჩნევს ღირებულად, რომელიც თავისი არსით საღვთოს მსგავსია („მასვე ჰბაძვენ“). ამასთან, ჭეშმარიტად კურთხეულია ის, რაც ღვთის-გან ხელდასმულია, „მეფე ღმრთისაგან სვიანია,“ თინათინი „ღმრთისა დანაბადია...“ ხოლო კეთილი საქმე ღმერთის ნებელობით ხორციელდე-ბა („ღმერთმან ბნელი გამითენა“, „და კვლა ნუთუმცა შემოვიქეც, ღმერ-თმან სრულად არ დამკარგა.“ 163); ღვთის ნების გარეშე კაცის ყოველი

მცდელობა ამაოა („უღმრთოდ ვერას ვერ მოვაწევ, ცრემლი ცუდად მედინების, განგებასა ვერვინ შესცვლის, არ-საქმნელი არ იქმნების“ 190 „რაცა ღმერთსა არა სწადეს, არა საქმე არ იქმნების...“ და ა. შ.). ამდენად, ვეფხისტყაოსნის გმირთა ყოფიერება შემსჭვალულია ღვთის რწმენითა და მოშიშებით, მათ ქმედებებს არსებითად ის ზნეობრივი კოდექსი წარმართავს, რომელიც რელიგიას ეფუძნება და, შესაბამისად, გმირისა და ღმერთის კორელაციის ზოგადი მოდელი – **ადამიანი => ზეცა ვეფხისტყაოსანში შენარჩუნებულია თავისი ძირითადი არსით, ანუ მეტაფიზიკური სივრცე ვეფხისტყაოსანში იმგვარივე კონტაციითაა წარმოდგენილი, როგორითაც – აგიოგრაფიულ ტექსტებში. თუმცა, განსხვავებით სასულიერო მწერლობის ძეგლებისაგან, აქ ამგვარი ურთიერთობა ერთადერთ და შემოსაზღვრულ კორელაციად არ განიხილება. რამდენადაც პოემის გმირები საერო პირები არიან, შესაბამისი ინტერესები და ყოფიერების ფორმა აქვთ. რაინდული კოდექსი მათ სხვაგვარ ამოცანებს დაუსახავს – საომარი ხელოვნება, ნადირობა, საგმირო თავგადასავლები – ანუ განსხვავებით სასულიერო მწერლობის გმირთა სულიერი მოსაგრეობისაგან, აქ, სულიერ იდეალებთან ერთად, ჩნდება თემა ხორციელი მოსაგრეობისა, ჰეროიზმისა. პოემაში მძლავრ ნაკადად შემოიწრება თემა მიწიერი სიყვარულისა, სახე – სატრაფო-იდეალისა და როგორც ავტორისეული ნარატივი, ისე – პოემის ძირითადი სიუჟეტური ხაზები, სხვა შენაკადებთან ერთად, წარმოგვიჩენენ რაინდისა და მისი სატრაფოს ურთიერთობას, რომელიც, პრაქტიკულად, ტრანსფორმირებული მოდელია ზემოხსენებული კორელაციისა – **ადამიანი => ზეცა /ღმერთი.****

2. პერსონაჟის (გმირის) სტრუქტურული ტიპი (მენტალური სივრცის რაგვარობა)

საერო მწერლობა, სასულიეროს მსაგავსად, პერსონაჟთა ორ ძირითად კატეგორიას იცნობს – გმირსა და ანტიგმირს. გმირი იდეალურობის პრინციპითაა კონსტრუირებული, ანტიგმირი – საწინააღმდეგო პოლუსია გმირისა, არსებითად, ერთგვარი დეკორაციაა ავანსცენაზე წარმოდგენილი გმირისათვის და მით უფრო ამუქებს ავტორი მისი სახის კონტურებს, რაც მეტად სჭირდება იგი გმირის იდეალის გამოსაკვეთად.

მსგავსად საერო და სასულიერო მწერლობის სხვა ძეგლებისა, ვეფხისტყაოსნის პერსონაჟთა ტიპები ორ ძირითად კატეგორიადაა დიფერენცირებული – დადებითი – ანუ გმირები – და უარყოფითი – **ანტი-**

გმირები. ხშირად ამგვარი დიფერენცირების საფუძვლად სოციალურ მდგომარეობასა და სტატუსს მიიჩნევენ, რაც, ვფიქრობთ, არაზუსტია, რადგან უმაღლესი არისტოკრატის გვერდით დადებით პერსონაჟებად გვევლინებიან სოციალურად მათზე დაბალ საფეხურზე მდგომი ასმათი და შერმადინი, ხოლო იდეალურობის თვალსაზრისით ერთგვარი ჩრდილი ადგება ინდოეთის მეფე-რაინდს – ფარსადანს, საინტერესო ტიპს გვთავაზობს ავტორი დაგვარის სახით, რომელიც არ შეიძლება ცალ-სახად უარყოფით პერსონაჟად განვიხილოთ რიგი მიზეზების გამო, ხოლო ფატმანის პერსონაჟი არამხოლოდ ვეფხისტყაოსნის პერსონაჟთა სტრუქტურული ტიპების კონსტრუირების ზოგად პრინციპებს არღვევს, არამედ – წინააღმდეგობრივია შუასაუკუნეების ევროპული რენესანსის პერსონაჟთა ზოგადი მოდელებისა. ფატმანის პერსონაჟი რამდენიმე საუკუნით უსწრებს მხატვრული აზროვნების ფორმირების იმ კონდენციას, რომელსაც ლიტერატურათმცოდნეები XIX-XX საუკუნეების ავტორთა მხატვრული აზროვნების პროდუქტად მიიჩნევენ. ამ საკითხის შესახებ დიდი ინგლისელი მწერალი და მოაზროვნე, სომერსეტ მოემი შენიშნავდა, რომ ვიდრე მეცხრამეტე საუკუნემდე პერსონაჟთა ტიპები ერთგვარი არიან – მხოლოდ დადებითი ან, პირიქით – მხოლოდ უარყოფითი თვისებების მქონენი, მეცხრამეტე საუკუნეში სტენდალი შეეცადა შიულიენ სორელის სახით შეექმნა ტიპი პერსონაჟისა (რომანში „ნითელი და შავი“), რომელშიც სინთეზირებული იქნებოდა დადებითიცა და უარყოფითი თვისებებიც, მაგრამ ამ პერსონაჟის დამაჯერებლობას მოემი ეჭვებელ აყინებს (მოემი 1972:32).

ამდენად, ვეფხისტყაონის პერსონაჟთა ტრადიციული მოდელების – გმირი და ანტიგმირი – გვერდით გვხვდება სრულიად ატიპური პერსონაჟი ფატმანის სახით, რომლის მსგავსად კონსტრუირებული მოდელები მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ ჩნდება როგორც ევროპულ, ისე – ქართულ მწერლობაში. ეს თავისთავად მეტად საინტერესო საკითხი ამჟამად ჩვენი კვლევის საგანს არ წარმოადგენს. სასულიერო პერსონაჟთა მოდელებთან ტიპოლოგიური შეთანადებისთვის ვეფხისტყაოსნის გმირთა მოდელებს მივმართავთ (თავისთავაც საინტერესო იქნებოდა ანტიგმირთა ურთიერთობიმართების გარკვევაც, თუმცა, ამჯერად მოხსენების ფორმატი არ გვაძლევს ამის საშუალებას).

როგორ ხდება ამ პერსონაჟთა მენტალური სივრცის ფორმირება? რა მსგავსება-განსხვავებას გვიჩვენებენ ამ თვალსაზრისით ეს გმირები სასულიერო მწერლობის პერსონაჟების მოდელებთან მიმართებაში?

აგიოგრაფიული ტექსტის პროტაგონისტის მენტალური სივრცის განხილვისას შევნიშნავდით, რომ (მრევლიშვილი 2016:165) სივრცეთა

ორგანიზების სტრუქტურულ სქემაში პრინციპულად მნიშვნელოვან როლს ასრულებს მენტალური სივრცე, რამდენადაც სწორედ მასთან მიმართებაში ფუნქციონირებს მეტაფიზიკურიცა და ფიზიკური სივრცეებიც. ძველი აღთქმის არქეტიპულ მოდელებში სწორედ მენტალური სივრცეა ღმერთის მიერ პიროვნების გამორჩევის, მისთვის საგანგებო მისის დაკისრების განმსაზღვრელი წინაპირობა, ამავეს ეფუძნება აგიოგრაფიულ ტექსტში პროტაგონისტის ტიპის ფორმირების ძირეული პრინციპებიც, განსაზღვრული სინერგიზმის კონცეფციით. მენტალური სივრცე როტული სუბსტანციაა, რომელშიც სინთეზირდება რიგი კომპონენტებისა:

1. ბუნებითი რჯული – პიროვნების თვითბუნებოვნობა
2. გონითი პერცეფცია
3. საღმრთო განპრძნობა
4. თავისუფალი ნებელობა.

პროტაგონისტის მენტალური სივრცის პლასტიკურ ხაზებს ქმნის მისივე ბუნებითი რჯულის, ბუნებითი თვითგვაროვნებისა და იდენტობის დადგენის მიმართულება-რაგვარობის სინთეზი. ბუნებითი რჯული პირველადია, არსებითი და, ამასთან – განმსაზღვრელი იდენტობის ფორმირების პროცესისა. ბუნებითი რჯული საკუთარ თავში მოიცავს ინტუიციურ სწრაფვას ჭეშმარიტებისაკენ. პრაქტიკულად, ბუნებითი რჯული არის ის, რაზეც დაშენდება მენტალური სივრცე პერსონაჟისა. ამგვარი ბუნებითი რჯული გამოარჩევს სხვათაგან შუბანიკ დედოფალს, აბო თბილელს, გრიგოლ ხანძთელს, სერაპიონ ზარზმელს, ასურელ მამებსა და სხვა მოღვაწეებს.

ვეფხისტყაოსნის სამივე გმირი რაინდი – ტარიელიც, ავთანდილიცა და ფრიდონიც, სოციალურად რაინდთა წრის წარმომადგენელი, სულითაც რაინდები არიან. მათი თვითბუნებოვნება (ბუნებითი სჯული) მათივე სტატუსის შესაბამისია, ისინი სულიერად ახოვანი ადამიანები არიან. ხოლო სულიერი ახოვანების ქვეშ როგორც სასულიერო, ისე საერო ტექსტების ავტორები მიაზრებენ პერსონაჟის იმგვარ ფსიქოტიპს, რომლის ხასიათშიც დომინირებს სათონება, სიკეთე, ერთგულება, სიყვარული, სამართლიანობა, თანაგანცდა, სიუხვე... სხვა ზნეობრივი ღირებულებები.

ორივე ტიპის ტექსტებში აქცენტირებულია პერსონაჟთა ვიზუალური მხარეც, მაგრამ ამ შემთხვევაში სასულიეროდა საერო მწერლობის ძეგლები ერთგვარად ალტერნატიულ ესთეტიკას გვთავაზობენ – თუ სასულიერო მწერლობის გმირის ვიზუალს ავტორები წარმოგვიჩენენ მიმცხრალი ფერებითა და არამკვეთრი კონტურებით, გმირის გარეგ-

ნობის აღწერის დროსაც სულიერებაა აქვენტირებული – თვალები, ხელები, შუბლი, ანუ – სული, ემოცია და გონება, ხოლო ყველაფერი ხორციელი მიმალულია სამოსის საფარველქეშ, საერო მწერლობის გმირთა სილამაზე ჭეშმარიტად ხორციელი სილამაზეა, რაინდთა ვიზუალის წარმოდგენა ჩვენებაა ფიზიკური ძალისა, ხორციელი მშვენებისა. თუმცა, გარკვეული პარალელური ხაზები სასულიერო მწერლობის ესთეტიკასთან მაინც შეინიშნება – იდეალურ ქალ-პერსონაჟთა გარეგნობას – თინათინისა და ნესტანის სილამაზეს – ციურ მნათობთა დარად განიხილავს ავტორი, მათი მშვენება არამინიერია, სხეული – არა ხორცავსე, არამედ – პირიქით, ნატიფი და პაეროვანი, სხვაგვარად, იდეალური პერსონაჟები ტანწერწეტნი არიან – „ტანი ალვა,“ საროს მსგავსი. ეს სიმბოლიკა გვხვდება როგორც იდეალურ ქალთა, ისე – რაინდთა გარეგნულ მახასიათებლთა ჩამონათვალში: „ხე ალვა ედემს ხებული,“ „მსგავსი ალვისა ზრდილისა“ (ნესტანი), „საროსა მჯობი ნაზარდი;“ „ჰგავსო ალვას, ედემის ხეს“ (ავთნდილი), „ტანად ლომი და პირად მზე, იგი ალვისა ხენია“ (ფრიდონი), „ტანი ალვა, პირი მანვი“ (თინათინი) და ა. შ. პარალელი შეგვიძლია გავაგლოთ ფატმანის სილამაზესთან, რომელიც საპირისპირ პოლუსია ზემოთქმულისა – ფატმანი, რუსთაველის შენიშვნით, ლამაზია („თვალად მარჯვეა“), მაგრამ მისი სილამაზე მოკლებულია იმგვარ ესთეტიკას, რომელიც ვეფხისტყაოსანში ღვთაებრივ სილამაზედ განიხილება და რომელიც სულისა და ხორცის პარმონიაში ვლინდება – თინათინისა და ნესტანის სულის მშვენება მათვე გარეგნობის შესაბამისია, ისევე – როგორც ფატმანის შინაგანი და გარეგანია ურთიერთშესაბამისი, ფატმანი პირმსუქანია და დროსტარების მოყვარული.

ბუნებითი რჯულის, პიროვნების თვითბუნებოვნობის გამოკვეთის დროს რუსთაველი ხაზგასმით მიანიშნებს გენეტიკურ (სოციალურ) ფაქტორზე – ავთანდილი უმაღლეს არისტოკრატიას განეკუთვნება, ამიტომ ის „პირველ ყმაა“ არა შემთხვევითად, არამედ – წარმომავლობითაც, ტარიელი ვაჟია სარიდანისა, უბადლო მეფე-რაინდისა და თავადაც უბადლო რაინდია, თინათინი „ლეგვია ლომისა“, რაც უცილობელად განსაზღვრავს მის სიბრძნესა და მშვენიერებას, გასაოცრად მშვენიერი და გონიერია ინდოეთის მეფის ასული ნესტანიც და მეფე-რაინდი ფრიდონიც. აქვე ავტორი გამოკვეთს სოციალურად უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი ასმათის სიკეთეს, ერთგულებასა და სათნოებას, შერმადინის – სისხარტესა და ამტანობას (როსტევანის შენიშვნით, შერმადინი თორმეტი მონის სადარია – „თორმეტი მონა შევასხათ... ერთაი შენი შერმადინ არს მათად დასადარებლად“), თუმცა, რუსთაველი

არც ასმათის და არც შერმადინის გარეგნობაზე იმგვარი ხაზგასმით, როგორითაც უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენლებზე გვესაუბრება, არ ამახვილებს ყურადღებას.

პიროვნების თვითბუნებოვნობა მჭიდროდ უკავშირდება გონიო პერცეფციას, რომელიც პიროვნების მიერ ობიექტური რეალობის, საგნებისა და მოვლენების შეფასების უნარია, გარესამყაროს ანალიზი, რომელსაც სასულიერო მწერლობის გმირი საღმრთო განპრძნობაზე აფუძნებს. გრიგოლ ხანძთელმა როგორც მშობლიურ, ისე უცხო ენებზე შეისწავლა კლასიკური ფილოსოფიაცა და ქრისტიანული ღვთისმეტყველებაც, წმინდა შუმანიკი გამუდმებით კითხულობს ბიბლიას, მოწამეთა დვანლის ამსახველ ლიტერატურას, ფსალმუნებს, წმინდა აბო, რომელიც „სწავლულ იყო მწიგნობრებითა სარკინოზთა ათა“, დეტალურად ეცნობა და სწავლობს ქართულ მწიგნობრობასაც და ძველი და ახალი აღქმის საკითხავებსაც. საღმრთო განპრძნობაზე დაფუძნებული გონიო პერცეფცია ამზადებს საფუძველს გადაწყვეტილების მისაღებად, ხოლო გადაწყვეტილების მიღება ნების პრეროგატივაა. დეკარტი შენიშნავდა: „თავისთავად გონება არც რაიმეს ადასტურებს და არც უარყოფს. მისი მეშვეობით ხდება ნივთთა იდეების წვდომა. ამ თვალთახედვით, გონებაში ვერასოდეს ვიპოვით რაიმე შეცდომას. შეცდომის მიზეზი ნებელობაში, თავისუფალ გადაწყვეტილებაშია. ნების ასპარეზი ბევრად უფრო ვრცელია, ვიდრე – გონებისა. მას ძალუძს გონების ნაწვდომ საზღვრებს მიღმაც გავრცელდეს“ (დეკარტი 2001:8). ამდენად, გონიო პერცეფცია სასულიერო მწერლობის პერსონაჟთა შემთხვევაში წარმოადგენს სინთეზს გონებისა, ცოდნისა და ნებისა.

ვეფხისტყაოსნის გმირთა მენტალურ სივრცეში აქცენტირებულია სიბრძნე, რომელშიც ავტორი მოიაზრებს გონებასაც და განათლებასაც, რაც შეეხება ნებას, პერსონაჟები მას ძირითადად გონებას უკვემდებარებენ, თუმცა, გვხვდება საპირისპირ შემთხვევებიც (სასონარეკვეთილებაში ჩავარდნილ ტარიელს აღარ ძალუძს ნების მართვა).

გონება თავისთავადია, განათლება – შეძენილი განსხვავებით სასულიერო მწერლობის ძეგლებისაგან, რომლებშიც გმირის განათლება უფრო დეტალურადაა წარმოჩენილი, ვეფხისტყაოსნის ავტორი ამგვარ დეტალებზე არ გვიმახვილებს ყურადღებას, თუმცა, გარკვეულ ინფორმაციას მაინც გვაწვდის, რომლის მეშვეობითაც ვიგებთ, რომ ტარიელმა ხელმწიფის შესაფერი აღზრდა მიიღო, რაც გულისხმობს განათლებასაც და საბრძოლო (რაინდული) ხელოვნების დაუფლება-

საც. როგორც ტარიელი თავად ამბობს: „ბრძენთა მიმცეს სასწავლე-ლად ხელმიწფეთა ქცევა-ქმნათად“ და რაკიღა „სრულთა ლაშქართა და ქვეყნათად“ საპატრონოდ ზრდიდნენ, სარაინდო ხელოვნების შესწავ-ლასაც მნიშნვნელოვან ყურადღებას უთმობდნენ.

არანაკლები რაინდია ავთანდილი. იგი, თუმცა, „ჯერთ უწვერულია“, მაგრამ უკვე არაბეთის სპასტეტია. ავთანდილი უპირველესი რაინდია არაბეთში და ამას კიდეც დაამტკიცებს მეფესთან ერთად ნადირობის დროს. იგი გონიერი, ბრძენი და გამჭრიახი ადამიანია, მას, ცხადია, კარგი განათლებაც აქვს მიღებული, მაგრამ კონკრეტულად რას გულისხმობს ეს განათლება, ვეფხისტყაოსნის ავტორი ამას აღარ გვეუბნება.

საინტერესოა ინფორმაცია, რომელსაც ავტორი ნესტანის აღზრდის შესახებ გვაწვდის. თუმცა, თავიდან ტარიელი და ნესტანი ერთად იზრდებიან ინდოეთის მეფის სასახლეში („საშობელი გაიყარა, ზრდა დაგვინყეს მე და ქალსა“, – ყვება ტარიელი), მაგრამ მოგვიანებით ფარსადანმა „სახლი ააგო, შიგან საყოფი ქალისა“ და მხოლოდშობილი ასულის აღზრდა საკუთარ დას მიანდო. მეფის ამგვარ გადაწყვეტილებას ორგვარი ახსნა აქვს: 1. ფარსადანს სურს დაიცვას ნესტანი ხიფათი-სა და განსაცდელისაგან, მოარიდოს სხვათა მზერას. ეს სხვებისთვი-საც გასაგებია, ტარიელი შენიშნავს: „ვიცოდი, სწადდა არვისგან ნახვა მის მზისა დარისა“ და 2. ნესტანის აღზრდისთვის საჭიროა საგანგებო სივრცე. ამ სივრცეში აღმზრდელიცა და აღსაზრდელიც მოექცევიან იმგვარ ველში, რომელიც აუცილებელია აღზრდის განსახორციელებლად. გავიხსენოთ სიბრძნე-სიცრუისა – უფლისნულის აღმზრდელი, ლეონი, საგანგებოდ ითხოვს განცალევებულ, იზოლირებულ სივრცეს ჯუმბერისთვის, რადგან სასახლეში ის ვერ განახორციელებს თავის აღმზრდელობით მეთოდებს, სასახლეში ჯუმბერი, მეფის ერთად-ერთი შვილი, სრულიად სტერილურ გარემოშია, გარემოში, სადაც არ არსებობს დაბრკოლება, რომელთან წინააღმდეგობაშიც უნდა განვითარდეს აზრი, შემეცნება, თანაგანცდა, ზნეობა... ხოლო განცალკევებულ სასახლეში, იზოლირებულ სივრცეში ლეონი ჯუმბერისთვის ქმნის ხელოვნური წინააღმდეგობის ველს და, მართალია, წინააღმდეგობის ველი ხელოვნურია, მაგრამ დაღლა, ტკივილი, მოთმინება – სულიერი და ფიზიკური წერთნა – აბსოლუტურად რეალურია, ეს არის გზა, მეთოდი, საშუალება პიროვნებისფორმირებისა. ვეფხისტყაოსანში, რასაკვირველია, მეფის ასულის იმგვარ წრთვნას, როგორიც სიბრძნე სიცრუისას ტექსტშია მოცემული (ფეხშიშველი სირბილი მწევრებთან

ერთად, შიმშილი, ფიზიკური დასჯა და ა. შ.), ვერ ვხვდებით და ვერც იმას ვიგებთ, კონკრეტულად როგორ, რა მეთოდებით ზრდის დავარი ნესტანს. ერთადერთი, რაც ზუსტად ვიცით, მეფემ სიპრძნის შესასწავლად მიაბარა მას თავისი ქალი. ანუ დავარი იმგვარად ბრძენია, რომ მას შეუძლია მეფის ასული განათლება, განპრძნობა. გავიხსნოთ, რომ დავარი ქაჯეთს იყო გათხოვილი. იმ მომენტში, როცა მეფე მას თავის ერთადერთ ასულს მიაბარებს აღსაზრდელად, იგი დაქვრივებულია. მას რომ მეფემ ეს საპასუხისმგებლო და საფრთხილო საქმე ანდო (იმავე სიპრძნე-სიცრუიდან გავიხსნოთ, როგორი დატვირთვა აქვს აღმზრდელის პერსონაჟს, იგი არის არა შემთხვევითი, არმედ – ღვთის მინიშნებით შერჩეული ადამიანი, თავად ლეონიც უდიდესი პასუხისმგებლობით და, ამასთან, შიშითა და რეალური საფრთხის გაცნობიერებით ჰყიდებს ამ რთულ საქმეს ხელს და ფარმანსაც კი ჩამორთმევს მეფეს, რომ ცხელ გულზე, განუსჯელად არ მოაკვდინოს, თავის გამართლების საშუალება მაინც მისცეს აღმზრდელს), ცალსახად მეტყველებს იმ გარემოებაზე, რომ დავარი არა მხოლოდ ახლონათესავობით, თავისი პიროვნული თვისებებითაც იმსახურებს მეფის ამგვარ ნობას. უნდა ვივარაუდოთ ისიც, რომ ქაჯეთიდან მოპრუნებული დავარი „ზედაგახელოვნებული“ იქნება იმგვარ გრძნეულებაში, რომლითაც ცნობილი არიან ქაჯები და როგორი ძალა და უნარიც, ალბათ, მის გარდაცვლილ მეუღლესაც ჰქონდა (კიდეც ჰყავს დავარს, როგორც მოგვიანებით გამოჩნდება, ქაჯეთიდან წამოყოლილი ორი გრძნეული შავეკანიანი ქაჯი მსახური), მაგრამ ტექსტში არსად ჩანს, რომ ნესტანი ამგვარ გრძნეულებაში განსწავლულია (წინააღმდეგ შემთხვევაში, ქაჯთაგან დატყვევებული ნესტანი ამ ძალას ტყვეობიდან თავისიდასალწევად უთუოდ გამოიყენებდა). ამგვარ გრძნეულებას არც უნდა აზიაროს დავარმა ნესტანი, რადგან ეს მთლიანად დაარღვევს იდეალური ქალი გმირის ფსიქოტიპს, მისი კონსტრუირების პრინციპს, რამდენადაც ქაჯთა გრძნეულება ვეფხისტყაოსანში ცალსახად წარმოდგენილია, როგორც ბოროტი, უკეთური ძალა, მსახურება. ძალა, რომელსაც პოემაში სიკეთისა და სათნოების აღტერნატიული დატვირთვა აქვს. რატომ შემოჰყავს ავტორს პოემაში ამგვარი წინააღმდეგობრივი პერსონაჟი დავარის სახით? ერთი მხრივ, სავარაუდოდ, იმიტომ, რომ სიუჟეტის განვითარების მოთხოვნის შესაბამისად შექმნას სახე პერსონაჟისა, რომელსაც შეეძლება რადიკალური ზომების მიღება მაშინ, როცა ვითარების უაღრესად დაძაბვა და დრამატიზირებაა საჭირო (ნესტანის ცემა, შეურაცხყოფა, ნესტანის გადაკარგვა შუა ზღვაში, თვითმკვლელობა), ხოლო, მეორე მხრივ, სწორედ ბრძენი და გამოცდილი ადამიანი უნდა იყოს მეფის ასულის

აღმზრდელი, ამასთან – სანდო და მეფესთან დაახლოებული პირი.

ერთგვარად უცნაურ ინფორმაციას გვაწვდის ავტორი ფრიდონის აღზრდის შესახებ, რომელიც მეფეა და, სავარაუდოდ, სიყრმეში უფლისწულის შესაფერისი აღზრდაც უნდა მიეღო, მაგრამ მას, რატომძაც, საჯამბაზო ხელოვნებაც შეასწავლეს: „ჩემსა სიყრმესა გამზრდელი სამუშაოთოდ მწვრთნიდიან...“

ვეჯხისტყაოსნის გმირთა მენტალური სივრცის კომპონენტებს – სიბრძნესა (გონება+განათლება) და ნებელობას ემატება გრძნობა, ემოცია და იკვრება მენტალური სივრცის სამი კომპონენტი – „გული, ცნობა და გონება“, (რომლის ნინასახეა „გული ბრძენი“ - შდრ.: ახალ ქართულ ლიტერატურაში ვაჟა – „გული და გონება ძმანია“).

სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ავთანდილს განიხილავენ, როგორც სიბრძნის რანდს, ხოლო ტარიელს, როგორც გრძნობის რაინდს, რაც, ვფიქრობთ, არასწორია. ზემოხსენებული მოსაზრების არგუმენტირებისათვის მკვლევარები იხსენებენ ტარიელის წრეგადასულ გლოვასა და ვაებას სატრფოს და კარგვის გამო, მის უკიდურესობამდე მისულ სასონარვეთას, და იქვე გამოკვეთენ ავთანდილის ბრძნულ და გონივრულ შეგონებებს. ერთი შეხედვით, მართლაც ასეა. ტარიელს უჭირს გრძნობის მართვა, ავთანდილი მუდამ კეთილგონიერებას იჩენს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ტარიელი სიბრძნის დეფიციტს განიცდის ან ავთანდილია ზედმეტად რაციონალური და მისთვის უცხოა ემოციის მოზღვავება. სინამდვილეში ტარიელიც, ავთანდილიცა და ფრიდონიც, პრაქტიკულად, იდენტური პერსონაჟები არიან, ერთგვარად და ერთი პრინციპით კონსტრუირებულნი, მათი მენტალური სივრცის საფუძველი არის „გული ბრძენი.“ პოემის სიუჟეტი ვითარდება იმგვარად და რუსთაველი იმგვარ ვითარებაში წარმოგვიდგენს თავის პერსონაჟებს, რომ მათი ემოციის ხარისხის განსხვავებულობა ლოგიკურია. ტარიელი ბრძენია, მისი სიბრძნე, ემოციის მართვის უნარი კარგად ჩანს, თუნდაც, თათბირის დროს. როცა ამირბარი მიხვდება, რომ მეფე-დედოფალმა გადაწყვეტილება წესტანის გათხოვების თაობაზე უკვე მიიღო და ამ თათბირს ოდენ ფორმალური ხასიათი აქვს, იგი გულისხმას დაიდუმებს და ჩათრევას ჩაყოლას ამჯობინებს. ამიტომაც ეუბნება მოგვიანებით წესტანს: „დამეშალა, ვერ დავშლიდი, დამრჩებოდა უმეცრებაო.“ ამასთან ამირბარი, დინჯი და დაფიქრებულია, გავიხსენოთ ხატაეთის ლაშქრობა, როგორ ისმენს და ითვალისწინებს „ვაზირთა წავაზირალს.“ ტარიელის სიბრძნესა და გონიერებას ხაზს უსვამს ავთანდილიც („ბრძენი ხარ და გამორჩევა არა იცი ბრძენთა თქმულებრ“). მაგრამ ტარიელის სიბრძნეს წესტანის გადაკარგვის შე-

დეგ ველარ წარმართავს ნება, რადგან იგი უკიდურესი განსაცდელის პირისპირ აღმოჩნდება. იმედგადანურული ტარიელისთვის სატრფოს გარეშე აზრს კარგავს ყველაფერი, ერთადერთი იმედი, სატრფოსთან იმქვეყნად შეხვედრაა („აქა გაყრილი მიჯნურნი მუნამცა შევიყარენ-ით“) და ამიტომ სიკვდილს სიხარულით მოელის („ან მივსწურვილვარ სიკვდილსა, დრო მომეახლა ლხენისა“).

ამდენად, სიბრძნე და ემოცია ტარიელის პერსონაჟსაც იმგვარივე პროპორციულობით ახასიათებს, როგორც – ამ მოდელის სხვა პერსონაჟებს. ხოლო ამ ორი კომპონენტის ერთგვარი დისპროპორციულობა, დისბალანსი განსაცდელის უკიდურესობითა გამოწვეული.

სიბრძნის რაინდად წოდებული ავთანდილიც არანაკლებ ემოციურ ხასიათს გვიჩვენებს, როდესაც უცხო მოყმის საქებნელად გამგზავრებული, სატრფოსთან განმორების გამო მძაფრი ტკივილებით აღსავსე ცრემლად იღვრება: „ავთანდილ მისი გაყრილი ტირს, მისწვდომია ხმა ცამდის“; „ვარდი ჭნებოდა, ღვრებოდა, ალვისა შტო ირხეოდა“ და ა. შ. მაგრამ ეს დარდი სატრფოსთან მხოლოდ დროებითი განმორებითა გამოწვეული, ავთანდილის სატრფო არაბეთის ტახტზე „მორჭმით მჯდომელი“ მეფეა, რომელიც არც შუა ზღვაშია გადაკარგული დაარც რაიმე მსგავს განსაცდელიმია ჩავარდნილი. ამიტომაც შეძლებს ავთანდილი ეს მძაფრი ემოცია ნებას დაუქვემდებაროს:

ან გულსა ეტყვის, ვითამცაგდის ცრემლი, არ გაგხმობია,
რას გარგებს მოკლვა თავისა? ეშმა ძმად თურე გძმობია;
მეც ვიცი, ჩემსა ხელ-მქმნელსა თმად ყორნის ბოლო სთმობია,
მაგრა თუ ჭირსა არ დასთმობ, ლხინი რა დასათმობია!
(რუსთაველი 1990:317)

3. ქრონოტოპი – მენტალური სივრცის ფორმირებისა და გმირის რეალიზების ერთგვარი ველი.

როგორც სასულიერო, ისე – საერო მწერლობის ტექსტებში ქრონოტოპი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს აგიოგრაფიული ტექსტის პროტაგონისტის ფსიქოტიპს, მისი მენტალობის ფორმირების პროცესს, დასაზღვრულს გარკვეული ფაზებითა და ეტაპებით. იმავდროულად, გმირი თავადაც ახდენს გავლენას სივრცეზე.

აგიოგრაფიული ტექსტში წარმოდგენილი ფიზიკური სივრცის შესახებ შევნიშნავდით, რომ ეს სივრცე დიფერენცირდება არქესივრცედ, სოციალურ სივრცედ და სამოღვაწეო სივრცედ.

არქესივრცე გმირის თავდაპირველი სამყოფელია, საიდანაც ის სამოღვაწეო სივრცეში მოდის. სამოღვაწეო სივრცე, თავის მხრივ, განწილულია 1. დროებით სამოღვაწეო სივრცედ; 2. ექსორიობის (მწირობის, მსხემობის, „ხეტიალის) სივრცედ; 3. სამკვიდრო სივრცედ; სამკვიდრო სივრცეში გმირი გადის ორ ეტაპს – საწყისს და კოპერენტულს (ორი ურთიერთშეკავშირუბული–გმირის მყოფობა ფიზიკურ და მეტა-ფიზიკურ სივრცეში ერთსა და იმავე დროს). ამის შემდეგ დგება სივრცე ჟამიერი – დრო-სივრცის სასრული ფაზების („განთვისებული“ დროისა და სივრცის) თანხვედრა, გმირის გარდაცვალება, სულიერი მოსაგრეობის განსრულება (მრევლიშვილი 2016:172).

როგორია ფიზიკური სივრცის ორგანიზების სქემა ვეფხისტყაოსანში?

ფიზიკური სივრცის სამივე ძირითადი კატეგორია – **სოციალური** სივრცე, **არქესივრცე** და **სამოღვაწეო** სივრცე (თავისი ქვეპატეგორიებით) – ნარმოდგენილია ვეფხისტყაოსანში, მაგრამ, გარკვეულ-ნილად, ტრანსფორმირებული სახით.

პოემაში ნარმოდგენილი **სოციალური** სივრცე, არსებითად, იმგვარივეა, როგორიც აგიოგრაფიულ ტექსტში გვხვდება (პერსონალიების დონეზე – იერარქია დაღმავალი ხაზით – მეცე, ფეოდალები, დაბალი ფენა; იდეურ დონეზე – ბოროტი და კეთილი (მაგ.; მართლმორნებული ქრისტიანები და არაბები – აბოს ნამება, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება; ქრისტეს მიმდევრები და სპარსეთი (ვარსქენის პოლიკური მოკავშირე) – შუპანიკის ნამება და ა. შ. ა.მასთან, ვეფხისტყაოსანში კეთილთან დისპოზიციაში შემოდის არა რეალურად არსებული, არამედ – გამონაგონი ქვეყანა ქაჯეთის სახით.

ვეფხისტყაოსნის გმირთა არქესივრცე (არაბეთი, ინდოეთი) გამოხატულებაა სიმშვიდისა, ჰარმონიისა და სრული კეთილდღეობისა. ამგვარ გარემოში რაინდი თავის რაინდულ თვისებებს ვერ გამოავლენს. ის მცირე შესაძლებლობა (ნადირობა, ბურთაობა...), რომელიც მათ, როგორც რაინდებს ნარმოაჩენს, არ არის საქმარისი მიჯნურისთვის თავისმოსანონებლად. ამიტომ ამ სივრციდან უნდა გამოვიდნენ გმირები და გაეშურონ რთული, დაბრკოლებებით აღსავსე და ხიფათიანი სივრცისაკენ – ეს არის ხეტიალის სივრცე. ხეტიალის სივრცე,

* ტერმინები **მწირობა** და **მსხემობა** ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ერთმანეთის სინონიმებად გამოიყენება, თუმცა, სულხან-საბა მათი კონტექსტის ნიუანსობრივ სხვაობაზე მაინც ამახვილებს ყურადღებას: „მსხემი არს, რომელი უმკვიდროსა და სხვათა ადგილთა გამოიზარდებოდეს და ადრე ნარმავალ იყოს, ხოლო მწირი სხვაგან გამოიზრდებოდეს და გვანად ნარმავალი იყოს და არა დამკვიდრებადი CD. რომელი უმკვიდროსა და სხვათა ადგილსა გამოიზრდებოდეს, იგი არს მსხეში, ადრე ნარმავალ იყოს, ხოლო მწირი გვიან ნარმავალ იყოს და სხვაგანვე გამოიზრდებოდეს E. „ლექსიკონი ქართული, გვ. 523

ტარეტიკულად, სამოღვაწეო სივრცეა, მოსაგრეობის სივრცეა. ტარიელიცა და ავთანდილიც არქესივრციდან გამოსვლის შემდეგ გაივლიან ხეტიალის სივრცის პირველ, მცირე წრეს – თინათინის დავალებით წამოსული ავთანდილი სამი წლის განლევის შემდეგ მიაკვლევს ტარიელს და უკან, არაბეთში ბრუნდება, ასევე, სატრფოს დავალებით მიდის ტარიელი ხატაელებთან საბრძოლველად და გამარჯვებული მობრუნდება უკან. ანუ პირველი წრე არქესივრციდან გამოსვლისა და მასში უკუქცევის წრეა (ფრიდონისთვის ამის ანალოგიად შესაძლოა ბიძაშვილებთან ბრძოლა მივიჩიოთ), ხოლო მეორე, დიდი წრე გაცილებით მეტ ძალისხმევასა და სულიერ სიმტკიცეს მოითხოვს გმირებისა-გან. აქ დრო განუსაზღვრელია, მიმართულება – გაურკვეველი, ხიფათი – მრავალგვარი. ეს არის გზა მიჯნურთან ერთობისა, რომელიც არ შეიძლება მოკლე იყოს, რაინდი უნდა დაშორდეს მიჯნურს, რომ მოიპოვოს ის, რაინდმა სატრფომდე მისასვლელად გრძელი და ძალიან ძნელი გზა უნდა გაიაროს, „ველთა რბენა“ უნდა გამოსცადოს, რომელიც, თავის მხრივ, ტრანსფორმირებული სახეა სასულიერო მწერლობის უდაბნოსი – უდაბნო, სივრცე გამოცდისა და გამოსყიდვისა, უდაბნო, სადაც ადა-მიანი საზრისი მხოლოდ ერთზე – იდეალზე კონცენტრირებული.

ტარიელისა და ნესტანისთვის სივრცეში ხეტიალი, სივრცეში და-კარგვა, ტანჯვა, ტრაგიზმი იმითაცაა განპირობებული, რომ მათ ღმერთი განარისხეს („რისხვით მობრუნდა ბორბალი ჩვენზედა ცისა შეიდისა“), თუმცა, „მართალი სამართალი ქნეს“, მაგრამ მათ სამართალს უდანაშაულო ადამიანი ემსხვერპლა, ახლა თავად უნდა გაიღონ მსხვერპლი ამ ცოდვისგან განსაწმენდად.

ხეტიალის, გამოცდის, მოსაგრეობის განსრულების შემდეგ ხიფათიდან აღმოშობილი გმირი მოპოვებს ბედნიერებასა და შვებას. აღთქმა და პირობა, განსაცდელგამოვლილი გრძნობა, დაწყვილებითა და ნეტარებით დაგვირგვინდება.

სასულიერო მწერლობაში ქრისტეზე დაწინდული მოღვაწე განსაცდელთა დაძლევის გზით, ამქვეყნიური ცხოვრების – როგორც გამოცდისა და გამოსყიდვის (პირველცოდვის) სივრცის – ღირსულად განვლის (განლევის) შემდეგ სასუფევლის დამკვიდრებით მიაღწივს უფალთან თანაზიარებას. საერო მწერლობის გმირებისათვის ეს ნეტარება ამქვეყნადვე იწყება და, მათი ზნეობრივი კოდექსიდან გამომდინარე, იმქვეყნად ღმერთთან ერთობის იმედით გრძელდება.

ამდენად, როგორც დავინახეთ, ზოგადი არქეტიპული მოღელები, რომლებიც აგიოგრაფიულ ტექსტში ძველი აღთქმიდან შემოდის, თავს იჩენს საერო მწერლობაშიც და, რასაკვირველია, ერთგვარად ტრანსფორმირებული სახით გვევლინება.

დამოცვებანი:

დეკარტი 2001: დეკარტი რ. მსჯელობა მეთოდის შესახებ, მეტაფიზიკური მედიტაციები. თბილისი: „ნეკრი“, 2001.

მრევლიშვილი 2016: მრევლიშვილი ნ. „სივრცის ონტოლოგიური კატეგორია და აგიოგრაფიული ტექსტი იოანე საპანისძის აბოს წამების მიხედვით“. ეროვნული თვითმემეცნიერის სათავეებთან. იოანე საპანისძე, მარტვილობა აბო თბილელისა. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2016.

მოემი 1972: მოემი ს. შეკაძება. თბილისი: „ხომლი“, 1972

რუსთაველი 1990: რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი. თბილისი: „სამშობლო“, 1990

EKA CHIKVAIDZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

“The Knight in the Panther’s Skin (Vepkhistkaosani)” – the Crossroads of Traditional Literary Rules and Innovation

Shota Rustaveli is an innovator author in many aspects, in one hand, he is raised by the trivium-quadrivium academic system of Gelati-Ikalto, on the other hand, he is the successor to the Georgian medieval literary rule (forasmuch as these two academies are both, the recipients of the past period's knowledge and innovators in terms of translation); In one hand, Rustaveli is a follower of the particular pattern, but, on the other hand, the disobeyer of the standard in an artistic aspect (the qualities and the types of characters should be held as an example). The author of “The knight in the panther's skin” takes the traditions of the past period's literary canon, religious, secular, and folk cultural achievements, but, on the other hand, he is the innovator, which not only puts the novel idea, but also synthesizes the achievements of the Neoplatonic Christian authors (Georgians, in the way of Gelati-Ikalto) and Byzantine authors (in terms of translation). In conclusion, on the one hand, we have the continuation of the Georgian national literary rule and, on the other hand – literary innovation.

Key words: “The Knight in the Panther's Skin”, traditional literary rules innovation, spiritual writing in Georgia.

ეპა ჩიკვაიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„ვეფხისტყაოსანი“ – ტრადიციული ლიტერატურული კანონისა და ინოვაციის გზაჯვარედინი

შოთა რუსთაველი არაერთი ასპექტით ნოვატორი მწერალია, ერთი მხრივ, გელათი-იყალთოს ტრივიუმ-კვადრივიუმის აკადემიური სისტემით აღზრდილი, ხოლო, მეორე მხრივ – ტრადიციის, ქართული შეასაუკუნეობრივი ლიტერატურული კანონის გამგრძელებელი (რადგანაც ეს ორი აკადემია წინარე პერიოდის გამოცდილების მიმღებიცა და თარგმანთა გზით ნოვაციის დამნერგავიც); ერთი მხრივ, მოდელის გაცხადებით გარკვეული ყალიბის, ნორმის მიმდევარი, ხოლო, მეორე მხრივ, ამ მოდელისა და სტანდარტის ფარგლების შემოქმედებითი თვალთახედვით დამრღვევი (მაგალითად ხასიათები, პერსონაჟთა ტიპები გამოგვადგება). „ვეფხისტყაოსანის“ ავტორი, ერთი მხრივ, იღებს წინარე პერიოდის ლიტერატურული კანონის ტრადიციებს, სასულიერო, საერო, ფოლკულტურის მიღწევებს, ხოლო, მეორე მხრივ, ნოვატორია, რომელიც არა მხოლოდ თავად ქმნის სიახლეს, არამედ ნეოპლატონიკოს ქრისტიან შემოქმედთა (ქართველთა, გელათი-იყალთოს გზით) და პიზანტიულთა (თარგმანთა მეშვეობით) მიღწევებსაც სინთეზირებს. შესაბამისად, ვიღებთ, ერთი მხრივ, ქართული ნაციონალური ლიტერატურული კანონის გაგრძელებას, ხოლო, მეორე მხრივ – ლიტერატურულ ნოვაციას.

„თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი განმარტებით, კანონი გარკვეული წესების, რეგულაციებისა და ნორმების დაცვის მოწესრიგებულ სისტემას წარმოადგენს, რომლის ფორმირება და დაგენა ლიტერატურული ისტორიის წიაღში ხორციელდება“ (რატიანი 2015: 28). ამავე ნაშრომში ი. რატიანი ქართული ნაციონალური ლიტერატურული კანონის ჩამოყალიბების ეტაპების განიხილვისას პირველ ეტაპად გამოყოფს ქართულ ქრისტიანულ მწერლობას და მის წიაღში ქართული იდენტობის ფორმირებას გამოკვეთს (რატიანი 2015: 41), სადაც ცალკე „ქვესტრუქტურად გამოყოფს „რუსთაველის კანონს“, როგორც დასავლური და აღმოსავლური კულტურული ტრადიციის პირველ სინთეზს ქართულ მწერლობაში და სიღრმისეული კოსმოპოლიტური აზროვნებით გამორჩეულ ტექსტს“ (რატიანი 2015: 43). ლიტერ-

ატურათმცოდნები გამოკვეთენ და განმარტავენ კიდევ ერთ ტერმინს: „ზენაციონალურ ლიტერატურას და ალნიშნავენ, რომ „ზენაციონალური ლიტერატურული კანონის იდეა მიემართება შესაძლებლობას, რომ მოხდეს იმ განსხვავებების დაძლევა, რომელიც არსებობს სხვადასხვა ნაციონალურ ენებზე შექმნილ ლიტერატურებს შორის და რაც გამოხატულია ცალკეული ნაციონალური ლიტერატურული კანონების სახით“ (მატაჩი 2010: 99, რატიანი 2015: 29). ვფიქრობთ, რომ რუსთველური უნივერსალიზმის იდეის გამო შესაძლებელია ვისაუბროთ „ვეფხისტყაოსნით“ (რუსთაველის კანონით) ზენაციონალურ ლიტერატურულ კანონთან შერწყმაზე.

როგორც არ უნდა განვსაზღვროთ ტრადიციული ლიტერატურული კანონი, აშკარაა, რომ ძეველი ქართული ლიტერატურის კონტექსტში ის სასულიერო მწერლობას უკავშირდება. სასულიერო ლიტერატურას (აღმოსავლურ საერო-სამიჯნურო, დასავლურ ფილოსოფიურ და ეროვნულ-ფოლკლორულ ნაკადებთან ერთად) უკავშირდება საერო ლიტერატურის აღმოცენებაც. შესაბამისად, „ვეფხისტყაოსანი“ არაერთი რაკურსით „გზაშესაყარია“: სასულიერო და საერო კულტურისა, ხალხური და მწიგნობრული და აღმოსავლურ-დასავლური ლიტერატურებისა; კვეთა როგორც აგიოგრაფიასთან, ისე ყველა დასახელებულ წყაროსთან არაერთგზის აღნიშნულა. არახალია „ამირანდარეჯანიანისა“ და „ვისრამიანისგან“ მისი მკვეთრი ჟანრობრივი განსხვავებაც და ის შაბლონიც (4 ნიშანი), რომელიც სადევგმირო ეპოსის აგიოგრაფიასთან დამოკიდებულებას განსაზღვრავს. ასევე ცნობილია, რომ „საერო ლიტერატურას ამზადებდა შინაარსობრივად უძველესი აგიოგრაფია... აგიოგრაფიულმა ბელეტრისტიკამ ქართველი მკითხველი საზოგადოება მიიყვანა საერო მხატვრული რომანის სალარომდე. ის მკითხველი, რომელიც იცნობდა „წმინდა მხედრების“ თავგადასავალს, .. ადვილად მოკიდებდა ხელს „ამირანდარეჯანიანის“ სადევგმირო მოთხრობებს“ (კეკელიძე 1961: 8); იგივე ითქმის „ვეფხისტყაოსანზეც“. რუსთაველის თხზულება, გარკვეულნილად, იმეორებს იმ შაბლონს (ცნობილი 4 ნიშანი – კ. კეკელიძე), რომელიც სადევგმირო ეპოსის აგიოგრაფიასთან დამოკიდებულებას განსაზღვრავს. აღიარებულია ისიც, რომ თვით სასულიერო მწერლობას, როგორც აგიოგრაფიულს, ისე – ჰიმნოგრაფიულს, ბიბლიამ დაუდო სათავე. სწორედ ამიტომ, „ვეფხისტყაოსანში ვხედავთ პარალელიზმებს, ერთი მხრივ, სასულიერო ლიტერატურასა და, მეორე მხრივ – ბიბლიასთან. თუმცა, ნათელია, იმის გაცხადება, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ბიბლიური,

ან სასულიერო რომანის თუ ჰიმნის პირდაპირი და ცალსახა გაგრძელებაა, ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით ნონსენსი იქნებოდა რუსთველის თხზულებაში თავჩენილი მრავალმხრივი და მრავალგვარი ლიტერატურული კვეთის თუ ნოვატორული პერსპექტივების გამო. მიუხედავად ამისა და სწორედ ამიტომ, საინტერესოა ტრადიციულობისა და ნოვაციურობის კონტექსტში იმის განხილვა, თუ რას იღებს არსებული ლიტერატურული კანონისგან შოთარუსთაველი და რა არის ის სიახლე, რომელთა შემოქმედებითი სინოეზირება-ტრანსფორმაციაც გვაძლევს გენიალურ პოემას. როგორც ტრადიცია, ისე სიახლე ეხება როგორც ფორმას, ისე შინაარსს, 1. უანრობრივ, 2. სიუჟეტურ-კომპოზიციურ, 3. იდეურ-კონცეპტუალურ, 4. იდეოლოგიურ რაკურსს, 5. პერსონაჟთა პალიტრას, 6. მხატვრულ სახეობრივ სისტემას. მიზეზად კი გვესახება პალიტიკურ-კულტურულ რეალობასთან (ეპოქალური ცვლილებები ქართველთა სასახლის კარის ცხოვრებაში, რეალური პერიპეტიიები, რაც მეფის კულტის მიუხედავად, ორი მოდელის – რეალურ-იდეალურის წარმოჩენაშიც ისახება) ერთად ქრისტიანული მიდგომის ცვლა, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია ცვლილება როგორც საკუთრივ საეკლესიო-სასულიერო, ისე საერო ლიტერატურულ ხედვაში (გელათი-იყალთოს ფილოსოფიური ხედვა, პლატონური იდეები, ფიქცია-რეალობის პარალელური არსებობა, ადამიანი – საწუთორო დიქტომიის რუსთველური ხედვა, გმირი-სატრფო წყვილის ახალი შინაარსობრივი დატვირთვა); ენობრივი ინოვაციები (სიტყვათწარმოება, კონსტრუქციები, ზმნური ფორმები) და ანტიკური ფიგურები (მხატვრულ ფორმათა პალიტრა).

კ. კეკელიძის მიერ შენიშნული 4 ელემენტი მეტნაკლებად საერთოა შუა საუკუნეების საგმირო-სამიჯნურო ძეგლთათვის. თუმცა, ცხადია, თითოეული მათგანი სხვა ნიშნებითაც ავლენს ერთობას აგიოგრაფიულ მწერლობასთან. მნიშვნელოვანია, რომ სასულიერო ლიტერატურაში აღიარებულმა დაწყვილებამ – ქრისტეს მხედარი, მოწამე, დამმოწმებელი – უფალი, რაც ჯვრის ვერტიკალურ ხაზს ქმნის, ტრანსფორმაციის შედეგად სარაინდო ეპოსში შემდეგი სახე მიიღო: მიჯნური – მოყმე, ანუ მხედარი (ჯვრის ჰორიზონტალური ხაზი ერთი ვიწრო ასპექტით, სადაც მოყვასი სატრფოთია დაკონკრეტებული). სახარებისეული მცნებებიდან გამომდინარე („მე ვარ უფალი ღმერთი შენი“ და „მეორე, მსგავსი ამისი – გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“), აგიოგრაფიულ თხზულებათა პერსონაჟები ორივე სიბრტყეში იღვნიან და თავიანთ სატვირთავ ჯვარს ღვთისა და მოყვასის სიყვარუ-

ლით მათ სამსახურშივე ზიდავენ. თუმცა უმთავრესი ვერტიკალური სწრაფვაა – სწრაფვა უფლისკენ, რაც აგიოგრაფის ინტერესის სფეროა (დავაზუსტებთ, რომ ჰორიზონტალური სიბრტყის გარეშე ღმერთშე-მოსვა, სრბის ალსარულება ვერ განხორციელდება, რადგან „სიყვარული თუ არა მაქუნდეს, არავე რაი ვარ“, ეს თავისთავად განპირობებულია). „ვეფხისტყაოსანში“ კი აქცენტირებულია ჰორიზონტალური სიბრტყე და არა შემთხვევით, არამედ საგანგებოდ, რაკიდა ავტორის ინტერესი სწორედ ამ მიმართულებით (მიწიერი გრძნობები) ვითარდება. რუსთავ-ელს „ხელობანი ქვენანი“ აინტერესებს. აკი თავადაც გვამცნობს:

მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიჰხედებიან,
ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან;
ვთქვნე ხელობანი ქვენანი, რომელი ხორცთა ჰევდებიან;
მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდენ არ სიძვენ, შორით ბნდებიან. (24)

თუმცადა უმართებულო იქნებოდა, გვეთქვა, რომ თხზულების გმირები ღვთისმოსავნი არ არიან (განსაკუთრებით გამოკვეთილია ღვთისმოსავობა და რწმენის სიღრმე არაბეთის სასახლის კარზე: „რაცა ღმერთსა არა სწადდეს...“, „უგაგებოდ ვერას მიზმენ...“, „არვის ძალუც ხორციელას...“, „ილოცავს, იტყვის, მაღალო ღმერთო, ხმელთა და ცათაო...“ ან „დათმე გიჯობსო...“ და ა.შ. სწორედ ეს არის ავთანდილის სიმშვიდის საფუძველი ხშირ შემთხვევაში). მიჯნურისა და მოყვა-სის სამსახური ის ასპარეზია, სადაც იხარჯებიან და რასაც უანგაროდ სწირავენ თავს, „ვეფხისტყაოსნის“ ჰერსონაჟები. მათთვის უმთავრესი სწორედ ეს სარბიელი ჩანს, შესაბამისად გვაქვს არა უგულებელყოფა უფლისადმი გმირის მიმართებისა (ანუ ჯვრის ვერტიკალური ხაზისა), არამედ ამ მიმართებათა შესახებ ავტორის ინტერესთა ტრანსფორმა-ცია სწორედ იმიტომ, რომ „ზენა მიჯნურობას ჭკვიანნი ვერ მიჰხედები-ან“. რუსთაველის გმირები ჰორიზონტალურ სიბრტყეში მოქმედებენ, რაკიდა მათი ღვნის მიზეზიც და მიზანიც აქვეა (ავთანდილი – თინათი-ნი, ტარიელი – ნესტანი), საპირისპიროდ წმინდა მხედრებისა, რომელნ-იც უფალთან ერთობის მიღწევას ელტვიან (აბო – უფალი, შუშანიკი – უფალი, გრიგოლი – უფალი). თუმცადა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აგიოგრაფიული რომანის ავტორი (განსაკუთრებით – გიორგი მერ-ჩულე) გვერდს ვერ უვლის ჩვეულებრივ, ემპირიულ პირთა ცხოვრებას (თუმცა მხოლოდ იმისთვის, რომ ქრისტეს მხედართა საფეხურებრივი ზეაღსვლა, ან ღმერთშემოსვის შედეგები, თუ ღვანლის მრავალმხრი-

ვი ვექტორები წარმოაჩინოს), მაგრამ აქაც უმთავრესია უფალთან მიმართება, რომელიც ჰორიზონტალურ ასპექტს იქვემდებარებს. ცხადია, განსხვავებულ მიზანდასახულებას შედეგიც განსხვავებული მოჰყვება. ამიტომაც არ იმეორებს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მსოფლმხედველობა და ანთროპოლოგია ტრადიციული ლიტერატურული კანონით განსაზღვრულ ორთოდოქსულ ქრისტიანულ წარმოდგენებს, მაგრამ ქრისტიანობის წიაღში და ქრისტიანული მსოფლმხედველობით შექმნილ ძეგლში მაინც განიჭვრიტება ქართული ტრადიციული ლიტერატურული კანონის კვალი.

ცნობილია, რომ „მხატვრული სახე მხატვრული შემოქმედების ეს-თეტიკური კატეგორიაა, სამყაროს აღქმისა და გათავისების ფორმა. მისი, როგორც ესთეტიკური კატეგორიის განხილვა შედარებით გვიანდელ პერიოდს უკავშირდება, მხატვრული სახის თეორიის ჩანასახს, ჯერ კიდევ არისტოტელესთან ვხვდებით, როდესაც ის „მიმესისის“ – ხელოვანის მიერ სინამდვილის მიბაძვაზე საუბრობს. პლატონი მიიჩნევდა, რომ მიბაძვით ჭეშმარიტებამდე ვერ მივიდოდით, ხოლო არისტოტელეს აზრით, მიბაძვას შეუძლია ნებისმიერი რამ წარმოაჩინოს ან მშვენიერი, ან უსახური კუთხით. მხატვრული სახის გარეშე არასებობს არც სინამდვილის ასახვა, არც წარმოსახვა, არც შემეცნება და არც შემოქმედება. მხატვრული სახე ყოველთვის ატარებს საკუთარ თავში განზოგადებას, ანუ გააჩნია ტიპურის მნიშვნელობა. მხატვრული სახე შემოქმედებითი ტიპიზაციის შედეგია, ის განსხვავდება პუბლიცისტიკის, მემუარებისა და სხვა ფაქტოგრაფიული სახეებისგან. ის ექსპრესიულია, ანუ გამოხატავს ავტორისეულ იდეურ-ემოციურ დამოკიდებულებას საგნისადმი, იგი მიმართულია მეითხველთა გონებისადმი და გრძნობებისადმიც. მისი ტიპოლოგია აფუძნებს ბუნების, ადამიანისა და საზოგადოების კატეგორიებს. სემიოტიკური თვალსაზრისით, მხატვრული სახე არის ნიშანი, რაც გულისხმობს აზრობრივ კომუნიკაციებს მოცემული კულტურის ან მონათესავე კულტურების ფარგლებში. გნოსეოლოგიურად მხატვრული სახე გამონაგონია. მხატვრულ სახეს საკუთარი დამაჯერებლობა განსაზღვრავს, იმის მიუხედავად, რომ სხვადასხვა ეპოქაში ესთეტიკური პრიორიტეტები იცვლება. მხატვრული სახე სამყაროს რეალიების მხატვრული შემეცნების შედეგია. ამ დროს, სამყაროს ავტორი სხვანაირად აღიქვამს... რაც შეეხება ხასიათს, ქრესტომათიული განმარტებით, პერსონაჟის გარეგნული (პორტრეტული), მსოფლმხედველობრივი, ემოციური და ეთიკური ნორმების მთლიანობას წარმოადგენს. (ყველა ხასიათი პერსონაჟია,

თუმცა ყველა პერსონაჟი არ არის ხასიათი) პერსონაჟი შეიძლება, ჩამოყალიბდეს ხასიათად, გმირად (აღმატებულ ხასიათად) ან ტიპად (ხასიათის სპეციფიკურ მოდელად);.. ხასიათი, მთელი თავისი სახესხვაობით, პლასტიკურია. ის დგინდება მსოფლმჭვრეტის გარკვეულ ღირებულებთან დამოკიდებულების მიხედვით, გამოხატავს სამყაროში ადამიანის შემეცნებით-ეთიკურ მიზანდასახულობას და თითქმის მიწინევს და აღწევს უშუალოდ ყოფიერების საზღვარს“ (<https://geofilologia.wordpress.com/2015/01/19/მხატვრული-სახე/>). თუკი ამ გადასახედიდან ვიმსჯელებთ, რუსთველთან ვხვდებით ხასიათებსაც, გმირებსაც, პერსონაჟებსაც. მხოლოდ, ვფიქრობ, ნოვაციური და ტრადიციული ხედვის კვეთა პერსონაჟთა პალიტრაშიც გვაქვს და თანაც უაღრესად საინტერესოდ.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ რუსთველის პერსონაჟთა პალიტრა შეიძლება დაყყოლ იდეალურ და ემპირიულ ხასიათებად (ს. ცაიშვილი, ნ. ნათაძე). ხასიათის პრობლემა ამგვარად იყო გადაწყვეტილი აგიოგრაფიულ ბელეტრისტიკაშიც (მაგ.: წმინდა მხედარნი და ყოფითი, ჩვეულებრივი პირები, ვთქვათ, ცეირი, ან სიძვის დიაცი). ფაქტია, რომ პერსონაჟები მარტივი მარკერით დიფერენცირებულნი არიან დადებით და უარყოფით მოქმედ პირებად, პროტაგონისტებად და ანტაგონისტებად და სხვაგვარ მიდგომას სასულიერო პროზასა და პოეზიაში ვერ ვხვდებით. ვერ ვხვდებით განსხვავებულ ხედვას ვერც „ამირანდარეჯანიანსა“ და „ვისრამიანში“. ამგვარია არა მხოლოდ მეტოხელის აღქმა, არამედ ავტორის ნება. მაგრამ, ვფიქრობ, გადაჭარბებული არ იქნება, თუკი ვიტყვით, რომ, მიუხედავად ლიტერატურათმცოდნების აღიარებისა, რომ მსოფლიო ლიტერატურულმა კანონმა რთული ხასიათი მედიევსისტურ კულტურაში არ იცის, რუსთველთან საკითხი განსხვავებული რაკურსით უნდა წამოვჭრათ: არის თუ არა ავტორის მიდგომა ცალსახა, ვთქვათ, ფატმანისადმი, რომელიც, ერთი მხრივ, ვაჭართა კლასის წარმომადგენელია, მოღალატეა, „არ ჯერ არს“ საკუთარ „თვალად ნას“ ქმარს, მაგრამ „დაზე უტებეს დობას“ და „უმჯობეს დეფობას“ უწევს ნესტანს; ცივსისახლი-ანად იშორებს ჭაშნაგირს, ლალატობს მეულლეს, საყვარელს, მაგრამ ერთგულია ნესტანისა. ემპირიულია, ყოფითია, მაგრამ არა ცალსახად დადებითი ან უარყოფითი, არამედ რთული: მისი ხასიათი თან მოგვნონს და თან არა და ეს ჩვენი თანამედროვე ხედვის შედეგი კი არა, ავტორის მიდგომაა, სწორედ მან გადაწყვიტა ამგვარად. ცხადია, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფატმანის ხასიათში კეთილშობილური სა-

წყისის ამოქმედებას იდეალური პერსონაჟები იწვევენ. ცხადია, შორს ვართ აზრისგან, რომ ფატმანმა მეტამორფოზა განიცადა. სწორედ ამიტომ, რთულია განვსაზღვროთ, დადგებთი ხასიათია თუ უარყოფითი; როგორია ავტორის ნება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რთულ ხასიათად მიგვაჩნია ფარსადანიც და დავარიც. დავარს ქაჯად იხსენიებს თავად რუსთველი, მაგრამ „სიბრძნის სასწავლელად“ მას თვით მეფებმ მისცა შვილი. ცხადია, გამორჩევა ერთადერთი ასულის აღმზრდელისა ერთი კრიტერიუმით ვერ მოხდებოდა. დავარი არ არის ხორცსხმული ბოროტება, მაგრამ ის არც კეთილია, შესაბამისად, მისი ხასიათიც შეიძლება შეფასდეს, როგორც რთული, არაერთპლანიანი და თან თვით ავტორისავე დაეკეთით. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ნაციონალური კანონი არა მარტო ერწყმის ზენაციონალურს, არამედ ამდიდრებს მას და რომ არა მომდევნო ეპოქის პოლიტიკური კონტექსტი, მსოფლიო ლიტერატურა უფრო ადრე მიიღებდა რთული ხასიათის ფენომენს.

რუსთაველის გმირები სრულყოფილებას ამქვეყნადვე მიახლოვებული ადამიანები არიან. მაგრამ ისინი იდეალს შეემსავასნენ არა ღვთის წვდომის, ღმერთან ერთობის მიღწევის, არამედ სატრფოს სიყვარულის ზრდის გზაზე ყოფით სინამდვილეში (ქალ-ვაჟის მიჯნურობა ხომ „ვეფხისტყაოსანში“ უკიდურესად ამაღლებულად, რაფინირებულადაა წარმოდგენილი). ამდენად, განსასაზღვრავია, რას ნიშნავს იდეალური, სრულყოფილი რუსთაველთან. გაიდეალებულია შეყვარებული ადამიანი, მაგრამ არა ყველა, არამედ გარკვეული თვისებებისა და საზოგადოებრივი მდგომარეობს მქონე, რაც მიჯნურის სტატუსისთვის უცილობელია:

მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს მართ ვითა მზეობა,
სიბრძნე, სიუხვე, სიმდიდრე, სიყმე და მოცალეობა,
ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა.
ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა. (23)

ჩვენთვის საინტერესო ამჯერად „თვალად სიტურფე“ გახლავთ. მიუთითებენ, რომ პერსონაჟთა გარეგნობის ძერნვისათვის რუსთაველ-მა მიმართა როგორც აღმოსავლურ (ტროპები, სიმბოლიკა), ასევე ანტიკურ ლიტერატურასაც (თეზა – „ლამაზ სხეულში ლამაზი სულია“). დამახასიათებელია ერთი ასპექტიც: „ვეფხისტყაოსნის“ გმირები ნათელს ასხივებენ („იყო არნათლად ნათელი...“, „მისმან შუქმან განანათლა...“). აკი ბრძანა კიდეც ავტორმა, „მიჯნურსა თვალად სიტურფე მართებს მართ, ვითა მზეობაო“! ცნობილია, რომ წმიდა მხედარნი აგიოგრაფი-

ული ძეგლებიდან „სულინმიდის მადლით“ არიან მოსილნი და თაბორის ნათლით გაბრწყინებულნი. გავიხსენოთ ჯავახეთის კრებაზე მიმავალი გრიგოლ ხანძთელი, ან კიდევ ლოცვად დამდგარი გრიგოლისა და ზენონის ეპიზოდი (გიორგი მერჩულესთან ვეითხულობთ: „მაშინ ნეტარი იგი მამაი გრიგოლ და ზენონ სიტყვათა დაბლითა ფსალმუნებდეს. და მადლმან სალმრთომან განაპირნინვა იგინი ნათლითა დიდებისაითა. და სახლი იგი ბნელი ვითარცა მზისა მცხინვარებამან განაათლა და ვითარცა განიღვიძა მამასა მაკარის, თქუა – ვითარ საკვირველად იხილვებიან წმიდანი ესე! ჰრევა მას მამამან გრიგოლ : ძმაო მაკარ, რაისა გიკვირს ხილვაი ესე, არა გასმიესა წერილისაი: „ საკუირველ არს ღმერთი წმიდათა შორის მისთა“). ნათელი დაადგება აბი თბილელისა თუ დავითისა და კონსტანტინეს ნაგვერ ნეშტს: „ვეფხისტყაოსანში“ ამ ნათლის ფენას მხატვრული ფუნქცია აკისრია და სულიერი მადლმოსილების ჩენასთან ნაკლები კავშირი აქვს (რაც ნიშანდობლივიცაა, რაკიდა საერო ლიტერატურაში აგიოგრაფიულის ელემენტები ფორმობრივადაა შესული, ხოლო შინაარსი და არსი სახეცვლილია).

რუსთაველის იდეალური ადამიანები ერთიანი სამყაროს განუყოფელი ნაწილნი არიან. ცხადია, იგი სავსებით იზიარებს ბიბლიურ კოსმოგონიას. რაც შესაქმის პირველ თავშია აღნერილი. სამყაროს შექმნა და განსრულება ექვს დღეში თავისი თანმიმდევრობით, სამყაროს ერთიანობის იდეა, ერთი მხრივ, ნაციონალური კანონის გაგრძელებაა და მხატვრულად ხორცშესხმულად გვევლინება თხზულების ძირითად ნაწილში, ამგვარი გაზრდება კვლავაც აგიოგრაფიულ ძეგლებთან პარალელიზმის საშუალებას იძლევა, მაგრამ, ამავე დროს, ის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები ჩვეულებრივ ესაუბრებიან ცხოველებს, მცენარეებს, ციურ სხეულებს და ხშირად თანაგრძნობა-გაგებასაც იღებენ საპასუხოდ უნივერსალიზმის იდეაა, რაც ნოვაციური ტენდენციაა მხატვრულ ტექსტებში. „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს ამ კოსმიური თანაგრძნობის მისაღწევად არც საგანგებო სულიერი ღვწა სჭირდებათ და არც მინდიას მსგავსად გრძნეულებასთან ზიარება. გავიხსენოთ ზემოთქმულის დამადასტურებელი პასაჟები: ა) ინდოთ მეფის მემკვიდრის შეძენით ქვეყნად გამეფებულ სიხარულს მთელი სამყარო იზიარებს: „მზე და მთვარე განსცხრებოდეს, სიხარულით ცა ნათობდა;

და ყოვლი არსად შემოსრული მხიარული თამაშობდა“ (323). ადამიანი არა მხოლოდ კოსმოსის განუყოფელი ნაწილია, არამედ ღვთის ქმნილებათა გვირგვინიც (იგი მეექვსე დღეს შექმნა უზენაესმა და ამის შემდეგ განისვენა). მოწესრიგებულ სამყაროში ყველაფერი ურ-

თიერთკავშირშია. კვლავ გავიხსენოთ შესაქმე: უფალმა შექმნა ჰარმონიული სამყარო, სადაც ადამიანს ჰქონდა ყოველი არსების გაგების და განგების ნიჭი და უნარი მიმადლებული. ამის დასტური ადამიანის-გან ცხოველთა სახელდებაცაა. ჰარმონია დაარღვია პირველცოდვამ და ადამმაც დაკარგა სამყაროს თავდაპირველი შეგრძნება – გაგების მადლი. ღვთის რჩეული „ქუეყანის“ დანარჩენ ნაწილთან დაკარგულ ერთობას ღვთის მიერ ბოძებულ უფლებას სხვა ქმნილებათა გაგებისა ღვთისავე წყალობით იბრუნებენ. ეს კი პირდაპირპროპორციულადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად შეემსგავსება ადამიანი უფალს. რამდენად მიეახლება მას (დაკარგული პირველხატის აღდგენა ადამის ცოდვამდელ მდგომარეობაში აბრუნებს მას. ამ მოსაზრების განსამტკიცებლად ბიბლიაში მრავალი მაგალითი მოიძებნება (მოსე კვერთით წყალს გადმოადენს კლდიდან. მენამულ ზღვას ორად გააბობს, რათა ეგვიპტით მომავალმა ერმა მშვიდობით გადაალახოს სტიქია, ისუნავესი ბრძოლის ჟამს ვედრებით დააყენებს მზეს და ა.შ.). შეიძლება ვთქვათ, რომ „ვეფხისტყაოსანშიც“ მსაგავს მოვლენასთან გვაქს საქმე. ღვთის მიერ შექმნილი სამყარო („მოცემული ქვეყანა“) აქაც ჰარმონიული და ერთიანია. მაგრამ თუკი ბიბლიაში (და აქედან გამომდინარე, აგიოგრაფიულ თხზულებებში) ადამიანი თვითონ იღვწის და იღტვის ამგვარი წყალობის მისალებად, „ვეფხისტყაოსანში“ გარემოსთან ერთობამ იდეალური პერსონაჟის – მიჯნურის, სტატუსით არის განპირობებული. ნესტან-დარევანი იდეალური ადამიანია და ამ განსაკუთრებულობა გამორჩეულობის გამო განიცადა მისი დაბადება ყველამ, ვინც კი „არსად შემოსრულა“ სამყაროში (მისი და არა ფატმანის, სოგრატის... ასმათისაც კი, რადგან ნესტანი, როგორც მიჯნური, ერთ-ერთი მტკიცე როგორია იმ რთულად ნაქსოვი ჯაჭვისა, რასაც კოსმოსი ეწოდება). აზრობრივი თვალსაზრისით, ანალოგიური დატვირთვისაა ფრიდონთან მიმავალი ავთანდილის განცდათა ამსახველი ეპიზოდიც:

რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან,
მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან,
ისმენდიან, გაჰვირდიან, რა ატირდის, ატირდიან;
იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაჟრ ცრემლნი სდიან (967).

ავთანდილის ტეივილსა და განსაცდელსაც მთელი სამყარო იზიარებს. იზიარებს სწორედ იმიტომ, რომ იგიც სრულყოფილი ადამიანია (ზოგადად, პერსონაჟის, გმირის შეფასებისთვის უმთავრესი, ცხადია, ავტორის დაკვეთაა. და სწორედ ასეთია ტარიელთან მიმართებით ავ-220

ტორის ნება), მიჯნურია (მხეცნი, წყლით – ქვანი, ტყით – ნადირნი, წყალში თევზნი, ცით – მფრინველნი, ყოველნი სულიერნი და ასევე სხვადასხვა ეროვნების ზარმომადგენელნი). პარალელების მოხმობა შეგვიძლია როგორც ბიბლიიდან, ასევე აგიოგრაფიული თხზულები-დანაც (გავიხსენოთ დანიელ წინასწარმეტყველი, რომელსაც ლომებთან ჩააგდებენ და უვნებელი დარჩება; ელია წინასწარმეტყველი, რომელთ-ანაც ყვავს მოაქვს საკვები, წმინდა გერასიმე, რომლის განკურნებული ლომიც მონასტერში წყალს ეზიდება, საკვირველი ასურელი მამები, სერაფიმ საროველი და სხვ...). მხოლოდ ასურელ მამათა ცხოვრებებს რომ გადავავლოთ თვალი, ადვილად დავრწმუნდებით ნათქვამში. იო-ანე ზედაზნელი მისივე სასწაულით აღმოცენებულ წყაროსთან დათვს მიმართავს („უი უკუეთუ გწყურის და წარვედ, ხოლო გეტყვი შენ: ამი-ერითგან ნუვის ავნებ მთასა ამას შინა დამკვიდრებულსა კაცთაგანსა, ნუცა ერთსა ვის“, ესე სიტყუა რა ესმა დათვს ბერისაგან, ვითარცა მონა-მორჩილი... წარვიდოდა, ესრეთ უწყოდა სჯულისდება უსიტყვო-თა ცხოველთა (საქართველოს სამოთხე 1882: 204), შიო მღვიმელთან მტრედს მიაქვს საზრდელი (საქართველოს სამოთხე 1882: 230). მის ცხოვრებაში აღწერილია როგორ უბრძანებს ასურელი მამა მონასტრის ახლოს მყოფ მხეცებს იქაურობის დატოვებას, ხოლო მგელს გადარჩე-ნილ სახედართა მწყემსვას დაავალებს: ხოლო მგელი...დადგა ვითარ მონა ყოვლისა კაცობრივისა ბუნებისა მქონებელი და სიტყვსა გულის-მყოფელი (საქართველოს სამოთხე 1882:238-9). მსგავსი პასაუები მრავ-ლადა ისე წილენელის, დავით გარეჯელის, წმინდა მამანტის თუ სხვა მამათა ცხოვრებაში. ჩვენი მოსაზრების განსამტკიცებლად მოხმობილ პირველ პასაუში სამყარო ადამიანთა თანამგრძნობელია, რაკიდა ეს სიხარული იდეალური ადამიანის – ნესტანის დაბადებას უკავშირდება. ხოლო მეორეგან თუმცადა საოცრად ამაღლებულია, მაგრამ მინიერი (და არა საღვთო) სიყვარულის დათმენით არის გამოწვეული. ამგვარად: ის, რაც სასულიერო მწერლობაში (ნიჭი) მომადლებული აქვს ღვთის რჩეულს, ღვთის მხედარს, რომელიც ამ ასპარეზზე იღწვის, „ვეფხს-იტყაოსანში“ – მიჯნურს, რომლის ტრფობის ობიექტიც აქვეა, ამქვეყ-ნად. ერთი მხრივ, თვალსაჩინოა აქცენტთა გადანაცვლება, ხოლო, მეორე მხრივ – აშკარაა უნივერსალიზმის იდეა, რომელიც ეფუძნება ქრისტიანულ კონცეფციას (წაციონალური კანონი: სიყვარული გადებს ხიდს, კავშირს, ლიგას ადამიანსა და ღმერთს შორის, გაამთლიანებს სა-მყაროს), მაგრამ ნოვაციურია კონტექსტის და გადაწყვეტის თვალსაზ-რისით (სიბრტყე, სადაც ხდება მოქმედება, ასახვის ობიექტი და სიუჟე-

ტი). მოხმობილ ეპიზოდებს სავსებით სხვა მიზანდასახულება, ფუნქცია და აზრი აქვთ აგიოგრაფიულ თხზულებებში და განსხვავებული – „ვე-ფხისტყაოსანში“: თუ პირველგან – ღვთის მადლმოსილებით პირველ-სახესთან მიახლებულ მამათა სულიერი მიღწევების ჩვენებაა მთავარი, მეორეგან მათ, უპირველეს ყოვლისა, მხატვრული დატვირთვა აქვთ (და უნდა ითქვას, ძალზე მრავალფეროვანი). პირველ მაგალითში ავტორს შემოჰყავს გმირი, რომლის გარშემოც ვითარდება პოემის სიუჟეტი, ხოლო მეორეში ავთანდილის გრძნობათა სიღრმეს წარმოადგენს). ზემომოხმობილ ორ პასაუში სამყარო თანაუგრძნობს თხზულების გმირებს, მათი ლხინისა და ჭირის გამზიარებელია და ამ თანაგრძნობას იდეალური პერსონაჟებიც ხედავენ, აღიქვამენ; „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება რამდენიმე მსგავსი ეპიზოდი, მაგრამ თითოეული მათგანი რუსთაველის პოეტურმა ხედვამ შემოქმედებით პრიზმაში გაატარა და სახეცვლილი ფორმით დამოუკიდებელი დატვირთვის სიმბოლური ფუნქციის ეპიზოდებად აქცია. გავიხსენოთ ავთანდილის მოსვლა გულანშაროდან:

მონურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსლვა მწვანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა,
ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა საროსტანისა.
და სულთქენა, რა ნახა ყვავილი მან, უნახავმან ხანისა.
აგრგვინდა ცა და ღრუბელი ცროდეს ბროლისა ცვარითა;
ვარდთა აკოცა ბაგითა, მითვე ვარდისა დარითა;
უბრძანა: „გიჭვრეტ თვალითა, გულ-ტკბილად შემხედვარითა,
და მისად სანაცვლოდ მოვილხენ თქვენ თანა საუბარითა“. (1328-1329)

ეს არის მიჯნურის შეხვედრის მოლოდინით გულაღტყინებული მოყმის გრძნობა, შეიძლება ითქვას, ავთანდილის განცდა ახლოა ბუნების რომანტიკულ მსოფლალებასთან. თუკი შევადარებთ „შემშანიკის წამებასა“ ან „გრიგოლ ხანცოლის“ ცხოვრებაში“ ჩართულ პეიზაჟებს, გამოიკვეთება მსგავსებაც (უფრო მეტად – მემკვიდრეობითობა ნაციონალური კანონისა) და განსხვავებაც (ნოვაციური მიდგომა და სიახლე, რომელიც რუსთველთან გვაქვს.). იგივე ითქმის მნათობებთან გასაუბრებაზე. ამჯერად არ ვეხებით რუსთველის ასტროლოგიურ წარმოდგენებს და მის განათლებას მეცნიერების ამ დარგში. ჩვენ მხოლოდ პასაუშის წმინდა პოეტური დატვირთვა და სასულიერო მწერლობასთან მისი მიმართება გვაინტერესებს. მითითებული ეპიზოდი

სხვადასხვაგვარი მოსაზრების გამოთქმის საშუალებას იძლევა: ერთი მხრივ, წარმოჩნდება ქრისტიანულ წიაღში აკრძალული ასტროლოგიური წარმოდგენები, ხოლო, მეორე მხრივ, შესაძლოა პავლე მოციქულის შვიდი ცაც გავიხსენოთ „საქმე მოციქულთადან“. მაგრამ მიზანი ავტორისა სრულიად განსხვავებულია: უნივერსალიზმის იდეა ამჯერა-დაც აშეარაა.

სავსებით სხვაგვარად განავითარა რუსთაველმა ვეფხის მოტივი და ლომ-ვეფხის დახოცვის ეპიზოდი თხზულებაში. ტარიელმა განრისხებული სატრფო შეამსგავსა „პირგამეზებულ ვეფხს“ (ქვე-წვა ვით კლდისა ნაპრალსა...), რის გამოც უკვე განშორების შემდეგ ამირსპასალარი ვეფხის ტყავით შეიმოსა, ხოლო შემდეგ ამავე მიზეზით დახოცა ლომ-ვეფხი. ეს ემოციურად დატვირთული პასაუი სიმბოლურადაა მოაზრებული. ლომ-ვეფხი (დამკვიდრებული განმარტებით ტარიელი და ნესტანი) ჯერ ეალერსება, შემდეგ – „მედგრად წაეკიდება“ ურთიერთს. მათმა „ლალობაშ“ მოყენება „საყვარელი მოასურვა“, ხოლო წაკიდებამ ვეფხისტყალისანი რაინდი აალელვა. დასახელებულ ეპიზოდშიც შეიძლება განვჭვრიტოთ აგიოგრაფიულ თხზულებათა და ბიბლიის კვალი (აზრის დასადასტურებლად თუნდაც ზემომოხმობილი პასაუები გამოგვადგება ბიბლიიდან თუ აგიოგრაფიული ბელეტრისტიკიდან). ტარიელი ავთანდილს ლომ-ვეფხის დახოცვის მომენტს უამბობს და განმარტავს: „ჰეგვანდეს რათმე მოყვარულთა, მათი ნახვა გამეხარნეს, მათ რა უყვეს ერთმანერთსა, გამიკვირდეს, შემეზარნეს“ (907); „მის გამო კოცნა მომინდა“... „ლომსა დავუგმე ნაქმარი“... (912). მნიშვნელოვანა, რომ ავთანდილისგან განსხვავებით (რომლის სიხარულიც და წუხილიც კარგად ესმის გარესამყაროს, ტარიელის საწუხარი თითქოს უპასუხოდ რჩება: „ლომსა დავუგმე ნაქმარი“... 910, „მიღრინვიდა და მანყენდა ბრჭყალითა სისხლთა მღვრელითა“... 911), თხზულების გმირი ამ შემთხვევაში გარესამყაროსთან დისპრობორციაშია. მისი გული „მხეცქმნილია“, მისი კაშშირი – დაშლილი; ის ისევე იქცევა, როგორც ერთი მათგანი (რუსთველის ანთროპოლოგიის საწინდარი – „გული, ცნობა და გონება“ დაკარგულია, ამიტომაც „ხელქმნილია“ და აცხადებს: „ხელი ვითა იქმს ბრძნობასა; ის „სოფლით გაღმა გაბიჯებულია“, რადგან გარესამყაროშიც იმავეს ხედავს, რაც მისი ტრაგიზმის საწინდარი გახდა. მართალია, ერთი შეხედვით ტარიელისა და ლომ-ვეფხის გრძნობების მდინარება მისდევს ერთმანერს, მაგრამ საბოლოოდ ვერგაგებით გამოწვეულმა მრისხანებამ (თუ შეძრწუნებამ) ტარიელი აიძულა, ლომ-ვეფხი დაეხოცა. აქ მოყმის სიყვარული, ის, რაც მიმართულებას აძლევს

მთელს თხზულებას, სასონარკვეთამდეა მისული. მნიშვნელოვანი კი ის გახლავთ, რომ მხატვრული გარდასახვის შედეგად კავშირი აგიო-გრაფიულ ლიტერატურასთან, ფაქტობრივად, დაკარგულია.

სასულიერო მწერლობასთან „ვეფხისტყაოსნის“ მიმართების თვალ-საზრისით საინტერესოა კიდევ ერთი მომენტი: თხზულების პერსონ-აჟთათვის არ არსებობს ენობრივი ბარიერი (და ამ შემთხვევაში საუ-ბარია არა მხოლოდ იდეაულურ, არამედ ემპირიულ, მეორეხარისხოვან პერსონაჟებზე). ინდოელი, არაბი, გულანშაროელი თუ სხვა ეროვნების წარმომადგენელნი ყოველგვარი წინაღობის გარეშე ამყარებენ ერთმა-ნეთთან. მათ ერთმანეთის ჭირი და ლხინი გაუთავისებიათ. ავთანდი-ლის „მღერის“ სასმენად და შესამკობად „ინდოელი, არაბი, ბერძენი, მამრიყით და მაღრიბელნი, რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიპტელნი მოსულან“. კვლავ ასურელ მამებს დავიმოწმებთ, ცონბი-ლია, რომ მათგან არაერთი ქართულად ამეტყველდა ჩამოსვლისთა-ნავე, რომ არაფერი ვთქვათ ბიბლიაზე. ქრისტეს მოწაფენი ყველა ერს საკუთარ ენაზე ახარებდნენ მაცხოვრის განკაცებისა და აღდგომის საიდუმლოს, სულთმოფენობის დღეს კი საგანგებოდ მიეცათ მადლი ამისა. ფიქცია, გამონაგონი, რომელსაც ლიტერატურული აზროვნება საერო ლიტერატურის შემნამდე არ იცნობდა, ხოლო მხატვრულ საა-ზროვნო სისტემაში ფოლკლორული ნაკადით არსებობდა, „ვეფხისტყ-აოსანში“ ტრადიციულისა და ნოვაციურის საუცხოო სინთეზირებით იჩინა თავი. შედეგად კი გვაქვს თხზულება, რომელიც (ვფიქრობ, არ იქნება გადაჭარბებული) შეიძლება ჩაითვალოს არა მხოლოდ ნაციო-ნალური ლიტერატურული კანონის, არამედ ზენაციონალური კანონის ახალ ეტაპად.

დამოშეგანი:

ვეფხისტყაოსანი 1956: ვეფხისტყაოსანი. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1956.

იმედაშვილი 1957: იმედაშვილი გ. რუსთველოლოგიური ლიტერატურა. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1957.

კეკელიძე 1961: კეკელიძე კ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1961.

ნათაძე ... 1966: ნათაძე ნ., ცაიშვილი ს. შოთა რუსთაველი და მისი პოემა. თბილისი: „განათლება“, 1966.

რატიანი 2015: რატიანი ი. ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი. თბილისი: „შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2015.

საბინინი 1882: საბინინი მ. საქართველოს სამოთხე. სანქტ-პეტერბურგი: სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო ტიპოგრაფია, 1882.

ჩიკვაიძე 2001: ჩიკვაიძე ე. „ზოგიერთი დაკვირვება „ვეფხისტყაოსნისა“ და სასულიერო მწერლობის ურთიერთმიმართების შესახებ“. კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. თბილისი: „ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2001.

<https://geofilologia.wordpress.com/2015/01/19/mxatvruli-saxe/>

http://www.orthodoxy.ge/tserili/biblia_srului/sarchevi.php

ევროპული და ნაციონალური კონტექსტების
ურთიერთმიმართების პრობლემა და „ვეფხისტყაოსანი“

Interrelation of National and International Literary Models and “The Knight in the Panther’s Skin”

IA BURDULI

Georgia, Tbilisi

Georgian National University

Georgian Technical University

Who is the Knight? ("The Knight in Panther's Skin" and the Motives of the German Epos)

Both the heroic and romantic legends have been the building material for both the "Ashugh"s - (Lower Minne, in Germany Niedere Minne) and Troubadour's, (Minnesinger) poetry and its tune. However, the social issues and the question of existence (being), coming from both the folk roots and ancient tales, have not been strange neither to the western, nor to the eastern heroic poetry epoch. Those Motives have been current not only for the wandering musicians, but were the core values for the literature at the royal court, as well as forth heroic novel.

Key words: The essence of the universe, love.

ია ბურდული

საქართველო, თბილისი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ვინ არის რაინდი?

(„ვეფხისტყაოსნისა“ და გერმანული ეპოსის მოტივები)

სამყაროს ქმნადობა, სამყაროს არსი „ვეფხისტყაოსანში“ სიყვარულია. პოემის პერსონაჟებისთვის სიყვარულისათვის ბრძოლა, სიყვარულის ძიება არის გზა სამყაროს შეცნობისაკენ, საწყისის არსისაკენ, რაც

პოემის პროლოგშია გადმოცემული. სამყაროს არსის ეს საიდუმლო და მისკენ სავალი გზა გრაალის თასის სიმბოლოში იყრის თავს გერმანული სარაინდო რომანის მთხველის ვოლფრამ ფონ ეშენბახის საგმირო ეპოსში „პარციფალი“.

ეს გზა სიყვარულისკენ გასავლელია, დაბრკოლებებით, შეცდომების დაშვებითა და მათი გაცნობიერებით. გზა, რომელიც უნდა განვლოს ჭეშმარიტმა რაინდმა, რომ შეიცნოს გრაალის საიდუმლო – ჭეშმარიტი სიყვარული, შეიმეცნოს მოყვასის განცდა. მაშინ სრულდება რაინდის გასავლელი სახიფათო გზა.

რუსთაველისა და ეშენბახის სიყვარული განსხვავებულია საკაროლიტერატურის სიყვარულისაგან, სარაინდო ეპოსის ახალი სიტყვაა. ორივე ავტორისათვის რაინდის სატრფო არა გათხოვილი ბანოვანი ქალია, არამედ ქალწული და ეს სიყვარული ცოლქმრული ერთობითა და თანაცხოვრებით მთავრდება. ამავდროულად საგულისხმოა, რომ სატრფოს, სასახლის კარზე აღზრდილ ქალწულს, გაცნობიერებული აქვს სიყვარულის არსი, მოვალეობები სიყვარულის წინაშე და საკუთარი ქალურობა. სარაინდო სამსახური კი თავისუფალია მიზანმიმართულად გმირად გახდომისაგან და ზოგჯერ, არა ცალსახად სანაქებო საქციელი სიყვარულის გამოხსნას, სიყვარულის გადარჩენასა და მის ჭეშმარიტ შეცნობას ემსახურება. „ვეფხისტყაოსანი“ და „პარციფალი“ რენესანსის სათავეებთან დგას და ხიდია შუა საუკუების შეხედულებებსა და აღორძინების სულისკვეთებას შორის. მართალია, ორივე ტექსტში დასავლური სარაინდო რომანისათვის დამახასიათებელი კრიტერიუმებია, როგორიცაა ვასალის ერთგული სამსახური, სატრფოსათვის თავდადება, მეგობრობისა და მიჯურობისადმი ერთგულება, მაგრამ სტერეოტიპული ეტიკეტისაგან გათავისუფლება, სულიერი ღირებულებებისა და რეალური ყოფის ერთ მთლიანობად, ჰარმონიად გააზრება აღორძინების ხანის სულისკვეთებას ეხმიანება.

„ვეფხისტყაოსანის“ პერსონაჟები სიმბოლურად არაქართველები არიან და შესაბამისად, მათ სჯულზე ტექსტში კონკრეტული საუბარი არ არის, მაგრამ ხვარაზმშას ვაჟის სამეფოსადმი განწყობა, და უფლისწულის მკვლელობის ფაქტი, როგორც ცდუნება, თუ უსიყვარულობიდან თავის დაღწევა, ასევე ქაჯეთის სიმბოლიკა, როგორც ქვეყნიური ჯოვანეთი და განსაწმენდელი, სულიერი გზის სიმბოლიკასთან ერთად, რელიგიური თვალსაზრისითაც იძლევა იტერპრეტაციის საშუალებას. ეშენბახთან კი რაინდები სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის არიან. მიუხედავად ამისა, საგულისხმოა, რომ ტოლერ-

ანტულად განწყობილი, კეთილმოსურნე პარციფალი გრაალის თასის საიდუმლოს ძიებაშია, რომელიც ეგვიპტურ და კელტურ კულტურებში ქალური და მამაკაცური საწყისების ერთობას განასახიერებს, ხოლო ქრისტიანულ სიმბოლიკაში ადამიანის სიყვარულისთვის შენირული სისხლის – ზიარებისთვის განკუთვნილი ბარძიმის სიმბოლოა (კოპერი 1986: 67).

რაინდი სწორედ ჭეშმარიტი ქრისტიანობის შეცობისაკენ ისწრაფის და აღმოაჩენს კიდეც სიყვარულს – კაცთმოყვარეობას (ელენი 1966:48).

ორივე ტექსტი რელიგიურად, ნაციონალურად და იერარქიულად პლურალისტური სამყაროს სურათის წარმოსახვით ნოვატორია. ორივე ავტორის ლირსება კი სწორედ ის არის, რომ ისინი არა ამ არაერთგვა-როვან სამყაროს, რომელსაც მზე თანაბრად ეფინება, იდიალისტურად ხატავენ, არამედ აიდეალებენ ამ სამყაროს პერსპექტიულ სურათს, ეს ავტორთა ნებაა: ეშნბახისთვის გრაალის კოშკი მომავალში წარმოჩინდება ერთობათ, მონარქის წინაშე ყველა ადამიანისთვის თაას-წორუფლებიანი თანაარსებობით (ბაუმანი, ობერლე 2000: 23).

რუსთაველი კი ოცნებობს ეკონომიკურ, პოლოტიკურ, ადამიანურ თანასწორუფლებიანობაზე და ეპილოგის ბოლოს წერს:

ყოვლთა სწორად წყალობასა ვითარ თოვლსა მოათოვდეს;
ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს;
ავის მქნელნი დააშინენს, კრავნი კრავთა ვერ უწოვდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს.

(რუსთაველი 1986:512)

სამყაროს მისტიკურად შეცნობა: „ვეფხისტყაოსანში“ ლოცვა და ციურ მნათობთა პარმონია სამყაროსთან, „პარციფალში“ გრაალის თა-სის სიმბოლიკა, როგორც ფერფლიდან განახლება, ადამიანური საწყ-ისის ძიება, ადამიანის რაობის გარკვევა ფსევდო-დიონისე არეოპაგე-ლის ევროპულ ქრისტიანულ მისტიკას ეხმიანება და აქვე შეიგრძნობა სტერეოტიპული ისლამური მსოფლალქმისგან განსხვავებული სუფის-ტური ელემეტი პოეზიისა და სიყვარულის მთლიანობისა, როგორც საღმრთო და ადამიანური მიჯნურობის ერთიანობა.

მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიჰხვდებიან,
ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან,

ვთქვნე ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცია ხვდებიან;
მართ მასვე ჰპაძვენ, თუ ოდეს არ სიძვენ, შორით ბნდებიან.
(რუსთაველი 1986:11)

რუსთაველი აცხადებს, რომ საღვთო სიყვარულს – უმაღლეს, მისტიკურ პოეზიას ვერ ჩასწვდება აზროვნებით მხოლოდ ყოფაზე მიჯაჭული ადამიანი – „ჭკვიანი“. უმეტესობა კი კაცთა მორის ასეთია. მისტიკურ სიყვარულს მხოლოდ ნამდვილი პოეტი – შლეგი თუ შეიგრძნობს. მომღერალი ხელოვანი – რაინდი კი ქების ღირსია, თუ ჰპაძავს უმაღლეს პოეზიას – საღვთო სიყვარულს და ამქვეყნიურ სიყვარულს სიძვის ქების გარეშე უმღერის. ღვთიური სიყვარული კი საიდუმლოა, მისტიკია და მისი სიკვდილამდე შენარჩუნება – მისი „სიკვდილმდე“ გატანა მოწამეობრივ ძალისხმევას და ცრემლისღვრას მოითხოვს.

ნახეს უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა პირსა,
შავი ცხენის სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა,
ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა.
ცრემლსა ვარდი დაეთროვილა, გულსა მდუღრად ანატირსა.
(რუსთაველი 1986:35)

ცრემლი, როგორც სულიწმინდის მადლი გულის გამწმედელი და გარდამქმედია და ამ თვალსაზრისითაც რუსთაველი არღვევს სტერეოტიპს, რომ ვაჟუაცს ცრემლი არ შეშვენის და წმინდა მამათა სწავლებას მისდევს, საუბრობს რა ცრემლზე, როგორც სულიწმინდის მადლზე, რომელიც გულის გზას სიყვარულისათვის წმენდს.

წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ სწერენ?
ვით იტყვიან, ვით აქებენ? თან, ცნობანი მიაფერენ.
სიყვარული აღგვამალლებს, ვით ეჟვანნი ამას ჟღერენ...
(რუსთაველი 1986:257)

„ვეფხისტყაოსანი“ ჰიმნია ქრისტიანულ სიყვარულზე, რომელიც სიცოცხლის არსი და მარადიულობაა: ბრძეთა უთქვამთ სიყვარული, ბოლოდ მისი არ წახდომააო და ეს განწყობა „პარციფალის“ მთავარ იდეას ეხმიანება, რაც რაინდის მიერ ქრისტიანული სიყვარულის შეცნობაა.

რუსთაველისა და ეშენბახისათვის ქრისტიანობა აზროვნებაა, ეს გზაა საკუთარი თავის შესაცნობად, ადამიანური ზნეობის, კაცთ-

მოყვარეობის, ტოლერანტობის, ჭეშმარიტი რაინდობის სათავეა. „ვეფხისტყაოსნის“, ისევე როგორც „პარციფალის“ გმირები სხვადასხვა ქვეყნის შვილები არიან და აშკარაა ორივე მწერლის კოსმოპოლიტური, პროგრესული ხედვა, მისტიკური ქორნინება სულისა და ღვთიურის შერწყმაა, ხოლო ძიების გზა: გრაალის ძიება, ნესტანის ძიება და დაბრკოლებათა გადალახვა ტანჯვით საკუთარი თავის შეცობისა და ყოფიერების არსის აღმოჩენაა. ეს გზები მსოფლიოს მითოსის, ფოლკლორისა და ეპოსის ბევრ გზას „კვეთს“ ორფეოსის მიერ ევრიდიკეს ძიებას, ანიმუსის მიერ ანიმას, ხოლო რამას მიერ სიტას ძიებას.

„ვეფხისტყაოსანსა“ და „პარციფალში“ ორივე ნაწარმოების წარმომავლობის წყაროდ თავად ავტორები უცხოურ ამბებს სიმბოლურად ასახელებენ. ეშენბახი „პარციფალის“ წყაროდ არაბულ ამბავს ასახელებს, რომელსაც მისი თქმით, სახელგანთქმულმა პოეტმა პროგანსელმა კიოტმა მიაკვლია და ფრანგულად თარგმნა, ხოლო შემდეგ ეშებახმა გერმანულად. ხოლო რუსთაველი აცხადებს, რომ სპარსული ამბავი გადმოიტანა ქართულად:

ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები,
ვპივე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები,
ჩემმან ხელ-მქმნელმან დამმართოს ლამან და ლამაზმან ნები.

(რუსთაველი 1986:10)

ეს ლიტერატურული მისტიფიკაციაა, რომელიც ვითომდა ძირძველ, ნამდვილ თქმულებას ეყრდნობა, რომელიც სათაყვანებელ მზეს – თამარს მიუძღვნა შოთამ.

„პარციფალი“ კი ეშენბახმა სავარაუდოდ თავის ცოლს უძღვნა, რომლის ვინაობასაც ავტორი არ ამხელს, თუმცა აღნიშნავს, რომ ქალბატონი მადლიერი დარჩება, ხოლო სხვა ბანოვანები მოხიბლულნი. ამ ნაწარმოებში უპირველეს ყოვლისა, სწორედ ქალი პერსონაჟები აანალიზებენ სასახლის კარის რაიდული ეტიკეტის ხელოვნურად დაცვის საფრთხეებს, პარციფალის დედა თავის შვილს გახიზნულად ზრდის ბუნების წიაღში, ქალმა იცის, რომ რიტუალების ზედმიწევნით დაცვამ შეიძლება სიყვარული, კაცთმოყვარეობა, სიცოცხლე გამოაცალოს მის შვილს. ეს საფრთხე გრაალის თასის არსის დაკარგვის ტოლფასია რომანში. სწორედ სიყვარულის, ადამიანური თანადგომის მნიშველობის ძიების შეცნობაა ნაწარმოების მთავარი პათოსი, რომლის სიმბოლოა

გრაალი. მის შესაცნობად პარციფალი ცხოვრების დიდ გზას გადის და, როცა ადამიანურ თანაგრძნობას ეტიკეტზე წინ დააყაენებს, სწორედ მაშინ ყალიბდება ჭეშმარიტ რაინდად – შეიცნობს გრაალის საიდუმლოს და მხოლოდ კაცომოუვარეობის ძალით ხდება მისი მფლობელი.

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ ქალებს, ისინიც გაბედულნი, და-მოუკიდებელნი არიან გადაწყვეტილებების მიღებისას და ამ თვალ-საზრისითაც, „ვეფხისტყაოსანში“ ევროპული რომანის ტენდენციები აშკარაა. ქალი არა მარტო თავისი სტატუსითა და გადაწყვეტილებე-ბითაა მამაკაცთან გათანაბრებული, არამედ მეტაფორულადაც, აქაც ირლვევა სტერეოტიპები, რომ მამაკაცური ენერგიის გამოხატულე-ბაა მზის ენერგია, ხოლო ქალური საწყისი მთვარის ინტუიტიურ სიმ-ბოლიკას უკავშირდება. ტექსტში ტარიელი არაერთხელ არის შედარ-ებული მზესთან, მაგრამ თინათინი თვით მზეს სწუნობს, თუმცა მზე თინათინობს, ისინი ერთნი არიან. თინათინი არის გონება საკუთარ მშვენებაში დარწმუნებული, იგი მშვიდად უშვებს მიჯნურს ცხოვრების გზაზე და ჰიმეროსის პენელოპეს მსგავსად ელოდება გულისწორს. თი-ნათინი დარწმუნებულია, რომ მისი რაინდი ცხოვრებისეული გამოც-დილებით გამობრძმედილ დაბრუნდება საკუთარ წიაღში. საგულისხ-მოა, რომ მზის სიმბოლიკის უნივერსალურობის ფესვები ქართული ფოლკლორიდან იღებს სათავეს, როგორიცაა მაგალითად მზეჭაბუკი და ამავდროულად, პირიმზე და მზეთამზე.

ფოლკლორულ თემატიკაზე შექმნილი რომანტიკული და საგმირო თქმულებები არსებითი მასალაა როგორც აშუდური, ასევე ტრუბადუ-რების (გერმანიაში ტრუვერთა) პოეზისა და პანგისათვის („დონ“ – ისათვის), თუმცა სოციალური და ყოფიერების საკითხებიც არ ყოფილა უცხო არც დასავლური და არც აღმოსავლური სარაინდო ხანის პოე-ზისათვის, რაც ხშირად ასევე ხალხური ფესვებიდან, ძველი თქმულე-ბებიდან იღებს სათავეს. ეს მოტივები აქტუალური იყო არა მხოლოდ მოხეტიალე მუსიკოსების, არამედ, აგრეთვე საქართ ლიტერატური-სათვის და სარაინდო რომანის მთავარ ლირებულებას წარმოადგენდა, რომელშიც ქალი განსაკუთრებულ ფიგურად იკვეთება.

ამ თვალსაზრისით გამორჩეულია სკანდინავიურ ედებში ჩაწერილი გერმანული საგმირო ეპიკური სიმღერები: „სიმღერა გუდრუნზე“, „სიმ-ღერა ზიგურდზე“, რომელთა მოტივებზე საგმირო რომანი „სიმღერა ნიბელუნგებზე“ დაინერა. რაც შეეხება „ვეფხისტყაოსანს“ „ზოგი-ერთი მკვლევარი თვლის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი ქართული ფოლკლორიდან უნდა იყოს აღებული. მთელ საქართველოში იყო ციკ-

ლი, ხალხური თქმულებებით გავრცობილი, რომელიც „ვეფხისტყაოსანშიც“ შემოინახა. ყველა ეს თქმულება ძირითადად „ტარიელიანის“ სახელითაა ცნობილი (ე.ი. თქმულებები ტარიელზე). ეპოსის სათაური „ვეფხისტყაოსანი“ ასევე მისი სინონიმია („ვეფხის ტყავის მატარებელი“ ტარიელი)... ამ ციკლის ვარიანტების ამგვარმა სიმრავლემ და ასევე ფაქტმა, რომ ისინი საქართველოს ზოგიერთ „ველურ“ ადგილებშია ნაპოვნი, როგორიცაა ფშავეთი და ხევსურეთი, სადაც ნორმალური გზით რუსთაველის ეპოსი დაწერილი სახით ვერასდროს შეაღწევდა, ზოგიერთი მკვლევარი იმ აზრამდე მიიყვანა, რომ რუსთაველმა თავისი ეპოსის შინაარსი ამ ქართული თქმულებიდან აიღო.

როგორც ცობილია, აღმოსავლეთის (სპარსი და არაბი) პოეტები და მწერლები, ისევე როგორც ევროპელი ტრუბადურები და მინეზინგერები სიმღერებსა და მისამღერებს თვითონ კი არ იგონებდნენ, არამედ ისინი მუდამ განმარტავდნენ, რომ ძველ თქმულებებს გადმოსცემდნენ. აქ ჩვენ კვლავ სრულ მსგავსებას ვპოულობთ რუსთაველს, მის წინამორბედებსა და თანამედროვეებს შორის როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში“ (ნოზაძე 2002:www.nlp.gov.ge).

„ამ სპარსულ ქართულად ნათარგნმანებ ამბავში“ სპარსეთი მხოლოდ ორჯერ არის ნახსენები და ორივეჯერ არაკეთილგანწყობით არის მოხსენებული ნესტანის ტექსტში:

ესე ამბად არ ეგების, რომე სპარსი გაგვიხასდენ.
(რუსთაველი 1986:173)

ჰყადრე, თუ სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჭამასა.
(რუსთაველი 1986:173)

საგულისხმოა, რომ სწორედ სპარსეთანაა დავარი თავისი ყოფითა და განწყობით დაკავშირებული და ასევე შეთხზულ ქვეყანასთან – ქაჯეთთან, რაც სიმბოლური თვალსაზრისით შეიძლება, რომ ერთ მთლიანობად – სულის ჯოჯოხეთად განვიხილოთ, რომელშიც დავარმა თავის ძმიშვილი ნესტანი –ღვთაებრივი სიყვარულის მუხტი მოამწყვდია, მანამდე კი მას მკვლელობის გზა გაატარა. ეს გზა შეიძლება განვიხილოთ ამბივალენტურად: ერთ მხრივ, როგორც ცოდვისა და შემდეგ ტანჯვით განწმენდის, სულიერი ამაღლების გზად (ნესტანის წერილი) და მეორე მხრივ, ბოროტების აღმოფხვრისა და დაძლევის, ბოროტებისგან თავის დაღწევის მცდელობად, რომელიც ნესტანმა და ტარიელმა ერთად გაიარეს, ალბათ, სწორედ ეს არის გზა მისტიკურ ქორწინე-

ბამდე, ქალური და მამაკაცური საწყისის ჰარმონიულ შეერთებამდე. ეს სიყვარულის ჰარმონიაა, რომლის დარღვევის გამო, როცა გასაიდუმლობულ – ნისლის განძს სიყვარულის ნიადაგი გამოეცალა კრიმპილ-და დაუდობელ მკვლელად იქცა და იგი ამ საქციელით აღშფოთებული რაინდის – ჰილდებრანდის მსხვერპლი გახდა რომანში. თქმულებაში კი უსასობისა და სულიერი მიუსაფარობისგან, მარტოსულმა ქალმა ხსნა ველარ ჰპოვა, კლდეებს შეეფარა, რაც სიმბოლური თვალსაზრისით კოშკთან, გამომწყვდევასთანაა დაკავშირებული.

„აღსანიშნავია, რომ მითოჰერმეტულ სიმბოლიკაში „ციხე“, „ეოშ-კი“, ყოველივე რაც იწვევს ტყვეობის ასოციაციას, განასახიერებს ქვესენელს, რაც აშკარაა რაინდულ რომანებშიც. ქაჯეთის, როგორც ქვესენელის, ქტონური სამყაროს არსინათელი ხდება, თუ განვიხილავთ ინდოეთ-ქაჯეთის დაპირისპირებას, აგრეთვე ქვეყნებისა და მხარეების სიმბოლურ მნიშვნელობას ვეფხისტყაოსანში“ (ნოზაძე 2002:www.nplg.gov.ge).

„ქაჯეთის დედოფლის დუღანდუხტის სახელის ფუძე „დუღან“ მზამეტყველების თვალსაზრისით სპარსული ონომასტიკურის მიხედვით „დილარ“ ნიშნავს „სიმშვიდის მომგვრელს“, „დამამშვიდებელს“. დამამშვიდებელი კი სიკვდილის ქალღმერთს, ქტონურად დიდი დედას განასახიერებს, ხოლო ქაჯეთის ციხე ქვესენელის, ქტონური საუფლოს ალეგორიად იკითხება, ქაჯეთი, როგორც „ბინდ-ბანდი ბნელისა“ (იუსტი 1963:www.hu-berlin.de / Literaturnachweise).

„აღმოსავლურ მისტერიების სიმბოლიკაში ინდოეთი, ინდოსტანი ნიშნავს ლეგედალურ, ზღაპრულ მხარეს უკვდავებისას, ღვთაებრივი ნათლისას, პირდაპირ სამოთხეს. ამასთან არის დაკავშირებული უძველესი სპარსული სახელწოდება სულიერი ინდოეთისა, Para desa, რაც ნიშავს „გაღვთაებრივებულ მიწას“. აქედანვეა სამოთხის სახელწოდება Paradisus ინდოევროპულ ენებში.სუფისტურ სიმბოლიკაშიც ჰინდუსტანი უკვდავების მხარეა, სამოთხეა... და დაკავშირებულია ცხოვრების ხესთან“ (გამსახურდია (სვანიძე) 2016: 308).

არაბეთი კი ძირძველი სიბრძნის ქვეყანაა და აღმოსავლეთის უმნიშვნელოვანესი ნაწილი. მზის ამოსვლის მხარეს, აღმოსავლეთით მდებარეობს ქრისტიანული საკურთხეველიც და რუსთაველთანაც ხსნა აღმოსავლეთისკენაა. ლუკას სახარებაში ვკითხულობთ: „მომხედნა ჩვენ აღოსავლეთმან (ლუკა 1991:1,12).

აქ ამ აღმოსავლეთში, ამ მეწარდნენ ნესტანი და თინათინი. შეიძლება ითქვას, რომ ისინი სიმბოლურად გამოხატავენ ამ

ძირძველ სიბრძნეს, ქრისტიანული კრედოს ფაქიზ მხარს – ქალის ახალ ფენომენს. აღსანიშნავია, რომ სარაინდო რომანისათვის ზოგადად დამახასიათებელია ასეთი განწყობა.

საინტერესოა, თუ რით განსხვავდება სარაინდო რომანი ადრეული საგმირო თქმულებებისაგან, როგორ იყითხება რეალობა და როგორ ჩამოყალიბდა რაინდის მხატვრული ხატი. თუ ხალხურ სიმღერებში ქალი საგვარეულო ტრადიციებისა და გრძნობების მხარდამჭერია, როგორიცაა გუდრუნი ედებში, რომანში „სიმღერა ნიბელუნგებზე“ ცოლქმრული ჰარმონია გადამწყვეტია და ასეთი სიყვარული გამოხატავს ერთობასა და მთლიანობას. საგულისხმოა, რომ რომანში „სიმღერა ნიბელუნგებზე“, ისევე როგორც „ვეფხისტყაოსანში“, სწორედ მიჯნური – მეუღლის სიყვარულის ძალით არის ძლიერი და შეუბლელავი ქალი და თავის ინდივიდუალობას სწორედ ასეთი სიყვარულის ძალით ამჟღავნებს. ქალური მუხტის ზეგავლენა რაინდულ სულისკვეთებაზე და ქალის გავლენა სოციალური და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას ორივე რომაში განსაკუთრებულია. აღსანიშნავია, რომ ორივე ნაწარმოებში მთავარ პერსონაჟ ქალებს მაღალი სტატუსი გააჩინათ, რაც შესაბამის აღზრდასთან ერთად, უფლებას აძლევთ მათ თამამი და სისხლიანი გადაწყვეტილებებიც კი მიიღონ. ქალები დგამენ პირველ ნაბიჯს მიჯურობისკენ – პოეზიისკენ, ისინი სიყვარულით იმყარებენ ძალაუფლებას და ძალაუფლებას წირავენ სიყვარულისათვის. რაც შეეხებათ დაბალი სტატუსის ქალ პერსონაჟებს, მათი ფსიქო-ტიპი და რაინდებთან დამოკიდებულება, მათი გავლენა რანდოთა ცხოვრებაზე განსხვავებულად იყვეთება. საგულისხმოა, რომ ეს ქალებიც დიდ როლს თამაშობენ თავიანთ სოციალურ ყოფით სივრცეში გადაწყვეტილებების მიღებისას. მიუხედავად იმის, რომ ასეთი ქალი რაინდთა ამაღლებული გძნობების შთაგონების წყაროს არ წარმოადგენს, მისი გავლენა და როლი თავისებურად მნიშვნელოვაია. საინტერესოა ასევე ქალთა ეროტიკული შტრიქები რაინდთა ემოციებზე. რუსთაველი არა მარტო ფატმანისნაირ მაცდუნებელი ქალის გარეგნულ და შინაგან ნიშნებს აღწერს ასეთი ქალის ფსიქო-ტიპის წარმოსაჩინად, არამედ პერფორმანსის გამომსახველობით ხატავს მიჯნურთა შეხვედრას. ნესტანი ვეფხვივით განოლილი მწვანე კაბით ხვდება ტარიელს, სადაც მწვანე, ფერთამეტყველების მიხედვით, სიცოცხლის ხის სიმბოლოა, აღორძინების ერთ-ერთი მთავარი ფერია, ხოლო სუფიზმისათვის მისტიკურის არსებითი სიმბოლოა. ნესტანი დაწმუნებულია საკუთარ ღირსებასა და მშვენიერებაში, როცა ტარიელს ეუბნება,

რომ მისნაირს ვერ ჰპოვებს რაინდი, თუნდაც ცას მიწვდეს. თინათინი კი შილიფად ჩაცმული და თმაგაშლილი ხვდება მიჯნურს საღამოს ჟამს, როცა მას მოვალეობას აკისრებს:

გაძრცვილსა ტანსა ემოსა ყარყუმი უსაპირონი,
ებურვის მოშლით რიდენი, ფასისა თქმად საჭირონი.
(რუსთაველი 1986: 45)

კრიმპილდზე კი ვკითხულობთ, რომ მის სილამაზეს გმირის ცეცხად აღზნება შეეძლო.

საწოლთ მსახურნი ვიდოდნენ წინაშე ქალბატონისა.
მჭვრეტელთა გასარდვეველად სისუსტე უჩნდათ ღონისა.
ვაჟნი ცდილობდნენ შეხედვას, მიმდგარნი, ვითარცა ტყენი.
ეს ზიგფრიდისთვის საამო იყო და თან საწყენი.
(უცნობი ავტორი www.webmix.ge)

ორივე მწერლის ღირსებად უნდა აღინიშნოსპერსონაჟთა ბუნებრივი, ადამიანური ხასიათების დახატვა და ამ ხასიათების ფსიქოლოგიური გახსნა დახვერილი მხატვრული გამომსახველობით.

„ვეფხისტყაოსნის“ ბოლოს ვკითხულობთ: „გასრულდა მათი ამბავი ვითა სიზმარი ლამისა...“ და ეს ფინალი მავანის ცხოვრების ბოლოს განცდილ ემოციას მოერგება ნებისმიერ ეპოქაში.

„დამის სიზმარი“, „სიმუხტლე ჟამისა“ გერმანულ საგმირო ეპოსში „სიმღერა ნიბელუნგებზე“ ტექსტის დასაწყისშივე იჩენს თავს; კრიმპილდეს სიზმარში დასაწყისშივე იხსნება დასასრული, მაგრამ კრიმპილდე მაინც გაივლის გზას სიყვარულის სისხლიან დასასრულამდე.

დღევანდელი გადასახედიდან, ყველა ეპოქას თავისი პოსტმოდერნიზმი აქვს და აქაც, ორივე ნაწარმოებში იკითხება ლიტერატურული თუ მითოლოგიური კოდები, ხოლო ქვეტექსტებში ყოფითი ცხოვრების ნიუანსები; ორივე ტექსტი თავისუფალია დოგმებისაგან; დანაშაულის ძიებისა და ცხოვრების ძიების გზები კი სიმბოლურად იკვეთება და ორპლანიანობის ელემენტები მოჩანს.

დამოცვებანი:

ბაუმანი ... 2000: Baumann B, Oberle B. *Deutsche Literatur in Epochen.* (1985:Doau-woerth): max Huber V., 2000.

გამსახურდია 2016: გამსახურდია ზ. ვეფხისტყაოსნის სახის მეტყველება. თბ.: www.bu.org.ge, 2016

ელენი 1966: Ehlen W. *Epochen Dichter.* Köln: H.Stam GmbH V., 1966.

იუსტი 1963: Justi M. *Die Iranische Namengebung.* B.:www.hu-berlin.de / Literatur-nachweise, 1963.

კაკაბაძე 2009: კაკაბაძე ნ. რამდენიმე ტიპოლოგიური პარალელი და ანალო-გრა. თბილისი: არილი, 2009

კოპერი 1986: Cooper F. *Lexikon alter Symbole.* Leipzig: Semmann V., 1986.

ლუკა 1991: ლუკა. ახალი აღთქმა და ფსალმუნები (1:78). სტოკოლმი: ბიბ-ლის თარგმნის ისტიტუტი, 1991.

ნოზაძე 2002: ნოზაძე ვ. *Parallele zwischen Nibelungen und georgischen Epos (Parallele zwischen der hofischen Dichtung der mittelalterlichen Georgien und des westlichen Europas”.* ლიტერატურული ძეგბანი: 23 (II ნაწილი). თბ.: (ქართული ემიგრაციის მუზეუმი), 2002.

რუსთაველი 1986: რუსთაველი შ. ვეფხისტყაოსანი. თბილისი: განათლება, 1986 (1974).

სვანიძე 2016: სვანიძე ა. ვეფხისტყაოსნის ისტორიული და გეოგრაფიული სარჩული. თბ.: www.bu.org.ge, 2016.

IA GRIGALASHVILI

Georgia, Tbilisi

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Who Are the Kajis?

(According to Georgian Historical Literary Work and
Shota Rustaveli’s “The Knight in the Panther’s Skin”)

According to “the Georgian Chronicle” the word “kaji” in Armenian means the “brave””.

In Shota Rustaveli’s poem is told that black-skinned slaves put Nestan-Darejan in the ark “by using the methods of the wizard kajis”. The slaves were “crowing” “ippi, ippia”. In Wolof, the word “ippi” means “the foreign landscape”.

We've become interested in the English translations of "The Knight in the Panther's skin". About the slaves, who took Nestan in captive Robert Stevenson writes: "They laughed in their glee".

The word "Qaji" means: 1. fantastic, magic being, 2. The men who are brave and know many different skills of magic.

Key words: Qaji, historic, fortress, choir, fantastic.

ია გრიგალაშვილი

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ვინ არიან ქაჯები?

(ქართული საისტორიო მწერლობისა და
შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით)

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნში“ რეალური პერსონაჟების, ადამიანი-გმირების გვერდით თანაარსებობენ ჯადოსნური, ფანტასტიკური არსებები, მათ შორის – ქაჯები. პოემაში ისინი ზოგჯერ გრძნეულების მცოდნებად გვევლინებიან, ზოგჯერ – მამაც, მეომარ არსებებად, რომელთა ციხე კაცთავან უბრძოლველია, დაუმარცხებელია, ზოგჯერ კი პოეტი მათ დევების, ზღაპრული არსებების გვერდით მოიხსენიებს.

ვინ არიან ქაჯები? ქართულ საისტორიო მწერლობაში, კერძოდ ლეონტი მროველის „ქართველ მეფეთა ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „რ ბ მეფენი კაოს და ფარსმან ი ე წელი იმეფეს. შემდგომად მათსა დასხდნენ ძენი მათნი, ბარტომის ძე კაოს მცხეთას და ქართამის ძე ფარსმან – არმაზს; არამედ იყვნენ ზემოთნი მეფენი სიყუარულსა ზედა სომეხთასა, ხოლო მირვან მეფეებან სომეხთამან დაივიწყა სიყვარული მათი და მიუღო საზღვარი ქართლისა წუნა და არტანი მტკურამდე და უწოდა წუნას ქაჯთა ტუნი (რომელ არს დევთა სახლი), არამედ ვერუძლეს ძიებად საზღვარნი თვისნი ამათ მეფეთა შემდგომად მწუხარენი მოკუდნენ“ (ქართლის ცხოვრება 1973: 63).

ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილის თქმით „მირვანდ მეფე“, ანუ დიდი მეფე იარვანდი ე. ნ. ორონტიდების დინასტიის წარმომადგენელი სომხეთის მეფეა, ორონტ II, რომლის ზეობაც ივარაუდება ძვ. წ. III საუკუნის ბოლოს და II საუკუნის დასაწყისში. საფიქრებელია, რომ ერვანდმა,

(იგივე ორონტმა, იგივე იარვანდმა) ააშენა ბაგარანი, კერპების ქალაქი მდინარე ახურიანის ჩრდილოეთ ნაპირზე. იმავე მდინარის ჩრდილოეთ ნაპირზევე გაუშენებია ერვანდს დიდი ტყე, რომელიც შემოუღბავს და იქ გაუშვია სხვადასხვა გარეული ცხოველი, რათა ნადირობით გართობილი. მოსე ხორენელის მიხედვით, ერვანდს ამ ტყისათვის დაურქმევია „ცნნდოც“. მდინარე ახურიანი უნდა გულისხმობდეს მტკვრის ბერძნულ სახელწოდებას – „კაურ-ოს“ დამახინჯებულ ვარიანტს, ხოლო ტყის სახელი „ცნნდოც“ (სომხ. „დაბადებული“) უნდა იყოს დამახინჯებული „წუნდა“, ანტიკური ქართული ქალაქი მტკვრის ნაპირას. სახელწოდება „ბაგარან“ (ირან. „ღმერთების ადგილი“) კი, რომელსაც ხორენელი კერპების ქალაქს უწოდებს, პირდაპირ კავშირშია ქართველი მემატიანის სიტყვებთან – „უწოდა წუნდას სახელად ქაჯატუნი, რომელიც ითარგმნება დევთა სახლად“ (ქართლის ცხოვრება 2011: 291). საგულისხმოა, რომ სიტყვა „ქაჯის“ ეტიმოლოგია სომხური ენიდან მომდინარეობს და ნიშნავს „მამაცს“. ტოპონიმ „ქაჯატუნს“ კი უძველეს ქართულ საისტორიო წყაროში კვითხულობთ.

ვახუშტი ბატონიშვილი სამცხე-საათაბაგოს აღწერისას გვიამბობს: „ხოლო კუალად გოყის წყლის შესართავს ზეითს, ჯავახეთის მტკუარსა ზედა „სამცრეთისაკენ, კიდეზედ არის წუნა, რომელი აღაშენა ციხე-ქალაქი, მტკიცედ მოზღვდვილი, ჯავახოს, მცხეთოსის ძემან. მასვე უწოდეს ჰური, შემდგომად უწოდეს ამასვე სომეხთა „ქაჯთა ტუნი“ (ალბათ მამაცთა სახლი – მარი ბროსე)და მერმე ეწოდა ქაჯთა ციხე. იყო ქალაქი და ციხე და საერისთო ერთმეფობამდე. არმედ ან არღარა არს ქალაქი, გარნა ციხე არს. ამ წუნას ზეით, ჭრამის თავს, მინდორზედ, სამხრით კერძოდ, არს კუმურდოს ეკლესია, გუმბათიანი, ფრად დიდ-შენი, შუენიერად ნაშენი, რომელი აღაშენეს კონსტანტინეს მოგზავნილთა უამთა მირიანისასა“ (ქართლის ცხოვრება 1973: 670).

ვარაუდობენ, რომ შოთა რუსთველი წარმოშობით მესხეთ-ჯავახეთიდან ყოფილა, მაშასადამე ასეთი ტოპონიმები: „ქაჯთა ქალაქი“, „ქაჯთა ციხე“ მისთვის ნაცნობი უნდა ყოფილიყო. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მიხედვით ქაჯთა ქალაქი მტერთაგან უბრძოლველია, დაუმარცხებელია. მისი მცხოვრები მამაცი, მეომარი ხალხია:

ქაჯთა ქალაქი აქამდის მტერთაგან უძლეველია,
ქალაქსა შიგან მაგარი კლდე მაღალი და გრძელია,
მას კლდესა შიგან გვირაბი, ასაძრომელი ხვრელია,
მუნ არის მარტო მნათობი, მისთა შემყრელთა მწველია.

(რუსთაველი 1986: 391)

ქართულ საისტორიო წყაროში „აღწერა ეგრისისა ქუეყანისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა“ ვკითხულობთ: „... გამოდის ხინო – აჭარის მთასა, მოდის დასავლით, მიერთვის ზღუასა აგრეთვე. „ზღვის პირს ამ წყალზედ არის ქობულეთი, მცირე ქალაქსავით და ნავსადგური ფრიად კეთილი. ამის სამხრით დის ჩაქვის-წყალი. გამოსდის აჭარის მთას, მოდის დასავლით, ერთვის ზღუას სხუათებრ. ამ წყალზე, ზღვის კიდეს, არს ციხე ქალაქისა, მაგარი, მაღალსა კლდესა ზედა შენი. აქუს გვირაბი-კლდე, გამოკუეთილი გზად. ამას ზეით არს ამ წყალზე ჩაქვი“ (ქართლის ცხოვრება 1973: 792).

საფიქრებელია, რომ ქაჯეთის ციხის აღწერისას რუსთველისათვის შთაგონების წყარო საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ საფორტიფიკაციო ნაგებობათა სტრუქტურა იყო. ქართველი მემატიანების გარდა, ქართულ ფოლკლორშიც არაერთ ხალხურ ლექსშია შექმანილი ციხე-სიმაგრეთა სიმტკიცე, გოდოლ-ბურჯების სიმყარე, მიუვალობა და აუღებლობა. შოთა რუსთველი ქაჯთა ციხეს ნესტანის სიტყვებით ასე ახასიათებს:

ციხეს ვზი ეზომ მაღალსა, თვალნი ძლივ გარდასწვდებიან,
გზა გვირაბითა შემოვა, მცველნი მუნ ზედა დგებიან...

(რუსთაველი 1986: 411)

ცხადია, რუსთველი ქაჯთა ციხის აღწერისას ქართულ ციხე-სიმაგრეთა სურათებს წარმოუსახავს მკითხველს.

აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით შედგენილ წიგნში „ვეფხისტყაოსნის“ სიმტონია“, სიტყვების „ქაჯისა“ და „ქაჯეთის“ მოხმობის არაერთი შემთხვევა განხილული. მაგალითად, „ვითა ქაჯი დაგვემალე“ (288, 3), „მამიდად ქაჯი იყო“ (1585, 3), „მან უამბო დავარ ქაჯესა“ (575, 4), „რომელთაცა ქაჯად თქვიან“ (192, 3), „ამისთვის ქაჯად უხმობენ“ (1249, 1), „ქაჯნი ყველა უხორცოა“ (1245, 4), „ქაჯნი უხორცონი“ (1246, 2), „არ ქაჯნია, კაცნიაო“ (1246, 4), „ქაჯნი სახელად მით ჰრქვიან“ (1247, 1), „მოსრულანცა ქაჯნი შინა“ (1273, 2), „არცა მოვლენ ქაჯნი ჯერე“ (1287, 2), „თუ ქაჯნი მოგვესწრებიან“ (1313, 4), „ჯერთ ქალსა ქაჯნი არ ახლვან“ (1320, 4), „თუ ქაჯნი დევთა შეებნენ“ (1368, 3), „ქაჯთა ძნელად საომართა“ (1299, 3), „ჩემი მზე არცა ქაჯთა ჰყავს“ (1473, 4), „მონა მეფისა მაღლისა, ქაჯთა მფლობელისა“ (1220, 1), „ქაჯთა ქალაქი“ (1242, 1), „ქაჯთა სამეფო“ (1267, 4), „ქაჯთა მეფე არ მოსულა“ (1287, 2), „ქაჯთა მეფესა ჰყავს“ (1320, 1), „ქაჯეთს

ქაჯთა საომრად“ (1387, 3), „ქაჯეთს გვინდა ქაჯთა მზერა“ (1406, 3), „ან მე მაქვს ქაჯთა ქვეყანა“ (1429, 1), „სრულად ქაჯთა სამეფოსა გიძლვნი“ (1430, 2), „ქაჯთა საჭურჭლე“ (1443, 2), „ამბავი წესტან-დარეჯანისა ქაჯთაგან შეპყრობისა“ (1230, 0), „ქაჯთაგან ვარ ასრე დანამჭირები“ (1286, 2), „არცა რა უმძიმს ქაჯთაგან“ (1474, 3), „პირითა მით ქაჯებითა“ (580, 2) (შანიძე 1956: 322).

ტრადიციული გაგებით, ქაჯთა ციხე ბოროტების სიმბოლოა. „მკითხველი მოელის ბოროტების სიმბოლოსთან – ქაჯეთის ციხესთან გმირთა შეხვედრას, ტარიელმა უნდა დაამარცხოს ქაჯები, გაანადგუროს ქაჯეთის ციხე და ისევე გამოიხსნას წესტან-დარეჯანი, როგორც ოდისევსმა – პენელოპე, დანტემ – ბეატრიჩე, ფაუსტმა – გრეთჰენი. ეს ადვილი არ არის, მაგრამ არც შეუძლებელია“ (კაუაშვილი 2005: 74).

საგულისხმოა, რომ ტარიელი დევთა გამოქვაბულში ავთანდილთან ერთად ორმოცი კარის დალენვის შემდეგ პოულობს ზარადხანას, რომელშიც არის გაუხსნელი კიდობანი:

ზედა ეწერა: „აქა ძეს აბჯარი საკვიეველიო,
ჯაჭვ-მუზარადი ალმასი, ხრმალი ბასრისა მჭრელიო,
თუ ქაჯნი დევთა შეებნენ, იყოს დღე იგი ძნელიო!
უმისუამისოდ ვინც გახსნას, არის მეფეთა მკვლელიო.
(რუსთაველი 1986: 427)

ეგზეგეტიკური ლიტერატურის მიხედვით, მორნმუნე რწმენის აბჯრითაა ალჭურვილი და მისი მეშვეობით იშორებს ბოროტის ცეცხლოვან ისრებს, რომლებიც სხვადასხვა სახის ვნებებია. საგულისხმოა, რომ სამი გმირი ერთად ამარცხებს ბოროტებას, რაც პოემაში ქაჯეთის ციხის სახითაა წარმოდგენილი. ტარიელის სახელის ეტიმოლოგია საღვთო გზას უკავშირდება, ავთანდილი – სარწმუნოების ბურჯს, ხოლო ფრიდონი უფლისადმი სასოებას, საღვთო მადლს ალნიშნაუს (გამსახურდია 1991: 241-293). „ვეფხისტყაოსნის“ საღვთისმეტყველო შინაარსი ამგვარია: ქრისტიანი მორნმუნის განდმრთობა, უფალთან ზიარება (წესტან-დარეჯანი არის ის, ვინც არ არის ამქვეყნად, ვისკენაც ილტვის ღვთაებრივი სიყვარულით მორნმუნე, ანუ თვით სიყვარულის, თვით ღმერთის სიმბოლოა) შესაძლებელია საღვთო გზით სიარულით, ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლით, მადლის მოხვეჭით, რომელიც შესაძლებელია ლოცვითა და ღვთივსათნო საქმეების აღსრულებით, უფლისადმი რწმენითა და სასოებით.

„ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი პერსონაჟი, დავარი მიჩნეულია ქაჯ-თა სიბრძნის მქონედ და მას მეფემ ასული მიაბარა აღსაზრდელად:

დავარ იყო და მეფისა, ქვრივი, ქაჯეთს გათხოვილი,
მას სიბრძნისა სასწავლელად თვით მეფემან მისცა შვილი.
(რუსთაველი 1986: 102)

თუ რა ცოდნა აქვთ ქაჯებს, ჩანს ფატმანის სიტყვებიდან. ავთანდილს აინტერესებს თუ უხორცო არსებები არიან ქაჯები, მათ რად უნდათ ქალი? ფატმანი პასუხობს:

არ ქაჯნია, კაცნია, მიპონდობიან კლდესა სალსა.
ქაჯნი სახელად მით ჰქვიან, არიან ერთგან კრებულნი,
კაცნი გრძნებისა მცოდნელნი, ზედა გახელოვნებულნი,
ყოველთა კაცთა მავნენი, იგი ვერვისგან ვნებულნი;
მათნი შემბმელნი წამოვლენ დამბრმალნი, დაწბილებულნი.
იქმან რასმე საკეირველსა, მტერსა თვალსა დაუბრმობენ,
ქართა აღსძვრენ საშინელთა, ნავსა ზღვა-ზღვა დაამხობენ,
ვითა ხმელსა გაირბენენ, წყალსა წმიდად დააშრობენ,
სწადეს – დღესა ბნელად იქმან, სწადეს – ბნელსა ანათობენ.
ამისთვის ქაჯად უხმობენ გარეშემონი ყველანი,
თვარა იგიცა კაცნია ჩვენებრვე ხორციელანი.

(რუსთაველი 1986: 102)

მაშასადამე, „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით ქაჯები სიბრძნისა და სხვადასხვა გრძნების მცოდნენი არიან: ესაა საომარი საქმე, ქართა აღძროა, დღის ბნელად გადაქცევა და ლამის – დღედ. პოემის ერთ-ერთ ეპიზოდში კი, „ქაჯებრი“ სახის მქონე მონები კონკრეტული ეროვნების წარმომადგენლები არიან. განრისხებულმა დავარმა ნესტან-დარეჯანი ცემით დაალურჯა, მონებს უბრძანა ის შორეულ მხარეს გადაეკარგათ.

რა დავარ გაძლა ცემითა, მისითა დალურჯებითა,
წამოდგეს ორნი მონანი პირითა მით ქაჯებითა,
მათ კიდობანი მოჰქონდა, უუბნეს არ აჯებითა,
მას შიგან ჩასვეს იგი მზე, ჰგავს, იქმნა დარაჯებითა,
უბრძანა: „წადით, დაკარგეთ მუნ, სადა ზღვისა ჭიპია;
წმიდისა წყლისა ვერ ნახოს მყინვარე, ვერცა ლიპია“;
მათ გაეხარნეს, ხმა-მაღლად იყივლეს: „იპი, იპია.

(რუსთაველი 1986: 188)

როგორც ტექსტიდან ვიგებთ, მონები შავკანიანები არიან. სიტყვა „იყივლეს“ ნოდარ ნათაძეს განმარტებული აქვს ამგვარად „დაიძახეს, დაიყვირეს“ (რუსთაველი 1986: 192). აღსანიშნავია, რომ სულხან-საბა ორბელიანი „სიტყვის კონაში“ განმარტავს: „ყივილი ჭმიანითა სიტყვითა ღალადისსა ეწოდების“ (ორბელიანი 1993: 266). სავარაუდოა, „გზი-ანითა სიტყვითა“ აღნიშნავდეს მღერას ან რეფრენს. ოუმცა, შეიძლება აღნიშნავდეს ხმამალლა დაძახებასაც. მაშასადამე, მონებს ხმიანი სიტყვით, სავარაუდოა სიმღერით წარმოუთქვამთ „იპი, იპია“.

ჯონ ლელანდი წიგნში “Hip – the History” (New York, Harper Perennial, 2005) აღნიშნავს, რომ სიტყვა ჰიპი წარმოიშვა დასავლეთ აფრიკული ენიდან, უულუფიდან და დაინერგა დასავლეთ აფრიკელი მონების მიერ. „ჰიპი – სიტყვა და ცნება – იყო ერთ-ერთი საშუალება, რომელიც აფრიკელებმა შეიმუშავეს, რათა გადმოეცათ უცხო ლანდშაფტი, ან ერთ-ერთი თვისება, რომელსაც მას მიაწერენ“ (Leland 2005: 3).

ჯესი შეილდოუერი აკრიტიკებს, როგორც ჯ. ლელანდის, ასევე დევიდ დალბის მოსაზრებას, რომლის თანახმად, სიტყვა „ჰიპი“ უნდა უკავშირდებოდეს თვალის ახელას. მისი თქმით, უულუფის ენაში არ გამოიყენებენ h-ს. ჩვენთვის საინტერესო ამ კვლევაში ის არის, რომ „იპი“ წარმოშობით აფრიკული უნდა იყოს და აღნიშნავდეს უცხო ლანდშაფტს, ქვეყანას. „ვეფხისტყაოსნიდან“ მოხმობილი ციტატის კონტექსტიც ამის დასტურია. დავარი მონებს უთითებს უცხო მხარეს გადაკარგონ ნესტან-დარეჯანი.

საინტერესოა, აგრეთვე ამ სიტყვებს ძახილით წარმოთქვამენ ან მღერიან შავი მონები. აღსანიშნავია, რომ შეძახება და გაპასუხება სრულდება მუსიკოსების მიერ, როცა მეორე ფრაზა ისმინება, როგორც პირდაპირი კომენტარი ან პასუხი პირველზე, ის შეესაბამება დაძახებასა და პასუხის გაცემას ადამიანურ კომუნიკაციაში და მიიჩნევა, როგორც მელოდიური ფორმის საპაზისო ელემენტი. საბ-საპარას აფრიკულ კულტურაში შეძახება და პასუხის გაცემა არის ყოვლისმომცველი მოდელი დემოკრატიული მონაწილეობისა საზოგადოებრივ შეკრებებზე, რომელიც ეხება სამოქალაქო საქმეებს, რელიგიაში – რიტუალებს, ასევე გვხვდება როგორც ვოკალურ-ინსტრუმენტალური გამოხატულება. ეს ის ტრადიცია, რომელიც აფრიკელი მამრობითი სქესის მონებსა და ქალებს, რომლებიც მიჰყავდათ ამერიკაში, საუკუნეთა განმავლობაში გადმოჰქონდათ რელიგიურ რიტუალებში, ნეს-ჩვეულებებში, სახალხო შეკრებებისას, სპორტულ ღონისძიებებში, საბავშვო ლექსებშიც კი და ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად აფრო-ამერიკულ

მუსიკაში და მის უამრავ ფორმაში, მისი მეტყვიდრეობაა: საეკლესიო მუსიკა, ბლუზი, რიტმი და ბლუზი, როკენ როლი, ჯაზი და ჰიპ-ჰოპი (Call and Response (music) wikipedia).

„ვეფხისტყაოსნის“ ზემოთ ნახსენებ ეპიზოდში მონები დავარის ბრძანებას, რომ შორეულ, უცხო, მიუვალ მხარეს გადაკარგონ ნესტანი, თანხმობის ნიშანად რეფრენით პასუხობენ: „იპი, იპია“.*

საქართველოში მეთორმეტე საუკუნეში იყო სავაჭრო-ეკონომიკური განვითარების მწვერვალზე, არ არის გამორიცხული ვულუფის ენაზე წარმოთქმული ფერადკანიანების მისამლერი რუსთველს მოსმენილი ჰქონდა.

დავინტერესდით „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურენოვანი თარგმანებით, რადგან გვერდა მოლოდინი, რომ აფრიკული ფოლკლორული სიმღერა ნაცნობი იქნებოდა ინგლისურენოვანი კულტურის წარმომადგენელი მთარგმნელებისათვის. თუმცა, ვერცერთ თარგმანში ვერ ვნახეთ „იპი, იპიას“ გადათარგმნის ნიმუში. მარჯორი და ოლივერ უორდორპების თარგმანში ხაზი აქვს გასმული მონების უხეშ ქცევას ნესტანის მიმართ, მთარგმნელი ვერერა ურუშაძეც აღიშნავს მონების უტიფარი ქცევის შესახებ, ქეთრინ ვივიანი ეყრდნობა ქართველი კომენტატორების მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ მონებს სიხარულის შეძახილი აღმოხდათ:

When Davar's rage was exhausted, Asmat went on, two black slaves entered who had the appearance of kadjis. They brought a large chest with them in which they laid the princess, **treating her with the roughness of jailers**.

“Carry her away and dispose of her in the very midst of the ocean”, Davar commanded them – “far from the pure ice of the glaciers and the clear running streams”.

The slaves received her commands with cries of pleasure. Carrying the chest between them, they passed through the window and put out to sea, where they swiftly disappeared from view”. (p.97)(Shota Rustaveli, The Knight in Panther Skin, A free translation in prose by Katherine Vivian, London, The Folio Society, 1977).

lin kofinis Targmanis mixedviTac sixarulis SeZaxili aRmoxdaT monebs:

* რამდენიმე წლის წინ მოვისმინე აფრიკული ხალხური სიმღერა, რომელიც თარგმნილი იყო ინგლისურად. მომღერალი გიტარაზე შესრულებით მღეროდა ვაჟის შესახებ, რომელიც შეყვარებული იყო მშვენიერ გოგონაზე, ვარსკვლავების ციმციმი აგონებდა მის თვალებს, ღამით მოვარეს შესჩიოდა, რომ მას არ რთავდნენ ნებას ის შეერთო ცოლად და ამიტომ დახეტიალობდა ველად. გუნდი ვაჟის სიმღერას პასუხობდა მისამლერით: „იპი, იპია“.

She ordered them: Throw her in the sea, into the depth of the deep.
 Make sure that you henceforth from her lips any cool, fresh water keep".
They loudly shouted at this – a cheer of delight. They did not weep.
 I heard this and didn't die. Grief made of my heart a stony heap" (587)
 (Shota Rustaveli "The knight in the Panther's Skin",
 New Translation by Lyn Coffin, 2013)

აღსანიშნავია, რომ რობერტ სტივენსონის მიერ თარგმნილ ტექსტში ვკითხულობთ:

"Take her", Davar said to them, and lose her far out to sea, where she will find no fresh water, either frozen or flowing!" **They laughed aloud in their glee.**
 (Shota Rustaveli, The Lord of the Panther-skin, A Georgian Romance of Chivalry, Translated by R. H. Stevenson, State University of New York Press, Albany 1977).

სიტყვა glee გვხვდება ორი მნიშვნელობით: 1. დიდი სიხარული, სიამოვნება, აღტაცება და 2. სამი ან მეტი მომღერლის მიერ უაკომპანირებულ შესასრულებელი სიმღერა. შესაძლოა, მთარგმნელმა სწორად მიაგნო ხერხს, თუ როგორ უნდა გადმოეცა ინგლისურ ენაზე აღნიშნული მისამღერო.

თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მთარგმნელთა მიერ რეფრენის ინგლისურ ენაზე გადმოცემას ველოდით, თუმცა ასეთ სიტყვა-სიტყვით თარგმანს ვერცერთ ვერსიაში ვერ შეეხვდით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ: სიტყვა „ქაჯი“ ქართულ საისტორიო მწერლობაში გვხვდება „მამაცის“ მნიშვნელობით, ასევე როგორც ტოპონიმი „ქაჯასტანი“, აგრთვე როგორც საფორტოპიკაციო ნაგებობის სახელი: „ქაჯთა ციხე“, „ქაჯეთის ციხე“. შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანში“ კი ამ სიტყვით მოიხსენიებენ ფანტასტიკურ, ზღაპრულ, ჯადოსნურ არსებებს და აგრეთვე მაგიური ცოდნის მქონეთ და სხვადასხვა ხელოვნებაში განაფულ ადამიანებს.

დამოცვებანი:

გამსახურდია 1991: გამსახურდია ზ. ვეფხისტყაოსნის სახისძეტყველება. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. თბილისი: 1991.

კაუაშვილი 2005: კაუაშვილი გ. მოყმე ამაყად ყიოდა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. თბილისი: 2005.

ლელანდი 2005: Leland, J. *Hip – the History*. New York: Harper Perennial, 2005.

ორბელიანი 1993: ორბელიანი ს.ს. ლექსიკონი ქართული. II. ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ი. აბულაძემ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. თბილისი: 1993.

რუსთაველი 1977: Rustaveli, Shota. *The Knight in Panther Skin. A free translation in prose by Katherine Vivian*. London: The Folio Society, 1977.

რუსთაველი 1977: Rustaveli, Shota. *The Lord of the Panther-skin. A Georgian Romance of Chivalry*. Translated by R. H. Stevenson. State University of New York Press, Albany 1977.

რუსთაველი 1986: რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი, კომენტარი და ბოლოსიტყვა დაურთო ნ. ნათაძემ. თბილისი: 1986.

რუსთაველი 2013: Rustaveli, Shota. “*The knight in the Panther’s Skin.*”, New Translation by Lyn Coffin. 2013.

ქართლის ცხოვრება 1973: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბილისი: 1973.

ქართლის ცხოვრება 2011: ქართლის ცხოვრება. ლეონტი მროველი. ჯუან-შერი (ტექსტი ახალ ქართულ ენაზე თარგმნა და კომენტარები დაურთო ნ. ნიკოლოზიშვილმა). თბილისი: „ახალი ივირონი“, 2011.

შანიძე 1956: „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია (შედგენილი აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე ნინასიტყვაობითა და გამოკვლევით). თბილისი 1956.

KETEVAN ELASHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

The Artistic Phenomenon of “Life’s Sadness”

The Georgian paradigm of suicide should be analyzed from the angle of “Christian perspective”, though sometimes our literature was choosing rather peculiar “ways” towards some issues. One of them is exactly the phenomenon of suicide, despite the Christian traditions. The fact that the beginning of it was given by “The Knight in the Panther’s Skin” of Shota Rustaveli, is not accidental either.

Rustaveli was not indifferent to this “fatal disease” of mankind and described the suicide scene of Davari, conceptually – without harsh emotions and created the universal conception by formulating the “Sad Life”. Scientific estimations of Davari’s act are abruptly negative till nowadays.

Key words: Rustaveli, Davari, Suicide, “Sad Life”.

ძეთევან ელაგვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„სიცოცხლის გასაწყინარების“ მხატვრული საზრისი

„ბევრი ვიფიქრე სიკვდილზე და მიმაჩნია, რომ ის უბედურებებს შორის ყველაზე უმცირესია“. ფრენსის ბეკონი

„თუკი ვერაფერი იგრძენი, სიკვდილი იგივეა, რაც უსიზმრო ძილი და მაშინ ის შესანიშნავი შენაძენია“.

პლატონი

ადამიანი სიკვდილზე ფიქრით იბადება, მაგრამ სიცოცხლე (იშვიათი გამონაკლისის გარდა...) თავისი სხივთვენით მას სრულიად უჩინარს ხდის და მხოლოდ საბედისნერო მოულოდნელობით თუ გვახსენებს თავს. ასეთ დროს საგანგებო მზაობა, რელიგიურ-ფილოსოფიური წრთობა თუ მორალურ-ესთეტიკური წრთვნა სრულიად კარგავს თავის მნიშვნელობას. შესაბამისად, სიკვდილთან პირისპირ აღმოჩენის ჟამს, უკანასკნელი რეპლიკაც ყოველთვის სპონტანურად წარმოიშვება და ყოველი ადამიანი თავისი განუმეორებელი სიკვდილით მიებარება უფალს...

ამიტომაცაა, რომ უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე, კაცობრიობის რელიგიურ-ფილოსოფიური თუ კულტუროლოგიური დისკურსი – „სიკვდილ-სიცოცხლის პაქტობაზეა“ ორიენტირებული. ეს კი მიღმიური სამყაროს ადამიანური თვალსაწიერით „წაკითხვის“ მცდელობაა, ხოლო მშვენიერი, წამიერი და სრულიად დაუცველი ჩვენი სტუმრობა წუთისოფელში კი უფლისმიერი „კანონიკაა“.

არადა, უძველეს ადამიანთა გარკვეული ნაწილი ხშირად წინმსწრებად – საკუთარი ნებითაც ტოვებდა საწუთროს, ადამიანური ლოგი-

კის „უზენაესობით“. რისი მეტყველი ნიმუშიცაა ეგვიპტურ პაპირუსზე დაწერილი „სულისრყევა“, რომელიც წარმოადგენს „ყოფნა-არყოფნის“ ერთ-ერთ უძველეს წერილობით ილუსტრაციას.

ქრისტიანობამდე – წინარე ცივილიზაციებში არაერთი გამორჩეული მოაზროვნე თუ სახელისუფლო პირი (თავისუფალ მოქალაქეთა უმეტესობაც, მონათა გარდა – მათ არც ამის უფლება ჰქონდათ...) თავად განკარგავდა თავის სიკვდილის უამს – ლირსებისა თუ ზეობრივ კატეგორიათა უპირობო გამოხატულების ნიშნად. ამასთანავე, საკუთარი ნებით სიცოცხლის შეწყვეტა სამეფო სასჯელის უმკაცრეს ფორმასაც წარმოადგენდა (თუნდაც რომის იმპერიის მაგალითებიც კმარა...). შესაბამისად, „თვითმკვლელობა მრავალ ტომში ქცევის ძალზე გავრცელებულ და ნებადართულ სტერეოტიპად ითვლებოდა, სხვებთან კი ტაბუდადებული იყო და მკაცრად ისჯებოდა, მაგრამ კულტურის ფარგლებში მას მაინც ჰქონდა ადგილი (აკუნინი 2014: 17). აქვე ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ სწორედ თვითმკვლელობის ფენომენი ეთნოკულტურისა თუ ეთნოფსიქოლოგის ერთგვარ ეთიკურ მახასიათებელსაც წარმოადგენდა.

ამიტომ ფრიდ საინტერესოა ამ კუთხით „ქართული აქცენტების“ თვალმიდევნება. ბუნებრივია, რომ სუიციდის ქართული პარადიგმა სწორედ „ქრისტიანული პერსპექტივის“* ჭრილში უნდა იყოს გაშინაარსებული, რადგან საქართველო უმთავრესად, სწორედ ქრისტიანული კულტურის ქვეყნად ჩამოყალიბდა და სავსებით ლოგიკურია, რომ წერილობითი ძეგლებიც ამ ცნობიერებიდანაც აღმოცენებულია. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მწერლობა ნებისმიერი ერისათვის წარმოადგენს უმთავრეს კულტუროლოგიურ ფენომენს, რომელიც, თავის მხრივ, ფუნდამენტურად ასახავს ეროვნულ ფასეულობათა ინტეგრირებას მსოფლიო კულტურათა ჭრილში. ამ მხრივ გამონაკლისი არც ქართული მწერლობაა,** რომელიც წარმოადგენს ჩვენი ეთნოკულტურის უმთავრეს პარადიგმას. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ ჩვენი მწერლობა სრულიად არაორდინალურ „გზასაც“ კი ირჩევდა გარკვეული თუმატიკის მიმართ. ერთ-ერთი სწორედ სუიციდის ფენომენია, რომელიც, მიუხედავად ქრისტიანული ტრადიციებისა, ფრიად უჩვეულო ილუსტრაციებითა ჩვენში წარმოდგენილია.

* ანასტასია ზაქარიაძე, სუიციდის პრობლემა – ქრისტიანული პერსპექტივა; ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომზილველი, 1, 2011: 52-68.

** ი. რატიანი, ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი. 2015: 15-51.

რაღა თქმა უნდა, არც ისაა შემთხვევითი, რომ ამის დასაბამი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ უნდა მიეცა. ის ხომ ქართული სულიერების უძველესი საზრისია – თავისი თეოლოგიურ-ფილოსოფიურ დებულებათა თავისუფალი ინტერპრეტირებანით, საკუთარი „მხატვრული კანონიკის“ შექმნითა თუ კულტუროლოგიური დისკურსის „მისტიკით“, რამაც საბოლოო ჯამში წარმოშვა უნივერსალური სააზროვნო ენა – დღემდე ყოვლისმომცველი, „მეტყველებით“. ამის თვითკმარი ნიმუშია სუიციდის ვეფხისტყაოსნისეული კონცეფცია, რომელიც შოთა რუსთაველმა, ჯერ კიდევ XII საუკუნეში შექმნა – ოღონდ მხატვრული აზროვნების ფარგლებში; ესაა – „სიცოცხლის გასაწყინარება“.* ამ ჭეშმარიტებამდე მისვლა და მისი გაშინაარსება მთელმა ევროპამ მხოლოდ XIX საუკუნის მიწურულს შეძლო ემილ დიურკჰაიმის ქრესტომათული ნაშრომით – „თვითმკვლელობა“, 1897 წელი; რამაც განაპირობა თანამედროვე სუიციდოლოგიის განვითარება – მოტივირებული რელიგიურ-ზნეობრივი დისკურსითა თუ მსოფლიო მნერლობის რჩეული ნიმუშების განზოგადებით.

საგულისხმოა ისიც, რომ კაცობრიობის ამ „ფატალური სენის“ მიმართ არც რუსთაველი უნდა დარჩენილიყო გულგრილი. ამის საპირნონედ – „ვეფხისტყაოსანში“ სიცოცხლის ღირსეულად გაძლილის უნივერსალური „მხატვრული დებულებანი“ არაერთგზის გვხვდება, რითაც ავტორი გამოჰკვეთს „რჩეულ გმირთა“ ინიციაციის გზას. ერთადერთი გამონაკლისია დავარის თვითგანაჩენი:

ვირე მომკვლიდეს, მოვკვდები, სიცოცხლე გასაწყინარდა,
დანა დაიცა, მო-ცა-კვდა, დაეცა, გასისხლმდინარდა.
(„ვეფხისტყაოსანი“, 574, 3-4)

„ვეფხისტყაოსნის“ სივრცეს თავისი უნივერსალური „გასაღები“ აქვს, რომელიც თავად ავტორის მიერაა საგანგებოდ ამ ძეგლში ჩარჩე-

* ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ წარმოშობილი ერთგვარი ვაკუუმი თვითმკვლელობის შესახებ, მხოლოდ „მთის შეილებმა“ – ვაჟა-ფშველამ და ალექსანდრე ყაზბეგმა დაარღვიეს. მათ დაუშვეს გაუსაძლისი, შეუცნობელი, სამარცვინოდ დამთრგუნავი თუ საბედისნეროდ გამოიუვალი ყოფა წებაყოფლობითი სიკვდილით ჩაენაცვლებინათ, რაც, არამც და არამც, არ შეიძლება მარტოოდენ შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფად ჩაითვალოს, თუ მთის ზეპირსიტყვიერება ადამიანთა ბედის ამგვარი „ავბედით ავანტიკურისგან“ თავისუფალი იქნებოდა... აქვე იმასაც დავამატებ, რომ ვაჟამ შექმნა „თვითმკვლელობის ესთეტიკის“ ზოეტური მიზანსცემები; სადაც სიტყვას მხატვრულ დიაპაზონში სულის ტკივილი თუ აბბონის ვწება უპირობოდაა წარმოდგნილი. ეს ალაზასა და მინდიას საბედისნერო პორტრეტებია, რჩეულობის მძიმე ტვირთით დაბინდული... ქ.ე.

ნილი, რაც გამოიხატება, ერთი შეხედვით, თითქოსდა ანალოგიური ეპიზოდების თანაარსებობით; რომელთაგან – ერთი შორეული წარსულის საბედისწერო რეალობაა, მეორე კი – უკვე ქმედითი აწმყო, მძაფრი ვწებათალელვითა თუ გამოუვალი დრამატული პერიპეტებით. სიუჟეტის ამგვარი „ორმაგი კოდირების“* პრინციპით ნარატივი კიდევ უფრო შეუცნობელი ხდება, რის შედეგადაც ამ ძეგლის „წაკითხვის“ სრულიად განსხვავებული ტენდენციები იყვეთება. რადგან „ვეფხისტყაოსანში“ მთავარ გმირთა ჩრდილქვეშ მოქცეული ზოგიერთი პერსონაჟის მიმართ მარტოოდენ, ერთხელ და სამუდამოდ დაკანონებული, კლიშებით ხდება მსჯელობა... ამგვარ განზომილებაშია სწორედ დავარი, რომლის შესახებაც საკმაოდ სიტყვაძუნნია თავად რუსთაველიც. შეიძლება იმიტომ, რომ დავარი (ქაჯთა მსგავსად) იმგვარი პერსონაჟადაა მიჩნეული, რომლის მიმართაც სრულიად წარმოუდგენელია, თუნდაც არაფრისმთქმელი – ნეიტრალური განწყობაც კი, ამ რეალობას ვერც მისი სუიციდი ცვლის...

არადა, დავარიც ხომ ძალადობის მსხვერპლია, ოღონდ ყოველივე ეს ისეა საგულდაგულოდ შეფუთული, რომ თვალს მიღმა რჩება ძირითადი ქვეტექსტი. ის ინდოეთის სამეფოს უპირობო ხელშეუხებლობის ერთგვარ გარანტის წარმოადგენდა და ამიტომაც გაინირა „უკადრი“ მამისა თუ ძმის (მეფე ფარსადანის) მიერ. შესაბამისად, დავარიც ქაჯთა სამეფოში აღმოჩნდა გათხოვილი (ბურგბრივია არა თავისი ნებით, ის პოლიტიკური გარიგების მძევალი იყო. – ქ. ე.), მაგრამ რატომლაც – ეს გარემოება არააარ თანაგრძობას არ ინვევს, მაშინ როცა, იმავ მიზნით ქაჯთაგან დატყვევებული, ნესტან-დარეჯანის გამო უსაზღვრო სულის ტკივილითა თუ გულისშემძვრელი თანაგანცდითაა მთელი პოემა გამსჭვალული. ამასთანავე, „ვეფხისტყაოსნის“ ემოციური დიაპაზონი თუ რაინდული ნებელობის უზენაესობაც ნესტან-დარეჯანის ხსნის ზღვარზე გადის.

დავარის ბედისწერას კი მხოლოდ ნეგატიური იმპულსი განკარგავს და ამიტომაც, რაღაც მისტიკური საშიშროების განცდას ბადებს ეს უჩვეულო – „გრძნეული ქვრივი...“ მისი ცხოვრება ხომ უახლესი

* სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა გამინაარსდეს სამეფოთა „გონივრული გაყოფის“ შედევრიც. ერთი ინდოეთის სამეფოს მაგალითია, რომელიც საწყისად – ალბათ ორ თანაბარ ნანილად იქნებოდა დაყოფილი წინარე მეტვიდრეებს შორის, რაც შემდგომში უკვე საბედისწერო საფრთხეში გადაიზარდა; რადგან ფარსადანი ფლობდა ინდოეთის ექვს ნახილს, ხოლო იმავე სამეფო დრინასტიის წარმომადგენელი სარიდან კი – მხოლოდ ერთს. ამიტომაც, მულდაზაბარის სამეფოს თითქოსდა თანაბრად გაყოფილი „სამეტვიდრო ვნებანი“, რაღა თქმა უნდა, ტარიელს უნდა ჩაეხშო – თავადაც ამგვარი უსამართლობის რეალურ მსხვერპლს – ქ. ე.

გარემოცვის წყალობით იქცა ამგვარად: სავარაუდოდ, დავარიც (როგორც ინდოეთის მეფის ასული) არანაკლებ მშვენიერი უნდა ყოფილიყო – წინააღმდეგ შემთხვევაში ქაჯნი მის ხელის თხოვნაზე არც კი იფიქრებდნენ. ხშირად, უსაზღვრო ბოროტება სიკეთისაკენ ისწრაფვის და სამიზნედ მხოლოდ სრულყოფილ სილამაზეს ირჩევს, რომელიც დროთა განმავლობაში სრულიად იშრიტება და სულიერ კვდომას განიცდის. ასე მოხდა დავარის შემთხვევაშიც, რომელიც ინდოეთის სამეფოში დაბრუნებამდე, გაცილებით ადრე აღმოჩნდა „სიცოცხლის გასაწყინარების“ უჩინარ საცეცებში გამომწყვდეული და მხოლოდ ერთი ბიძგილა იყო საჭირო, რაც მას საბოლოოდ ააღებინებდა ხელს საკუთარ ცხოვრებაზე. ალბათ, კიდევ ერთხელ, მთელი სიმძაფრით უნდა შეეგრძნო დავარს, რომ ფარსადანს მისი აბსოლუტური გამეტება შეეძლო (თუნდაც სიტყვიერი მუქარის სახით, რომელიც ქმედების ტოლფასად ითვლებოდა – ქ.ე.). აქვე აუცილებელია ერთი რამის გათვალისწინებაც, რომ სავარაუდო ფარსადანმა მარტოოდენ გამორჩეული სიბრძნის* გამო როდი მიაბარა დავარს თავისი ასული აღსაზრდელად. ეგბ ქვეცნობიერად, ის ერთგვარ პატიგბას ითხოვდა დისგან – მისი დაშრეტილი ქალური საწყისის გამო. რატომდაც ფარსადანს არც დავარის გრძნეულება აბრკოლებდა, რომელიც „ეზოთერიზმის ლაბირინთიდან“ თავდალწეული ისევ „გრძნეულ ბრძენად“ რჩებოდა... თუმცა რომელ გრძნეულებაზეა საუბარი, როცა ყოველთვის დავარის თვალსაწირის მიღმა ხდებოდა ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის „ფარული შეყრა“. შეიძლება ისიც ითქვას, რომ დავარის სიბრძნე თუ გრძნეულება გარკვეული ფიქცია იყო.

ალბათ ზემოხსნებულმა ქვეტექსტებმა განაპირობა, რომ რუსთაველი არ შეეცადა დავარის სხვათა მსგავსად დამოძლვრასა თუ შეჩერებას. უფრო მეტიც – გარკვეულწილად ამ მიზანსცენას ავტორი გრძნობათა გარეთ აღწერს და გონიერი ზეობით ქმნის სუიციდის მხატვრული საზრისის ერთ-ერთ სრულყოფილ კონცეფციას. ის თავისი ტრაგიკული ელფერის მიუხედავად – იმდენად ღრმაა, რომ ესთეტიკის შტრიხებიც კი იკვეთება. რადგან „თვითმკვლელობა, როგორც ცალკე აღებული წარმოადგენს რთულ სისტემას, რომელიც მართალია ესთეტიკის ზოგად კანონზომიერებას ეფუძნება, მაგრამ მას თავად არ შეუ-

* თავად ტექსტში დავარის სიბრძნე ნაკლებად დომინირებს, თუ არ ჩავთვლით ნესტანის სიბრძნეს, რომელიც მხოლოდ „სულის ხსნის“ გზაზე იკვეთება. აქვე ისიცაა გასათვალისწინებული, რომ „ვეფხისტეტყაოსანში“ – ნესტანის სიბრძნე, ისევე როგორც თანათინისა, მათი სამეფო წარმომავლობის ერთ-ერთი უმთავრესი ფენომენია; – ქ.ე.

ძლია ჩვენში აღძრას „ესთეტიკური მუხტი...“ (ტრეგუბოვი ... 1993: 57). რაც შეეხება „ვეფხისტყაოსანს“, აქ რუსთაველმა სიტყვის არსის ზედ-მიწევნითი წვდომით, სუიციდის დამანგრეველი ემოცია მეტ-ნაკლებად დაჩრდილა სახისმეტყველების სრულყოფილებით.

ზემოთქმული მინდა შევაჯერო დავარის სამეცნიერო „განკითხვანით“, სადაც მხოლოდ უშედავათო ნეგატიური დიაპაზონია, რაც იწვევს გარკვეული სათქმელის გადაფარვას. ამით კი, უპირველეს ყოვლისა, „სიცოცხლის გასანყინარების“ მხატვრული საზრისი ლიტერატურული ხედვის მიღმა რჩება. ასეა ზვიად გამსახურდის შემთხვევაშიც, რომელიც „დავარს შავი მაგის ადეპტად მიიჩნევს“ და მის სუიციდს ამგვარად აფასებს: „დავარის თვითმკვლელობა მიუთითებს იმაზე, რომ შავი მაგია შეიცავს თვითგანადგურების ძალებს, იგი ადამიანის მე-ს ნინააღმდეგაა მიმართული, სპობს მას...“ (გამსახურდია 1991: 275-2 76); თამაზ ვასაძე კი დავარის თვითლიკვიდაციაში „სიცოცხლი-სადმი სიძულვილის სტიქიურ გრძნობას“ ხედავს და ამიტომაც „დავარი აკეთებს იმას, რისი ცდუნებაც უწინდებათ ხოლმე პოემის მთავარ გმირებს – ტარიელს, ავთანდილს, ნესტანს. სიკვდილისკენ ლტოლვის, თვითმკვლელობის გამჭოლი მოტივი ნანარმოებში ეშმაქს, სატანას უკავშირდება და დავარის სახეში განსაკუთრებულად არის აქცენტირებული ის, რასაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება პოემის აზრთანყობაში – სასონარკვეთა, სიცოცხლის მოძულება და არყოფნისკენ სწრაფვა ირაციონალურ ვნებათა ტყვეობაში მოქცევა სატანური ფენომენი“ (ვასაძე 2005: 87-88). და კიდევ ერთი ნაშრომი, სადაც საკუთრივ „დავარის სახის ინტერპრეტაციის“ შეცნობას ცდილობს ავტორი (თამარ ხვედელიანი), რომელიც „დავარის თვითმკვლელობას იმედების საბოლოო მსხვრევით გამოწვეული სასონარკვეთით ხსნის“ (დავარის იმედი ალბათ – ნესტანის „შემდგარი ცხოვრება“ უნდა ყოფილიყო – ქ.ე.), თუმცა ამასთანავე ის გარკვეულ ნინააღმდეგობასაც ხედავს – „დავარის ქაჯეთის ფარულ აგენტობასა“ და მის ამონაკვენესს შორის – „სიცოცხლე გასანყინარდაო...“ (ხვედელიანი 2000: 163).

ზემომოხმობილი „განკითხვანი“, კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ როგორც სუიციდია თავისი არსით შეუცნობელი და არაერთგვაროვანი, ასევე ყოვლად შეუძლებელია, რომ დავარის სახე მთლიანად ქაჯთა „გრძნეული გონის“ უკიდურესობით წარმოვადგინოთ. ვფიქრობ – ასეთ შემთხვევაში კიდევ მრავალი კითხვა დარჩება უპასუხოდ...

სწორედ ამან წარმოშვა ეს თავისუფალი ხედვა;

როგორ მოხდა, ჩვენში მხოლოდ საბედისწერო დუმილისა თუ „არხსენების“ მიღმა არსებობდა სუიციდი (ინერციით – ეს დღესაც გრძელდება...)?! ეგებ, ამიტომაც არ აისახა ეს ფენომენი დანაშაულის კატეგორიით, ვახტანგ VI-ის „სამართლის ნიგნში“. თუმცალა „ვეფხისტყაოსანში“ ქართველი ერის სულსანიერში, სუიციდის სრულქმნილი კონცეფციაა – ფილოსოფიურ თუ ეზოთერიკული „აქცენტებით“; რაც გარევეულ საფიქრალს აჩენს და ამასანავე – უშვებს იმ აზრს, რომ წარმართულ საქართველოშიც შეიძლება ყოფილიყო (წინარე ცივილიზაციების მსგავსად) თავისუფალი დამოკიდებულება „ნებაყოფლობითი“ სიკვდილის მიმართ. შეიძლება ესეც იყო ერთ-ერთი ფაქტორი, რომ საქართველო ამ გზით გადაურჩა რესპრესიების იმ ციკლს, რაც თითქმის მთელი ათასი წელი მძვინვარებდა ევროპაში. ეს ქართული შემწყნარებლობის უმთავრესი ასპექტია, რომელიც, თავის მხრივ, სიკვდილის ერთგვარ რიდასაც ითვალისწინებდა ყოველთვის. შეიძლება ამითაც უნდა აიხსნას საქართველოს სრულიად უშვეულო დამოკიდებულება თვითმკვლელობის მიმართ, რითაც ის როგორც დასავლეთს, ისე აღმოსავლეთს ემიჯნებოდა. ამასთანავე, ჩვენში არც სიკვდილით დასჯა და არც სუიციდის მსხვერპლთა შეურაცხყოფა არ იქცა ერთგვარ სანახაობად.

რადგან ისტორიულად – ქართველი ერი ზნეობრივი თვითშეცნობისა თუ თვითშეფასების საკუთარ გზის ადგა ყოველთვის. თვითმკვლელობა კი, როგორც სულის ამბოხისა თუ სულის დაშრეტის მარადიული დილემა, რაღაც განსხვავებულ დამოკიდებულებას ითხოვდა. ეგებ, ამიტომაც დაიტოვა საქართველომ ერთგვარი უსასრულო დუმილის უფლება.

დამოცვებანი:

აკუნინი 2014: აკუნინი ბ. მწერალი და თვითმკვლელობა. თბილისი: „ინტელექტი“, 2014.

გამსახურდია 1991: გამსახურდია ზ. ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება. თბილისი: „მეცნიერება“, 1991.

გასაძე 2005: გასაძე თ. „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული შინაარსის კომენტარები. თბილისი: „უნივერსალი“, 2005.

ვახტანგ VI 1955: ვახტანგ VI. სამართლის ნიგნი. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1955,

ზაქარიაძე 2011: ზაქარიაძე ა. „სუიციდის პრობლემა – ქრისტიანული პერსპექტივა“. ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი. № 1. 2011.

რუსთაველი 1966: რუსთაველი შ. ვეფხისტყაოსანი. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1966.

ტრეგუბოვი... 1993: Трегубов Л., Вагин Ю. *Эстетика самоубийства*. Пермь: издательство “КАПИК”, 1993.

ხვედელიანი 2000: ხვედელიანი თ. „დავარის სახის ინტერპრეტაციისათვის“. მოთა რუსთაველი. სამეცნიერო მრომების კრებული. ტ. I. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, მოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. თბილისი: 2000.

SALOME OMIADZE

Georgia, Tbilisi

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

“Happiness/Good Luck” and “Misfortune/Bad Luck” in “Vepkhistkaosani” and Felicity

From the antique epoch until today from the famous felicity conceptions, in the frames of which pursuit to happiness is invariant, and the source of happiness and its locus create variance, deontological theory is the conceptual scheme, the realization of which is the whole “Vepkhistkaosani” (“The Knight in the Panther’s Skin”).

Any action of the personages of the poem is always based on obligation before anybody (God, lord, friend, sweetheart...). Their happiness also is based on obligation. The heroes of “Vepkhistkaosani” became happy only after fulfillment of their obligations.

During performing of their obligations, sometimes the fortune favors the heroes of the poem and sometimes does not. “Happiness/Good luck” (“misfortune/bad luck”), “providence” “earthly life” – are the concepts, by description of which is formed complete picture to see “Vepkhistkaosani’s” felicity conceptions in the context.

Key words: felicity conceptions, deontological theory

სალომე რმიაძე

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„ბედი“ და „უბედობა“ „ვეფხისტყაოსანში“ და ფელიციტური კონცეფციები

ანტიკური ხანიდან დღემდე ცნობილ ფელიციტურ კონცეფცია-ათაგან, რომელთა ფარგლებშიც ინვარიანტულია ბედნიერებისაკენ სწრაფვა, ხოლო ვარიანტულობას ბედნიერების წყარო და მისი ღოკუ-სი ქმნის, დეონტოლოგიური თეორიაა ის კონცეპტური სქემა, რომლის ხორცებსმასაც წარმოადგენს მთელი „ვეფხისტყაოსანი“.

პოემის პერსონაჟთა ნებისმიერი ქმედება მუდამ ვიღაცის (ლვთის, პატრონის, მეგობრის, მიჯნურის ...) წინაშე არსებული მოვალეობითაა ნაკარანხები. მათი ბედნიერებაც მოვალეობაზე გადის. „ვეფხისტყაოს-ნის“ გმირები მხოლოდ ვალმოხდილი ხდებიან ბედნიერები.

მოვალეობათა შესრულებისას პოემის გმირებს ხან სწყალობთ ბედი, ხან არა. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე ამ მიმართულებით დაკ-ვირვებამ ცხადყო, რომ ბედის კონცეპტის ცნებითა შემადგენელი ორი რიგის – გარე და შიდა – ნიშნებით ყალიბდება. გარეგან სემანტიკურ მახასიათებელს ქმნის „ბედის“ ცნების ისეთი დისტინქტური ნიშანი, როგორიცაა სუბიექტის მიერ საკუთარი ბედის დადებითად შეფასება. ეს შეფასება ფელიციტურია, ანუ ისეთი შეფასებაა, როცა სუბიექტი რეალური ბედის იდეალურ ბედთან შესაბამისობის ხარისხს აფასებს. მის საფუძველს ქმნის სემანტიკური ნიშანი, რომელიც საშუალებას იძლევა განვასხვაოთ ბედნიერი მოვლენები უბედური მოვლენებისა და ფელიციტურად განურჩეველი მოვლენებისგან. აღნიშნული კონცეპ-ტის შიდა სემანტიკურ სივრცეს დინამიკურად ავსებს არსითი ნიშნები, რომლებსაც იგი ქართველთათვის, როგორც ეთნოენობრივი ერთობის წევრთათვის, ტიპობრივ კონცეპტურ სქემებში შეჰყავს.

ბედი ქართულ დისკურსში სინონიმთა ფართო წრეს ქმნის: ბედის-წერა, ნერა, ბედ-იღბალი, განგება, ხვედრი, წილი, იღბალი, ყისმათი, ნასიბი, ეტლი, ვარსკვლავი და სხვ. ისინი ავლენენ ბედის, ასე ვთქვათ, ელფერებს, რომელთაგან ზოგი სტილისტიკური ხასიათისაა, ზოგში სე-მანტიკურ-ნიუანსობრივი, ზოგში კი აქსიოლოგიური განსხვავება ჩანს, მაგრამ არსებითი კონცეპტური ნიშნები თითოეული მათგანის ცნების შინაარსში იგულისხმება.

„ბედის“ კონცეპტის აღწერა „ვეფხისტყაოსანში“ ბედისა და განგების მიმართების განხილვის გარეშე შეუძლებელია.

ბიბლიის მიხედვით, განგება არის განგება ღვთისა, რომელიც ყველაფერზე ვრცელდება. ის ზოგჯერ მიუწვდომელი და საიდუმლოებრივია, მაგრამ ყოველთვის – მართალი. იგი ცხადად ჩანს ყველა შემთხვევის წარმართვაში, ცუდი გეგმების ჩაშლაში. არავის შეუძლია წინ აღუდგეს ან წინააღმდეგობა გაუწიოს მას. ის აღსავსეა მადლითა და ქვეყანაზე ზრუნვით. მხოლოდ ბოროტნი უარყოფენ ღვთის განგებას, მაგრამ თვითონაც ღვთის განგების აღსრულების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენ (ლექსიკონი 2009: 170-171).

ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიული თხზულებების მიხედვითაც, განგება არის განგება ღვთისა.

ბიბლიასა და ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში ბედი, როგორც ლექსიკური ერთეული გავრცელებული არ არის. „ვეფხისტყაოსანში“ კი ორივე იხმარება, ამასთან, ბედი ბევრად უფრო ხშირად, ვიდრე განგება. პოემაშიც განგების გარეშე არაფერი ხდება, მას ვერავინ შეცვლის, ის ღვთის წინასწარი გადაწყვეტილებაა:

უღმრთოდ ვერას ვერ მოვაწევ, ცრემლი ცუდად მედინების,
განგებასა ვერვინ შესცვლის, არ-საქმები არ იქმნების.

(რუსთაველი 1957: 44)

განგებაა, დღესცა მომკლავს, ქვემცა სადა დავიმალე?!

(რუსთაველი 1957: 96)

უგანგებოდ ვერას მიზმენ, შე-ცა-მებნენ ხმელთა სპანი,
განგებაა, არ დავრჩები, ლახვარნია ჩემთვის მზანი“

(რუსთაველი 1957: 219)

განგების დეფინიციისათვის განსაკუთრებით საინტერესოა პოემის ის ადგილი, როცა მექობრების დამარცხებისთვის ვაჭრები ავთანდილს მადლობასა და ქებას ეუბნებიან:

შენგან დავპრჩით ჩვენ ყველანი ფათერაკსა ეზომ ძნელსა.
(რუსთაველი 1957: 221)

ყმამან უთხრა: „მადლი ღმერთსა, შემოქმედსა, არსთა მხადსა, ვისგან ძალნი ზეციერნი განაგებენ აქა ქმნადსა,

იგი იქმენ ყველაკასა, იდუმალსა, ზოგსა ცხადსა;
ხამს ყოვლისა დაჯერება, ბრძენი სჯერა მოწევნადსა.
(რუსთაველი 1957: 221)

ავთანდილის სიტყვების აზრი ასეთია: მადლობა მე კი არ მეკუთ-
ვნის, არამედ ღმერთს, ვისი ბრძანებითაც ზეციური ძალები (ანგელო-
ზები) ამქვეყნად ყოველ მოქმედებას განაგებენ, ჩვენ კი უნდა დავჯერ-
დეთ ლვთის გარდაუვალ განჩინებას, ბრძენი მოსახდენს მიიღებს, არ
შეეწინააღმდეგება.

რუსთაველი არ იძლევა განგების შეფასებას, არ ამბობს მასზე, რომ
იგი კარგია ან ავი და ბოროტია, მით უფრო, რომ უსამართლოა. პოემის
გმირები არ ემდურიან განგებას, არც მადლობას უხდიან (ღმერთს – კი:
„მადლი ღმერთს“), არც ედავებან, არც ეშინიათ მისი. სრულიად სხვა
დამოკიდებულება ჩანს ამ თვალსაზრისით ბედთან მიმართებით.

ბედი შეიძლება იყოს ავი, შავი, უბედო:

მაგრა ავის ბედისაგან ჩემი რამცა გამიკვირდა!
(რუსთაველი 1957: 181)

თავსა ვსტიროდი, ვიტყოდი, **ბედითა მეტად ავითა:**
„მზე თუ არ ვნახო, არ ვიცი, ვიარო ვითა და ვითა!“
(რუსთაველი 1957: 89)

ვაზირი გაწილებული მივა **ბედითა შავითა.**
(რუსთაველი 1957: 162)

გჰკადრე: „მზეო, **ბედმან შავმან** ვით მიმუხთლა, ჰედავ, რულად!“
(რუსთაველი 1957: 246)

ბედი უბედო – ჩემზედა მიწყივ ავისა მქმნელია.
(რუსთაველი 1957: 246)
ლარიბი ვინმე, შემსწრობი ვარ **უბედოსა ბედისა.**
(რუსთაველი 1957: 240)

ვისაც უბედო ბედი აქვს, ის უბედურია:

თვითცა მოკვდა **უბედური**, მართ საცოცხლოდ არად ვარგა.
(რუსთაველი 1957: 327)

ამას მით ვაზრობ, მინახავს მე **უბედურსა** შობილსა.
(რუსთაველი 1957: 181)

როცა ტარიელმა და ავთანდილმა გამოქვაბულში ნაპოვნი ჯაჭვ-
მუზარადი მოირგეს,

თქვეს: „ესე ნიშნად გვეყოფის, ვართო **კარგითა ბედითა**“.
(რუსთაველი 1957: 282)

ბედით კმაყოფილების გამოხატვის სხვა ფორმებიც გვხვდება:

მან მითხრა: „**ბედი ღმრთისაგან მიჯობსლა ამას რომელი?**
მოსრულხარ ჩემდა წყალობად მეფე ინდოეთს მჯდომელი“.
(რუსთაველი 1957: 139)

ბედი მეფისა ჩვენისა არსთაგან სანატრელია.
(რუსთაველი 1957: 256)

კვლა უძლვნა ძლვენი ორთავე, **მსგავსი მათისა ბედისა.**
(რუსთაველი 1957: 322)

— შედარებაა ნესტანისა და ტარიელის ბედთან, რომელიც ბოლოს
გაპრწყინდა.

ჰე, ასმათო, მოგვივიდა მოწყალება ღმრთისა ზენით,
ვპოვეთ მთვარე დაკარგული, რაცა გვწადდა, იგი ვქმენით,
ან გავხედით **ბედისაგან** ცეცხლთა შრეტით, ჭირთა ლხენით.
(რუსთაველი 1957: 280)

— ე. ი. ბედმა ტანჯვის ცეცხლი გაგვიქრო და მწუხარებისგან
განგვეურნაო (რუსთაველი 1974: 432).

ავ ბედზეა საუბარი ნესტანის წერილში, რომელსაც სატრფოს უგ-
ზავნის:

ან სოფელმან უარესი ჭირი ჭირსა მომისართა,
არ დასჯერდა **ბედი** ჩემი მათ პატიჟთა მრავალგვართა,
კვლაცა მიმცა შესაპყრობლად ქაჯთა ძნელად საომართა,
ბედმან გვიყო ყველაკაი, ჩემო, რაცა დაგვემართა.
(რუსთაველი 1957: 269)

შემდეგ ნესტანი წერს:

რაცა ვიჩივლე ბედისა ჩემისა, კმა საჩივარად.
(რუსთაველი 1957: 271)

ჩივილი, ბედის სამდურავი, საყვედური ჩვეულებრივია პოემაში:

ჰე მეფეო! რად ემდურვი ანუ ღმერთსა, ანუ ბედსა?
(რუსთაველი 1957: 29)

დავვიწყებივარ სიკვდილსა, ნახეთ ნაქმარი ბედისა!
(რუსთაველი 1957: 182)

რად მიმეცო ამა ჭირსა? ბედსა ამას უზრახვიდა.
(რუსთაველი 1957: 183)

ქალი პირ-მზე ბედსა ეტყვის: რა ბედი მიც ჩემი მკვლელი!
(რუსთაველი 1957: 249)

საყვედური და დადანაშაულება ისმის პოემაში უფრო ხშირად საწუ-
თოსა და სოფლის მიმართ, ანუ წუთისოფლის მიმართ, რაც იგივე
ამქვეყნიური ცხოვრებაა (შდრ. გამოთქმა დღე და სოფელი, ჩემი დღე
და მოსწრება) ლექსიკურად გამოხატული დროისა და სივრცის კატე-
გორიებით. წუთისოფლის ცნება „ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილია
ორი სიტყვით – ხან ცალ-ცალკე – „თუ საწუთომან დამამხოს, ყოველ-
თა დამამხობელმან“ (რუსთაველი 1957: 170), „რა ჭირი კაცსა სოფელ-
მან მოუთმოს მოუთმინამან“ (რუსთაველი 1957: 149), ხან ერთმანეთთან
მეზობლობით – „საწუთო და სოფელს ყოფა, კაცი უჩნსო, ვით ნა-
დირსა“ (რუსთაველი 1957: 150), ან აშკარად სინონიმური სიტყვახმარე-
ბით – „მიწყი წყლულდების, საწუთო მისი აროდეს მრთელია. / იგი
მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია“ (რუსთაველი 1957: 279)**.

* შდრ. დ. გურამიშვილი: „სული მშორდება, ხორცი მშორდება, ვაი საწუთო, ცრუო
სოფელო“. ამ ორი სიტყვის ზუსტად იგივე მნიშვნელობა და მიმართებაა „ვეფხისტყ-
აოსანში“, ამიტომ დასაზუსტებელია მეტყვიდრეობითობის თვალსაზრისით მოსაზ-
რება: „XVII-XVIII სს. ქართული აზროვნებისათვის, გარკვეულ მიზეზთა გამო, დამ-
ახასიათებელი იყო „საწუთოსა“ და „სიკვდილის“ ცნებათა იდენტურობა, რასაც დ.
გურამიშვილმა დაუსვა წერტილი“ (რუსეთ 2005: 44). აქვე გავისენებთა გურამიშვი-
ლის „გოდებიდან“ ადგილს, სადაც ბედი, წუთისოფელი და სიკვდილი ერთადაა ნახ-
სენები: „რად მშვა დედამ, შავმა ბედამა? / წუთი სოფელო, ცულ სამყოფელო, / ვამე,
სიკვდილო, სულთა მძრობელო!“ (გურამიშვილი 1955: 231).

ანუ ქართულ ცნობიერებაში ამქვეყნიური, მიწიერი ცხოვრება დროისა და სივრცის კოორდინატთა გადაკვეთაა – დროის გზა სივრცეზე გადის. ამიტომ დრო სივრცეს ზომავს და თვითონ სივრცითვე იზომება (მდრ.: „სიგრძე უამთა და წელიწადი ცხორებისანი ... შეგეძინოს შენ“ – წიგნი სიბრძნისა სოლომონისა 3:2). ქართული სიტყვა **წუთისოფელი** ამ წარმოდგენათა და ცოდნათა შემკრებია, ამასთანავე, შემფასებლური მიმართების (წუთი ნიშნავდა წუთიერს, დროებითს, საწუთრო – **წარმავალს**) გამომხატველიც. თუ „საწუთრო“ ცხოვრებას დროის ასპექტით სდებდა სახელს, ხოლო „სოფელი“ – სივრცის, „წუთისოფელმა“ ორივე ასპექტი გააერთიანა ერთ სიტყვაში, რომელიც სავსებით გენიალურად ასახავს იმ იდეას, რომ ადამიანის ცხოვრება („დღე და სოფელი“, „წუთი-სოფელი“) დაკავშირებულია თვით ამ ცხოვრების დროითს თანამიმდევრობასთან. ეს კი წინ უსწრებს მე-20 საუკუნის მეცნიერებისათვის დამახასიათებელ იდეებს დროისა და სივრცის, როგორც შემეცნების ფორმების, განუყოფლობის შესახებ ბუნებასა და თვით ენაში. „წუთი-სოფლის“, როგორც ცხოვრების ცნების აღმნიშვნელი სიტყვის, დამახასიათებელი თავისებურება (ეროვნულ-ენობრივი სპეციფიკა) ის არის, რომ დრო მასში შემჭიდროვებულია (წუთი – „ცოტა“), ხოლო სივრცე (სოფელი – „ქვეყანა“) – ინტენსიფიკირებული, ჩათრეული დროის მოძრაობაში. დროისა და სივრცის ერთიანობის სწორედ ამგვარმა გაგებამ გამოიწვია ცვლილებები არათუ სამყაროს მეცნიერულ სურათში, არა ამედ ჩვენი ეპოქის რელიგიურ-ფილოსოფიურ აზროვნებაშიც (ომიაძე 2009: 101-102).*

„ვეფხისტყაოსანში“ ბედის მდურვას ძალიან ჰგავს სოფლის მდურვა. ამაში დავრწმუნდებით, ქვემოთ წყვილად მოყვანილი ტაეპები ერთმანეთს რომ შევადაროთ:

გულო, გაგსაჯა **სოფელმან**, არ ვიცი და, გლახ, რას ები!
(რუსთაველი 1957: 258)

გული თქვენი სასაკუთრო **ბედმან** ასრე დამილენა.
(რუსთაველი 1957: 332)

* „წუთისოფლის“ შინაარსს ძალიან ჰგავს მ. ბახტინის მიერ ბუნების მეცნიერებათა-გან აღებული **ქრონოტობის** (ბერძ. **chronos** – დრო, **topos** – ადგილი) (ცნება, რომელსაც დაამყარა მნი თავისი მოწინავე იდეები სივრცით-დროითი სახეების ღირებულებითი ბუნებისა და სივრცისა და დროის ასპექტთა ერთიანობაში გმირთა სამყაროს ანალიზის შესახებ (იხ. ბახტინი 1975).

მისგან ტყვე-ქმნილსა **სოფელმან** რა მიყო, ამას ჰედაო?

(რუსთაველი 1957: 266)

დავვიწყებივარ სიკვდილსა, ნახეთ ნაქმარი **ბედისა!**

(რუსთაველი 1957: 182)

ან **სოფელმა** უარესი ჭირი ჭირსა მომისართა.

(რუსთაველი 1957: 269)

რად მიმეცო ამა ჭირსა? **ბედისა** ამას უზრახვიდა.

(რუსთაველი 1957: 183)

თუ ბედისა და სოფლის (საწუთროს) განსაზღვრებებს განვიხილავთ, დავინახავთ, რომ რუსთაველთან ბედი შეიძლება იყოს: კარგი, ავი, შავი, მკვლელი, მუხხთალი (გომუხთლოს), ხოლო სოფლისთვის უფრო ფართო წრეა ნარმოდგენილი: ცრუ, მუხთალი, ძვირი, ბინდის გვარი, უხანო (გაუტანელი), არავისგან მისანდობელი, ყოველთა დამამხობელი, სამსალა, კრული, ფლიდი, ამავე დროს, სოფელს თავისი წესი აქვს, რასაც ბედს ვერ მიაწერ:

საწუთრო ნაცვლად გვატირებს, რაც ოდენ გაგვიცინია.

ძველი წესია სოფლისა, არ ახლად მოსასმინია“

(რუსთაველი 1957: 196)

ვა, საწუთრო ბოლოდ თავსა ასუდარებს, აზენარებს.

(რუსთაველი 1957: 153)

აწყა ვცან საქმე სოფლისა ზღაპარია და ჩმახია.

(რუსთაველი 1957: 153)

თქვა: „ცოცხალ ვარ, საწუთრომან აწცა ჩემნი სისხლნი ხვრიტნა“.

(რუსთაველი 1957: 108)

ვა, სოფელო უხანოო, რად ჰზი სისხლთა ჩემთა ხვრეტად?“

(რუსთაველი 1957: 117)

ვა სოფელო, რაშიგან ხარ! რას გვაძრუნებ, რა ზნე გჭირსა!

ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!

(რუსთაველი 1957: 203)

„ბედი“, „უბედობა“, „განგება“, „საწუთრო“, „სოფელი“ ის კონცეპტებია, რომელთა აღნერითაც სრული სურათი იქმნება „ვეფხისტყ-

აოსნის“ ფელიციტურ კონცეფციათა კონტექსტში დასანახად. პოემის პერსონაჟები დასახელებულთა მიმართ დადებითსა თუ უარყოფით დამოკიდებულებას სწორედ მაშინ გამოხატავენ, როდესაც გარკვეული მოვალეობის შესრულებისას საქმე კარგად მისდით ან ხელი ეცარებათ.

ბედის კონცეპტის სემანტიკური ანალიზით განისაზღვრა ცნობიერების ტიპიც, სადაც იგი ხორცს ისხამს. ეს, ერთი მხრივ, ყოფითი ცნობიერებაა, ხოლო მეორე მხრივ – რელიგიური, სადაც **ბედის** სემანტიკური დუბლეტი (მის სინონიმად მოყვანილი ლექსიკონებში) – **განგება** ფუნქციონირებს. შეიძლება ითქვას, რომ განგება „ვეფხისტყაოსანში“, ისევე როგორც ქართულ ცნობიერებაში, ბედის კონცეპტის ჰიპოსტაზირებულ სუბიექტურ მომენტად გვევლინება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ბედის“ (// „უბედობის“), „განგების“, „სოფლისა“ და „საწუთოის“ მონანილებით შექმნილ კონტექსტებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ მათი აქტუალიზება ყოველთვის მოვალეობის შესრულებას უკავშირდება, სწორედ მოვალეობის შესრულებით მოგვრილი ბედიერებაა ის, რაც ფელიციტურ კონცეფციათა ჭრილში „ვეფხისტყაოსანს“ დეონტოლოგიური თეორიის რეპრეზენტაციად ნარმოაჩინს.

დამოხევანი:

ბახტინ 1975: Бахтин М. Вопросы литературы и эстетики. Москва: Художественная литература. Москва: 1975.

გურამიშვილი 1955: გურამიშვილი დ. დავითიანი. თბილისი: „საბჭოთა მწერალი“, 1955.

ლექსიკონი 2009: ბიბლიის ლექსიკონი (მასალები). ტ. I, შემდგ.: ე. გიუნაშვილი, ზ. კალანდაძე; რედ. ზ. სარჯველაძე., თბილისი: „მთაწმინდა“ (გამოც. წარმოადგენს 2000 წელს ამსტერდამში დასტამბული „ბიბლიის ლექსიკონის“ რეპრინტს). 2009.

ომიაძე 2009: ომიაძე ს. ქართული დისკურსის კულტუროლოგიური პარადიგმა. თბილისი: 2009.

რუსთაველი 1957: რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა სარედაქციო კოლეგიამ ალ. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე; ლექსიკონი შეადგინა ა. შანიძემ). თბილისი: „სახელგამი“, 1957.

რუსთაველი 1974: რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი, და კომენტარი დაურთონ ნ. ნათაძემ). თბილისი: „განათლება“, 1974.

რუხაძე 2005: რუხაძე ლ. „პერის მცველის“ სახისმეტყველებისათვის „დავითიანში“. სამეცნიერო შრომების კრებული „დავით გურამიშვილი – 300“. თბილისი: „ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2005.

„ვეფხისტყაოსანი“ და თანამედროვე ლიტერატურული
პროცესი. კლასიკის დე/რეკონსტრუქცია:
ნარაციული და რეცეფციული სტრატეგიები
“The Knight in the Panther’s Skin” and Modern
Literary Process. Re/De/construction of Classics.
Narrative and Reception Strategies

NATO GULUA

Georgia, Kutaisi

Akaki Tsereteli State University

**Levan Gotua’s Drama “ Shota Rustaveli “ in
the Context of Modern Literary Criticism**

Levan Gotua’s Drama “Shota Rustaveli“, written in the first four decades of the 20th century, was published after the death of the writer in 1979 year (“Soviet Art“, # 4). In fact, Georgian literary criticism did not show any interest towards this work, with the exception of certain responses. Analyzing this play from the modern approach will enable us to identify its place in writer’s works and generally in the history of 20th century Georgian Drama.

Key words: Modernism, Georgian dramaturgy, Literary criticism

ნათო გულუა

საქართველო, ქუთაისი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ლევან გოთუას დრამა „შოთა რუსთაველი“
მოდერნიზმის კონტექსტში**

გასული საუკუნის 40-იან წლებში დაწერილი ლევან გოთუას დრა-
მა „შოთა რუსთაველი“ მნერლის გარდაცვალების შემდეგ, 1979 წელს
დაიბეჭდა („საბჭოთა ხელოვნება“, № 4, რედ. თამაზ ჭილაძე). ქართუ-
262

ლი ლიტერატურული კრიტიკა ფაქტობრივად არ დაინტერესებულა ამ ნაწარმოებით, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ გამოხმაურებებს (კანკავა 1985).

ჩვენი ნაშრომის მიზანია ვაჩვენოთ მოდერნიზმის როგორც დროის ნიშანთა სისტემის რეცეფცია ლ. გოთუას დრამაში „შოთა რუსთაველი“, განვსაზღვროთ მისი ადგილი ავტორის შემოქმედებასა და საერთოდ ქართულ დრამატურგიაში, ასევე თავად ავტორის, როგორც შინაგანი ემიგრანტის, შემოქმედების როლი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ცნობილი ფაქტია, რომ გასული საკუუნის 40-იანი წლებიდან ქართულ მწერლობაში ისევ გამოიკვეთა ეროვნული იდეისადმი აშკარა ინტერესი. მართალია მოდერნიზმის, როგორც მიმდინარეობის, განვითარება 30-იან წლებში შეწყდა, მაგრამ მოდერნიზმისთვის დამახასიათებელი ელემეტები, სხვადასხვა ინტერპრეტაციით, კვლავაც გამოვლინდა ომისშემდგომი პერიოდის ცალკეულ მწერალთა შემოქმედებაში. სწორედ ამ ხანაში იქმნება ლ. გოთუას დრამატული ნაწარმოებები. მწერალი, ძირითადად, ცდილობს ლეგენდარულ გმირთა სახეები გამოკვეთოს და ამგვარად გამოხატოს საკუთარი პოზიცია ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მიმართ, გააღვივოს მინავლული ეროვნული იდეა. მისი დრამები: „მეფე ერეკლე“ (გოთუა 1956) და „დავით ადმაშენებელი“ (ლხცსა 125:63) ნარმატებით იდგმებოდა სცენაზე, რასაც ვერ ვიტყვით „შოთა რუსთაველზე“, რომელიც მხოლოდ ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა.

დრამა „შოთა რუსთაველის“ შექმნა ისტორიული და ამავე დროს, ლეგენდარული, გმირული ხასიათის გამოსახვის ერთ-ერთი თამამი მცდელობა იყო ქართულ ლიტერატურაში. შოთა რუსთავლის შესახებ არსებული ბიოგრაფიული ცნობების სიმცირემ, მისი ცხოვრების ირგვლივ ხალხში გავრცელებულმა განსხვავებულმა ვერსიებმა დიდი გასაქანი მისცა მწერლის ფანტაზიას პოეტის მხატვრული სახის შექმნისა და დრამაში განვითარებული მოვლენების ნარმოსახვისას.

ნაწარმოების სიუჟეტი ვითარდება შოთა რუსთავლისა და მისი თანამედროვე დიდებულების, ასევე მაღალი რანგის სასულიერო პირების დაპირისპირების ფონზე, რის შედეგაც პოეტს სამშობლოდან გადახვეწა მოუხდა. ავტორს შოთა რუსთაველი დახატული ჰყავს როგორც განსხვავებულად მოაზროვნე, დადგენილი წესებისა და ნორმების უარყოფისათვის განდევნილი. ლ. გოთუას, თავად შინაგან ემიგრანტს, ცხადია, განსაკუთრებით ხიბლავდა სიკვდილის შემდეგ

საყოველთაოდ აღიარებული პოეტის ბედი. შოთა რუსთაველის პორტრეტის შექმნისას მწერალს ყურადღება გამახვილებული აქვს გმირის მისწრაფებაზე – ბოლომდე დაიცვას საკუთარი პოზიცია, შეინარჩუნოს ადამიანური ლირსებები, პირად ინტერესებზე მაღლა დაყენოს სამშობლოს სიყვარული.

გადმოცემის მიხედვით, შოთა რუსთაველი იდევნებოდა სასულიერო პირების მიერ. მეცნიერთა დიდი ნაწილი (შ. ნუცუბიძე, პ. ინგოროვა, ი. ვართაგავა, ა. განერელია და სხვები) სწორედ გადმოცემებს ეყრდნობა და პოეტის სამშობლოდან განდევნის სხვადასხვა მიზეზს ასახელებს: სარწმუნოებიდან განდგომა, ავტორის მსოფლმხედველობა, პანთეისტური მატერიალიზმის იდეოლოგია, ნეოპლატონიკოსობა... მ. დაღანიძე კი, მრავალრიცხოვან ფოლკლორულ ტექსტებზე დაყრდნობით, შეეცადა ჩამოეყალიბებინა **რუსთაველის მითოსი**, ანუ ერგენებინა როგორ წარმოსახავს ფოლკლორული ცნობიერება შოთა რუსთაველის ცხოვრების გზას, მის სახესა და ხვედრს (დაღანიძე 2010) და დასკვნას, რომ ტექსტების დიდი ნაწილის მიხედვით, რუსთაველი მამულიდან განიდევნა ჩადენილი დანაშაულის, მისი საზოგადოების გარკვეულ ნაწილთან, ხელისუფლებასთან შეუთავსებლობის გამო.

ამ გადმოცემათა და შეხედულებათა ანარეკლი აშკარად საგრძნობია დრამაში. შოთა რუსთაველის განდევნის ზემოჩამოთვლილი სავარაუდო ბრალდებები სხვადასხვა ინტერპრეტაციით გაუდერებულია ლ. გოთუას ნაწარმოებშიც: „შე მკრეხელო! განდგომილო! ახალი ცდუნების მთქმელო! შენი წიგნებით ლუპაც საქართველოს!“... „შენ ხარ დამნამავე, შენ! შენი შაირებით! შენი აზრებით! მრუდე გატანით!“... „შენ ფესვები წარსულში გაქვს!“... – ამგვარი ბრალდებებით „ამკობენ“ პოეტს დიდებულები და კათალიკოსი. რაც შეეხება მიქელ კათალიკოსის დამოკიდებულებას „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელისადმი, სავსებით ემთხვევა გადმოცემას თამარ მეფის თანამედროვე იოანე კათალიკოსის შესახებ, რომელიც შოთა რუსთაველს „ქრისტიანობის შემმუსვრელად“ მოიხსენიებს (მთანმინდელი 1884).

დრამაში ჩართულია ის ეპიზოდი საქართველოს ისტორიიდან, როდესაც ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურმა დასმა მოითხოვა თამარ მეფისაგან პარლამენტის მსგავსი დაწესებულების, ე.წ. „ისნის კარვის“ დადგმა, სადაც საკანონმდებლო უფლებები მიენიჭებოდათ არა მარტო მსხვილ ფეოდალებს, არამედ ქალაქის მოსახლეობასაც. როგორც ცნობილია, ეს მოთხოვნა არ შესრულდა, მაგრამ ამ მოვლენას ავტორი აფასებს როგორც პროგრესულს და ამ დასის თანამოაზრედ გვიხატ-

ავს შოთა რუსთაველს, რომელსაც მიაჩნია, რომ ადამიანები ნიჭითა და ერის ნინაშე დამსახურებით უნდა გამოირჩეს. აქ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ისტორიაში მოხსენებულია თამარ მეფის თანამედროვე მიქელ კათალიკოსი, რომელსაც მკვლევართა ერთი ნაწილი რეაქციონერ დიდგვაროვანთა ჯგუფის წარმომადგენლად მიიჩნევს და მის სახელთან აკავშირებენ ადამიანების არა ლირსებით, არამედ გვარის მიხედვით დაწინაურების დამკვიდრებას (ანთელავა 1984: 24).

დრამა „შოთა რუსთაველი“ მიმართულია ადამიანის აზროვნების შეზღუდვის, კარჩაკეტილობის ნინააღმდეგ. როცა ის შეიქმნა, დიდი დრო არ იყო გასული დრამა „დაძირული სოფლის“ (ლხცსა 125: 107) დაწერიდან. ამ პიესასთან დაკავშირებულმა ისტორიამ მოახდინა იმის პროვოცირება, რომ ლ. გოთუას შემოქმედების ერთ-ერთი წარმმართველი თემა პროგრესული, თავისუფალი აზრის დევნა გამხდარიყო. მას შემდეგ, რაც მწერლისგან მოითხოვეს პიესა „დაძირული სოფლის“ ფინალის გადაკეთება იმ მოტივით, რომ ავტორის თანამედროვე ეპოქაში მიუღებელი იყო მთავარი გმირის სიკედილი ძევლი ტრადიციებითა და სულიერი კულტურით აღსაგესე სამყაროსთან ერთად, და რასაც ახალგაზრდა მწერალი პრინციპულად არ დაეთანხმა, გოთუას შემოქმედებაში დამკვიდრდა თავისუფალი ხელოვანის ტრაგიული ბედის იდეა. თუკი მანამდე მის მიერ დახატული შემოქმედი ადამიანები, მეფეებისა და ერის მფარველობის ქვეშ მყოფები, ლალად გრძნობდნენ თავს (მაგალითად, როგორიცაა „დავით აღმაშენებლიდან“ გუდარეხვაი), შოთა რუსთაველი დრამიდან „შოთა რუსთაველი“, იოანე უტყვი „ყინცვისის ანგელოზიდან“ (გოთუა 1963), მართაზი „სერაფიტიდან“ (გოთუა 1981), ნათია რომანიდან „ლეკვი ლომისა“ (გოთუა 1963), მწერალი მოთხრობიდან „ნისლი ნახატარის ტყეში“ (გოთუა 1963) თავისუფალი სულის ხელოვანები არიან და იბრძუიან თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. შოთა რუსთაველის, როგორც დრამის გმირის, ტრაგიული ცხოვრება ნათელი მაგალითია იმისა, როგორ იდევნებოდა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი დიდი თამარ მეფის ეპოქაშიც და დაუშვებელი იყო ახლის ძიება, რადგან ყველაფერი უკევე ნაპოვნად ეგულებოდათ. „ოქროს ხანაშიც“ კი „კაცის ხორცით იკვებებოდა დიდება“, ხოლო შინაურ მოაზროვნეს არასოდეს ჰქონია საყოველთაო დაფასება და თანაგრძნობა. თავად მგოსანი, როგორც თავისუფალი, გმირ-ბედნიერი ერის შეილი, კალმით ებრძვის უკეთურად განდიდებულებს „ყველა დროის უმართებულოდ კრულვილთა, განდევნილთა და განწირულთა სახელით“ (გოთუა 1979).

ამ შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ სუბიექტის, პიროვნების მიმართ ლ. გოთუას დამოკიდებულებაზე მოდერნიზმის თვალსაზრისით. მაშინ, როცა დრამა დაიწერა, სუბიექტი, როგორც კატეგორია, დაპირიპირებული იყო საზოგადოებასთან და არასრულყოფილად მიიჩნეოდა, რადგანაც არ შეესაბამებოდა საბჭოურ ნორმას – „ჩვენ“.

დრამაში ქრისტეს სახელს ამოვარებული მედროვეები, ისევე როგორც ლ. გოთუას თანამედროვე ეპოქაში საბჭოთა იდეოლოგიის გამტარებლები, ფრთებს აკვეცდნენ და მეხოტბებად აქცევდნენ განსხვავებულად მოაზროვნე მწერლებს. „ასე კვიმატობდნენ შავთელი, ჩახრუხაძე, სხვანი... შენზე არანაკლებ განსწავლული და ნიჭიცებულნი“, – მიქელ კათალიკოსის ეს ცინიკური დანაქადი იმ მუქარით აღსავსე წლების გამოძახილია, რომელშიც თავად მწერალს მოუხდა ცხოვრება.

განსხვავებით სხვა დრამებისაგან („მეფე ერეკლე“, „დავით აღმაშენებელი“, „თუთის პატარძალი“, „უძლეველნი“, „სამსახეობა რაინდისა“ (ლხცსა 125: 66), „დაძირული სოფელი“, „შოთა რუსთაველში“ მწერალმა ისეთი გამოსახვის საშუალებები გამოიყენა“ რამაც დრამა დაუახლოვა მოდერნისტულ მხატვრულ პრაქტიკას. მხატვრული ხერხი, როგორიცაა **ტექსტი ტექსტში**, ფართოდაა გამოყენებული დრამაში. ტექსტის ტექსტში ჩართვა განსხვავებული ფორმებითა და დანიშნულებით ხდება. სხვადასხვა ნაწარმოებში ის გვევლინება ეპიგრაფის ან რემინისცენციის სახით. ჩვენს შემთხვევაში კი ორი სხვადასხვა ტექსტი ერთვის ერთმანეთს; კერძოდ, ძირითად სიუჟეტურ ხაზს – ლეგენდა შოთა რუსთაველის ცხოვრების შესახებ – ორგანულად ერწყმის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი და მასში წარმოსახული მოვლენები. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს კითხულობენ ახალგაზრდა მწიგნობრები – შოთას „სულიერი ძმები და მოწაფეები“, მხატვარი ბერთუბნელი, კითხულობები ყველგან: სასახლეში, მდინარის პირას, ფარულად ტაძარში და ბრძოლის დროსაც კი, „ვეფხის წიგნიდან“ ამოგლეჯილი ფურცლები, მისი მადლიანი სტრიქონები, მტერზე სახელოვნად გამარჯვების მთავარ იარაღად ქცეულა. დრამაში თავიანთი აზრის დასასაბუთებლად ციტატები მოჰყავთ „ვეფხისტყაოსნიდან“; ფრაზა – „ქაჯეთის ციხის აღება“ განზოგადებულა და ზოგადად მტერზე გამარჯვებას, საწადელის ასრულებას, დასახული მიზნის მიღწევას ნიშნავს”; საერთოდაც, შოთას ლექსიკით მეტყველებენ პერსონაჟები, თვით პოეტის მოწინააღმდეგებიც კი. ეს მხატვრული ხერხი ავტორმა გამოიყენა იმის საჩვენებლად, თუ როგორ ზეგავლენას ახდენდა „ვეფხისტყაოსანი“ ერის სულიერ განვითარებაზე.

შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“ მომდევნო ხანაშიც გახდა ლ/გოთუას შთაგონების წყარო. ამ თემას უძღვნა მან მოთხრობა-თა ციკლი „ნამზევი რუსთაველისა“ („გარეჯულა“, „გელიყარის გაზაფ-ხული“, „ხანძთის ზარი“, „ქვის დედაენა“, „აზუზუნდი ფუტკარო“, „ვე-ფხის წიგნი და სვეტიცხოვლის სამყარო“, „გამჭვირვალე ფურცლები და ფიქრები“) (გოთუა 1968), სადაც უფრო ფართოდ გაიშალა დრამაში „შოთა რუსთაველი“ წამოქრილი საკითხები.

დრამაში გამოყენებული „შინაგანი მონოლოგი“, თავისი ხასიათითა და ფუნქციით, „მოთა რუსთაველს“ აახლოებს მოდერნისტულ ტექსტებთან, რადგან მოცემულ შემთხვევაში შინაგანი მონოლოგი პერსონაჟების არაცნობიერს წარმოაჩენს. ამ ხერხს მწერალი იყენებს ყველაზე სათუთი გრძნობების გადმოსაცემად. როცა თამარ მეფე და შოთა რუსთაველი ერთად დგანან სცენაზე, მაშინ თითოეული მათგანის არაცნობიერი სამყარო ვლინდება. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა შოთა რუსთაველის ემოციების გამოხატვისას:

„**შოთა.** (ფიქრი-ჩურჩული) – სულმნათი! ჩემთან ობოლ სენაკში! გულმა მიგრძნო!

თამარ. (ფიქრი-ჩურჩული) – ცოცხალი და უკვე უკვდავი!

შოთა. (ფიქრი-ჩურჩული) – ბედად გაჩენილი! დღეს ხომ იგი სრულიად საქართველოა!

თამარ. (ფიქრი-ჩურჩული) – საქართველოს დიდი შუბლი – ნათელი!

შოთა. (ფიქრი-ჩურჩული) – სათნობა, სიბრძნე და სილამაზე ასე საკვირველად და საქვეყნოდ ერთად!

თამარ. (ფიქრი-ჩურჩული) – დაუცხომელი სული ჩვენი ერისა!

შოთა. (ფიქრი-ჩურჩული) – მზე და სამშობლო ერთად!

თამარ. (ფიქრი-ჩურჩული) – დღეის მგოსანი და მომავლის ადამიანი!“

მოცემულ დიალოგში ავტორისეული რემარკის – **ფიქრი-ჩურჩული** – ხშირ გამოყენებას მიეცავართ იმ აზრამდე, რომ საქმე გვაქს არა უბრალოდ ფიქრის გახმოვანებასთან, არამედ ქვეცნობიერში არსებული აზრების უნებლივ გამუდავნებასთან. სწორედ ამ ფიქრი-ჩურჩულში ვლინდება შოთა რუსთაველის ჭეშმარიტი გრძნობები თამარ მეფის მიმართ. ავტორი აქაც არ ღალატობს ფაბულად გამოყენებულ ლეგენდას და დრამის მთავარი გმირიც ფარულად ეტრფის თამარს:

„**თამარ.** (ფიქრი-ჩურჩული) – დალოცვილი, მხოლოდ დალოცვილი ნიჭი ერისა!

შოთა. (ფიქრი-ჩურჩული) – ჩემი ერისა და ოცნების უნმინდესი!“

ნაწარმოების მხატვრული მხარის განხილვისას, მწერლის ყველაზე დიდ დამსახურებად მიგვაჩინია ისეთი მხატვრული ხერხის შემოტანა, როგორიცაა **თეატრი თეატრში** (წარმოდგენა წარმოდგენაში). ამ თვალ-საზრისით ლ. გოთუას დრამა „შოთა რუსთაველი“ შეგვიძლია განვიხილოთ როგორც **მეტადრამა**. მართალია ეს ტერმინი მოგვიანებით დამკვიდრდა ხელოვნებათმცოდნეობაში (Abel 1963), მაგრამ მეტადრამული თხრობის სახე – **თეატრი თეატრში** ძველი თემაა და მისი გადამუშავება მოხდა გასული საუკუნის შუა ხანებში. „შოთა რუსთაველში“ წაჩვენებია დამოუკიდებელი მხატვრული სინამდვილის კონსტრუირება, თეატ-რალური სივრცის გაორმაგება; ესაა წარმოდგენა წარმოდგენაში, ანუ ერთგვარი თვითორეფლექსია სტრუქტურის თვალსაზრისით. როცა ამ მხატვრულ ხერხზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ ხალხურ თეატრონს, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, **ქორ-ფერხულას**, რომელიც დრამის მთავარი მოქმედების პარალელურად წარმოდგენას დგამს და რომლის წევრები განასახიერებენ ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ (ჩიქოვანი 1937) გმირებს: ტარიელს, ავთანდილს, ლელნამ-დარეჯანს, ფრიდონს... სა-თანადო ნიღბებითა და სამოსელით, დამახასიათებელი ატრიბუტიკით. მათ თან ახლავთ მთხრობელი, რომელიც კითხულობს ნაწვეტებს „ტარიელიანიდან“ და მსახიობები კი თავიანთ როლებს ირგებენ. აღ-სანიშვნია ის ფაქტი, რომ ტარიელიანის წარმოდგენის პარალელურად მიმდინარეობს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კითხვაც, თანაც სწორედ იმ ადგილებისა, რომლებზეც ვაჟა-ფშაველამ გაამახვილა ყურადღება წერილში „ვეფხისტყაოსნის შესახებ (ორიოდე სიტყვა პასუხად ბ-ნ ა. ხახანაშვილს)“ (ვაჟა-ფშაველა 1956), სადაც ასკვნის, რომ ტარი-ელიანის ტექსტი „ვეფხისტყაოსაზე“ დამოკიდებული. ვაჟას თქმით, რუსთაველის ცნობილი ტექსტი „ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტი-რალი წყლისა პირსა... „საფურცლად დასდებია „ტარიელიანის“ ტექსტი: „ერთი მოყმე წყლისა პირსა, ნამტირალი ჰეგვადა გმირსა...“ ტექსტების პარალელური მოხმობით, დრამის ავტორს თანდათან მივყავართ იმ აზ-რამდე, რომ ვეფხისტყაოსანს პოეტი ხალხის დახმარებით ქმნიდა: „გინ-და შე შეთხზე, გინდა მე – ქართული ლექსის ჯავარი“, – მიმართავს რუსთაველი „ტარიელიანის“ შემქმნელ ხალხს. აქ იგრძნობა რუსთავე-ლის პოემის წარმოშობის შესახებ ორი განსხვავებული მეცნიერული მოსაზრების კვალი. ზემოთ მოხმობილი ციტატის მიხედვით, ლ. გოთუ-ასთვის მთავარია არა თეორიები, არამედ ის ფაქტი, რომ რუსთაველის პოემაცა და ხალხური „ვეფხისტყაოსანიც“ ქართველი ხალხის გენიამ შვა. ისევ ტექსტიდან მოვიყვან მაგალითს:

„(მთხოვბელი ქლესადაც და გაბლენძილადაც შეეკითხება შოთას):
მთხოვბელი. ესეც გვაუწყე, მოგვახსენე – სულ მარტო სწერ თუ სხ-
ვას აწერინებ; თავის ნებით სწერ თუ ჩვენ – ამა ქვეყნის ძლიერებსა და
დიდებულებს გვექლესები.

შოთა. ჩემთან ყველა ხართ! ვინცა და რაც თვალსა, გულსა და შუბ-
ლის ძარღვსა შემომთხვევია! ზოგი პირდაპირ და ზოგი პირუეუ. მართ
– ადამიანთა სიკეთე ვაქო, ვადიდო... ბოროტებაც ვძრახო და შიშით შე-
ქმნილი სიყვარული – მლიქვნელობაც!... კაცს ამერია საზღვარი, სად
მე – სად ჩემი ერია!

ქორ-ფერხულა. კაცი თუ ერად იქცევა – ორივე ბედნიერია!“

ორივე შემთხვევაში – როგორც ძირითად დრამაში, ისე მასში ჩარ-
თულ წარმოდგენაში, შენარჩუნებულია დრამის მთავარი კომპონენ-
ტები: ავტორი – პერსონაჟი – მკითხველი (მაყურებელი), ხალხური
თეატრონისათვის ტექსტის ავტორი ხალხია, პერსონაჟები – ხალხური
ტარიელიანის გაცოცხლებული გმირები, მაყურებელი კი დრამა „შოთა
რუსთაველის“ პერსონაჟები.

დრამატული მოქმედებების აგების ახალი პრინციპების გამოყ-
ენებით, მწერალმა შეძლო პიესის ტრადიციულ სტრუქტურაში ცვლი-
ლების შეტანა, მისი მოდელირება. მიგვაჩინა, რომ ამ ხერხის (თეატ-
რი თეატრში) გამოყენებით მწერალმა ოსტატურად გვიჩვენა ერის
დამოკიდებულება „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ, ის რომ პოეტის შთ-
აგონებას ქვეყნის, ხალხის ისტორია, სულიერი სიმდიდრე ასაზრდოებს.

აშკარაა, რომ ამგვარი სულისკვეთების ნანარმოები ვერ დაიბეჭდე-
ბოდა ავტორის თანამედროვე ეპოქაში. მწერლის გარდაცვალების შემ-
დეგ ამ დრამის დაბეჭდვას თავისი მიზეზები უნდა პქონოდა. უურნალი,
რომელმაც გოთუას პიესის გამოქვეყნებით წარსულში განვითარებუ-
ლი მოვლენები გადმოიტანა თანამედროვე ეპოქაში, დაუპირისპირდა
უგმიორბის, ბრუნევისდროინდელ უძრავობის ხანას, როცა საქართ-
ველოს მთავრობა, ნაცვლად ეროვნულისა, კრემლზე ორიენტირებული
პოლიტიკით იყო დაკავებული. „შოთა რუსთაველის“ დაბეჭდვის მო-
მენტში ერთი წელი იყო გასული საქართველოს ახალი კონსტიტუციის
მიღებიდან, რასაც წინ უძლოდა ქართულის, როგორც სახელმწიფო
ენის დაცვასთან დაკავშირებული საზოგადოების მტკიცე პროტესტი.
„საბჭოთა ხელოვნების“ ამ ნომრის შინაარსი ზემოხსენებული მოვლე-
ნების ერთგვარ გამოხმაურებას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან საქართ-
ველოს ისტორიაში გარდატეხის პერიოდი იწყება, როგორც საზოგადო-

ებრივ-პოლიტიკური, ასევე მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით; კომუნისტურმა რეჟიმმა გარკვეულნილად შეცვალა დიქტატორული მართვის მეთოდები, საქართველოში ცენზურა აღარ იყო ძველებურად მკაცრი, „მძაფრდება ქართველი ერის ბრძოლა ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის“ (მაინიძე 2012). ყოველივე ამის შედეგად მიგვაჩნია 1979 წელს ლ. გოთუას დრამის გამოქვეყნება და მის გვერდით მოთავსებული წერილებიც „მთვარის მოტაცებაზე“, „ჯაყის ხიზნებზე“; თუმცა უურნალის პირველი გვერდები ისევ ლენინის საიუბილეო თარიღს გვახსენებს და სოციალისტურ კულტურათა ურთიერგავლენაზე გვესაუბრება. უურნალის ამ ნომერში დაიბეჭდა აგრეთვე ინფორმაცია 1979 წელს ქართველი მოღვაწებისათვის შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის მინიჭების შესახებ. ვფიქრობთ, გოთუას დრამის გამოქვეყნება ამ ფაქტისადმი თემატური გამოეხმაურებაც იყო.

დამოცვებანი:

აბელი 1963: Abel L. *Metatheatre: A new view of a dramatic form*. N.-Y.: 1963.

ანთელავა 1984: ანთელავა ი. ქსე. ტ. 7. თბილისი: 1984.

გოთუა 1956: გოთუა ლ. მეფე ერეკლე. თბილისი: „ხელოვნება“. 1985.

გოთუა 1959: გოთუა ლ. შოთა რუსთაველი. „საპჭოთა ხელოვნება“, № 4. თბილისი: 1979.

გოთუა 1968: გოთუა ლ. მატიანური. თბილისი: „ლიტერატურა და ხელოვნება“. 1968.

ვაჟა-ფშაველა 1956: ვაჟა-ფშაველა. „ვეფხისტყაოსნის შესახებ (ორიოდე სიტყვა პასუხად ბ-ნ ა. ხახანაშვილს)“. თხზულებანი. ტ. VII. თბილისი: 1956.

კანკავა 1985: კანკავა გ. შენიშვნები ქართული დრამატურგიული მწერლობის შესახებ. ლიტერატურული წერილები. თბილისი: „მერანი“. 1985.

მთამინდელი 1884: მთამინდელი ზ. (ზაქარია ჭიჭინაძე). შოთა რუსთაველი, 1172-1216. თბილისი: კონსტანტინე ი. მესხიევის გამომცემლობა, 1884.

დაღანიძე 2010: დაღანიძე მ. „რუსთაველის მითოსი“. ქართული ფოლკლორი, 5(XXI). 2010. მის.: <http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe>

შაინიძე 2012: შაინიძე ქ. ლიტერატურული სკოლები და დაჯგუფებები თანამედროვე ქართულ მწერლობაში (XX საუკუნის 70-90-იანი წლები). სადისერტაციო ნაშრომი. (განთავსებულია 2012). მის.: http://old.bsu.edu.ge/upload/Dissertation_Shainidze_Zhuzhuna.pdf

ჩიქოვანი 1937: ჩიქოვანი მ. ხალხური ვეფხისტყაოსანი. თბილისი: 1937.

ხცსა, ფ. 125, ალნ. 1, საქ. 63.

ხცსა, ფ. 125, ალნ. 1, საქ. 66.

ხცსა, ფ. 125, ალნ. 1, საქ. 107.

MARIAM KARBELASHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

“The Knight in the Panther’s Skin” as a Piece of Philosophical Genre Novel

Precursors of a philosophical novel can be found in all forms which adjoin philosophy – in satires of Menipe, Plato’s dialogues, and utopias but it is only the philosophical romance that breathes with real viability. It is absolutely logical that “The Knight in the Panther’s Skin”, as a piece of philosophical genre, is associated with the political ideas of Rustaveli. By the use of artistic images of every state described in “The Knight in the Panther’s Skin”, Rustaveli speaks of his social and political opinions, which can be accessed to the end and can be assessed adequately only by consideration of specific works of old Greek philosophers. To cognize Shota Rustaveli’s ethical/moral and political conceptions in its artistic methods the allusions referring to antique political philosophy should be taken into consideration.

Key words: The Knight in the Panther’s Skin, genre, novel, philosophy, moral and political conceptions.

მარიამ კარბელაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„ვეფხისტყაოსანი“ როგორც ფილოსოფიური რომანის ჟანრის თხზულება

შალვა ნუცუბიძე არის პირველი მკვლევარი, ვინც სრული კონკრეტულობით დააყენა საკითხი ვეფხისტყაოსანის უანრობრივი რაობის გასარკვევად და კატეგორიულად უარყო ვეფხისტყაოსანის უანრული კვალიფიკაცია, როგორც შუა საუკუნეთა კლასიკური სარაინდო რომანისა: „ჩვეულებრივ ვეფხისტყაოსანს განიხილავენ როგორც კლასიკურ შუასაუკუნეობრივ სარაინდო რომანს, როგორც სიყვარულისა და რაინდული გმირობის ხოტბას. თავისი წარმოდგენებით ღირსებაზე, ქალბატონის მსახურების მოვალეობაზე და სხვა. რა თქმა უნდა, ვე-

ფხისტყაოსანში შექებულია რაინდობაც და სიყვარულიც, მაგრამ ეს სულაც არაა ყველაფერი, რაც პოემაში მხატვრული ასახვის საგანს შეადგენს. უფრო მეტიც, ეს ყოველივე – ის არაა, რაც ქმნის მის განწყობას, იმ ატმოსფეროს, რომლითაც ის სუნთქავს“ (ნუცუბიძე 1958: 16). შემდეგ მკვლევარი აზუსტებს, თუ რა არის ის, რაც ქმნის პოემის განწყობას და ატმოსფეროს, რომლითაც ის სუნთქავს: „მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში არის ეგრეთნოდებული ფილოსოფიური პოემები. მათი განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ ისინი მყაცრად განსაზღვრულ მსოფლგაგებაზეა აგებული, რაც შემუშავებულია გარკვეული ეპოქის მიერ და თავისი გამოხატულება პირვეს ფილოსოფიაში, ფილოსოფიის გარკვეულ ძეგლებშია დაფიქსირებული. არეკლავენ რა იმ იდეებსა და ცნებებს, რომელიც ეპოქის ნამყვან მოაზროვნეთა ფილოსოფიურ სისტემებშია ასახული, ფილოსოფიური პოემები ამ იდეათა მხატვრულ განხორციელებას გვაძლევენ“ (ნუცუბიძე 1958: 78); ამავე დებულებას იგი სხვაგან იმეორებს: „საკითხის სირთულე არ გამოდგება იმის გასამართლებლად, რათა გვერდი ავუაროთ იმ მთავარ ფაქტს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ უმთავრესი ფილოსოფიური პოემა და შესაძლებელია და უნდა დაყენებულ იქნას ამ ჟანრის მსოფლიო პოემების რიგში“ (ნუცუბიძე 1958: 115); „აღნიშნავს რა, რომ რუსთაველის პოემა სრულიად უკამათოა, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები და დასაბუთებული, ისეთ პოემათა კატეგორიას მიეკუთვნება, როგორებიცაა დანტეს „ლვთაებრივი კომედია, და გოეთეს „ფაუსტი“ (ნუცუბიძე 1958: 46), შ. ნუცუბიძე აფართოებს შედარების ფარგლებს იტალიური რენესანსის ისეთ წარმომადგენელთა დასახელებით, როგორებიცაა არიოსტო და ტორკვატო ტასო, რათა უფრო ცხადად გამოკვეთოს ვეფხისტყაოსნის ჟანრული რაობა: „ჩვენ ვნახავთ, როემ ეს არ არის არიოსტო, როგორც ზოგჯერ მიაჩნდათ, ამჩნევდნენ რა „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსებას „შმაგ როლანდთან“, და არც ტორკვატო ტასოა მისი „გათავისუფლებული იერუსალიმით“. ყოველივე ამის შესახებ, დავეყრდნობით რა მასალებს აქედანაც და იქედანაც, შემდგომ ვისაუბრებთ. თავიდან მხოლოდ იმას ვიტვით, რომ იმ ფილოსოფიურ იდეათა შესახებ, რომელნიც მსჭვალავენ რუსთაველის ქმნილებას და სძენენ მას ფილოსოფიური პოემის ხასიათს, რუსთაველი თავად ლაპარაკობს, და ერთ ადგილას, გასაოცარი სიმოკლით და სიზუსტით, თავისი ფილოსოფოსის მთელი მსოფლგაგების ერთ ოთხბრტკარიან სტროფში შემჭიდროებით, აქვე ასახელებს მას (ნუცუბუძე: 1958:46). ვეფხისტყაოსნის ფილოსოფიურ არსს შ. ნუცუბიძე სხვა გამოკვლევებშიც აღნიშნავს: „...თუკი არეოპ-

აგული ნეოპლატონიზმი ქართული რენესანსის იდეოლოგიურ ბაზისა წარმოადგენს, მაშინ რუსთაველის ფილოსოფიური პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ფსევდო-დიონისეს იდეებს ადეკვატურ პოეტურ აღქმას გვაძლევს“ (ნუცუბიძე 1963: 159), ვეფხისტყაოსნის ფილოსოფიური წყარო, ფსევდო—დიონისესთან ერთად, პეტრინიც არის, როგორც რუსთაველის „...წინამორბედი მისი შემოქმედების ფილოსოფიური წყაროს ხაზით... პეტრინი-რუსთაველის ფილოსოფიური საყრდენია... ეს ეხება რუსთაველის შემოქმედების ფილოსოფიურ წყაროებს, რომელნიც მას მსოფლიო რენესანსის ფილოსოფიურ პოეზიად აქცევენ... ჩვენ ვიხილავთ პოეზის ორ გიგანტს — დანტეს და რუსთაველს, რომელნიც ერთნაირად აგებენ თავიანთი პოემების სამყაროს არქეოპაგული იერარქიის პრინციპებზე, მაგრამ ერთმა ეს იერარქია მოახლოებული დასავლური რენესანსის პირობებში გამოიყენა, ხოლო მეორემ კი უკვე დამყარებული აღმოსავლური რენესანსის პირობებში“ (ნუცუბიძე 1958: 65).

ვეფხისტყაოსნის, როგორც ფილოსოფიურ პოემაში, სტრუქტურულ როლს ასრულებს სიუჟეტიც: „სიუჟეტი, როგორც მთლიანობა, დაკავშირებულია გარკვეულ მსოფლმხედველობასთან, რომელიც მის საფუძველში ძევს და პოემას გარკვეულ ფილოსოფიურ ხასიათს სძენს. რუსთაველის პოემა, როგორც მისივე რეალიათა საფუძველზე ირკვევა, მიეკუთვნება მსოფლიო ლიტერატურის მცირერიცხვან ფილოსოფიურ პოემებს. იგი ფილოსოფიურია არა თემატურად, არა იმიტომ, რომ მის საფუძველში ძევს რომელიმე, თუნდაც ამაღლებული, ფილოსოფიური იდეა, არამედ სრულიად სხვა აზრით“ (ნუცუბიძე 1958:46), – ეს აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ეს მსოფლგაგება, რომელიც პოემის საფუძველში ძევს, განსაზღვრავს და განაპირობებს მის სიუჟეტს, ე.ი. სიუჟეტის განვითარებას.

რაც შეეხება რუსთაველის უშუალო კავშირის ასახვას მის თანამედროვეობასთან, შ. ნუცუბიძე შემდეგნაირად განმარტავს: „რუსთაველის მხატვრული და ფილოსოფიური წვდომა იმაში მდგომარეობას, რომ გარდამავალი დროის თხემზე იგი არ დაემორჩილა სწორხაზოვანი ოპტიმიზმის ცდუნებას, არ გახდა სავაჭრო კაპიტალის პანეგირისტი. იგი მიუხვდა ამ ცდუნებას და თავი დააღნია თხრობის გამარტივებას, გაართულა რა ბედნიერების გაგება, როგორც უბედურების გადალახვა. დაპირისპირებულთა ერთიანობა, რომელიც რუსთაველმა ქართული ფილოსოფიის ბრძენთაგან შეითვისა, შესაბამის საზოგადოებრივეკონიკური წყობის პირობებში განხორციელდა მხატვრულ სახეებში და ორიგინალურ სიუჟეტში მოგვცა ფილოსოფიური პოემა მაჟორული

პოეტური ქლერადობით და ფილოსოფიური განჭვრეტის სიღრმით“ (ნუცუბიძე 1958: 26).

რუსთაველის შემოქმედების ფილოსოფიური წყაროების შესახებ საგანგებო მსჯელობისას მკვლევარი კვლავ მჭიდრო კავშირში განიხილავს ვეფხისტყაოსნის ფილოსოფიურ ხასიათს და პოემის სიუჟეტს მოქმედ პირებთან მთლიანობაში: „რუსთაველის პოემის ფილოსოფიური ხასიათი, უპირველეს ყოვლისა, პოემის სიუჟეტთან არის დაკავშირებული, ხოლო მოქმედი პირნი ისე შეეფარდებან პოემის შინაარს, როგორც მისი კომპონენტები, თანამონანილენი. რუსთაველის პოემის მიზნობრივი მიმართება – ბოროტზე კეთილის გამარჯვების ჩვენებაა, მაგრამ ბრძოლის შედეგად, გამძლეობის შედეგად. უბედურება არის გზა ბედნიერებისკენ, ბოროტი არის კეთილის დამყარების საშუალება. ასეთია „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი იდეა“; ამრიგად, ვეფხისტყაოსნის ფილოსოფიურ ხასიათს შ. ნუცუბიძე სიუჟეტთან და პერსონაჟებთან უმჭიდროეს კავშირში განიხილავს, რაც ფილოსოფიური ხასიათის ნაწარმოების მხატვრული ღირსების განსაზღვრის თთქმის მთავარი კომპონენტია, რადგან არის ფილოსოფიური ხასიათის ისეთ ნაწარმოებთა კატეგორია, სადაც მოქმედი პირები ავტორის იდეათა რუპორებს წარმოადგენენ, რეზონირების როლს ასრულებენ და მათ მხატვრულ ღირსებებზე უარყოფითად მოქმედებენ. ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია შ. ნუცუბიძისეული კვალიფიკაცია, რომ ვეფხისტყაოსნის იდეური საფუძველი „აძლევს ზოგად მიმართულებას, რომლის მიხედვითაც ვითარდება კონკრეტული სიუჟეტი განსაზღვრული სახეებით, მათი ურთიერთობებით, შეხვედრებით, დაცილებებით, სიყვარულით, სევდით, სიძულვილით, ერთი სიტყვით, ყველაფერი იმით, რის კონგლომერატიდანაც, რაც განვითარება სიუჟეტის გეგმაში, ვიღებთ პოემის შინაარსს“ (ნუცუბიძე 1958: 78).

რაც შეეხება ფილოსოფიურ ელემენტებს, რომელნიც ჩაქსოვილია პოემაში, შ. ნუცუბიძე მათ ორ კატეგორიად ყოფს: პირველია ფილოსოფიის ისტორიიდან ცალკეული მომენტები საერთოდ და ქართული ფილოსოფიიდან – კერძოდ. ამ კონტექსტში ზემოთაღნიშნული თავი „რუსთაველის შემოქმედების ფილოსოფიური წყაროები“ (ნუცუბიძე 1958: 78—117) იწყება ვეფხისტყაოსნის პროლოგის მეორე სტროფის პირველი ტაქტის – „ჰე, ღმერთ ერთო, შენ შექმენ სახე ყოველისა ტანისა“ – საგანგებო ვრცელი განხილვით. ფილოსოფოსი მკვლევარი უარყოფს ამ ტაქტის ტრადიციულ, ვახტანგ მეექვსის კომენტარებით დაწყებულ და უმეტეს მკვლევართა მიერ გაზიარებულ შეხედულებას,

რომ ეს ტაეპი ბიბლიური კრეაციონიზმის მხატვრული გარდაქმნაა, უშუალოდ ბიბლიური თვალსაზრისია. შ. ნუცუბიძე ამ ცნობილი ტა-ეპს შემდეგნაირად განმარტავს: „...რუსთაველი, საკუთრივ ღმერთის მიერ სამყაროს შექმნაზე კი არ ლაპარაკობს, არამედ მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ სამყაროს სხეულთა სახე, ფორმა შექმნა ღმერთმა, ეს დამატება ძალიან ახლოსაა შუასაუკუნეობრივთან, სახელდობრ – რომ ღმერთი არის სამყაროს ყველა სხეულთა ფორმა“ და საკითხთან და-კავშირებით ასახელებს „პანთეისტური მატერიალიზმის მამამთავარს პეტრე იბერს ანუ ფსევდო-დიონისე, არეოპაგელს (ნუცუბიძე 1958: 80). უნდა აღინიშნოს, რომ რუსთაველოლოგთა აბსოლუტურმა უმრავლე-სობამ – ვინც რუსთაველის აღმსარებლობად ქრისტიანობას მიიჩნევს – შ. ნუცუბიძის ეს მოსაზრება არ გაიზიარა. ჩემის მხრივ უნდა აღვნიშნო, რომ პროლოგის მეორე სტროფის ნუცუბიძისეული ინტერპრეტაცია კი არ ამყარებს მის თეზისს ვეფხისტყაოსნის რენესანსულობის შესახებ, არამედ პირიქით, ძირს უთხრის. ასევე ვეფხისტყაოსნის რენესანსული მსოფლგაგების წინააღმდეგ მეტყველებს ვეფხისტყაოსნის პროლოგის პირველი სტროფის ინტერპრეტაციის უარყოფა, როგორც ბიბლიური კრეაციონიზმისა: სწორედ ამ პირველი სტროფის – „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა“ – არის ერთ-ერთი უძლიერესი არგუ-მენტი, რომ ვეფხისტყაოსანი რენესანსული ნანარმოებია“ (კარბელაშ-ვილი 2010: 157-164).

რუსთაველის ფართო ფილოსოფიური განათლების დამადას-ტურებელ ფაქტთა სახით განხილულია სტროფები, სადაც ტარიელი (სტრ.886) და ნესტან – დარეჯანი (სტრ.1306) ადამიანის ფიზიკურ ელემენტებს – ოთხ შემადგენელს – მინას, წყალს, ჰაერს და ცეცხლს – ახსენებენ („დამშლიან ჩემი კავშირნი“ (886,4); ამ სტროფებს მარი პროკლეს და ითანე პეტრინის სახელებს უკავშირებს, და აზუსტებს, რომ ეს არის „არა ნეოპლატონიზმი საართოდ, არამედ მასთან ერთად მისი სპეციალური ფორმა, წარმოდგენილი IV (ე.ი. ქართული – მ.კ.) პლატონური სკოლით, რომელსაც სათავეში ედგა ქართველი ფილოსო-ფოსი პეტრე იბერი და მისი თანამოაზრე ითანე ლაზი“ (ნუცუბიძე 1958: 85).

აქ ძალიან მნიშვნელოვანია, შ. ნუცუბიძის შენიშვნა, რომ „ნ. ი. მარმა გვერდი აუქცია თავად რუსთაველის მითითებას, რომ მისი პოემის მთე-ლი სიუჟეტური სვლის საფუძველში ძევს დივნოსის, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დიონისეს მოძღვრება“ (ნუცუბიძე 1958: 85) და, როგორც მარ-თლაც ჭეშმარიტ არგუმენტს, ასახელებს 1494-ე სტროფს: „ამ საქმესა

დაფარულსა ბრძენი დივნოს გაამჟღავნებს”; შ. ნუცუბიძე ამ სტროფს სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, რაც საყოველთა-ოდაა აღიარებული: „რუსთაველი თავადვე ლაპარაკობს თავის პოემაში ფილოსოფოსზე, რომლის მოძღვრებაზეც აბსოლუტური კეთილისა და ბოროტის არარეალურობაზე, ანუ, სპეციალური ტერმინოლოგიით, „უარსობაზე“, როგორც ვნახავთ, აფუძნებს თავის პოემას“ (ნუცუბიძე 1958: 86-87).

„რუსთაველმა – წერს შ. ნუცუბიძე ვეფხისტყაოსნის კიდევ ერთ პასაუთან დაკავშირებით, რომელიც ფილოსოფიურ ასოციაციებს აღ-ძრავს – გადაწყვიტა კიდევ ერთხელ გადაეკითხა პლატონი, თვალი გადაავლო დიალოგს „ფედონი“, და, როგორც მხატვარი, შეჩერდა ამ დიალოგში სულის სახეზე, რომელიც სხეულის ჯურლმულშია. აქედანაა მშვენიერი ნესტანის ვედრება: „ღმერთსა შემვედრე, ნუთუ მან დამხს-ნას სოფლისა შრომასა, ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰეართა თანა ძრომასა“ (1306).

„ცხადია – შენიშნავს შ. ნუცუბიძე – რომ ადამიანის სხეული, შემდ-გარი ოთხი ელემენტისგან – ცეცხლის, წყლის და ა.შ. – აქ წარმოდგე-ნილია, როგორც ჯურლმული. იმისთვის, რომ ამ ჯურლმულიდან გათა-ვისუფლდეს, უნდა თავი დააღწიოს ელემენტთა კავშირს, რომელსაც ადამიანის სხეული წარმოადგენს“ (ნუცუბიძე 1958: 90).

შ. ნუცუბიძე ამ კონტექსტში საგანგებო ყურადღებას აქცევს ხორცის და სულის ურთიერთკავშირს: „სულსა და სხეულის ერთმა-ნეთს აბსოლუტურად არ უპირისპირებდა, – წერს შ. ნუცუბიძე – სული სჭირდება სხეულს, მაგრამ თუ იტანჯება სხეული, იტანჯება სულიც. ხორცისა და სულს შორის ასეთ ურთიერთმიმართებაზე – თუკი რამე ვნებს ხორცს, შემდეგ სულსაც ვნებს – ასე უპრალოდ და წმინდად მა-ტერიალურად იტყვის რუსთაველი. მაგრამ ამის შესახებ შემდეგ“ (ნუ-ცუბიძე 1958: 91), შემდეგში მსჯელობა რუსთაველის მსოფლმხედვ-ელობის „მატერიალისტურ“ მიმართულებას ეხება; „აღმოჩნდება რომ ხორცი, რომელიც ფიზიკური სამყაროს ოთხი ელემენტისგან შედგება, წარმოადგენს სულიერ ტანჯვათა წყაროს არა ყოველთვის, არამედ მხოლოდ მაშინ, როცა სულს რაღაც ანუსებს, როცა იგი გრძნობს სა-მყაროს სიმძიმეს... (ნესტანს) აქვს იმედი, ისევე, როგორც ტარიელს, რომ სხეულის „საპყრობილედან“ გათავისუფლების შემდეგ აფრინდე-ბიან იმ ადგილას, სადაც რუსთაველის გმირებს ნეტარება წარმოუდგე-ნიათ... ის, რომ ხორცისა და სულის კოლიზია რუსთაველთან მსოფლ-გაგების საფუძველი კი არ არის, არამედ ამსოფლიური უბედურების,

მარცხის, უბედობის გამოხატულება, ე.ი. რაღაც წარმავალი, ჩანს იქედან, რომ მდგომარეობა, რომლისკენაც მიისწრაფიან რუსთაველის გმირები და სადაც სურთა აღმოჩნდნენ სიკვდილის შემდეგ, მიწიერი წარმომავლობის საშუალებებითაა აღწერილი. ეს წარმოდგენა, როგორც ვნახავთ, არ არის ეკლესიურ-რელიგიური, არა იმქვეყნიური, არამედ ძალიანაც ამქვეყნიურია. რუსთველური ასახვით იმსოფლიური ცხოვრება მიწიერი ცხოვრების, როგორც ასეთის, გაგრძელებას წარმოადგენს“ (ნუცუბიძე 1958: 91-92); ამ მსჯელობას ფილოსოფონის ვეფხისტყაოსნის 884, 1305, 1306, 1307, 1308 სტროფებით ასაბუთებს, რომელთაგან ბოლო ოთხი ნესტანის მიერ ქაჯეთის ციხიდან გამოგზავნილი წერილიდანაა.

უთუოდ უნდა ითქვას შემდეგი: ამ ზემოთმოყვანილ განსჯას სულისა და ხორცის, ამქვეყნიური და იმქვეყნიური ცხოვრების შესახებ შ. ნუცუბიძე უკავშირებს ავთანდილის ანდერძს, რომელშიც შეაქეს ორი ცხადი ინტერპოლაცია, ე.ი. ჩანართი სტროფები, რომელიც ნ. ნათაძემ, შ. ნუცუბიძის მიბაძვით, შეიტანა ვეფხისტყაოსნის მისეულ სასკოლო გამოცემაში (ნუცუბიძე 1958: 93, სტრ. 806 რუსულიდან თარგმნილი).

შ. ნუცუბიძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ვეფხისტყაოსანში არსებულ სიტყვას სირა („შევრთვივარ სულთა სირასა“ – 886), რადგან „ეს სიტყვა (სეირა), ალებული არეოპაგიტული ლექსიკონიდან, მთელი თავისი მნიშვნელობით გაგებული იქნებოდა მხოლოდ ისეთი ვარაუდისას, ე.ი. იმის ცოდნის შემთხვევაში, თუ ვინ იყო არეოპაგიტიკის შემქმნელი და რა კავშირი ჰქონდა ყოველივე ამას ქართულ კულტურასთან და კერძოდ ქართულ ფილოსოფიასთან, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებლობა შევდგომოდით რუსთაველის პოეზიის ფილოსოფიურ წყაროთა ყოველმხრივ ანალიზს“ (ნუცუბიძე 1958: 94).

ესაა ავტორისეული შეფასება ისეთი მართლაც მნიშვნელოვანი სტროფის განსახილველად, როგორიცაა 1494: „ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს“, რომლის შესახებაც შ. ნუცუბიძე თავის კონცეფციურ აზრს გამოთქვამს: „ამ სტროფში რუსთაველი – არც მეტი, არც ნაკლები — გვაძლევს იმ მოაზროვნის სახელს (თუმცა კი ფსევდო-სახელს), რომლის მოძღვრებასაც ეფუძნება, და მის მთავარ აზრს, რომელმაც განაპირობა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტური განვითარების მთელი სვლა და დასასრული... აქ მოცემულია რაღაც არტისტულად მიუწვდომელი რამ: სამ ბწერში მხატვრული სახის მეშვეობით არეოპაგიტიკის მთელი ფილოსოფიური სისტემაა გადმოცემული... ამ-

რიგად, აბსოლუტური კეთილის ფილოსოფია სიუჟეტის განვითარების რომელილაც საფეხურზე მოულოდნელად კი არ ამოტივტივდება, არამედ თავიდანვე არსებობს პოემაში (დამოწმებულია 112-113 სტროფები – მ.კ.) როგორც მამოძრავებელი საწყისი, რომელიც განაგებს მთელ სიუჟეტს და ნარმართავს მას (ნუცუბიძე 1958: 95).

შ. ნუცუბიძეს ხსენებულ სტროფზე მსჯელობიდან გამოაქვს ორი დასკვნა, რაც ვეფხისტყაოსნის, როგორც ფილოსოფიური პოემის, ფუნდამენტს ქმნის; „პირველი: ღმერთი ქვეყანას მხოლოდ სიკეთეს მოუვლენს. ეს არის პეტრე იბერის თეზისი აბსოლუტური კეთილის შესახებ, იმაზე რომ ამქვეყნად რეალობა მხოლოს სიკეთეს ეკუთვნის. რაც შეეხება ბოროტს, ღმერთი, როგორც ასეთი, არ შეიძლება იყოს მისი დამბადებელი... მეორე: „ავსა ნამ-ერთ შეამოკლებს, კეთილია მისი გრძელა“. ვინც მთაღწევს აბსოლუტურ სიკეთეს, ეზიარება უხრნნელობას და ერწყმის ყოველივეს დასაბამს, ღმერთს, რომელიც, როგორც აბსოლუტური სიკეთე, ამ მოძღვრების თანახმად, არის ყოველივეს დასაბამი“ (ნუცუბიძე 1958: 94, 95).

პოემის დასაწყისა და დასასრულში ამ სიკეთის ფილოსოფიის არსებობა განსაზღვრავს პოემის სიუჟეტს, რომელთან თანხმობაშიც ვითარდება შინაარსი: „რუსთაველმა მხატვრულ ენაზე გარდათქვა პანთეისტური მატერიალიზმის იდეები... რუსთაველის პოლიტიკური იდეოლოგია, როგორც ქართული რენესანსის პოეტისა, შეიძლებოდა დაფუძნებოდა და ეფუძნებოდა კიდეც პანთეისტურ მატერიალიზმის ერთ-ერთ ფორმას, რომელიც საფუძვლად დაედო ასეთივე მოვლენას დასავლეთში“ (ნუცუბიძე 1958: 98, 99). შ. ნუცუბიძე საგანგებოდ ეხება პოემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავს „ნახვა ავთანდილისგან დაბნედილისა ტარიელისა“, რომელსაც ასევე ვეფხისტყაოსნის ფილოსოფიურობის კონტექსტში განიხილავს: „ეს, საკუთრივ, ავთანდილისა და ტარიელის ფილოსოფიური საუბარია იმ თემაზე, თუ როგორ უნდა მართავდეს თავის ენებებს ბრძენი“ (ნუცუბიძე 1958: 107). საყურადღებოა ფილოსოფონი რუსთველოლოგის მოსაზრება: „ცხადია, რომ რუსთაველის ღმერთი არ არის ქრისტიანული ღმერთი“.

დაბოლოს, განსაკუთრებით ხაზგასმულია ვითარება, რომ ორი მსოფლიო მნიშვნელობის პოეტი – რუსთაველი და დანტე – არეოპაგიტულ იდეებზე აფუძნებენ თავის პოემებს.

ვეფხისტყაოსანს, როგორც ფილოსოფიური ჟანრის თხზულების საკითხს ეხება და განიხილავს ცნობილი რუსი ლიტერატურათმცოდნე ე. მ. მელეტინსკი ფუნდამენტურ ნაშრომში „შუასაუკუნოებრივი

რომანი. წარმოშობა და კლასიკური ფორმები” (მელეტინსკი 1983: 197-218). აკადემიური ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისით გაუგებარი ჩანს XII საუკუნის ქართული ლიტერატურისთვის წიგნის სტრუქტურაში მიჩნილი ადგილი: ქრისტიანულ საქართველოში შექმნილი მხატვრული ნაწარმოები გამოკვლევის პირველ ნაწილში კი არ არის განხილული, სადაც ასევე ქრისტიანულ სამყაროში შექმნილი რომანებია გაანალიზებული და რომლის სათაურია „დასავლეთ ევროპის „ბრეტანული“ კურტუაზიული რომანი XII საუკუნისა“, რომელთან მრავალრიცხვანი პარალელები ვ. ფ. შიშმარიოვს უუხვესად აქვს მოტანილი, არამედ მეორე ნაწილში, რომლის პრობლემაა, „ახლო აღმოსავლეთისა და ამიერკავკასიის რომანული ეპოსი“. (ფრჩხილებში შევნიშნავ, რომ მესამე ნაწილია „შორეული აღმოსავლეთის შუასაუკუნოებრივი რომანი, იაპონური კურტუაზიული რომანი XI საუკუნისა). ამრიგად, რუსთაველის პოემა ირანის XI საუკუნის სპარსულენოვანი რომანული ეპოსისა და „აზერბაიჯანის XII საუკუნის სპარსულენოვანი რომანული ეპოსის“ კონტექსტშია წარმოდგენილი, რაც ნ. მარისეული პოზიციის პირდაპირი და უშუალო გაგრძელებაა, რომელსაც ეკუთვნის ფორმულა „საქართველო აზიაა და არა ევროპა“. უკვე აქედან ცხადია, რომ ვეფხისტყაოსანისადმი მიღეომა რაიმე სახის კვლევის შედეგი კი არ არის, არამედ წინასწარ განსაზღვრული აპრიორული რუსული ტრადიციის განგრძობა, რაც ასევე წინასწარ განსაზღვრავს აპრიორულ შედეგსაც – მრავალსიტყვაობის მიუხედავად ძველი აზრების ახალი რედაქციით განმეორებას და, დავუმატებდი, არაობიექტურობას. აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ XII საუკუნის დასავლეთევროპის რომანის მოთავსება „კურტუაზიული რომანის“ ძველ ვიწრო ჩარჩოში, მიუხედავად დამოწმებული ახალი ლიტერატურისა, მართლაც ახალს, პრინციპულად ახალს არაფერს შეიცავს გარდა სარაიდო რომანის პერსონაჟების დასახასიათებლად ფსიქოლოგიდან შემოტანილი ტერმინებისა ექსტრიორიზაცია და ინტერიორიზაცია, რის საფუძველზეც შემდეგ კრეტიენის რომანებისთვის „დიქატომური სინტაგმატიკა“ არის შემუშავებული: „მე – წერს ე. მ. მელეტინსკი – დარწმუნებული ვარ კრეტიენ დე ტრუას რომანების პრინციპულ დიქატომურ სინტაგმატიკაში, მაგრამ მას განვიხილავ, როგორც სიუჟეტის თავისებურ გაორმაგებას, კონფლიქტის ინტერიორიზაციის ხარჯზე, რაც ასახავს რომანში სპეციფიკის გამოვლენას, მის გამოყოფას ზღაპრულ-ეპიკური სტიქი-იდან“; იქვეა მოცემული სათანადო სქემაც (მელეტინსკი 1983: 108-110).

ე. მ. მელეტინსკის ნაშრომში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ვეფხისტყაოსნის კავშირზე სპარსულენოვან ლიტერატურასთან: „და მართლაც უეჭველაა, რომ რუსთაველი კარგად იცნობდა გურგანისა და ნიზამის ნანარმოებებს. ვისსა და რამინს არაერთხელ ახსენებს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში (სტრ. 181, 1068 და სხვ., სადაც იგი თავის გმირებს მათ ადარებს) და აშკარად პოლემიკურად არის განწყობილი გურგანის მიმართ“ (მელეტინსკი 1983: 204); სხვათა შორის, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ნიზამის პოემებთან, კერძოდ კი რომ რუსთაველი იცნობდა მის ლეილასა და მეჯნუნს“, რომელიც 1181 წელს დაიწერა, სრულიად ჰიპოთეტურია, არაფრით არაა დასაბუთებული და, სამწუხაროდ, რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში ისიც კი არაა გარკვეული, თუ ვინ და როდის შემოიტანა ეს თემა რუსთველოლოგიაში, თუმცა საამისო მყარი საბუთი არსებობს; სამაგიეროდ, ნაშრომიდან ნაშრომში გადადის სრულიად უსაბუთო და დაუსაბუთებელი აპრიორული მტკიცება, თითქოს რუსთაველი ნიზამის ამ პოემას იცნობდა და ტერმინი „მიჯნური“ ამ პოემისგან და ე.ი. ნიზამისგან არის დავალებული (ფრჩხილებში შევნიშნავ: თუ კი ეს მართლაც ასეა, მაშინ გამოდის, რომ რუსთაველს ვეფხისტყაოსნის წერა 1181 წლის შემდეგ დაუწყია...); ამ აზრს იმეორებს ე. ი. მელეტინსკიც: „ტერმინი „მიჯნური“, ე.ი. „მეჯნუნი“ და სასიყვარულო ტანჯვათა აღწერა, მათ შორის ტანჯულის განაპირება ხალხისგან და ა.შ., უეჭველად ნიზამის „ლეილასა და მეჯნუნისგან“ მომდინარეობს“ (მელეტინსკი 1983: 204).

რუსთაველის შემოქმედების სპარსულ ლიტერატურასთან კავშირის შესახებ ე. მ. მელეტინსკის აქცენტირებაზე საგანგებოდ იმიტომ ვჩერდები, რომ ვეფხისტყაოსნის, როგორც ფილოსოფიური რომანის შესახებ შალვა ნუცუპიძის თეორიაზე მსჯელობისას, რასაც სულ ერთად ერთხელ ახსენებს, იქვე ურთავს თითქოს უმნიშვნელო რეპლიკას, რითაც სურს გააქარწყლოს მოსაზრება ვეფხისტყაოსნის ფილოსოფიური ჟანრისადმი კუთვნილების შესახებ (სხვათა შორის, უნდა აღვნიშნო, რომ ხსენებული წიგნის სახელთა საძიებელში შალვა ნუცუპიძე მოხსენიებული არ არის (მელეტინსკი 1983:298).

აქედან ე. მ. მელეტინსკის გამოაქვს დასკვნა, რომელიც რუსულენოვან რუსთველოლოგებში ტრადიციული აზრის განმეორებაა: „თქმულიდან სრულიად ცხადია, რომ „ვეფხისტყაოსნი რომანიული ეპოსის ორიგინალური ქართული ვარიანტია, და, როგორც ასეთი, „მაღალი შუასაუკუნეების ჩარჩოებში თავსდება, შუასაუკუნეების კულტურის უმაღლეს მიღწევათა მწკრივში პოულობდნენ „ვეფხისტყაოსნის“

ადგილს ნ. ი. მარი, კ. ს. კეკელიძე, ვ. ვ. შიშმარიოვი, ვ. მ. უირმენსკი, მ. ბაურა და სხვ.“ (მელეტინსკი 1983: 215). აქ ყურადღება უნდა მიქცეს განსაზღვრებას „რომანიულ ეპოსს“ – ეს ერთგვარი ელიფსია, სადაც ცხადად არ არის თქმული, თუ რომელ რომანიულ ეპოსს გულისხმობს მკვლევარი. როგორც ნაშრომის საერთო სტრუქტურიდან ირკვევა, სადაც მკვეთრადაა გამიჯნული დასავლეთ-ევროპული და „ახლო აღმოსავლეთისა და ამიერკავკასიის“ ხსენებული ჟანრი, ცხადია, რომ ე. მ. მელეტინსკი „რომანიულ ეპოსში“ სპარსულენოვან პოემებს გულისხმობს და მკვეთრ ზღვარს ავლებს დასავლეთ ევროპულ სარაინდო რომანსა და ვეფხისტყაოსანს შორის.

ცნობილია, რომ იმ ეპოქის ისეთი გავლენიანი ლიტერატურისმცოდნე, როგორიც იყო ვ. მ. უირმენსკი, საგსებით უარყოფითად ეკიდებოდა შ. ნუცუბიძის „აღმოსავლური რენესანსის“ თეორიას (ფრჩხილებში შევნიშნავ: „აღმოსავლური რენესანსი“ იმ ფართო გაგებით, რაც მასში შ. ნუცუბიძიძე შეიტანა, დაუსაბუთებელი დარჩა, მაგრამ ამ თეორიის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას, რაც მე მართებულად მიმაჩრინა, შეენირა ქართული კულტურაც, რომლის რენესანსული ხასიათის შესახებ შ. ნუცუბიძეზე ძალიან დიდი ხნით ადრე ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი წერდა, მაგრამ მისი სახელი საერთოდ რენესანსის შესახებ მსჯელობისას შ. ნუცუბიძის ნაშრომებში არც ერთხელ არ გაუდერებულა, — ერთხელ ახსენა მხოლოდ შალვა ხიდაშელმა). ვ. მ. უირმენსკის თეორიის ბუნებრივი გაგრძელებაა ე. მ. მელეტინსკის დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ. რადგან შ. ნუცუბიძემ ვეფხისტყაოსნის, როგორც ფილოსოფიური პოემის, საკითხი აღმოსავლური რენესანსის კონტექსტში წამოჭრა, სავსებით ბუნებრივია, რომ რენესანსის თეორიის უარყოფა სრულიად ავტომატურად ვეფხისტყაოსნის, როგორც ფილოსოფიური პოემის, უარყოფასაც გამოიწვევდა: „მაგრამ – წერს ე. მ. მელეტინსკი – ზოგიერთი სწავლული, უპირველეს ყოვლისა კი ცნობილი ქართველი ფილოსოფიოსი და ფილოლოგი შ. ნუცუბიძე და მისი მიმდევარნი, ეყრდნობიან რა უპირველეს ყოვლისა რუსთაველის მსოფლმხედველობის გარკვეულ განმარტებას და ცდილობენ დაინახონ „ვეფხისტყაოსანში“ არა იმდენად რომანიული ეპოსი, რამდენადაც ფილოსოფიური პოემა, გადაჭრით გამოჰყავთ რუსთაველი შუასაუკუნეთა საზღვრებიდან და გაზღვებული ჰყავთ, როგორც რენესანსული ჰუმანიზმის ქართველი წარმომადგენელი ან როგორც „აღმოსავლური რენესანსის“ მწვერვალი, რომელიც დროით წინ უსწრებდა დასავლურ რენესანსს“ (მელეტინსკი 1983: 2150216; ხაზი ჩემია – მ.კ.).

ის, რაც „აღმოსავლუებრ რენესანის“ კონტექსტში შ. ნუცუბიძემ საქართველოს მიანიჭა და უმთავრესი აქცენტი არა მხოლოდ ნეოპლატონიზმზე, არამედ ერესებზე, ე.ი. მწვალებლურ მიმდინარეობებზე განავრცო, ქართულ კრიტიკაშიც აქტიურად გაჟღერდა, მაგრამ რადგან ქართული რენესანსის ფილოსოფიური წყარო ვეფხისტყაოსნის იდეურ საფუძვლად სავსებით სამართიანად იქნა მიჩნეული, მკვლევარმა „უკიდურეს გაზვიადებად მიიჩნია და, ბუნებრივია, ამ კონტექსტში ქართულ რენესანსთან ერთად ვეფხისტყაოსნის ფილოსოფიური ხასიათიც იქნა უარყოფილი: „აღმოსავლური რენესანსისა და ქართული რენესანსის, როგორც მისი ბირთვის უკიდურესი გაზვიადებით“ (ნუცუბიძე 1967) მრავალმხრივ აიხსნება რენესანსული ჰუმანიზმის ნეოპლატონიზმზე დაყრდნობით – განსაკუთრებით პროკლეს მიმდევრის – ფსევდო-დიონისე არეოპაგელის (პეტრე იბერის) რედაქციაში – და ზოგიერთ შუასაკუნოებრივ ერესზე, რომლებიც მისტიციზმისადმი არიან მიდრევილი და ნეოპლატონური წყაროებით საზრდოობენ (მკვლევარის მიერ უკიდურესადაა აქცენტირებული ამ ერესთა რევოლუციური ხასიათი“ (მელეტინსკი 1983: 216).

საერთოდ, ნეოპლატონიურ იდეათა საწყისი და საქართველოში განვითარება შ.ნუცუბიძის ნაშრომში შემდეგ სახეს იღებს: არეოპაგული ნეოპლატონიზმი $>$ ფსელი და იტალი $>$ ეფრემ—მცირე და პეტრინი $>$ ჩახრუხაძე და რუსთაველი. როგორც ცნობილია, რუსთაველის მსოფლმხედველობის არსებით საკითხს შ. ნუცუბიძე იდეალიზმისა და მატერიალიზმის დაპირისპირების კონტექსტში განიხილავს და ცდილობს დაასაბუთოს, რომ შოთა რუსთაველი მატერიალისტია. ე. მ. მელეტინსკი ვეფხისტყაოსნის ფილოსოფიურ ხასიათს აღარ ახსენებს, მაგრამ როდესაც მიწიერისა და ზეციურის რუსთაველის მიერ დაახლოების, სიყვარულის, სხეულებრივი სილამაზის საკითხებზე მსჯელობს, ეს ფაქტობრივად ხელოვნებაზე ანუ პოეზიაზე მსჯელობაა და აქცენტი რუსთაველის პოემაზე კეთდება: „როგორც მას მიაჩნია, — წერს ე. მ. მელეტინსკი — რუსთაველი უფრო შორს წავიდა, გადალახა პლატონის იდეალიზმი, ყოველ შემთხვევაში სიყვარულისა და ხელოვნების საკითხებში, განამტკიცა მიწიერი, სხეულებრივი სილამაზე, უარყო ფატალიზმი, მივიდა „რეალისტურ“ აზროვნებამდე, პანთეიზმამდე, თავად მატერიალიზმამდე“ (მელეტინსკი 1983: 216).

„აღმოსავლური რენესანსის“, კონკრეტულად კი ქართული რენესანსის საკითხთან დაკავშირებით მკვლევარი მოიხსენიებს ნიზამის შემოქმედების შ. ნუცუბიძისეულ შეფასებას: „ქართველი მეცნიერის

აზრით, ნიზამიშ ვერ გადალახა ციურისა და მიწიერის გათიშულობა და რუსთაველის ნინამორბედებზე წინ ვერ წავიდა“ (მელეტინსკი 1983: 216) – ნიზამის სსენება ლატენტური სახით შეიცავს ვეფხისტყაოსნის ფილოსოფიურობის საკითხსაც, რამდენადაც იგი პოეტთა ერუდიციას ეხება და შემდევ გაჟღერდება, მანამადე კი ქართული პოემის რენე-სანსულობასთან დაკავშირები, ამ იდეის უარსაყოფად, იგი თანად-როულ ევროპულ პარალელს მიმართავს; „ზემოთ (ეხება გამოკვლევის პირველ თავს, სადაც „ბრეტონული“ კურტუაზიული რომანია განხილული – მ.კ.) მე მოვიხსენიე ზოგიერთი ევროპელი მეცნიერი, რომელთაც მოისურვეს იმ ახალ ჰორიზონტში, რომელიც კრეტიენ დე ტრუას რომანებმა აღმოაჩინა, ევროპული რენესანსი დაენახათ. შ. ი. ნუცუბიძის წიგნის მთელი ფუნდირებულობის მიუხედავად, ისიც ანალოგიურ შეცდომის უშვებს, როდესაც XII საუკუნის რაინდობის „ჰუმანურ (თუმცა წოდებრივად შეზღუდულ) იდეალებს ევროპული რენესანსის იდეოლოგიაში ურევს და ამასთანავე აზვიადებს კიდეც თავად აღმორძინების ჰუმანისტთა „მატერიალიზმს“ (მელეტინსკი 1983: 216-217; ხაზი ჩემია – მ.კ.). მთელ ამ მსჯელობაში ქართული რენესანსის უარსაყოფი დებულებებია წარმოდგენილი, რომელთაგან უნდა დავეთანხმოთ უკანასკნელს – აღმორძინების ჰუმანისტთა „მატერიალიზმის“ ხაზგასმას, რაც წითელ ზოლად მიჰყვება ვეფხისტყაოსნის რენესანსულობის შესახებ მსჯელობას და იმ ეპოქის საბჭოური წარმმართველი იდეოლოგიის გადატანა XII საუკუნის სააზროვნო სისტემაზე. მაგრამ ის, რომ ვეფხისტყაოსანში რაინდობის „ჰუმანური (თუმცა წოდებრივად შეზღუდული) იდეალებია“ განხორციელებული, მცდარი შეხედულებაა ვეფხისტყაოსნის ჰუმანიზმის ჭეშმარიტი არსის შესახებ და საკითხი ღრმა დამუშავებას მოითხოვს. განიხილავს რა შ. ხიდაშელისა და ე. ხინითიბიძის ნაშრომებს, განსაკუთრებით ე. ხინითიბიძისას, უსვამს ხაზს, რომ გადაჭარბებითაა შეფასებული „ვეფხისტყაოსანში“ ანტიკური მეტკვიდრეობის მნიშვნელობა და საერთოდ მისი ფილოსოფიური დატვირთულობა“, რადგან „სულგრძელობა, მეგობრობა, სიუსვე, სიმამაცე, ამაღლებული, მაგრამ არა ღვთაებრივი სიყვარული – ყოველივე ეს სპეციფიური რაინდული სათნოებანია, რომლებიც მეტად ირიბად არის დაკავშირებული გარკვეულ ფილოსოფიურ ტრადიციებთან. ჩვენ მათ ვპოულობთ კრეტიენ დე ტრუასთანაც, ისევე როგორც რაციონალისტური სიფხიზლის გამოვლინებას, ზომიერებისა და ოქროს შუალედის უპირატესობას და სხვ. ეს არც კერეტიერთან არის არისატოტელიზმის პირდაპირი გამოძახილი“ (მელეტინსკი 1983: 218). ყოველივე

ამას მოსდევს ერთი მნიშვნელოვანი პასაუი, სადაც ერთგვარი სკეპსი-სია გამოხატული რუსთაველის ფილოსოფიური განათლების მიმართ: „შეუძლებელია უარყოთ რუსთაველის გარკვეული თავისუფალი აზ-როვნება და ფილოსოფიური ერუდიცია (არანაკლები აქვს ნიზამისაც), მაგრამ რუსთაველი ისევე როგორც ნიზამი, როგორც ასევე კრეტიენი – უპირველეს ყოვლისა, მხატვარია“, რასაც მოსდევს ვეფხისტყაოსნის ჟანრის მელეტინსკისეული კვალიფიკაცია, რომელიც, ავტორის აზ-რით, საბოლოო ჭეშმარიტებაა: რუსთაველი არის „შუასაუკუნოებრივი სარაინდო დექსითი რომანის (რომანიული ეპოსის) კლასიკური ფორ-მის ქართული ვარიანტის შემქმნელი“ (მელეტინსკი 1983: 218).

ამრიგად, ქართველი მკვლევარი თუ მდუმარებით უვლიან გვერდს შ. ნუცუბიძის საბოლოოდ არ დასაბუთებულ, მაგრამ ფრიად ნაყოფიერ და პერსპექტიულ თეორიას, რომ ვეფხისტყაოსნი ფილოსოფიური ჟანრის თხზულებაა, – რაც უარყოფს მის მხატვრულობას – ე. მ. მელეტინსკიმ ერთადერთხელ მაინც მოიხსენია ეს ტერმინი და თავისი უარყოფითი აზრიც გამოთქვა. საქართველოში გამეფებული დუმილის ფონზე ესეც საქმეა და თავისი მნიშვნელობა აქვს იმ თვალსაზრისით, რომ ვეფხისტყაოსნის ფილოსოფიური არსის უარყსაყოფად თავისი არგუმენტები აქვს წარმოდგენილი და ამ არგუმენტთა ფაქტობრივი მასალით გაბათილება სულაც არაა ძნელი. რა თქმა უნდა, ვეფხისტყაოსნის ფილოსოფიური ხასიათი არ დაიყვანება მხოლოდდამხოლოდ ავტორის ფილოსოფიური განათლებისა და ერუდიციის საკითხზე, ისიც გასარკვევა, რუსთაველის ჰუმანიზმი ანალოგიური და იგივეობრივი არის თუ არა XII საუკუნის რაინდობის ჰუმანური იდეალებისა, რა წილი უჭირავს ვეფხისტყაოსნის საერთო კონტექსტში ანტიკურ მემკვიდრეობას, არის თუ არა რუსთაველი „წოდებრივად შეზღუდული“, რაში მდგომარეობს რუსთაველის „თავისუფალი აზროვნება“ და სხვა და სხვა. საკითხი ღრმა და ვრცელია, ამასთან მრავალწახნაგოვანი, რაც სპეციალურ ფართო კვლევას მოითხოვს და ამაოდაა მიჩუმათებული რუსთაველოლოგიურ მეცნიერებაში.

ვეფხისტყაოსნის, როგორც ფილოსოფიური პოემის ან რომანის პრობლემებზე საუბრისას ყურადღებას იქცევს ის ვითარება, რომ იმ მცირერიცხოვან ნაშრომებში, სადაც ამ საკითხზეა მსჯელობა – ე.ი. ან ადასტურებს, ან უარყოფს ვეფხისტყაოსნის ფილოსოფიური ნაწარმოების ჟანრისადმი კუთვნილებას – ავტორები არ ეხებიან ამ სპეციფიკური ჟანრის თეორიულ მხარეს, თუმცა აუცილებელია. ქვემოთ იმ საკითხს ვეხები, თუ რა არსებითი ნიშნებითაა განსაზღვრული ფილოსოფიური ჟანრის თხზულება ლიტერატურის თეორიაში.

„ფილოსოფიური რომანი“ ვიწრო გაგების თავსაზრისით არის რომანის ჟანრი, რომელიც რომანის ფორმით ახდენს ავტორის ფილოსოფიური თვალსაზრისის დემონსტრირებას. ეს ჟანრი იზიდავს განმანათლებლებს და ეგზისტენციალისტებს, მისი ყველაზე ძველი ტრადიცია ფრანგულ ლიტერატურაშია.

ფილოსოფიური რომანის წინამორბედები შეიძლება ვნახოთ ფილოსოფიასთან მოსაზღვრე ყველა ფორმაში – მენიპეს სატირებში, პლატონის დიალოგებში, უტოპიებში, მაგრამ ჭეშმარიტი ცხოველმყოფ-ელობით მხოლოდ ფილოსოფიური რომანი სუნთქავს.

თუმცა ფილოსოფიურ რომანში არის პერსონაჟთა ხასიათები, მაინც მოქმედების განვითარება ემორჩილება თხრობას, რომელიც ხშირ შემთხვევაში ავტორის მიერ აშკარად წინასწარ შექმნილი ფილოსოფიური მიდგომით არის განსაზღვრული, ხოლო მხატვრული განზოგადება პრევალირებს ინდივიდუალიზაციაზე, მაგრამ ზიანს არ აყენებს თხრობას: ფილოსოფიური რომანის ინტელექტუალიზმის აღქმის სირთულეს აწინასწორებს დაძაბული მოქმედება, ინტერესი, სიუჟეტის ეგზოტიკურობა და უცნაურობა: იდეებს ერთვის თემის ინტიმური შეფერილობა – იგი გაფორმებულია, როგორც ეპისტოლარული ჟანრის გმირის შინაგანი მონოლოგი.

მაგალითად, მონტესკიეს „სპარსული წერილები“ (1721), რომელსაც ლანსონი საერთოდ პირველ ფილოსოფიურ რომანად თვლიდა, წარმოადგენს განმანათლებლურ სატირას ეპოქის ზნეობაზე იმ ორი სპარსელის თვასაზრისის მიხედვით, რომელიც პარიზში აღმოჩნდნენ. ჟან-ჟაკ რუსოს „ახალი ელოიზა“ (1761წ) წარმოადგენს წერილების სახით შექმნილ რომანს. განმანათლებლურ ფილოსოფიურ რომანებს წერდა ვოლტერიც – „მემონი ანუ ადამიანური სიბრძნე“ (1743წ), „კანდიდი“ (1750წ), ასევე დენი დიდროც – „რამოს ძმისწერული“ (1762წ), „იაკობ ფატალისტი“ (1773წ).

ადამიანის ბედის წინასწარ განსაზღვრულ დამახინჯებამდე მიდის ეგზისტენციალისტთა ფილოსოფიური რომანები, რომლებიც კი-ერკეგორსა და დოსტოევსკის ეყრდნობიან; კამიუ ხატავს ადამიანის აქტიორუობის ამაობას გარემომცველი აბსურდის ფონზე („ჭირი“ – 1932წ) და ადამიანის სიმარტივეს საზოგადოებაში („უცხო“ – 1942წ).

ფილოსოფიური რომანი ფართო აზრით აღნიშნავს ყოველი რომანის ხასიათის წანარმოებს, რომელსაც მნიშვნელოვანი აზრობრივი შინაარსი აქვს, მაგალითად, რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელი“, თომას მანის „დოქტორი ფაუსტი“ და სხვ. (ლექსიკონი 1984: 114).

XIX საუკუნეში საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ფსიქოლოგიური, ყოფითი, სატირული რომანების პარალელურად განვითარდა ფილოსოფიურ-ისტორიული რომანიც. აქ აღარაფერს ვიტყვით XX საუკუნისთვის ტიპიურ ფილოსოფიურ რომანზე, რომელიც ეგზისტენციალურ იდეათა ტიპიურ ფორმას წარმოადგენს და რომელთა ავტორებიც გვევლინებიან როგორც მწერლებად, ასევე ფილოსოფოსებადაც.

როგორც განმაზოგადებელ დებულებას, აღნიშნავენ, რომ ტერმინს „ფილოსოფიური რომანი“ ორი არსებითად განსხავავებული მნიშვნელობა აქვს; პირველი: საკუთრივ ფილოსოფიური ხასიათის ნაწარმოები, რომელსაც სახეობრივი თხრობის ფორმა აქვს მიღებული ემოციური დამაჯერებლობის, პოპულარობის, სიცოცხლისუნარიანობის და ა.შ. მიზნით. ფილოსოფიური რომანი განსაკუთრებით ტიპიურია განმანათლებლობის ლიტერტურისთვის (ვოლტერის, მონტესკიეს, დიდროს, გოდვინის და სხვა ავტორთა ნაწარმოებები).

ფილოსოფიური რომანი ნათლად გამოხატული მხატვრული პირობითობისკენ ისწრაფვის: მისი გმირები თვითგანვითარებად ხასიათებს კი არ წარმოადგენენ, არამედ წარმოდგებიან როგორც ავტორის იდეის გამომხატველნი, როგორც რეზონიერები; სიუჟეტი და თავად კონფლიქტის გადაწყვეტა გარკვეული ფილოსოფიური კონცეფციის მიმართებას ექვემდებარება. თავად ნაწარმოების სახეობრივ ქსოვილს ჩვეულებრივ არ აქვს ის სიმტკიცე და ხატოვანება, რომელიც საკუთრივ მხატვრული რომანისთვის არის დამახასიათებელი.

მეორე: არაიშვიათად ასევე ფილოსოფიურს უწოდებენ თავისი მხატვრული აზრით ყველაზე უფრო ღრმა და ტევად რომანებს, მაგ. სერვანტესის, სტენდალის, დოსტოევსკის და სხვ. რომანებს. მოცემულ შემთხვევაში მხედველობაში ისაა მიღებული, რომ ამ რომანთა შემოქმედი, მსგავსად უდიდესი ფილოსოფოსებისა, ხსნიან ადამიანის ყოფიერების გადამწყვეტ, ძირითად საკითხებს, ცდილობენ შექმნან მთლიან წარმოდგენა სამყაროზე, ეს სიტყვათა ხმარება ფართოდაა გავრცელებული და დაკანონებული. მაგრამ აუცილებელია შევიმეცნოთ, რომ გამოთქმას „ფილოსოფიური რომანი“ ამ შემთხვევაში გადატანითი მნიშვნელობა აქვს, რომელიც პრინციპულად განსხვავდება ტერმინის – „ფილოსოფიური რომანი“ – შინაარსისგან. „დონ-კიხოტი“, „წითელი და შავი“, „ძმები კარამაზოვები“ – რა თქმა უნდა, არა ფილოსოფიური, არამედ მთლიანიად, საგსებით მხატვრული ნაწარმოებებია, და სწორედ ამაშია მათი სიდიადე და ღირსება. ამასთან „ფილოსოფიური რომანი“ სიტყვის საკუთარი აზრით კულტურის სინთეტური

ფორმაა, რომელშიც ერთიანდება ფილოსოფიისა და ხელოვნების ელ-ემენტები“ (ლექსიკონი 1974:436).

ფილოსოფიური რომანის კონცეფციის კონტექსტში უნდა განვიხილოთ ისეთი კატეგორია, როგორიცაა ინტელექტუალიზმი ლიტერატურაში.

ტერმინი „ინტელექტუალიზმი ლიტერატურაში“ გულისხმობს მხატვრული ლიტერატურის შინაარსობრივ-სტილისტურ თავისებურება-განსაკუთრებულობას, რომელიც ჩნდება ნაწარმოებში ფილოსოფიური საწყისის ფრიად მნიშვნელოვან შეღწევა-განვითარების გამო. ინტელექტურაში ნაწარმოები ჩვეულებრივ შეიცავს პარაბოლურ აზრს, ე.ი. იგაცს, ისტორიას, რომელიც თითქოს დაცილებულია თანამედროვეობას. მაგრამ აზროვნების პარაბოლურობა ინტელექტუალურ ხელოვნებაში სწორედ ამით გამოიჩინევა, რომ თანამედროვეობისგან დაცილება ხდება არა წრფივად, არამედ მრუდით, პარაბოლით, რომელიც განზედ დარჩენილ აზრს თითქოს კვლავ შემოაბრუნებს თანამედროვეობისკენ (მაგალითად, ლერთების ისტორია ბ. ბრეხტის პიესაში „კეთილი კაცი სეჩუანიდან“).

XX საუკუნის ინტელექტუალიზმი თავისი ტრადიციებით პირველ რიგში XVIII-ის განმანათლებლობის ლიტერატურას უკავშირდება. (დენი დიდრო, დენიელ დეფო, ლესინგი); აღსანიშნავია ფ. დოსტოევსკის „იდეათა რომანები“ („იდიოტი“, „დანაშაული და სასჯელი“ და სხვ): „სისავსე, განზოგადებული ალგებრულობა – ასე ვთქვათ, ფილოსოფიური პარტიტურის შექსპირულობა, რომელიც გამორიცხავს ყოფით ნაგავს, კერძოსა და ადგილობრივს, ნაციონალურ აზრს სუფთა პროდუქტის გამოყოფით – სწორედ ამითაა მიღწეული ფეოდორ დოსტოევსკის ახლანდელი მსოფლიო უკვდავება“ (ლ. მ. ლეონოვი). მიუხედავად რვასაუკუნოვანი დროითი ზღვარისა, ლიტერატურაში ინტელექტუალიზმის თანამედროვე შეხედულებები საყურადღებოა ისეთი პრობლემის შესწავლისას, როგორიცაა ვეფხისტყაოსნის ფანრის დასაბუთებული განსაზღვრა. ფილოსოფიურ და მხატვრულ საწყისთა მონიზმს ანუ მთლიანობას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს: ფილოსოფიას და ხატოვნებას მუდამ უშუალო კავშირი ჰქონდა: მაგალითად, ლუკრეციუსის „საგანთა ბუნებისათვის“ წარმოადგენს მხატვრულად გაფორმებულ ფილოსოფიას; ლ. ტოლსტიოს „ომი და მშვიდობა“ ფილოსოფიური რომანია, რომელშიც მოაზროვნის იდეები შერწყმულია მხატვრის მიერ შექმნილ სახეებთან. აწმყოსა და წარსულის ურთიერთკავშირის ნიმუშად გამოდგება შემდეგი მაგალითი: პიკასომ, როდესაც

თავისი შემოქმედების თავისებურებებს ახასიათებდა, შენიშნა: „ზოგი-ერთთ სურდათ სამყარო ისეთად წარმოქსახათ, როგორსაც ხედავენ. მე მსურს სამყარო ისეთად წარმოვსახო, როგორსაც ვიაზრებ“. პიკასოს ეს ავტოდახასიათება თანხვდება შემოქმედებითი ერთ-ერთი ტიპის იმ განსაზღვრას, რომლის შესახებაც ჯერ კიდევ არისტოტელე წერდა: სინამდვილის მიბაძვა, როგორც მასზე ლაპარაკობენ და ფიქრობენ მრავალნი.

ლიტერატურული ინტელექტუალიზმი, როგორც უკვე ითქვა, უპირველეს ყოვლისა, XVIII საუკუნის განმანათლებლობას უკავშირდება, ამ მიმდინარეობის წარმყვანი უანრი კი ფილოსოფიური რომანი იყო: ტრადიცია XX საუკუნეში თანამედროვეობის შესაბამისად იცვლება და გრძელდება. XX საუკუნეში მრავალი მწერლის შემოქმედებაში ფილოსოფიური საწყისი ანუ ფილოსოფიურობა განსაზღვრავს ნაწარმოების არა მხოლოდ შინაარსს, არამედ ფორმასაც – იქმნება რომანი-კონცეფცია, ასევე პიესა-კონცეფცია, პოემა-კონცეფცია, რომელთაც საფუძვლად ინტელექტუალიზმი უძევს. ინტელექტუალიზმი ორლესული ტენდენციაა, მას ორი „ალესილი“ კიდე აქვს: თუ ერთის მხრივ მას შეუძლია მოგვცეს სამყაროს მდგომარეობის რეალური ანალიზი, მეორე მხრივ შეუძლია ემსახურის სიცრუის, ძალადობის, სისასტიკის რაციონალისტური გამართლების მდაბალ მიზნებს. ვ. ფ. ასმუსი აღნიშნავს, რომ „გრძნობა, რომელიც ემორჩილება პირდაპირ და უშუალო გამოწვევას, დასამუშავებლად და ასასახად მისასანდომი აღმოჩნდა მასზე უშუალოდ ინტელექტის ზემოქმედების მეშვეობით“ (ასმუსი 1968: 630).

ინტელექტუალიზმი ხელოვნებაში მხატვრული აზროვნების იმგვარი საშუალებაა, რომელსაც გარკვეული მიზნები აქვს (ყოფიერების „მეტაფიზიკურ პრობლემათა“ ფილოსოფიურ-კონცეპტუალური ანალიზი, სამყაროს მდგომარეობის ანალიზი), მხატვრული აზრის განსაკუთრებული ფორმა და სტილისტიკა (მიღრეკილება პირობითობისადმი, აზროვნების პარაბოლურობა, ვითარებათა ექსპერიმენტულობა, ლოგიზმირებული ხასიათები, რომელნიც სახეებით წარმოადგენენ ავტორის აზრებს და სხვ.), და ბოლოს, მკითხველსა და მაყურებელზე ზემოქმედების განსაკუთრებული ხასიათი (იდეის მხატვრული დამტკიცება, ნაწარმოების ზემოქმედების „გამართულობა“ და ინტენსიფიკაცია)“ (ლექსიკონი 1974: 105-107).

ჩემის თვალსაზრისით, სრულიად კანონზომიერია, რომ ვეფხისტყაოსანი, როგორც ფილოსოფიური უანრის თხზულება, რუსთაველის პოლიტიკურ შეხედულებებთან არის დაკავშირებული.

ბერძენი ფილოსოფოსები – სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, თამარისდროინდელი „იქროს ხანის“ ქართულ საერო აზროვნებასა და მწერლობაში („ისტირიანი და აზმანი შარავანდედთანი“, „აბდულმესიანი“, „თამარიანი“) შემოდიან არა როგორც იდეალისტური თუ მატერიალური ფილოსოფიის წარმომადგენლი, არამედ, უპირველეს ყოვლისა, როგორც ანტიკური პოლიტიკური ფილოსოფიის შემოქმედი – სახელმწიფოს თეორეტიკოსები. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს უდიდესი მოაზროვნები ეთიკასა და პოლიტიკას ერთმანეთისგან არ თიშვავნ (ეს გათიშვა მოახდინა ნიკოლო მაკიაველიმ).

მსგავსად დანტეს „ლვთაებრივი კომედიისა“, ვეფხისტყაოსნის ენციკლოპედიურიბაც რუსთაველის პოლიტიკურ კონცეფციებთან არის დაკავშირებული და მთელი პოემა მისი შემოქმედების ეთიკურ-პოლიტიკურ კონცეფციათა მხატვრულ უკუფენას წარმოადგენს, რომელთა ჩაღრმავებული შესწავლა მომავლის საქმეა. რუსთაველს, დანტესგან განსხვავებით, არ დაუწერია პოლიტიკური ტრაქტატები, და მის ეთიკურ-პოლიტიკურ კონცეფციათა ერთადერთ წყაროს ვეფხისტყაოსანი წარმოადგენს – „შაირობა“, რომელიც „სიბრძნისაა ერთი დარგი“ (შედრ. არისტოტელე, პოეტიკა, §9: „პოეზია უფრო ფილოსოფიურია და უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ისტორია“).

ვეფხისტყაოსანში ალენერილი ყოველი სახელმწიფოს მხატვრული ხატით რუსთაველი საკუთარ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებს გადმოგვცემს, რომელთა ბოლომდე წვდომა და მართებული შეფასება სრულიად გამორიცხულია სახელმწიფოს შესახებ ძველ ბერძენ ფილოსოფოსთა სპეციალური ნაშრომების გათვალისწინების გარეშე.

ანტიკურ პოლიტიკურ ფილოსოფიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ე.ნ. „იდეალური სახელმწიფოს“ თეორიას, როგორც „მცთარ“ სახელმწიფოებრივ წყობილებათა ანტიპოდს, ამასთან, პლატონთან და არისტოტელესთან იდეალური სახელმწიფოს წყობილების რაობა ძირფესვიანად განსხვავებულია. როგორც ქართული საისტორიო და სიტყვაკაზმული მწერლობის ძეგლებიდან ჩანს, ქრთული განათლებული საზოგადოებისთვის ეს კონცეფციები ცნობილი იყო, მაგალითად, მეხოტბენი აშკარად არ სწყალობენ არისტოტელეს, აბსოლუტური მონარქიის მონინააღმდეგეს. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ მოქალაქე ისეთია, როგორიცაა სახელმწიფო: ესაა მთელისა და ნაწილის ურთიერთმიმართება.

ანტიკურ-პოლიტიკური ფილოსოფიის ყურადღების საგანია „მთელი“ ანუ სახელმწიფო (პლატონი), მწერლისა — „ნაწილი“ ანუ ადამი-

ანი, რომლის არსის მიხედვით უნდა წარმოვიდგინოთ „მთელი“ ანუ ის სახელმწიფო, რომლის მოქალაქეც არის და რომელმაც განაპირობა ამ „წანილის“ ანუ კონკრეტული ადამიანის ხასიათი. ამ კონტექსტში ტარიელ-ავთანდილის ხასიათია დაპირისპირებული, კონკრეტული ხა-სიათები არა დიონისურ და აპოლონურ ტიპთა ტრადიციულ დაპირი-სპირებებში უნდა ვეძიოთ, არამედ იმ სახელმწიფობრივ წყობილებათა სხვაობა-განსხვავებულობაში, რომლის შედეგსაც წარმოადგენენ. არ-ისტორიულეს კონცეფციური განსაზღვრის თანაბმად ადამიანი არის Zoon Politicon, ამიტომაც ტარიელისა და ავთანდილის ხასიათთა ან-ტონიმია არა დიონისურ და აპოლონურ საწყისთა ანტონიმიაა, არამედ ორი სხვადასხვა ტიპის სახელმწიფოში აღზრდილ ინდივიდთა ანტონი-მია, რომელთაგან არაბეთი „ჰარმონიული“ სახელმწიფოა, ინდოეთი კი „დისპარმონიული“ ამ ტერმინთა პოლიტიკურ კონტექსტში გადატანით.

სავარაუდოა, რომ ვეფხისტყაოსანში ჰარმონიული ანუ იდეალური სახელმწიფო დახატულია არაბეთის სამეფოს სახით და პოემის მხატ-ვრულ სისტემაში მას ისეთი ადგილი უკავია იქ წარმოდგენილ რეალურ თუ გამოგონილ სახელმწიფოთა – ინდოეთის, მულდანზანზარის, გუ-ლანშაროს, ქაჯეთის – მიმართ, როგორც პლატონის **იდეალურ**, ხოლო არისტოტელეს **მართებულ** სახელმწიფოს კულა სხვა სახელმწიფოე-ბრივ წყობილებათა მიმართ. ხაზგასმით აღნიშვნას იმსახურებს ის არ-სებითი ხასიათის ნიშანი, რომ ძველ ბერძენ ფილოსოფოსთა კონცეფ-ციაში იდეალური და **მართებული** სახელმწიფოები დაპყრობით ომებს არ ანარმოებენ. ამ არსებითი ნიშნის მიხედვით ვეფხისტყაოსანში წარმოდგენილ სახელმწიფოთაგან არც ერთი არაა ამ კატეგორიისა გარდა არაბეთისა; იგივე ითქმის ამ სახელმწიფოთა წარმომადგელების შესახებ. ზემოხსენებულ დებულებაში რუსთაველს მნიშვნელოვანი კორექტივი შეაქვს ადამიანის არსის გააზრებისას: ვეფხისტყაოსანში არის ორი გმირი, რომელთა პიროვნებანი გარდაქმნას განიცდიან ხა-სიათის განვითარების დინამიკის თვალსაზრისით. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შოთა რუსთაველის ერთ-ერთი უდიდესი დამსახურება მსოფლიო ლიტერატურის ნინაშე ისაა, რომ მან პირველმა ასახა პერ-სონაჟის ხასიათის დინამიკა – ლიტერატურული გმირის ხასიათის სრუ-ლი გარდაქმნა თხზულების მიმდინარეობის ფარგლებში.

შოთა რუსთაველის ეთიკურ-პოლიტიკურ კონცეფციათა შესამეც-ნებლად – რომელნიც სცილდებიან მხოლოდ და მხოლოდ ფილოლო-გიურ-ლიტერატურათმცოდნეობით ინტერესებს და ქართული საზოგა-დოებრივ-პოლიტიკური აზროვნების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს

შეადგენენ – მის მხატვრულ მეთოდში გათვალისწინებულ უნდა იქნას ანტიკურ პოლიტიკურ ფილოსოფიაზე მიმანიშნებელი ალუზიები, სა-მეცნიერო ლიტერატურიდან აღებულ სახეთა პოეტური გადამუშავება.

სრულიად ცხადად ჩანს, რომ ვეფხისტყაოსანში აისახა პლატონის და არისტოტელეს ფილოსოფიური ტერმინოლოგია ქართული შესა-ტყვისებით, რაც ქართულ სამეცნიერო თარგმანში გათვალისწინებულ უნდა იქნას (კარბელაშვილი 1988: 22-24). ასევე საყურადღებოა რუს-თველოლოგთა ინტერესი ვეფხისტყაოსნის კოსმოლოგის მიმართ, რომელიც ასტროლოგის ვინწრო ფარგლებს სცილდება – კოსმოსი რუსთაველის ეპოქის სააზროვნო სისტემაში და პლატონის „ტიმეო-სი“ საყურადღებო პარალლელს გვაძლევს ინტერტექსტობრიობის თვალსაზრისით.

შოთა რუსთაველის ეპოქის ქართულ ისტორიოგრაფიაში საქარ-თველოს სახელმწიფებრივი ეთიკურ-პოლიტიკური არსი შვიდი მნა-თობის კოსმიური სიმბოლიკით არის გააზრებული: თამარმა „შვიდთა მათ სარტყელთა ცისათა... შეასახა სფერო მინიერი“ (ქ-ც 1956: 27-28); ანალოგიური იდეოლოგიური კონცეფციაა გატარებული მეხოტბეთა – შავთელისა და ჩახრუხაძის – პოეტურ თხზულებებში.

წარმოდგენა კოსმოსზე, როგორც უმაღლეს მოწესრიგებულ ენერ-გიაზე, ანტიკურ პოლიტიკურ-ფილოსოფიური აზროვნებიდან იღებს საწყისს – პითაგორას „სფეროთა მუსიკა“ – ხოლო პლატონის კოს-მოლოგის სისტემურმა კონცეფციამ თავისი დასრულებული გამოვ-ლენა „ტიმეოსში“ პჲოვა: პლატონის „სახელმწიფოში“ წარმოდგენილი იდეალური სახელმწიფოს დასაბუთება „ტიმეოსშია“ მოცემული – იდე-ალური სახელმწიფო იდეალური კოსმოსის ანარეკლი და გაგრძელებაა.

როგორც თამარის მეისტორიეთა თხზულებებიდან ჩანს, XII საუ-კუნის მეორე ნახევრის ქართული ეპოქალური ოფიციალური პოლიტი-კური აზროვნება საწყისს ანტიკური ფილოსოფიის ამ ეთიკურ-პოლი-ტიკური კონცეფციიდან იღებს.

შვიდი მნათობის სიმბოლიკა საქართველოს ეთიკურ-ფილოსო-ფიურ და ესთეტიკურ კონცეფციაშიც თავისი იდეოლოგიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ასპექტით არის ასახული; ამ დებ-ულების საფუძველზე მძაფრი ტრაგიკული მსოფლგანცდით აღბეჭდი-ლი კოსმოსური ჰიმნი ავთანდილისა პლატონის „სახელმწიფოსა“ და „ტიმეოსის“ ეთიკურ-ფილოსოფიურ კონტექსტში უნდა იქნას გააზრე-ბული და განმარტებული (კარბელაშვილი 1989: 7).

შალვა ნუცუბიძის მიერ აღმართულ საკითხს ვეფხისტყაოსნის ფილოსოფიური უანრისადმი კუთვნილების შესახებ ერთ-ერთ უმნიშ-

ვნელოვანეს კონცეფციად ვთვლი. რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში ვეფხისტყაოსნის ჟანრობრივი განსაზღვრის ფართო სპექტრია წარმოდგენილი; იგი კვალიფიცირებულია, როგორც „რომანტიკული პოემა“, „რომანტიკული მოთხოვბა“, „ლირიკული ეპოსი“, „ეპიკურ-რომანტიკული პოემა“, „სათაგადასავლო-საგმირო ეპოსი“, „ქართული ეპოსი“, „ნაციონალური რომანტიკული ეპოსი“, „ეპიკური ნაწარმოები“, კონსტრუირებული როგორც დიდებული რაინდული რომანი“, „საგმირო და კურტუაზიული ეპოსის ზღვარზე მდგარი თხზულება“, „უპირველესად ხასიათის ეპოსი“, „რომანი თანამედროვე წარმოდგენით“, „რომანტიკულ-გმირული პოემა“. მართლაც, „ვეფხისტყაოსნი“ მეტნაკლებად შეიცავს ყველა აქ ჩამოთვლილ ჟანრულ სახეობას, რამდენადაც ეს განსაზღვრებანი მის ფორმასა და სტილს ეხება, და ეს ბუნებრივიცაა, რადგან ლიტერატურული ჟანრი თავის ისტორიულ განვითარებაში გარკვეული ხარისხით ყოველთვის შეიცავს თავის წინამორბედ ფორმებს. ყველა ამ განსაზღვრებაში მთავარი ისაა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ჟანრული რაობა კვალიფიცირებულია მისი დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით. „ვეფხისტყაოსნის“ ჟანრის განსაზღვრა არა მისი დამახასიათებელი, არამედ მისი არსებითი ნიშნის მიხედვით უნდა მოხდეს. არსებითი ნიშნის მიხედვით „ვეფხისტყაოსნის“ ჟანრის განსაზღვრა წარმოდგენილია შალვა ნუცუბიძის ნაშრომებში. „ვეფხისტყაოსნის“ – როგორც ფილოსოფიური თხზულების არსი ადრევე იყო განჭვრეტილი ვახტანგ მეექვსის, ანტონ კათალიკოსის, დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის მიერ. იმის გათვალისწინებით, რომ „ვეფხისტყაოსნი“ სარაინდო რომანის ფორმით დაწერილი ფილოსოფიური შინაარსის პოემა, შესაძლებლად მიმაჩნია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ჟანრი განისაზღვროს, როგორც ფილოსოფიური რომანი“ (კარბელაშვილი 1995: 30-31).

ვეფხისტყაოსნის, როგორც ფილოსოფიური რომანის დასაბუთებაში პრიორიტეტულად ანტიკური ფილოსოფიური განათლება, ხოლო კერძოდ კი მატერიალისტური და იდეალისტური მსოფლმხედველობის ანტინომია მოექცა ყურადღების ფოკუსში. სრულიად ცხადია, რომ ეს საბჭოური იდეოლოგიური კლიშეს გადატანა იყო ლიტერატურათმ-ცოდნებაში, ხოლო კერძოდ და კონკრეტულად – შოთა რუსთაველის სააზროვნო სისტემაში. როგორც არსებული მასალიდან – კერძოდ კი შალვა ნუცუბიძის ნაშრომებიდან ჩანს, ვეფხისტყაოსნის, როგორც ფილოსოფიური თხზულების დასაბუთებაში, მის ჟანრულ კვალიფიკაციაში სწორედ იდეალისმ-მატერიალიზმის კონცეპტი იქნა აღიარებული

საფუძვლად და ყურადღების მიღმა დარჩა გენიალური ქართველი პოეტის პოლიტიკური შეხედულებანი, რომელსაც ტრადიციით და ტენდენციით მონარქისტული იდეოლოგიის აპოლოგეტად მიიჩნევენ. მაგრამ ისმის კითხვა: რამდენად მართებულია ვეფხისტყაოსნის, როგორც ფილოსოფიური ჟანრის თხზულების განსაზღვრა მხოლოდ იმის საფუძველზე, თუ რომელ ფილოსოფიურ მიმდინარეობას – მატერიალისტურსა თუ იდეალისტურს – მიეკუთვნება პოემის ავტორი? ჩვეულებრივ, ფილოსოფიური ჟანრის ნაწარმოებები ავტორთა ეთიკურ-პოლიტიკურ კონცეფციებთან არის დაკავშირებული – მაგალითად შარლ მონტესკიეს „სპარსული წერილებიც“ საკმარისია. ამ კონცექსტში პოემის ჟანრის განსაზღვრა nolens-volens ვეფხისტყაოსნის ავტორის პოლიტიკურ შეხედულებებს აქცევს მთავარ საფუძვლად და დგება საკითხი პოემაში განთვენილი პოლიტიკური კონცეფციის შესახებ, რომლისკენაც მიგვიხმობს თუნდაც ისეთი სპეციფიკური ტერმინოლოგია, როგორიცაა „ათენი“ და „სპარსული“ თავისი მრავალსაუკუნოვანი ქვეტექსტით (კარბელაშვილი 1989: 169-176). რაც გვაყინებს კარდინალური კითხვის წინაშე: ნუთუ რუსთაველი მართლაც აბსოლუტური მონარქიის მეხოტე იყო, როგორც ამას ამტკიცებენ მკვლევარნი? ეს უმნიშვნელოვანესი, კონცეპტუალური საკითხია და მხოლოდ ტექსტიდან და კონტექსტიდან ამოგლეჯილი რამდენიმე ციტატის საფუძველზე არ და ვერ გადაიჭრება. ყოველივე ეს ვეფხისტყაოსნის ჟანრულ რაობასთან არის დაკავშირებული და იმას ამტკიცებს, რომ შოთა რუსთაველი მატერიალისტური მსოფლმხედველობისაა, ხოლო პოემის ჟანრის საკითხს ვერ გადაჭრის.

ყოველივე ამის შემდეგ უნდა დაისვას კითხვა: არსებობს თუ არა რაიმე ზოგადი წანამძღვარი იმ დებულებისათვის, რომ შოთა რუსთაველი არა მხოლოდ გენიალური პოერტი, არამედ, ამავე დროს, გენიალური პოლიტიკური მოაზროვნეც იყო და რამდენად ესადაგება ეს შუასაუკუნეებს? – ასეთი თეორიული წანამძღვარი არსებობს: შუა საუკუნეთა ლიტერატურა უაღრესად პოლიტიზირებულია და, მაგალითად დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედიის“ დასახელება ქმარა, მაგრამ ამჯერად ამ დებულების დასასაბუთებლად რუსთაველის გენიალურ თანამედროვეთა – ერთის მხრივ ნიზამის, მეორე მხრივ კი – კრეტიენ დე ტრუასა და ვოლფრამ ფონ ეშენბახის შემოქმედებას მოვიხმობ, რისთვისაც მაქსიმალურად მოკლედ გადმოვცემთ მათ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებს.

ე. ე. ბერტელსს, ნიზამის შემოქმედების ცნობილ მკვლევარს, აქვს მრავალმხრივ საყურადღებო ნაშრომი „ნიზამის პოლიტიკური შეხედ-

ულებანი” (ბერტელსი 1962: 432-450), რომელშიც კრიტიკულად აანალიზებს პოეტის შემოქმედების ცნობილ მკვლევართა – ვ. ბახერის, ი. პიძის, გ. ეთეს, პ. პორნის – მოსაზრებას ნიზამის პოეზის მისტიკურასკეტური ცხოვრებისგან განყენებული ხასიათის შესახებ და მისი ხუთივე პოემიდან სათანადო მასალის მოხმობით არგუმენტირებულად უარყოფს მას. აღძრულ საკიხთან და კავშირებით ჩვენთვის საყურადღებოა ე. ბერტელსის დასკვნა ნიზამის პოლიტიკური იდეალის შესახებ: „შემოქმედების პირველ ეტაპზე ნიზამი ცდილობს გამოსავალი იპოვოს იდეალური ხელისუფლის, განათლებული, ყველა წინააღმდეგობათა გადამლახავი ისეთი აბსოლუტური მონარქის დახატვაში, რომლის მიზანსაც თავის ქვეყანაში ჰუმანიზმის დამკეიდრება წარმოადგენს. მაგრამ პოეტს გამოცდილებამ უჩივენა, რომ მისი დროის ვითარებაში ამგვარი მონარქის გამოჩენა უიმედოა, და ამასთან ერთი კარგი მონარქის არსებობა ვერ უზრუნველყოფს საზოგადოების მდგრადობას. და ნიზამი („ისკანდერ-ნამეში“ – მ.კ.) ინყებს უტოპიის შექმნას, ინყებს ოცნებას ისეთ საზოგადოებაზე, რომელსაც მისი დრო, რა თქმა უნდა, ვერ წარმოშობდა... საგულისხმოა, რომ ამგვარი საზოგადოების სურათი – ნიზამის შემოქმედების ბოლო აკორდია, მისი უკანასკნელი სიტყვა, ის summum bonum (უმაღლესი სიკეთე), რომლის მაღლა აღარაფერი არსებობს“ (ბერტელსი 1962: 448).

როგორც ვხედავთ, ნიზამიმ თავის ბოლო თხზულებაში უარი თქვა პიროვნულად სრულყოფილი ხელისუფლის იდეალზე და მისი პოლიტიკური კრედო იდეალური სახელმწიფო წყობილების – უტოპიის დახატვაში გამოვლინდა.

რაც შეეხება დასავლურ სარაინდო რომანს, მას დიდხანს – ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდანვე – მსუბუქ გასართობ საშუალებად თვლიდნენ (სანკტიის 1963: 174), თუმცა ირკვევა, რომ კრეტიენის და ვოლფრამის რომანები XII საუკუნის ევროპისათვის საჭირბოროტო, მძაფრი პოლიტიკური პრობლემებით არის დამუხტული. კრეტიენის რომანებში სამართლიანი და კეთილი მეფის იდეალმა, რომელიც მეფე არტურის მხატვრულ სახეშია განხილული, მარცხი განიცადა და პოეტი ბოლო დაუმთავრებელ რომანში „პერსევალი“ ინყებს ახალი იდეალის ძიებას: ეს იდეალი წმინდა გრაალის სამყაროა, რომელიც ზეეროვნული იმპერიის იდეალს წარმოადგენს. კრეტიენის კონცეფციამ დასრულებული სახე ვოლფრამის „პარციფალში“ პპოვა, აქ ჩვენთვის საყურადღებოა ე.ნ. „ორი მახვილის“ თეორიის მხატვრული ხატი: პერსეველ-პარციფალი მეფე-მეთევზისგან საჩუქრად იღებს მის უძვირფასეს

მახვილს და ამგვარად ორი მახვილის მფლობელი ხდება. თუ როგორი მძაფრი პოლიტიკური ყურადღება აქვს „ორი მახვილის“ თეორიას შეუსაუკუნეთა ევროპისათვის, საბუთად მოვიხმობ პაპის ბონიფაციუს VIII-ის (1294-1303) bulas unam sanctum (1302), რომელშიც ცხადად დაფორმულდა პაპიზმის თეოკრატიული დოქტრინა: „ეკლესიის განმგებლობაში ორი მახვილია, სახელდობრ – სულიერი და მატერიალური... მაგრამ ორივე – სულიერიცა და მატერიალურიც – ეკლესიის განმგებლობაშია. მეორეს უნდა იყენებდნენ ეკლესიის საკეთილდღეოდ, ხოლო პირველს თავად ეკლესია იყენებს, რადგან ის ეკლესიის ხელთაა, მეორე კი მეფეთა და რაინდთა ხელშია, მაგრამ ექვემდებარება ეკლესიას და ემორჩილება მის ბრძანებას“ (კოვალსკი 1991: 140). სხვათა შორის, ეს ის პაპია, რომელსაც საფრანგეთის გამაერთიანებელი მეფის ფილიპე ლამაზის მომხრემ სილა გააწნა, დანტემ კი „ლვთაებრივ კომედიაში“ ბონიფაციუს VIII-ს ჯოვანეთში მიუჩინა ადგილი. „ორი მახვილის“ მოძღვრება, ასახული შეუსაუკუნეთა ევროპის ორი უბრნყინვალესი რომანისტის – კრეტიენისა და ვოლფრამის შემოქმედებაში, მთლიანად პოლიტიკური იდეებითაა ნასაზრდოები, როგორც სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება საერო და სასულიერო ხელისუფლებებისა, და პრობლემა გადაწყვეტილია იმპერიის სასარგებლოდ, რომელსაც სათავეში არა რომის პაპი, არამედ საერო პირი უდგას.

სრულიად ცხადია, რომ მთელი XII საუკუნე, – როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში – პოლიტიკური აზროვნების სფეროში ღირსშესანიშნავი ძიებებით მდიდარი დროა და ამ საუკუნის გენიალური შემოქმედნი – კრეტიენი, ნიზამი, რუსთაველი, ვოლფრამი – უაღრესად აქტიური პოლიტიკური მოაზროვნენი არიან; მათი პოემები შეასაუკუნეთა ეთიკურ-პოლიტიკური კონცეფციების პოეტური ენციკლოპედიაა. პრობლემა ღრმა და ვრცელია, და შემდგომი შესწავლის თვალსაზრისით უფართოეს პერსპექტივებს შლის.

ერთი რამ ცხადია: რუსთაველის გენის ჭეშმარიტი მასშტაბების შეფასება შეუძლებელია არა მხოლოდ მისი წინარე და თანამედროვე, არამედ მთელი შემდეგ დროინდელი ევროპული სულიერი კულტურის გათვალისწინების გარეშე; ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ საქრთველოს უპირველესი პოეტური გენია ამავე დროს უდიდესი პოლიტიკური გენიაც იყო (კარბელაშვილი 2002: 203-204).

მაგრამ სრულიად სხვადასხვაა ერთის მხრივ ამა თუ იმ მწერლის პოლიტიკური შეხედულებები, ხოლო მეორე მხრივ – მათი განხორ-

ციელება მხატვრულ ნაწარმოებში: განსხვავება კონცეპტის მასშტაბებში მდგომარეობს, იმაში თუ რაგვარი ფილოსოფიური ჟღერადობა აქვს მინიჭებული მწერლის ეთიკურ-პოლიტიკურ კრედოს მისი პიროვნული ნიჭის შესაბამისად, როგორაა აღქმული და დაყენებული ადამიანისა და სამყაროს ურთიერთმიმართების პრობლემა, როგორია ადამიანის ადგილი სამყაროში, როგორია ადამიანის მწერლის ული კონცეფცია, როგორაა გადაჭრილი ადამიანის ყოფიერების ის ფილოსოფიური პრობლემები, რაც მხატვრულ ნაწარმოებს ფილოსოფიური უანრის თხზულების სტატუსს ანიჭებს.

ამ კონტექსტში ვეფხისტყაოსნის, როგორც ფილოსოფიური პოემის პრობლემა, მხოლოდ ანტიკური ფილოსოფიის ცოდნით, ანტიკური ეპოქის ფილოსოფოსთა პირდაპირი თუ ფარული ციტაციის, მატერიალსტური თუ იდეალისტური ფილოსოფიის მიმდევრობით, როგორც უკვე ვნახეთ, ვერ გადაიჭრება. რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში საერთოდ, კერძოდ კი XX საუკუნის დროინდელ ნაშრომებში ძალიან ცხადად ჟღერს არაბეთისა და ინდოეთის, ავთანდილისა და ტარიელის ურთიერთდაპირისპირებისა და ურთიერთშეპირისპირების თემა, თუმცა სათანადო გაშლისა და გაანალიზების გარეშე. მაგალითად, ტარიელ-ავთანდილის ანტინომიის განხილვა, გასული საუკუნის 30-იანი წლების ნაშრომებიდან მოყოლებული, დიონისური და აპოლონური საწყისების დაპირისპირების ასპექტში საკითხის ვიწრო და შეზღუდული გადაწყვეტაა, რომელმაც ისე ჯადოსნურ წრეში ჩაკეტა ვეფხისტყაოსნის ჭეშმარიტი არსი, რომ დღოგმად იქცა და მეცნიერულ აზრის განვითარება გაყინა. ფილოსოფიისა და მხატვრული ლიტერატურის ფუნდამენტური პრობლემა – „რა არის ადამიანი?“ – ანუ ადამიანის კონცეფცია ზოგადიდან კერძოზე იქნა გადაყვანილი და მხოლოდ პიროვნული ფსიქოლოგიის დონეზე იქნა გააზრებული, თუმცა ვეფხისტყაოსანში ადამიანის კონცეფციის მართლაც მეცნიერული განმარტების საწყისები უკვე ამ სამასი წლის წინ მეცნიერული რუსთველოლოგის ფუძემდებლის ვახტანგ მეექვსის ერთ კომენტარში უკვე სრული კონკრეტულობით არის დაყენებული, და არა მხოლოდ დაყენებული, არამედ გადაჭრილიც ამ დიდი პიროვნების ფართო ფილოსოფიური განათლებისა და ბუნებრივი ნიჭის წყალობით. XX საუკუნის რუსთველოლოგია, როგორც მეცნიერულად ორგანიზებული აკადემიური დარგი, ასე თუ ისე ეხებოდა ამ საკითხს, მაგრამ პრობლემათა ვიწრო წრეში მოქცევის გამო ვერ გამოამჟღავნა მისი გადამწყვეტი მნიშვნელობა ვეფხისტყაოსნის, როგორც რენესანსული სულისკვეთებით აღსავს ფილოსოფიური ნაწარმოების შესახებ.

ვეფხისტყაოსნის უანრული რაობა ფილოსოფიური რომანის თეორიის შესახებ არსებულ ფუძემდებლურ დებულებათა ფონზე უნდა იქნას განხილული და გადაწყვეტილი. საყურადღებოა იდეა ფილოსოფიური ხასიათის მხატვრული ნაწარმოების პარაბოლურობის შესახებ; ვეფხისტყაოსნან ჯერ კიდევ მის თანამედროვეთა მიერ აღქმული იქნა „ზღაპრად“ („...თვით მეზღაპრესა“ – შავთელი), ე.ი. ქარაგმულ, იგავურ ნაწარმოებად, რაც ფილოსოფიური რომანის ერთ-ერთი ნიშან-თვისებაა; ამავე დროს პოემაში ავტორის ფილოსოფიური თვალსაზრისი იმგვარი მხატვრული ფორმითაა გადმოცემული, რომ რვა საუკუნის მანძილზე მისი მკითხველნი გრძნობენ და განიცდიან მის ჭეშმარიტ ცხოველმყოფელ, ემოციურ არსს; თვით ვეფხისტყაოსნის სიუჟეტს – ამას ყველა, როგორც ქართველი, ისე უცხოელი მკვლევარნიც აღნიშნავენ – გამოარჩევს იშვიათი დინამიზმი, დაძაბული მოქმედება, სიტუაციათა სიმძაფრე, რომელიც აწონასწორებს მის ფილოსოფიურ სირთულეს, რასაც ნებისმიერი მკითხველი თუნდაც ნათლად ვერ აცნობიერებდეს, მაინც გრძნობს; ამავე დროს მის სტრუქტურაში დიდი ადგილი უჭირავს მთხრობელს – ტარიელის, ფრიდონის, ფატმანის, ასე ვთაქვათ, მონოლეგები; ამასთან ერთად ვეფხისტყაოსანში უხვადაა ფილოსოფიური უანრისთვის იმანენტური შინაგანი მონოლოგები ფორმულით: „თავსა ეტყვის თუ::...“. ვეფხისტყაოსანს ბევრი აქვს საერთო განმანათლებლობის ეპოქის ფილოსოფიურ ლიტერატურას-თან – მაგალითად, მონტესკიეს „სპარსულ ნერილებთან“, რომლის ფილოსოფიური კონცეპტი ხუთი საუკუნით ადრე ვეფხისტყაოსანშია განხორციელებული, როდესაც ევროპული ტიპის სახელმწიფოში აბსოლუტური მონარქია სპარსულ დესპოტიასთან არის გაიგივებული (კარბელაშილი 1989: 169-172), ხოლო მისი ეპოქის – რენესანსის ეპოქის – ფილოსოფიურ ნაწარმოებთაგან მისი უშუალო პარალელებია თომაზო კამპანელას „მზის ქალაქი“, თომას მორის „უტოპია“, ერაზმ როტერდამელის „ქეპა სიბრიუებისა“, სერვანტესის „დონ-კიხოტი“, რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელი“. რენესანსის ეპოქის ამ ნაწარმოებთა კონტესტში განხილვისას, შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი რენესანსის ეპოქის პირველი ფილოსოფიური მხატვრული თხზულებაა, სადაც რენესანსული ჰუმანისტური აზროვნების კონცექსტში ახლებურადაა გადაწყვეტილი ადამიანის კონცეფცია და ადამიანის სამყაროსთან მიმართება, რაც სრულ თანხმობაშია ზემოთჩამოთვლილ ფილოსოფიურ ნაწარმოებთა რენესანსულ მსოფლგაგებასთან. ისევე, როგორც კლასიკურ ფილოსოფიურ რომანებში, ვეფხისტყაოსანშიც დაყენებუ-

ლი და გადაჭრილია ადამიანის ყოფიერების ძირითადი საკითხები მხატვრული, ამასთან ძალიან მომზიბლავ, ესთეტიკურად სრულყოფილ ფორმაში – მასში პარმონიულადა შეზავებული ფილოსოფიური და სიტყვაკაზმული მწერლობის ელემენტები.

რაც შეეხება ვეფხისტყაოსანში ინტელექტუალიზმს, ინტელექტუალიზმის ოვალსაზრისით შევნიშნავ, რომ არაერთ სხვა გამოვლინებასთან ერთად ვეფხისტყაოსანში ამ ლიტერატურათმცდნეობითი ტერმინის შინაარსის განხორციელების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიმუშია პოემაში უხვად გაბნეული ბრწყინვალე აფორიზმები, რომელთა არსი – ისევე, როგორც არაერთი სხვა პრობლემური საკითხისა პოემაში – დღემდე სათანადო მეცნიერული სიღრმით არ არის შესწავლილი. რუსთაველის აფორიზმებს საქართველოში განვრცობა არა მხოლოდ ახლა, არამედ სუკუნეთა მანძილზე, რომელნიც როგორც წებისმიერი სახის ტექსტებში, ასევე ზეპირმეტყველებაშიც თავისი სიხშირით ანდაზების საყოველთაოდ ცნობილ პოპულარობას აჭარბებენ, სრულიად უნიკალური მოვლენაა, მით უმეტეს, რომ ისანი არა უბრალო მაღალი პოლიტიკური სტატუსის მქონე ოფიციალური ტექსტებშიც განუწყვეტლივ გვხვდება ისევე, როგორც პოლიტიკოსთა ზეპირმეტყველებაში. ეს ჩვეულებრივი მოვლენა არ არის და ვეფხისტყაოსანში იმ ფენომენის შესასწავლად, რასაც ლიტერატურის ისტორიაში ტერმინი „ინტელექტუალიზმი ლიტერატურაში“ გულისხმობს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. როგორც ერთი ცნობილი მწერალი თავისი ნანარმოებში ამბობს, „დღესაც იმისი (რუსთაველის – მ.კ.) ჭკუით ვსულდგმულობთ“ (ო. ჩხეიძე). მით უფრო მნიშვნელოვანია, როდესაც მის აფორიზმს არა მხოლოდ ქართველები მიმართავენ, არამედ უცხოელებიც. ნიმუშები მრავლადა უცხოელი მწერლებისა თუ ლიტერატურათმცდნების ტექსტებში, რომელნიც რუსთაველს ანდა საქართველოს ეხება. მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რუსთაველის აფორიზმების პოლიტიკურ კონტექსტში გამოყენება. ქართულ პოლიტიკურ მეტყველებაში რუსთაველის აფორიზმთა მომარჯვება სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა, იმდენად ხშირი, რომ თითქმის ყოველდღე ვხვდებით ბეჭდურ თუ ზეპირ ტექსტებში, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რომ რუსთველურმა აფორიზმმა მსოფლიო რანგის პოლიტიკური მოღვაწის ყურადღებაც მიიბყრო (როგორ და რა გზით? – საინტერესოა). მოვიყვან ფაქტობრივად დამოწმებულ ტექსტს: „კონფლიქტი მშვიდობიანი გზით უნდა მოგვარდეს“ – განაცხადა კარლ ლამერსმა და საილუსტრაციოდ შოთა

რუსთაველის აფორიზმი „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“ მოიყვანა” (ნატოს ასამბლეის ხელმძღვანელმა რუსთაველის აფორიზმი მოიშველია – გამ. „კვირის პალიტრა“, №13 (869), 28 მარტი, 3 აპრილი, 2011, გვ. 2). როდესაც ნატოს ასამბლეის ხელმძღვანელი საქართველოს – და არა მხოლოდ საქართველოს – სასიცოცხლოდ მწვავე პრობლემის მოსაგვარებლად XXI საუკუნეში XII საუკუნის დროინდელი მწერლის სიბრძნეს, გნებავთ, ინტელექტს მიმართავს, უბრალო მოვლენა არ არის: ასეთ შემთხვევებში ჩვეულებრივია ლათინურ გამონათქვამთა გამოყენება – ამ მხრივ რუსთაველის აფორიზმი ეთიკურ-პოლიტიკური შინაარსის მაქსიმებს გაუთანაბრდა.

მაგრამ ახლა უნდა ვთქვათ მთავარი: მკვლევართა დაკვირვებით, შუა საუკუნების შემოქმედნი – პოეტები – ნაწარმოებებისთვის წამდლვარებულ პროლოგში თავად მიუთითებს საკუთარი თხზულების უანრს და ეს ერთგვარად დაკანონებული მოვლენა ყოფილა. იქნებ არც კი იყოს საჭირო ვრცლად იმის მტკიცება-დასაბუთება, რომ ვეფხისტყაოსანი ფილოსოფიური ნაწარმოებია, თუ სათანადო ყურადღებას მივაქცევთ იმას, თუ როგორ განსაზღვრავს ვეფხისტყაოსნის უანრს თავად ავტორი:

„შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“.

ეს მხატვრული გარდათქმაა არისტოტელეს „პოეტიკის“ იმ ერთ-ერთი მთავარი დებულებისა, რომ „პოეზია უფრო ფილოსოფიური და უფრო სერიოზულია, ვიდრე ისტორია, რადგან პოეზია უფრო მეტად ლაპარაკობს ზოგადზე, ისტორია კი – ცალკეულზე“ (არისტოტელე, პოეტიკა, \$9, 1451). საერთოდ, პროლოგის მეთორმეტე სტროფი ავტორის უძირითადეს ესთეტიკუ-თეორიულ კრედოს გადმოგვცემს და არც ის არის შემთხვევითი, რომ რუსთაველი აქ მიმართავს არისტოტელს „პოლიტიკის“ სპეციფიკურ ტერმინს „კაცი ვარგი“, რომელიც თამარის პირველ ისტორიაშიც გვხვდება განსხვავებული ნიუანსური მნიშვნელობით.

თუკი ვეფხისტყაოსანის ავტორი თავად განსაზღვრავს თავისი ნაწარმოების არსა, როგორც ფილოსოფიურ პოემას, მაშინ რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში იმის მტკიცება, რომ ვეფხისტყაოსანი ფილოსოფიური პოემაა, ღია კარის მტკრევას ჰგავს.

შ. ნუცუბიძის ის დებულება, რომ ვეფხისტყაოსანი ფილოსოფიური პოემა, სრულიად არ ენინააღმდეგება რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა წლებიდან დამკვიდრებულ

აზრს, რომლის მიხედვით ვეფხისტყაოსანი შუასაუკეუნეთა ქრისტიანული სამყაროსთვის იმანენტური სარაინდო რომანია: აქ მთავარი ისაა, რომ „ვეფხისტყაოსნის გმირთა სამიჯნურო-რომანტიული განცდები მხოლოდ ის მომხიბლავი ფარდაა, რომლის მიღმა მორალური, იდეური, ფილოსოფიური და პოლიტიკური მსოფლმხედველობა იფარება, სწორედ ისაა ის უმთავრესი, რაც ვეფხისტყაოსანს კაცობრიობის ინტელექტუალური და მორალური განვითარების გზაზე მსოფლიო მნიშვნელობის ნიშანსვეტად აქცევს“ (ევდოშვილი 1991: 137). დასკვნის სახით ვაყენებ დებულებას: ვეფხისტყაოსანი სარაინდო რომანის ფორმით შექმნილი ფილოსოფიური პოემაა.

დამოწმებანი:

ასმუსი 1968: Асмус В. Вопросы теории и истории эстетики. Мисква: 1968.

ბერტელსი 1962: Бертельс Е. Э. Избранные труды. Низами и Фузули. Мисква: 1962.

ევდოშვილი 1991: ევდოშვილი მ. (კარბელაშვილი მ.). არც უთქმელობა არ ვარ-გა... ჟ. ლაშარი, 1991, № 2.

კარბელაშვილი 1988: კარბელაშვილი მ. ვეფხისტყაოსანი პლატონის სახელმწიფოსა და არისტოტელეს „პოლიტიკის“ „ასპექტები“. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ლიტერატურათმცოდნეობის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭო. შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. სამეცნიერო სესია XXII. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. თბილისი: „მეცნიერება“, 1988.

კარბელაშვილი 1989: კარბელაშვილი მ. კოსმოსი რუსთაველის ეპოქის სააზროვნო სისტემაში და პლატონის „ტიმეოსი“. საქრთველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ლიტერატურათმცოდნეობის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭო. შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. სამეცნიერო სესია XXIII. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. თბილისი: 1989.

კარბელაშვილი 1989: კარბელაშვილი მ. რუსთაველისეული „ესე ამბავი სპარსულის“ ინტერპრეტაციისთვის. ჟ. მნათობი, 1989, № 11.

კარბელაშვილი 1995: კარბელაშვილი მ. „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ფილოსოფიური რომანი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებასთან არსებული ლიტერატურათმცოდნეობის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭო. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დაარსების ორმოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. მუშაობის გეგმა და თეზისები. თბილისი: 1995.

კარბელაშვილი 2002: კარბელაშვილი მ. პოეტი და პოლიტიკა: შოთა რუსთაველი ოქროს ხანის საქართველოს პოლიტიკური აზროვნების კონტექსტში (მასალები ქართული პილიტიკური აზროვნების ისტორიისთვის). ლიტერატურული ძიებან. XXII. თბილისი: „მერანი“, 2002.

კარბელაშვილი 2010: კარბელაშვილი მ. „რენესანსული ანთროპოცენტრიზმის ქრისტიანული საფუძვლები: რუსთაველი და პიკო დელა მირანდოლა“. III საერთაშორისო სიმპოზიუმი. ლიტერატურათმცოდნების თანამედროვე პრობლემები. (მასალები). თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010.

კოვალსკი 1991: Ковальский Я. В. *Папы и панство*. Москва: 1991.

ლექსიკონი 1974: Словарь литературоведческих терминов. Редакторы-составители Л. И. Тимофеев и С. В. Тураев. Москва: «Просвещение», 1974.

ლექსიკონი 1984: Slovník literarny teorie. Československý Spisovatel, 1984.

მელეთინისკი 1983: Мелетинский Е. М. Средневековой роман. Происхождение и классические формы. Москва: «Наука», 1983.

ნუცუბიძე 1958: Нуцубидзе Ш. Творчество Руставели. Тбилиси: «Заря Востока», 1958.

ნუცუბიძე 1963: Нуцубидзе Ш. Петр Ивер и Античное философское наследие (Проблемы ариопагетики). Тбилиси: «Литература и искусство», 1963.

ნუცუბიძე 1967: Нуцубидзе Ш. Руставели и Восточный Ренессанс. Тбилиси: «Литература да хеловнеба», 1967.

სანგიშვილი 1963: Де Санктис Ф. История итальянской литературы, т. I. Москва: 1963.

LIA KARICHASHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Prologue of the “Knight in the Panther’s Skin” – Pavle Ingorkva’s Conception and Modern Discourse

Prologue of the “Knight in the Panther’s Skin” has always been the subject of particular attention and discussions of the scientists. Pavle Ingorkva regarded that the prologue of the poem, similar to the poem itself and its epilogue include interpolations. The researcher regarded as authentic “three prologues”: beginning of the story first; for education of the poets; chapter about lovers;

In Pavle Ingorkva’s ideas many things are shared and accepted, though there are some issues that are seen differently in modern Rustaveli studies. This

deals with composition of the Prologue stanzas and its textual analysis, as well as its worldview and creative aspects.

Key words: “Knight in the Panther’s Skin”, Prologue, Pavle Ingorokva.

ლიპა ქარიშაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი – პავლე ინგოროვას კონცეფცია და თანამედროვე დისკურსი

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი ყოველთვის იყო მკვლევართა განსა-კუთრებული ყურადღებისა და დისკუსიის საგანი. XX საუკუნის გამო-ჩენილი მეცნიერი, ლვან ლმოსილი რუსთველოლოგი პავლე ინგოროვა ფიქრობდა, რომ პოემის პროლოგიც, ისევე როგორც უშუალოდ პო-ემა და ეპილოგი, შეიცავს ინტერპოლაციებს. მკვლევარი ავთენტურად მიიჩნევდა, როგორც თვითონ უწოდებდა, „სამ პროლოგს“: 1. ამბისა დასაწყისი პირველი; 2. სწავლისათვის მოშაირეთასა; 3. კარი მიჯნუ-რობისა; პროლოგის ჩანართებში მკვლევარი პოლემიკურ პათოსს გრძნობდა, ხედავდა დაპირისპირებას პროლოგისეულ სალვოო მიჯნუ-რობასა და „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა მიჯნურობას შორის: „ამ სტროფებში გადმოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველო-ბის დიამეტრალურად საწინააღმდეგო იდეები. „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა მიჯნურობას ამ დამატებსა ავტორი უპირდაპირებს საღმრთო მიჯნურობას, ხოლო ის შორითი ბნედა, რომელიც გადმოცემულია „ვეფხისტყაოსნის“, ინტერპოლატორის აზრით, არის იგივე მდაბალი „ქვენა“ გრძნობა, რომელიც არაფრით არ განსხვავდება სიძეისგან“ (ინგოროვა 2016; 69). წინააღმდეგობას ხედავდა მკვლევარი იმაშიც, რომ რუსთაველი თავს აცხადებს თამარ მეფის მიჯნურად, მაგრამ იქვე კიცხავს მიჯნურს, რომელიც თავისი სატრუოს სახელს გაამხელს, თუმცა თავადვე აღნიშნავდა, რომ პოეტის მიჯნურობა მეფისადმი იყო „იდეალური თაყვანისცემა“ (იქვე, 99). პოლემიკის უმთავრეს მიზეზად კი მკვლევარი რუსთაველის თავისუფალ აზროვნებას მიიჩნევდა: „ჯერ ერთი, პოემის ავტორი შოთა რუსთაველი იწვევდა კლერიკალურ-რეაქციული წრეების ოპოზიციას მისი თავისუფალი მოაზრობის გამო.

მონგოლთა დროის ისტორიული ჟამთა-აღმწერელი, რომელიც თამარს ნეტარს, „სანატრელს“ უწოდებს, შოთას მოიხსენიებს დიდის სიძულვილით, როგორც თავისუფალ მოაზრეს, აღიარებს მას ქრისტიანობიდან განდგომილად და მანის ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრების მიმდევრად აცხადებს“ (ინგოროვა 2016: 83).

ძალზე საყურადღებოა პროლოგის ცალკეული ცნების პავლე ინგოროვასეული განმარტება, მაგალითად, „ჭკვიანს“ ტაეპიდან „ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან“ ასე განმარტავს: „ვინც არ არის შეპყრობილი საღმრთო აღმაფრენით“ (ინგოროვა 2016: 69). აღნიშნული ცნება ჩვენც შევისწავლეთ ნაშრომში „გონებისა და ჭკუის ცნებათა სემანტიკისათვის ვეფხისტყაოსანში“ და შევეცადეთ დაგვესაბუთებინა, რომ ჭკუა აღნიშნულ კონტექსტში არ არის გონების სინონიმი, იგი რეალისტურ, პრაქტიკულ აზროვნებას მიანიშნებს, „ჭკვიანი“ აქ უნდა გულისხმობდეს რაციონალური აზროვნების მქონეს, ან კონკრეტული საერო (გნებავთ პროფესიული) ცოდნის მქონეს, რომლისთვისაც მიუწვდომელია საღვთო სიბრძნე ანუ სიყვარული ღვთისა“ (კარიჭაშვილი 2016: 173).

„თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლდათხეული“, – ეს მეტაფორა, პავლე ინგოროვას აზრით, აღნიშნავს მოყვარე-მეგობართა განმორებას, „გვიჩვენებს, რომ რუსთველი ვეფხისტყაოსნის დაწერის დროს მოშორებულია თამარს. იგი არ არის მიღებული სამეფო კარზე“ (95), ამავე მოტივს უკავშირებს სტროფს: „ვა სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაძრუნვებ, რა ზნე გჭირსა...“. პოეტი პირველი პირით საუბრობს, მაშასადამე, საკუთარ ტკივილს გადმოსცემსო). ტაეპს – „ესე ამშავი სპარსული ქართულად ნათარგმანები...“ – მკვლევარი გვიანდელ ჩანართად მიიჩნევდა.

პავლე ინგოროვას ღრმად სწამდა და კოლოსალური შრომა მიუძღვნა იმის დასაბუთებას, რომ პოეტი შოთა რუსთაველი თამარ მეფის თანამედროვე შოთა ჰერეთის ერისთავია, ამავე დროს რუსთავის მფლობელი და მექურქლეთუხუცესი. „რუსთველიანაში“ იგიკომპლექსურ ფილოლოგიურ-ისტორიულ ძიებათა შედეგად მიდის დასკვნამდე, რომ „ჰერეთის ერისთავი შოთა, ჰერეთის ბაგრატიონთა გვარისა, არის იგივე შოთა რუსთველი, ავტორი გენიალური ქართული პოემისა“ (ინგოროვა 2016: 120). ამავე თეორიას ამყარებს პავლე ინგოროვა შემდგომ ნაშრომშიც „რუსთველიანას ეპილოგი“.

პავლე ინგოროვას მოსაზრებებში პროლოგის შესახებ ბევრი რამ გაზიარებულია და საგულისხმო, თუმცა არის საკითხები, რომელთა ხე-

დვა თანამედროვე რუსთველოლოგიაში განსხვავებულია. ეს ეხება როგორც პროლოგის სტროფულ შედგენილობას და ტექსტობრივ ანალიზს, ისე მსოფლმხედველობრივ და მხატვრულ ასპექტებს.

პოემის ხელნაწერების მიხედვით, ადრინდელად მიიჩნევა პოემის 34 სტროფიანი დასაწყისი. ეს სტროფები ხელნაწერთა ოთხივე რედაქციაშია და ძველი შედგენილობის დედნებიდან მოღის. ვახტანგის უული გამოცემის პროლოგში 31 სტროფია, რომელთაც სარგის კაკაბაძემ და კონსტანტინე ჭიჭინაძემ თავიანთ გამოცემებში მიუმატეს კიდევ ორი. ძირითადი ტექსტის გარეთ დარჩა ერთი სტროფი, რომელიც ხელნაწერთა უმრავლესობას შემონახული აქვს („პირველ თავი დასაწყისი, ნათქვამია იგ სპარსულად...“). შინაარსიდან გამომდინარე, ცხადია, იგი არაავთენტურია და რუსთაველის შემოქმედების კრიტიკული შეფასების ყველაზე ადრეულ ცდას წარმოადგენს.

მევლევრებმა სხვადასხვა დროს სცადეს „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის ვახტანგის უული შედგენილობის გადახედვა. მაგალითად, ნიკო მარმა ის შეამცირა 22 სტროფამდე, პავლე ინგოროვამ – 10, მიხაკო წერეთელმა კი 5 სტროფამდე. საიუბილეო გამოცემების რედაქციებმა 1937, 1966 წლებში კვლავ 31-სტროფიანი დასაწყისი დაბეჭდეს. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში ინტერპოლაციების ფაქტი აშკარაა. პირველ ყოვლისა, პროლოგი გამოიწვევდა „გასწორება-ჩამატებათა“ სურვილს თავისი თემატიკისა და სტრუქტურის გამო.

ცნობილია, რომ რუსთველოლოგიაში სამი განსხვავებული დამოკიდებულება არსებობდა პროლოგისადმი. მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ იგი ნამდვილად რუსთველის დაწერილია (დ. სუტნერი, დ. ჩუბინაშვილი, ს. ქვარიანი...); მეორენი ფიქრობდნენ, რომ პროლოგი რუსთველის დაწერილია, მაგრამ დამატებულია ზედმეტი, არარუსთველური სტროფები (ალ. სარაჯიშვილი, ალ. ხახანაშვილი); მკვლევართა უმცირესობა კი გადაჭრით უარყოფდა პროლოგის რუსთველისადმი კუთვნილების აზრს (მათ შორის, დავით კარიჭაშვილიც, თუმცა „ვეფხისტყაოსნის“ 1903 და 1920 წლების გამოცემებში 31-ვე სტროფი დაბეჭდდა). პროლოგის არარუსთველურობის ვერსია დღეისათვის არაპოპულარულია, თუმცა საბოლოოდ უარყოფილი არ არის. სულ ბოლო დროს ენათმეცნიერმა და რუსთველოლოგმა ალ. ჭინჭარაულმა გამოთქვა მოსაზრება, რომ პროლოგიდან ავთენტურია მხოლოდ ერთი, პირველი სტროფი, რომელშიც ღმერთის მიერ სამყაროს შექმნაზეა საუბარი. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ჯერჯერობით „ვეფხისტყაოსნის“ არც ერთ გამომცემელს არ მოუკეთავს პროლოგი ძირითადი ტექსტიდან. ის ისევ რჩება პოემის კარიბჭედ.

ლიტერატურული ტრადიციის თანახმად, პროლოგი აგებულია გარკვეული სტრუქტურით. ავტორი პირველად მიმართავს სამყაროს შემოქმედ ღმერთს („რომელმან შექმნა სამყარო...“). როგორც ცნობილია, „რომელმან“, ისევე როგორც „ვინც“, ღმერთის აღმნიშვნელი ნაცვალსახელებია, რომლებითაც ხშირად იხსენიება ღმერთი ბიბლიასა და სასულიერო მწერლობაში. „ძალი“ შეესატყვისება ძე ღმერთს, ის ისეთივე სახელია მაცხოვრისა, როგორიც სიტყვა ან სიბრძნე ღვთისა. სული ანუ სულინმიდა იყითხება ტაეპში „ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა“. პიმნოგრაფიასა და საერო მწერლობაშიც გვხვდება „სული“ სულინმიდის მნიშვნელობით. ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის“ პირველივე სტროფში ქრისტიანულ-თეოლოგიური ტერმინოლოგიით ნახსენებია სამება, რომელსაც რუსთაველი შემწეობასა და მფარველობას სთხოვს („შენ დამიღარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა“). შემდეგი სტროფი ეძღვნება თამარ მეფეს და დავით სოსლანს, თუმცა დავით სოსლანის დასახელება არ ხდება, იგი იგულისხმება მეტაფორაში „ლომი“. საინტერესოა, რომ ვახტანგ მეფე და პოემის შემდგომი გამომცემლები „ლომს“ მიიჩნევდნენ ქრისტეს ალეგორიად, რაც ქრისტიანულ საღვთისმეტყველო სიმბოლიკას ეფუძნება. 1903 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში რედაქტორმა და გამომცემელმა დავით კარიჭაშვილმა „ლომი“ პირველად დაუკავშირა დავით სოსლანის სახეს და ასე დამკვიდრდა რუსთველოლოგიაში.

რუსთაველი პროლოგში გვაცნობს თავის ვინაობას („დავჯე რუსთველმან...“, „მე რუსთველი...“). ალორძინებისა და გვიანდელი ხანის საერო მწერლობა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორად რუსთველს მოიხსენიებს (ფორმა „რუსთაველი“ პირველად ანტონ კათალიკოსმა გამოიყენა). რუსთველი პოეტის ზედნოდებაა. იგი მომდინარეობს ტოპონიმური სახელიდან. პოეტი რუსთავის მეგიდრი ან მფლობელი იყო. რაც შეეხება სახელს – შოთა – პოემის ტექსტში არ დასტურდება; იხსენიება მე-17 საუკუნის პირველი ნახევრის პოეტურ ძეგლებსა და იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წარწერაში. პოეტის შესახებ პროლოგიდან ირკვევა, რომ მას უბრძანეს პოემის დაწერა თამარ მეფის სადიდებლად: „მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა“. ამ მიზნის განსახორციელებლად მას სჭირდება „ენა... გული და ხელოვანება“, იმედი აქვს თავისი გონებისა და ღვთისაგან ითხოვს ძალას („ძალი მომეც და შეწევნა შენგნით მაქვს მივსცე გონება“). ტაეპს – „ჩემი ან ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია“ – ორგვარი ინტერპრეტაციით კითხულობენ: 1. „ვეფხისტყაოსნამდე“ პოეტს სხვა ნაწარმოებიც დაუწერია თამარის

სადიდებლად. 2. ჯერ დაიწერა პოემა, შემდეგ პროლოგი, რითიც აიხსნება ნარსული დრო ზმინსა – „მიქია“. ტაეპის პავლე ინგოროვასეული ნაკითხვა ასეთია: „მას ვაქებ, ვინ ცამ იქია“. „ეს მეტაფორა, რომელიც მიემართება თამარს, ნიშნავს: ზეციერი მნათობი, ზეციერ მნათობთა თანამყოფი“ (ინგოროვა 2016: 91).

პოეტი თავს აცხადებს თამარ მეფის მიჯნურად, თუმცა, ცხადია, ეს უნდა გავიგოთ, როგორც თაყვანისცემა მეფისა, საღვთო სიყვარული მისადმი.

რაც შეეხება ტაეპს – „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები...“ – დღეისათვის ჩანართად არ ითვლება. ვფიქრობთ, ის მჭიდროდ უკავშირდება თხზულების ალეგორიულობის საკითხს. რუს-თველოლოგიაში მიღებული თვალსაზრისით (კ. კეკელიძე, ალ. ბარა-მიძე) აღნიშნულ ტაეპში რუსთაველმა გამოიყენა შუასაუკუნეების მსოფლიო ოტერატურაში ფართოდ გავრცელებული სიუჟეტური შენილების ან გაუცხოების ხერხი. ეს განაპირობა პოემაში ასახული ამბის გამჭვირვალე ისტორიულმა ასოციაციებმა, ამიტომაც რუსთაველმა პოემის „ამბავი“ „გააუცხოვა“ და პერსონაჟთა სამოქმედო ასპარეზი საქართველოს გარეთ გაიტანა. პოემის გეოგრაფიული სივრცე მასშტაბურია.

არსებობს ზემოაღნიშნული ტაეპის სხვაგვარი ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც „სპარსული“ ალეგორიულად განიმარტება, როგორც მოგონილი, ზღაპრული, ამსოფლიური; „თარგმანება“ – ძველი ქართული მნიშვნელობით – განმარტება, კომენტირება, ახსნა. საყურადღებოა „სპარსულისა“ და „ქართულის“ შეპირისპირება, როგორც არაქრისტიანულის და ქრისტიანულისა. „ქართულს“ ქრისტიანულის სინონიმად იყენებს როგორც სასულიერო, ასევე აღორძინების ხანის მწერლობა. მაგალითად, გურამიშვილი მკითხველის თანადგომას იმედოვნებს: „თუ რამ იყოს სხვის რჯულისა, მომიქციოს, გამიქართლოს“. მოცემულ ტაეპებში რუსთაველისეულ „სპარსულს“ შეესაბამება გურამიშვილისეული „სხვის რჯულისა“; ხოლო „ქართულად ნათარგმანებს“ – „მომიქციოს, გამიქართლოს“. საგულვებელია, რომ რუსთაველი „სპარსულს“ იყენებს არაქრისტიანულის (არაქეშმარიტის, გამოგონილის) მნიშვნელობით (აქვე ყურადღებას გავამახვილებთ იმაზე, რომ სასულიერო მწერლობა არ იცნობს გამოგონილ ამბავს, ან პერსონაჟს, მისი სპეციფიკა ითხოვს აისახოს ნამდვილი, ისტორიული ფაქტი რეალური პიროვნების შესახებ), ხოლო „ქართულად თარგმანება“, „მოქცევა“, „გაქართლება“ ქრისტიანულად გამართვას, ქრისტიანულად მოაზრებას ან ინტერპრეტაციას უნდა ნიშნავდეს.

აქვს თუ არა წინარე ტრადიცია „სპარსულის“ ან „სპარსნის“ ალე-გორიულ მოაზრებას? „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“, როდესაც ქართლ-ში ფეხს იკიდებს ქრისტიანობა და მცხეთასა და მის შემოგარენს ტოვებენ ბნელი ძალები, წმინდა ნინოს და მის სულიერ შვილებს აქვთ ხილვა: „და ვიდრე არლა ეყივლა ქათამსა, სამთავე კართა სცა ზარსა ლაშქარმან ძლიერმან და დალენეს კარნი ქალაქისანი, და აღივსო ლაშქარნი სპარსთა ლაშქრითა და მეყსეულად შეიქმნეს ზარის აღსახდელნი ზრინვანი და ყივილნი და კლვაი ერისაი, ვითარმცა სისხლი დიოდა. და აღივსო ყოველი ადგილი. და მოვიდა ჩუენ ზედა სიმრავლეი ზახილთაი და მახვილთაი, და დადნეს ხორცინი ჩუენნი და განილია სული ჩუენი“. ამ საშინელმა სანახაობამ მხოლოდ წმინდა ნინო ვერ შეაკრთო. იგი ერთგვარი ირონითაც კი მიმართავს მომხვდურთ: „სადა არიან მეფენი სპარსთანი ხუარა და ხუან ხუარა; საბასტანით გუშნ წამოხვედითა? მალე მოხვედით. დიდად სამე არს ლაშქარი უზომო, ვიდრემე ხართ. და ძლიერად დაპლენეთ ქალაქი ესე. მახვილი დაეცით ქართა და ნიავთა. წარვედით ბნელთა ჩრდილოისათა, მთათა მათ კედარისათა. აქა მოვიდა იგი, რომელსა თქვენ ევლტოდეთ“. და განძრა მარჯვენე თვისი, დასწერა ხელითა სახეი ჯუარისაი, და მეყსეულად უჩინო იქმნა ყოველი იგი სიმრავლე ერისა, და იქმნა დაყუდება დიდ“ („ცხორებად წმიდისა ნინოხსი“, გვ. 23–24). ამ კონტექსტში სპარსთა ხსენებას, რასაკვირველია, პოლიტიკური ასპექტიც ახლავს, მაგრამ ფაქტია, რომ ალეგორიულად სწორედ „სპარსნი“ მოიზრება ქრისტეს ნათლის ოპოზიციად.

ასე რომ, ტავპი „ესე ამბავი სპარსული...“ ერთი შეხედვით პოემის სიუჟეტის წარმომავლობის საკითხს რომ უკავშირდება, ვფიქრობთ, პოემის ალეგორიულ ხასიათს მიანიშნებს.

რუსთაველის ცნებათმეტყველება ტოლერანტულია, მოიცავს ფართო სემანტიკურ ველს და აერთიანებს საღვთო და საერო მნიშვნელობებს. პოეტი პარმონიისა და მთლიანობის მომხრეა, თუმცადა ამ მთლიანობაში არის გარკვეული მიმართებები, საფეხურები. პოეზია, სასულიეროც და საეროც, გადმოცემულია არაბული სიტყვით, „შაირობა“. ის რუსთაველის მიერ განისაზღვრება როგორც სიბრძნის დარგი. თუ ადრე ერთმანეთს უპირისპირდებოდა როგვარი სიბრძნე – საღვთო და საერო, რუსთაველისთვის ყოველგვარი სიბრძნე ღვთაებრივია და მათ შორის დაპირისპირება არ არსებობს. როგორც რევაზ სირაძე შენიშნავს, „აქ ერთმანეთს უპირისპირდება არა საღვთო და საერო სიბრძნე, არამედ სიბრძნე საერთოდ და უმეცრება“ (სირაძე 2008: 115). რუსთაველმა საერო პოეზიაც საღვთოდ გამოაცხადა. პოეზით ტკბობა

ყველას არ ძალუდს, მისი შემეცნებითი და ესთეტიკური ღირებულების აღქმა მსმენელზეა დამოკიდებული („ვინცა ისმენს კაცი ვარგი“).

ტრადიციული თვალსაზრისით, რუსთაველმა გამოყო პოეზიის სამი სახე: 1. ვრცელი, ეპიკური ნაწარმოები; 2. „ლექსი ცოტაი“ (რომელთა ავტორიც ვერ ქმნის ვრცელ ეპიკურ ტილოს („არ ძალუდს სრულქმნა სიტყვათა გულისა გასაგმირეთა“); 3. გასართობი ხასიათის პოეზია, რომელიც გამოიყენება „სანადიმოდ, სამღერელად, საშიკოდ, სალა-ლობოდ“. აქვე შევნიშნავთ: არსებობს მოსაზრება, რომ კლასიფიცი-რებულია არა სამი, არამედ ოთხი სახე. ჩვენი აზრით, ეს გამოიწვია მეორისა – „მეორე ლექსი ცოტაი, ნაწილი მოშაირეთა“ – და მესამის – „მესამე ლექსი კარგი არს სანადიმოდ, სამღერელად“ – წინ არდასახ-ელებამ პირველისა, რომელიც, აპრილორულად იგულისხმება, მისი მახა-სიათებლები კი გაბნევით იკითხება ტექსტში. რით გამოიცდება კარგი მოშაირე? – „ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა ... მართ აგრეთვე მელექსესა ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“, „მოშაირე არა ჰქვია, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“.

რუსთველური კონცეფციით, შაირობა და მიჯნურობა ფენომენალ-ურად ახლოა ერთმანეთთან. მათ აახლოვებთ სატრფოს, შთამაგონებ-ლის სახე („ყოვლსა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობ-დეს/ მისგან კიდე ნურა უნდა, მისთვის ენამუსიკობდეს“).

მიჯნურობის ცნება გულისხმობს როგორც საღვთო, ასევე ადამი-ანურ სიყვარულს. პირველი, „გვარი ტომთა ზენათა“ – საღვთო სიყვარ-ულია, რომლის გადმოცემაც ადამიანის ენას უძნელდება. მას ბაძავს სიყვარული ადამიანთა შორის („ხელობანი ქვენანი“), თუ იგი წმინდაა, ხოლო მესამეს მიჯნურობა არ ეწოდება, ის სახელდებულია „სიძვად“ სწორედ იმიტომ, რომ დაცლილია სულიერებისა და სიწმინდისაგან.

ვფიქრობთ, „მიჯნურობის თეორია“ ამყარებს „ვეფხისტყაოს-ნის“ ალეგორიულობის თვალსაზრისს. საინტერესოა, რომელ ტაქტი წარმოვიდგენს რუსთაველი თავისი შემოქმედების მიზანს: „ვთქვა მიჯნურობა პირველი ...“ თუ „ვთქვნე ხელობანი ქვენანი...“? ლოგი-კურია, რომ ახალი საკითხი, თანაც ასეთი მნიშვნელოვანი, დაინტენი ახალი სტროფით: „ვთქვა მიჯნურობა პირველი“, სწორედ ეს არის მთა-ვარი ჩანაფიქრი, ხოლო „ვთქვნე ხელობანი ქვენანი, რომელი ხორც-თა ხვდებიან, მართ მასვე ჰბაძვენ...“ – არის ფორმა, განსახოვნება ამ სათქმელისა. ისიც ლოგიკურია, რომ განსახოვნების ფორმაზე მინიშნე-ბა მოსდევდეს და უშუალოდ ებმოდეს სტრიქონებს, რომლებმიც ხდება

საკითხის დასმა და იყოს მისი მომდევნო III და IV ტაეპები („ვთქვენე ხელობანი ქვენანი ...“). აქვეა მოტივაციაც, რატომ არ შეიძლება პირდაპირი გადმოცემა, უშუალო ასახვა შემოქმედებითი საგნისა და რატომ უნდა მოიძებნოს განსახოვნების სათანადო ფორმა, ამ შემთხვევაში ალეგორიული. იმიტომ, რომ საღვთო მიჯნურობა ძნელად სათქმელია, „საჭირო გამოსაგები ენათა“, „ჭეკვიანი ვერ მიხვდებიან, ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან“. მართებული იქნებოდა, „მიჯნურობის თეორია“ განიხილებოდეს არა მხოლოდ როგორც ერთგვარი კლასიფიკაცია მიჯნურობის გვარებისა, არამედ როგორც ერთიანი, განუყოფელი დისკურსი პოეტის შემოქმედების საგნისა და მისი განსახოვნების ფორმის შესახებ.

„ვეფხისტყაოსნის“ ცნებათმეტყველებისა და სახისმეტყველების კვლევამ ბევრი რამ ნათელყო პროლოგის საკმაოდ რთულ ნარატივში. პოემის სწორად ალთქმის უმთავრეს პირობად კი რჩება რუსთაველის ეპოქის მწერლობის, კულტურის, ესთეტიკისა და აზროვნების წესის ცოდნა და გათვალისწინება.

დამოწმებანი:

ინგოროვა 2016: ინგოროვა პ. „რუსთველიანა“. რუსთველოლოგიური თხულებანი. ჩვენი მწერლობა. თბილისი: 2016.

კარიჭაშვილი 2016: კარიჭაშვილი ლ. „გონებისა და ჭურის ცნებათა სემანტიკისათვის ვეფხისტყაოსანში“. ტერმინი, ცნება და პარადიგმა ვეფხისტყაოსანში. „მწიგნობარი“. თბილისი: 2016.

რუსთაველი 1966: რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1966.

სირაძე 2008: სირაძე რ. კულტურა და სახისმეტყველება. თბილისი: „ინტელექტი“, 2008.

IRINA NATSVLISHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Problems of Reception of “The Knight in the Tiger’s Skin” in Modern Georgian General Education

For many centuries the Knight in the Tiger’s Skin has become part of our national mentality. Today, in the modern era, for the majority of the youth The Knight in the Tiger’s Skin is just a part of history, a fairy-tale, which is hard to be understood and accepted; they fail to identify it with their lives and world.

It must be admitted that along with the liberal values of the modern technological, globalist and multicultural world, the reason for such a situation are the serious defects in Georgian education system.

Key words: Reception, problems, jeneral education.

ილინა ნაცვლიშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„ვეფხისტყაოსნის“ რეცეფციის პრობლემები თანამედროვე ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში

უკვე არაერთი ასწლეულია, „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენი ეროვნული მენტალობის ნაწილად იქცა. ამასთანავე, ახალ საუკუნეებში ამ წიგნმა მრავალრიცხოვანი თარგმანებისა თუ უცხოელ ქართველოლოგთა პუბლიკაციების საშუალებით ხელახლა გააცნო ევროპას ისტორიული ბედუკულმართობით საერთო კულტურული სივრციდან ამოვარდნილი და მივიწყებული პატარა ქვეყანა – საქართველო, რომელმაც ჯერ კიდევ გვიანი მედიევალური აზროვნებისა და ესთეტიკის პირობებში შვა რუსთველის დარი შემოქმედი – პოეტური სიტყვით უნივერსალურ, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა მქადაგებელი სრულიად ორიგინალური ავტორი. თუმცა, თუკი საუკუნეების განმავლობაში ქართველი ბიბლიასავით უფრთხილდებოდა „ვეფხისტყაოსანს“, ქალს მზითვად ატანდა, „სიტყვა-სიტყვად სწერდა, ეალერსებოდა, ხელის-ხელ აგოგ-

მანებდა“ (ნ. ლორთქიფანიძე), „ტარიელ-ავთანდილობას“ ან „ნესტან-თინათინობას“ ცდილობდა (ა. წერეთელი), დღეს, თანამედროვე ეპოქაში, როცა იტალიელები ვილა ბორგეზეს პარკში, კლასიკოსთა ხეივანები ქართველ პოეტს ძეგლს უდგამენ, უდიდესი მოაზროვნე, მწერალი და კულტუროლოგი უმბერტო ეკო კი განათლებული ევროპელისათვის სრულიად შეუფერებლად მიიჩნევს შეკითხვას: „ეს რუსთაველივიღა იყო?“ (ეკო 2010:), აქ, საქართველოში, ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილისათვის „ვეფხისტყაოსანი“ მხოლოდ ლიტერატურის ისტორიის კუთვნილებაა, ზღაპარი, რომლის მიღება და გათავისება უჭირს, საკუთარ ცხოვრებასა და სამყაროსთან მის იდენტიფიცირებას ვერ ახერხებს.

ამგვარი, ჩვენი აზრით, სრულიად არაადეკვატური ვითარება რამდენიმე სხვადასხვა რიგის, კერძოდ კი, სოციოპოლიტიკური, მენტალური და მეთოდური ფაქტორებით არის განპირობებული, რომლებიც, თავის მხრივ, მოცემულობათა ფართო სპექტრს მოიცავს. ლაკონიურად რომ ვთქვათ, თანამედროვე ტექნოლოგიურ, გლობალისტურ და მულტიკულტურულ გარემოში კლასიკის მიმართ დამოკიდებულებას მკვეთრად ცვლის ახალი, „პროფესიონალ მენეჯერთა“ „კლასის“ ყოფით-პრაქტიკული ინტერესების შეუსაბამობა ევროპული კულტურული ტრადიციის ფასეულობებთან (გრონასი 2001:), ინტერესთა სფეროს ამგვარი დავიწროვება კი არა მხოლოდ ლიტერატურასა და ხელოვნებას უქმნის საფრთხეს, არამედ აკნინებს ადამიანს, როგორც გრძნობად და ინტელექტუალურ არსებას, რომელიც ესოდენ მოძალებული და უკონტროლო მასკულტურის პირისპირ რჩება.

ლიტერატურის, კლასიკის, როგორც სამყაროსა და ადამიანის სრულფასოვანი მსოფლადქმის საშუალების, კრიზისი ჩვენში, როგორც ჩანს, შესამჩნევი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში გახდა, როცა გ. დოჩანანგილმა თავისი მოთხოვნის გმირის, „ლიტერატურის ერთი ერთგული ჯარისკაცის“, ვასიკ კეუჯერაძის, სახით „წმინდა ომი“ გამოუცხადა „რიგით პრაგმატიკოსთა მრავალმილიონიან არმიას“ (კვაჭანტირაძე 2008: 231-232). საბჭოური რეალობის კონტექსტში განვითარებული ეს დისკურსი აქტუალობას არ კარგავს ახალი გამოწვევების პირობებშიც, მით უმეტეს, რომ თანამედროვე ცივილური სამყაროს საყოველთაოდ დეკლარირებული თავისუფლების გარემო, რეჟიმის არტახებით შემოსაზღვრული სივრცისგან განსხვავებით, რაღა თქმა უნდა, მეტად გახსნილია მენტალური, მათ შორის არაჯანსალი, ცვლილებებისთვისაც.

და მაინც, რა არის „ვეფხისტყაოსანი“? რატომ და რისთვის არის აუცილებელი მისი ცოდნა-გათავისება? იმიტომ, რომ იგი ევროპული თუ ნაციონალური კლასიკის ნაწილია, როგორც რენესანსული მსოფლედვის ნიშნით აღბეჭდილი გვიანი შუა საუკუნეების ეპიკური თხზულება, თუ იმიტომ, რომ ადამიანური არსების ფართო შემეცნებით-სააზროვნო და ესთეტიკურ სივრცეებს გადაგვიშლის? ადამიანი ხომ ყოველ ეპოქაში რჩება ადამიანად ან, ყოველ შემთხვევაში, უნდა, რომ დარჩეს.

ჩვენი მიზანი ამჯერად არ გახლავთ არც რუსთველის პოემის ამოუნურავ კვლევაძიებით ნიუანსებში წვდომა და არც მის შესახებ გამოთქმული მეცნიერული კონცეფციების ანალიზი, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ „ვეფხისტყაოსანი“, როგორც კაცთათვის „უთვალავი ფერით“ ბოძებული სამყაროს მითოპოეტური მოდელი, არანაკლებ სიცოცხლისუნარიანია დღეს, ვიდრე იყო თავის წარმომშობა ეპოქაში; „ვეფხისტყაოსანი“ „ვარგი კაცისათვის“ არა მხოლოდ ეროვნული, არამედ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის კულტურულ-მენტალური კოდია, რომელიც ზნეობრივი, ეთიკური კატეგორიებით ამთლიანებს ტრადიციასა და მომავლის პერსპექტივებს. ის ხვენს ადამიანის სულს, მის ესთეტიკურ გემოვნებას, ლექსიკას, წარმოსახვისა და შეფასების უნარს. მაში, რატომ რჩება იგი ხშირ შემთხვევაში თანამედროვე ქართველი ახალგაზრდისათვის მაინც უცხოდ და შორეულად?

უნდა ვალიაროთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მიმღებლობის პრობლემას დღეს ზემოაღნიშნულ სოციოპოლიტიკურ და მენტალურ ფაქტორებთან ერთად დიდწილად პოემის სამყაროსთან ზიარების მეთოდური სისტემის გაუმართაობაც განაპირობებს. 6. დუმბაძე წერდა: „არაფერი ისე არ ამახსოვრდება ადამიანს, როგორც ბავშვობისას ძილისპირს დედის მიერ თქმული ზღაპარი, იავნანა, ნაკითხული ლექსი, ან ამბავი რამე... მე არ მახსოვს, რამდენი წლისას მიკითხვდა დედა „ვეფხისტყაოსანს“, ან ოდესმე ეთქვას ჩემთვის, ეს ადგილი ზეპირად ისნავლეო. მე მახსოვს მხოლოდ ის, რომ მაშინ კითხვა არ ვიცოდი და ეს უზარმაზარი წიგნი, „ვეფხისტყაოსანი“ რომ ერქვა, მხოლოდ ლამაზი, ფერად-ფერადი სურათებით გაწყობილი ყუთი იყო ჩემთვის, რომლიდანაც დედაჩემი ცისარტყელასავით ჭრელ, ლამაზ სიზმრებსა და ძილისმომგვრელ სიმღერებს ალაგებდა... ეს ლამაზი უკვდავი წიგნი დღემდე მიდევს სასთუმალს, როგორც: ავადმყოფს – წამალი, ხეიბარს – ყავარჯენი, მეომარს – იარაღი და მწერალს ქართული სიტყვის თვალმარგალიტით საესე, აუწონელი საუნჯე და სალარო“ (დუმბაძე 1984: 47). თანამედროვე დაჩქარებული ცხოვრების რიტმისა და საკომუნი-

კაციო, ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი, შეუქცევადი განვითარების ეპოქაში „ვეფხისტყაოსნის“ „საძილისპირო“ კითხვის ოჯახური ტრადიციის არსებობა, ყოველ შემთხვევაში, მასშტაბური სახით, ცხადია, ნაკლებად სავარაუდოა. არადა, ვფიქრობთ, „ვეფხისტყაოსანი“ თავისი მომნუსხველი ეთიკურ-ესთეტიკური სამყაროთი ადამიანის ცნობიერებაში მისი მსოფლალქმის ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპზევე უნდა შემოვიდეს, როგორც ენობრივ-ლექსიკური კომპეტენციებისა თუ პიროვნულ-მორალური განვითარების საბაზისო მადანი. როგორც ჩანს, ამ აუცილებელი საჭიროების გამოძახილია „ვეფხისტყაოსნის სამაგიდო თამაში“ და „ვეფხისტყაოსანი“, როგორც გრაფიკული რომანი, რომლებიც სულ ახლახან გამოჩნდა ქართული წიგნის ბაზარზე. მათი შემქმნელები საერთო მიზანს ისახავენ – „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციასა და ქართველი მოზარდი თაობის მიერ პოემის გათავისებას, თუმცა ამისათვის, გარდა ტექნიკურ-ფორმალური თუ ჟანრობრივი სხვადასხვაობისა, ენობრივ-შინაარსობრივადაც განსხვავებული გზები აურჩევიათ: სამაგიდო თამაშის ავტორი ლევან გელაშვილი „ვეფხისტყაოსნის“ სამყაროში მოგზაურობას პოემის სიუჟეტის მიხედვით შექმნილი ლიტერატურული რუკისა და ოცდაათი ცნობილი აფორიზმის ცოდნის სამუალებით გვთავაზობს; ამასთანავე, თამაშის მარტივი კონცეფციის პარალელურად, რუსთველისეული ენობრივი ქსოვილი ხელ-შეუხებლად რჩება, რადგან სასურველია, „ვეფხისტყაოსანი“ სწორედ ამ ლექსიკური ფორმით გაიშინაგანოს მომხმარებელმა; გრაფიკული ვერსის ერთ-ერთი შემქმნელი კი, პაპუნა დავითაია, მიიჩნევს, რომ კომიქსის სახით წარმოდგენილი ტექსტი უნდა იყოს ადაპტირებული და ადვილად აღსაქმელი. ათას ხუთასი ნახატი კინოკადრიების მეთოდით არის დალაგებული და საბოლოოდ ოთხასამდე გვერდის მომცველ ხუთ წიგნში განაწილდება (ამჟამად მხოლოდ პირველი წიგნია გამოცემული). კომიქსის ენით მონოდებული კლასიკა მომავალში უფრო ადგილად გაიკვლევს გზას ანიმაციისა და ჰოლივუდური კინოსაკენ. ასევე ფიქრობს „ვეფხისტყაოსნის“ გრაფიკულ რომანად წარმოდგენის სხვა ვერსიის ავტორიც – დავით მაჭავარიანი. მისი ნამუშევარი, რომელიც ას ოცდათოთხმეტ ნახატ გვერდად არის ჩაფიქრებული, მომავალ წელს გამოიცემა. უნდა აღინიშნოს, რომ სამაგიდო ლიტერატურული თამაშები და კლასიკოს მწერალთა ნაწარმოებების გრაფიკული ვერსიები დიდი ხანია, პოპულარობით სარგებლობს განვითარებულ მსოფლიოში. ახლა ამ სიახლეს ქართული საზოგადოებაც ეზიარება, თუმცა საინტერესოა, რომ ლოტოს პრინციპზე დაფუძნებული „ვეფხისტყაოსნის“ თამაში

ჩვენში XIX საუკუნის ბოლოსაც არსებულა (რის შესახებაც 1992 წელს წერდა გაზეთი „ივერია“) და XX საუკუნეშიც ორგზის გამოცემულა, მაგრამ იდეა რატომღაც არ განვითარებულა, ხოლო „ვეფხისტყაოსნის“ კომიქსი 1950-იანი წლებიდან მოყოლებული 1914 წლამდე სამჯერ დაბეჭდილა ჩინეთში (რასაკვირველია, ჩინურ ენაზე). სამივე გამოცემის თითო ეგზემპლარი ერთ-ერთი ქართველი ბიბლიოფილის კოლექციის აშიც ინახება.

რა შედეგს მოიტანს და რამდენად წაადგება ზემოაღნიშნული ინოვაციები, როგორც დამხმარე საშუალებები, „ვეფხისტყაოსნის“ რეცეფციის პრობლემის გადაწყვეტას, მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ ფაქტია, რომ პოემის ინტელექტუალური ათვისება მაინც ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში გამოყენებული გრიფირებული სახელმძღვანელოების, საგანმანათლებლო პოლიტიკისა და სწავლების ძრითადი მეთოდების საშუალებით უნდა განხორციელდეს, რაც სრულყოფილად, არსებული მოცემულობის პირობებში, პრაქტიკულად შეუძლებელია. საგანმანათლებლო სისტემის მიერ ეროვნული სასწავლო გეგმით სკოლებისათვის შეთავაზებული პროგრამული ჩარჩო, საათობრივი ბადე და მეთოდიკა წარმოუდგენელს ხდის მოზარდი თაობის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ როგორც ტექსტის, ისე ქვეტექსტისა თუ სააზროვნო და ესთეტიკური კონტექსტის რეცეფციას. მიუხედავად იმისა, რომ დაწყებითი საფეხურისა და VII-VIII კლასების სახელმძღვანელოებში შეტანილია რამდენიმე მცირე ამონარიდი რუსთველის პოემიდან, ისინი ფუნქციონალურად „ვერ მუშაობს“ და „ვეფხისტყაოსნის“ შემეცნების მთელი სიმბიმე, ფაქტობრივად, X კლასის პროგრამულ მასალაშია ჩატეული, რომელიც, ამასთანავე, მოიცავს ქართული აგიოგრაფიული მწერლობის სამ უმნიშვნელოვანეს ძეგლსა („შუშანიკის წამება“, „აბო თბილელის მარტვილობა“, „გრიგოლ ხანძთელის ცხივრება“) და არცთუ მცირე წარწერებს და გურამიშვილის „დავითიანიდან“ თუ სულხან-საბაორბელიანის წიგნიდან „სიპრინდე სიცრუისა“, საათობრივი ბადით კი ქართული ლიტერატურისა და, პარალელურად, ენობრივი და ლიტერატურათმცოდნეობითი საკითხების სწავლებისათვის განსაზღვრულია ხუთი საგაკვეთილო საათი, შემაჯამებელი ტესტირებებისა და სხვა აქტივობების ჩათვლით. თუ განათლების სისტემა ორიენტირებულია მიღებული ცოდნისა და ინტელექტუალური გამოცდილების საფუძველზე ახალგაზრდობის აზროვნებისა და მეტყველების, მსჯელობის უნარების დახვენაზე, მაშინ მას მოუწევს დაფიქრდეს და ეროვნულ სასწავლო გეგმაში მიზნისა და მოლოდინის ადეკვატურად წარმოადგი-

ნოს შესასწავლი და საანალიზო მასალა, მით უმეტეს, რომ X კლასის ქართული ლიტერატურის პროგრამით გათვალისწინებული ექვსივე ნაწარმოები მეტ-ნაკლებად ენობრივი სირთულის წინაშეც აყენებს მოსწავლეებს (აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ვერ დავეთანხმები და მოვიწონებ ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების თანამედროვე ქართულ ენაზე წარმოდგენის ტენდენციებს სასკოლო სივრცეში, რაც, როგორც უკანასკნელ ხანს ამ სახით მრავლად გამოცემული წიგნებით ჩანს, უკვე ოფიციალურად იღებს მასშტაბურ სახეს).

უთუოდ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემა (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი და კომენტარი დაურთო ნ. ნათაძემ) თუმცა კი აღჭურვილია კარგი ლექსიკოლოგიური აპარატით, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, ფაქტობრივად, არ შეცვლილა და, თანამედროვე კვლევებისა და მოთხოვნების შესაბამისად, სერიიზული მოდიფიცირება სჭირდება. სპეციალისტთა კრიტიკას იმსახურებს ბოლო პერიოდში ამავე დანიშნულებით გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ სხვა ვერსიაც (ტექსტის კომენტარების და ანალიტიკური გზამკვლევის ავტორი თ. ვასაძე). გასათვალისწინებელია ისიც, რომ ცალკე არ დარჩეს პოემის საკმაოდ ვრცელი ტექსტი და ცალკე – შემცნებითი და სააზროვნო მასალა, რომელიც მეტ-ნაკლებად წარმოდგენილია ქართული ენისა და ლიტერატურის გრიფირებულ სახელმძღვანელოებში ან საჭიროა, რომ იყოს.

„ვეფხისტყაოსნის“ სწავლებისა და ჯეროვანი აღქმის პრობლემას ვერ მოაგვარებს ვერც ის დაშვება, რომ პედაგოგს უფლება აქვს, ყოველწლიური სასწავლო პროგრამის 40% შეცვალოს, უფრო სწორად, ჩაანაცვლოს თავისი შეხედულებისამებრ, ვინაიდან ეს უფლება მას სწავლების საფეხურის მიხედვით განერილ არასავალდებულო ლიტერატურასთან მიმართებით ეძლევა, X კლასის ქართული ლიტერატურის საპროგრამო მასალა კი სრულად არის შეტანილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საშუალო საფეხურის სავალდებულო ტექსტების ნუსხაში.

სიტუაციიდან გონივრულ გამოსავლად და საშურ საქმედ გვესახება „ვეფხისტყაოსნის“ სწავლების ერთიანი, მეცნიერულად და მეთოდურად გამართული კონცეფციის შექმნა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, უპასუხებს კითხვებს: რა უნდა იცოდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლადამთავრებულმა საქართველოს მოქალაქემ „ვეფხისტყაოსნათან“ დაკავშირებით? რა უნარები და დამოკიდებულებები უნდა გაანუვითაროს მას ამ პოემის ეთიკურ და ესთეტიკურ სამყაროსთან ზიარებამ?

რა სასწავლო მეთოდოლოგია გამოგვადგება ამისთვის? აღნიშნული კონცეფცია უნდა მოიცავდეს სწავლების ყველა საფეხურს, შესაძლოა სკოლამდელ აღზრდასაც და, რაც მთავარია, თითოეულ ეტაპზე სათანადოდ უნდა იყოს გააზრებული, რას შეიძლება მოემსახუროს ესა თუ ის კონკრეტული აქტივობა. ამასთანავე, პედაგოგისაც უნდა დარჩეს დრო შემოქმედებითი თუ მოსწავლეთა კონკრეტული კონტინგენტის საჭიროებებზე მორგებული მიდგომებისათვის.

სხვადასხვა გამოკითხვა თუ კვლევა, სამწუხაროდ, ნათლად უჩვენებს, რომ თანამედროვე ახალგაზრდობის ფართო წრეში „ვეფხისტყაოსნის“ რეცეფციის პრობლემა მასშტაბურია. ამ ვითარებაში განათლების სისტემის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან, ფსიქოლოგებთან სამუშაო კონსულტაციების შედეგად განსაკუთრებული ძალისხმევა დარგის სპეციალისტებს მართებთ, მათ, ვისაც კარგად ესმის „ვეფხისტყაოსნის“ როლი და ლირებულება როგორც ეროვნული იდენტობის, ისე ჰუმანური და ესთეტიკური მსოფლადქმის ფორმირების პროცესში.

დამოცვებანი:

გრონასი 2001: გრონასი მ. ისენსუსი. ბრძოლა კანონისათვის 80-90-იანი წლების ამერიკულ აკადემიაში (გამოქვეყნებულია უურნალში „ახალი ლიტერატურული მიმოხილვა“ (НЛО). 2001. <http://magazines.russ.ru/nlo/2001/51/gronas.html>

დუმბაძე 1984: დუმბაძე ნ., ჩემი რუსთაველი“. შთაბეჭდილებები, წერილები, გამოსკლები. თბილისი: 1984.

ეკო 2010: ეკო უ. პერსონალური სვეტი. უ. „ესპრესო“. 26.11.2010.

<https://linguistuss.wordpress.com/tag/%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%9D-%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D/>

კვაჭანტირაძე 2008: კვაჭანტირაძე მ. „იყო მკითხველი, ეს თავისთავად სასწავლია“. ქართული კრიტიკის სასკოლო ქრესტომათია. II. თბილისი: 2008.

„ვეფხისტყაოსნის“ სამაგიდო თამაშსა და გრაფიკურ ვერსიებთან დაკავშირებით გამოყენებულია, აგრეთვე, მასალები სატელევიზიო სიუჟეტებიდან:

<https://www.youtube.com/watch?v=2ChD2XLpz60>

<http://rustavi2.com/ka/news/45166>

<http://www.palitratv.ge/palitranewsthavisufali-thema/71424-qvefkhistyaosaniq-grafikul-romanad-rogor-iqmneba-rusthavelis-qarthul-arabuli-zghapruli-samyaros-komiqsi.html>

MAKA JOKHADZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

The text of “The Knight in the Panther’s Skin” Used as an Epigraph in a Georgian Prose

(According to the novel „Alas! O World...“ by Zaira Arsenishvili)

Our work is an attempt to clarify what the purpose of set- at -the –beginning- words, extracted from other, different texts, from the Bible or any other philosophical writing, is by a creator in their literary works. The vast space of „The Knight in the Panther’s Skin“ is heavily „mined“ with wisdom and laconism characteristic of the epigraph, which in many cases is considered and formed as an aphorism. Renaissance nature of The Knight in the Panther’s Skin almost perfectly accommodates the artistic layers of the spiritual or psychological-emotional consciousness, worldly and beyond, real and surreal world dimensions.

Key Words: Zaira Arsenishvili, Rustaveli, Novel.

მაკა ჯოხაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ეპიგრაფად გამოყენებული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი ქართულ პროზაში

(ზაირა არსენიშვილის რომანის „ვა, სოფელი...“-ს მიხედვით)

ჩვენ მიერ განხილულ თემაში რომანის სათაურიც კი „ვეფხისტყაოსნიდან“ მოდის, ამიტომ, სანამ ეპიგრაფზე გადავიდოდეთ, ორიოდე სიტყვას ზოგადად სათაურზე, მის ფუნქციასა და დანიშნულებაზეც ვიტყვით.

არის სათაურები, რომლებიც ლიტერატურის მცოდნეთა აზრით არაფერს, ან თითქმის არაფერს გვეუბნებიან, სანამ ტექსტი ბოლომდე არ იქნება წაკითხული. მაგალითად სათაური „ომი და მშვიდობა“ არ გამოდგება ტოლსტოის რომანის არსის გასახსნელად, უმთავრესი ჩანაფიქრის გასაგებად... (გეი 1975: 194).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მოჩვენებითი არაფრობაა, რადგან სათაურის თვით აკუსტიკური ჟღერადობაც კი (შინაარსს თავი რომ გავანებოთ), თავისი ევფონიითა და ეფემერული განთენილობით ღია ეთერში, ქვეწობიერად მაინც აკრისტალებს იმ ძირეულ მარცვალს, რომელიც იმპულსურად ახერხებს არაფრისმთქმელ სათაურშიც კი გახსნას და წამიერად დააფიქსიროს ნაწარმოების დვრიტა, სუბსტანცია. შემოქმედებითი აქტის ცნობიერი თუ არაცნობიერი ზრუნვა სიტყვათა, ხასიათთა, სიტუაციათა, ქმედებათა, ხილვათა თუ მოჩვენებათა დინებებში.... ერთი სიტყვით, მთელს ამსოფლიურ ორომტრიალში მოიხელოს ის უმთავრესი მიზეზი, რისთვისაც იქმნება, იხატება თუ იწერება ესა თუ ის ლიტერატურული ნაწარმოები, რა თქმა უნდა გამართლებულია. უბრალოდ სათაური ზოგჯერ უმკვეთრესად აფიქსირებს არა მხოლოდ განწყობას, არამედ შინაარსსაც, როგორც ვთქვათ რომანში „ვა, სოფელო...“, ზოგჯერ კი გამოცანას ჰგავს და მეტ ინტერესს აღძრავს, თუ როგორ მიემართება ეს, ერთი შეხედვით, არაფრისმთქმელი, გაუგებარი სათაური ღიად დარჩენილი ტექსტისაკენ.

უნდა ვაღიაროთ, რომ მოცემულ შემთხვევაში სათაური „ვა, სოფელო...“ ტექსტთან მიმართებაში უზუსტესია, რომ არა ვთქვათ, იდეალურიათქო.

საერთოდ, ასიდან 99 შემთხვევაში, სათაური ტექსტის სემანტიკური ველიდან ამოიზრდება, ან შუაგული თხრობის დროს (შუანელში), უმეტესად კი ტექსტი გასრულებისთანავე. თუმცა არსებობს შემთხვევები, როცა სათაური მასალის ხორცულებისმამდე, ჩანაფიქრისთანავე დაწურულ სიმბოლოდ, ხატად, ჩვენებად ეძლევა ავტორს. ეს ხილვა ფრთხილა კეცილი ფრინველივით შეეყუშულა პეიზაჟთა თუ ანტურაჟთა მღვიმებში, ადამიანურ შეგრძნებათა და ფიქრებით მოქსოვილ ბადეში და თავის დროს ელის. ავტორის იდეა კი მთელი ენერგიით, მასშტაბით, ძლივსდატევნილი სათქმელის მოზღვავებით უცხო ფრინველს ფრთებს აშლევინებს და საფრენად განაწყობს. მთელი თხრობის მდინარებაში, სათაური დამეულ ცისკიდურზე ანთებული ერთადერთი ვარსკვლავივით ციმციმებს. ალესილი ფრთხილითა თუ ქიმებით თავს დასტრიალებს ქვემოთ, მინაზე დარჩენილ კაცთა მოდგმას, წარმავალი ცნებებითა და ამსოფლიური ტებილმწარე კვამლივით მოდენილ ცხოვრებაში. რაც უფრო ზუსტი და ცხადია ეულად მოკიაფე სათაური, მისი გამოსხივება მუდმივად თან სდევს მკითხველს, მუდამ მასთანაა, მის აღქმაში, მის ემოციაში მონაწილეობს...

ზაირა არსენიშვილს ბრწყინვალე რომანის სათაური „ვა, სოფელო...“ რუსთაველის მსოფლგანცდამ უკარნახა და აგრძნობინა, რომ იგი ამ

განცდაზე წერს, ამ სამდურავზე... კითხვის პროცესში ჯერ კიდევ არ იცის, რომ ეს რომანი სამდურავთან, საყველურთან ერთად ლვთისაღმი აღვლებილი სამადლობელოც იქნება, კაცად გაჩენის, კაცად ყოფნის ტებილმნარე ხვედრს რომ გვაზიარა. ეს ხვედრი კი, როგორც ეკლესიურ ცხოვრებას წირვის მოციმციმე სანთლები, ტროპარ-კონდაკები, დაუჯ-დომლები, ფსალმუნთა სიტყბო, აღსარება და ზიარებანი, საკმევლის სურნელში გაქარწყლებული განსაცდელები, მუხლმოდრეკილი პატივ-ისმიგება მაცხოვრისადმი, ბავშვობიდან სიბერემდე თან დაჰყვებოდა ამ რომანის ავტორს. ჩემი აზრით, მეოცე საუკუნეში, განსაკუთრებით საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, ასეთი არამხოლოდ რე-ლიგიური, არამედ ეკლესიური ცოდნისა და განცდის ავტორი ქართულ ლიტერატურას არ ჰყოლია. რელიგია, მოგეხსენებათ, ლათინური სი-ტყვაა და „ლმერთთან კავშირს“, „ლმერთთან ერთობას“ ნიშნავს.

მთელი მზიურობა ამ უაღრესად ტრაგიული რომანისა, მოდის სწორედ იმ პერსონაჟთა, ლიტერატურულ გმირთა სულიერი სამყარო-დან, რომლებიც გამუდმებით ამ კავშირს ელტვიან, გამუდმებით ამ კა-ვშირს განიცდიან, ჭირსა თუ ლხინში, განსაცდელთა ზღვაში მხოლოდ რელიგიით, რწმენის ამ ხომალდით ცდილობენ თავდაცვასა და გადარ-ჩენას. ისინი არ არიან ე.ნ. ლვთისმაძიებლები, რომლებითაც საესეა მხატვრული ლიტერატურა, მარტო დოსტოევსკის გმირთა გალერეის გახსენება რად ლირს ამ დროს. „ვა, სოფელოს“ პერსონაჟები რწმენაში ისეთივე სიამოვნებითა და ბუნებრივობით, ბავშვური სასოებითა და გულუბრყვილობით დგანან, როგორც ფიროსმანის ფეხშიშველი მეოუ-ვზე მდინარეში და სიკეთითა და სიყვარულით ცხოვრობენ.

ჩვენი ნაშრომი ნარმოადგენს მცდელობას, გაირკვეს რა მიზანს ემსახურება ის ფაქტი, როდესაც შემოქმედი თავის ლიტერატურულ ნაწარმოებს სხვა, გარეშე ლიტერატურული ტექსტიდან, ბიბლიიდან, ან რომელიმე ფილოსოფიური თხზულებიდან ამოღებულ სიტყვებს წარუმდვარებს ეპიგრაფად. „ვეფხისტყაოსნის“ უკიდეგანო სივრცე „დანაღმულია“ ეპიგრაფისათვის დამახასიათებელი სიბრძნითა და ლა-კონურობით, რომელიც ხმირ შემთხვევაში კონცენტრირდება და ფორ-მდება როგორც აფორიზმი.

თითოეული აფორიზმის სემანტიკური ველი იმდენად მასშტაბური და სიდრმისეულია, რომ იგი გამოდგება როგორც გასაღები ამა თუ იმ მხატვრული ნაწარმოების სუბსტანციის გასახსნელად, მისი საიდუმ-ლოს ამოსაცნობად.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ „ვა, სოფელოს...“ ავტორი არა მხოლოდ ყველასათვის ნაცნობ აფორიზმებს იყენებს ცალკეული

თავების ეპიგრაფად, არამედ ხშირ შემთხვევაში რუსთაველის ფართე მკითხველისათვის ნაკლებად ცნობილ სტრიქონებს.,

„ვეფხისტყაოსნის“ რენესანსული ბუნება თითქმის სრულყოფილად იტევს ადამიანური ყოფიერებისა და ცნობიერების, სულიერებისა თუ ფსიქოლოგიურ-ემოციური გამოცდილების მხატვრულ დანაშრევებს, ამსოფლიური თუ მიღმიური, რეალური თუ ირეალური სამყაროს განზომილებებს.

ამიტომ იყო, რომ ჩვენი ხალხი რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ „მეორე სახარებად“ მოიხსენიებდა და სრულიად შეგნებულად ანიჭებდა მას ამ დატვირთვას. მიაჩნდა, რომ სახარების მერე, სწორედ „ვეფხისტყაოსნის“ იძლეოდა პასუხს ადამიანის ამქევეწიურ დანიშნულებაზე, მისი არსებობის თითქმის ყველა კარდინალურ შეკითხვაზე. ამ ძეგლის მეტაფიზიკური არსი და მზიური ბუნება კვებავდა თაობათა შთაგონებას, ენერგიას. ჩვენი ავებედითი ისტორიის მანძილზე მუდმივი ომებითა და თავდაცვით გადაღლილს სწორედ ეს პოემა ედგა მხარში ერთგული მეგობარივით.

როგორც კონკრეტულად ქართულ მწერლობაში, ისე ზოგადად, ეროვნულ ცნობიერებაში „ვეფხისტყაოსნის“ თავისი სუნთქვა და გავლენა არ შეუწყეტია. დროთა კავშირის, დროისა და სივრცის უწყვეტობის ერთ-ერთი გამოვლინება „ვეფხისტყაოსნიდან“ აღებული ეპიგრაფების ქმედითი ძალა, ქმედითუნარიანობა რვა საუკუნის მანძილზე.

ამის თვალსაჩინო ნიმუშია თანამედროვე მწერლის ზაირა არსენიშვილის რომანი „ვა, სოფელო...“ სათაური ერთგვარი ინტონაციური კამერტონია იმ საშინელი რეპრესიებისა, გასული საუკუნის ოციანი წლებიდან ორმოცდაათიან წლებამდე რამდენიმე თაობაშ რომ განიცადა საპჭოეთში. გარდა სათაურისა და წიგნს ნამძღვარებული საერთო ეპიგრაფიისა: „ვაქებ ჭკუასა ბრძნენთასა, რომელი ეურჩებიან“, რომანში სულ ოცი ეპიგრაფია გამოყენებული და ოცივე მათგანი წინ მიუძღვის ოცივე თავს.

ბარემ აქვე რამდენიმე ეპიგრაფსაც ჩამოვთვლით:

„შემივრდე და შემივედრე /მკვდარსა რაღა გარდამხდევის“; „ჰკითხე არსთა, ჰქმენ გულისა / რა გინდა, ვინ გივაზიროს“; „გულსა შუქი შემომადგა“; „გულმა გლას რა ქნას უგულოდ / თუ გულსა გული ელია“; „სხვა სხვისა ომსა ბრძენია“; „ხელი ვითა იქმს ბრძნობასა“; „ვა, ჭირნი ჩემნი ეზომნი, / ვა, სიცოცხლისა თმენანი“; „საწუთო ნაცვლად გვატირებს, / რაც ოდენ გაგვიცინია“; „უგვანო საქმე ყოველი / მოკლეა, მით ოხერია“; „მზე აღარ მზეობს ჩვენთანა, / ვინ არ მოელის წამისად ... და ა.შ.

მთლიანობაში კი მეთორმეტე საუკუნისა და მეოცე საუკუნის მხატვრული ტექსტი გასაოცარი ბუნებრივობით გადადის ერთიმეორები და სინთეზირდება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზაირა არსენიშვილის რომანის მხატვრული ტექსტის მრავალშრიან, მრავალპლანიან ლაპირინთში შესულ მკითხველს „ვეფხისტყაოსნიდან“ გამოხმობილი ეპიგრაფები გზის გაკვლევაში ეხმარება. სწორედ ეპიგრაფების მეშვეობით ხდება თავიდან თავში ნაწარმოების არსის კანონზომიერი გახსნა და საორიენტაციოდ ერთგვარ კომპასსაც წარმოადგენს მკითხველისათვის.

როგორ ზემოქმედებს ეპიგრაფი მხატვრულ ტექსტზე და თავის მხრივ, თანდათან როგორ კრისტალდება მთელი რომანის შინაარსი მეთორმეტე საუკუნის შედევრის ორიოდ სტროფში... ვფიქრობთ, რომ შესასწავლად უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი პროცესია.

როგორც აღვნიშნეთ „ვა, სოფელი...“-ს ნიშანდობლივი და აშკარა თვალისაცემი შტრიხია ეპიგრაფები, იგივე ციტაცია. იმთავითვე, თხრობის დაწყებამდე ან დაწყებისთანავე ხდება ავტორის მიერ მკითხველის სხვის ტექსტში გაგზავნა, გამგზავრება, თან ისეთი სიზუსტითა და დამაჯერებლობით, რომ წამითაც არ ეპარება ეჭვი საჭიროა ეს თუ არა. უამისოდ განა ვერ შეძლებს, გააგებინოს მკითხველს ის უმთავრესი, რის გამოც ესა თუ ის თავი, ან პარაგრაფი დაიწერა. რა დააკლდებოდა და თანამედროვე, მეოცე საუკუნის ტექსტს, ან რა ემატება მაშინ, როცა მეთორმეტე საუკუნის წიაღიდან წამოღებულ სტრიქონებს მეგზურის ფუნქციას ანიჭებს? რა არის ეს, რატომ ხდება, იქნებ იმიტომ, რომ მისი მზიური მარადიულობის ფონზე უკეთესად დაინახოს საკუთარი თხრობის წარმავლობა და შუქ-ჩრდილები. იქნებ ეს ხერხი სულთა ნათესაობის, მსოფლმხედველობრივი ახლობლობის კოდია, პაროლია, რომლითაც თანამედროვე ავტორი წინასწარ აიმედებს საკუთარ თავსაც და მკითხველსაც, რომ თავდაც დიდი წინაპარი პოეტის მოდგმისაა მთელი თავისი შეგრძნებით, შეძლებით, მერტალობით. რუსთაველივით მთელი არსებით ესმის სიკეთისა და ბოროტების, სიყვარულისა და სიძულვილის, სიცოცხლისა და სიკედილის, დღისა და ღამის, ღვარძლისა და იფქლის, ზღაპრისა და რეალობის არსი და მნიშვნელობა. ამიტომაც მისი მონათხრობი საინტერესო იქნება, იმედებს არ გაგვიცრუებს, იმაზე მოგვიყვება, რაც მოსაყოლად ღირს, რისი დავიწყებაც არ შეიძლება, რისი გულში დამარხვა და მომავლისათვის არგადაცემა დანაშაულის ტოლფასია...

და ჰყვება, ჰყვება ზაირა არსენიშვილი, საოცრად ჰყვება უმდიდრესი ქართულით, რწმენითა და სიყვარულით ყველაფერ იმაზე, რაშიც

გაიზარდა, რითაც აღიზარდა, რასაც საკუთარი ხელითა და განცდით შეეხო, რაც მის დედ-მამას, ბებია-პაპებს, ბიძა-ბიცოლებს, ბიძაშვილ-მამიდაშვილებს, ნათესავებს, მეზობლებს, მეგობრებს, ძირძველ არის-ტოკრატიულ სამეფო ქალაქს – თელავს გადახდა, მთელი კახეთის მოსახლეობას, სრულიად საქართველოს გადახდა... ჩვენს თვალწინ ერთმანეთს ენაცვლებიან მყუდრო შუკები, მსხმოიარე ბალ-ვენახები, გრილი ხევ-ჭალები, ჩუმათხევის რცხილები, ნადიკვრის მობიბინე ბალახში ჩამჯდარი შეყვარებული წყვილები და რცხილაძეების ოჯახში გადახდილი ფანტასტიკური ქორწილი, სისხლიანი ქორწილის სახელით რომ შემორჩა ქალაქის ისტორიას. სისხლიანისა, რადგან 1924 წელი იდგა და ტყეში გასული ქაქუცას შესაპყრობად ამაზე უკეთეს სიტუაციას ბოლშევიკები როდისლა იპოვნიდნენ. კახეთის გამორჩეული, ჯიშიანი თავადაზნაურობა, ჩოლოყაშვილის ქომაგი საქმითა თუ ფიქრით, სრულიად ამ ქორწილში იყო მოწვეული.

გეპეუს ჩანაფიქრიც ეს გახლდათ – მათი შეპყრობითა და შემწეობით გამოევლინათ ხალხის მტრები, იქნებ გამცემიც ეპოვნა მათში და ქაქუცასა და მისი რაზმის პირდაპირ კვალსაც დასდგომოდნენ. არადა, ბოლშევიკებმა, წურბელა თავადების დანდობა მაინც არ იქნებოდა, რომც ვერაცერი ეპოვნათ, რომც ვერავინ ვერ გაეტეხათ. სწორედ ეს განკეპილი, მხარებჭიანი და დარდიმანდულად მოქეიფე, მომლენი კაცები და ქალები აფუჭებდნენ თურმე მშრომელი ხალხის მომავალს, სწორედ გამდიდრებული კულაკები უმზერდნენ წარპანევით თურმე საწყალ, უქონელ გლეხობას. ჰოდა წითელი რევოლუციაც თურმე იმიტომ მოეხდინათ ამ ქვეყნის „გულშემატკივრებს“, რომ სწორედ მჩაგვრელთა სისხლით გადაწილებულიყო ქვეყნიერება და მათ შორის მწვანეში ჩაფლული ნადიკვარიც.

ქორწილიდან პირდაპირ ციხის საკნებში შერეკილი თავადაზნაურობა განთიადისას დახვრიტეს თელავში და ისე ჩაყარეს ერთ საერთო ორმოში, საფლავის გასათხრელადაც არ შეინუხეს თავი. იდეურმა თუ არაიდეურმა კომუნისტებმა მიწითაც კი ვერ დაფარეს ჯანდიერების, ანდრონიკაშვილების, მაყაშვილების, ვახვახიშვილების, სულხანიშვილების... ცხედრები. და აჩრდილებივით ამოძრავდნენ ალაზნის ველის ბინდისფერ ნისლში თელაველი, აწყურელი, ჩუმათხეველი ანტიგონეები, ჩუმად იპარავდნენ და იტაცებდნენ მიწამიუყრელი საფლავებიდან საკუთარ ძმებს, მამებს, ბიძებს, ბიძაშვილებს...

„ძალიან ხშირად ადამიანი ვერ უძლებს მთლიანად თავის ადამიანურობას, იხეიბრებს თავს. ხან სულისაგან ცდილობს განთავისუფლდეს,

ხან კიდევ სხეულისგან. უჭირს ორივეთი ერთად რომ გაიხაროს. მაგრამ აქ, საბერძნეთში, ამ ორ უმნიშვნელოვანეს მარადიულ ელემენტს, ძალა შესწევს, რომ ერთმანეთს უმასპინძლონ, სულმა სხეულსაგან შეითვისოს, ხოლო სხეულმა სულისაგან და დამეგობრდნენ. და ამგვარად ადამიანმა შესძლოს და საბერძნეთის ღვთაებრივ კალთაზე სრულყოფილ მა იცხოვროს და იაროს” (კაზანძა ისი 1999: 461-462).

დიდი ბერძენი მოაზროვნისა და მწერლის, ნიკოს კაზანძა კისის სიტყვები გამახსენდა რომანიდან „აღსარება გრეკოსთან“, როცა თელავის ამ დახეიბრძულ გარემოში ზაირა არსენიშვილმა ეპიგრაფით „გულსა შუქი შემომადგა“ რომანში ხორციშესხმული სიყვარული შემოიყვანა გიოსა და ევას სახით. თითქოს სამოთხის ჩანჩქერის ჩქერალებში დედიშობილა გახვეული ეს ულამაზესი წყვილი, სულითაც და სხეულითაც სწორედ ის სრულყოფილებაა, რაზედაც ბერძენი მწერალი გვესაუბრებოდა. ამ ულამაზეს წყვილს, თორმეტი წელი რომ უბერავდნენ ერთმანეთის სიყვარულს სულს, ექვს წელს ნიშნობამდე და ექვსსაც ქორწინების მერე, ამ უბერებელ სილამაზეს და გაუხუნარ გრძნობას, სპირიდონის სხეულში ჩასახლებული ეშმაკი მოუღებს ბოლოს და მიპარვით მოკლავს გიოს. მაგრამ ნამდვილი სიყვარული ხომ არ კვდება და ეს რომ მხოლოდ ლამაზი სიტყვები არაა, ამას ევას მთელი შემდგომი ხანგრძლივი ცხოვრება ადასტურებს რომანში. მწერალი ოცდამეერთე საუკუნის მკითხველს არა მხოლოდ ანცვიფრებს ასეთი სიყვარულის ჩვენებისას, არა მხოლოდ აჯერებს მის არსებობაში, არამედ ვულამოსკვნილი ატირებს კიდეც ამ სასწაულის ხელყოფის გამო, სულით ხეიბარმა რომ ჩაიდინა.

როგორ შეიძლება ეს სიყვარული მოკვდეს, წაიშალოს, გაქრეს, დავიწყებას მიეცეს... ამიტომ, როგორც რომანის მთავარი მოქმედი გმირი, რუსუდან ბებო იტყოდა, „მთხზველმა“ გოგომ, მისმა სისხლმა და ხორცმა, მისმა შვილიშვილმა სწორედ სიტყვით უნდა გადაარჩინოს ეს ხატებები... სიტყვით უნდა აღნუსხოს, გაამძაფროს და გააძლიეროს ყოველი კეთილი საქმე. კაცის ყოველი ბოროტად გადადგმული ნაბიჯიც არ უნდა დაივიწყოს, რომელიც ბუმერანგივით უბრუნდება ავის მქნელსა და ავის ჩამდენს. და დევს აგვისტოს ხვატში ეს ხორციშესმული ბოროტება „ზორბას“ ვეება სხეული, მოფლაშული, შუაგულ მოედანზე, ბუზებმისეული და კაცი არა ჩანს მისი დამმარხავი.

რადგან რუსუდანის ნაანდერძევ სიტყვაზე მიდგა საქმე, ყველაზე დიდ შემწედ და სტიმულის მიმცემად, ყველაზე დიდ ინსპირატორად, მთხზველ შვილიშვილს – ზაირა არსენიშვილს, ყველაზე დიდი პო-

ეტი ეგულებოდა იმთავითვე. როგორც იტყვიან, ყველაზე დიდ პოეტს დაადგა თვალი, რადგან მისი სიდიადე და მნიშვნელობა ლამისაა დედის რძესთან ერთად შეითვისა და შეაყვარა ჭკვიანმა ბებო რუსუდანმა, თავადაც დიდებული ლექსებისა და საგალობლების ავტორმა. მაცხოვარი და რუსთაველი ერთად დაუმევობრა ბავშვობიდანვე.

დიდმა პოეტებმაც წმინდანებივით იცან ზოგჯერ შეწევნა. აკა შეეწია კიდევც რუსთაველის ნაკვალევზე წასულ ერთ ჩვეულებრივ პოეტს ჩვენს სინამდვილეში და გენიალური ციკლი შეაქმნევინა.

„ვეფხისტყაოსანთან“ დამეგობრებას კი წინ უსწრებდა ამ მეგობრობისათვის წვითა და გარჯით გაწეული ღვანლი. თავს ვერ ვიკავებ, რომ რომანის ეს ფრაგმენტი მაინც არ გაგაცნოთ, ნავთის უზარმაზარ რიგში სიცივით რომ ითოშებიან ბებია და შვილიშვილი. გაყინულ სხეულზე, და ზოგადად, დაუნდობელ წუთისოფელზე გამარჯვების ნიშნად ქედს არ იდრექს რუსუდან ბებო და შვილიშვილს ეკითხება: „ჩემო გოგო, აბა თუ მიხვდები, რომელი აფორიზმი გამახსენდა?! აბა თუ მიხვდები?“ ბებიის ხმაში მოწოდება გაისმის, თან თვალს არ ახამხამებს და ჯიუტი მოლოდინით ჩასცერის სახეში. შვილიშვილი აწვალებს და განგებ ბანზე უგდებს სიტყვას: „იცი ბებო, მენავთე სიკას უთქვამს, დღეს ხუთ-ხუთ ლიტრას დაგირიგებო, კარგახანს ალარ მოგვიწევს ნავთზე სიარული“.

ეგ ძალიან კარგი, მაგრამ ხორცობან ჭიდილში ინრთობა სული, გეთაყვანე და მე არ მსურს ჩვენი სიხარული და მწუხარება მხოლოდ ნავთსა და პურს უკავშირდებოდეს!“ ბებია ისევ ბურღავს თვალებით და მისგან აფორიზმის გახსენებას ელოდება და ჰა, ისიც ეუბნება ამ აფორიზმს: „ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა, რომელინ ეურჩებიან“.¹ „ყოჩალ, ჩემო გოგო! და შენ რა თქმა უნდა გახსოვს რაც ვთქვით ჩვენ ჭკუისა და ურჩობის შესახებ“.

„მახსოვს, ძალიან კარგადაც მახსოვს, სიტყვასიტყვით შემიძლია გითხრა, რომ ჭკუა ანუ აზროვნება თავისუფლების გარეშე არ არსებობს, აზროვნება უკვე ნიშნავს თავისუფლებას, მაგრამ როცა თავისუფლებას ებრძვიან, ძალიან ხშირად, აზროვნება გმირობას ნიშნავს, გმირობას და ურჩობას...“

ჩვენი „მთავარი საქმე“, რითაც უნდა შევჭიდებოდით სიცივითა და შიმშილით შეჭირვებულ ხორცს „ვეფხისტყაოსანი“ იყო...“ (არსენიშვილი 2002: 45-46).

და რადგან ასე მოხდა ღვთის წყალობით, რომ „ვა, სოფელო“-ს ავტორმაც მაცხოვრისა და დიდი რუსთაველის მსგავსად, თავისი წილი

გოლგოთის გზა გაიარა, რუსთაველმაც უერთგულა და საუკუნეების მერეც მთელი ცხოვრება მასში შეყვარებულ, მის წიაღს შეთვისებულ გოგონას დიდობის უაშმს, უკვე ხანმოწეულს მართლაც დიდებული მეგზურობა გაუწია, იმდენად დიდებული, რომ ზაირა არსენიშვილის შესანიშნავი რომანი „ვა, სოფელო...“, მისი ყოველი თავი და პარაგრაფი უკვე წარმოუდგენელიც კია ამ ეპიგრაფების გარეშე.

ეს ციტატები, ეპიგრაფები, ეს ერთგვარი ალყა შუბებივით წამახულთავიანი მეომრებივით რომ ჩამნკრივებულან, ბურჯივით კრავს და იცავს თითქოს ჩვენი მემკვიდრეობითობის განცდას, რომელიც არასოდეს ბერდება სიახლესთან შესახვედრად, სიახლის მისაღებად, ახალ ეპოქაში, ახალ პოლიტიკურ, სოციალურ, ფსიქოლოგიურ, მორალურ-ეთიკურ კონტექსტში ჩასანერად.

დამოწმებანი:

არსენიშვილი 2002: არსენიშვილი ზ. „ვა, სოფელო“... თბილისი: „თეთრი გიორგი“, 2002.

გეი 1975: Гей Н. К. Художественность литературы, изд. «Наука». 1975.

კაზანძაკისი 1999: კაზანძაკისი ნ. აღსარება გრეკოსთან. თბილისი: „მეცნიერება“, 1999.

რუსთაველი 1987: რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1987.

„ვეფხიტყაოსნის“ თარგამანები

Translations of the “The Knight in the Panther’s Skin”

MANANA GELASHVILI

Georgia, Tbilisi

Iv.Javakhishvili Tbilisi State University

“Testament of Avtandil” in English

“Testament of Avtandil to King Rostevan” renowned for its philosophical depth and excellence of poetic form is one of the most important parts of *The Knight in the Panther’s Skin* and because of it is particularly difficult to be translated into a foreign language.

The article gives a comparative analyses of three different translations of the text into English based on different principles. Namely, a prose translation by Marjory Wardrop (*The Man in the Panther’s skin, A Romantic Epic by Shota Rustaveli*, Oriental Translation Fund, London, 1912), a translation by Venera Usushadze based on hexameter (*The Knight in the Panther’s Skin*, Tbilisi, Sabchota Sakartvelo, 1968) and a recent poetic translation by Lyn Coffin (*The Knight in the Panther Skin*, Turkey, Poezia Press, 2015).

The article discusses a number of examples to demonstrate the achievements as well as short-comings of these three translations.

Key words: Rustaveli, translation, Wordrop, Urushadze, Coffin.

მანანა გელაშვილი

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ავთანდილის ანდერძი“ ინგლისურ ენაზე

„ანდერძი ავთანდილისა როსტევან მეფის წინაშე“ თავისი ფილო-სოფიური სიღრმითა და ფორმის სრულყოფილებით „ვეფხისტყაოსნის“ ერთერთი გამორჩეული წიგნია, რომლის უცხო ენაზე თარგმნა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

სტატიაში წარმოდგენილია სამი სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა მთარგმნელობით პრინციპზე დაფუძნებული ტექსტების შედარებითი ანალიზი: კერძოდ მარჯორი უორდროპის პროზაული თარგმანი (*The Man in the Panther's skin, A Romantic Epic by Shota Rustaveli, Oriental Translation Fund, London, 1912*), ვენერა ურუშაძის მიერ ჰეგზმეტრის გამოყენებით შესრულებული თარგმანი (*The knight in the panther's skin, Tbilisi, Sabchota Sakartvelo, 1968*) და ლინ კოფინის ახალი პოეტური თარგმანი (*The Knight in the Panther Skin, Turkey, Poezia Press, 2015*).

ამ თარგმანებს ერთმანეთისაგან დაახლოებით ორმოცდაათი წელი აშორებთ. სამივე თარგმანი სხვადასხვა მთარგმნელობით პრინციპებს ეყრდნობა და შესაბამისად მიღებული შედეგიც საკმაოდ განსხვავებულია, რაც არა მხოლოდ მთარგმნელის მომზადებითა და პიროვნული ნიჭიერებით არის განპირობებული, არამედ მნიშვნელოვან წილად იმ მთარგმნელობითი სტრატეგიითაც, რომელსაც ესა თუ ის მთარგმნელი ირჩევს.

მარჯორი უორდროპის პროზაული თარგმანი დედნისადმი ერთგულებით გამოირჩევა. მთარგმნელმა უარი თქვა სალექსო ფორმაზე, რადგან ჩათვალა, რომ ამით ნაწარმოების აზრობრივი მხარე დაზარალებოდა. თარგმანის წინასიტყვაობაში, რომელიც ოლივერ უორდროპს ეკუთვნის ვკითხულობთ: „ეს არის მცდელობა ამ წიგნის ერთგული, სიტყვასიტყვითი გადმოცემის. წიგნისა, რომელიც სარეკა დიადი წარსულის მქონე კულტურული ერის“. თარგმნის სირთულეებთან დაკავშირებით კი უპირველესირთულედ ქართულისალიტერატურო ენის ლექსიკის სიმდიდრესა და დიდ მოქნილობას ასახელებს. (‘This is an attempt to give a faithful rendering, word for word, of a book which is the mirror of the of soul of a cultured people with a great past.’ Georgian has been a highly developed literary language from the dawn of the Christian era... it has a vocabulary so rich, flexibility so great...) (Wardrop 1966: 6).

იმავე წინასიტყვაობაში ოლივერ უორდროპი რუსთაველის შაირის კიდევ ერთ თავისებურებაზე ამახვილებს ყურადღებას, რომლის ინგლისურად გადმოცემა შეუძლებლად მიაჩნია: ეს არის ლექსის მუსიკალური მხარე. ინგლისელ მკითხველს ოლივერ უორდროპი უხსნის, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სამ და ოთხმარცვლიანი რითმით არის გარითმული, რომლის ინგლისურ ენაზე გადატანა უბრალოდ შეუძლებელია და მაგალითიც მოჰყავს „ვეფხიატყაოსნის“ ერთერთი ტაეპის ტრანსლიტერაცია ლათინური შრიფტით, რათა მკითხველს გარკვეული წარმოდგენა შეუქმნას ტექსტის მუსიკალურ ქარგაზე.

ყველა ამ სირთულის გათვალისწინებით მარჯორი უორდროპმა პროზაულ თარგმანს მიანიჭა უპირატესობა. უფრო მეტიც, თარგმანი ძალიან მოკრძალებულად „სიტყვასიტყვით თარგმანად“ არის მოხსენიებული. თუმცა ტექსტის ზერელე გადაკითხვაც კი ცხადყოფს, რომ ეს განაცხადი მხოლოდ და მხოლოდ მთარგმნელის თავმდაბლობაზე მეტყველებს და ოდნავადაც არ შეესბამება ტექსტის ლირსებას, რომელიც არა მხოლოდ ბევრად აღმატება „სიტყვასიტყვითი თარგმანს“, არამედ, როგორც ამას კონკრეტული მაგალითების ანალიზისას დავინახავთ, ახერხებს შეინარჩუნოს დედნის ხატოვანება, აფორისტულობა და ამიტომ თავისი მხატვრული ლირსებით ასი წლის შემდეგაც არ კარგავს ზემოქმედებას.

გასული საუკუნის 70-იან წლებში შესრულებული თარგმანი, რომელიც ვენერა ურუშაძეს ეკუთვნის უკვე პოეტურ თარგმანს წარმოადგენს, რომლის გასამართად ავტორმა ჰეგზამეტრი გამოიყენა. თარგმნელის წინასიტყვაობაში ვენერა ურუშაძე ქართულ და ინგლისურ ენებს შორის არსებულ განსხვავებაზე აკეთებს აქცენტს და მიიჩნევს, რომ ინგლისურში, რომელიც ანალიზური ენაა და ფლექსიების გამოყენება ნაკლებად ახასიათებს, ორმარცვლიანი და სამმარცვლაინი რითმის გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ ნებისმიერი მცდელობა ქართული ლექსის ფორმის იმიტირებისა საბედინერო იქნებოდა მთარგმნელისათვის და რუსთაველის პოემას პრიმიტიულ ნანარმოებად დააკინებდა (“As it is well known the English language is so poor in inflexions that we cannot produce a double or triple rhyme as in Georgian. Any endeavour to imitate it would be fatal, and would reduce Rustaveli's poem to utter triviality”) (ურუშაძე 1986: 7).

ჰეგზამეტრზე არჩევანის შეჩერება იოლი არჩევანი ვერ იქნებოდა. ვენერა ურუშაძე, რომელიც კარგად იცნობდა ინგლისურ პოეზიას და მის პროსოფიას, ბუნებრივია, რომ ბევრს ვარიანტს მოსინჯავდა, სანამ არჩევანს გააკეთებდა. ეს ყოყმანი კარგად ჩანს წინასიტყვაობაშიც, სადაც იგი მაღლიერებით მარჯორი უორდროპსაც მოიხსენიებს, როგორც პირველ მთარგმნელს და თავის არჩევანზეც საუბრობს.

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმანში ჰეგზამეტრის გამოყენებას აქვს როგორც თავისი დადებითი ისე უარყოფითი მხარეები. ინგლისური ენისათვის იგი არ არის ბუნებრივი სალექსო ფორმა. მის გამოყენებას პირველად მე-17 საუკუნეში ვხვდებით, ჩაპმენის მიერ თარგმნილ პომეროსში. თუმცა მას შემდეგ პომეროსის ნანარმოებები ინგლისურად მრავალჯერ ითარგმნა, მაგრამ ჰეგზამეტრის გვერდით ვხვდებით

ჰომეროსის პოემების როგორც პროზაულ თარგმანს, ასევე ინგლისური „ჰეროიკული კუპლეტით“ გამარტულ ნიტუშებს. რაც იმაზე მიუთითებს, მაშნაც კი, როდესაც დედნის სალექსო ფორმა ჰეგზამეტრია, როგორც ეს ჰომეროსის შემთხვევაშია, მთარგმნელთა ნაწილი ცდილობს თავი აარიდოს მას. რაც იმაზე მეტყველებს, რომ ჰეგზამეტრის ფორმა ვერ დამკვიდრდა ინგლისურ ენაში. ერთადერთი შემთხვევა, როდესაც იგი არა თარგმნილ არამედ ორიგინალურ ნაწარმოებშია გამოყენებული ჰენრი ლონგფელოს პოემაა „ევანჯელინი“. თუმცა, მეორე მხრივ, ისიც უნდა ითქვას, რომ სამსაუკუნოვანი ისტორია ჰეგზამეტრის არსებობისა ინგლისურ ენაში არსებობის, თუნდაც როგორც თარგმნას გზით სხვა ენიდან შემოტანილის, მანც უკვე ისტორიაა.

როგორც ვთქვით, ჰეგზამეტრის გამოყენებას აქვს თავისი დადებითი მხარეებიც: ინგლისელი მკითხელისათვის იგი ჰომეროსისეპოსთან ასოცირდება და ამდენად, „ვეფხისტყაოსანიც“ იგივე განწყობას აღძრავს მასში: გარდასულ დღეთა დიადი ეპიკური ნაწარმოების. თუმცა ამგვარი ტექსტი მძიმეა და ფორმისმიერი მშვენება, სილალე და მოქნილობა რაც ორგინალს აქვს, იკარგება, მაგრამ იგი დაკვირვებულ მკითხელს ორგინალის ტექსტის ეპიკურ დიდებულებასა და კეთილშობილებას ნამდვილად მიახვედრებს.

2015 წელს გამოცემული ლინ კოფინის თარგმანი პოემის პოეტურ თარგმანს წარმოადგენს. თავად მთარგმნელი მიიჩნევს, რომ მისი „თარგმანი მნიშვნელოვანია, რადგან ინგლისელ მკითხველს პირველად მიეცემა შესაძლებლობა მოისმინოს ეს ისტორია რიტმულ, მეტაფორულ, პოეტურ თარგმანში. მე ვთარგმნიდი, როგორც პოეტი, რომელსაც მეცნიერები აწვდიდნენ ინფორმაციას. წინა მთარგმნელები პოეტები არ იყვნენ და არც ქართველი მეცნიერების დახმარების ჩემგვარი უპირატესობით სარგებლობდნენო“. – ამბობს იგი ერთერთ ინტერვიუში (“My translation is significant because the English reader for the first time, really, is able to hear the story in a rhythmic, metaphoric, Poetic translation. I translated as a poet, informed by scholars. Previous translators were not themselves poets, and did not have the advantage of the Georgian scholars I did”) (კოფინი 2016).

კოფინის თარგმანი მართლაც პირველი თარგმანია, რომელშიც „ვეფხისტყაოსანი“ გარითმული, უფრო კონკრეტულად კი იმავე სალექსო ფორმით ანუ შაირით არის თარგმნილი ინგლისურად, რაც დედანშია. პოეტური ნაწარმოების თარგმნისას სალექსო ფორმის შენარჩუნება, რომ დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული და დიდ მიღწევად

უნდა ჩაითვალოს ამას მტკიცება არ სჭირდება, თუმცა უთუოდ ისიც არის გასათვალისწინებელი, თუ რისი დათმობა უნევს ამის საფასურად მთარგმნელს და ამასთანავე სალექსო ფორმის უცვლელად გადატანა უცხო ენაზე, რამდენად წარმოქმნის იმ მხატვრულ ეფექტს, რომლის შექმნაც თარგმანის ყველაზე დიდი მიზანი უნდა იყოს.

ლინ კოფინი ფიქრობს, რომ მისი უპირატესობა წინა მთარგმნელებთან შედარებით ისიც არის, მას წინა მთარგმნელებისაგან განსხვავებით, ქართველ მეცნიერების დახმარება-კონსულტირების საშუალება ჰქონდა. ისეთი რთული ფილოსოფიური ტექსტის თარგმნისას, როგორიც „ვეფხისტყაოსანია“ რუსთველოლოგთა კონსულტაცია რომ აუცილებელია, ამას მტკიცება არ სჭირდება. გაოცებას მხოლოდ ის იწვეს, თუ რატომ ჰგონია ლინ კოფინს წინა მთარგმნელები ასეთი უგუნურნი, რომ ამას ვერ მიხვდნენ.

სინამდვილეში საქმის ვითარება სხვაგვარია და მარჯორი უორდოპიცა და ვენერა ურუშაძეც ნამდვილად სარგებლობდნენ ქართველ მეცნიერთა დახმარებით ცველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარჯორი უორდოპის თარგმანი ერთადერთია ამ სამიდან, რომელსაც საკმაოდ უხვი კომენტარი ახლავს, რომელიც ცხადყოფს თუ რამდენად საფუძვლიანად იყო მომზადებული იგი ამ თარგმანისათვის. ცნობილია, რომ ალექსანდრე ხახანაშვილი მარჯორი უორდოპს აწვდიდა სხვადასხვა ავტორების რუსთველოლოგიურ ნაშრომებს. ამიტომ უორდოპის თარგმანისთვის დართული კომენტარები ნიკო მარის, იუსტინე აბულაძის, ალექსანდრე ხახანშვილის კვლევებს ეყრდნობა. უფრო მეტიც, ამა თუ იმ სტრიქონის გადმოცემისას „ვეფხისტყაოსანის“ სხვადასხვა გამოცემებიც კი არის გათვალისწინებული. მხოლოდ ჩამონათვალიც კი უორდოპების მიერ ოქსფორდის ბოდლეის ბიბლიოთეკისათვის გადაცემული „ვეფხისტყაოსანის“ სხვადასხვა გამოცემების უზომოდ შთამბეჭდავია და გვარნმუნებს, რომ უორდოპი იცნობდა ყველაფერს, რაც კი შეიძლებოდა მის ეპოქაში სცოდნოდა. სწორედ ეს ცოდნა და რუდუნება გამოსჭვივის იმ უხვ და ძალიან საინტერესო კომენტარში, რომელიც ტექსტს უცხოელი მკითხველისათვის ბევრად უფრო აღქმადს ხდის. ამ სამი თარგმანიდან უორდოპის თარგმანი ყველაზე სრულყოფილად არის აღჭურვილი იმ სამეცნიერო აპარატურით, როგორიც ამგვარი თარგმანს აუცილებლად უნდა ახლდეს თან.

რაც შეეხება ვენერა ურუშაძის მოღვაწეობას მისი თარგმანი 70-იან წლებში შესრულდა და მას კონსულტაციებს ქართველ მეცნიერთა მთელი პლეადა უწევდა: შალვა ნუცუბიძე, ვიქტორ ნოზაძე, გიორგი

წერეთელი, ქართველოლოგი დევიდ ლანგი, ანგლისტი ნიკო ყიასაშვილი. (წიგნის რედაქტორი კი ქევინ ქროსლი-ჰოლანდი ცნობილი რედაქტორი და ანგლო-საქსური ლიტერატურის, მათ შორის „ბერვულფის“ მთარგმნელი იყო).

თარგმანების ზოგადი მიმოხილვიდან, ახლა კონკრეტული მაგალითების საშუალებით გავაანალიზოთ თუ როგორ ხდება თარგმნისას წამოჭრილი ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრა სხვადასხვა თარგმანში.

„ვეფხისტაოსნის“ თარგმნის ერთერთი სირთულე იმ აფორიზმების უცხო ენაზე გადატანაა, რომელიც ტექსტს ამშვენებს. თუ აფორიზმი სისხარტეს და მხატვრულ ძალისილებას დაკარგავს იგი გაცვეთილ, ბანალურ ჭეშმარიტებად იქცევა და ტექსტს დიდაქტიკურ ელფერს შესძენს, რაც სრულიად უცხოა „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკისთვის.

ნანარმოებში აფორიზმთა უმეტესობა ავთანდილს ეკუთვნის და ბუნებრივია, რომ მისი ანდერძი, „ვეფხისტყაოსნის“ ყველაზე ცნობილ აფორიზმებს შეიცავს. მაგ. „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“. ამ აფორიზმისთარგმანი სამივე თარგმანში სხვადასხვა სახით არის წარმოდგენილი. მარჯორი უოურდროპი ბრწყინვალედ ახერხებს შეინარჩუნოს დედნის აფორისტულობა, ფრაზა სხარტია და ლაკონური, რითაც იგი დედნის მხატვრულ ექვივალენტს ქმნის: “Better a glorious death than shameful life!”

ვენერა ურუშაძის თარგმანი აფორისტულობა შენარჩუნებულია ფრაზის პირველ ნახევარში, რომელიც ზუსტად იმეორებს უორდროპის თარგმანს, მეორე ნახევარიკი – გაცილებით განელილია, რათა სტრიქონი ჰეგზამეტრის მეტრში ჩამჯდარიყო: “Better a glorious death, than life ragged out in dishonor”.

ლინ კოფინი, რომელიც 16-მარცვლიანი შაირის გადატანას ცდილობს ინგლისურად, ბუნებრივია, რომ იძულებულია გაზარდოს აფორიზმი დამხმარე სიტყვებით, რადგან სხვანაირად ქართული 16 მარცვალი ინგლისურად, რომელიც 1 ძირითადად ერთ და ორმარცვლიანი სიტყვებისაგან შედგებავერ წარმოქმნის 16 მარცვალს. ამიტომ ფრაზა განელილი ჩანს და აფრონიზმისათვის აუცილებელ სისხარტეს კარგავს. “It is better to die in glorious death than to live in shame.”

ზუსტადიგივე შეიძლება ითქვას მეორე აფორიზმზეც: „რაცა ღმერთსა არა სწადდეს იგი საქმე არ იქმნების“. უორდროპის თარგმანი ამ შემთხვევაშიც ყველაზე ზუსტ მხატვრულ ეფექტს წარმოქმნის: “What God will not, will not become fact.” ურუშაძის თარგმანის პირველი

ნახევარის ბრწყინვალება (“What the Almighty decrees not”) ოდნავფერ-მკრფთალდება ფრაზის მეორე ნახევარში, სადაც ფრაზის პირველი ნახევრის რიტმული წყობა ირღვევა. (‘no mortal can force into being’). ლინ კოფინის თარგმანი ამ შემთხვევაშიც მხოლოდ აზრს ინარჩუნებს და საბოლოო ჯამში აფორიზმი სტილისტურად საკმაოდ გაუმართავ წინა-დადებად იქცევა: “Something that God doesn’t will doesn’t happen, and what He will, stays.”

თარგმანებზე უკეთესი წარმოდგენის შესაქმნელად წარმოგიდ-გენთ ერთერთი ტაეპის თარგმანს:

თუ საწუთომან დამამხოს, ყოველთა დამამხობელმან,
დარიბი მოვავდე დარიბად, ვერ დამიტიროს მშობელმან,
ველარ შემსუდრონ დაზრდილთა და ვერცა მისანდობელმან,
მუნ შემიწყალოს თქვენმანვე გულმან მოწყალე- მლმობელმან.

ამ ტაეპის მხატვრული ლირებულება ერთი მხრივ მისი აზრის კეთილშობილებასა და სიძრმეშია. ავთანდილი, მიუხედავად იმისა, რომ როსტევანის განრისხებას მოელის ამავე დროს იმასაც აცნობიერებს, რომ გულში როსტევანმა მისი გადაწყვეტილების სისწორე და სიდი-ადე იცის და როგორადაც უნდა დასრულდეს ავთანდილის გაპარვა და ძიება, როსტევანი მას შეიწყალებს. ამასთანავე მეორე მხრივ ფორმის სრულყოფილებასა და დახვეწილობაში. ამ შემთვევაშიც, როგორც საქმაოდ ხშირად, რუსთაველი არა მხოლოდ ურთულესრითმულ ქარ-გას იყენებს, არამედ ალიტერაციის დახვეწილ ფორმასაც, რომელსაც პავლე ინგოროვა „ვერბალურ ალიტერაციას“ უწოდებს („საბრალო-სი საუბრისად“, „ძებნად ჩემგა საძებრისად“). (ინგოროვა 1970: 164). სტროფიც სწორედ ასეთი ფრაზით იწყება: „თუ საწუთომან დამა-მხოს, ყოვლისა დამახობელმან“. უცხო ენაზე მისი გადატანა იოლი არ არის, თუმცა მთარგმნელისგან მცდელობა მაინც უნდა ჩანდეს. უორ-დროპთან ამგვარი მცდელობა არის და საკმაოდ წარმატებულიც (“If Fate, the destroyer of all, destroys me...”). ინვერსიის გამოყენება, ლექსიკის გემოვნებით შერჩევა ყველაფერი ერთად უორდროპისეულ თარგმანს გარკვეულ რიტმსა და მხატვრულ მომხიბვლელობას სიენს:

“If Fate, the destroyer of all, destroys me, an orphan I shall die travelling, unmourned by parent, nor will those who brought me up, nor the friend whom I trust, enshroud me. Then indeed will your merciful, tender heart have pity on me.” (Wardrop 1966: 183).

ვენერა ურუშაძის თარგმანი ტექსტის აზრობრივ კეთილშობილებას ადექვატურად გადმოსცემს, მაგრამ რუსთაველის ტექსტს განავრცობს (“let me fall by the wayside”, და“ Yet, when you hear I am gone” მთარგმნელის დამატებაა). მგვარი დამატებები ტექსტის გაგებას ხელას ნამდვილად არ უშლის, შეიძლება აიოლებს კიდეც, თუმცა ტექსტს იმ ლაკონურობას უკარგავს, რითაც „ვეფხისტყაოსანი“ გამოირჩევა.

If I should die on my journey, then let me fall bythe wayside
Wretched, unmourned, unshrouded, forgotten by all who have loved me
Yet, when you hear I am gone, let not your mercey forsake me.
Drop but tear for the traveller, rembmber my humble entreaty

ორგინალის ტექსტში ამგვარი დამატებების საჭიროება იზრდება „ვეფხისტყაოსნის“ 16-მარცვლიანი საზომით გადატანის შემთხვევაში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ინგლისური ენა ძირითადად ერთ და ორმარცვლიან სიტყვებს შეიცავს, ამიტომ ქართული 16 მარცვლიანი სტრიქონი ინგლისურში 16-მარცვლიან სტრიქონს ვერ წარმოქმნის. მარჯვორი უორდრობის გენიალური თარგმანი ამ სტროფის პირველი ხაზის, რომელიც უკიდურესად ზუსტია (“If Fate, the destroyer of all, destroys me...”) ამისი დასტურია. ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ ახალ პოეტურ თარგმანს რითმაც აქვს და პირველ ორ პრემში მთარგმნელი ცდილობს ალიტერაციის გამოყენებას, თარგმანი გარითმულ პროზას უფრო გავს (შეადარეთ: როგორი პროზაული და განელილია პოეტური თარგმანის: “If Destiny destroys me as, in the end it destroys us all,” უორდრობის პროზაულ თარგმანთან შედარებით: “If Fate, the destroyer of all, destroys me”).

მთლიანობაში ეს ტაქტი კოფინის პოეტურ თარგმანში ერთმარცვლიანი სიტყვებით არის გარითმული (all, small, hall, fall. ამათგან hall- დარბაზი დედანში საერთოდ არ არის ნახსენები და მისი გაჩენა თარგმანში მხოლოდ სიტყვის რითმად გამოყენების აუცილებლობით აიხსნება). რომლის ერთმანეთთან გარითმვას ნამდვილად არ სჭირდება პოეტური ნიჭიერება, ოდნავადაც ვერ გადმოსცემს დედნის მხატვრულ დიდებულებას. პირიქით, გაცვეთილი და ბანალური რითმა სტროფს ასეთივე ბანალურ ელფერს აძლევს. დარღვეულია თავად სტროფების მუსიკალობაც: მართალია ყველა სტრიქონი 16-მარცვლიანია, მაგრამ ინგლისურ პროსოდიაში სიტყვაში მახვილის ადგილს დიდი მნიშვნელობა აქვს. მაშინაც კი თუ იამბი და დაქტილი ორივეა ლექსში, მათ მონაცვლეობაში გარკვეული თანაზომიერება უნდა არსებობდეს, რისი აღმოჩენა სტროფში ალბათ გაჭირდება.

If Destiny destroys me as, in the end it destroys us **all**,
 A wonderer who died wondering, abandoned by great and **small**,
 With no parents, guardians, trusted friends, enshroud me in the **hall**.
 Then, indeed, will your kind, merciful heart let pity on me **fall**.

თარგმანი, სამწუხაროდ ადასტურებს იმ ვარაუდს, რომელიც ვენ-ერა ურუშაძემ გამოთქვა, თავისი თარგმანის წინასიტყვაობაში, რომ ინგლისურ ენზე ქართული სალექსო ფორმის იმიტირება და „ვეფხ-ისტყაოსნის“ გარითმვა პოემას დააკინებდა.

შაირის გადატანა ინგლისურ ენაზე შეუძლებელია და კალკირებულ ხელოვნურ ფორმას წარმოქმნის, რისი მიზეზიც ამ ორ ენასა და მათ ლექსთანყობას შორის არსებული დიდი სხვაობაა. ალბათ, საინტერესო უნდა იყოს ინგლისურიდან შექსპირის თარგმნის ისტორიის გახსენება და პარალელის გავლება. ივანე მაჩაბლის ყველაზე დიდი მიგნებას ის წარმოადგენს, რომ შექსპირი იამბური პენტამეტრით კი არ გადმოიღო ქართულად, როგორც ეს შექსპირთანაა, არამედ 14-მარცვლიანი ლექსით. მიუხედავად იმისა, რომ იყო რამდენიმე მცდელობა შექსპირის 10 მარცვლიანი საზომით გამოტანისა, მაჩაბლის შემდეგ ყველა ცნობილი თარგმანი (ვახტანგ ჭელიძე, გივი გაჩეჩილაძე, რეზო თაბუკაშვილი, მანანა ანთაძე) სწორედ მაჩაბლის მიერ შემოტანილი საზომით არის გამართული.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ, რაც ამდენი საუკუნით დაშორებული ტექსტის თარგმნისას აუცილებლად გასათვალისწინებელია სიძველის სურნელის შენარჩუნებაა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მკითხველს თუნდაც არავითარი ინფორმაცია არ ჰქონდეს წიგნსა და ავტორზე თავად თარგმანის ტექსტი უნდა მეტ-ნაკლებად შეიცავდეს ამგვარ ინფორმაციას არა მხოლოდ შინაარსობრივად არამედ სტილ-ისტურ დონეზეც. „ავთანდილის ანდერძის“ თარგმანში შინაარსობრივ დონეზე ეპოქის დაკარგვა უბრალოდ შეუძლებელია, რადგან მთელ პოემას რომც არ იცნობდეს ადამიანი, მხოლოდ წერილის წაკითხვაც კმარა, რომ მკითხველი ზუსტად მიხვდეს ავთანდილისა და როსტევანის, ავთანდილისა და შერმადინის დამოკიდებულებასა და ეპოქას, რომელსაც ისინი ეკუთვნიან. რაც შეეხება პოემის სტილის არქაულობის შენარჩუნებას თარგმანში, აქაც სამივე მთარგმნელი სხვადასხვა გზას ირჩევს. უორდროპის პროზაული თარგმანი ზომიერად იყენებს არქაულ ფორმებს (“thou wilt not blame,” ... “Thou hast read”, ... “However angry thou art”, ... “love exalteth us”), მიართავს ინვერსიას (“Sadness avails thee

not, nor useless flow of tears.”) ლექსიკას, რომელსაც უორდროპი იყენებს არქაულს ვერ ვუწოდებთ, მაგრამ სალიტერატუროა, ყველაფერი ერთად კი იმ ხიბლს წარმოქმნის, რომელიც ამ ტექსტს ახლავს.

ვენერა ურუშაძემ არქაზმებს თავი აარიდა, რაც სავსებით სწორი გადაწყვეტილება იყო, მის მიერ შექმნილი ტექსტის შემთხვევაში. უკვე აღვნიშნეთ, რომ ჰეგზამეტრით გამართული ტექსტი მძიმეა. თარგმანი უკვე თავისი ფორმით უქმნის ინგლისელ მკთხველს წარმოდგენას, რომ „ილიადასა“ და „ოდისეას“, „ენეიდას“ ტიპის ეპიკურ ნაწარმოებთან გვაქვს საქმე. ლექსიკისა და ფორმების არქაზაცია ტექსტს კიდევ უფრო დაამძიმებდა და საერთოდ დააშორებდა მკითხველს.

ლინ კოფინის ტექსტიც არ მიმართავს სტილისტურ ან ლექსიკურ არქაზმებს. იგი ბუნებრივ სამეტყველო ლექსიკას იყენებს, შეიძლება ითქვას, რომ ზედმეტად ბუნებრივს. ამიტომ ავთანდილის ანდერძის ენა თავისი ბუნებრივი გარემოდან ამოვარდნილია და ზედმეტად ყოფითად ჟღერს (მაგ.: “Forgive me if I have not kept your command; do not take it ill.”).

ამრიგად, მარჯორი უორდროპის პროზაული თარგმანი დედნისადმი ერთგულებით გამოირჩევა. თუმცა მიუხედავად პროზაული თარგმანისა მთარგმნები ახერხებს მეტ-ნაკლებად შეინარჩუნოს დედნის ხატოვანება, აფორისტულობა და სხვ.

ჰეგზამეტრი, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური ლიტერატურაში თითქმის ოთხი საუკუნეა არსებობს (რომელიც კლასიკური ეპოსის თარგმანებით შემოვიდა ენაში და შემდეგ ორიგინალურ ნაწარმოებშიც გვხვდება), ინგლისური პოეზიისათვის მაინც არ წარმოადგენს ბუნებრივ ფორმას. ჰეგზამეტრით თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი მძიმეა, მაგრამ ამავე დროს პოემა ეპიკური დიდებულებას ინარჩუნებს.

შაირის ფორმით „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურად ამეტყველების მცდელობამ ინგლისური პოეზიაში უცხო და ხელოვნური სახე მიიღო. ამასთანავე სალექსო ფორმის შენარჩუნებას ხშირად ეწირება პოემის აფორისტულობა, აზრის სილრმე და პოეტური ხატოვანება.

რაღა თქმა უნდა, სამივე თარგმანის არსებობა მისასალმებელია და ყოველი მათგანი „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა წახნაგს წარმოაჩენს. აქვე ვიტყვი, რომ თუ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანების რაოდენობას რომელიმე ამ რანგის ძეგლის თარგმნის ისტორიას შევადარებთ ინგლისურად, განსხვავება, სამწუხაროდ, ძალიან დიდია. მაგ. მხოლოდ ბოლო 20 წლის მანძილზე. დანტეს „დვთაებრივი კომედიის“ ათზე მეტი თარგმანი შეიქმნა ინგლისურად. ამათგან ზოგი პროზაულია, ზოგი

ტერცინებით, ზოგი თეთრი ლექსით არის გამართული. თუმცა, დანტეს პოემის ტერცინების ინგლისურ ენაზე გაატანის სირთულე ოდნავადაც ვერ შეეძრება „ვეფხისტყაოსნის“ შაირის სირთულეს. ამიტომ „ვეფხისტყაოსნის“ ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავებული თარგმანები, მიუხედავად აღნიშნული ხარვეზებისა, უდაოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული კულტურისათვის.

დამოცვებები:

ინგოროვა 1970: ინგოროვა პ. „შოთა რუსთაველი“. შოთა რუსთაველი. „ვეფხისტყაოსანი“. ტექსტი პავლე ინგოროვას რედაქციით. თბილისი: „მერანი“, 1970.

კოფინი 2015: Coffin, L. *The Knight in the Panther Skin*. Turkey: Poezia Press, 2015.

კოფინი 2016: Seattle Poet Offers Epic 800 Years in the Making. Iron Twine Press. განთავსებულია 6 მარტიდან, 2016. მის.:<https://irontwinepress.com/tag/georgian-poetry/>

უორდრობი 1966: *The Man in the Panther's skin*, A Romantic Epic by Shot'ha Rust'haveli, a close rendering from the Georgian attempted by Marjory Scott Wardrop. With a preface by Sir Oliver Wareop. Tbilisi: 1966.

ურუჟაძე 1986: Rustveli. *The Knight in the Panther's Skin*. translate from the Georgian by Venera Urushadze. Tbilisi: 1986.

RUSUDAN ZEKALASHVILI

Georgia, Tbilisi

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

The First Prose Translation of the Georgian Poem „The Knight in the Panther's Skin“ in German for the Young Readers

The work considers the history of translation of the poem “The knight in the panther’s skin” in German, the existing poetic and prose translations, in particular, the prosaic translation by the famous German author of the books for children, Victoria Ruica. Franz (1976). The work is focused on the text structure of the book, peculiarities of the plot building, on some alterations in personage names and toponyms, on the epilogue written by the translator.

We have analyzed the language and style peculiarities of the translation, some characteristic techniques (using questions, comparisons, metaphors). It is suggested that some changes are made for one reason – to make the masterpiece more acceptable for German children and to support its popularization.

Key Words: The knight in the panther's skin, German translations, prose translations, Victoria Ruica-Franz.

რუსულან ზექალაჭვილი

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„ვეფხისტყაოსნის“ პროზაული თარგმანი გერმანულად ყმანვილთათვის

„ვეფხისტყაოსნის“ მნიშვნელობა განუზომლად დიდია არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო კულტურისათვის. მიუხედავად იმისა, რომ პოემა მე-12 საუკუნეში დაიწერა, მისი ჰუმანური იდეალები არ ძველდება, პირიქით, დღესაც ყველასათვის სანიმუშო და მისაბაძია. სწორედ ამან განაპირობა დიდი ინტერესი პოემის მიმართ და მისი თარგმნა მსოფლიოს მრავალ ენაზე: ინგლისურად, ფრანგულად, გერმანულად, ესპანურად, რუსულად, ებრაულად, იაპონურად, უნგრულად და სხვ. მათ შორის საპატიო ადგილი უკავია „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ თარგმანებს, რომელთა ნაწილი პოეტურია, ზოგი კი – პროზაული. აღსანიშნავია არტურ ლაისტის, ჰუგო ჰუპერტის, ჰერმან ბუდენზიგის, მარია პრიტვიცის, რუთ ნოიკომის და სხვათა თარგმანები.

ცნობილია, რომ პოემის თარგმნა მე-19 საუკუნის 80-იან წლებში სცადეს ბერტა ფონ ზუტნერმა (1843-1915) და მისმა ავსტრიელმა მეუღლემ არტურ გუნდაკარ ფონ ზუტნერმა (1850-1905), რომლებიც სამეგრელოს დედოფლის, ეკატერინე დადიანის, მიწვევით საქართველოში იყვნენ 1876-1885 წლებში. იონა მეუნარგიას დახმარებით ისინი ეცნობოდნენ საქართველოს ისტორიას, კულტურასა და ლიტერატურას.* ცოლ-ქმარი გატაცებით მუშაობდა პოემის ფრანგულ და გერმანულ თარგმანებზე, თუმცა, სამწუხაროდ, ეს ნაშრომები დაკარგულია (იხ. კაკაბაძე... 1962: 138-149).

* ბერტა ფონ ზუტნერმა მშვიდობის დარგში მიიღო ნობელის პრემია 1905 წელს.

არტურ ლაისტის პოეტური თარგმანი დაიბეჭდა 1889 წელს (ლაისტი 1889), **ჰუგო ჰუპერტისა** – 1955 წელს (ჰუპერტი 1955), **ჰერმან ბუდენზიგისა** 1970-1972 წლებში ქვეყნდებოდა ნაკვეთებად, 1976 წელს კი პოემის თარგმანი მთლიანად გამოიცა თბილისში (ბუდენზიგი 1776), 1989 წელს – რენდსბურგში (ბუდენზიგი 1989). ის შესრულებული იყო ჰეგზამეტრით და ეყრდნობოდა მიხეილ წერეთლისეულ პროზაულ ვარიანტს (იხ. ყუბანეიშვილი 1971: 133-138). **მარია პრიტვიცის** თარგმანი XX საუკუნის 40-იან წლებში შესრულდა (იხ. ჯანაშა 2003: 24-26), მაგრამ გამოიცა მხოლოდ 2011 წელს აახენში (პრიტვიცი 2011).*

მნიშვნელოვანია შევიცარიელი ქართველოლოგის, **რუთ ნოიკომის**, პროზაული თარგმანი, გამოცემული ციურიხში (ნოიკომი 1974) და მიხაკო **ნერეთლისა**, გამოქვეყნებული პარიზში, ნინო სალიას გამოცემა (ნერეთლი 1975).

პოემის პროზაული თარგმანი ბავშვებისათვის

ბავშვებისთვის იყო განკუთვნილი **ფელიქს პეცინას** 1929 წელს როიტლინგენში გამოცემული პროზაული თარგმანი, თუმცა მის ავ-კარგზე მსჯელობა შეუძლებელია, რადგან წიგნი საქართველოში ვერ მოიძებნა (პეცინა 1929).

ჩვენ დაწვრილებით განვიხილავთ „ვეფხისტყაოსნის“ პროზაულ თარგმანს ყმაწვილთათვის, რომელიც ეკუთვნის ცნობილ გერმანელ საბავშვო მწერალს, **ვიქტორია რუიკა-ფრანცს** (ბერლინი, 1976). ტექსტი ადაპტირებულია, ახლავს გრაფიკული ილუსტრაციები (მხატვარი **ნორბერტ პოლი**) და იმდენად პოპულარული იყო გდრ-ში, რომ რამდენ-ჯერმე დაიბეჭდა (მეოთხედ – 1989 წელს), 1991 წელს კი შტუტგარტშიც გამოიცა (რუიკა-ფრანცი 1991).

ვიქტორია რუიკა-ფრანცი (დაბ. 1930) ავტორია საბავშვო ნაწარმოებებისა: „Ich bin Kolumbus“ („მე კოლუმბი ვარ“, 1975), „Das weiße Sternchen“ („პატარა თეთრი ვარსკვლავი“, 1976), „Auf den Spuren des braunen Bären“ („თეთრი დათვის ნაკვალევზე“, 1987) და სხვ.

რუიკა-ფრანცის პროზაული თარგმანი, როგორც ეს წიგნის შესავალშია აღნიშნული, განკუთვნილია ყმაწვილთათვის 11 წლის ასაკიდან, რამაც განაპირობა ტექსტის შედარებით სადა და მარტივი ენა, ძირითადი ყურადღების გადატანა სიუჟეტსა და სათავგადასავლო ამბებზე.

* შტეფი ხოტივარ-იუნგერისა და ელგუჯა ხინთიბიძის გამოცემა.

გამოცემას ახლავს მთარგმნელის **ბოლოსიტყვაობა** (Nachbemerkung der Autorin) მიმართვა ბავშვებისადმი. ის ყმაწვილებს ახსენებს წიგნებს უმნიშვნელოვანეს როლს კაცობრიობის ისტორიის შესწავლისთვის, მოზარდის ფანტაზიის განვითარებისთვის: „წიგნები დროის მანქანებია. მათ გადავყავართ გასულ ათასწლეულებში და მიგვაქროლებენ მომავალში. ფანტაზია და კვლევის წყურვილი მამოძრავებელი მასალაა, პოეტები კი კონსტრუქტორები არიან“ (“Bücher sind eigentlich Zeitmaschinen. Sie befördern uns in vergangene Jahrtausende und rasiert in die Zukunft. Phantasie und Forscherdrang sind der Treibstoff, die Dichter aber sind Konstrukteure”) (რუიკა-ფრანცი 1988: 153).

ბოლოსიტყვაობაში მოკლედ მოთხრობილია პოემის შექმნის ისტორიაზე, შოთა რუსთაველისა და თამარ მეფის ეპოქის ფეოდალური საქართველოს კულტურაზე, საზოგადოებრივ წყობასა და სოციალურ ფენებზე. ჩამოთვლილი არიან პოემის მთავარი გმირები, ხაზგასმულია რუსთაველის ჰუმანური იდეალები: სიყვარული, მეგობრობა, სიკეთის გამარჯვება ბოროტებაზე.

მთარგმნელი ძალიან მაღალ შეფასებას აძლევს შოთა რუსთაველს, უნიდებს მას ჩვენი პლანეტის ერთ-ერთ უდიდეს მწერალს, რომელმაც 800 წლის წინ შექმნა ეს პოეტური შედევრი: „რუსთაველის სიტყვა ცოცხალია და მოგვითხრობს მაღალ იდეალებზე. პოემის გმირები შასავით ისწრაფვიან სამართლიანობისა და ბედნიერებისკენ, ებრძვიან ბოროტებას სამყაროში და ყოველ ღონეს ხმარობენ მის დასამარცხებლად“ (რუიკა-ფრანცი 1988: 154).

ვიტორია რუიკა-ფრანცმა აუცილებლად მიიჩნია აეხსნა ბავშვები-სთვის ზოგიერთი სიტყვა, მათ შორის: ძვირფასი ქვების, საბრძოლო ტექნიკისა და აღჭურვილობის, ხომალდების, ისტორიული და რელიგიური რეალიების აღმნიშვნელი სიტყვები.

მაგალითად, **ძვირფასი ქვების** სახელები: Achat – აყიყი ანუ აქატი (ნახევრად ძვირფასი შავი ქვა*), Amethyst – ამარტი ანუ ამეთვისტო (ნახევრად ძვირფასი ლურჯი ქვა), Basalt – ფაზარი (ვულკანური წარმოშობის ქვა), Beryll – ბივრილი, იაგუნდი (სხვადასხვა შეფერილობის ძვირფასი ქვა: ლურჯი, მნვანე, ყვითელი ან მონითალო), Jaspis – ამარტი, იასპი (ნახევრად ძვირფასი წითელი, ყავისფერი ან მნვანე ქვა), Karfunkel, Granat – ძმნი (ნახევრად ძვირფასი წითელი ქვა), Karneol – სარდიონი (ნახევრად ძვირფასი ხორცისფერი გამჭვირვალე ქვა), Rubin – ლალი (ძვირფასი წითელი ქვა), Smaragd – ზურმუხტი (ძვირფასი მნვანე ქვა).

* განმარტებებს ვუთითებს მთარგმნელის მიხედვით.

საბრძოლო აღჭურვილობა და საზღვაო მიმოსვლის საშუალებები: Visier – ჩაჩქანი, Köcher – კაპარჭი (ისრების ჩასადები), Heerbann – საბრძოლო ქვეითი ჯარი, Barke – პატარა ნავი, Galeere – შუა საუკუნეების ნიჩბიანი საბრძოლო ხომალდი, Karavelle – შუა საუკუნეების სწრაფად მავალი, მრავალანძიანი იალქნიანი ხომალდი...

მცენარეების სახელები: ალოე – Aloe, ჭადარი – Platane, კვიპაროსი – Zypresse, **ცხოველის სახელი:** Gepard – გეპარდი და სხვ.

გამოვყოფთ სიტყვას Falkner-ს, რომელიც განმარტებულია, როგორც მეშევარდენე ანუ შევარდნების დამგეშავი. ჩვენი აზრით, აქ მცირეოდენი უზუსტობაა: უნდა ახსნილიყო **ბაზიერი** – მონადირე, ფრინველთა (მიმინოს, ქორის) დამგეშავი და არა შევარდნით მონადირე ან მისი დამგეშავი.

ისტორიული, რელიგიური და სხვა რეალიები: Wesir – ვეზირი (უმაღლესი წოდება ისლამურ ქვეყნებში), Khan – ხანი (შუა აზიის ქვეყნების სამეფო ტიტული), Eunuch – საჭურისი, ხადუმი (ქალთა ოთახების მცველი აღმოსავლეთის მეფეთა სასახლეში), Koran – ყურანი, მუსაფი (ისლამის „წმინდა წერილი“), Mohammed – მუჰამედი (ისლამის დამფუძნებელი), Mullah – მოლა (მუყრი, მულიმი) (მაჰმადიანი სწავლულის წოდება), Prophet – წინასწარმეტყველი (ადამიანი, რომელსაც ღვთის ნება ეცნობება), Pilger – მომლოცველი (რელიგიურ წმინდა ადგილებში მოხეტიალე), Drachme – დრაჟმა (ცერცხლის მონეტა), Tribut – ხარკი (ბაჟი, გადასახადი), Zimbel – წინწილი (პატარა დასარტყამი ისტრუმენტი), Purpur – სტავრა-ატლასი (მოისისფრო-მონითალო ძვირფასი ქსოვილი), Meile – მილი (ძველი სიგრძის ერთეული, 1000 ნაბიჯი), Oase – ოზისი (ამწვანებული ადგილი უდაბნოში) და სხვ.

უნდა აღვნიშნოთ **დერვიშის** შესახებ, რომელიც მთარგმნელს ნასენები აქვს ეპიზოდში, როცა ტარიელი ნესტანის დანახვაზე ცუდად ხდება და მის ირგვლივ შეკრებილი „მუყრი და მულიმი“ ლოცვებს უკითხავენ. თარგმანში წერია: „Mullas und Derwische murmelten Gebete und Sprüche aus dem Koran, da sie mich für verhext hielten. Die Törichten!“ (რუიკა-ფრანცი 1988: 28). განმარტებული Derwisch ახსნილია, როგორც მაჰმადიანი მოხეტიალე ბერი. შდრ. პოემაში:

სრული მუყრი და მულიმი მე გარე შემომცვიდიან;
მათ ხელთა ჰქონდა მუსაფი, ყოველნი იკითხვიდიან;
მტერ-დაცემული ვეგონე, არ ვიცი, რას ჩმახვიდიან.
(რუსთაველი 1966: 344, 1-3)

როგორც ნ. ნათაძე აღნიშნავს, „მუყრინი“ მოლები არიან, ხოლო „მულიმნი“ – მაჲმადიანური რჯულის მოძღვარი, რომელთაც მისნობისა და მკურნალობის მცოდნედ მიიჩნევდნენ (იხ. რუსთაველი 1974: 115). ამდენად, აჯობებდა, რომ მთარგმნელს აქ სიტყვა „დერვიშის“ ნაცვლად მულიმი გამოეყენებინა.

პროზაული ტექსტის სტრუქტურა, პერსონაჟები და ტოპონიმები

ვიქტორია რუიკა-ფრანცის თარგმანი ძირითადად მიჰყვება ორიგინალის სიუჟეტურ ხაზს და გამოყოფილი აქვს 15 ქვეთავი:

Ein rätselhafter fremder Ritter იდუმალი უცხო მოყმე

Im Auftrag der Geliebten მიჯნურის დავალებით

Zwei Sonnen begegnen sich ორი მზე ხვდება ერთმანეთს

Die Geschichte von Tariel und der schönen Nestan ტარიელისა და მშვენიერი ნესტანის ამბავი

Der Feldzug gegen die Chatajer ბრძოლა ხატაელების წინააღმდეგ

Frost auf Rosenknospen დამზრალი ვარდის კოკორი

Nestan verbannt ნესტანი გადაკარგეს

Awtandil kehrt heim nach Arabien ავთანდილი არაბეთში ბრუნდება

Schatten des Wahnsinns um Tariel ტარიელი გიუს ჰეგავს

Awtandil unter Händlern und Seeräubern ავთანდილი ვაჭრებსა და მეკობრეებთან

Fatma, die schöne Kaufmannsfrau ფატმა – ვაჭრის მშვენიერი ცოლი

Bei den Katschen gefangen ქაჯებთან ტყვეობა

Sturm auf die Katschenburg ქაჯეთის ციხის აღება

Die Reise nach Arabien არაბეთში გამგზავრება

Heimkehr შინ დაბრუნება

როგორც ქვესათაურებიდან ჩანს, სიუჟეტის თანმიმდევრობა არაა ორიგინალისგან განსხვავებული, ოღონდ ტექსტი გამარტივებულია და ოდნავ შემოკლებული. ბავშვებისთვის იოლად გასაგები. მაგალითად, მოკლედაა აღნერილი ასმათის პირველი შეხვედრის ამბავი ტარიელთან, ლომ-ვეფხვის დახოცვის ეპიზოდი და სხვ.

მოქმედი პირების სახელები მთარგმნელს უმეტესად უცვლელად აქვს გადატანილი, აქ ვხვდებით როსტევანს – Rostewan, თინათინს – Tinnatin, ავთანდილს – Awtandil, ასმათს – Asmat, შერმადინს – Schermadin,

ნესტანს (და არა ნესტან-დარეჯანს) – Nestan, ფარსადანს – Farsadan, ტარიელს – Tariel, სარიდანს – Saridan, დავარს – Dawar, ფრიდონს – Fridon, რამაზს – Ramaz, უსამს – Ussam, დულარდუხტს – Dularduct, ოლონდ ტექსტში ფატმანის ნაცვლად გამოყენებულია ფატმა (Fatma), ჭამნაგირი გადმოტანილია, როგორც **ჩაჩნაგირი** (Tschatschnagir)*, უსე-ნი შეცვლილია ჰუსეინით (Hussein), ხოლო მელიქ-სურხავი – **მელექით** (Melek), რაც გაუმართლებელი გვეჩვენება.

ზოგიერთი **გეოგრაფიული** სახელი, გარდა არაბეთის (Arabien), ინ-დოეთის (Indien, Hindustan), გულანმაროსა (Gulanscharo) და ხატაეთისა (Chatajen), გადმოტანილია აღნერითად: ხვარაზმშას სამეფო, როგორც **სპარსეთის ქვეყანა** (Perserland), **ზღვათა სამეფო** – Seereich, ქაჯეთი – ქაჯების ქვეყანა (Kadschenland), ხოლო **მულღაზანზარი** შეცვლილია **მულგაზარით** (Mulganzar). როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი არასწორად ნაკითხვის ბრალია.

თარგმანის ზოგიერთი სტილისტური თავისებურება

თხრობის სტილი და ენა საკმაოდ მარტივი და სადაა, რაც აიხსნება მთარგმნელის მიზნით, რომ ბავშვებისთვის გასაგებად გადმოეცა ამ-ბავი. ტექსტის ენა ემოციური და ფერადოვანია. ცხადია, წინა პლანზე წამოწეულია სწორედ სიუჟეტური ხაზი, დრამატიზმი, პერსონაჟთა თავგადასავლები.

სტილის თავისებურებებიდან ყურადღებას შევაჩერებთ რამდენიმეზე:

ა. თვალში საცემია **კითხვების** მოშველიერბა თხრობის გამოსაცოცხლებლად, დინამიკურობისა და ემოციურობის გასაზრდელად, მკითხველში ინტერესის აღსაძრელად და მასთან ერთგვარი დიალოგის დასამყარებლად. მაგალითად, როცა თინათინს პირველად ახსნებს, მისი განუმეორებელი სილამაზის შესახებ ჯერ არაფერია ნათქვამი და მთარგმნელი სვამს კითხვას: „აბა, როგორ აღგინეროთ მეფის ასულის მშვენიერება?“ (“Wie soll ich Ihnen die Prinzessin beschreiben?”) (რუიკა-ფრანცი 1988: 5). მერე კი აგრძელებს: „ნარმოიდგინეთ ნაზი ვარდი, რომელიც ახლა უნდა გაიფურჩქნოს, გაიხსენეთ გაზაფხულის მზე, რომელიც ყინულს ადნობს ან ყველაზე ნათელი ვარსკვლავი ცაზე“ (“Stellt euch eine zarte Rose vor, die aus ihrer grünen Knospenhülle bricht, denkt an

* მართალია, გერმანულში არაა ჭბგერა, მაგრამ აჯობებდა ყოფილიყო **ჩაჩნაგირი**.

die milde Frühlingssonne, die das Eis schmilzt, oder an den hellsten Stern am Himmel. Noch schöner war Tinatin") (რუიკა-ფრანცი 1988: 5). რუსთაველი თინათინის სილამაზეზე წერს:

სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული;
მან მისთა მჭვრეტთა წაულის გული, გონება და სული,
ბრძენი ხამს მისად მაქებრად და ენა ბევრად ასული.
(რუსთაველი 1966: 33, 2-4)

სანამ პირველად ავთანდილს ახსენებდეს, თარგმანში ვკითხულობთ: „სადაც მშვენიერი მეფის ასულია, იქვე არის ხოლმე უზადო ყმანვილიც. და აქ სხვაგვარად რატომდა იქნება?“ (რუიკა-ფრანცი 1988: 5). სპასპეტის ენით ალუნერელი სილამაზეც კითხვებითაა ხაზგასმული: „განა ავთანდილის ნაკვთები მთის ბროლს არა ჰევავს? განა ის ალვის ხესავით აშოლტილი არაა?“ (“Gleichen seine Züge nicht dem klaren Bergkristall? Ähnelt er im Wuchs nicht der schlanken Zypresse?”) (რუიკა-ფრანცი 1988: 5). შდრ. პოემის ტექსტი:

საროსა მჯობი ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა,
ჯერთ უნვერული, სადარო ბროლ-მინა საცნობარისა.
(რუსთაველი 1966: 41, 2-3)

ამბის მიმართ მეტერელის ინტერესის გასაღვივებლად მთარგმნელი სვამს კითხვას: „თინათინმა ნაართვა მას მოსვენება, სახე გაუფერმკრთალა. ნეტა მოიგებს ის მეფის ასულის გულს?“ (“Wird er die Prinzessin gewinnen?”) (რუიკა-ფრანცი 1988: 5). ანდა: თინათინისა და ავთანდილის შესვედრის შემდეგ, როცა ისინი ერთმანეთის წინაშე ერთგულების ფიცს დადებენ, ასეთი კითხვებია: „მათი ბაგები განა ლალივით არ ბრწყინვავს? მათი თვალები ვარსკვლავებს არ ჰევავს?“ (“Leuchten ihre Lippen nicht wie Rubine? Strahlen ihre Augen nicht wie Sterne?”) (რუიკა-ფრანცი 1988: 13).

არაპი სპასპეტი ტარიელისკენ მოიჩქარის და ყვავილებიც ამხნევებენ. ამ ეპიზოდში ვკითხულობთ: „ავთანდილი ყვავილებისკენ დაიხრება. ნეტა მათ თინათინზე ხომ არ ელაპარაკება?“ (“Awtandil beugt sich über die Blumen. Spricht er mit ihnen von Tinatin?”) (რუიკა-ფრანცი 1988: 118).

ხშირად მთარგმნელი მკითხველს წინასწარ დააფიქრებს სიუჟეტის მოსალოდნელ განვითარებაზე: „ეგებ ფატმა ის გასაღებია, რომელიც

ნესტანის საიდუმლოს გააღებს?“ (რუიკა-ფრანცი 1988:94). ფატმანის გრძნობების გასაგებადაც ეს ხერხია მოშველიებული: „ვინ შეძლებდა ენინსარმეტყველა, რომ ქალს ასე თავდავიწყებთ შეუყვარდებოდა ვაჭრად გადაცმული ყმაწვილი?“ (“Wer hätte voraussehen können, dass sie sich Hals über Kopf in den vermeintlichen Kaufmann verliebt?”) (რუიკა-ფრანცი 1988: 95). მოულოდნელობის ეფექტი კიდევ უფრო ძლიერდება მომდევნო პასაჟით: „განა მას არ ჰყავს ქმარი და შვილი, არა აქვს ძვირფასი სამოსი და სამკაულები, მდიდრული სასახლე და მონეტებით სავსე ზანდუკები? რატომ დნება ის უცხო ვაჭრის სიყვარულით?“ (“Hat sie nicht Mann und Kind, Gewänder und Schmuck, ein reiches Haus und Truhen voll geprägter Münzen? Warum verzehrt sie sich nach dem fremden Kaufmann?”) (რუიკა-ფრანცი 1988: 95).

ბ. ტექსტში ზოგჯერ პეიზაჟიც გვხვდება. შთამბეჭდავია ავთან-დილისა და როსტევანის ნადირობამდე მზის ამოსვლის სცენა, რო-მელიც მთარგმნელის ჩამატებულია: „მზე უკვე ამოვიდა. მან სინათლის სხივები დააფრქვია არაბეთს, სიბრძლე გაფანტა მინდორსა და მდე-ლოზე, გაანათა ახალგაზრდა მოყმის ოქროს თავსაბურავი“ (“Schon ist die Sonne aufgestanden. Sie gießt Lichtströme über Arabien, wäscht die Dunkelheit aus Tal und Feld und lässt den goldenen Turban des jungen Ritters aufleuchten”) (რუიკა-ფრანცი 1988: 6). პოემაში კი მხოლოდ ავთანდილის თავსაბურავზე წერია: „პირ-ოქრო რიდე ეხვია, შვენოდა ქარქაშოსანი“ (რუსთაველი 1966: 71, 3).

გ. პროზაულ თარგმანში ძნელია, შენარჩუნდეს პოემის აფორიზმები, მაგრამ მთარგმნელი ცდილობს, ზოგიერთი მაინც გადმოიტანოს, რომ არ დაიკარგოს ნანარმოების დიდი სიბრძნე. მაგალითად, აფორ-იზმი – „რასაცა გასცემ, შენია, რასც არა, დაკარგულია“ – ასე უდერს: “Was du anderen gibst, bleibt dein, was du aber hortest, hast du nie besessen” (რუიკა-ფრანცი 1988: 5). „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია“ თარგმ-ნილია, როგორც: „ბედნიერების ნაყოფს სიცოცხლის ხიდან უნვალე-ბლად ვინმე ჩამოკრეფს?“ (“Die Früchte des Glücks lieben sich mühelos vom Lebensbaum schütteln”) (რუიკა-ფრანცი 1988: 15).

დ. ტექსტი მდიდარია მხატვრული ხერხებით, რომელთა ნაწილი მთარგმნელისულია, მაგრამ რუსთაველის პოემის სულისკვეთება და ენის ფერადოვნება მაინც იგრძნობა. გვხდება შედარებები, ეპითეტები, მეტაფორები და სხვა ტროპული საშუალებები.

დავასახელებთ რამდენიმეს, მაგალითად: როცა ნადირობის შემ-დევ წყლის პირას უცხო მოყმე ნახეს და მეფემ მის დასაჭერად მონები

გაგზავნა, მთარგმნელი **შედარებას** იყენებს: „ტარიელმა მათრახი ისე ძლიერად მოუქნია მეომრებს, რომ თავები ერთმანეთზე კეტებივით შეუნარცხა“ (“Er schwingt die Peitsche und schlägt so mächtig auf Krieger ein, daß deren Köpfe wie Keulen zusammenstoßen”) (რუიკა-ფრანცი 1988: 9).

შდრ. ჰკრა ერთმანერთსა, დახოცნა თავსა ხელ-აუპყრობელად,
ზოგსა გადაჰკრის მათრახი ქვე მერდამდის გასაპობელა“.
(რუსთაველი 1966: 26, 93, 3-4)

ცხენზე ამაყად ამხედრებული და იდუმალად გაუჩინარებული ტარიელი **შედარებულია** მზესთან, რომელიც ღრუბლებში გაუჩინარდება (“Und stolz sich im Sattel wiegend, entschwindet er den Blicken, der Sonne ähnlich, die in Wolken taucht”) (რუიკა-ფრანცი 1988: 9). შდრ. „ჰგვანდა ქვესკელს ჩაძრომილსა ანუ ზეცად ანაფრენსა“ (რუსთაველი 1966: 98, 3).

ტარიელის მძიმე განცდებს ასმათთან შეხვედრისას მთარგმნელი **შედარების** მეშვეობით გადმოსცემს: „ისინი სასონარკვეთამ ისე მოცელა, როგორც ქარიშხალმა კვიპაროსის ხეები“ (“Die Verzweiflung schüttelt sie wie der Sturm die Zypressenbäume”) (რუიკა-ფრანცი 1988: 19). „გლოვამ მოყმის ბროლივით ნათელი წაკვთები მუქ ქარვად აქცია“ (“Trauer hat die kristallhellen Züge des Jünglings in trüben Bernstein verwandelt”) (რუიკა-ფრანცი 1988: 21). შდრ. „ქარვად შექმნეს იაგუნდნი მათნი, თუცალად ღირდეს“ (რუსთაველი 1966: 279, 4).

ტარიელის გასაოცარი სილამაზის აღსაძნერად მოშველიებულია **შედარება:** „თვალის მომჭრელი მზის სხივების მსგავსად დააბრმავა წარგზავნილი ყმა რაინდის მშვენიერებამ, დაბნეულობამ მას ენა წაართვა“ (“Wie greller Sonnenschein blendete den Boten die Schönheit des Ritters, Verwirrung lähmst ihm die Zunge”) (რუიკა-ფრანცი 1988: 8). შდრ. რუსთაველთან: „ვერა ჰკადრა საუბარი“ (რუსთაველი 1966: 86, 1) და შემდეგ: „თვალნი მზეები გამირეტდეს“ (რუსთაველი 1966: 89, 3).

ამ საყმანვილო გამოცემის ტროპულ საშუალებებში წაკლებად გვხვდება რუსთველისეული რთული **მეტაფორები.** ზოგან მთარგმნელი პოემის ტროპებს სხვა ადგილას იყენებს ან სულაც თვითონ ქმნის ახალს. მაგალითად, როცა ფატმანმა წესტან-დარეჯანი პირველად წახა, ქალს „თვალთავან ცრემლები სდიოდა და ლოყები დაუფარა, როგორც თრთვილმა ვარდი“ (“Tränen fielen ihr aus den Augen und bedeckten die Wangen wie Rauhreif die Rose”) (რუიკა-ფრანცი 1988: 100). პოემაში ამ ადგილას სხვა მეტაფორაა გამოყენებული: „ბროლ-ლალსა ღვარი

ნარგისთათ მოსდის გიშრისა ღარითა“ (რუსთაველი 1966: 1128, 3), მაგრამ ეს მეტაფორა რუსთაველთან გვხვდება უცხო მოყმის ნახვის სცენაში: „ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა გულსა მდუღრად ანატირსა“ (რუსთაველი 1966: 83, 4).

ჩანს, რომ ვიქტორია რუიკა-ფრანცი ცდილობს, პოემის ზოგიერთი მხატვრული საშუალება შეინარჩუნოს. გავიხსენოთ ნაწყვეტი წესტანის ცნობილი წერილი დანართი:

ჰე, ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონალვანები,
ტანი კალმად მაქვს, კალამი – ნალველსა ამონანები,
მე გული შენი ქალალდად გულსავე ჩემსა ვაწები,
გულო, შავ-გულო, დაბმულხარ, ნუ აეხსნები, ან ები!
(რუსთაველი 1966: 1280, 1-4)

თარგმანში წერია: „საყვარელო, შენმა მონატრებამ კალმად მაქცია, ვწერ დარდის მელნით გულის ქალალდზე“ (“Geliebter, in einen Federkiel verwandelt mich die Sehnsucht, und mit Kummertinte schreibe ich auf das Pergament unserer Herzen”) (რუიკა-ფრანცი 1988:116). შემდეგი პასაუი უკვე დამატებულია: „ქვეყანა ციხედ მექცა, რადგან ბედმა ჩვენ შორის შავი უფსერული გააჩინა“ (“Zum Gefängnis wurde mir die Welt, da das Schicksal schwarze Abgründe zwischen uns aufriß”) (რუიკა-ფრანცი 1988: 116-117).

მთარგმნელისეულია შედარებები: „ავთანდილი ისე დაენაფა ახალ ამბავს, როგორც მოგზაური წყაროს“ (“Awtandil aber erquickt die Botschaft wie den Wanderer die Quelle”) (რუიკა-ფრანცი 1988: 111); მტერთან ბრძოლის დროს ფრიდონის ვაჟეკაცობასა და სიჩაუქეზე ვკითხულობთ: „როგორც ლომი გარეკავს ზებრების რემას, ისე დაფანტა ფრიდონმა მტრები“ (“Wie der Löwe die Zebrafherde, so jagt Fridon seine Feinde in alle Winde”) (რუიკა-ფრანცი 1988: 58); მეკობრებთან ბრძოლამდე თარგმანში მათი თავხედური შემართება შედარებულია ზვიგენის შებრძოლებასთან უწყინარ დელფინთან: “Doch da, wie ein Hai frech den Kampf mit dem friedlichen Delphin wagt, schießt eine Piratenkaravelle, dreist ihre Flagge entrollend, dem Segler entgegen” (რუიკა-ფრანცი 1988: 90).

როგორც ვხედავთ, მთარგმნელი იყენებს ზღაპრებისთვის ჩვეულ ფერადოვან ენას, ხოლო მხატვრულ სამუალებათა ნაწილი ოდნავ შეცვლილია ან მისეულია. მაგალითად: „წლიდან წლამდე დაეხეტებოდა [ავთანდილი] მსოფლიოში, შიშველი ქვა სარეცლად ექცა და ცა – საბნად“ (“Jahr um Jahr durchmaß er die Welt, der nackte Stein wurde ihm zum Bett

und der Himmel zur Decke") (რუიკა-ფრანცი 1988: 15); „მეფის ასულის შავ წამნამთა ისრები გულში შეესო ვაჟს“ ("Die schwarzen Wimpernfeile der Königstochter sind ihm ins ungerüstete Herz gedrungen") (რუიკა-ფრანცი 1988: 5). შდრ. „მას თინათინის შვენება ჰქოლვიდის წამნამთა ჯარისა“ (რუსთაველი 1966: 40, 4). ბრძოლის სისასტიკეზე მთარგმნელი მეტა-ფორულად ამბობს: „სიკვდილი მოსავალს იმკისო“ ("Der Tod hält Ernte") (რუიკა-ფრანცი 1988: 9) და ა. შ.

როგორც ტექსტის ანალიზით ჩანს, ვიქტორია რუიკა-ფრანცის პროზაული თარგმანი ყმაწვილთათვის რუსთაველის ტექსტის გა-მარტივებული ვარიანტია, რომელშიც აღწერილია ტარიელისა და ნესტანის თავგადასავალი, როგორც საინტერესო ზღაპარი.

თარგმანის ენა საკმაოდ მხატვრულია, ზოგან გამოყენებულია აფორისტული გამონათქვამებიც, ეპითეტები და შედარებები, მაგრამ გამარტივებულია (ან გამოტოვებულია) ბავშვებისთვის ძნელად აღსაქმელი მეტაფორები. მთარგმნელი ცდილობს, შექმნას საკუთარი ტექსტი, ამიტომ ეს არაა პოემის სიტყვა-სიტყვითი თარგმანი, პირიქით, ბევრი რამაა შეცვლილი, მაგრამ სათქმელი გადმოცემულია ემოციურად, ექსპრესიულად და შთამბეჭდავად, რაც ადვილად აღსაქმელს ხდის ტექსტს.

ვფიქრობთ, მსგავსი ადაპტირებული საბავშვო გამოცემები გარკვეულწილად ხელს უწყობს ნანარმოების სიუჟეტის გაცნობას მცირე ასაკიდან და ინტერესის აღძვრას ამ შედევრის მიმართ.

დამონიტანი:

ბუდენზიგი 1976: Buddensieg H. *Der Mann im Pantherfell. Altgeorgisches Epos. Nachdichtung von Hermann Buddensieg. Illustriert von Surab Kapanadse.* Tbilisi: Verlag „Sabtschota Sakartwelo“, 1976.

ბუდენზიგი 1989: Buddensieg H. *Der Mann im Pantherfell. Altgeorgisches Epos. Nachdichtung (Nachdichtung in Hexametern, auf der Grundlage einer nachgelassenen Prosatübersetzung von Michael von Tseretheli).* Rendsburg, 1989.

კაკაძე ... 1962: კაკაძე ნ., რუხაძე ნ. ბერტა ფონ ზუტნერის მოგონებები საქართველოზე: ქ. ცისკარი, № 5, 1962.

ლაისტი 1889: Leist A. *Der Mann im Tigerfelle. Aus dem Georgischen übersetzt.* Dresden/Leipzig: Pierson, 1889.

ნოიკომი 1974: Neukomm R. *Der Mann im Pantherfell. Übertragung aus dem Georgischen und Nachwort.* Zürich: Manesse, 1974.

პეცინა 1929: Pecina F. (Übers.), Rustaweli Schotha, *Der Mann mit dem Tigerfell*. Übersetzt und für die deutsche Jugend nacherzählt von Felix Pecina, Illustriert von Ernst Liebermann. Reutlingen: Enßlin und Laiblin, 1929.

პრიტვიცი 2011: Prittitz M. *Der Ritter im Tigerfell. Ein altgeorgisches Epos. Deutsche Nachdichtung*. Hrsg. von Steffi Chotiwari-Jünger und Elgudsha Chintibidse, Neuauflage. Aachen: Shaker, 2011.

რუიკა-ფრანცი 1988: Ruika-Franz V. *Der Recke im Tigerfell. Eine alte Geschichte aus Georgien, nach Rustaweli in Prosa erzählt*. Illustriert von Norbert Pohl. 4. Auflage. Berlin: Der Kinderbuchverlag Berlin – DDR, 1988.

რუიკა-ფრანცი 1991: Ruika-Franz V. *Der Recke im Tigerfell. Eine alte Geschichte aus Georgien, nach Rustaweli in Prosa erzählt*. Stuttgart: Verlag Freies Geistesleben, 1991.

რუსთაველი 1966: რუსთაველი შ. ვეფხისტყაოსანი (სარედაქტო კოლეგია: ი. აბაშიძე, ა. ბარამიძე, პ. ინგოროვა, ა. შანიძე, გ. წერეთელი), თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1966.

რუსთაველი 1974: რუსთაველი შ. ვეფხისტყაოსანი (სასკოლო გამოცემა: ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი და კომენტარი დაურთო ნ. ნათაძემ), თბილისი: „განათლება“, 1974.

ყუბანეიშვილი 1971: ყუბანეიშვილი ს. ვეფხისტყაოსნის გერმანულ ენაზე თარგმნის ისტორიიდან. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, №2, 1971.

ცერეთელი 1957: Tseretheli M. *Der Ritter im Pantherfell. Übersetzung aus dem wiederhergestellten und kritisch bearbeiteten georgischen Original von Michael von Tsere-theli* (hrsg. von Nino Salia). Paris: Salia, 1975.

ჯანაშია 2003: ჯანაშია რ. არდავიწყება მოყვრისა – მარიამ პრიტვიცი. ქ. ბურჯი ეროვნებისა, № 5-6, თბილისი: 2003.

ჰუპერტი 1955: Huppert H. *Der Recke im Tigerfell. Altgeorgisches Poëm. Deutsche Nachdichtung*. Herausgegeben von der Gesellschaft für kulturelle Verbindung der Georgischen SSR mit dem Ausland. Berlin: Rütten & Loening 1955.

MAIA LOMIA

Georgia, Tbilisi

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

YASUHIRO KOJIMA

Japan, Tokyo

A Hypotactic Construction Mirroring Spontaneous Speech in the Original and Translated Texts of Vepkhistkaosani

Vepkhistkaosani (“The Knight in the Panther’s Skin”) contains some types of hypotactic constructions that are characteristic of spontaneous speech (I. Gigenishvili, G. Kartozia). One of such constructions is the so-called initial-nominative construction, which is found in oral Georgian, Georgian dialects, other unwritten Kartvelian languages (Megrelian, Svan) and oral Russian. The initial-nominative construction has a special structure. It begins with a noun or nominal phrase in the nominative case which is separated by punctuation or intonation from the following simple or subordinate clause. The paper analyzes the initial-nominative construction attested in the original text of Vepkhistkaosani and compares it with its translations in English, Russian, Japanese and other languages.

Key words: Vepkhistkaosani, Initial-nominative construction, Translation.

მაია ლომია

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იასუჰირო კოჯიმა

იაპონია, ტოკიო

**სპონტანური მეტყველების ამსახველი ჰიპოტაქსური
კონსტრუქცია „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალურ და
თარგმნილ ტექსტში**

საკითხის კვლევის ისტორია

„ვეფხისტყაოსნი“ „ინიციალური სახელობითის“ შემცველი კონსტრუქციები დადასტურებული და გაანალიზებული აქვს ივანე გოგინეიშვილს სპეციალურ პარაგრაფში „რთული ნინადადების ერთი

თავისებური სახეობა „ვეფხისტყაოსნის“ ენაში“ (დაბეჭდილია წიგნში: „გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ“ (გიგინეიშვილი 1975:321-335). ავტორს პარალელური მოჰყავს ქართული ენის დიალექტებიდან. ლ. კვანტალიანმა, ი. გიგინეიშვილის ზემოხსენებულ გამოკვლევაზე დაყრდნობით, „ინიციალური სახელობითის“ შემცველი კონსტრუქცია განიხილა ქართული ზეპირმეტყველების მასალებისა და ქართველ კლასიკოსთა ნაშრომების მიხედვით (კვანტალიანი 1990:106-109). უნდა აღინიშნოს, რომ „ინიციალური სახელობითის“ შემცველი კონსტრუქცია ნაკლებად ან საერთოდ არ დასტურდება ბეჭდურად გამოქვეყნებულ ნარატიულ წყაროებში*, რადგან დამახასიათებელია დიალოგური მეტყველებისთვის**, კერძოდ, ისმის მეორე პირის რეპლიკაში; სპონტანური დიალოგური მეტყველების ამსახველი ტექსტების მოძიება, გამოცემა და ანალიზი ქართველური ენების მიხედვით ჯერ კიდევ სამომავლო საქმედ ითვლება.

ამ ტიპის კონსტრუქციას ორივე ზემოხსენებული ნაშრომის გათვალისწინებით პირველად მიექცა მეგრულში ყურადღება; სათანადო საილუსტრაციო მაგალითების მოძიებისა და გაანალიზების შემდეგ აისახა მონოგრაფიულ კვლევებში (ლომია 2005 : 179-180; კარტოზია... 2010 : 401-403). „ინიციალური სახელობითის“ შემცველი კონსტრუქცია სვანურშიც დასტურდება, თუმცა შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურულში განხილული არ არის; ამ ტიპის რთული წინადადება მოცემულია 6. ჩართოლანის „წინასიტყვაობაში“, რომელიც უძღვის მის მიერ გამოცემულ სვანურ ტექსტებს. ავტორი მას საინტერესო, ქართულისა-გან*** განსხვავებულ, ხოლო სვანური მეტყველებისთვის ბუნებრივ კონსტრუქციად მოიხსენიებს (2003:8).

ნაშრომის მიზანია

„ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალურ ტექსტში დადასტურებული „ინიციალური სახელობითის“ შემცველი კონსტრუქციის სტრუქტურულ-სემანტიკური, ფუნქციური ანალიზი და წარმოჩენა იმისა, რამდენად და როგორ არის ასახული აღნიშნული კონსტრუქცია სხვა ენებზე შესრულებულ თარგმანებში.

* ივ. გიგინეიშვილს ფშაური დიალექტის მასალა დამონშებული აქვს თამარ ხელაშვილს დიალექტური მასალიდან (გიგინეიშვილი 1975:314, სქ.) და არა დიალექტური ქრებტომათის ბეჭდური გამოცემიდან.

** ეს ფაქტი შენიშნული აქვს ლ. კვანტალიანსაც (კვანტალიანი 1990:109).

*** იგულისხმება სალიტერატურო ქართული.

„ინიციალური სახელობითის“ შემცველი კონსტრუქცია „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალურ ტექსტში

„რთულ დაქვემდებარებულ წინადადებათა სფეროში „ვეფხისტყაოსანში“ შესაძლოა შემჩნეულ იქნეს გარკვეული თავისებურება, რომელსაც, ერთი მხრივ, დამოუკიდებელი ინტერესი ახლავს, ხოლო, მეორე მხრივ, არსებითი მნიშვნელობა აქვს პოემის ტექსტის ჯეროვნად გაგებისა და, მაშასადამე, დადგენის თვალსაზრისით“ (გიგინეიშვილი 1975:323). „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალურ ტექსტში ი. გიგინეიშვილმა ყურადღება მიაქცია ისეთ სტროფებს, რომელთა ერთი ნაწილი მთავარ წინადადებას უტოლდებოდა, მეორე კი – დამოკიდებულს. სტატიაში სანიმუშოდ გავანალიზებთ ერთს, რომელიც თავად ი. გიგინეიშვილს ყველაზე თავისებურად მიაჩნდა:

(1) „**დედოფალი** ზღვასა შეიქმს, **მას** რომ ცრემლი დაუღვრია“ (რუსთაველი 1974: 358).

„ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებული ამგვარი ჰიპოტაქსური წინადადებები „ინიციალური სახელობითის“ შემცველი კონსტრუქციის სახელითაა ცნობილი*, რომლის **სტრუქტურულ-სემანტიკური და ფუნქციური ანალიზი** მნიშვნელოვანა როგორც თავისებურების წარმოსაზენად, ასევე ფრაზის მნიშვნელობის დასაზუსტებლად.

ი. გიგინეიშვილის მიხედვით, აღნიშნულ სტრიქონში სამი ერთეული გამოიყოფა: I. დედოფალი, II. ზღვასა შეიქმს, III. მას რომ ცრემლი დაუღვრია. „მთავარია მეორე [წინადადება], დამოკიდებული – მესამე. ამ მესამესთან არის დაკავშირებული ჰირველი ნაწილი **დედოფალი**, რომელიც მხოლოდ სახელობით ბრუნვაში დასმული სახელითაა წარმოდგენილი“ (გიგინეიშვილი 1975: 333). ინიციალური სახელობითის შემცველი კონსტრუქციის სტრუქტურული ანალიზი ითვალისწინებს სახელობითში მდგარი სახელის **სასვენი ნიშნით** გამოყოფის საკითხს. „დამოკიდებული წინადადების ბადალი ცალკე სახელობითში დასმული სახელი [„დედოფალი“] თუ მთელი სახელური შესიტყვებები** სხვათაგან

* „ვეფხისტყაოსანში“ სხვა ამ ტიპის კონსტრუქციათა მაგალითებია: (1) „**პატრონი** ჩემი გამზრდელი, ღვთისაგან დიდად ცხოველი, მშობლური, ტკბილი, მოწყალე, ცა, წყალობისა მთველი, **მას** ვუორგულე, ნამოვე, მართ დავივინყე ყოველი,...“ (რუსთაველი 1974: 866); (2) „მან უთხრა: „**ფრიძონ ხელმწიფი**, მეფე მულდაზანზარისა, **იგი** ნადირობს, შეუკრავს ნაპირ ველ-შამბარისა“ (რუსთაველი 1974: 987).

** ინიციალური სახელობითი შესაძლებელია **სახელური შესიტყვებითაც** იყოს გადმოცმული; იხ. სქოლიოში მოცემული მაგალითები (1), (2).

წერტილით* უნდა გამოიყოს“ (გიგინეიშვილი 1975: 333-334); წინააღმდეგ შემთხვევაში, ფრაზის აზრი გაუგებარი დარჩება. სახელობითში მდგარი სახელი „გამონათქვამის თემაა“, რომლის აქტუალიზება ხდება **პაუზით**(გამონათქვასასაცენიშნით)**, **ინტონაციით***** და[თავკიდურა] **პოზიციით******(კვანტალიანი 1990:106-108). სახელობითში მდგარსახელს (I. „**დედოფალი**“) დამოკიდებულ წინადადებაში შეიძლება ჩაენაცვლოს ნაცვალსახელით გადმოცემული კორელატი „**მას**“: III წაწილი: „...**მას** რომ ცრემლი დაუღვრია“. თუ „...კორელატს ამოვიდებთ, „ინიციალური სახელობითი“ მაშინვე შეუერთდება [დამოკიდებულ] წინადადებას და არააქტუალური წევრი გახდება“ (კვანტალიანი 1990:108). ამ თვალსაზრისით კონსტრუქციები რომ შევადაროთ ერთმანეთს, შემდეგ სურათს მივიღებთ:

- „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონი:
 - „**დედოფალი**. ზღვასა შეიქმს, **მას** რომ ცრემლი დაუღვრია“.
- შედრ:
- **დედოფალს** რომ ცრემლი დაუღვრია, ზღვას შექმნის.
 - ზღვას შექმნის, **დედოფალს** რომ ცრემლი დაუღვრია.

ივანე გიგინეიშვილის აზრით, საქმე გვაქვს თავისებური სახის ჰიპოტაქსთან. პოემის ავტორთან, როგორც ჩანს, იგი გარკვეული სტილებითი მიზნით არის გამოყენებული, მაგრამ ეს ვარაუდი არ გამორიცხავს იმას, რომ ეს კონსტრუქცია რთული დაქვემდებარებული წინადადების გარკვეული საფეხურის ამსახველი იყოს და ამგვარი კონსტრუქციები „ვეფხისტყაოსნი“ ხალხური მეტყველებიდან მომდინარეობდეს (გიგინეიშვილი 1975: 324).

* წერტილის ნაცვლად, შესაძლოა, სხვა სასვენი ნიშნები განიხილებოდეს; კერძოდ, **მძიმე** (ქობალავა 1998), **ტირე** (დ. მელიქეშვილი, ზეპირი საუბრიდნ), ქართველ პოეტთა შემოქმედებაში **კოთხეა-ძახილის** ნიშანსაც კვლებით.

** სასვენი ნიშნის დასმის გარეშეც სახელობითში მდგარი სახელი პაუზით გამოყოფა მომდევნო წინადადებას, რადგან მასთან დაკავშირებულია არა სინტაქსურად, არა ამედ აზრობრივად.

*** ამ შემთხვევაში საუბარია **აღმავალ ინტონაციაზე**, რომელიც დამახასიათებელია პრეპოზიციური დამოკიდებული წინადადებისთვის; ამგვარი ინტონაცია სათქმელის დაუსრულებლობაზე მიუთითებს (კიზირია 1988:22).

**** **თავკიდურაპოზიციაც**, ინტონაციის მსგავსად, ინფორმაციის სტრუქტურირების მნიშვნელოვანი მახასიათებელია (ივანიშვილი 2009:69-81).

„ინიციალური სახელობითის“ შემცველი კონსტრუქციის
მაგალითები

ქართული ზეპირმეტყველებიდან:

- (1) **მეზობელი.** შენ არ დაგავალებს, **მას** რომ შეეძლოს.
 - (2) **ბავშვი.** რაც კი არსებობს, იმის ირგვლივ ტრიალებს ყველაფერი.
- ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებიდან:
- (3) **სინანული?!** ცოდვილთათვის არ არსებობს იგი (ვაჟა)
 - (4) **წყნეთი.** ეს მცხეთასთან არ არის განა? (ნ. ლორთქიფანიძე)

ქართული ენის დიალექტებიდან*:

- (5) **საშუბი.** ის კი ზოკან-ზოკან კინწუხიანია (ფშაური დიალექტი)
- (6) **მამაჩემი.** რო წევეით ტყეში, **ისიც** გაგუყვა (იმერული დიალექტი)
- (7) **ჩემი მამა.** დამამიწყდა, ახლა **ის** სად არი (ლეჩხუმური დიალექტი)
მეგრული ენიდან**:
- (8) **ოსურჯობი.** თის ქეშულებუდასინ, მითინს ვემიაშქანს, თიგვა-
რიე. „დედაკაცი. იმას რომ შეეძლოს, არავის არ მიუშვებს, იმგვარია“.
- (9) **დიდა ბედიჭვირი.** თიშ არდგირს ვორდე, შურო ვემკვოჯინექ.
„დედა ბედდამნვარი. იმის ადგილას რომ ვიყო, საერთოდ არ მივაქცევ
ყურადღებას“.

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები**** (შედარებითი მონაცემები)

ცნობილია, რომ პოეტური ნაწარმოების თარგმნა სირთულესთან
არის დაკავშირებული, მით უფრო, თუკი საქმე ეხება სინტაქსურ კონ-
სტრუქციას, რომელიც განსაზღვრავს ენის ბუნებრიობასა და თვით-
მყოფადობას. ცალკე სირთულეს ქმნის სპონტანური მეტყველებისთვის
დამახასიათებელი სინტაქსური კონსტრუქციის გადატანა სალიტერა-

* მაგალითები აღებულია ლ. კვანტალიანის მინოგრაფიდან: კვანტალიანი 1990:107.

** მაგალითები აღებულია ი. გიგინეიშვილისა (1975: 324)და მ. ლომიას (2005: 180) ნაშ-
რომებიდან.

*** მაგალითები აღებულია მ. ლომიას ნაშრომიდან: ლომია 2005: 179-180.

**** ლინგვისტურითვალსაზრისითსაინტერესოაპოემისმეგრულენოვანითარგმანე-
ბი, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, პოეტური თარგმანისთვის დამახასიათე-
ბელი სირთულე ამ შემთხვევაშიც იჩენს თავს: „დედოფალიშ ჩილამური ართ ზღვა
ქიფი ეკოძინე (შანავა 1991 : 69). „დედუფალი მუშ სუს ვარე: ზღვაზმა ჩილამური წენს
(უვანია 1966 [2012:49,344]. „დედოფალი თავის გუნებაზე ვერ არის, ზღვისოდენი
ცრემლი იღვრება“; ორგინალის შინაარსი რამდენადმე შეცვლილია, რადგან არ
ჩანს, რომ ცრემლს სწორედ დედოფალი ღვრის და არა სხვა ვინმე, რაც ასე მნიშვნე-
ლოვანია ამ ფრაზაში.

ტურო ენაზე, რადგან სპონტანურ მეტყველებაზე დაფუძნებული ენაც ლინგვისტურად დამოუკიდებელი სისტემაა (აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით დაწვრ. იხ. ლომა... 2015:181-184). სხვადასხვა ენაზე შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული თარგმანების შესწავლა საინტერესოა არა აღნიშნული კონსტრუქციის ადეკვატურად გადატანის, არამედ მხატვრული ღირებულებების შენარჩუნებისა და უცხოელი მკითხველისთვის ფრაზის ძირითადი სათქმელის ამგვარად მიწოდების თვალსაზრისით.

თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ი

• რუსულ ენაზე:

- „Слезы, что лила царица, мчались к морю, как поток“ (ნუცუბიძე 1957: 352).
- „Царица слез пролила тьму – не вместила б глуб морская“ (ხალვაში 2015 : 512 [353]).

• ინგლისურ ენაზე:

- „The queen poured forth tears enough to make a sea“ (უორდროპი 1912 : 55).

• ფრანგულ ენაზე:

- „Les larmes que versait la reine auraient pu amplifier des mers“ (ორბელიანი... 1966 : 52).

• იაპონურ ენაზე:

- „Ōhi-no namida-wa atsumatte umi-tomo natta“ (ფუკურო 1972 : 67).

დასკვნა

- „ინიციალური სახელობითის“ შემცველი კონსტრუქცია სტრუქტურულად რთულია. სახელობითში დასმულ სახელს თუ სახელურ შესიტყვებას მოსდევს ზოგჯერ მარტივი, ძირითადად კი რთული ქვეწყობილი წინადადება;

* ვრცელი რედაქციის რუსულ თარგმანს ქართული პარალელური ტექსტი ახლავს. საანალიზო ფრაზაში სახელობით ბრუნვაში დასმული სახელი (=ინიციალური სახელობითი) მძიმით არის გამოყოფილი: **დედოფალი**, ზღვასა შეიქმნა, მას რომ ცერემლი დაუღვრია (ხალვაში 2015 : 512 [478]).

- სპონტანური მეტყველებისთვის დამახასიათებელ კონსტრუქტიაში სახელობითში მდგარი სახელი/სახელური შესიტყვება აქტუალიზებულია პაუზით, ინტონაციით, პოზიციით;
- თარგმანებში ძირითადად შენარჩუნებულია მხატვრული შინაარსი.

დამოცვებანი:

გიგინეიშვილი 1975: გიგინეიშვილი ი. „ვეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ. თბილისი: „მეცნიერება“, 1975.

ივანიშვილი 2009: ივანიშვილი მ. „წინადადების საინფორმაციო სტრუქტურა: სიტყვათა რიგი ქართველურ ენებში“. სამეცნიერო წერილების კრებული „ინფორმაციის სტრუქტურირების ძირითადი მოდელები ქართველურ ენებში“. თბილისი: „ნეკერი“, 2009.

კარტოზია ... 2010: კარტოზია გ., გერსამია რ., ლომია მ., ცხადაია თ. მეგრულის ლინგვისტური ანალიზი. თბილისი: „მერიდანი“, 2010.

კვანტალიანი 1990: კვანტალიანი ლ. ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები. თბილისი: „მეცნიერება“, 1990.

კიზირა 1987: კიზირა ნ. სალიტერატურო ქართულის ინტონაციის საკითხები. თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 1987.

ლომია 2005: ლომია მ. ჰიპოტაქსის საკითხები მეგრულში. თბილისი: „უნივერსალი“, 2005.

ლომია ... 2015: Ломиа М., Герсамиа Р. “Синтаксические структуры в переводе: материал картвельских языков”. Сборник научных трудов Специальный и художественный перевод: Теория, Методология, Практика. Киев: “Аграр Медіа Груп”, 2015.

ნუცუბიძე 1957: Руставели Ш. *Витязь в тигровой Шкуре*. Перевод с грузинского Шалва Нуцубидзе. Тбилиси: „Сахелгами“, 1957.

ორბელიანი ... 1966: Roustaveli, Ch. *Le preux a la peau de tigre*. Texte français d'Elisabeth Orbeliani et de Solomon Iordanichvili. Tbilissi: „Sabtchota Sakartvelo“, 1977.

რუსთაველი 1974: რუსთაველი შ. „ვეფხისტყაოსანი“. სასკოლო გამოცემა. თბილისი: „განათლება“, 1974.

უორდრომი 1912: Rustaveli, Sh. *Man in the Panter's Skin: A romantic Epic by Shota Rustaveli*. A close rendering from the Georgian attempted by Marjory Scott Wardrop. London : Royal Asiatic Academy, 1912.

ფუკურო 1972: Rustaveli, Sh. *Toragawa-no Kishi. Translation by Ippei Fukuro*. Tokyo: Rironsha, 1972.

ქობალავა 1998: ქობალავა ი. რეცენზიას მ. ლომიას საკანდიდატო დისერტაციაზე „პიპოტაქსის საკითხები მეგრულში“. თბილისი: 1998 (ხელნაწერი).

ჩართოლაძი 2003: ჩართოლაძი ნ. სვანური ტექსტები და ლექსიკა (ბალს ზემოური კილო). თბილისი: 2003.

ხალვაში 2015: „ვეფხტისტყაოსანი“. ვრცელი რედაქცია და რუსული თარგმანი არჩილ ხალვაშისა. თბილისი: „ქართული წიგნი“, 2015.

DAREJAN MENABDE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Aleksandre Tsagareli and Vepkhistqaosani

In the process of study of the scholarly and literary heritage of A.Tsagareli (1844-1929), I paid special attention to the scholar's contribution to the translation of *Vepkhistqaosani* into foreign languages and its popularization. A.Tsagareli was well aware of the significance of introducing Georgian culture beyond the borders of Georgia. In the period of living in the old university city of Tübingen, he made the acquaintance of German writer F.Bodenstedt who had visited Georgia and had published materials on the peoples of the Caucasus. A. Tsagareli aimed to interest Bodenstedt in translating *Vepkhistqaosani* into the German language.

Key words: A.Tsagareli, F.Bodenstedt, Vepkhistqaosani.

დარეჯან მენაბდე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ალექსანდრე ცაგარელი და „ვეფხტისტყაოსანი“

ალექსანდრე ცაგარელის (1844-1929) მეცნიერულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის კვლევისას ჩვენი ყურადღება მიიქცია მისმა დამსახურებამ „ვეფხტისტყაოსანის“ უცხოურ ენებზე თარგმნისა და პოპულარიზაციის საქმეში. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამ საკითხით საგანგებოდ არავინ დაინტერესებულა. წინამდებარე ნაშრომი არის ცდა აღ. ცაგარელის ამ მიმართულებით განეული საქმიანობის აღნისხვისა.

ცნობილია, რომ პეტერბურგის ქართველობიურმა სკოლამ, სა-დაც ალ. ცაგარელი მოღვაწეობდა, სათავე დაუდო „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ შესწავლას. თ. ბაგრატიონმა, მ. ბროსემ, დ. ჩუბინაშვილმა დიდი ამაგი დასდეს პოემის მეცნიერულ შესწავლასა და ტექსტის პუბ-ლიკაციას. ალ. ცაგარელს, მართალია, რუსთველობიური კვლევები არ დაუტოვებია, მაგრამ სხვებთან ერთად მანაც შეიტანა წვლილი ამ დიდ საქმეში. ალ. ცაგარელს კარგად ესმოდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროისათვის ქართული კულტურის გატანას საზღვარგა-რეთ (ამისი ნიმუშია მის მიერ რუსულ ენაზე თარგმნილი სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“ – 1878 წ.). და შეძლებისდაგვარად იღვწოდა ქართული მწერლობის პოპულარიზაციისათვის.

1869 წელს ალექსანდრე ცაგარელი გერმანიის ძველ საუნივერ-სიტეტო ქალაქ ტიუბინგენში გადავიდა საცხოვრებლად. იქ მას საშუ-ალება მიეცა ახლოს გაეცნო იმ დროისათვის უკვე ცნობილი მწერალი და მთარგმნელი ფრიდრიხ ბოდენშტედტი, რომელიც ნამყოფი იყო საქართველოში და ალ. ცაგარელთან საუბრისას ხშირად იხსენებ-და კიდეც თბილისში გატარებულ დღეებსა და ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობას. ალ. ცაგარელს მიზნად დაუსახავს ფ. ბოდენ-შტედტის დაინტერესება „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ ენაზე თარგმ-ნით. ამ ფაქტის შესახებ საინტერესო მასალაა დაცული მის პირად წერილებში ქართველ მოღვაწეებთან. მიუნხენში მყოფი ალ. ცაგარელი სანქტ-პეტერბურგში დავით ჩუბინაშვილს სწერდა:

„ვიცოდი რა მისი (ფ. ბოდენშტედტის – დ. მ.) ასე ფრიად კარგი მთარგმნელობა, მოვინდომე გამომეყენებინა მისი ნიჭი ჩვენი ლიტერ-ატურისათვის, მე წინადადება მივეცი დაემთავრებინა თავისი შრომა კავკასიის მკვიდრთა ისტორიული ცხოვრების შესახებ, გადაეთარგმნა გერმანულ ენაზე ჩვენი კლასიკური პოემა „ვეფხისტყაოსანი“. იგი დამ-თანხმდა, თუ ჯანმრთელობის სისუსტე ხელს არ შეუშლის, დაინტოს თარგმანი მთელი მონდომებით. ქართული არა, მაგრამ რუსული კარ-გად იცის. არ ვიცი, წარმატებით დამთავრდება თუ არა ეს საქმე, ყოველ შემთხვევაში, კარგი იქნებოდა მქონოდა ვეფხისტყაოსნის ფრანგული თარგმანი, თუკი გაკეთებულია ვინძეს მიერ. ეს ბევრად შეუმსუბუქებს შრომას და თარგმნის სიძნელეს; თუ ის არა, მაშინ სხვა შეუდგება თარგმანას. გერმანელი არ დაზოგავს შრომას, დროს, ფულს კლასიკური საგნების თარგმნისათვის. თუ თარგმნის საქმე კარგად წავიდა, მაშინ მოგწერთ წერილს და გთხოვთ ზოგიერთ დახმარებასა და რჩევას ამ საქმის განსახორციელებლად“ (კინწურაშვილი 1974: 168).

ორიოდე სიტყვა ფ. ბოდენშტედტის შესახებ...

როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსნის“ პირველი თარგმანი გერმანულ ენაზე ეკუთვნის არტურ ლაისტს (რუსთაველი 1889). ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ ინტერესი აღმოსავლეთის ქვეყნებისადმი, კერძოდ საქართველოსა და სომხეთისადმი, ა. ლაისტს ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლის დროს გაუღვიძა ფრიდრიხ ბოდენშტედტმა, რომელიც იყო აღმოსავლური პოეზიის კარგი მცოდნე და პოპულარიზატორი.

ფრიდრიხ ბოდენშტედტი (1819-1892) იყო გერმანელი მწერალი, გვიანდელი ეპიგონური რომანტიზმის წარმომადგენელი. 1841 წელს თავადმა გოლიცინმა თავისი შვილების აღსაზრდელად ჩამოიყვანა მოსკოვში. ფ. ბოდენშტედტი იმდენად კარგად დაეუფლა რუსულ ენას, რომ გერმანულად თარგმნა პუშკინის, ლერმონტოვისა და ტურგენევის თხზულებები. 1844 წელს კავკასიის მთავარმართებელმა ა. ნეიდგარდტმა მოიწვია საქართველოში – თბილისის გიმნაზიაში ფრანგული ენის მასწავლებლად. აქ იგი შეუდგა ქართული ენის შესწავლას, დაუახლოვდა ქართველ საზოგადოებას. ბოდენშტედტი ბევრს მოგზაურობდა, მოიარა მესხეთი, იმერეთი, გურია; აგროვებდა მასალას წიგნისათვის „კავკასიის ხალხები და მათი ბრძოლა თავისუფლებისათვის რუსეთის წინააღმდეგ“, რომელიც გამოსცა გერმანიაში (1848). ამ წიგნში ბოდენშტედტი მიმოიხილავს რუსეთისა და კავკასიის ხალხების ურთიერთობას, საქართველოს წარსულს, გადმოსცემს ცნობებს თამარ მეფის შესახებ, აღნერს ქართველთა გარეგნობასა და ხასიათს. საქართველოში მოგზაურობის შედეგი იყო აგრეთვე მისი წიგნი „ათას ერთი დღე აღმოსავლეთში“ (ჭ. 1-2, 1849-1850); ჩვენი ქვეყნის შესახებ მოგზაურთა და მკვლევართა ნაშრომებიდან შეძენილი ცოდნა ბოდენშტედტმა საკუთარი დაკვირვებითაც გაამდიდრა; წიგნში გვხვდება მოგზაურობის შთაბეჭდილებები, ისტორიული ძეგლების აღწერა, მოთხოვნილია ისტორიული ამბები, გადმოცემულია ოქმულებები და ლეგენდები. საქართველოს ისტორიას ბოდენშტედტი ხატავს როგორც ნგრევისა და აღდგენის მრავალსაუკუნოვან ეპოქეას. ფ. ბოდენშტედტის ცნობით, საქართველო მას მ. ბროსეს ფრანგული ნაშრომებიდან გაუცვნია, ტარიელის რომანი და თამარის ხოტბა რუსულ თარგმანებში წავიკითხეო. ამ დროს ვეფხისტყაოსნის სრული რუსული თარგმანი არ არსებობდა. ფ. ბოდენშტედტს, როგორც ს. ყუბანეიშვილი აღნიშნავს, „შეეძლო გაცნობოდა მხოლოდ პოემის კუპიურების თარგმანს, რაც, რა თქმა უნდა, სრულ წარმოდგენას ვერ მისცემდა ვეფხისტყაოსნზე.“

ჩანს, ამას გრძნობდა ფ. ბოდენშტედტი და ამიტომ შენიშნავდა: ტარი-ელის რომანი და თამარის ხოტბა რუსულ თარგმანებში წავიკითხე, მა-გრამ ამის მიხედვით რომ მსჯავრი გამომეტანა, არც მიზანშეწონილი იქნებოდა და არც დიდად სანუგეშოო. ვეფხისტყაოსანზე ვრცელი ცნობები მას შეეძლო მიეღო ქართველებისაგან, რომელთა შორის ის თითქმის ორი წლის განმავლობაში იმყოფებოდა და კრებდა მისთვის საჭირო ცნობებს“ (ყუბანეიშვილი 1971: 133). აქვე პირველად გვხვდება მირზა შაფის (ვაზეპი) სახე და პოეტური ნიმუშები, რომლებსაც დიდი წარმატება ხვდა წილად ევროპაში. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბოდენშტედტმა გამოსცა ახალი წიგნი „მირზა შაფის სიმღერები“ (1851). იგი ევროპის თითქმის ყველა ენაზე ითარგმნა. ამავე დროს ბოდენშტედტმა შექმნა ორიგინალური ლექსების ციკლი თბილისზე: „დილა თბილისში“, „თბილისის ვარდი“, „საქართველო“, „არ გამიწყრე“, „მხოლოდ შენ ერთს“, „ნინო“, და სხვ. მასვე ეკუთვნის პოემა „ლექსის ქალი ადა“ (1853), „ლექსები“ (1852-1859), მოგონებები (1888-1890), ტრაგედია „დიმიტრი“ (1856) და სხვ.* თავის წიგნში „ათას ერთი დღე აღმოსავლეთში“ (F. Bodenstedt. Tausend und ein Tag im Orient. Berlin: 1850) ფ. ბოდენშტედტი წერდა: „თუმცა ქართული ლიტერატურა ერთნაირად მდიდარია თეოლოგიური, ისტორიული და გეოგრაფიული თხზულებებით, მეტადრე კიდევ ძველი თუ ახალი ენებიდან თარგმანებით, მაინც გაცილებით წინ დგას თავისი უთვალავი პოეტური ძეგლით.

თავისი დიდების მწვერვალს ქართულმა მწერლობამ – ისე როგორც ყოველივე დიადმა ამ ქვეყანაში – მაინც სახელგანთქმული თამარ მეფის მეუფების უამს მიაღწია. მისი აყვავების ხანა იწყება XI საუკუნეში და თავდება XIII საუკუნის ბოლოს.

იმდროინდელი ძეგლებიდან შემორჩენილია ქართული ლიტერატურის მცოდნეთა მიერ მრავალგზის განდიდებული ქმნილებანი, მაგალითად, რვა ათასი ტაეპისაგან შემდგარი „ვეფხისტყაოსანი“ შოთა რუსთველისა, ტარიელის შთამომავალ ომანის რომანი, მოსე ხონელის რომანი „დარეჯანიანი“, სარგისის რომანები „დილარიანი“ და „ვის-რამიანი“, ვრცელი ხოტბა თამარ მეფისა და სხვა პოეტური ძეგლები“ (ბოდენშტედტი 1976: 119-120).

თავისი მონათხრობით ფ. ბოდენშტედტმა გერმანელებში „ინტერესი აღძრა საქართველოსადმი, შემოსა იგი აღმოსავლური ეგზოტიკით. მას ხომ ევროპაში აღმოსავლური პოეზიის ვირტუოზი ინტერპრეტა-

* ფ. ბოდენშტედტის შესახებ იხ.: ყუბანეიშვილი 1971: 133; რევიშვილი 1976: 119; რევიშვილი 1977: 441; ელოვანი 1997: 453; ბრეგაძე 2010: 130.

ტორის სახელი ჰქონდა“ (ხოტივარი 2003: 62). წიგნის მეხუთე გამოცემის წინასიტყვაობაში კი გულდაწყვეტით წერდა, რომ მან „ქართული ენა ვერ აითვისა“ და რომ მას „თბილისის დატოვება უფრო ადრე მოუხდა, ვიდრე თავდაპირველად იყო გათვალისწინებული“ (ხოტივარი 2003: 66).

რამდენადაც ალ. ცაგარელისთვის ცნობილი იყო ფ. ბოდენშტედტის წიგნებისა და მთარგმნელობითი მუშაობის შესახებ, გადაწყვიტა მისთვის „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ ენაზე თარგმნა შეეთავაზებინა. როგორც აღვნიშნეთ, ამასთან დაკავშირებით საინტერესო მასალაა დაცული ალ. ცაგარელის პირად წერილებში ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან. ყურადღებას იქცევს ალ. ცაგარელის ორი წერილი კირილე ლორთქიფანიძისადმი, რომლებიც გამოგზავნილია მიუნხენიდან 1868 წელს:

„...აქ, მიუნხენში რომ მოვდიოდი, გამოვლაზედ მაინინგენში ვნახე აქაური (გერმანის) გვარიანი, როგორც ამბობენ, პოეტი ფრიდრიხ ბოდენშტედტი. ეს კაცი იყო ჩვენში, საქართველოში, 40-იან წლებში, ორ წელიწადს მოიარა სულ იქაურობა და დასწერა წიგნი ორ ნაწილად „კავკაზი და იმის მცხოვრები“. კარგი წიგნი არის ძალიანა, სიმართლით და პირუთვნელათ აქებს, რაც საქებია და აძაგებს, რაც საძაგებია, ძალიან ღრმათ დაჲკვირვებია კავკაზის ხალხების ცხოვრებას და სწორეთ გამოუხატნია თავის ელეგანტური კალმით; – ამისი ლექსები არის კიდევა, ჰქვიან „მირზა შაფი“, მიბაძვა თათრული, სომხური და ქართული ლექსებისა, ბაიათებისა, და მუხამბაზებისა... და, главный предмет, по поводу которого я распрастирался и Бодештедте то, что он обещался перевести на немецкий язык нашего классического поэта Руставеля, совокупными силами. მე ვთხოვე, რომ დაასრულოს თავის შრომა კავკაზზედ და ჩვენ ხალხზედ, გადათარგმნოს „ვეფხვის ტყაოსანი“, რომლის ისტორიულ და ლიტერატურულ ღირსებაზედ ძალიან საჭირო იქნება მეთქი გავიგონოთ გერმანიის მსნავლულების აზრი მეთქი, იმან მოინადინა, მაგრამ თქმ, რომ რუსულიც, რაც ვიცოდი (ამანვე სთარგმნა დიდი ხანია რუსულიდგან ნემეცურზედ პუშკინი და ლერმონტოვი), ისიც თითქმის დამავიწყდათ და ქართული სულ არ ვიციო და თუ მითარგმნით ზოგს რუსულად, ზოგს ნემეცურად, თავს ვიდებ მაგ შრომასაო გაზაფხულიდგანაო, როდესაც თეატრები მითავდება და მე თავისუფალი ვიქნებიო. არ ვიცი, თუ ავადმყოფობამ, სხეულებამ არ დააბრკოლა, მე მგონი, აასრულოს, მე ჩემი მხრით მზათ ვიქნები; პროზით ვსთარგმნი რამდენსამე თავსა „ვეფხისტყაოს-

ნიდგან“ და მემრის მაისში წავალ იმასთან და არ მოუსვენებ, მინამ არ სთარგმნის, ძალიან კარგი იქნება, რომ გააცნოს ევროპა ჩვენ საგანგებო პოეტთან. А если возьмется, то наверно можно сказать, что его перевод будет достоин аргинала, он настоящий немецкий Жуковский, в переводах он не заменим, он занят в настоящее время переводом Шекспира и здешние критики единогласно отзываются об них как о наивославитейших, за что и английское `общество словесности~ прислала ему большую Хартию с разными лентами и надписью министров, которую и показывал, ар ვიცი რათა, მე არ მითხვნია. ერთი სიტყვით, კარგ საქმეს იზამს თუ გადათარგმნა. მე მითხრეს, ფრანცუზულ ენაზედ არის, არ ვიცი ბროსსეს, თუ ვიღაცას გადაუთარგმნია, არ ვიცი რამტელათ არის ეს მართალი, თუ ასრეა, უნდა ვიშოვნო და შენა გთხოვ, კირილე, უთხრა მ აჩა ბელსა, როდესაც იქნება ორბელინთან, ჰკითხოს, თუ სადმე იცის, რომ ვისმეს გადაეთარგმნოს ფრანცუზულათ და თუ მეცოდინება მთარგმნელი და გამომცემი, ადვილად ვიშოვნი, რომელიც თუ კარგათ არის ნათარგმნი, რასაკვირველია, დიდ შემწეობას მისცემს თარგმნის დროს ნემეცურს ენაზედ“ (მასალები... 1981: 184-185).

„ქმაო კირილე!

...წინა წიგნში „ვეფხვის ტყაოსნის“ თარგმნის სიძნელეებზედ მნერდი, თუ თითოონ მთარგმნელმა ორიგინალის ენა არ იცის, ან თუ ორიგინალი დაკვირვებით არ უსწავლია, სრულიად მჯერა შენი აზრი და მართალიც არის, მაგრამ ნათქმია: როგორც გიჭირდეს ისე გილირდესო, მე მგონი, რომ ნესი ი ერ ი თარგმნის ქონა სჯობია (თუ კარგი არ შეიძლება) სულ არ ქონასა. მე ნამდვილათ ვიცი, რომ იმის თარგმანი, როგორიც უნდა იყოს, ბევრს ევროპიულ სწავლულს წაექმნებს, გამოიძიონ ჩვენი ისტორია და ლიტერატურა, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, თუ ბოდენ შტერლი და ტომა გადათარგმნა, ისეთი გამოვა, რომ უკეთესის წადილი ალარ მოგვინდება...

მე, რასაკვირველია, „ვეფხვის ტყაოსნი“ აზრისა და სიტყვების ახსნით არ მისწავლია, ღრმათ არ დაკვირვებივარ, თუმც იმტელი მიკითხამს, რომ მთელი „თავები“ ეხლაც ზეპირათ ვიცი... და თარგმნა არ გამიჭირდება, ბევრს დროს წამართმევდა, მართალია, რომ მაინც ნემეცური ენის სწავლაზედ არ ვცდებოდე, და არა ვთარგმნიდე, მეორეც ესა, ნემეცურად იმ ალაგების თარგმნა მომინდება, რომლებსაც რუსულათ ვერ გაიგებს, მაგრამ ეს ლაპარაკი იმასა ჰგავს, „ჯერ არ დაბადებულიყო და ტეტიას არქმევდნენო“, იმათი არ იყოს, ჩვენც ისეთ საქმეზედ ვცდი-

ლობთ, თუ ვთათბირობთ, რომელიც საეჭვო არ არის, ადრე თუ გვიან მაინც უნდა გადაითარგმნოს (კინწურაშვილი 1974: 170-171).

ამ წერილებიდან კარგად ჩანს, თუ როგორ იყო მოწადინებული ალექსანდრე ცაგარელი, „ვეფხისტყაოსანი“ ეთარგმნათ გერმანულად. სამწუხაროდ, მის ამ გაზრახვას იმ ეტაპზე განხორციელება არ ეწერა – ფ. ბოდენშტედტმა „ვეფხისტყაოსანი“ ვერ თარგმნა გერმანულ ენაზე და თუ რატომ, ამისი მიზეზი დღემდე უცნობია.

გავიდა დრო და ალ. ცაგარელი ჩართული აღმოჩნდა „ვეფხისტყაოსანის“ რუსულ ენაზე თარგმნის საქმეშიც. ეს ამბავი გარკვეულწილად უკავშირდება „ვეფხისტყაოსანის“ 1888 წლის გამოცემას.

როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსანის“ ე. ნ. გ. ქართველიშვილი-სეული გამოცემა იყო სრულიად განსაკუთრებული. ამ გამოცემით შემდგომში ქართველებმა არაერთხელ მოიწონეს თავი. როგორც წიგნის გამოცემის ინიციატორი იონა მეუნარგია ავტობიოგრაფიაში აღნიშნავდა, „1888 წელს, როდესაც რუსეთის ხელმწიფე ალექსანდრე მესამე ჩამოვიდა ქალაქს (თბილისში – დ. მ.), გ. ქართველიშვილმა და მე მივართვით დედოფალს მარიამ თეოდორეს ასულს, პირველმა თავისი გამოცემა ძვირფასის ყდით და მე ამ შემთხვევისათვის ჩემგან შედგენილი რუსულს ენაზე: „Барсова кожа“ в рассказе И. Меунаргиа. 1888 г.“ (ცაიშვილი 1956: 187). აღნიშნული რუსული პროზაული თარგმანი არის პოემის მოკლე შინაარსის თავისუფალი გარდათქმა. ორკვევა, რომ ი. მეუნარგიას პოემის მოკლე შინაარსი თავდაპირველად ქართულად დაუწერია, ხოლო შემდეგ უთარგმნია რუსულ ენაზე (ზუგდიდის მუზეუმში დაცულია ორივე დედანი; ვრცლად ამ საკითხზე იხ.: მენაბდე 2016: 96-100).

რუსულად გამოცემულ ნიგნაქს აწერია: „Барсова кожа“ Руставели в рассказе И. Меунаргия. Тифлис: 1888“ (მეუნარგია 1888). ნიგნი დაიბეჭდა ი. ლიბერმანის სტამბაში. ორი წლის შემდეგ ეს გამოცემა გაიმეორეს – „Барсова кожа“ Руставели в рассказе И. Меунаргия. Второе издание по первому 1888 года. Тифлис: 1890“ (მეუნარგია 1890). მეორე გამოცემა დაიბეჭდა კ. მესხიევისა და ს. პოლეტაევის სტამბაში. წიგნაკი ცალკე არ იყიდებოდა, „ის დამატების სახით ეძლეოდა იმ რუსს, რომელიც ქართველიშვილის გამოცემულ ვეფხისტყაოსანს შეიძენდა“ (ყუბანეიშვილი 1966: 137). დაიბეჭდა 500 ეგზემპლარი. აღნიშნული თარგმანი 29 ნაბეჭდ გვერდს მოიცავს და წამდლვარებული აქვს მთარგმნელის მოკლე ნინათქმა...

წიგნაკს ბოლოში დართული აქვს მ. ზიჩის მიერ შესრულებულ და „ვეფხისტყაოსნის“ ქართველიშვილისეულ გამოცემაში შეტანილ ილუსტრაციათა სია.

ჩანს, ამ თარგმანის გამოცემის შემდეგ ქართველ საზოგადოებაში გაჩნდა აზრი, რომ ი. მეუნარგიას შეძლო პოემა სრულად ეთარგმნა რუსულ ენაზე. თავის დროზე ცნობილი სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, პოეტი გრიგოლ დადიანი (კოლხიდელი)* 1888 წლის ბოლოს ქუთაისიდან სწერს იმპერატორის სასახლის მინისტრს ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვს, რომელიც იმპერატორს ახლდა საქართველოში ყოფნისას. ამ წერილით გრ. დადიანი შეახსენებს სასახლის მინისტრს, რომ სწორედ მისი შემწეობით შეძლო ახალგაზრდა მწერალმა ი. მეუნარგიამ, დედოფლისთვის მიერთმია „ვეფხისტყაოსნის“ მოკლე შინაარსი რუსულ ენაზე. განუმარტავდა რა მინისტრს რუსთველისა და მისი პოემის მნიშვნელობას, გრ. დადიანი ალნიშნავდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ქართველებისთვის იგივეა, რაც „ილიადა“ ბერძნებისთვის. ამასთანავე, გრ. დადიანი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ი. მეუნარგიას დამსახურებაზე პოემის ახალი გამოცემის მომზადებაში და მიუთითებს, რომ იონა ორი წლის მანძილზე წარმართავდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მთელ საქმიანობას; მაგრამ დადგა დრო, პოემა სრულად გაიცნოს რუსმა მკითხველმაც: „Барсова кожа“, до сих пор не переведена на русский язык и неизвестна русской читающей публике, которой грешно не знать такое крупное литературное произведение“ (ყუბანეიშვილი 1947: 387) დასასრულ, წერილის ავტორი საგანგებოდ სთხოვდა ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვს შუამდგომლობას დედოფლის ნინაშე, რათა მეუნარგიას დაკისრებოდა პოემის თარგმნა რუსულად, ხოლო მისი გამოცემა განხორციელებულიყო სახელმწიფო ხარჯით (ყუბანეიშვილი 1947: 387-388).

გრიგოლ დადიანის წერილი სასახლის მინისტრს გაუგზავნია სახალხო განათლების მინისტრისთვის, გრაფ. ი. დ. დელიანო-ვისთვის, რომელმაც წერილის ასლი, თავის მხრივ, გაუგზავნა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორს ა. ცაგარელს. თავის პასუხში ა. ცაგარელი აღნიშნავდა: „ამ თხზულების რუსულ ენაზე დამაკმაყოფილებლად გადმოღებისათვის, გარდა ორივე ენის ღრმა ცოდნისა და პოეტური ქმნილების მეორე ენაზე თარგმნის დიდი გამოცდილებისა, საჭიროა საქართველოსა და მისი მოსაზღვრე აღმოსავლური ქვეყნების ძველი

* გრ. დადიანი შესანიშნავი მცოდნე იყო რუსთველის პოემისა და თავის დროზე დიდ დახმარებაც გაუწევია ი. ბარტდინსკისთვის „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნაში (ანდლულაძე 1968: 127-143).

ისტორიის საკითხებში ფართო გასწავლულობა, საქართველოს ეთნოგრაფიის, ისტორიული გეოგრაფიის, სიძეველეთა კარგი ცოდნა, საერთოდ, აღმოსავლური კულტურისა და პოეზიის ხასიათის გათვალისწინება. ყოველივე ეს, ძნელი საფიქრებელია, ჰქონდეს ერთ პიროვნებას. მით უფრო შეუძლებელია მოვთხოვოთ ყოველივე ამის ცოდნა ასალგაზრდა ქართველ ლიტერატურს ი. მეუნარგიას. ამ განზრახვის წარმატებით განხორციელების მიზნით, ჩემი აზრით, საჭიროა თარგმანისა და გამოცემის ტვირთი რამდენიმე პიროვნებას გავუნაწილოთ. ასეთ პიროვნებად, ი. მეუნარგიას გარდა, მიმაჩნია: თავადი რ. ერისთავი, ქართული განმარტებითი ლექსიკონის გამომცემელი, ცნობილი ქართველი პოეტი და მწერალი, რუსული ენის კარგი მცოდნე; თავადი ი. ჭავჭავაძე, აგრეთვე ცნობილი ქართელი პოეტი და მწერალი; ნაფიცი მსაჯულის თანაშემწე თხორუესკი, რომელიც ცნობილია ქართველ მწერალთა რუსულ ენაზე მშვენიერი თარგმანებით. ყველა ეს პირი თბილისში ცხოვრობს. ალბათ, ქართული ენის ღრმა მცოდნე გენერალ-ლეიტენანტი, თავადი გ. დადიანიც მოისურვებს გაუზიაროს ხსენებულ პირთ თავისი რჩევა-დარიგება თარგმანთან დაკავშირებით“ (რუსთველი... 1988: 209-210).

ამის შემდეგ ი. დელაანოვმა თანხის გაღებისაგან თავი შეიკავა, ეს საქმე აქ შეწყდა, „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნა კი კარგა ხნით გადაიდო (მენაბდე 2016: 99-100). ალ. ცაგარელის მხრიდან ეს იყო არა ხელის შემდლა ტექსტის თარგმნისათვის (როგორც ზოგმა მაშინ გაიგო), არამედ საკითხის სირთულისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე, სწორი გადაწყვეტილება.

ალ. ცაგარელი უდიდესი პასუხისმგებლობით უდგებოდა „ვეფხისტყაოსნის“ როგორც უცხოურ ენებზე თარგმნას, ისე ზოგადად პოემასთან დაკავშირებულ ყველა წამოწყებას.

1888 წლის სექტემბერში სტოკოლმში გაიმართა ორიენტალისტთა მერვე საერთაშორისო კონგრესი, რომელზეც სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტმა თავის წარმომადგენლად მიავლინა ალ. ცაგარელი, როგორც საუკეთესო მცოდნე აღმოსავლური ქვეყნებისა და მწერლობისა. როდესაც საქართველოში ამის შესახებ გაიგეს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გადაწყვიტა შვეციისა და ნორვეგიის მეფისათვის, რომელიც ამავე დროს კონგრესის საპატიო თავმჯდომარე იყო, მიერთმია იმდროინდელი საქართველოს გამორჩეული წიგნი – გ. ქართველიშვილისეული „ვეფხისტყაოსანი“.

ამ საპატიო მისიის შესრულება აღ. ცაგარელს დაევალა. მართლაც, აღ. ცაგარელმა მეფე ოსეარ II-ს საჩუქრად გადასცა ძვირფას ყდაში ჩასმული „ვეფხისტყაოსანი“ ბორენის ფრანგულ თარგმანთან ერთად (ბორენის ფრანგული პროზაული თარგმანი თბილისში დაიბეჭდა 1885 წელს – რუსთაველი 1885). საჩუქარმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კონგრესის მონაწილეებზე.

ამ ფაქტთან დაკავშირებით საინტერესოა აღ. ცაგარელის მიერ იღია ჭავჭავაძისათვის სანქტ-პეტერბურგიდან გამოგზავნილი ხუმრობანარევი წერილი, რომლიდანაც კარგად ჩანს, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა აღ. ცაგარელი „ვეფხისტყაოსანის“ პოპულარიზიაციას საქართველოს საზღვრებს გარეთ:

„დმაო იღია, მივიღე პეტერბურლში ვეფხისტყაოსანი – ძალიან კარგათ გაგიყეთებით. მარტო ზედ წარწერა ვერ გამოსულა კარგათ, გადასწორებაც არ შეიძლება, რადგან რავდენიმე სიტყვაც უნდა ჩაემატოს და სხვა ხელით იქნება. მე მაინც უნდა დამებეჭდინებინა რავდენიმე სტრიქონი ფრანცუზულათ და თქვენ წარწერასაც იმაში მოვაძევ, ოსკარის II დარქმევა „პრეზიდენტათ“ კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, ვეურ ე რ თ ინ ი გ ნ ი უძღვენით და ნ ა ს ე ვ ა რ ი სამეფო ჩამოართვით ამ ხელმწიფეს – ეს სადაური თავაზობა არის?! „დალოცვილებო, სწერთ „Boi de Suede“ ეს „ნორვეგია“ რაღა უყავით? საზოგადოთ ამ გვარად უნდოდა: A da Mojeshe Oseoir II Ze Pur de Suedet de Norvege Auguste preteeteur du VIII Congres Inter national des Orientalistes u m. n. რადგან იმდენი სიტყვების ჩაწერა და გადასწორება არ შეიძლებოდა, ამიტომ როგორც მომწერა პ. მანსვეტოვმა, ფურცელი ჩაწერილით უნდა ამოვალებინო ვეფხისტყაოსნიდან და ყველას ამას დავაბეჭდვინებ ფრანცუზულათ როგორც ვთქვი ცალკე ფურცელზედ.

არ ვიცი, იღია, რატომ არ გამომიგზავნეთ, როგორც გწერდით, ბირენის ნათარგმნი ვეფხისტყაოსანი, რომ ცოტათ მაინც გაიგონ შინაარსი, – ყველაფრის ახსნა არ შეიძლება. ამიტომ აღვიარებ ძალი იან საჭირო და სა ა რ გ ე ბ ლ ი ქ ნ ე ბ ა გამომიგზავნოთ საჩქაროზედ ბირ ე ნ ი ს ფრანცუზულათ და ლეი ის ტი ი ს ნემეცურად ნათარგმნი ვეფხისტყაოსანი, თუ გინდათ ესეც ყდით შეაკვრევინეთ. აქ ვერსად ვერ ვიშოვნე, თორემ არ მოგწერდით. თუ სრული თარგმანი არ იშოება, ერთი ნანილი მაინც...

შენი ერთგული აღ. ცაგარელი

P.S. ვიმეორებ. – ვეფხისტყაოსანი მშვენივრად არის გაკეთებული. ასე რომ ოსკარს და სხვებსაც მოენონებათ (კინწურაშვილი 1874: 88-90).

საქართველოში შვეციისა და ნორვეგიის მეფისთვის „ვეფხისტყა-ოსნის“ გადაცემის ფაქტს დიდი აღფრთოვანება მოჰყვა. ამის შესახებ წერდნენ უურნალი „თეატრი“ (1899. 26.IX. №19) და „ივერია“ (22.IX.1889. №200). აქვე მოგვყავს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული „ახალი ამ-ბავი“:

„სექტემბერში აღმოსავლეთის ქვეყნების მცოდნე მეცნიერთა კრება იყო შვეციის სამეუფო ქალაქში, სახელდობრ სტოკოლმში, და კრების საპატიო თავმჯდომარედ თვით შვეციისა და ნორვეგიის მეფე ოსკარ II ბრძანდებოდა. ქართველთაგან ამ კრებაზე დაესწრო პროფესორი ა. ცაგარელი, რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტმა გაჰყზავნა თავის წარმომადგენელად, როგორც მცოდნე აღმოსავლე-თის ქვეყნისა და მნერლობისა. ამ პროფესორის ხელით ჩვენმა, „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ გაუგზავნა ძლვნად მეცნიერთა კრების გვირ-გვინოსან თავმჯდომარეს მდიდრულად დაბეჭდილი სურათებიანი „ვეფხის-ტყაოსანი“. ეს ვეფხის-ტყაოსანი პროფესორს ა. ცაგარელს ჯერ სტოკოლმში შეკრებულ ზოგიერთ მეცნიერთათვის უჩვენება და იმათ ძრიელ მოსწონებიათ. ერთს იქაურს პროფესორს მეტად გაჰ-კვირვებოდა კიდეც, რომ ტფილისში ასე კარგად დაუბეჭდიათო ეგ წიგნი; მაგისთანა ყდას ჩვენს სტოკოლმშიაც ვერ გააკეთებენო. მერე ცაგარელს წიგნი მიურთმევია ოსკარ მეფისათვის. მეფესაც ძრიელ მოსწონებია და თითქმის მთელის ოცის წუთის განმავლობაში უსინ-ჯავს. როცა გადაუთვალიერებია ამ წიგნის ბორენის მიერ ფრანგულად დაწერილი შინაარსი, მეფეს უბრძანებია: „საკვირველია, სოლომონის „ქება ქებათა“-სა ჰგავსო“. მეფეს დაუბარებია ცაგარლისათვის: „გარ-დაეციო ჩემი გულითადი მადლობა, „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ამ მშვენიერისა და ძვირფასის ძლვენის მორთმევისათვისაა“.

კრების გათავების შემდეგ კონგრესის მდიგანს, ანუ სეკრეტარს უთქვამს პროფესორის ცაგარლისათვის: „თქვენს „ვეფხის-ტყაოსანს“ იშვიათი პატივი ხვდა წილადაო. მეფემ ის წიგნი თავის წიგნთ-საკითხ-ავისათვის მოინდომა და ეხლა იმის კაბინეტშიაო“. უნდა შევნიშნოთ, რომ მეფე ოსკარს მრავალი წიგნები მიართვეს კონგრესის წევრთ, მა-გრამ მეფემ ბრძანა, რომ ყველა ის წიგნები გაუნაწილეთ უფსალისა და ქრისტიანის უნივერსიტეტებსაო. მეფემ მხოლოდ რამდენიმე წიგნი დაიტოვა საკუთრად თავისათვის და აი იმ წიგნებს შორის მოჰყოლია ჩვენის უკვდავის პოეტის პოემაცა“ (ივერია 1889).

დასასრულ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ალექსანდრე ცაგარელმა 1883 წელს იერუსალიმში ყოფნისას გადმოიღო და გამოაქვეყნა ჯვრის

მონასტერში შემორჩენილი რუსთველის პორტრეტი და წარწერა. ამ წარწერის ტექსტს ალ. ცაგარელი ასე აქვეყნებს: „ამისა დამხატვასა შოთა(ს) შეუნდოს ღმერთმან, ამინ. რუსთაველი“ (მეგრელიძე 1970: 91). როგორც ალ. ბარამიძე წერდა: „ალ. ცაგარელმა თავისი ხელით გადმოიღო იერუსალიმის ჯვარის მონასტრის კედლის მხატვრობის პირები (იგი იყო დახელოენებული მხატვარი), მათ შორის, შოთა რუსთველის ან კარგად ცნობილი სურათის პირი წარწერებითურთ... იერუსალიმის სიძველეებისადმი მიძღვნილ ნარკვევში ცაგარელი ამბობს, რომ რუსთველი გამოხატულია „შუა საუკუნეთა ქართველი დიდებულის ტანისამოსით“. აქვე შევნიშნავთ, რომ ცაგარლის მასალებმა ბოლო მოუღი ფართოდ გავრცელებულ ლეგენდას, თითქო რუსთველი მოხუცობის დროს ბერად აღიკვეცა და მოწესედ დაემკვიდრა ჯვარის მონასტერში. რუსთველის იერუსალიმური პორტრეტი ცხადყოფს, რომ ვეფხისტყაოსნის უკვდავი ავტორი ბოლომდე ერისკაცად დარჩენილა. სამწუხარო ის არის, რომ რუსთველის სურათის ცაგარლისეული პირი ახლა არსად ჩანს. თვითონ ცაგარლის სიტყვით, იგი აპირებდა თავისი ნამუშევრის ზიჩისთვის გადაცემას, რომ ამ განთქმულ უნგრელ მხატვარს შეექმნა რუსთველის დოკუმენტირებული მხატვრული პორტრეტი“ (ბარამიძე 1971: 292-293). გაზეთი „ცნობის ფურცელი“ კი 1897 წელს წერდა: „ამ უამად ჩვენი ახალგაზდა მხატვარი და მოქანდაკე თავადი თარხნიშვილი შესდგომია შოთას ბიუსტის გამოქანდაკებას და უკვე დაუსრულებია კიდევაც ეგ საპატიო შრომა“ (ცნობის ფურცელი 1897). საბოლოოდ, მართლაც, მოქანდაკე ალ. თარხნიშვილმა ალ. ცაგარელის მიერ გადმოღებული შოთა რუსთაველის გამოსახულების მიხედვით შეექმნა თავისი ცნობილი ქანდაკება.

დამოწმებანი:

ანდოულაძე 1968: ანდოულაძე ლ. „ვეფხისტყაოსნის რევოლუციამდელი რუსი მთარგმნელები“. ქველი ქართული მწერლობის საკითხები. III. თბილისი: 1968.

ბარამიძე 1971: ბარამიძე ალ. „ქველი ქართული მწერლობის მკვლევარი (ალექსანდრე ცაგარელი)“. ალ. ბარამიძე. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. V. თბილისი: 1971.

ბოდენშტედტი 1965: ბოდენშტედტი ფ. ათას ერთი დღე აღმოსავლეთში. შემოკლებული თარგმანი გერმანულიდან და შესავალი წერილი ა. გელოვანისა. თბილისი: 1965.

ბოდენშტედტი 1976: ბოდენშტედტი ფ. „ათას ერთი დღე აღმოსავლეთში“. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში. ტ. I. თბილისი: 1976.

ბრეგაძე 2010: ბრეგაძე ლ. მოგზაურობა „კაუკაზიშე პოსტის“ ფურცლებზე. თბილისი: 2010.

გელოვანი 1997: გელოვანი ა. „ბოდენშტედტი“. „საქართველო“ (ენციკლოპედია). ტ. I. თბილისი: 1997.

„ივერია“ 1889: ახალი ამბავი. „ივერია“, 22.IX.1889, №200.

კინტურაშვილი 1974: კინტურაშვილი კ. ალექსანდრე ცაგარელი. თბილისი: 1974.

ლოლაშვილი 1986: ლოლაშვილი ი. „ალექსანდრე ცაგარელი“. ძველი ქართული მწერლობის მეცნიერება. თბილისი: 1986.

მასალები 1981: მასალები XIX ს. 60-90-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებიდან (კირილე ლოროტქიფანიძის მიმოწერა). ტექსტი შესავალი ნერილით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოაზიარდა ელისო აბრამიშვილმა. თბილისი: 1981.

მეგრელიძე 1970: მეგრელიძე ი. რუსთველოლოგები. თბილისი: 1970.

მენაბდე 2016: მენაბდე დ. „იონა მეუნარგია – „ვეფხისტყაოსნის“ გამომცემელი და მთარგმნელი“. ლიტერატურულ ურთიერთობათა ვექტორები (V-XVIII სს.). თბილისი: 2016.

მეუნარგია 1888: „Барсова кожа“ Руставели в рассказе И. Меунаргия. Тифлис: 1888.

მეუნარგია 1890: „Барсова кожа“ Руставели в рассказе И. Меунаргия. Второе издание по первому 1888 года. Тифлис: 1890.

რევიშვილი 1976: რევიშვილი შ. „შესავალი“. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში. ტ. I. თბილისი: 1976.

რევიშვილი 1977: რევიშვილი შ. „ბოდენშტედტი“. ქსე. ტ. II. თბილისი: 1977.

რუსთაველი 1885: Roustavéli Chota. *La Peau de Léopard*. Par A. Borin. Tiflis: Librairie Chaverdoff. 1885.

რუსთაველი 1889: Rustaweli Schota. *Der Mann im Tigerfelle. Aus dem Georgischen übersetzt von A. Leist*. Dresden-Leipzig: E. Piersons Verlag. 1889.

რუსთველი... 1988: რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში. III (შემდგენლები: ნ. ბეპიევა, ო. გოლიაძე, დ. დგგბუაძე, დ. მენაბდე, ლ. მენაბდე, ვ. შადური, ო. ჭურლულია). თბილისი: 1988.

ყუბანეიშვილი 1947: ყუბანეიშვილი ს. ვეფხისტყაოსნის რუსულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის პირველი ცდა (დოკუმენტები). ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები. I. 1947.

ყუბანეიშვილი 1966: ყუბანეიშვილი ს. ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან (XVIII-XIX სს.). თბილისი: 1966.

ყუბანეიშვილი 1971: ყუბანეიშვილი ს. ვეფხისტყაოსნის გერმანულ ენაზე თარგმნის ისტორიიდან. მაცნე (ელს), 1971, № 2.

ცაიშვილი 1956: ცაიშვილი სოლ. იონა მეუნარგიას ავტობიოგრაფია. ქ. მნათობი, 1956, №2.

ცნობის ფურცელი 1897: „ახალი ამბავი („შითა რუსთველის სურათი და ბიუსტი“)“. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 6.III. 1897, №134.

ჭყონია 1948: ჭყონია თ. „ალ. ცაგარელი და ძველი ქართული ლიტერატურა“. ლიტერატურული ძიებანი. IV. თბილისი: 1948.

ხოტივარი 2003: ხოტივარი-იუნგერი შ. „ქართული ლიტერატურა გერმანულენოვან ქვეყნებში“. ქართული ლიტერატურა ევროპულ მეცნიერებაში. თბილისი: 2003.

ხოტივარი 2014: ხოტივარი-იუნგერი შ. „რუსთველის თხზულების დღეისათვის არსებული გერმანული თარგმანები“. ქართველოლოგი, 20(5). 2014.

TAMAR NUTSUBIDZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Shalva Nutsubidze and the Translators of “The Knight in the Panter’s Skin”

One of the main subjects of scholarly and literary interests of Shalva Nutsubidze (1888-1969), a Georgian philosopher, translator, public benefactor, one of the founders of the Tbilisi State University, were Rustvelological studies and Russian translation of Rustaveli's epic "The Knight in Tiger's Skin". Among the specific manifestations of Shalva Nutsubidze's Rustvelological activities should be noted as well his relationship with such translators of Rustaveli's epic as Rumanian translator Victor Kernbach, Polish poet and translator Igor Sikirycki, Austrian poet and translator Hugo Huppert, Japanese translator Fukuro Ippey, Serge Tsuladze, Georgian translator of Rustaveli's epic into French and Maria Prittzwitz, Russian translator of the epic into German.

Shalva Nutsubidze provided direct Rustvelological advices to Serge Tsuladze and Hugo Huppert, correspondingly, French and German translators of "The Knight in Tiger's Skin". In their letters addressed to Shalva Nutsubidze and in Hugo Huppert's book of memories "Schach to Doppelgänger" (1979) is expressed a deep gratitude for Shalva Nutsubidze's assistance in the process of translation.

During their stay in Tbilisi Victor Kernbach, Igor Sikirycki and Fukuro Ippey had a meeting with Shalva Nutsubidze.

Victor Kernbach, Igor Sikirycki and Fukuro Ippey in the inscriptions on the books of their translations of Rustaveli's epic presented to Shalva Nutsubidze express their deep respect to him as a translator of the epic into Russian.

Key words: Huppert, Kernbach, Sikirycki.

თამარ ნუცუბიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

შალვა ნუცუბიძე და „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელები

შალვა ნუცუბიძე სამეცნიერო შრომებს როგორც ქართულ, ასევე რუსულ და როცა შესაძლებელი იყო გერმანულ ენაზე წერდა, რადგან მიაჩნდა, რომ აუცილებელი იყო ქართული აზროვნების მიღწევების საზღვრებს მიღმა გატანა, თუმცა 1930-იანი წლებიდან ეს მხოლოდ რუსეთზე გავლით იყო შესაძლებელი. ერთი ასეთი სამეცნიერო ნაშრომის წერისას მას „ვეფხისტყაოსნიდან“ ადგილების დამოწმება რუსულად დასჭირდა და გადაწყვიტა თვითონ ეთარგმნა. თარგმანმა გაიტაცა. აუდიტორიებში საცდელად კითხულობდა თარგმნილ ადგილებს და მსმენელთა დიდი მონონება დაიმსახურა. გათამამებულმა მეცნიერმა გააგრძელა თარგმნა, რომელსაც უაღრესად საინტერესო ბედი ეწია და უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა თვით მთარგმნელის ცხოვრებაში. კერძოდ, თარგმანის დასრულება კაგებეს ციხეში მოუწია. პატიმრობიდან დაბრუნებული ხშირად ამბობდა: სიკვდილს რუსთაველმა გადამარჩინაო.

რუსთაველის პოემაზ შალვა ნუცუბიძე არაერთ უცხო ენაზე მთარგმნელთან დააკავშირა. მათ შორის პირველი იყო **შარია პრიტვიცი**, რომელმაც გერმანულად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“. მარია **პრიტვიცი**, დაპადებული 1876 წელს, ქალიშვილობის გვარი – გუბერი, ეროვნებით რუმინელი, ლენინგრადში ცხოვრიბდა. იგი მრავალ ევროპულ ენას ფლობდა.

მარია პრიტვიცი 1934 წელს დააპატიმრეს, მაგრამ სასჯელად იმას დასჯერდნენ, რომ 1935 წელს ბაშკირეთის დედაქალაქ უფაში გადასახლეს, სადაც უცხო ენათა ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა და თან მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწეოდა. მარია პრიტვიცს ახლო

ურთიერთობა ჰქონდა საქართველოსთან და ქართველ მეცნიერებთან, მათ შორის – საქართველოს პირველი რესპუბლიკის ფინანსთან მინისტრის – გიორგი უურულის დასთან, ნინო უურულ-მაქარაშვილთან, ამ უკანასკნელის შვილთან – ირინე მაქარაშვილთან და მის მეუღლე – პროფესორ ანატოლი კიზირიასთან. სწორედ მათ ურჩიეს, ეთარგმნა „ვეზხისტყაოსანი“ გერმანულად. თავდაპირველად მარია პრიტვიცს რუსთაველის პოემის პანტელეიმონ პეტრენკოს რუსული თარგმანის მიხედვით პროლოგი უთარგმნია. თავის ურთიერთობას შალვა ნუცუბიძესთან მარიამ პრიტვიცი ერთ კერძო ნერილში ასე აღნერს: „პროლოგი გავუგზავნე აკადემიკოს შალვა ნუცუბიძეს, რომელმაც კმაყოფილმა მიჰასუხა. იგი დამპირდა თავისი თარგმანის გამოგზავნას. მუშაობას ვაგრძელებდი ნუცუბიძის მიხედვით, თან პეტრენკოს თარგმანშიც ვიხედებოდი“ (ჯანაშია 2003: 5).

გარევეულ სტადიაზე პრიტვიცის მუშაობამ ოფიციალური ხასიათი მიიღო. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ შესთავაზა პრიტვიცს ეთარგმნა პოემა. აკად. სიმონ ჯანაშიას თაოსნობით პრიტვიცის თარგმანის რედაქტორად დანიშნეს შალვა ნუცუბიძე, რომელიც ამ თარგმანის შესახებ წერდა: „მარიამ პრიტვიცმა თარგმანი შეასრულა ომის ძნელ პირობებში; თბილისში ჩამოდიოდა შეძლებისდაგვარად და ჩემი კონსულტაციებიც ჩანს არ გამოადგა. თარგმანი მძიმე და მეტად არქაიზებული გამოვიდა. მიუხედავად ამისა, მარია პრიტვიცმა მთელი პოემა თავისებურად გამართა გერმანულად ოთხპერიოდული ლექსით, და თუმცა დეტალები რუსთაველური ორკესტრობისა ვერ აითვისა, მაინც მისი თარგმანი ხელსაკრავი არ არის. საფუძვლიანი გადახედვის შემდეგ ის შეიძლება დაიბეჭდოს კიდეც... ჰუგო ჰუპერტის თარგმანის ხელმძღვანელობა მე დამევალა ერთი წლის წინ. მე, ცხადია, ვიკისრე მხოლოდ ტექსტუალური ხელმძღვანელობა და არა სტილისტიკური... ჩვენ შეგვიძლია შევამჩნიოთ სტილისტიკური შეცდომა უცხო ენაზე, მაგრამ გასწორებას ყოველთვის ვერ შევძლებთ. „ვეზხისტყაოსნის“ გერმანული ტექსტი უნდა წაიკითხოს საბოლოოდ (დასტამბვის წინ) გერმანული ბუნებრივი სტენის მქონე პიროვნებამ“ (ნუცუბიძე 1966: 295).

1950 წლის დასაწყისში მარიამ პრიტვიცისეული თარგმანი დასკვნისათვის გადაუციათ რუსთველოლოგებისა და გერმანისტებისათვის, მათ შორის, შალვა ნუცუბიძისათვის. 1950 წლის გაზაფხულზე საზოგადოებაში პრიტვიცის თარგმანის შესახებ გამართულ თათბირზე ერთხმად იქნა გაზიარებული „შალვა ნუცუბიძის აზრი, რომ

მარიამ პრიტვიცის ნაშრომის რედაქტირებისა და გამოცემის საკითხების გადაწყვეტამდე საჭირო იყო გერმანული თარგმანი „საჭაშნიკოდ“ ნაეკითხათ გერმანელ პოეტებს. გამოითქვა აზრი, რომ შესაფერისი პოეტების გამონახვა დავალებოდა მიხეილ კვესელავას, რომელმაც იმავე თათბირზე დაასახელა ავსტრიელი პოეტი ჰუგო ჰუპერტი. ჰუპერტან ჯერ მოსკოვში და შემდეგ თბილისში მოლაპარაკების დროს მ. კვესელავამ მას გადასცა მ. პრიტვიცისეული თარგმანი მისი რედაქტირების მიზნით. ჰუპერტს კი თარგმანი დაუწენია და გარკვეული მოლაპარაკების შემდეგ პოემის ახალი თარგმანი უკისრია“ (კარბელაშვილი 1987: 634).

ასევე შალვა ნუცუბიძე კონსულტანტად და რედაქტორად დაუწენეს ავსტრიელ პოეტსა და მთარგმნელს ჰუგო ჰუპერტს (1920-1982). საქართველოს უცხოეთთან კულტურული კუშირის საზოგადოების თავმჯდომარის გოგლიძის მოხსენებით ბარათში საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივნის – კანდიდ ჩარკვიანისადმი აღნიშნულია, რომ 1951 წელს „ვეფხისტყაოსანის“ გერმანულ ენაზე პოეტური თარგმნის შესრულება ჰუგო ჰუპერტს დაევალა, რომლისთვისაც გადაუციათ პოემის რუსული ბწყარედი, მიხაკო წერეთლის მიერ ბერლინში შესრულებული გერმანული ბწყარედი და აგრეთვე პოემის ყველა არსებული რუსული და უცხოური თარგმანები. „ერთდროულად თარგმანის რედაქტორად იყო გამოყოფილი პროფესორი შალვა ნუცუბიძე, რომელიც ახდენდა თარგმანის რედაქტირებას მუშაობის პროცესში და კონსულტაციას უწევდა მთარგმნელს“ (ჯორჯია 2015-2016: 220).

„ვეფხისტყაოსანის“ ჰუპერტისეული თარგმანი ორჯერ დაიბეჭდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ხოლო მესამედ 2014 წელს – ვისენბადენში.

ჰუგო ჰუპერტი 1979 წელს გამოცემულ მოგონებათა წიგნში „ქაში ორეულს“ ვრცლად ჩერდება თავის ურთიერთობაზე შალვა ნუცუბიძესთან რუსთაველის პოემის თარგმანის დროს: “ბედმა გამილიმა, რომ ჩემი თარგმანის პასუხისმგებელ ფილოლოგ-კონსულტანტად გამომიყენე უგანათლებულესი პიროვნება – აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე. ამ მგზებარე ტემპერამენტის ადამიანს განათლება გერმანიის უნივერსიტეტებში ჰქონდა მიღებული და ამასთანავე სახელი ჰქონდა განთქმული როგორც რუსთაველის პოემის რუსულად მთარგმნელს. ჩემდამი გამოგზავნილ წერილში ეს გულდია და უშუალო კაცი მწერდა: „თქვენი წარმატებისათვის არაა საკმარისი პალმის რტო და დაფნის გვირგვინი. თქვენ მეტს იმსახურებთ. მთელი ქართული საზოგადოება ყოველნაირად დაგიჭროთ მხარს თქვენს იმედისმომცემ წამოწყებაში“.

ჩემ მიერ თარგმნილ ყოველ ნაწყვეტს მამობრივად იღებდა, გულ-დასმით და ამასთანავე ხუმრობით ამონმებდა, ასწორებდა და რჩევებს მაძლევდა, მაგრამ არც ჩემს თავისუფლებას ზღუდავდა, ზოგჯერ საკუთარ ფრაზებსაც მთავაზობდა დ ყოველთვის დედანზე მითითებდა: „ჩვენი ვალია, ძველი ქართულის ხატოვანი, მიძინებული სული კი არ შევანჯლრიოთ, არამედ ხელის სათუთი შეხებით გავაღვიძოთო, – მეუბნებოდა ჩემი კონსულტანტი და რედაქტორი. – „ვეფხისტყაოსნის“ პოეზია პეპლების ფრთხების ფერადი მტვერით ლივლივებს, მაშინაც კი, როდესაც რაინდი გაშმაგებით ებრძვის ვეფხეს. გაჰყევით პოეზიის გზას, მიენდეთ ინსტიტუტსა და საკუთარ ალლოს და არა გონების კარნახ-სა და ფილოლოგიას, აი რა უნდა იყოს თქვენი დევიზი, – მამობრივად მასწავლიდა ჩემი უფროსი მეგობარი. ქალაქის ხალხმრავალ ცენტრში ხანგრძლივი სეირნობის დროს ნუცუბიძე ენერგიული მოძრაობით და სიტყვების ხაზგასმით მესაუბრებოდა საქართველოს ისტორიაზე“ (ჰუ-პერტი 1979: 563-565).

ჰუპერტს თარგმანის დასრულების შემდეგაც არ შეუწყვეტია შალვა ნუცუბიძესთან ურთიერთობა: წლების განმავლობაში უგზავნიდა წერილებსა და მოკითხვის ბარათებს მას და მის ოჯახს.

ერთ-ერთ წერილში, რომელიც ჩემს ოჯახში ინახება, იგი წერს: „ვსარგებლობ შესაძლებლობით, რომ ჩემი თქვენდამი სამუდამო პატივისცემა და მადლიერება კიდევ ერთხელ ფეხქვეშ გაგიგოთ (ეს, აღმოსავლურად რომ გამოვხატო). არასოდეს დაგივიწყებთ თქვენ და თქვენიანებს. შესაძლოა იცით, რომ 1956 წლის დეკემბერში გდრ-ში ორი ლიტერატურული პრემია მომანიჭეს, ამათგან ერთ-ერთი სახელმწიფო პრემიაა გერმანულად თარგმნილი რუსთაველისათვის.

გულიდან ვერ ვიშორებ საქართველოს და მის ადამიანებს და დარწმუნებით შემიძლია ვთქა: საქართველო იყო ჩემი სულიერი განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი და უსამართლობა იქნებოდა არ მეთქა, რომ თქვენ პირადად, შალვა ისაკის ძევ, ყველაზე მეტი მომეცით. ამიტომ ჩემი მოგონებების წინა პლანზე დგახართ. მთელი გულით გისურვებთ კარგ ჯანმრთელობას და მრავალი წელი ყოფილიყავით სულიერი მამა თქვენს მშვენიერ სამშობლოში. ჩემი ოცნებაა კვლავ შეგხვდეთ“.

„ვეფხისტყაოსნი“-ს შალვა ნუცუბიძის რუსულ თარგმანს გარკვეული დახმარება გაუწევია, როგორც თავად აღნიშნავს, აგრეთვე რუმინელი პოეტის, ფანტასტი რომანისტის, მთარგმნელის, ფოლკლორისატისა და კრიტიკოსის ვიქტორ კერნბახისათვის (1958-1968). იგი 1950-იანი

წლებიდან დაინტერესდა ქართული კულტურით და გარკვეულ დონემდე ქართული ენაც შეისწავლა.

1957 წელს თბილისში ყოფნისას ვიქტორ კერნბახი შეხვდა შალვა ნუცუბიძეს და აჩუქა მას თავისი თარგმანი ასეთი ნარწერით რუსულ ენაზე: "Многоуважаемому профессору Ш.Н. на добрую память и с большой благодарностью за великую помощь оказанную мне как переводчику замечательным его переводом на русский язык. Виктор Кернбах, 10. VII. 1957, Тбилиси".

ვიქტორ კერნბახმა რუმინულად თარგმნა აგრეთვე გურამიშვილის, ბარათაშვილის პოეტური ქმნილებები, გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ და სხვ. „ვეფხისტყაოსნის“ კერნბახისეული პოეტური თარგმანი მის სიცოცხლეში ორჯერ გამოიცა – 1957 და 1963 წელს, ხოლო მესამე გამოცემა წელს გამოქვეყნდა.

ვიქტორ კერნბახმა რამდენიმეჯერ იმოგზაურა საქართველოში, რომელსაც მიუძღვნა წიგნი „მყინვარებისა და ნარინჯების ქვეყანაში“ (1958, ქართული თარგმანი – 1968). 1958 წელს საქართველოში ყოფნისას ვიქტორ კერნბახი კვლავ შეხვდა შალვა ნუცუბიძეს და თავისი წიგნი საქართველოზე ასეთი ნარწერით გადასცა რუსულ ენაზე: "Многоуважаемому профессору, ученому, поэту, чей труд перевода Руставели глубоко помог мне в моей работе, дорогому товарищу Шалва Нуцубидзе от искренне его уважающего Виктора Кернбаха. 15. VI. 1958 г.".

შალვა ნუცუბიძეს ბინაში ესტუმრა აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ პოლონურ ენაზე მთარგმნელი იგორ სიკირიცკი (1820-1885), რომელმაც თავისი პოეტური თარგმანი 1960 წელს გამოსცა. ამას წინ უძლოდა 1840-იან წლებში გიორგი ერისთავის დახმარებით კაზიმირ ლაფრინსკის მიერ შესრულებული თარგმანი.

იგორ სიკირიცკი თავისი დროის თვალსაჩინო პოეტი და პროზაიკოსი იყო. მის სახელს ატარებს ქალაქ ლოდის ერთ-ერთი ქუჩა. მას პატივს მიაგებენ იმისთვისაც, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს მებრძოლი იყო არმია კრაიოვასი, რომელიც დევნილობაში, დიდ ბრიტანეთში მყოფ პოლონეთის მთავრობას ემორჩილებოდა.

"ვეფხისტყაოსნის" იგორ სიკირიცკისეული თარგმანი ვარშავაში 1961 წელს გამოიცა. წიგნის სატიტულო ფურცლის მეორე გვერდზე აღნიშნულია: „ადაპტირებული თარგმანი ემყარება „ვეფხისტყაოსნის“ ი. ზაბოლოცკის მიერ ახაგაზრდობისათვის შესრულებულ თაგმანს და მის შედარებას ამ პოემის შალვა ნუცუბიძის მიერ შესრულებულ რუსულ თარგმანთან“.

1967 წლის 25 ივლისს თბილისში ყოფნისას იგორ სიკირიცკიმ „ვეფხისტყაოსნის“ 1961 წელს გამოქვეყნებული თავისი თარგმანი ნუცუბიძეს უსახსოვრა ასეთი ინსკრიპტით პოლონურ ენაზე: „ძვირთას პროფესორს შალვა ნუცუბიძეს ღრმა მადლიერებით ვეფხისტყაოსნის შესანიშნავი თარგმანისათვის და გულითადი პოლონური სალამით. იგორ სიკირიცკი. თბილისი, 25. VII. 67.“

თავის აგარაკზე, გლდანში, ორჯერ შეხვდა შალვა ნუცუბიძე საქართველოში ჩამოსულ „ვეფხისტყაოსნის“ იაპონელ მთარგმნელს **ფუკურო იქეის** (1897-1971). მას დამთავრებული ჰქონდა ტოკიოს უცხო ენათა ინსტიტუტის რუსული განყოფილება. საქართველოში ორჯერ ჩამოვიდა: 1963 და 1966 წელს რუსთაველის საიუბილეო ზემზე. იგი ამასთანავე ალპინისტიც იყო. 1967 წელს გამოსცა წიგნი „საქართველო ალპინისტის თვალით“. 1955 წელს „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული თარგმანი გამოსცა, ხოლო 1972 წელს – პოეტური თარგმანი.

იქეი ფუკურომ რუსთაველის პოემის მის მიერ შესრულებული იაპონური თარგმანის 1955 წლის გამოცემის ერთი ეგზემპლარი, რომელიც ჩვენთან ინახება, ასეთი წარნერით გადასცა: “Уважаемый проф. Нуцубидзе, Ваш блестящий перевод Руставели зажог любовь в моем сердце. С этой любовью я перевел великого Руставели, за что искренно благодарю. С уважением переводчик Руставели на японский язык Иппей Фукуро. Тбилиси. 20. IX. 1963 г.”.

შალვა ნუცუბიძის არქივში შემონახულია ჩეხ ენათმიეცნიერთან, ქართველოლოგთან და „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელთან – **იერომი-ერ იედლიჩკასთან** (1901-1965) საქართველოს უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების შენობაში შეხვედრის ამსახველი ფოტო, რომელზეც ჩანს მათი საუბრის ხასიათი.

შალვა ნუცუბიძეს გარკვეული წვლილი მიუძღვის აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგული პოეტური თარგმანის მომზადებაში, რომელიც 1958 საფრანგეთიდან სამშობლოში დაპრუნებულმა მეცნიერმა და მთარგმნელმა **სერგო წულაძემ** (1917-1977) განახორციელა. სახელოვანი მთარგმნელის ქალიშვილი ნუცა წულაძე იგონებს: „მამას კონსულტაციებს უწევდა შალვა ნუცუბიძე, რომელთანაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა და რომელმაც მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია“. ეს თარგმანი რუსთაველის პოემის უცხო ენაზე შესრულებულ თარგმანთა შორის ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება. იგი ცნობილმა ფრანგულმა გამომცემლობა „გალიმარმა“ დაბეჭდა 1964 წელს. ამ თარგმანმა საფრანგეთის აკადემიის პრესტიული ლანგლუას პრემია დაიმსახურა.

სერგო წულაძე ხშირად მოდიოდა შალვა ნუცუბიძესთან ჩვენს სახლში გლდანში. საათობით მესმოდა, ზოგჯერ გვიან დამემდე, მათი მსჯელობა რუსთაველის პოემის ამა თუ იმ პასაჟის გაგება-გააზრებაზე და ფრანგულ შესატყვისებზე.

თავისი თარგმანის წინასიტყვაობაში სერგი წულაძე აღნიშნავს, რომ იგი ტექსტის გაგება-გააზრებისას ნაყოფიერად იყენებდა შალვა ნუცუბიძის „ერუდირებულ რჩევებსა და დიდ დახმარებას“. შემონახულია სერგო წულაძის წერილი ნუცუბიძისადმი: „ღრმადპატივცემულობატონო შალვა, მაქვს ბედნიერება შეგატყობინოთ, რომ „აკადემი ფრანსეზ“-მა მომანიჭა აკადემიის პრემია (ლანგლუას სახელობისა) ვეფხისტყაოსნის თარგმანისათვის. პირველ რიგში მინდოდა ეს შემეტყობინებინა თქვენთვის, რომლის ძეირფასი დახმარების გარეშე ეს ვერ მოხდებოდა. პატივისცემით თქვენი სერგი წულაძე“.

„სერგო წულაძეს ყველა მონაცემი ჰქონდა მისთვის მიცემული დავალებისათვის, – წერდა შალვა ნუცუბიძე. – იგი საფრანგეთში აღიზარდა და ფრანგული ენა მისთვის მშობლიური გახდა. იგი კარგად იცნობს შუა საუკუნეების ფრანგულ მწერლობას და რენესანსში მისი გადასვლის ძეგლებს. ეს გარემოება მას უადვილებდა ქართული რენესანსის ისეთი ძეგლის წვდომას, როგორიც არის ვეფხისტყაოსანი“.

1963 წელს საქართველოში იყო სახელგანთქმული ფრანგი სოციოლოგი და ფილოსოფოსი **როშე კაიუა** (1913-1978), ავტორი ცნობილი წიგნებისა, „მითოსი და ადამიანი“ და „ადამიანი და საკრალური“ და სხვ. მას შალვა ნუცუბიძე სერგო წულაძესთან ერთად გაზეთ „კომუნისტის“ შენობაში შეხვდა. აქ როშე კაიუამ სერგი წულაძის მიერ რუსთაველის პოემის თარგმანი ასე შეაფასა: „ამ თარგმანს ძალიან სასიხარულო გამოხმაურება მოჰყვა. გულახდილად უნდა ითქვას, რომ ამ თარგმანით სერგი წულაძემ აკადემიკოს შალვა ნუცუბიძესთან ერთად ორმხრივად მნიშვნელოვანი კულტურული საქმე გააკეთა. ფრანგები ეზიარებიან მარად ახალ და განუმეორებელ პოეტურ სამყაროს, რომელსაც სიკეთის დამკვიდრების უზარმაზარი ძალა აქვს“ (კომუნისტი 1964: 3).

ასეთია მოკლედ შალვა ნუცუბიძის ურთიერთობა რუსთაველის პოემის სხვადასხვა მთარგმნელებთან. ყოველივე ეს **XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ-ევროპულ ლიტერატურულ და კულტურულ ურთიერთობათა ერთ-ერთ საინტერესო გამოვლინებას წარმოადგენს.**

დამოცვებანი:

კარბელაშვილი 1987: კარბელაშვილი გ. სულის ნაფური. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1987.

კომუნისტი 1964: გაზ. „კომუნისტი“, 5 ივნისი, 1964.

ნუცუბიძე 1966: ნუცუბიძე შ. კრიტიკული ნარკვევები. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1966.

ჯანაშია 2003: ჯანაშია რ. „მარიამ პრიტვიცი“. გაზ. „ციცინათელა“, № 67, 2003.

ჯორჯიეა 2015-2016: ჯორჯიეა ნ. „საარქივო მასალა ვეფხისტყაოსნის მთარგმნელის ჰუგო ჰუპერტის შესახებ“. ქართული წყაროთმცოდნეობა, XVII-XVIII. თბილისი: „უნივერსალი“, 2015-2016.

ჰუპერტი 1979: Huppert, H. *Schach dem Doppelganger*. Halle-Leipzig: Mitteldeutsche Verlag, 1979.

მრგვალი მაგიდა

Round Table

„ვეფხისტყაოსანი“ XXI საუკუნის გადმოსახედიდან

კლასიკის თანამედროვე რეცეფცია

“The Knight in the Panther’s Skin” from the view point
of the 21st century. Modern Reception of the Classics”

LEVAN BREGADZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

The Concepts of the Wisdom and the Sage in „The Knight in the Panther’s Skin“

In Rustaveli’s epic poem „The Knight in the Panther’s Skin“ thereare plenty discussions about human wisdom and various questions connected with it.

First of all, we have to notice that in Rustaveli’s poem as a sage are referred male as well as female heroes.

For Rustavelian wisdom the unity of theory and practice is very important.

Rustaveli’s wisdom implies dialectical attitude towards the phenomena of life. For Rustaveli the principle of negativity is as fundamental as the principle of positivity.

Key words: Rustaveli; wisdom; theory and practice; principle of negativity.

ლევან ბრეგაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„ვეფხისტყაოსნის“ სიპრძნისმეტყველებისათვის

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში ვკითხულობთ: „შაირობა... სიპრძნისაა ერთი დარგი“, ამიტომ არც გასაკვირია, რომ პოემაში ხშირად მსჯელობა ადამიანურ სიპრძნესა და მასთან დაკავშირებულ საკითხე-

ბზე: რა იგულისხმება სიბრძნეში? რა თვისებები გამოარჩევს ბრძენს? ვის შეიძლება ეწოდოს ბრძენი?

ვიტორ ნოზაძეს დაუმთავრებელი დარჩა ნაშრომი „სიბრძნისმეტყველება [ვეფხისტყაოსანში]“; რაც მოასწრო, მკვლევრის გარდაცვალების წლისთავზე გამოაქვეყნა პარიზულმა ჟურნალმა „კავკასიონმა“ 1976 წლის XVIII ნომერში (ნოზაძე 1976: 49-70) (ვ. ნოზაძის ამ ნაშრომს სტატია მიუძღვნა მანანა კვატაიამ; იგი დაბეჭდილია კრებულში „სული მარად საქართველოზე მათიქრალი“ (კვატაა 2004: 40-51). ჩვენი მიზანია ცოტაოდენი რამ შევმატოთ ვიქტორ ნოზაძის ნამოწყებულ საქმეს, მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ ვეფხისტყაოსნის სიბრძნისმეტყველებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გარკვევაში.

უნინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ შოთა რუსთაველის პოემაში ბრძენად მოიხსენიებიან როგორც მამაკაცი, ასევე ქალი პერსონაჟები.

როსტევანი თინათინს გამეფების წინ მოუწოდებს: „ხარმცა ბრძნად მქმნელი საქმისა...“ (რუსთაველი 1988: 16), ანუ საქმეთა ბრძნულად განმსჯელი იყავი, როდესაც გამეფდები, სამეფო ბრძნულად განაგეო („ხარმცა“ კავშირებითი კილოა და ნიშნავს „იყავი“ – მომავალში). ანუ როსტევანს მიაჩნია, რომ ქალს შეუძლია ბრძნულად მართოს სახელმწფო.

ტარიელი ასე გვაცნობს დავარს:

დავარ იყო და მეფისა, ქვრივი, ქაჯეთს გათხოვილი,
მას **სიბრძნისა** სასწავლელად თვით მეფემან მისცა შვილი.
(რუსთაველი 1988: 54)

ცხადია, ვისაც მეფის ქალიშვილს სიბრძნის შესასწავლად მიაპარებენ, ის თვითონაც ბრძენი უნდა იყოს. რაც მთავარია, ისეა საუბარი დავარის სიბრძნეზე, რომ აშკარაა – ეს ამბავი, ანუ ქალის ბრძენობა, არანაირ განსაკუთრებულ მოვლენად არ არის მიჩნეული, ამის შესახებ სხვათა შორის არის ნათქვამი იმ ყაიდის ფრაზით, როგორითაც მეტად ჩვეულებრივ რამეს აღნიშნავენ ხოლმე, ვთქვათ, ხიდან ხეზე ჩიტის გადაფრენას.

დავარს ჩინებულად აღუსრულებია ძმის დავალება: ნესტანი ბრძენად აღუზრდია.

ნესტან-დარეჯანს გულანშაროს ხელმწიფე მელიქ-სურხავი ახასიათებს სიტყვით „ბრძენი“ და იქვე გამარტავს, რატომ ახდენს ეს მისთვის უცნობი გოგონა მასზე ბრძენის შთაბეჭდილებას:

ანუ არის **ბრძენი** ვინმე, მაღალი და მაღლად მხედი,
არცა ლხინი ლხინად უჩანს, არცა ჭირი ზედაზედი;
ვით ზღაპარი, ასრე ესმის უბედობა, თუნდა ბედი,
სხვაგან არის, სხვაგან ფრინაგს, გონება უც, ვითა ტრედი.
(რუსთაველი 1988: 182)

„არცა ლხინი ლხინად უჩანს, არცა ჭირი ზედაზედი“ – ბრძენის რუსთაველური კონცეფციის გაგებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი დახასიათებაა პერსონაჟისა და ამ ფრაზის მიმართ მეტ ყურადღებას გამოვიჩენთ.

უნინარეს ყოვლისა აღსანიშნავია ის, რომ ცოტა ხნით ადრე ნესტანს ამგვარადვე ახასიათებს ფატმანიც. კერძოდ, იგი ამბობს ნესტანზე:

ლხინი ლხინად არად უჩნდა, მართ აგრევე ჭირად ჭირი.
(რუსთაველი 1988: 182)

(რუსთაველი მისთვის მეტად მნიშვნელოვან დებულებებს ორჯერ და ზოგჯერ მეტჯერაც იმეორებს მეტ-ნაკლები სიზუსტით).

ეს დახასიათება მოსდევს ნესტანის მიერ თავისი მდგომარების შეფასებას, მას შემდეგ, რაც ფატმანი სამწუხარო ამბავს შეატყობინებს: ჩემმა ყბედმა მეუღლემ მეფესთან გათქვა ჩვენი საიდუმლო და ხელმწიფე შენს თავს მთხოვსო. ამაზე ნესტანის ბრძნულ რეაქციას ფატმან-ხათუნი ასე გადმოგვცემს:

მან მითხრა: „დაო, ნუ გიკვირს, ეგე რაზომცა ძნელია!
ბედი უბედო ჩემზედა მიწყიო ავისა მქმნელია.
კარგი რა მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია!
სხვადასხვა ჭირი ჩემ ზედა არ ახალია, ძველია.“
(რუსთაველი 1988: 181)

მელიქ-სურხავის მიერ ნესტანის ზემოთ ციტირებული დახასიათების გამო ვიქტორ ნოზაძე შენიშნავს:

„ნესტანის ასეთი დახასიათება მართლაც ბრძენ კაცს ეკუთვნის; ისეთ ადამიანს, რომელიც მაღალი არის თავის გონებით[,] მაღლად მხედია, ამ სოფლის საქმეებზე მაღლა მყოფია; რომელს მხიარულება – ლხინად არ მიაჩნია; არც ზედა-ზედ თავზე დამტყდარ ჭირს არაფრად აგდებს; უბედურება და ბედი მისთვის ზღაპარი არის; სხვაგან არის,

სხვაგან მიფრინავს მისი ფიქრი, და გონება აქვს ტრედივით წყნარი, მშვიდიო. ნესტანი აქ აღწერილია ნამდვილ ბრძენად, როგორც ბრძენი” (ნოზაძე 1976: 56).

აშვარაა, რომ შოთა რუსთაველი მამაკაცისა და ქალის თანაბარ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს აღიარებს, ანუ გენდერული საკითხის ამ ასპექტს იგი ფილოსოფიის პლატონის თვალთასედვით უყურებს და არ იზიარებს არისტოტელეს „ანტიფემინისტურ“ შეხედულებას.

პლატონის „ნადიმის“ პერსონაჟი ქალი ბრძენი დიოტიმა, სოკრატეს მასწავლებელი, თუ არ აჭარბებს გონებრივი შესაძლებლობების მხრივ მამაკაცებს, არ ჩამოუვარდება მათ. ხოლო თავის სხვა თხზულებაში – „სახელმწიფოში“ – პლატონი იმ იდეას ავითარებს, რომ ქალებს ისე-თივე ნარმატებით შეუძლიათ მართონ ქვეყანა, როგორც მამაკაცებს. პლატონს სწამდა ქალების გონებრივი შესაძლებლობებისა, თუკი ისინი მამაკაცებისდარ განათლებას მიიღებდნენ.

რაც შეხება არისტოტელეს, გასაოცარია, რომ ეს სხვაფრივ უაღრესად ჭკვიანი ადამიანი, გენდერულ საკითხში ყოვლად მცდარ თვალსაზრისაზე იდგა. ის დარწმუნებული იყო, რომ ქალს რაღაც აკლდა, მისი აზრით, ქალი „არასრულყოფილი (დაუსრულებელი) კაცი“ იყო. მისი ეს თვალსაზრისი დიდი უბედურებაც არ იქნებოდა, მისსავე თვალსაზრისად რომ დარჩენილიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, შუა საუკუნეებში ქალის ინტელექტუალური შესაძლებლობების შესახებ შეხედულების ჩამოყალიბებაზე პლატონის კი არა, სწორედ არისტოტელეს ამ შეხედულებამ მოახდინა ზეგავლენა. სწორედ მისგან მიიღო შუა საუკუნეებმა მემკვიდრეობად მცდარი შეხედულება ქალებზე, რასაც საფუძველი არ ეძებნება ბიბლიაში. ამ ვითარებაში ძალზე საგულისხმოა ის ამბავი, რომ რუსთაველი გენდერულ საკითხში პლატონის შეხედულების გამზიარებელია იმ ეპოქაში, როცა არისტოტელეს „ანტიფემინიზმი“ იყო გაბატონებული. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

* * *

რა თვისებები უნდა ახასიათებდეს ბრძენს რუსთველის აზრით?

პოემის მიხედვით, მრავალი ძვირფასი თვისებით უნდა იყოს ბრძენი აღჭურვილი, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ორიოდეს შევხებით.

ერთ თვისებაზე ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ – არც ლხინმა უნდა დააკარგვინოს თავი ისე, რომ წუთისოფლის გაუტანლობა დაივიწყოს და არც ჭირს უნდა დაეჩიგონოს.

შემდეგ:

ერთობ საგულისხმოა, რომ რუსთველური სიბრძნისთვის მნიშვნელოვანია აგრეთვე თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა, რასაც ძნელად ახერხებს ადამიანთა უმრავლესობა (მაგალითად, გერმანელ-ამერიკელი ფილოსოფოსის ჰერბერტ მარკუზეს [1898-1979] აზრით, „არ არსებობს ნიადაგი, რომელზედაც თეორია და პრაქტიკა, აზროვნება და ქმედება ერთმანეთს შეხვდებოდნენ“ („Es gibt keinen Boden, auf dem Theorie und Praxis, Denken und Handeln zusammenkommen“. – მარკუზე 2005: 15). პოემაში რამდენჯერმე ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ადამიანმა თავის მოღვაწეობაში უნდა გააუქმოს წინააღმდეგობა თეორიასა და პრაქტიკას შორის, თეორია პრაქტიკად უნდ იქცეს.

ბრძენთაგან ალიარებულ დებულებებს შეახსენებს ავთანდილი წერილში როსტევანს მეგობრის მისაშველებლად გაპარვის წინ:

კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა;
მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, ბლატონისგან სწავლა-თქმულსა:
„სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“.

(რუსთაველი 1988: 123)

ფოლოსოფოსები ასე გვასწავლიან, მაგრამ ბრძენთა შეგონების ცოდნა ერთია, ხოლო ამ ცოდნის მიხედვით მოქმედება, ამ ცოდნის პრაქტიკულად განხორციელება – მეორე, ამიტომ „არა ვიქ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა“-ო, – მიმართავს ავთანდილი სიუზერებს (რუსთაველი 1988: 123). (ამავე აზრს გოეთე „ვილპელმაისტერში“ ასეთნაირად გამოთქვამს: „არ კმარა ცოდნა, [მისი] გამოყენებაც უნდა შეგვეძლოს“ („Es ist nicht genug zu wissen, man muss auch anwenden“. – გოეთე 1981: 484).

ბრძენთა შეგონებების არამარტო ცოდნა, არამედ მათი პრაქტიკულად განხორციელებისკენ მონოდება, თეორიასა და პრაქტიკას შორის წინააღმდეგობის მოხსნა იმდენად მნიშვნელოვანია „ვეფხისტყაოსნის“ ავტორისთვის, რომ იგი ამ აზრს იმავე პერსონაჟის პირით სხვაგანაც იმეორებს, კერძოდ, ტარიელთან საუბრისას ავთანდილი ამბობს:

არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქ ბრძენთა თქმულსა,
არ იხმარებ, რა ხელსა ჰქონდი საუნჯესა დაფარულსა?
(რუსთაველი 1988: 139)

პრობლემა, რომელიც აქ არის დასმული და, რაც მთავარია, მართებულად გადაჭრილიც, დღემდე მეტად აქტუალურია.

1793 წელს იმანუელ კანტმა დაწერა პოლემიკური ნაშრომი სათაურით „გავრცელებული გამონათქვამის თაობაზე: ეს შესაძლოა სწორი იყოს თეორიულად, მაგრამ არაფრად ვარგა პრაქტიკაში“ („Über den Gemeinspruch: Das mag in der Theorie richtig sein, taugt aber nicht für die Praxis“), რომელშიც ფილოსოფოსი თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობას იცავს.

ცოტა ხნის წინ გარდაცვლილი გერმანელი სწავლული ჰაინრიხ მიულერ-მერბახი 2010 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში, რომელსაც ასე-თი სათაური აქვს „თეორია და პრაქტიკა – მეგობრები თუ მტრები?“, წერს:

„[ერთმანეთისადმი] უპატივცემლობის გამოსახატავად ერთნი იყენებენ სიტყვას „თეორეტიკოსი“, მეორენი კი სიტყვას „პრაქტიკოსი“. ეტყობა, ეს 200 წლის წინათაც ასე იყო, როცა იმანუელ კანტმა (1724-1804) დაწერა სახელგანთქმული ესეი სათაურით „გავრცელებული გამონათქვამის თაობაზე: ეს შესაძლოა სწორი იყოს თეორიულად, მაგრამ არაფრად ვარგა პრაქტიკაში“. კანტი ორივე მხარეს, პრაქტიკოსთა მოძულებებსაც და თეორეტიკოსთა მოძულებებსაც აიძულებს სარკეში ჩაიხედონ, რათა დაინახონ რაოდენ უგუნურია მათი ცალმხრივი თვალსაზრისი. თეორია არ არის „ანტიპრაქტიკა“, არ არის პრაქტიკაზე ამაღლებული რამ, არ არის პრაქტიკისგან განდგომა“ (მიულერ-მერბახი 2010: 34).

ზუსტად ამავე აზრის არის მე-12 საუკუნის ჩვენი პოეტიც.

* * *

უაღრესად მნიშვნელოვანია ის ამბავიც, რომ რუსთაველის სიბრძნე მოვლენებისადმი დიალექტიკურ მიმართებას გულისხმობს. (მოვლენებისადმი დიალექტიკურ მიმართება გვესმის როგორც ფორმალური ლოგიკის ინერციის დაძლევა აზროვნებასა და ქმედებაში).

მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი დიდი ინტერესით აკვირდება ნეგატიურობის პრინციპის მოქმედებას. „ჰეგელის მიხედვით, დიალექტიკური აზროვნება არსებითად იმგვარი აზროვნებაა, რომლისთვისაც ნეგატიურობის პრინციპი ისეთივე ფუძემდებლური ძალის მქონეა და ისეთივე ნამდვილია, როგორიც პოზიტიურობის პრინციპი“ (დიმერი 1976: 17).

ეს მსოფლალქმა, რომელიც ე. წ. „საღ აზრს“ ენინაალმდეგება (რის გამოც იგი ესოდენ იშვიათია კაცობრიობის ისტორიაში) მთელ პოემას განსჭვალავს და ხშირად პარადოქსული აფორიზმების სახით არის გამოთქმული: „რასაცა გასცემ შენია, რასც არა დაკარგულია (რუსთაველი 1988: 16), „ღმერთმან ერთი რათ აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს“ (რუსთაველი 1988: 50), „მაშა ლხინსა ვინ მოიმეის პირველ ჭირთა უმუშავო?“ (რუსთაველი 1988: 136) და სხვ. და სხვ.

ერთობ მკაფიოდ და თანაც მაღალმხატვრულად არის განმარტებული ნეგატიურობის პრინციპის ფუძემდებლური როლი ვარდის პარაბოლაში:

ვარდსა ჰკითხეს: „ეგზომ ტურფა რამან შეგქმნა ტანად, პირად? მიკვირს, რად ხარ ეკლიანი? პოვნა შენი რად არს ჭირად?“
მან თქვა: „ტკბილსა მწარე ჰპოვებს, სჯობს, იქმნების რაცა ძვირად: ოდეს ტურფა გაიეფდეს, არღარა ღირს არცა ჩირად“. (რუსთაველი 1988: 136)

აქ ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს ეკლის აპოლოგია – აქ ეკალი მნიშვნელობით არსებითად ვარდს უთანაბრდება, თუმცადა, ცხადია, მინუს ნიშნით.

ამ პარაბოლით გამოთქმული სიბრძნე დიალექტიკური ხასიათისაა და იგი დაპირისპირებულთა ურთიერთგამსჭვალვის კანონს ემყარება, რაც ფორმალური ლოგიკის პოზიციიდან გაუგებარია, მაგრამ სინამდვილის ღრმად წვდომის შედეგია და უკეთ ასახავს რეალობას, ვიდრე „საღი აზრი“.

თანმიმდევრულ და ღრმა დიალექტიკურ აზროვნებას უკავშირდება პოემის ავტორის დაკვირვება დადებითი სტრუსორის უარყოფითი ზემოქმედების შესახებ, როდესაც მეტისმეტად სასიხარულო შეტყობინების მიწოდებასთან გვაქვს საქმე. ეს მკაფიოდ ჩანს ორ აფორიზმში, რომლებზეც ყურადღება მიგვაქცევინა მაა ცერცვაძემ, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდით (ცერცვაძე 2016: 17). ორივე აფორიზმი იმ ეპიზოდში გვხვდება, სადაც მოთხოვნობილია, თუ როგორ აუწყავთანდილმა ტარიელს ნესტანის პოვნის თაობაზე.

ავთანდილი წინდაუხედავად მოიქცა, სულმა წასძლია და მეგობარს შეხვედრისთანავე სასწრაფოდ გაუმხილა ნესტანის პოვნის ამბავი („მის ამბვისა დაყოვნება ველარ გასძლო, აუჩქარდა“. – რუსთაველი

1988: 205), თან სატრფოსგან გამოტანებული ნიშანიც აჩვენა, იმ რიდის ჩამონაჭერი, რომელიც ტარიელმა ერთ დროს სახსოვრად გაუგზავნა ნესტანს ასმათის ხელით. ამ აჩქარებამ კინაღამ საბედისწერო შედეგი გამოიღო: მეტასმეტი სიხარულისგან ტარიელმა გონება დაკარგა („სულნი გაექცეს, მოდრიკა თავი გიშრისა ტალამან“. – რუსთაველი 1988: 205), ავთანდილი მიხვდა, რა შეცდომაც მოუვიდა და თავპედი იწყევლა ამის გამო:

პირსა იხოქს, ღანკვადა სისხლი ჩასდიოდა მისსა მჯვრეტსა:

„რაცა ვქმენო, არ უქმნია არცა შმაგსა, არცა რეტსა;

ნყალი სწრაფით რად დავასხი ცეცხლსა, ძნელად დასაშრეტსა!“

და აქ თვითკრიტიკულად განწყობილი ავთანდილი ერთობ საყურადღებო რამეს ამბობს:

ჩქარად ეცხს, ვერ გაუძლებს გული ლხინსა მეტის-მეტსა.

(რუსთაველი 1988: 206)

ძლიერ მოასულიერა ავთანდილმა მეგობარი ტარიელისვე მოკლული ლომის სისხლის გულზე პკურებით.

(ამ ეპიზოდს ღრმად აანალიზებს თამაზ ვასაძე:

„ავთანდილის მიერ ნესტანის რიდის და წერილის ნაჩქრევად გამოჩენა ტარიელს გონებას აკარგვინებს. ავტორი დაგვანახვებს, რა ძლიერია ადამიანში ირაციონალური საწყისი – ავთანდილი, ასეთი წინდახედული, თავშეკავებული, გონიერი და გონიერებისკენ ტარიელის მომწოდებელი, უძლურია ემოციური იმპულსის წინაშე, სწრაფად ამცნოს სასიხარულო ამბავი მეგობარს (...).“

ადამიანის „გულის“ ირაციონალურობა მკეთრად ვლინდება იმაშიც, რაც ტარიელს ემართება – ეს კაცი ტანჯვამ ვერ მოკლა და შეიძლება აბსურდულად მოკლას სიხარულმა. რუსთაველი ადამიანს უყურებს როგორც გამოცანას, როგორც პარადოქსულ არსებას, რომელიც თვით ბედნიერებამაც შეიძლება დატანჯოს (...). ეს განპირობებულია ადამიანის ფსიქიკის სირთულით (...). ადამიანის ბუნების პარადოქსულობაზე ავტორი საგანგებოდ მჯელობს: „ზამთარი ვარდთა გაახმობს, ფურცელნი ჩამოსცვივიან, ზაფხულის მზისა სიახლე დასწვავს, გვალვასა ჩივიან, მაგრა მას ზედა ბულბულნი ტურფასა ხმასა ყივიან, – სიცხე სწვავს, ყინვა დააზრობს, წყლულნი ორჯელვე სტკივიან“ (...).

ცხოვრებამ ავთანდილს კიდევ ერთი მკაცრი გამოცდა ჩაუტარა, ადამიანის ყოფიერების ამოუწურავ სირთულეს კვლავ შეაჯახა. ტარი-ელთან ურთიერთობის მეშვეობით ის ამჯერადაც ეზიარება ადამიანის არსების ღრმა და მნიშვნელოვან მხარეებს. ამავე დროს ავთანდილი თავისთავსაც მოულოდნელი კუთხით ხდავს, თვითშეცნობის პროცესს აგრძელებს. ჩვენც ამ თითქოსდა სრულყოფილ პერსონაჟს სხვაგვარად აღვიძევამთ – იგი თავისუფალი არ არის ჩვეულებრივი სისუსტისგან, რაც კი არ აკნინებს, არამედ სიმპათიურობას მატებს მას, ადამიანურად უფრო მომხიბლელს ხდის“. – ვასაძე 2011:367-368).

ახლა წავიკითხოთ ერთი ადგილი გამოჩენილი კანადელი ენდოკრინოლოგის, მე-20 საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერის, სტრესების თეორიის შემქმნელის ჰანს სელიეს წიგნიდან, რომლის სათაურია „სტრესი დისტრესის გარეშე“:

„სტრესი არის ორგანიზმის არასპეციფიკური პასუხი მის მიმართ წაყენებულ ნებისმიერ მოთხოვნაზე (...).“

სტრესული რეაქციის თვალსაზრისით მნიშვნელობა არა აქვს სასიამოვნოა თუ უსიამოვნო ვითარება, რომელსაც შევეჩეხეთ. მნიშვნელობა აქვს მხოლოდ გადაწყობისა და ადაპტაციის მოთხოვნის ინტენსიურობას“ (სელიე 1982: 27). ამის ნათელსაყოფად სელიეს ასეთი მაგალითი მოჰყავს:

„დედა, რომელსაც შეატყობინეს, რომ მისი ერთადერთი ვაჟი ომში დაიღუპა, განიცდის საშინელ სულიერ ძრნოლას. თუ მრავალი წლის შემდეგ ალმოჩნდება, რომ ცნობა მცდარი ყოფილა და შვილი საღსალამათი შემოვა ოთახში, დედას უძლიერესი სიხარული დაეუფლება. ამ ორი მოვლენის სპეციფიკური შედეგი – მწუხარება და სიხარული – სრულიად განსხვავებული, მეტიც, ურთიერთსაპირისპირიც კი არის, მაგრამ მათი სტრესორული ზემოქმედება – არასპეციფიკური მოთხოვნილება ახალ ვითარებასთან შეგუებისა – შეიძლება ერთნაირი იყოს“ (სელიე 1982: 27-28).

ჰანს სელიეს თეორიის ერთ-ერთი ღირსება ის არის, რომ მისი საშუალებით ბევრი ფიზიოლოგიური პროცესი ახალი კუთხით იქნა დანახული, ნათელი მოეფინა ბევრ ბუნდოვან საკითხს.

ჰ. სელიეს უდიდესი ალმოჩენა ისაა, რომ თურმე როგორც დადებით, ასევე უარყოფით ემოციებზე ადამიანის ორგანიზმი ერთნაირად რეაგირებს (ამას ნიშნავს „ორგანიზმის არასპეციფიკური პასუხი მის მიმართ წაყენებულ ნებისმიერ მოთხოვნაზე“), კერძოდ, ყველა შემთხვევაში საჭირო ხდება შეგუება, რაზედაც იხარჯება სასიცოცხლო ენერგიის ნაწილი, რომელიც მერე აღარ აღდგება. ამით ადამიანის

მრავალფეროვან ემოციებს ჰ. სელიემ „საერთო მნიშვნელი“ მოუნახა, რასაც დიდი პრაქტიკული ღირებულება აქვს მედიცინაში.

ეს ეპოქალური მიგნება კარგა ხანს გაუზიარებელი რჩებოდა. ჰ. სელიე წერს: „მედიცინა დიდხანს არ ცნობდა ასეთი სტერეოტიპული პასუხის არსებობას. უაზრობას ჰგავდა ის ამბავი, რომ სხვადასხვა ამოცანა, ფაქტობრივად, ყველა ამოცანა, ერთნაირ პასუხს ითხოვს“ (სელიე 1982: 28).

რუსთაველმა შესანიშნავად იცის ეს ყოველივე.

ზემოთ ციტირებულ დაკვირვებას – „ჩქარად ეცეს, ვერ გაუძლებს გული ლხინსა მეტის-მეტსა“ – მალევე, სამი სტროფის შემდეგ, მოსდევს ამ აზრის განმამტკიცებელი აფორიზმი:

სიცხე სწვავს, ყინვა დააზრობს, წყლულნი ორჯელვე სტკივიან.
(რუსთაველი 1988: 206)

„წყლულნი ორჯელვე სტკივიან“ სელიეს ტერმინოლოგიით იქნება ორგანიზმის არასპეციფიკური (სტერეოტიპული) პასუხი ურთიერთსაპირისპირო მოვლენების მიერ ორგანიზმისთვის წაყენებულ მოთხოვნებზე. კონტექსტის გათვალისწინებით, ამ აფორიზმში „სიცხე“ მეტაფორულად დიდ სიხარულს გამოხატავს, ხოლო ყინვა – დიდ მწუხარებას. ესენი ურთიერთსაპირისპირო განცდებია, მაგრამ მათი სტრესორული ზემოქმედება – არასპეციფიკური მოთხოვნილება ახალ ვითარებასთან შეგუებისა – ერთნაირია.

ეს აფორიზმი ხატოვანი ფორმით გვეუბნება იმასვე, რასაც ჰანს სელიე სხვა ადგილას ამ სიტყვებით გადმოსცემს:

„ყველაფერი, სასიამოვნო და უსიამოვნო, რაც სიცოცხლეს ინტენსიურობას ჰმატებს, სტრესის (ორგანიზმის ცვეთის) დროებით გაძლიერებას იჩვევს. მტკივნეული დარტყმა და ვნებიანი კოცნა შესაძლოა ერთნაირად სტრესული იყოს“ (სელიე 1976: 137).

დამოწმებანი:

გოთე 1981: Goethes Werke in zwölf Bänden, 7. Band. Berlin und Weimar: Aufbau-Verlag, 1981.

დიმერი 1976: Diemer, A. *Elementarkurs Philosophie. Dialektik*. Düsseldorf . Wien: Econ Verlag, 1976.

ვასაძე 2011: შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. ტექსტის კომენტარების და ანალიტიკური გზამკვლევის ავტორი თამაზ ვასაძე. თბილისი: „დიოგენე“, 2011.

კვატაია 2004: კვატაია მ. „ვიქტორ ნოზაძის „ვეფხისტყაოსნის სიპრძნისმეტყველება“. კრებულში: „სული – მარად საქართველოზე მაფიქრალი“. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2004.

მარკუზი 2005: Marcuse, H. *Der eindimensionale Mensch*. Studien zur Ideologie der fortgeschrittenen Industriegesellschaft. Aus dem Englischen von Alfred Schmidt. 5. Auflage. München: Deutscher Taschenbuch Verlag, 2005 // ელექტრონული ვერსია: https://www.dtv.de/_files_media/title_pdf/leseprobe-34084.pdf

მიულერ-მერბახი 2010: Müller-Merbach, H. Theorie und Praxis – Feinde oder Freunde? // Zeitschrift „Technologie & Management“, 04.2010. // ელექტრონული ვერსია: http://www.vwi.org/uploads/media/2010_04_Theorie_und_Praxis.pdf

ნოზაძე 1976: ვიქტორ ნოზაძე. სიპრძნისმეტყველება. ჟ. კავკასიონი, № XVIII, 1976.

რუსთაველი 1988: შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. თბილისი: „მეცნიერება“, 1988.

სელი 1976: Selye, H. *Stress without Distress. Psychopathology of Human Adaptation*. New York: Springer Science + Business Medis, 1976.

სელი 1982: Селье, Г. *Стресс без дистресса*. Москва: Издательство «Прогресс», 1982.

ცერცვაძე 2016: ცერცვაძე მ. ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფიქრები. ჟ. ანერლი, № 3. 2016.

IRINE MODEBADZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

“The Knight in the Panther’s Skin” of the XXI Century Interpretations of Postmodern Era

In the 1970s formation of a new cultural paradigm was obvious. The paradigm was called the Postmodern. Unlike the époque of Modern, the postmodern consciousness does not deny the achievements of the past, but its fundamental thesis – ‘Everything is acceptable!’ implies fluctuation of any paradigm.

The new trend extended to the translation practice and translated text in the 21st century is distinguished with its attempt to develop new strategies of translation.

The paper analyzes 5 new Russian translations of “The Knight in the Panther’s Skin”, published in recent years. Particular attention is paid to the interpretative innovations of the poem as well as experimental attempts of unification of translation strategies and innovative publishing technologies.

Key words: Shota Rustaveli, Russian translations, Postmodern Era.

ИРИНЭ МОДЕБАДЗЕ

Грузия, Тбилиси

Институт грузинской литературы им. Шота Руставели

Руставелиана XXI века: интерпретации эпохи постмодерна

Вступление

Темой нашей сегодняшней беседы являются изданные в XXI веке новые переводы поэмы Шота Руставели «Вепхисткаосани», более известной русскоязычному читателю как «Витязь в тигровой шкуре». Однако прежде чем перейти к рассмотрению специфики этих переводов хотелось бы отметить, что русская Руставелиана насчитывает уже более полутора веков, на протяжении которых сложились определенные традиции перевода поэмы.

Впервые русскоязычный мир узнал о существовании «грузинской поэмы» в начале XIX века из книги писателя-богослова, префекта Александро-Невской Лавры Евгения Болховитинова «Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии» (СПб., 1802г.), в которой подробно описана поэма (см.: К истории...2007: 390). Через 2 года (в 1804 г.) труд Е.Болховитинова был переведен на немецкий язык. Он «сыграл важную роль в выработке взглядов о Руставели как в России, так и за рубежом» (Имедашвили 1957: 5). Сведения из этого труда (об эпохе царицы Тамар и о самом произведении) были использованы Я.Лангеном в его «Описании Кавказа с кратким историческим и статистическим описанием Грузии» (на русском языке труд издан в 1805г.) и Н.М. Карамзиным в «Истории государства Российского» (1818 г., т. VI).

В 50-ых годах XIX века появляются публикации первых переводов на русский язык отрывков из поэмы. Это переводы И.Бардтинского «Тариэль.

Барсова кожа» (в петербургском художественно-литературном журнале «Иллюстрация» №№ 6-7 за 1845г.) и И.Евлахова (в газете «Кавказ», в №15 за 1846г.). Тогда же в критике разгорелась острая полемика по поводу того, что важнее сохранить при переводе – «дух» или форму? Споры сразу же обрели общетеоретический характер. В частности, в рецензии на публикацию отрывка из III главы поэмы в переводе И.Евлахова составитель «Грузино-русского словаря» проф. Д.И.Чубинашвили, подготовивший подстрочник для частичного перевода И.Бардтинского, писал: «Чтобы перевести «Вепхисткаосани» хорошо и достигнуть классической цели труда, надо сохранить в переводе все отличительные свойства подлинника: перевести иначе, значит пересказать только содержание поэмы. Силу впечатлений оригинала составляет, конечно, содержание его драмы, но рассказ драмы, облеченный в одежду мыслей, выражаящих современность, в гармонию звука и игру фраз, свойственных языку и вкусу, наконец, в теплоту и наивность, с которыми оне связаны действующим лицом и переданы автором. Отнимите все это – останется труп. Автор исчезнет в изуродованной пародии своего творения, и что же приобретет словесность? – ничего...» (Чумбуридзе 2003: 106-107) На что переводчик возражал: «Дело не в буквальности перевода, но в том чтобы усвоить мысль, чувство, картиность и красоту слова подлинника, переплавить все это в горниле поэтической души и выпить с теми же достоинствами в естественные формы языка, которому усвоем творение. Вот задача для переводчиков!» (Чумбуридзе 2003: 108).

На сегодняшний день известно уже более шестидесяти русскоязычных переводов (включая прозаические и частичные), в том числе десять полных поэтических переводов. Это общеизвестные: К.Бальмонта – 1933г., Г.Цагарели – 1937г., П.Петренко – 1938г., Ш.Нуцубидзе – 1941г., Н.Заболоцкого – 1958г.; малоизвестные (современные) – Г.Девдариани – 2004г., А.Халвashi – 2015г., а также, опубликованные лишь частично переводы Н.Мзареулова (Реулло), К.Ованова и неопубликованный – В.Джорджикия (см.: Андгуладзе 1969). Большинство переводов было создано в XX веке, но на рубеже ХХ-XXI веков внимание переводчиков к поэме Руставели значимо активизируется.

В научной литературе неоднократно высказывалась мысль о том, что, поскольку каждый перевод дает лишь частичную интерпретацию оригинала, переводы подвержены «старению» не только в языковом плане, но и в плане представленных в них интерпретаций: любое серьезное изменение

общекультурной ситуации и связанная с ним эволюция литературных традиций ведет к трансформации переводческих норм и оказывает существенное воздействие на представление об адекватности перевода.

Великие произведения содержат множество смыслов, и добиваясь максимальной близости к оригиналу, каждый переводчик прежде всего определяет приоритеты – что представляется ему наиболее важным в переведимом тексте? Все они по-своему передают ритм, дух и стиль поэмы, но при этом что-то «теряют» в зависимости от того, на какой именно из этих составляющих было сконцентрировано основное внимание. Соблюдение главного принципа переводческой деятельности (близость к оригиналу) оказывается в прямой зависимости от выбора переводчика, и именно здесь наиболее явно проявляется его творческое и личностное «Я». Нередко при этом имеет место процесс реконструкции «скрытых смыслов», подразумевающий не только историко-грамматическую, но и «интуитивную реконструкцию» (термин Ф.Шлейермахера). В итоге созданный переводчиком «новый текст» всегда содержит отпечаток мировоззренческих и эстетических установок сознания переводчика, его творческого «Я», которое испытывает влияние философско-эстетических норм эпохи создания перевода.

I. Постмодерное сознание и переводческая деятельность

Наша эпоха – это сложное, во многом противоречивое явление. В зависимости от ракурса исследований ее обычно характеризуют как *постиндустриальное общество, информационное общество, общество потребления, массовое общество* или как *эпоху глобализации*. Говоря же о специфике культурных отношений нашего времени, мы привычно апеллируем к понятию *эпоха постмодерна*. Маркеры смены культурной парадигмы (модерн → постмодерн) становятся явными к 70-ым гг. прошлого века. В отличие от модерна, постмодерн не декларирует отказа от принципов предыдущей эпохи, однако сознание личности эпохи постмодерна характеризует полная раскрепощенность: в нем «глубоко укореняются принципы плюрализма, децентрации, фрагментарности, которые базируются на принципе разнообразия» (Радугин ... 2014: 89). Соответственно, для постмодерного сознания становятся невозможными «стандартные решения и действия». Ведущим становится принцип:

«Приемлемо все!», что, в конечном итоге ведет к полному отказу от нормативов и канонов любого типа.

В переводческой деятельности новый тип мироощущения проявляется довольно-таки поздно – к концу XX века, что с учетом специфики переводческой деятельности представляется вполне закономерным, особенно в т.н. постсоветском пространстве, ареал которого занимает особое место на современной культурной карте человечества. После распада Советского Союза в этой части света ко всем вышеназванным процессам добавляется активизация процессов самоидентификации, поисков новой (не советской) культурной идентичности (образование новых культурных сообществ), выработки новых принципов существования различных культур во вновь образованных независимых государствах, которым сопутствует обострение межнациональных и этнических противоречий. Соответственно резко возрастает необходимость межкультурного диалога и поисков взаимопонимания.

На протяжении многих веков именно перевод, будучи неотъемлемой частью межкультурной коммуникации, способствовал созданию единого пространства общечеловеческой культуры*. В активном словаре современного грузинского языка перевод так и называется – თარგმანი / targmani/. Сама лексема явно указывает на еще более древнее иудейское «таргумим». «У иудеев уже ко времени Эздры (сер 5 в. до Р.Хр.) возник обычай публично читать Пятикнижие, а затем отрывки из Пророков, чтение сопровождалось переводом текста на народное наречие. Отсюда возникли халдейские, вернее, еврейско-арамейские переводы (таргумим)...» (Православная...1993: 230). Таким образом, «таргумим» – это перевод, вернее, толкование/объяснение. Это древнее слово пронесло сквозь века устойчиво зафиксированную в культурной ментальности различных народов суть понятия: основная функция перевода – это объяснить. В древности на Руси переводчики называли «толмач», т.е. толкователь чужих мыслей. Толковый «Словарь грузинского языка» XVII в. также объясняет слово თარგმანი / targmani/ (перевод) как «толкование иносказательного слова» (Орбелиани 1993: 301). В наше время «объяснить» – это прежде всего облегчить читателю *понимание другого как иного*, но не чужого при всей его инаковости. Соответственно, наблюдаются колебания в сетке переводческих приоритетов – на первый план выдвигается герменевтическая функция перевода – *понимание текста оригинала*.

* Об истории теоретического осмыслиения перевода в Грузии см.: (Модебадзе... 2008: 116-121).

Следует особо оговорить, что грузино-русская переводческая деятельность изначально жестко нормировалась позицией принимающей культуры, т.е. все переводимые тексты подвергались значительной доместикиции (культурной адаптации) в соответствии со спецификой рецепции русского читателя. Кроме того, в советскую эпоху на переводчиков оказывала определенное воздействие государственная издательская политика (система госзаказов) и определенные государственной идеологией идейно-художественные нормативы, что отразилось и на вариативности интерпретации текста оригинала.

В отличие от советской эпохи в изданиях XXI в. полностью раскрылась раскрепощенность постмодерного сознания: вместо «ознакомления советского читателя с памятником грузинской культуры» переводческим приоритетом в наше время становится стремление заменить знание о поэме *пониманием* текста оригинала.

Знаменательно, что желанием *открыть* читателю смысловое богатство поэмы движимы и российские издатели: в частности, по редакторскому проекту писателя, поэта и переводчика Натальи Соколовской был осуществлен уникальный российско-грузинский проект, результатом которого явилось 2 переиздания поэмы:

2007 г. – двухтомник-билингва «Витязь в тигровой шкуре» (Вита Нова, Санкт-Петербург);

2014 г. – «Вепхисткаосани (Витязь в тигровой шкуре). Подлинная история» (изд-во «Симпозиум»).

Уверенные в том, что «до недавних пор эта книга <...> в России оставалась одним из самых известных, но не прочитанных литературных памятников, потому что, несмотря на титанический труд поэтов-переводчиков, многие важные смыслы остались за пределами русских стихотворных версий»*, издатели опубликовали не поэтический, но приравненный к подстрочнику прозаический перевод Сол. Иорданишвили (1933)**, сопроводив его научным аппаратом***, который призван помочь читателю преодолеть культурный и хронологический барьеры и открыть утраченную в период господства советского госатеизма философско-религиозную глубину смыслового богатства поэмы.

* Из рекламной аннотации: <https://www.livelib.ru/book/1001108115>

** Перевод был отредактирован и издан в 1966 г. Этим текстом в качестве подстрочкиника (рукописным оригиналом «Самиздата» и изданием 1966 г.) пользовались многие переводчики XX в., не знавшие древнегрузинского языка.

*** *Предисловие* Т.И.Чиладзе, *Послесловие* и *Комментарии* Н.В.Сулава, *Примечания* И.И.Модебадзе.

Издательское кредо отражено даже в заглавии книги – *Подлинная история*. И если двухтомник 2007 года вышел в дорогостоящем подарочном формате, то издание 2014 года ориентировано на самый широкий круг читателей*.

Особо следует отметить новизну стиля иллюстрирования издания. История иллюстрирования поэмы наглядно подтверждает высказанный нами тезис – трансмутация – перекодировка текста с вербального на визуальный канал восприятия – во многом зависит от общекультурных установок эпохи создания иллюстраций. Так в XVII в. Мамука Тавакарашвили создает иллюстрации в стиле персидских миниатюр; в созданных на рубеже XIX-XX вв. картинах Мих. Зичи, подчеркивающих «восточность» поэмы, можно уловить отголоски ориенталистских установок. Свойственный началу прошлого века отблеск неуловимой таинственности отличает картины Ладо Гудиашвили, работы же советской эпохи, при всем их многообразии характеризуются или монументальной реалистичностью, или тяготеют к сказочности, чтоозвучно восприятию поэмы советским читателем. Интересный факт – выполненные нежной пастелью картины Серго Кобуладзе (1935-1937), как правило, издавались в чернобелом варианте, что значимо меняло их эмоциональную окраску. Иллюстрации же, выполненные в XXI веке Лореттой Абашидзе-Шенгелия, не вписываются ни в один из этих канонов: налицо нарушение устоявшихся нормативов рисунка, смелое экспериментирование цветом, полная раскрепощенность творческого воображения, что, вместе взятое, придает совершенно особую ауру современному прочтению поэмы и полностью отвечает замыслу издателей – разбить устоявшийся канон восприятия поэмы и поведать русскоязычному читателю «истинную историю» героев Руставели:



* Сравним стоимость книг к моменту написания статьи: номерной экземпляр двухтомника в кожаном переплете издательства Вита Нова – 24 200 руб. (около 374 \$ США или 335 евро), а экземпляр издательства «Симпозиум» – 639 руб. (около 10 \$ США или 9 евро).

II. «Вепхисткаосани»: интерпретации XXI века

В Грузии в XXI века издано 5 новых текстов поэмы русском языке: два полных поэтических перевода (Г.Девдариани – 2004 г., А.Халвashi – 2015 г.), один частичный перевод (К.Гулиашвили – 2015 г.), один краткий (2014 г.) и один адаптированный для юношества (2011 г.).

Полные поэтические переводы поэмы роднит то, что их создатели, не являясь профессиональными поэтами-переводчиками, движимы единым стремлением – «переломить» созданную грузинской наукой парадигму восприятия текста Руставели.

Как известно, скучность свидетельств о биографии поэта XIIв., окружив его имя будоражащим воображение ореолом тайны, породила множество легенд и домыслов. Переводя поэму, **Георгий Девдариани** много размышлял о личности Руставели. «Не скрою, во время работы у меня сложилось свое представление об облике поэта: он виделся мне молодым человеком с одухотворенным лицом, высоким челом мыслителя и лучезарным взглядом, поэтом, умеющим постигать красоты этого бренного мира и облекать их в поэтические строфы» (Девдариани 2004: 8), – признается переводчик. В его интерпретации четко прочитывается сомнение в традиционных представлениях о Руставели: увлеченный разгадкой тайны авторского псевдонима, переводчик предлагает читателю задуматься над тем, что «исключать не следует» и очень романтичную, но ничем научно не подтвержденную гипотезу о том, что под псевдонимом «Руставели» мог скрываться влюбленный в свою кузину царевич Демна Багратиони*. Интерпретируя текст с этой позиции, он фиксирует внимание читателя на тех местах, которые могут быть истолкованы в пользу этой неканонической версии (см. Модебадзе 2012: 90-103).

Внимание **Арчила Халвashi** привлек иной спорный вопрос руствелологии – его не удовлетворял выверенный текстологами академический текст оригинала. Как известно, до нас дошли лишь довольно-таки поздние рукописи поэмы (около 180 полных и фрагментарных), в которых немало искажений и созданных интерполяторами дописок. На протяжении столетий текст поэмы постоянно уточнялся**. Вопрос об авторстве

* Демна Багратиони – сын старшего брата царя Георгия III, отца Тамар.

** Еще при подготовке первого печатного издания «Вепхисткаосани» (1712) перед ее издателем и первым комментатором царем Вахтангом VI остро стояла задача восстановления первоначального текста.

некоторых отрывков или глав поэмы нередко становился предметом острых научных полемик, и, естественно, интерпретация поэмы переводчиками во многом определялась тем, какой вариант текста был признан текстологами адекватным оригиналу к моменту создания перевода.

Профессиональный филолог, А.Халвashi задался целью создать на русском языке «полный текст поэмы, сохранившийся в рукописях XVI-XIX веков» (Халвashi 2015: 22) с соблюдением ритмики оригинала (16-сложного шири). Переводчик проделал двойную работу – составил «Критический текст оригинала», дополненный не вошедшими в академический текст отрывками, и создал его перевод. Книга издана по принципу билингва (зеркального отражения) и содержит тексты на грузинском и русском языках со сложной системой двойной нумерации строф (академического и неакадемических текстов)*. Издание дает возможность русскоязычному читателю ознакомиться с иным вариантом сюжета поэмы и составить представление о вариативности рукописного наследия Руставели.

К. Гулисашвили уже много лет живет в США. Его перевод 1-ой и 2-ой глав поэмы также ориентирован на максимальное приближение к тексту оригинала и исправление допущенных предшественниками неточностей. В этом переводе привлекает внимание тот факт, что переводчик идет по пути универсализации – адаптации текста к специфике рецепции разбросанных по всему земному шару русскоязычных читателей. Прежде всего это проявляется в лексических экспериментах – использовании синонимических рядов, составленных из лексем – маркеров различных культурных ареалов:

Ростеван – король, царь («царские руки»), государь, правитель, повелитель, владыка;

Тинатин – царевна (но не королевна), владычица;

Автандил – полководец, витязь, спаснет.

Имеются и прямые замены:

амирспасалар → *ратный министр*,

охотники → *звероловы*.

Подчеркивая таким образом универсальность геокультурного ареала поэмы, переводчик расширяет его от границ цивилизованного мира эпохи Руставели до безграничности современного мира – мира эпохи культурной глобализации.

В 1962 г. при АН Грузии была основана «Комиссия по установлению текста “Вепхискаосани”», результатом деятельности которой явились т.н. академические издания текста поэмы.

* Переводчик пользовался как текстами академических изданий, так и четырехтомника «Варианты рукописей «Витязя в тигровой шкуре», отрывки , Тбилиси, 1960-1963.

В 2014 г. издательством «Некери» (Тбилиси) была выпущена книга «Шота Руставели. Облаченный в шкуру тигра». Это краткий пересказ поэмы, выполненный в поэтической форме писателем и переводчиком **Георгием (Гугули) Кебурия**. Книга включает авторское эссе «Мир Руставели». Она украшена репродукциями иллюстраций, знакомых читателям по многочисленным изданиям XX века (С.Кобуладзе, И.Тойдзе М.Зичи) и призвана «приобщить» к грузинской культуре самый широкий круг читателей (Руставели 2014).

Особого внимания заслуживает адаптированное для юношества издание 2011 года – «Витязь в тигровой шкуре. Необыкновенное путешествие в эпоху Шота Руставели» (Витязь...2011)*. Выше мы подчеркивали, что постмодернное сознание стремится к освобожденное от любого диктата, однако коммерциализация книжного рынка диктует свои правила игры, и в этом издании проявился экспериментальный характер поисков стимулирования читательского интереса. Книга сконструирована с использованием техники



bookbuilding и представляет из себя микс краткого прозаического пересказа сюжета поэмы, отрывков из известных поэтических переводов К.Бальмонта, Ш. Нуцубидзе, П.Петренко и Н. Заболоцкого, а также написанных в увлекательной форме вставок общепознавательного характера

* Автор идеи, адаптированного и познавательного текста Рамаз Чилаиа. Книга вышла на грузинском, английском и русском языках.

об эпохе создания поэмы и мире Руставели, красочных иллюстраций, кармашков-вкладышей и встроек в стиле детских книжек с сюрпризом. Издание рассчитано привлечь внимание подрастающего поколения самых различных возрастных групп.

Выводы:

Подводя итог, можно сказать, что освобожденное от диктата социалистического канона постмодернное сознание переводчиков конца XX века стремится приобщить читателя к *пониманию* оригинала, акцентируя приоритет трансляции «духа» поэмы (и эпохи ее создания), и ради этого экспериментирует с «формой».

Переводческие эксперименты отличаются многообразием, намечается тенденция к синтезу переводческих и издательских инноваций, основная цель которых трансляция оригинала с сохранением специфики его культурной *другости* и декодировка текста с позиции *другой не чужой*, т.е. фиксируется наличие смещения в сетке переводческих приоритетов.

ЛИТЕРАТУРА:

Андгуладзе 1969: . Андгуладзе Л.Н. Неизвестные переводчики «Витязя в тигровой шкуре». *Литературные взаимосвязи*, т. II. Тбилиси: Мецниереба, 1969, стр. 366-378.

Витязь ... 2011: «Витязь в тигровой шкуре. Необыкновенное путешествие в эпоху Шота Руставели». Тбилиси: «Палитра 1», 2011.

Девдариани 2004: Девдариани Г. «*От автора перевода*». *«Руставели. Венхис ткаосани»*. Перевод Георгия Девдариани. Тбилиси, 2004.

Имедашвили 1957: Имедашвили Г. *Руствелологическая литература*. Тбилиси: «Мерани», 1957 (на груз.яз.).

К истории ... 2007: К истории русских переводов *«Венхисткаовани» – Шота Руставели. Витязь в тигровой шкуре*, книга II. СПб.: ВИТА НОВА, 2007.

Модебадзе 2012: Модебадзе И.И. «Руставели. Венхис ткаосани». Перевод Георгия Девдариани. *VI International Symposium CONTEMPORARY ISSUES OF LITERARY CRITICISM. Medieval Literary Processes*, Europe, Asia, Georgia. Proceedings. Т. I. Тбилиси: изд-во Института литературы, 2012, стр. 90 – 103.

Модебадзе ... 2008: Модебадзе, И.И., Цицишвили Т.Г. “Из истории теоретического осмысления художественного перевода в Грузии. Русский язык в начале XXI века. Проблемы развития, функционирования, преподавания”. *Материалы международной научной конференции*. Венгрия, Печ, 2008, с. 116-121.

Орбелиани 1993: Орбелиани С.-С. *Словарь грузинского языка*. т. I. Тбилиси: «Мерани», 1993 (на груз. яз.).

Православная ... 1993: «Православная богословская энциклопедия – Христианство». Энциклопедический словарь, т. I. М., 1993.

Радугин ... 2014: Радугин А. А., Гурина Е. М. *Основные характеристики эпохи постмодерна//ОНВ.2014. №5(132)стр.89*. Научная библиотека КиберЛенинка: <http://cyberleninka.ru/article/n/osnovnye-harakteristiki-epohi-postmoderna#ixzz4GGln6Shp>

Руставели 2014: Шота Руставели. *Облаченный в шкуру тигра*. Краткий пересказ в переводе с грузинского на русский язык Георгия (Гугули) Кебурия. Тбилиси: «Некери», 2014.

Халвashi 2015: Халвashi, Р. «*Витязь в тигровой шкуре* и его новый русский перевод. «Витязь в тигровой шкуре». Полная редакция. Критический текст оригинала и русский перевод Арчила Халвashi. Тбилиси: «Картули цигни», 2015.

Чумбуридзе 2003: Чумбуридзе Дж. *История грузинской критики*, т. I. Тбилиси: 2003 (на груз. яз.).

MAIA JALIASHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Reception of Rustaveli in the Creations of Georgian Symbolists

Rustaveli with his poem „The Knight in the Panther’s Skin“ and his mythological-legendary biography is powerful creative impulse for georgian symbolists, who were trying to update art world with new ideas and expression techniques. Rustaveli’s artistic thinking and his high quality artistical components was as a source of past tradition, system, they considered such experience, which is to be worth given a new context. “The writer of the future must unite Rustaveli and Malarme”, wrote Georgian Symbolist poet Titsian Tabidze and he outlined as a formula the future of Georgian poetry face.

Key Words: Rustaveli, Georgian, Symbolical, Poetry.

მარა ჯალიაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

რუსთაველის რეცეფცია ქართველ სიმბოლისტთა შემოქმედებაში

„ვეფხისტყაოსანი“ და რუსთაველი თავისი მითოლოგიურ-ლეგენ-დარული ბიოგრაფიით მძღვანელი შემოქმედებითი იმპულსია ქართველი სიმბოლისტებისთვის, რომლებსაც მხატვრული სამყაროს გადახ-ალისება-განახლების ერთ-ერთ წყაროდ წარსულის გამოცდილების ხელახალი აღორძინება მიაჩნდათ. რუსთველის პოეტიკა, მხატვრუ-ლი აზროვნების სისტემა, ტროპების მაღალი ხარისხი მათთვის იყო იმგვარი გამოცდილება, რომელიც უნდა მიეღოთ და ახალ კონტექსტში გადაემუშავებინათ. „მომავალ დიდ ქართველ მხატვარში უნდა შეხ-ვდეს რუსთაველი და მალარმე. რუსთაველი მე მესმის, როგორც ქარ-თული სიტყვის შემკრები ერთეული და მალარმე ამავე აზრით ევროპის პრეზენტიზმის და ფუტურიზმის“ (ტაბიძე 2002: 91), – ასე ფორმულა-სავით გამოკვეთა ტიკიან ტაბიძემ მომავალი ქართული პოეზიის სახე. ცისფერყანწელთა აზრით, სწორედ რუსთაველის პოეტიკის აღორძინე-ბა უნდა ყოფილიყო ქართული პოეზიის განახლების საფუძველი. მათ-თვის მოდერნიზმი ნიშნავდა „რუსთველისა და ძველი პოეტების რენე-სანს“ (გაფრინდა შვილი 2007: 53).

მეოცე საუკუნის პირველ ოცნლეულში მნიშვნელოვანი ცვლი-ლებები მოხდა ქართულ ლიტერატურაში. მოდერნისტულმა ტენდენ-ციებმა ხელი შეუწყო ახალი ესთეტიკის დამკვიდრებას. მოდერნიზმი დაუპირისპირდა ლიტერატურაში გამეფებულ „ბატონ შაბლონს“, რო-მელიც „მაღაყას გადადიოდა“ ქართულ მწერლობაში (ტაბიძე 2002: 88). ქართველმა მოდერნისტებმა უპირველეს ამოცანად სიტყვის ესთე-ტიკური ფასეულობის აღდგენა დაისახეს მიზნად. ცისფერყანწელები ფიქრობდნენ, რომ საუკუნეთა განმავლობაში წმინდა ხელოვნების გატეხილი ხერხემალი სიმბოლისტებს უნდა აღედგინათ რუსთაველთ-ან პირდაპირი კავშირით, მასთან ხიდის გადებით, ხოლო „საყრდე-ნად“ ცნობილი ქართველი პოეტი ბესიკ გაბაშვილი გამოადგებოდათ, რომელსაც რუსთველის პოეტიკის ლირსეული მემკვიდრედ მიიჩნევდ-ნენ. ცისფერყანწელები ასაბუთებდნენ იმ კავშირს, რომელიც არსე-ბობდა სიმბოლიზმა და ნამდვილ ქართულ პოეზიას შორის (რუსთვე-

ლიდან ბესიკამდე). „ინდივიდუალიზმი, თავისუფლება შემოქმედების, ხელოვნების თვითმიზნობა, რომელსაც დღეს ქადაგებს ეს სკოლა (სიმბოლისტების), საქართველოსთვის ახალი არ არის. რუსთველისა და ბესიკის შემდეგ ამის მტკიცება თითქოს გაუგებრობაა“, – წერდა ტიცან ტაბიძე (ტაბიძე 2002: 95). ქართველი მოდერნისტები არც იმას ივინწყვბდნენ, რომ XX საუკუნის ადამიანი განსხვავდებოდა ძველი საუკუნეების ადამიანისგან ცხოვრების წესით, მსოფლმხედველობით, ცნობიერებით, გარემოს აღქმით – ყოველივე ეს კი გავლენას ახდენდა კულტურაზე. ახალმა ცხოვრებამ ხელოვნებასაც ახალი პერსპექტივები გაუჩინა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ „ძველი ქართული პოეტიკა“ იყო ნიუიერი ნიადაგი და წყარო მოდერნიზმისთვის. ცისფერყანწელები ფიქრობდნენ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ „საქართველომ შეკრიბა მთელი თავისი მხატვრული ენერგია“ (ტაბიძე 2002: 95), მათი შემოქმედებაც გამოირჩეოდა, „შემოქმედების ინტენსივობითა“ და „მხატვრული ენერგიით“. მათვის მთავარი იყო შეექმნათ ახალი პოეზია, როგორც სტეფან მალარმე იტყოდა, შეექმნათ იმგვარი „ლექსი, რომელიც გადაადნობს სიტყვებს ახალ, მთლიან სიტყვად, სიტყვა – შელოცვად, იწვევს საკვირველ შეგრძენებას – თითქოს ასეთი, თავისთავად საკმაოდ უბრალო ენობრივი ფენომენი მანამდე არასდროს გვისმენია და თვით ამგვარი სიტყვით აღნიშნული საგნის გახსენების პროცესიც უჩვეულო ატმოსფეროში მიმდინარეობს“ (მალარმე 1997: 7).

ტიციან ტაბიძე წერდა: „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში საფუძველი ეყრება ქართულ პოეტიკას. რუსთაველისათვის შაირობა სიბრძნის ერთი დარგია, „საღვთო საღვთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი“... ამ ტექსტს ბევრი ინკვიზიტორული კომენტარი მიუღია, მაგრამ უბრალო გრამატიკული და ლოგიკური ანალიზი გულისხმობს, რომ რუსთაველისათვის სასმენლად მარგებლობა მოკლებულია იმ ვულგარულ გაგებას, რომელიც მისცეს მას უტილიტარისტებმა. ეს-თეტიკაში უფრო საგულისხმოა, რომ რუსთაველი იცავს პრიმატს მუსიკისას ლექსში, რაშიც ის ხვდება ედგარ პოს და პოლ ვერლენს“ (ტაბიძე 2002: 95). რატომ აღიარებდნენ ცისფერყანწელები თავიანთ უპირველეს წინაპრად, რუსთაველთან ერთად, ბესიკს? ტიციან ტაბიძის აზრით, ბესიკმა გააგრძელა რუსთველის ესთეტიკური იდეალები: „ენის მუსიკალური ენერგიის ჯადოქრობა მას აიყვანს ქართული სიმბოლიზმის მამამთავრად“. საგულისხმოა, რომ ცისფერყანწელები, ევროპელ თანამოკალმეთა მსგავსად, ცდილობდნენ მოდერნიზმის ფესვების ეროვნულ წიაღში დაქებნას. მათი პოეტური ძიებები მიმართული იყო

იქითკენ, რომ ენის მუსიკალური ენერგია მაქსიმალურად გამოევ-ლინათ.

ასე რომ, რუსთველის პოეტიკის აღორძინება მათთვის ნიშნავდა:

1. სახე-სიმბოლოების უმთავრეს ღირებულებად აღიარებას მხატვრული ტექსტის სისტემაში.

2. მუსიკალურობას, „მუსიკა, უპირველეს ყოვლისა“ (ვერლენი).

3. XIX საუკუნის ქართულ პოეზიაში გაღარიბებული რითმის გამდიდრებას,

4. პოეზიის რიტმის გამდიდრებას,

5. ფორმის უპირატესობის აღიარებას.

6. რეალური სამყაროდან ირეალურში გაღწევას მხატვრული სა-ხეების საშუალებით.

7. „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ იყო ერთგვარი გამოძახილი რუსთველისეული „ტურფა ხსენებისა“ („მით შევენივნეთ ტარიელს, ტურფადცა უნდა ხსენება“), პრინციპისა, რომელიც გულისხმობდა, უპირველესად, გამოთქმის ხელოვნებას; ერთგვარ ასოციალურობას, ამბის „წყობილ მარგალიტად“ გარდაქმნის ოსტატობას.

8. აღმოსავლური და დასავლური პოეტური გამოცდილების სინ-თეზს („ჰაფიზის ვარდი მე პრუდომის ჩავდე ვაზაში, / ბესიკის ბალში ვრგავ ბოდლერის „ბოროტ ყვავილებს“, – წერს ტიციან ტაბიძე ლექსში „წიგნიდან „ქალდეას ქალაქები“).

„ფორმის გაღმერთება“, – ეს იყო ცისფერყანწელთა ერთგვარი დევიზი და, რობაქიძის აზრით, ეს იყო რუსთველის უმთავრესი თაყ-ვანისცემისა და ფიქრის საგანიც. რობაქიძემ 1910 წელს თბილისა და ქუთაისში წაიკითხა ლექციები რუსთველის პოეტიკის შესახებ, შემდეგ ამ ლექციების მიხედვით ესკიზი დაწერა, რომელშიც ფორმულებივი-თაა გამოკვეთილი ის ესთეტიკური იდეალები, რომლებიც ქართველი სიმბოლისტებისთვისაც უმთავრესად იქცა. რობაქიძე ამ ლექციებში გამოწვლილვით აანალიზებს, როგორ აქცევდა რუსთაველი ქაოსს მშ-ვენიერ ფორმად. ამ თვალსაზრისით, ის იხსენებს ძველ ბერძნულ ხე-ლოვნებას, რომელშიც მჟღავნდება „ელინთა ღვთაებრივი ინტუიცია“. ფორმის სრულყოფილების თვალსაზრისით, იგი საოცარ მსგავსებას ხედავს აფროდიტეს ქანდაკებასა და ნესტანის სახეს შორის. „მთელი ქმნილება რუსთაველისა სხეულის სილამაზით არის აღძრული, მაგრამ მასში არ მოიძებნება არც ერთი ხაზმოსმა, სადაც იჭრებოდეს ცხოვე-ლური გრძნობა. ერთი მხრით: ნდომით ფრენილი ოცნება და ტკბო-ბით აღვისლი ნაღველი: „შორით ბნედა, შორით კდომა, შორით დაგვა,

შორით ალვა“; მეორის მხრით კი სრული უარყოფა ცხოველური სქე-სისა: „იგი სხვაა, სიძა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი“ და სწორეთ ესაა ელლინური გრძნობა სხეულისა. რუსთაველის ინტუიციით სხეული არ არის უბრალო ხორცი: იგი ცოცხალი სახეა სულისა, იგი თვითონ ხილ-ული სულია სწორეთ ისე, როგორც ფორმაში მოყვანილი მარმარილო: იგიც ხომ სულდგმულია მშვენიერებაში გაქვავებული ვნებით. დიახ, სულდგმული მარმარილო – აი, მხატვრული ქმნილება რუსთაველის მიერ გრძნეული სხეულისა!“ „თუ სიყვარული უბრალო ცხოველობაა, მაშინ იგი არ არის ლამაზი, მშვენიერი; თუ იგი უსხეულო ვნებაა, მაშინ იგი არა ცოცხალი, ხორცსხმული იგი ერთსა და იმავე დროს მშვენიერი სულის სურვილიცაა და ლამაზი სხეულის წყურვილიც. მშვენიერი სული, ლამაზი სხეულისათვის ლტოლვილი, და ლამაზი სხეული, მშვენიერი სულისთვის ვნებული, – აი უშრეტი წყარო სიყვარულისა“ (რობა-ქიძე 2009: 392).

როგორც ცნობილია, სიმბოლისტთათვის მნიშვნელოვანი გახდა საგანთა და მოვლენათა შორის ფარული კავშირების აღმოჩენა და სიმბოლოებში გამოვლენა. ფერის, ხმისა და სურნელის ერთიანობაში წარმოსახვა. არტურ რემბომ ხმოვნებს ფერები შეუსაბამა და ასე შექმნა საოცარი ფანტასმაგორიული ლექსები. გრიგოლ რობა-ქიძე ამგვარ „ექსპერიმენტს“ „ვეფხისტყაოსანში“ ხედავს: „რუსთაველმა ისიც კი იცოდა, რომ ყოველს ხმას თავისი ფერი აქვს: ავთანდილი ბრუნდება, შეხვდება ტარიელს, – და უკანასკნელს: “ხმა შაქრის ფერად გაუხდა ვარდსა, ხშირ-ხშირად პობილსა“ (რობა-ქიძე 2009: 393).

რობა-ქიძის აზრით, „ქეშმარიტი შემოქმედი არის ის, ვინც იდეას სრულად ასახიერებს, ვინც ნამდვილ ფორმაში ასხამს შინა-არსა. რუსთაველი ამ მხრივ ნამდვილი შემოქმედია: მის აზრს სწორედ თავისი სიტყვა მოუნახავს, მისი სიტყვა სწორედ თავის ხორცში ჩამოსხმულა. რუსთაველი ბრინჯაოს ჩამოსხმელია და მარმარილოს მკვეთრელი: ლექსი მისი ფოლადის მტკიცე ნაჭედია და მარმარილოს სრული ნაკვთი. დიახ, რუსთაველი სიტყვის მქანდაკებელია: თვით ბერვენუტო ჩელლინიც ვერ გამოჰკეთდა მარმარილოში ისეთს სხეულის ნაკვთს, როგორიც არის რუსთაველის კეთილი სიტყვა და სხმული ლექსი ჭეშ-მარიტად განსაცვიფრებელა რუსთაველის მადლიანი შემოქმედი ხელი“ (რობა-ქიძე 2009: 394).

„ქართულმა პოეზიამ უნდა შექმნას რუსთაველის მითი“, – წერდა ვალერიან გაფრინდაშვილი და, მართლაც, ცისფერყანწელების მიერ შექმნილ „ახალ მითოლოგიაში“ რუსთაველს უპირველესი ადგილი ეკა-

ვა (გაფრინდაშვილი 1990: 547. იგი ლექსში „შოთას“ წერს: „ძვირფას ბეჭდების სურნელება, ალბათ, გსმენია, / როს თამარის წინ მოიყარე ლოცვით მუხლები, / ვეფხის პოემა შესთავაზე მას ხელუხლები / და გვირგვინოსან წამნამების ცქერა შენია“. „თუ მომენტინა – რუსთაველი შემომანათებს, / და მაშინ ისევ საქართველოს გავალომავებ“ (ტიციან ტაბიძე, „დატრიალება“). „მესახმა დავასხი ვენახი, / კლდეებში ვკვეთე ტაძარი, / წიგნი დავწერე ვეფხისა, / შიგ სიყვარული დავძარი“ (გიორგი ლეონიძე, „მესხი ვარ“), „ხელში აგიღებ, გაკოცებ, / კიდევ ჩაგკოცნი, ჩაგცქერი, / წიგნი კი არა, ურულა ხარ / ჩამოქაფული ჩანჩქერის“ (გიორგი ლეონიძე „ვეფხისტყაოსანს“). „ღვთის ქვეყანაში“ რა გინდა, / თავად ღმერთი ხარ ქართლისა... „ჩვენს მაჯას მარად აცოცხლებს შენი თქმა – ნათლის მთოვარი, შენი ღვთიური სიმღერის გამოქროლვანი, თრთოლვანი“ (გიორგი ლეონიძე „რუსთაველს“).

ვალერიან გაფრინდაშვილი წერილში „ახალი 1922 წლის ქართულ პოეზიაში“ აღნიშნავდა: „რუსთველი იმდენი გამართლება აქვს პოეზიაში, როგორც ბოდლერს. პირველი დეკადენტი სიტყვის ფორმის უძველად იყო რუსთველი. არც ერთი თანამედროვე ქართველი პოეტი ისეთი გაბედული ბარბაროსობით არ ეპყრობა სიტყვას, როგორც რუსთაველი. ტიციან ტაბიძემ პირველად დააყენა ანალოგია რუსთაველისა და მალარმესი“ (გაფრინდაშვილი 1990: 548). ასეთი უცხო პარალელები, მაგალითად, ბოდლერი – რუსთაველი ჩვეული იყო ცისფერყანწელებისთვის. მათ ხიბლავდათ რუსთველის დამოკიდებულება სიტყვის მიმართ, როგორ ქმნიდა ის ჩვეულებრივი სიტყვებისაგან საოცარ რითმებს, მეტაფორებს, მუსიკალურობას („მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული“). ცისფერყანწელებმა პირველად დაუკავშირეს ერთმანეთს დრო-სივრცულად ისეთი დაშორებული სახელები, როგორებიცა: რუსთაველი და მალარმე, რუსთაველი და ბოდლერი, ბესიკი და ბოდლერი, ტიციან ტაბიძე და უილ ლაფორგი და ლოტრეამონი, ხოლო ვალერიან გაფრინდაშვილმა სრულიად „დაარღვია“ ყოველგვარი „ჩარჩოები“, როდესაც ილია ჭავჭავაძეს უწოდა ქართული ლექსის როდენი, ბარათაშვილს ქართული პოეზიის ჰამლეტი, გურამიშვილს – ქართული პოეზიის ვერლენი, მისი „დავითიანი“ კი დაუკავშირა ალფრედ მიუსეს, ფრანსუა ვიიონს, ვერლენს, არტურ რემბოს და სხვ. „გურამიშვილი ენათესავება თავისი შემოქმედებით ფრანგ დეკადენტებს და მეოცე საუკუნის ქართველ პოეტებს“ (გაფრინდაშვილი 1990: 495). „გურამიშვილის სიკვდილი ჰგავს ბოდლერის „სიკვდილს“, რომელიც ფრანგმა პოეტმა მოიყვანა მასკარადში, როგორც მშვენიერი კავალერი

(„სიკვდილის ცეკვა“). გურამიშვილმა ბოდლერზე უფრო ადრე შექმნა სიკვდილის ესთეტიკა. ეფგარ პოზე უფრო ადრე შექმნა გურამიშვილმა საშინელების პოეზია – ის ადიდებს სიკვდილს, როგორც პუშკინის ვალსინგამი ადიდებს ჟამს, როგორც დე-კვინსი „ღვთაებრივ ოპიუმს“. მისი ირონია სიკვდილისადმი იშვიათი მოვლენაა არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურაში. მისი პოეზია შეაზე იყოფა – ის ბოდლერია თავისი კეთროვანი სახეებით („საუბარი სიკვდილთან“), უფრო ხშირად კი ვერლენი თავისი აქვითინებული და უძმედო ჩივილებით („სულის ამბავი“, „ანდერძი დავით გურამიშვილისა“) (გაფრინდაშვილი 1990: 496). მათ შეაჩვიეს ქართველი მკითხველის ყური სხვანაირ მუსიკას, მოახერხეს განსხვავებული პოეტური გემოვნების ჩამოყალიბება, სიმახინჯის ესთეტიზება და სხვ.

საზოგადოდ, წარსულისკენ მიხედვა უცხო არ იყო ქართული პოეზიისთვის („ძველი სახება საქართველოსი / საუკუნეთა ვუალში კრთება“, — ტიციან ტაბიძე „ქალდეას სიზმრები“). ამავე წერილში ვალერიან გაფრინდაშვილი წერდა: „ჩვენს მოლოდინს ამხნევებს ეროვნული ხაზი ახალ ქართულ პოეზიაში. წინათ ბანალური პატრიოტიზმით განისაზღვრებოდა ეს თემა, იყო სიტყვები და არ იყო ვიზიონალური ხილვა წარსულის. ტიციან ტაბიძემ აღმოაჩინა ქალდეა, როგორც ახალი ქვეყანა. ეს უდრის დამარხული ქალაქების, პომპეიას და გერკულანუმის აღგენას“ (გაფრინდაშვილი 2007: 52). გაფრინდაშვილი საგანგებოდ გამოარჩევს იმ ქართველ პოეტებსა და პოეტურ წიმუშებს, რომლებიც, მისი აზრით, ახალი პოეზიის მდინარებას ქმნიან: „ცხენი ანგელოსით“ დიდი გამარჯვებაა ქართული პოეზიის. გრიგოლ რობაქიძე „თბილისის ხერხემლით“ და „მეორე ხორალით“ ქმნის ახალ ეპოქას ქართულ პოეზიაში. კოლაჟ ნადირაძე იძლევა თავის ლექსებში საქართველოს დაღუპულს და განადგურებულს. გიორგი ლეონიძემ შექმნა მითოლოგია კახეთის, რომელიც მოცემულია რუბენსის სიუხვით და სიამაყით. ბაგრატოვანების არწივი ფრთადახრილია და ნატახტარი საქართველო ანამებს პოეტის – სარაცინის ოცნებას“ (გაფრინდაშვილი 2007: 52).

ცისფერყანწელები ფიქრობდნენ, რომ როგორც „ვეფხისტყაოსანმა“ გამოავლინა ქართველი ერის რაობა, მისი ჭეშმარიტი სახე სწორედ პოეზიის საშუალებით, ახალ ეპოქაშიც პოეზიას იგივე ფუნქცია უნდა შეესრულებინა. მთავარია, პოეტებს ერწმუნათ სიტყვის ძალისა და სიტყვათა ჩვეულ, გაცვეთილ მნიშვნელობებს მიღმა მათი დაფარული არსი აღმოეჩინათ („დავინწყებული ძველ სიტყვების ვგრძნობ ანდამატებს“, — ტიციან ტაბიძე, „წიგნიდან „ქალდეას ქალაქების“).

რუსთაველის პოეტური სამყარო ცისფერყანწელებისთვის იყო მარგალიტებით სავსე „სალარო“

პაოლო იაშვილი რუსთველს „გრძნეულად“ მოიხსენებდა („უეცარი ლექსი-პოლონეთს“) და ცდილობდა მისი ტრადიცია, სიტყვებისთვის მაგიური მნიშვნელობები მიენიჭებინა, ღირსეულად გაეგრძელებინა. პაოლოს „ვეფხისტყაოსნის“ ავთანდილს ადარებდნენ მეგობრები, ხიბლავდათ მისი მზიურობა და სამყაროს უჩვეულო მგრძნობელობა. ამიტომაც „ავტოპორტრეტში“ თუმცა გამოკვეთს მსგავსებას ოსკარ უაილდსა და ბოდლერთან, მაგრამ პოეტურ ნადიმს თავის წინაპართან მართავს:

ხალხის წინაშე მე ვიქნები მუდამ მართალი,
შევხარი მზესა, ვეტრფი მთვარის ყვითელ ხავერდსა
და რუსთაველთან გადავდივარ მე ალავერდსა.

(„ავტოპორტრეტი“)

ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა გრიგოლ რობაქიძის წერილი „სიტყვის როია“, რომელშიც ის სიტყვათა ასტრალურ სხეულებზე საუბრობს. მისი აზრით, სიტყვის ასტრალური სხეულები მუდავნდება მეტაფორებსა და სიმბოლოებში, თვითონ ასე და ამგვარად წარმოაჩინა რამდენიმე სიტყვის ასტრალური სხეული: „მარია დორვალ: ოქროს თმები ლოკავენ შიშველ თეთრქაფა სხეულს. დოლენა: სირბილე მიწის ძუძუების. როგორდა: სკვითის სიგიჟე სლავურ მოდუნებაში. ოფელია: შეშლილი ფოთლები მდინარეში. ჯიოკონდა: დაეჭვების ლიმილი სივა-აჟეში. თამარ: გათვალვა დედოფლის ... ქალდეა: ჰალუცინაცია ხაშმით. საგარეჯო: გარუჯული განდეგილი. ორპირი: რასსების ჯვრედინი. გელათი: სინათლე... მარლ ბოდლერი: გენია სპლინში. დორიან გრეი: ლანდი სარკეში ჩარჩენილი. ირრუბაქიძე: მოურავი მოურეველი“ (ჯალიაშვილი: 1994: 37).

ცისფერყანწელთა აზრით, ქართველთა რაობა ისევე უნდა გამოკვეთილიყო აღმოსავლური და დასავლური კულტურების ჭრილში, როგორც ეს მოხდა მეთორმეტე საუკუნეში: „ჩვენ უნდა გამოვვეთოთ ჩვენი ქართული პროფილი, ქართველობის ძირეული განცდა ჩვენი მთავარი მოთხოვნაა, აქ იქნება, ჩვენი ტემპერამენტი, ჩვენი გონება. ჩვენი იერი. ჩვენ შევაერთებთ დასავლეთის სიმახვილეს და აღმოსავლეთის მზიურ მოდუნებას, დასავლეთის მხატვრული ნებით გამოვსჭრით აღმოსავლეთის ნამზეურს ჭვრეტას“ (გაფრინდაშვილი 2007: 58).

მართლაც, ცისფერყანწელთა პოეზიაში ახალ პოეტურ და უძველეს კულტურათა (მუამდინარული, ბერძნული, ქრისტიანული და სხვ.) სიმბოლოების გზით გაირღვა მატერიალური სამყაროს მოჩვენებითი ზედა-პირი და მტრავალგანზომილებიანი სიღრმეები წარმოჩნდა. ამ სიღრმე-თა მიმომხილველ მოგზაურად იქცა პოეტი სიმბოლისტი, რომელმაც ეგზისტენციალური პრობლემები თანამედროვეობის ჭრილში ასახა.

ვალერიან გაფრინდაშვილის წერილში საგულისხმოა კიდევ ერთი პასაჟი: „1922 წლის პოეზია ღირსეულად დააგვირგვინა პავლე ინგოროვამ ლექციების ციკლით რუსთაველის შესახებ და ეს „რუსთველიანა“ მეტ სიმაღლეზე აყენებს ჩვენს პოეზიას და მეცნიერებას, ვაჟა და რუსთაველი! ეს ორი პლანეტა სამუდამოდ ამხნევებს ჩვენს იმედებს და მათ დიდებულ აჩრდილებთან ჩვენ მივდივართ წინ“ (გაფრინდაშვილი 2007: 53). პაოლო იაშვილმა პავლე ინგოროვას ლექსი მიუძღვნა, რომელშიც ვკითხულობთ:

მიწა მსუქანი სისხლის დალევით
შენ შეგათვისე – იმედიანი,
და გულში გივლის მკივან ალივით
შენ რუსთაველის მერიდიანი.
(„პავლე ინგოროვას“)

საგულისხმოა, რომ აკაკიესგან განსხვავებით, რომელმაც „მარგალიტებს მოესველ“ ვაჟას ენა დაუწუნა, ცისფერყანწელებმა სწორედ ეს ენა მოიწონეს, გამდიდრებული ფშაური დიალექტური ფორმებით, ცოცხალი ბუნების საოცარი სიტყვიერი განცდით და სურნელით. ვაჟას პოეზიაში მათ სწორედ ეს ხელშეუხებელი სიცინცხლე სიტყვებისა ხიბლავდათ, იდუმალი მუსიკალურობით ალბეჭდილი: „ვაჟა-ფშაველა პანის ღვთაებრივი მჭვრეტელი, ხევის ნიაღვრით დასოლებული მუზით, რომლისთვისაც ბუნება ემპაზიც იყო, საქორნინო საწოლიც და კუბოც“ (ტაბიძე 2002: 85). ცისფერყანწელთა მიზანი ხომ იყო „სიტყვის, როგორც ნამდვილი სხეულის, განცდა მისი ფერით, მისი ხმაურით, მისი ტემპერამენტით, მისი განუმეორებელი სურნელებით“ (გაფრინდაშვილი 2007: 57).

სერგო კლდიაშვილი აღნიშნავდა: „ცისფერყანწელები“ ჩვენი ქართული კლასიკური ლიტერატურის გულწრფელი ქომაგები ხდებიან“ (კლდიაშვილი 2007: 66). ეს ქომაგობა მათ წარმოაჩენდათ, როგორც ჭეშმარიტ მცველებსა და რაინდებს ქართული სიტყვისა, ამიტომაც

იყო, რომ რობაქიძემ, თავის რომანში „მცველნი გრალისა“ გრაალის, იგივე საქართველოს არსის, მეობის, გულის – უპირველეს მცველებად პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე წარმოაჩინა.

ტიციან ტაბიძე წერილში „რუსთაველი“ წერს: „ჭეშმარიტად, სამყოფი არ ყოფილა უსათუოდ გენიოსად ყოფნა ადამიანისა, რომ შეიძებს ცნობილი. რუსთაველის გენიოსობის ტოლნი ამაყობენ დიდის სახელით. არ კმარა გენიოსობა, გენიოსი უნდა იყოს კიდევ ბედნიერი, უნდა ეკუთვნოდეს ბედნიერ ერს. რუსთაველი რომ ყოფილიყო ფრანგი, იმას ქვეყანა გაიცნობდა, როგორც კორნელს. ქართველები თავიანთი ისტორიული ცხოვრების ათასი წლების განმავლობაში გვიჩვენებდნენ მაგალითებს გმირობისას, რაინდობისას და კეთილშობილებისას იმავე ზომით, როგორც ფრანგები; უბედურება კი გამოიარეს უფრო მეტი, ვინემ ფრანგებმა; მიუხედავად იმისა, რომ ისინი იპროდნენ სპარსელების, არაბების, ბიზანტიელების, თათრების და თურქების წინააღმდეგ, როგორც ახალგაზრდა ლომები; მიუხედავად იმისა, რომ არა ერთხელ ყოფილან დამწვარი და აოხრებული, საბოლოოდ, ისინი მაინც დგებოდნენ ფერფლიდან როგორც ფენიქსები, ყოველთვის მშვენიერები, კეთილშობილები და რაინდები; მიუხედავად იმისა, რომ იმათი სიმღერები იყვნენ უფრო ლამაზი და ძვირფასი, ვინემ სიმღერები Willlon-s და Ronsar-ისა, მათი ღვთაებრივი რუსთაველი არ არის გაღმერთებული ევროპაში და თითქმის არც ცნობილი. გენიოსად ყოფნა ცოტა ყოფილა დიდებისათვის, კიდევ საჭიროა თურმე ბედნიერება, ისევე, როგორც არ არის საკმაო კეთილშობილ ნაციად ყოფნა, რომ ღირსეულად იყო მიღებული სხვა ქვეყანათა ერებში“ (ტაბიძე 2010: 1). თუმცა, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებშიც კი საქართველოს კვლავ უჭირს მსოფლიო ორბიტაზე გასვლა, ამას მონმობს 2010 წელს გამოქვეყნებული უმბერტო ეკოს წერილი, რომელშიც ის მსოფლიო საგანძურზე საუბრობს და დანანებით ამბობს: განათლებულ ევროპელთა 99 პროცენტმა არ იცის, რომ ქართველებისათვის ყველაზე დიდი ლიტერატურული ძეგლი რუსთაველის „ვეფხისტყაოსანია“ და ევროპელები ასევე ვერ შევთანხმებულვართ (შეამოწმეთ ინტერნეტში) ამ ჩვენთვის უცნობ ანბანზე დაწერილ ნაწარმოებში მთავარ პერსონაჟს პანტერის ტყავი მოსავს, ვეფხვისა თუ ლეოპარდის? და კვლავაც ვაგრძელებთ საკუთარი თავისთვის შეკითხვის დასმას: „ეს რუსთაველი ვიღა იყო?!“ (ეკო 2010: 1).

ამიტომაც იყო, რომ დიდი კამათი და გაღიზიანება გამოიწვია ნიკოლოზ მინიშვილის პესიმიზმა, რომელიც წარსულისა და რეალო-

ბის „შეუსაბამობიდან“ დაიბადა (ნიკოლო მიწიშვილი, „ფიქრები საქართველოზე“, 1926 წ.). გრიგოლ რობაქიძე წერილში „საქართველოს ხერხემალი“ იმოწმებს ნიკოლო მიწიშვილის რუსთაველზე გამოთქმულ თვალსაზრისა: „ნიკოლოზ მიწიშვილი სწერს: „მეეჭვება თვით რუსთაველიც: თუ ის ჩვენი ცხოვრებისგანაა – უსათუოდ გაუგებრობაა ის; თუ არა და – ან რუსთაველი არ არის ქართველი, ანდა მისი პოემა ადვილად ნაშოვნი საქმეა“. კიდევ კარგი, რომ ავტორს „ვეფხისტყაოსანი“ გენიალ ქმნილებად მიაჩნია. მხოლოდ – როგორც ჩვენი ცხოვრების ნაყოფი – იგი მისთვის „გაუგებრობაა“ უკეთეს შემთხვევაში. უცუდეს შემთხვევაში? ან რუსთაველი არაა ქართველი, ან და მისი ქმნილება „ნაშოვნი“ საქმეა და ისიც „ადვილი“ (რობაქიძე 2012: 31).

რობაქიძე საქმაოდ მკაცრად გამოთქვამს საყვედურს: „ნუ თუ ავტორს ჰგონა, რომ რუსთაველით ამოინურება ქართული გენია? (ეგებ სხვებსაც ჰგონიათ). 1902 წ. ნიკო მარრმა იერუსალიმში იპოვა ხელნაწერი „ცხოვრება წმ. გრიგოლ ხანძთელის“. ავტორი გიორგი მერჩული. გამოდის: მეოცე საუკუნის თაურამდე არავინ იცოდა, თუ რა საუნჯე ჰქონიათ ქართველებს. ქმნილება ეკუთვნის მეათე სააუკუნის ნახევარს. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ეს ქმნილება ქართული გენიის ხალასი ნაყოფია. ქართული სიტყვა აქ მოცემულია ისე, თითქო პირველმინას რძე სდიოდეს კვლავ ძუძუებიდან. თქმა მოკლე: ნაკვეთი. სიტყვა – თითქო შედედებული სუბსტანცია, რომელიც წარმოთქმის შემდეგ იშლება, როგორც მდინარის სარკეული ზედაპირი, როცა ფრთხებგამლილი გავაზი დაეცემა მას. არავითარი ხორცმეტი, არავითარი მეჭეჭი. სიტყვა ისეთი, რომელსაც აქვს ქალწულური დარცხვენა და ამავე დროს მორკინალის შემართება: სწორედ ისეთი, რომლითაც ძველად წირვად ჰქმნიდნენ. არც გასაკვირია: გიორგი მერჩულეს ჰყავდა წინამორბედი – იაკობ ხუცესი (მეხუთე საუკუნე), რომელმაც გასაოცარი აღნერა დაგვიტოვა „წმინდა შუშანიკის“ ცხოვრებისა. გიორგი მერჩულმა, ცხადია, ქართული „საგალობლებიც“ იცოდა, საცა ქართველი ავტორები ფსალმუნობაში დავით წინასწარმეტყველს ედავებიან. მაგრამ ამით არ ამოინურება მერჩულის ქმნილება. აქ არ არის მოცემული ჩვეული აღნერა ჩვეული წმინდანის, საცა სიცოცხლე მლაშეა და წუთხე. აქ მთელი მსოფლგზნებაა – სრულიად თავისებური. გრიგოლ ხანძთელი – (მერჩულის აღნერით) – ისე დადის დედამინაზე, თითქოს უკანასკნელი სიმინდის ჯავარი იყოს, რომელიც დატაროებას ელის. მიწა მისთვის არ არის „ბერნი“. პირიქით: მისი ყოველი ნაყოფი „წყაროს თვალია“, რომელსაც მოაქვს ბუნების მადლი. ამის შემდეგ რასაკვირვე-

ლია, რუსთაველი აღარ არის „გაუგებრობა“. მაგრამ რუსთაველამდე კიდევ იყვნენ სხვებიც, რომელთაც ქართულ სიტყვაში გენია გააღვიძეს. ექვთიმე მთაწმინდელი, გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე. თითოეულს მათგანს ცალკე მონოგრაფი სჭირდება. თუ გერმანელები ლუთერს „ბიბლიის“ გერმანულად თარგმნისათვის გენიალობას ანიჭებენ, რა დაშავეს ჩამოთვლილმა მამებმა, რომლებმაც იგივე „ბიბლია“ ქართულად თარგმნეს. და მერე როგორ?! ლუთერის თარგმანი თუ არის ენის-ქმნა, მთაწმინდელების თარგმანიც ენის-ქმნაა ნამდვილი. თუ რომელი უფრო მძაფრი ქმნაა, ეს კიდევ სადაოა. ასეთია მაგისტრალი, რომლის ბოლოს რუსთაველი მოსჩანს, როგორც დამთავრება და როგორც ასეთი – ხანდახან როგორც გადახრაც (ოდნავი დეკადენსი). ამის შემდეგ რა აზრი აქვს ასეთს დილემას: „ან რუსთაველი არაა ქართველი, ან და მისი პოემა ადვილად ნაშოვნი საქმეა?“ რუსთაველი ქართველია და მის პოემას უდიდესი სიტყვის კულტურა უძღვის წინ. რასაკვირველია, „ადვილად შოვნაზე“ ლაპარაკია ამ კულტურის არცოდნაა“ (რობაქ-იძე 2012: 32).

რობაქიძის ამგვარი დამოკიდებულება წარსულთან ტონის მიმცემი იყო ცისფერყანწელებისთვის, მართალია, ხანდახან რომელიმეს, მაგალითად, ნიკოლო მინიშვილს შეიძლება ეჭვი გასჩენოდა, მაგრამ ეს საერთო სურათს არ ცვლიდა, თანაც, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ეჭვი საკმაოდ გვიან გამოითქვა, როცა ცისფერყანწელების პოეტური ორდენი აღარ არსებობდა და პევრ მათგანს იძულებით მოუხდა ძველ იდეალებთან გამოთხვება.

ცისფერყანწელებმა თავიანთი პოეზიით, მართლაც, შექმნეს ახალი მითოლოგია და აქ უპირველესი მითი იყო რუსთაველი. მათ პოეზიაში ხშირად გაიელვებდა მისი სახე. რაც მთავარია, მათ ააღორძინეს რუსთველისეული „სიტყვის კულტურა“ და ესთეტიკა.

დამოცხვანი:

გაფრინდაშვილი 1990: გაფრინდაშვილი ვ. „დეკლარაცია (ახალი მითოლოგია)“. გაფრინდაშვილი ვ. ლექსები, პოემა, თარგმანები, ესეები. თბილისი: „მერანი“, 1990.

გაფრინდაშვილი 2007: გაფრინდაშვილი ვ. „ახალი 1922 წლის ქართულ პოეზიაში“. ცისფერყანწელები ცისფერყანწელებზე. ქუთაისი: საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი, 2007.

ეკო 2010: ეკო უ. ეს რუსთაველი ვინ იყო?! <http://www.mascavlebeli.ge>

კლდიაშვილი 2007: კლდიაშვილი ს. „პაოლო იაშვილი“. ცისფერყანწელები ცისფერყანწელებზე. ქუთაისი: საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი, 2007.

მალარმე 1997: მალარმე ს. „სიმბოლიზმის შესახებ“. გაზ. „არილი“, 27 მარტი, თბილისი: 1997.

რობაქიძე 2009: რობაქიძე გრ. სერია: ქართველი მწერლები სკოლაში (ავტორ-შემდგენელი მ. ჯალიაშვილი). „თბილისი: დია“, 2009.

რობაქიძე 2012: რობაქიძე გრ. „საქართველოს ხერხემალი“. რობაქიძე გრ. ქართული სიტყვიერება. ტ.10, სერია „საოჯახო ბიბლიოთეკა“. თბილისი: 2012.

ტაბიძე 2002: ტაბიძე ტ. „ცისფერი ყანწებით“. წიგნი: ტაბიძე ტიციან. პაოლო იაშვილი. სერია: ქართველი მწერლები სკოლაში (ავტორ-შემდგენელი მაია ჯალიაშვილი). თბილისი: „დია“, 2002.

ტაბიძე 2010: ტაბიძე ტ. შოთა რუსთაველი. <http://444.ucoz.es/blog/2010-02-20-803>

ჯალიაშვილი 2006: ჯალიაშვილი მ. თაობიდან თაობამდე. თბილისი: „ლომის“, 1994.

სტუდენტური სექცია

Student's Section

შოთა რუსთაველი – გვიანი შუასაუკუნეების
ავტორი და მომავლის მწერალი

**Shota Rustaveli – Author of the Middle Ages and, still,
the Author of Future**

SALOME BOBOKHIDZE

Georgia, Tbilisi

Sota Rustaveli institute of Georgian literature

“The Knight in the Panther Skin” and “The Slave”

It is well tried method for postmodernism to “rewrite” classic piece of works, so Qasrashvili takes one character from “The knight in the panther skin” and turns him into the son of our epoch, so we’ve got a character whose origin, parents and name is unknown and the goal of his life, is the safety of the king.

Because the story is told by the slave, and not by Rustaveli, these well known passages are read differently. There are no ideal heroes in this story. By doing so, author wanted to highlight, how abstract sublime ideals are compared to our life.

Key words: postmodernism, lost identity, revaluation of values.

სალომე პობოხიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„ვეფხისტყაოსანი“ და „მონა“

პოსტმოდერნიზმისათვის ერთერთი ყველაზე პოპულარული ხერხია კლასიკადქცეული ნაწარმოებების „გადაწერა“ თუ „გადათამაშება“. ამის მაგალითები ხშირია როგორც ქართულ, ასევე ევროპულ ლიტერატურაში. როგორც კრიტიკოსი ბელა წიფურია აღნიშნავს: „იმ ეპოქაში, როცა დარღვეულია ზოგადი კაშირები ადამიანისა, ლმერთან, მოყვასთან, საზოგადოებასთან, გარესამყაროსთან, საკუთარ თავთან და საბოლოოდ ენასთან, მხოლოდ ტექსტები ინარჩუნებენ ერთმანეთთან კავშირს, და ლიტერატურის არსებობის პრინციპი ხდება [...] ნაწარმოების მიმართება სხვა ტექსტებთან“ (წიფურია 2008: 284). ამგვარად, იქმნება ერთგვარი ინტერტექსტუალური სივრცე, სადაც სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ტექსტები ერთმანეთთან ურთიერთობენ, თითოეული ახალი ტექსტი, კი სხვა ტექსტებისაგან შექმნილი ქსოვილია.

ამ ხერხს მიმართავს მწერალი ირალკი ქასრაშვილიც თავის მოთხრობაში – „მონა“, და „ვეფხისტყაოსნის“ ერთერთი პასაჟის გადაწერას ახდენს, მოვლენები კი ამჯერად როსტევან მეფის მონის თვალით აღიქმება.

უმბერტო ეკო აღნიშნავს: „შუა საუკუნეები არის სათავე ჩვენი თანამედროვეობის ყველა „ცხელი“ პრობლემისა და გასაკვირი არც არის, რომ ჩვენ ამ პერიოდს ვუძრუნდებით ყოველთვის, როცა თავს ვუსვამთ შეკითხვას საკუთარი წარმოშობის შესახებ.“ (ეკო 1998: 62) ვფიქრობ, ეს ციტატა კარგად ხსნის ამ მოთხრობის ჩანაფიქრს, რადგან იდენტობის პრობლემა წამყვანია ამ მოთხრობისათვის – „ვეფხისტყაოსნის“ სამყაროში მოგზაური მკითხველი, ცდილობს დაადგინოს მთავარი გმირის იდენტობა, მისი წარმომავლობა, სოციალური კუთვნილება და ა.შ თუმცა ამაოდ.

მწერალი მიმართავს წარსულს, XXI საუკუნეში გამოიხმობს „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ ეპიზოდურ პერსონაჟს, და აქცევს მას თანამედროვე ეპოქის შვილად, აქედან გამომდინარე, ვეფხისტყაოსნის გმირებისაგან განსხვავებით, იგი არ არის მგრძნობიარე ან მოაზროვნე

ინდივიდი, რომელიც საკუთარი გონების საშუალებით, ეთიური თუ მორალური ღირებულებებით განსაზღვრავს მის ქმედებასა და არსებობას, არამედ იგი მოქმედებს გაუცნობიერებლად, მექანიკურად და ყოველგვარი კითხვების გარეშე ასრულებს მის მოვალეობას, რომელიც მისი ცხოვრების აზრს წარმოადგენს და ყველაფერზე მაღლა დგას.

რა არის ამ პერსონაჟის იდენტობის საყრდენი? მას სრულიად განყვეტილი აქვს კავშირი წარსულთან, თავის ფესვებთან, არ ახსოვს მისი მშობლები, მისი სახელიც კი უცნობია ჩვენთვის, რის მიმანიშნებელია როცა ავტორი პერსონაჟს სახელს არ არქმევს? მოგეხსენებათ, ადამიანის იდენტობა იწყება სახელით, აქედან გამომდინარე, თუ ავტორი ამა თუ იმ პერსონაჟს ანიჭებს რაიმე სახელს, ამით იგი მას ანიჭებს ინდივიდუალობას, ხოლო ამ შემთხვევაში, პასუხი კითხვაზე – ვინ ვარ მე? შემდეგნაირად უღერს – მე ვარ მონა. სწორედ ამ სიტყვებით იწყება მოთხოვობა, და მოთხოვობის სათაურად ეს სიტყვა გატანილი, ასე რომ, სწორედ მონობაა პერსონაჟის იდენტობის საყრდენი, ამიტომაცაა რომ მეფესაც ავიწყდება მისი სახელი, „მეფემ ოთახში მიხმო, რაღაცის თქმა უნდოდა, ჩემი სახელი კი დაავიწყდა“ (ქასრაშვილი 2004: 205) მეფეს არ შეუძლია იგი სხვებისაგან რაიმე ნიშნით გამოყოს, განასხვავოს.

მონა მარტოა, ვერავის ვერ მიიჩნევს თვაისიანად, გლეხები მისთვის საზიზღრები არიან, მეომრებთანაც ვერ ახდენს თვითიდენტიფიცირებას და რა თქმა უნდა, არისტოკრატიასაც არ მიეკუთვნება. იგი ყველას-გან გაუცხოვებულია.

თუმცა, მიუხედავად ამისა, თავად მოთხოვობის მთავარი პერსონაჟი სრულიად ბედნიერი და კმაყოფილია თავისი მდგომარეობით, რადგან იგი არ არის მაძიებელი ტიპი, მას არ აწესებს კითხვები, არ ცდილობს გაერკვეს ვინ არის და საიდან მოდის, ყოველგვარი გრძნობები მისთვის სისუსტეა, და როგორც ზემოთ ავღინიშნე, მისი მოვალეობა – მეფის უსაფრთხოება მისი ცხოვრების მთავარი მიზანია.

მისი ყოფა პოსტმოდერნული ეგზისტენციის კარგი ილუსტრაციაა რადგან: „პოსტმოდერნიზმში ადამიანის ეგზისტენცია განიხილება როგორც გადაგდებულობა, ანუ ეს არის ისეთი ტიპის არსებობა, რომელსაც არც ლოგიკური დასაწყისი აქვს და არც დასასრული, ვინაიდან იგი იმთავითვე საზრისს მოკლებულია. ასეთი ტიპის ეგზისტენციის ფარგლებში კი სუბიექტი განიხილება როგორც „გამოგდებული/ გამოტყორცნილი პროექტი“ (ბრეგაძე 2013: 61)

მოთხობაში რაკურსის ცვლილებასთან ერთად, სხვანაირად იყითხება ყველასათვის ნაცნობი ისტორია, „ვეფხისტყაოსნის“ იდეალური გმირებიც აღარ არიან იდეალური. როსტევანი თავის ერთგულ მონას „სისუსტეს“ ანუ სიყვარულს ვერ პატიობს, რადგან ეშინია, რომ ეს მას მოვალეობის შესრულებაში შეუძლის ხელს, ავთანდილი კი არც ისეთი მამაცი და უძლეველია, როგორც ეს „ვეფხისტყაოსნიდან“ ჩანს: „კარგ მეომრად და მონადირედ ითვლებოდა ავთანდილი. შეიძლება, სამეფოში საუკეთესოდაც. არადა, ერთხელ ნახევრად ხუმრობით მოინდომა ჩემთან გაპაექრება და მესამე მოქნევაზე ხმალი ხელიდან გავაგდებინე. საშინლად გაპრაზდა და კიდევ შემეჯიბრეო, მითხრა. ისევ ვაჯობე“ (ქასრაშვილი 2004: 206)

სიყვარული კი, რომელიც ვეფხისტყაოსანში ყველაფრის მამოძრავებელი ძალაა, პოსტმოდერნისტულ ტექსტში ან სისუსტედ აღიქმება, რომლისგანაც უნდა გათავისუფლდე (როგორც ეს ერთ-ერთი მონისა და მეფის ასულის მესანოლე ქალის შემთხვევაში გვაქვს), „იცოდეთ, ვინც სისუსტეს ვერ დაძლევს, ის მოღალატე ხდება. ღალატს კი არცერთს არ გაპატიებთ“ (ქასრაშვილი 2004: 205) ეუბნება მეფე თავის ქვეშმრდომებს. ან, მეორეს მხრივ, კარგად დაგეგმილი პროექტი, რომელიც ორივე მხარისათვის მომგებიანია (როგორც ეს თინათინისა და ავთანდილის შემთხვევაშია).

და საბოლოოდ, არც სიბრალულისა და თანაგრძნობის იდეა არსებობს ამ მოთხობაში, მთავარი გმირი არ თანაუგრძნობს მის თანამებრძოლს, რომელსაც ქალი შეუყვარდა და ოჯახის შექმნა გადაწყვიტა, მაგრამ ყველაფერი მისთვის ძალზედ ტრაგიკულად დასრულდა, როსტევანი არ თანაუგრძნობს მის უერთგულეს მონებს, რომლებმაც მას მთელი ცხოვრება შესწირეს და ყველაფერი ანაცვალეს, ისე შეაქცევს ზურგს მძიმედ დაჭრილს, რომ არც კი შეხედავს, „მეფე ცხენზე შეჯდა. მისი მხლებლებიც ამხედრდნენ და მათი აჩრდილები ჰაერს შეერია, ქარს გაჰყვა. ისე წავიდა, არც დამხედა, არ დაინტერესდა ჩემი ბედით.“ (ქასრაშვილი 2004: 207).

ამით თანამედროვე ავტორი ხაზს უსვამს, თუ როგორი აბსტრაქტული და ირეალურია ამაღლებული იდეალები ყოფიერებასთან შედარებით.

როგორც კონსტანტინე ბრეგაძე აღნიშნავს თავის წერილში: „კლასიკური ტექსტების ამ გადათამაშებებისა თუ ახალი ვერსიების მიზანია

კლასიკური ტექსტების პაროდირება და ამ პაროდირების საშუალებით კლასიკურ ტექსტებში მოცემული ლოგოცენტრისტული და აქსიოლოგიური პოზიციების დეკონსტრუქცია (=დესტრუქცია) და იმის ხაზგას-მა, რომ თანამედროვე პოსტმოდერნისტულ ეპოქაში, პოსტმოდერნისტული მგრძნობელობის ვითარებაში, როდესაც სამყაროს და ადამიანის ეგზისტენციას საბოლოოდ გამოეცალა საზრისი, კლასიკურ ტექსტებს არანაირი ლირებულება არ გააჩნიათ“ (ბრეგაძე 2013: 63).

ასე რომ, პოსტმოდერნიზმი ეჭვის თვალით უყურებს ისეთ მარადი-ულ ფასეულობებს, როგორიცაა სიყვარული, მეგობრობა, ერთგულება, ზნეობრიობა. თუ წინა პერიოდში ლიტერატურა ამ თემების მრავალ-გვარ გადააზრებას გვათავაზობდა, ამ ეპოქაში მთავარი სხვა რამ გახ-და, ცხოვრება ადამიანს სხვაგვარი გამოწვევების წინაშე აყენებს, ინ-ყება თვითგადარჩენაზე ფიქრი, სადაც ზემატერიალური გრძნობების ადგილი ნაკლებად რჩება. იკარგება ფასეულობები, თანამედროვე ადა-მიანი დაცლილია მორალური თუ ზნეობრივი ვალდებულებებისაგან, ყოველგვარი ეთიკური და ამაღლებული უფერულდება.

დამოცვებანი:

ბრეგაძე 2013: ბრეგაძე კ. „პოსტმოდერნული რომანის პოეტიკა“. სჯანი. 14. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2013.

ეკო 1998: Eco, U. *Faith in Fakes: Travels in Hyperreality*. London: “Vintage”, 1998.

ქასრაშვილი 2004: ქასრაშვილი ი. „მონა“. 15 საუკეთესო მოთხრობა. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2004.

წიფურია 2008: წიფურია ბ. „პოსტმოდერნიზმი“. ლიტერატურის თეორია, XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2008.

LANA GABRIADZE

Georgia, Tbilisi

PhD at Ivane JavaxiSvili Tbilisi State University

“Utrutian-Saamiani” and the Miniatures of Mamuka Tavakalashvili’s Manuscript of “The Knight in the Panther’s Skin”

In Medieval Georgian painting, battle subjects appear in ecclesiastic manuscripts as well as in wall paintings and late-feudal secular manuscripts. Among our research, we discuss secular manuscripts which are mainly illuminated by the painting depicting war subjects. Two codices preserved in the National Center of Manuscripts are objects of our research – “Utrutian-Saamiani” S1594 and “The Knight in the Panther’s Skin” H599. Both of them are rewritten by the calligrapher – MamukaTavakarashvili.

There could be two artists that have painted illuminations for “Utrutian-Saamiani” and there is a possibility of MamukaTavakarashvili being one of them. According to stylistic and comparative analysis, we have tried to show the common characteristics of illuminations of the codices.

Key words: Illuminations of manuscripts, painting of Middle Ages.

ლანა გაბრიაძე

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

**„უთრუთიან-საამიანი“ და „ვეფხისტყაოსნის“
თავაქალაშვილის ნუსხის მინიატურები
(ხელ. S1594 და H 599)**

ბატალური სიუჟეტების ვიზუალიზაცია ფრესკებისა თუ ხელნაწერთა მინიატურების სახით ფართოდ გავრცელებული ტრადიციაა შუა საუკუნეების ქართულ მხატვრულ სივრცეში. მათ მრავალრიცხვან მაგალითს ვხვდებით როგორც სასულიერო სივრცეში, ისე საერო ხა-სიათის ხელნაწერთა ილუსტრირებაში. ჩვენს ნაშრომში ყურადღებას

გავამახვილებთ საერო ხასიათის ხელნაწერებზე, რომლებიც უხვადაა ილუსტრირებული ბატალური ხასიათის მინიატურებით და გადაწერილია მამუკა თავაქარაშვილის მიერ. ეს არის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ორი წიგნი – „უთრუთიან-საამიანი“ და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

მამუკა თავაქარაშვილი იყო მდივანმწიგნობარი იმერეთის შეფე ალექსანდრე III – ის კარზე. ის ტყვედ აიყვანა ოდიშის მთავარმა ლევან II დადიანმა. 1646 წელს მამუკა თავაქარაშვილმა ლევან II-ის ბრძანებით გადაწერა შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“. ხელნაწერის ანდერძ-მინაწერში, მინიატურაზე, რომელზეც გამოსახულია თავად გადამწერი – მამუკა თავაქარაშვილი მაგიდასთან წერის პროცესში, ვკითხულობთ: „აქა ამისი მწერალი მდივანი მ[ა]მ[უ]კა სწერ]ს...“ (252r).

მომდევნო წელს თავაქარაშვილს გადაუწერია „უთრუთიან-საამიანის“ ხელნაწერი შიფრით S1594. ანდერძ-მინაწერი გვამცნობს: „აქა გათავდა ეს წიგნი ბრძანებითა ხელმწიფის დადიანის ბატონის ლევანისათა და ხელითა მამუკა თავაქალაშვილისათა..“ (148v)

„უთრუთიან-საამიანი“ სპარსული ლიტერატურული ძეგლის, ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ თარგმანის პროზაული ვერსიაა, რომელიც მოგვითხრობს ისტორიას პირველი მეფის მეფობიდან გაიუმარიდან ნარიმანამდე. ხელნაწერს აკლია ბოლო ნაწილი .იგი დათარიღებულია XVII საუკუნით.*

„უთრუთიან-საამიანის“ ხელნაწერის, როგორც ძეგლის მნიშვნელოვნებას განაპირობებს მისი უხვად ილუსტრირებულობა. მას ამშვენებს 65 მინიატურა, რომელთაც ხელნაწერის უმეტესი ნაწილი უჭირავთ და თითქმის აბსოლიტური უმრავლესობა წარმოადგენს ბატალურ სიუჟეტებს.

„უთრუთიან-საამიანის“ ხელნაწერის ილუსტრაციებით შემკუბაში, სავარაუდოდ, მონაწილეობდა ორი ოსტატი, რომელთაგან ერთი შესაძლოა ყოფილიყო თავად მამუკა თავაქარაშვილი. „ვეფხისტყაოსნისა“ და „უთრუთიან-საამიანის“ ილუსტრაციათა მხატვრულ-სტილისტური და შედარებითი ანალიზით შევეცდებით გამოვავლინოთ მათი ურთიერთკავშირი და მამუკა თავაქარაშვილის შესაძლო მონაწილეობა „უთრუთიან-საამიანის“ დასურათებაში.

* გადაწერილი და მოხატულია 1647 წელს თავაქარაშვილის მიერ სამეგრელოში. ხელნაწერის მომგებელია ლევან II დადიანი.

თავაქარაშვილისეული ნუსხის „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებას ბევრი ხელოვნებათმცოდნე შეეხო (დ. გორდეევი, შ. ამირანაშვილი, ქვლივიძე, ხუსკივაძე, შერვაშიძე). გამოთქმულია მოსაზრებები საერო მხატვრობის გენეზისის საკითხებზე, პოემის ილუსტრაციებისათვის დამახასიათებელ მხატვრულ თავისებურებებზე და ა.შ.

XVII საუკუნიდან მიწიატურებით შემკული „ვეფხისტყაოსნის“ რამ-დენიმე ხელნაწერმა მოაღწია ჩვენამდე. ამ პერიოდის პოემის დასურ-ათებაში აშკარად შეინიშნება ორი სრულიად განსხვავებული მხატვრუ-ლი ტენდენცია – ერთი, რომელიც სრულად არის მინდობილი ირანული სამინიატურო ხელოვნების ნიმუშებს (H2074, S5006) და მეორე, ადგილ-ობრივ ეროვნულ მხატვრულ ტრადიციებზე დაფუძნებული პრინციპები.

უპირველეს ყოვლისა, „უნდა აღინიშნოს თავაქარაშვილისეული „ვე-ფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების აშკარა კავშირი ხალხური ნაკადის ხელოვნებასთან.

ასევე ხალხური ხელოვნების ნაკადს არის მინდობილი „უთრუთიან-საამიანის“ ილუსტრაციები მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოები წარ-მოადგენს სპარსული პოემის პროზაულ ვერსიას.

„უთრუთიან-საამიანისა“ (S1594) და „ვეფხისტყაოსნის“ (H599) ხელ-ნაწერები გადაწერილია მამუკა თავაქალაშვილის მიერ, რაც ორივე შემთხვევაში დასტურდება მინაწერებით. „უთრუთიან-საამიანის“ ხელნაწერში ვხედავთ წარწერას: „ქ. აქა გათავდა ეს წიგნი ბრძანებითა ხელმწიფის დადიანის ბატონის ლევანისათა და ხელითა მამუკა თავაქა-ლაშვილისათა და ზალფას კუნჯმან რომ წაიყუანა, გაზარდა მთაშიგან, ვირემდის პოებდეს ზალს[და] შინა მოიყუანდეს განგებითა ოვნამდის, ეს ყუელა იქნა. დაიწერა ქქ „სასამას ოცდათხუთმეტსა, თვესა ივლისა ოცდაშვიდსა. გათავდა“ (148v). ხოლო „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერში კი 252(r)-ე ფურცელზე, რომელზეც გამოსახულია თავად გადამწერი – მამუკა თავაქალაშვილი მაგიდასთან წერის პროცესში, ვკითხულობთ: „ქ. ღმერთო შემინდევ ცოდვანი ჩემ...“ ქვემოთ კი მიწერილია: „აქა ამი-სი მწერალი მდივანი მა[ს]მ[უ]ქას წ[ერ]ს და ვინც ეს..“. ხელნაწერი H599-ის გადაწერის თარიღია 1646 წელი, მომდევნო წელს კი თავაქალაშვილს გადაუწერია ხელნაწერი S1594. სწორედ ამ ორი ხელნაწერის დროით ერთმანეთისაგან ხანმოკლე დაშორებით შესრულება თავაქალაშვილის მიერ კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ლევან II დადიანის აქტიურ კულ-ტურულ მოღვაწეობას.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის უძველეს სრულ ვერსიას ხელნაწერის სახით, რომელიც დასურათებულია, წარმოადგენს ჩვენს მიერ განხილული ხელნაწერი H599. გვაქვს უფრო ძველი წარწერებიც პოემის ნაწყვეტების სახით, რომელიც შესრულებულია მელნით ვანის ქვაბთა კოპლექსის ერთ-ერთი ეკლესიის კედელზე. წარწერები შესრულებული უნდა იყოს XV საუკუნის II ნახევარში. წარწერის შემსრულებლები არიან – გულქანი, ანა რჩეულიშვილი, თუმიან გოჯოშვილი, მისი და შალაბანი სულთანი და სხვ. წარწერებიდან ორი სტროფი არის ნაწყვეტი ქაჯეთის ციხიდან ნესტანის მიერ ტარიელისათვის მიწერილი წერილიდან.

„შაჰ-ნამე“ სპარსული ლიტერატურული ნაწარმოებია, რომელშიც მოთხოვობილია ისტორიული ხასიათის თქმულებები სპარსეთის მეფეთა და მათ ფალავანთა შესახებ. ნაწარმოები დაიწერა სამანელთა დინასტიის (875-999 წწ.). მმართველობის დროს ფირდოუსის მიერ. „შაჰ-ნამე“ გარკვეული ნაწილის შექმნას მიაწერენ პოეტ დაყიყს, რომელსაც დაუწყია ტუსელი ფეოდალის აბუ მანსურ მოჰამედიბნ’ აბდ-ერ-რეზაქის (გარდ. 962 წ.) თაოსნობით შედგენილი საგმირო თქმულებების კრებულის გალექსვა. დაყიყის გარდაცვალების შემდეგ, ფირდოუსმა განაგრძო ირანის შაჰებსა და მათი ფალავნების ბრძოლებზე მოპოვებული საგმირო თქმულებების გაღეკვავა.

„უთრუთიან-საამიანის“ ხელნაწერი შესრულებულია მხედრულით. წიგნი უხვადაა ილუსტრირებული (სულ 65 მინიატურა). მინიატურებს, ხშირ შემთხვევეში, უჭირავს ფურცლის თითქმის მთელი არე. ილუსტრაციათა სიუჟეტები მიყვება ლიტერატურული ნაწარმოების სიუჟეტურ თხრობას.

რამდენიმე გამონაკლისის გარდა, კომპოზიციათა უმეტესობა წარმოადგენს უშუალოდ ბრძოლის პროცესს იარაღით ან მის გარეშე. ილუსტრაციებზე წარმოდგენილი არიან დევებთან და მონინააღმდეგის ლაშქართან მებრძოლი ხელმწიფები და მათი ფალავნები.

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის ტექსტი ასევე მხედრულითაა დაწერილი და შესრულებული – შავი მელნით. ხელნაწერი უხვადაა ილუსტრირებული. წიგნში 39 ილუსტრაციაა. ხელნაწერის ილუსტრაციათა თემატიკა მოიცავს ნადიმის, დატირების, ბრძოლის სცენებსა და მხედართა გამოსახულებებს. მინიატურისტს ილუსტრაციებისათვის დაურთავს ლევან II დადიანის, შოთა რუსთაველისა და მამუკა თავაქარაშვილის პორტრეტული გამოსახულებები. როგორც ხელნაწერში S1594, აქაც მინიატურებს ფურცლის მთელი არე უჭირავთ.

მინიატურათა სტილისტურ-იკონგრაფიული მახასიათებლებისა და კომპოზიციური გადაწყვეტის თვალსაზრისით, „უთრუთიან-საამიანის“ ხელნაწერის საილუსტრაციო გაფორმება შეგვიძლია დავყოთ სამ ნაწილად. პირველი რიგის მინიატურები, სადაც სიუჟეტის კომპოზიციურ ცენტრს წარმოადგენს ორი ერთმანეთთან მებრძოლი ფიგურა მეომრისა და დევისა. მათ ქვემოთ კი წარმოდგენილია დაპირისპირებულ პერსონაჟთა თანმხლები ამაღლა.

„უთრუთიან-საამიანის“ მინიატურათა ამ რიგის კომპოზიციებში ამხედრებული მეომრების გამოსახულება არ გვხვდება, რაც გარკვეულნილად შეგვიძლია მოვაზროთ, როგორც წიგნის საილუსტრაციო გაფორმების ერთი ნაწილის – პირველი რიგის მინიატურების – ნიშანდობლივი მახასიათებელი.

S1594 ხელნაწერის 35(ვ)-ე ფურცლიდან გვხვდება სხვაგვარი კომპოზიციური გადაწყვეტის მქონე მხატვრობის ნიმუში – მეორე რიგის მინიატურები (სულ 26 მინიატურა, აქედან 25 ბრძოლის სცენა). კომპოზიციის რამდენადმე უფრო თავისუფალ განაწილებაში ფურცლის არეზე. სრულიად იცვლება ანტურაჟი და შემოსაზღვრული კიდეების ნაცვლად, მხატვრობის ნიმუშის ზედა საზღვარს წარმოადგენს უსწორმასწორო ფორმის ლანდშაფტი (მთები), რომლის ფონზეც მიმდინარეობს ბრძოლა.

ამ რიგის კომპოზიციები, უმეტეს შემთხვევაში, მრავალფიგურიანია და თითქმის ყველა მინიატურაში გვხვდება მხედრების გამოსახულებები. კომპოზიციათა ეს ასპექტი განასხვავებს ამ რიგის მინიატურებს პირველი რიგის მინიატურებისაგან. მხატვარი, გარდა იმისა, რომ ფიგურატიულად უფრო დატვირთულ კომპოზიციებს გვთავაზობს, ასევე წარმოგვიდგენს უფრო ზოგადი ხასიათის სიუჟეტებს, სადაც ხშირ შემთხვევაში წაკლებად იკვეთება სიუჟეტის მთავარი მოქმედი პირი (52v, 56v-57r, 77r).

მართალია, ხელნაწერი S1594 – ის პირველი ორი რიგის მინიატურები ერთმანეთისგან განსხვავდებიან კომპოზიციური გადაწყვეტით, თუმცა სტილისტური თვალსაზრისით ისინი უახლოვდებიან ერთმანეთს. ორივე შემთხვევაში თვალშისაცემია ფიგურების მკვეთრი დისპროპორცია, პერსონაჟთა მოკლე ფიგურები; წერის ფერწერული მანერა, რაც გამოიხატება ფართო და თავისუფალ მონასმებში. ფერი არ არის

დადებული ლოკალურად, არამედ უმეტეს შემთხვევაში სცილდება კონტურებს, რომლებიც ფორმას ქმნიან. ფართო, თავისუფალი მონას-მები კი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ მინიატურისტი არა წინას-წარი განზრახულობით გამოწერდა ფორმებს, არმედ თავად ხატვის პროცესში აყალიბებდა მათ მახასიათებლებს. მინიატურების აღქმისას თითქოს ხედავ მხატვრობის ქმნადობის პროცესს, რადგან მონასმები უფრო თავისუფლად იკითხება.

ამ თვალსაზრისით, „ვეფხისტყაოსნის“ მინიატურები უფრო მეტად მიესადაგება მესამე რიგის მინიატურებს. 21 ბატალური კომპოზიცი-იდან 13-ში სრულიად იცვლება როგორც სიუჟეტთა კომპოზიციური გააზრება, ისე ფიგურათა ფორმათა განცდა, შესრულების სტილი და იკონოგრაფიული მხარე. მესამე რიგის მინიატურებში წერის მანერა მკვეთრად კონტურულია, უფრო მეტად გამოწერილი. ფიგურათა გარშემონერილობა, მათი დეტალები – შესრულებულია მუქი ფერის ხაზით, რომელიც უფრო მეტ გრაფიკულობას სძენს მინიატურებს. ყოველი ფერი, მოქცეულია იმ კონტურულად შემოწერილ არეზე, რო-მელიც მისთვისაა განსაზღვრული. ამ თვალსაზრისით, ხელნაწერი S1594 – ის მესამე რიგის მინიატურები ეხმიანება „ვეფხისტყაოსნის“ მინიატურებს.

კომპოზიციები შესრულებულია გარშემოწერილ არეზე და მათში შეინიშნება ორგანიზებულობა ისევე, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ მრავალ ფიგურიან ბრძოლის სცენებში. მონინაალმდეგეთა მეომრების ჯგუფების ჰერალდიკურ განლაგებასთან ერთად, მესამე რიგის კომ-პოზიციებს მეტად ორგანიზებულობის ელფერს სძენს მეომართა ფიგ-ურების განლაგების მცდელობა ჰორიზონტალზე ისე, რომ ისინი ერთ სიმაღლეზე არიან წარმოდგენილი. მართალია ფიგურების განლაგების ეს ასპექტი „ვეფხისტყაოსანში“ უფრო მკვეთრადაა აქცენტურებული, თუმცა კომპოზიციის ორგანიზებულობის განხილვისას უნდა გავით-ვალისნიოთ ისიც, რომ შესაძლოა ოსტატი სარგებლობდა ხელნაწერ-ის უფრო ადრინდელი ვერსიით, რასაც გვაფიქრებინებს „ვეფხისტყ-აოსნის“ მნიშვნელოვნება ქართულ სინამდვილეში; ასევე ის ფაქტიც, რომ თავაქარაშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ დასურათების სქემას გარკვეულწილად იმეორებენ მომდევნო პერიოდის ილუსტრატორებიც და ორგორც ჩანს XVII საუკუნეში უკვე არსებობდა გარკვეული ტრადი-ცია იმ საკვანძო თემებისა, რომლებიც უნდა დასურათებულიყო.

„უთრუთიან-საამიანის“ მესამე რიგის კომპოზიციებში წარმოდგენილი პერსონაჟები გაცილებით უფრო მონუმენტურია ვიდრე წიგნის დანარჩენი ნაწილის საილუსტრაციო გაფორმებაში გამოსახული პერსონაჟები, რაც ვლინდება მათი ფიგურების თვალშისაცემად მასიურ, მოზრდილ ფორმებში – განსაკუთრებით ცხენოსანთა გადაწყვეტაში, რადგან მათი ფიგურები იმდენად დიდია ცხენის ფიგურებზე, რომ ერთ-მანეთან პროპორციული მიმართება სრულიად ირღვევა. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა ფიგურებიც ასევე გამოირჩევიან მონუმენტურობით, მათი ტანი ხშირად გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ცხენისა (138v, 199r).

აღსანიშნავია ცხენების იკონოგრაფიული მახასიათებლები, რომლთა მიხედვითაც უფრო მეტად შეიძლება მსგავსებაზე საუბარი „უთრუთიან-საამიანის“ მესამე რიგისა და „ვეფხისტყაოსნის“ მინიატურების მაგალითზე; რაც ვლინდება ცხენების განსაკუთრებულად სილუეტურობაში, მათი კისრის წაგრძელებულ გამოწერაში, თვალშისაცემად მომრგვალებულ ფორმებში, რომლებიც S-ის ფორმასავით გადაედინებიან ცხენის თავიდან. სახასიათოა ცხენის გაცილებით უფრო მასიური ტანი, რომელიც ცხენის ფორმების პროპორციული თვალსაზრისით ცხადად ჩანს მეტად შევიწროვებულ-ნაგრძელებული კისრის და ასევე თავის ფონზე, რომელიც თავის მხრივ ძალიან თხელი ფორმებითა და სახის ნაკვთებით გამოირჩევა.

„უთრუთიან-საამიანის“ ბოლო ნაწილის მინიატურებში იცვლება მეომართა საპრძოლო აღჭურვილობა. თუ წიგნის დანარჩენი ნაწილის კომპოზიციათა პერსონაჟების ძირითადი საპრძოლო სამოსი წარმოადგენდა საპრძოლო კაბას და მუზარადს ზოგ შემთხვევაში სამკლავებით, მინიატურათა ამ ნაწილის არსებითი განსხვავებაა ფურცლოვანი საპრძოლო პერანგი, რომლის მასიური ხასიათიც ერთიანად ცვლის კომპოზიციათა ხასიათს (104v, 107v, 119v).

ნიშანდობლივია მსგავსება ფურცლოვანი აბჯარის გამოყენების თვალსაზრისით „ვეფხისტყაოსნისა“ და „უთრუთიან-საამიანის“ მესამე რიგის მინიატურებს შორის, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემია იმ კომპოზიციების მაგალითზე, სადაც ორივე ხელნაწერში მეომრისა და დევის ორთაბრძოლაა წარმოდგენილი, რომელშიც ფურცლოვანი აბჯარი აცვიათ როგორც მეომრებს, ისე დევებსაც.

„უთრუთიან-საამიანის“ ხელნაწერის მესამე რიგის საილუსტრაციო გაფორმებაში ჩვენს მიერ განხილული ცვლილებები პირველი ორი რიგის მინიატურებთან მიმართებაში, გვაძლევს საფუძველს, გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ამ რიგის კომპოზიციები შესრულებული უნდა იყოს სხვა მხატვრის მიერ.

მიუხედავად ამისა, რთული სათქმელია თუ რამდენად შეიძლებოდა ყოფილიყო მამუკა თავაქარაშვილი „უთრუთიან-საამიანის“ ილუსტრატორი. თუმცა, ამავე ხელნაწერის სამივე რიგის მინიატურათა შედარება „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრობასთან სტილისტურ-იკონოგრაფიული და კომპოზიციური თვალსაზრისით, გვაფიქრებინებს, რომ თუ თავაქარაშვილი იყო ხელნაწერი S1594-ის მომხატავი, სავარაუდოდ მას უნდა შეესრულებინა მესამე რიგის მინიატურები. აქვე დავსძენთ – ნაკლებ სავარაუდოა, რომ მამუკა თავაქარაშვილს, რომელსაც უნდა შეესრულებინა „ვეფხისტყაოსნის“ მინიატურები, გადაეწერა „უთრუთიან-საამიანი“ და არ ყოფილყო მისი ილუსტრატორი.

„ვეფხისტყაოსნის“ თავაქარაშვილისეული ნუსხის მინიატურათა კვალდაკვალ, „უთრუთიან-საამიანის“ მინიატურათა შესრულების ხასიათი, მკვეთრად განხსხვავებულია სპარსული სამინიატურო სკოლის ტრადიციით შესრულებული მხატვრობის ნიმუშებისაგან. ორივე შემთხვევაში, მინიატურების ხასიათი მკვეთრად ადგილობრივი მხატვრული ტრადიციების გათვალისწინებითა შესრულებული, რაც ვლინდება პერსონაჟთა ჩაცმულობაში, სახეთა იკონოგრაფიაში, კომპოზიციურ გადაწყვეტაში, რომელიც გულისხმობს უფრო მეტ პირობითობას, განზიგადებულობასა და პერსონაჟთა სიმბოლურ ხასიათს ვიდრე ეს სპარსული სტილით შესრულებული მინიატურების მაგალითზე ვლინდება, სადაც კომპოზიციის ყველა დეტალი ზედმიწევნით ზუსტადაა გათვლილი და გამოწერილი.

„უთრუთიან-საამიანის“ მხატვრობის იკონოგრაფიულ-სტილისტური ანალიზი გვაჩვენებს, რომ, მართალია, ხელნაწერი წარმოადგენს სპარსული ლიტერატურული ნაწარმოების ქართულ ვერსიას, თუმცა მასში ცხადად ვლინდება ადგილობრივი მხატვრული ტრადიცია როგორც სიუჟეტთა გააზრებაში, ისე კომპოზიციურ ორგანიზებაში, პერსონაჟთა ჩაცმულობაში და გასაკუთრებით სტილისტურ გადაწყვეტაში, რომელიც უფრო მეტად უახლოვდება ქართულ მხატვრულ სივრცეში გავრცელებულ სტილს, ვიდრე სპარსული სამინიატურო სკოლისათ-

ვის დამახასიათებელ ტრადიციებს. ხელნაწერის თვითმყოფადობა ვლინდება მისი ტექსტის ფორმატშიც, რომელიც წარმოადგენს არა „შაჰ-ნამეს“ პირდაპირ თარგმანს, არამედ მის პროზაულ ვერსიას სიუ-ჟეტური დამატებებით.

ეს ხელნაწერები წათლად წარმოაჩენს გვიანი შუა საუკუნეების მხატვრული სივრცისათვის დამახასიათებელი მხატვრული ტენდენ-ციების ერთ მხარეს, რომელიც ქართულ მხატვრულ რეალობაში არსებობდა სამინიატურო სკოლის ორი მიმართულების სახით – ქართული მხატვრული ტრადიციებით და სპარსული სამინიატუროს კოლის გავლენით შესრულებული მხატვრობის ნიმუშების სახით.

გარდა ამისა, „უთრუთიან-საამიანის“ მინიატურისტი სავარაუდოდ ნაკლებად სარგებლობდა უფრო ადრეული ხელნაწერით, რომლის სტილისტურ-იკონოგრაფიული ხაზისა და კომპოზიციათა სქემების გათვალისწინებით იმუშავებდა. მართალია, ხელნაწერის მომხატავს უნდა სცოდნოდა სპარსულ ხელნაწერთა საილუსტრაციო გაფორმების ტრადიცია, მაგრამ ამ შემთხვევაში მისი შემოქმედებითი თავი-სუფლება შეზღუდული არ იყო, რამაც განაპირობა ის სტილისტურ-იკონოგრაფიული თავისებურებების თავისუფალი ხასიათი, რომელიც გასდევს ხელნაწერის საილუსტრაციო გაფორმებას.

რთული სათქმელია რამდენად შეიძლებოდა თავად თავაქარაშვილი ყოფილიყო მინიატურების ავტორი „უთრუთიან-საამიანისა“, რადგან წიგნის საილუსტრაციო გაფორმების ერთმანეთისაგან განსხვავებული ხასიათი გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ მინიატურები შესაძლოა შესრულებული იყოს არა ერთი, არამედ ორი მხატვრის მიერ. მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება დავუშვათ, რომ ის შეიძლებოდა ყოფილიყო მინიატურათა ნაწილის ავტორი. ეს აზრი შეგვიძლია განვამტკიცოთ იმ თვალსაზრისითაც, რომ „ვეფეხისტყაოსნის“ გაფორმებისას მხატვარს შესაძლოა ეხელმძღვანელა უფრო ადრეული ორიგინალით, რომელიც შესაძლოა პოემის ერთ-ერთი იმ ნუსხათაგანიც იყო, რომლებიც დღესდღეობით დაკარგულად ითვლება, რადგან რთული წარმოსადგენია, რომ ასეთი ხანგრძლივი დროის მანძილზე – XII-დან XVII საუკუნებმდე – ასეთი მაღალმხატვრული ლირებულების ლიტერატურული ნაწარმოებისათვის სათანადო ყურადღება არ დაეთმოთ და მისი ადრეული ორიგინალი არ არსებულიყო თუნდაც ილუსტრირებული სახით. განსაკუთრებით რთულია ამის თქმა იმის ფონზე, რომ

XV საუკუნეში საერო ლიტერატურული ნაწარმოების ასახვის ფაქტს ვხედავთ არათუ საერო, არამედ სასულიერო სივრცეში, კერძოდ, ზემო სგანეთის ლენჯერის თემის სოფელ ლაშტევერის მთავარანგელოზთა ეკლესიის ფასადზე, სადაც წარმოდგენილია სცენა მოსე ხონელის „ამი-რანდარეჯანიანიდან“. შესაბამისად, „ვეფხისტყაოსნის“ გაფორმები-სას მხატვარი გარკვეული მაინც მიყვებოდა ამ ლიტერატურული ნაწარმოების გაფორმების უფრო ადრეული სქემებისა და იკონორაფი-ულ-სტილისტურ ტრადიციას, ვიდრე „უთრუთიან-საამიანის“ შემთხ-ვევაში, როდესაც მას ამავე ნაწარმოების ქართულ ენაზე შესრულე-ბული ილუსტრირებული ორიგინალი არ უნდა ჰქონოდა, რადგან მისი არსებობის შესახებ ცნობებსაც კი არ მოუღწევიათ ჩვენამდე.

დამოცვებანი

ამირანაშვილი 1971: ამირანაშვილი შ. ქართული ხელოვნების ისტორია. ტ. I. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1971.

ბარამიძე 1927: ბარამიძე ალ. შენიშვნები „შაპ-ნამეს“ ქართული ვერსიების შესახებ. საქ. არქივი, III. თბილისი: 1927.

ბარამიძე 1940: ბარამიძე ალ. „შაპ-ნამეს ქართული პროზაული ვერსია“. ნარკვევები. II. თბილისი: 1940

ბარტოლომეი 1855: Бартоломей И. А. “Поездка в вольную Сванетию”. Записки Кавказского отдельно Императорского Русского Географического общества. Кн. III. Тифлис: 1855.

ბაქრაძე 1864: Бакрадзе Д. Сванетия. Записки Кавказского отдельно Русского географического общества. кн. VI. Тифлис: 1864

ბურჭულაძე 2006: ბურჭულაძე ნ. უბისის მონასტრის ხატები და კედლის მხატ-ვრობა მე-14 ს. უბისის მონასტრის ისტორიისათვის. თბილისი: „ტრიადა“, 2006.

გაფრინდაშვილი 1971: გაფრინდაშვილი გ. არქიტექტურულ-არქეოლოგიური ძობანი ვანის ქაბში. საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლო-გიური ექსპედიციები 1967 და 1968 წწ. ტ.2. თბილისი: 1971.

ვეფხისტყაოსანი 2013: ვეფხისტყაოსანი: ხელნაწერი მემკვიდრეობა. ალ-ბომი-კატალოგი. თბილისი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2013.

ვირსალაძე 1955: Вирсаладзе Т. “Фресковая роспись художника Микаэля Маглакелив Мацхвариши”. Arsgeorgika, T. 4, Тбилиси: 1955

თაყაიშვილი 1937: თაყაიშვილი ე. არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს. პარიზი: 1937.

კობიძე 1959: კობიძე დ. შაპ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები. თბილისი: 1959.

ონიანი 1959-1960: ონიანი შ. ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია. თბილისი: „საბჭოთა ხელოვნება“, 1959, № 7; 1960, № 8.

უვაროვა 1904: უვაროვა პ. პიეზკავ შავანი. ხევსურეთი և სვანეთი. მათ. ცავი კავკაზი, ვაკ. ხ. მოსკვა: 1904.

შერვაშიძე 1955: შერვაშიძე ლ. „ვეფხისტყაოსნის“ 1646 წლის ხელნაწერის მინიატურების ავტორობის ძეგლახებ. ტ. 2, 6, თბილისი: 1955.

შერვაშიძე 1956: შერვაშიძე ლ.ნ. „Стенные росписи с сюжетами “Амиран Дареджанидзе” в Сванетии“. Сборник АНГССР, т. XVII, N5, 1956.

შერვაშიძე 1964: შერვაშიძე ლ.ა. *О грузинской светской миниатюре*. Тбилиси: 1964.

ცისკარიშვილი 1954: ცისკარიშვილი ვ. „წარწერები ასპანძის რაიონიდან“. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 30. 1954.

ჭიჭინაძე 2014: ჭიჭინაძე ი. სორის ნმინდა გიორგის ეკლესიის მოხატულობა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014.

ქართულ ... 1946: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. კოლექცია. ტ. I. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1946.

ქართულ ... 1951: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, კოლექცია. ტ. II. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1951.

შაპ-ნამეს 1916: შაპ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები. ტ. I. თბილისი: 1916.

LEVAN GELASHVILI

Georgia, Tbilisi

Georgian National Film Center

PhD at Ivane Javakhishvili Tbilisi State University

“The Knight in the Panther’s Skin” Interactive Games

The article examines the interactive literary games in The Knight in the Tiger’s Skin. We have analyzed the world of The Knight in the Tiger’s Skin and of literary works in general, in the form of interactive rules for creating literary games. The work researches literary process of interactive games at the example

of The Knight in the Tiger's Skin and modern fiction. The article shows: re/de-construction of classics: narrative and receptive strategies.

Key words: The Night in the Tiger's Skin board game; interactive literary games.

ლევან გელაშვილი

საქართველო, თბილისი

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

„ვეფხისტყაოსნის“ ინტერაქტიული თამაშები

თანამედროვე ციფრულ ტექსტში ავტორის ფუნქციის დევალვირება, ძალიან პერსონალური სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმღებას. ძველად, ხელნაწერების ხანაში პრიორიტეტული იყო უფრო ტექსტის შენახვა-ინტერპრეტაცია და დროში გადაცემა, ვიდრე ტექსტის ავტორის ინსტიტუტიზაცია. გადამწერი თანავატორად გრძნობდა თავს და ხშირად ცვლიდა ტექსტს თავის შეხედულების მიხედვით. მაგალითად ერთი გადამწერი წერს: „ამას შინა სიტყუია განგრძელდების არამედ შემოკლებულად-რე მნებავს უწყებაი თქვენი“. ზოგი გადამწერი წახალისებულიც იყო თავის პოეტური და ინტელექტუალური შესაძლებლობების გამო. ვეფხისტყაოსნის გადამწერი ნანუჩა (მანუჩარ ციციშვილი) XVII საუკუნის I ნახევრის ქართველი პოეტი, თავის თანამედროვებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მამუკა თავქარაშვილი „ტკბილი სიტყვების მხმობელს“ უწოდებს. არჩილ მეფე ამბობს: ნანუჩას ბევრი რამ „ჩაურევია“. ამ ნანუჩამ თურმე საკუთარი ინიციატივით 11 სტროფი დაუმატა „ავთანდილის ანდერძს“. ინტერპოლატორები საუკუნეების განმავლობაში ინტერაქტიულ კავშირს ამყარებდნენ ტექსტთან. ეპოქების შესაბამისად გარდაქმნიდნენ მას და პოემის ტექსტუალურ კონტექსტს ახალი კულტურული კოდებით ტვირთავდნენ. ზოგი ჩამატება ისე შეისისხლორცა ვეფხისტყაოსანმა, რომ ტექსტის დამდგენი კომისიისთვის დღემდე უცნობია რა დაწერა მის ნაცვლად რუსთველმა. ასეთია ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ტაეპი: „ვწერ ვინმე

მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა“ (მესხი მელექსე რუსთაველის მიბაძვით ვწერო).

პარადოქსია, მაგრამ გუტენბერგის გამოგონება; შრიფტის ჩამოსასხმელი საბეჭდი დაზგები ე. წ. „კოპი პეისტის“ პრინციპით მუშაობდნენ და ერთი და იმავე ასოების თანმიმდევრობას ბეჭდავდნენ, რამაც ავტორი ტექსტს მჭიდროდ დაუკავშირა, ვიდრე ეს ხელნაწერთა გადამწერების დროს იყო, რომელიც უნებურად ან შეგნებულად ცვლიდნენ ტექსტის ქსოვილს და მის ავტორს. საუკუნეების შემდეგ სწორედ ამ „კოპი პეისტის“ პრინციპის კომპიუტერულ სივრცეში გადანაცვლებამ და ინდივიდუალურ დონემდე დახვენამ, ავტორი ჩამოაშორა ტექსტს და მისი გავრცელება და ინტერპრეტაცია სწრაფი ცვლილების მქონე მოვლენად აქცია. ხშირად ავტორის ხელიდან გამოსული ტექსტი კოპირდება, ვრცელდება და იცვლება სხვადასხვა მომხმარებლის მიერ.

ლიტერატურამ გუტენბერგიდან დაიწყო მანქანური ცივილიზაციის გამოყენება. შრიფტის დამამზადებელი დაზგების გამოყენება, ზოგადად მანქანური ტექნოლოგიების ჩართულობა ლიტერატურაში ნელ-ნელა შემოიპარა. სიტყვაკაზმული მწერლობა ქალალდის გარეშე თითქოს ვერავის წარმოგვიდგენია, მაგრამ მანქანური ტექნოლოგია სწორედ უქალალდო მწერლობის პორიზონტებს გვისახავს. არალინეარული თხრობის და ტრადიციული ტექსტუალური კონტექსტის დარღვევის უნარ-ჩვევები, გამომუშავდა კომპიუტერის შექმნამდე ე. წ. ლიტერატურული დაფის თამაშების დროს, რომელიც მულტიმედიური ბელეტრისტიკის ერთ-ერთ წინაპრად შეგვიძლია მივიჩნიოთ, როგორც გენეალოგიური მართვის ლიტერატურულ შრეში შეღწევის საშუალება.

„ვეფხისტყაოსანი“ ყველა ეპოქაში აქტუალური იყო. პოემის ზეპირად ცოდნის და კითხვის ტრადიცია, გაგრძელებათა გაგრძელებები, რომელიც ცალკე აღებული, პოემას ბევრად აღემატება. ხალხური ვეფხისტყაოსანი“, ავთანდილობა თუ შერმადინობა – ეს ყველაფერი ხალხის კულტურულ-სოციალურ ცხოვრებაში „ვეფხისტყაოსნის“ ინტერაქტიულ-თამაშობრივ მონანილეობას გამოხატავდა. ვეფხისტაოსანი იყო პიპერტექსტი ე. წ. „სუპერ გუგლი“, რომელშიც საუკუნეების განმავლობაში ადამიანები პასუხებს მათთვის საჭირო კითხვებზე პოულობდნენ; როგორ უნდა მეგობრობა, სიყვარული, რა არის ერთგულება. პოემა არა მხოლოდ ლიტერატურულ, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც აყალიბებდა გემოვნებას, მსოფლმხედველობას და

რთულ ვითარებაში ზოგჯერ კომუნიკაციისა და მიმოწერის ყველაზე საიმედო საშუალებაც იყო. ომის დროს, ცენზურის პირობებში, მიმოწერისას დახმარებისთვის ტექსტის დასაშიფრად ხშირად პოემის ტექსტის მიმართავდნენ.

ვეფხისტყაოსნის მზითებში გატანება, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტრადიცია იყო, როგორც უძვირფასესი განძის ჩუქება. აკაკი წერეთელი იხსენებს; რომ ერთმა რაინდმა არგვეთის თავადს ქალი სთხოვა და თურმე სასიძო დაიწუნეს, იმიტომ რომ არ ჰქონდა ვეფხისტყაოსანი. საინტერესოა რომ ერთ ქართულ ხალხურ ლექსში „ვეფხისტყაოსნის“ პატრონი უკან იბრუნებს პოემას და არა ქალს:

„ქალი მყავდა მშვენიერი
თავმორთული კაოსანი,
გავათხოვე, გავატანე
ჩემი ვეფხისტყაოსანი.
წაეკითხათ, ვერ გაეგოთ
თურმე იყვნენ ვიროსანი,
ისევ უკან დავიბრუნე
ჩემი ვეფხისტყაოსანი“.

პოემის ტექსტს ვხვდებით არამხოლოდ ხელნაწერებში, არამედ ვანის ქვაბის კედლებსა („ციხეს ვზი ეგზომ მაღალსა, თვალი ვერ გადასწვდებიან“) და სხვა ძეგლებზეც, წიგნის არშიების მინაწერებზე. XIX საუკუნეში ერთი-ერთი მაღაზიის მეპატრონეს კანფეტები ისეთ ქალალდში გაუხვევია, რომლებზეც რუსთველის აფორიზმები ყოფილა დაბეჭდილი.

პოემის პირველი სამაგიდო თამაშებიც ამ პერიოდში გამოჩნდა. საქართველოში პირველი ასეთი ლიტერატურული თამაში ილა ჭავჭავძის დროს დაიბეჭდა. 1892 წელს 24 ივნისს გაზეთ „ივერიის“ №131-ში გამოქვეყნებული იყო ვრცელი ინფორმაციული ცნობა, რომ ოზურგეთიდან მიუღიათ კ. თავართქილაძის მიერ დაბეჭდილი ლოტო, რომელიც ეფუძნებოდა პოემის აფორიზმებს. იქვე ახლდა ვრცელი განმარტება თამაშის წესების შესახებ. დასასულს ავტორი ასკვნის, რომ ეს თამაში ხელს შეუწყობს „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად შესწავლას. ამ პერიოდში გავრცელებული იყო ვეფხისტყაოსნის და სხვა ლიტერატუ-

რული თამაშების შექმნა, რომელსაც იღია ჭავჭავაძეც ხელს უწყობდა. ლიტერატურული დაფის თამაშები ინტერაქტიული მოვლენაა, სადაც ტექსტთან ერთად ფსევდოგრაფიკული დეკორაცია და მკითხველის მაქსიმალური ჩართულობა, წამყვანი სათამაშო სტრატგეგიაა.

1938 წელს გამომცემლობა „ტექნიკა და შრომამ“ გამოსცა ალექსანდრე ინაშვილის მიერ შედგენილი „ვეფხისტყაოსნის“ და სხვა მწერლების ნანარმობებიდან შედმგარი ლოტო. სათამაშო ლოტო შედგებოდა ე. წ. ქარდების, წიგნაკისა (თამაშის წესები) და მუყაოს ფირფიტებისგან. თითქმის ანალოგიურ პრინციპს ემყარებოდა 1986 წელს გამოცემული სახალისო ლოტო: „გონებანი გონიერსა“ (გამომცემლობა განათლება), შემდგენელი ხოდაშნელი. ეს თამაში ემყარებოდა 1951 წლის საიუბილეო გამოცემას (სარედაქციო კოლეგია: ბარამიძე, კეკელიძე, შანიძე). თამაშში 110 აფორიზმია გამოყენებული, რომელიც 24 ქარდზეა განლაგებული. თამაში არ იყო, მაგრამ დიდი პოპულარობით სარგებლობდა ე. წ. პოემის და ანდაზების მიხედვით შექმნილი ყვავილნარები. ამ შემთხვევაში მოთამაშეები წიგნის ფურცლების ნაცვლად ბარათებზე კითხულობენ ტაეპებს.

მეოცე საუკუნეში დროთა ფორმაციის შედეგად, საჭირო გახდა პოემის ხალხთან ურთიერთობის ახალი ინტერაქტიული ფორმა. ვეფხისტყაოსნის ლოტო სწორედ ასეთი მოვლენა იყო. ლიტერატურული სამაგიდო თამაშები უნიკალურ შესაძლებლობებს იძლევა, რადგან უშუალოდ ავტორის სიტყვიერ სამყაროში ამოგზაურებს მოთამაშეს და მისი ბუნებრივი ნაწილი ხდება. ტექსტის შეცნობისათვის აუცილებელია, მკითხველის იდენტიფიკაცია მის რომელიმე გმირთან ან მთლიანად ამბავთან. ამ მხრივ დაფის თამაშებს დიდი შესაძლებლობები გააჩნია. გრაფიკულ-გამომსახველობითი და ტექსტური მხარე ახალი სინთეზური ვარიაციებით არის წარმოდგენილი. თამაშობ, ესე იგი მონაწილეობა ამბავში – მოგზაურობ ხელშესახებ სიტყვიერ გარემოში და აფორზმებით იხსნება იმ სამყაროს კარი, რომელშიც ორგანულ ნაწილად იგრძნობ თავს.

ნოვატორული გამოცემაა ახლახანს, 2016 წლის ჩვენ მიერ მომზადებული პირველი ფერადი ილუსტრირებული ვეფხისტყაოსნის სამაგიდო თამაში. თამაში შედგება ლიტერატურული რუკისგან, სადაც მოთამაშე რუსთველის სიტყვიერ ხელშესახებ ილუსტრირებულ სცენებში მოგზაურობს. თამაშში მონაწილეობს 30 აფორიზმი, მათი

ცოდნა საშუალებას აძლევს მოთამაშეს წინ გაიჭრას და გაიმარჯვოს. სამაგიდო თამაში მარათონული პრინციპზეა დამყარებული. იმარჯვებს ის, ვინც გადაღახავს დაპრკოლებებს და პირველი მივა ფინიშთან. თუ მოთამაშეს სურს სხვა აფორიზმები გამოიყენოს, გამოცემას მოყვება სარეზერვო აფორიზმები და გამოსაჭრელი ბარათები. ნებისმიერ მოთამაშეს შეუძლია მისთვის საინტერესო აფორიზმები ან ტაქები დაამატოს თამაშს ბარათების სახით და გაამრავალფეროვნოს ის.

დაფის თამაშების ალგორითმი დამოუკიდებლად, საწერი ტექნოლოგიების პარალელურად ვითარდებოდა. ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად განიცადეს განვითარებისა და ეკოლოგიის საფეხურები. თუმცა თამაშის ალგორითმი თითქმის უცვლელი დარჩა. სამაგიდო თამაშების ისტორიის მკვლევარი დევიდ პარლეტი მიიჩნევს, რომ ყველა სამაგიდო თამაშს ერთი ძირი აქვს, რომ ყველაზე თანამედროვე თამაშსაც კი, ფესვები პრეისტორიულ ხანაში აქვს. უძველეს დროში სამაგიდო თამაშები ყველასათვის ხელმისაწვდომი არ იყო. ის ძრითადად ელიტისთვის განკუთვნილ დიპლომატიურ საჩუქარს წარმოადგენდა და მათი დროსატარების საშუალება იყო. ელიტარულმა სამაგიდო თამაშებმა რომაულ ლეგიონებთან ერთად ჰპოვა გავრცელება. ამ ტიპის თამაშები სავარაუდოდ IV ათასწლეულის შუა ხანებში გაჩნდა. ერთ-ერთი უძველესი თამაშია „სენატი“, მისი ერთ-ერთი ნიმუში ტუტ-ანხამონის აკლდამაში აღმოჩნდა. ის წარმოადგენს ბადეს, რომელიც სამ რიგად განლაგებული ოცდაათი კვადრატისგან შედგება. ამ თამაშის წესები დღემდე საიდუმლოს წარმოადგენს. ეგვიპტეში არსებობდა თამაში „მეპენი“ ლომისა და ბურთის ფორმის ფიგურებით. ერთ-ერთ უძველეს თამაშად ითვლება ასევე ბრიტანეთში ექიმის სამარხში ახ. წ. 40-50-იანი წლებით დათარიღებული თამაში, რომელიც წარმოადგენს დაფას 26 ფიგურით. სამაგიდო თამაშები მართალია რომაელთა დაპყრობითი ომების პარალელურად გავრცელდა, მაგრამ დროთა განმავლობაში მათ ადგილობრივი კულტურის ნიშნები შეითვისეს.

გლობალიზაციის პირობებში ტექნოლოგიური და კულტურული ეკლექტიკა ახალი სახელოვნებო დარგის ფორმირებისათვის სათანადო გარემოს ქმნის. ტექსტის ტექნოლოგიური მოხმარების ჩარჩო გაფართოვდა. კითხვა მხოლოდ გრაფიკული ნიშნებით ჩაწერილი აზრის ამოხსნას ამოკითხვას არ ნიშნავს, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში კითხვა ეკრანული კოდების, ამოძრავებული გრაფიკული ნიშ-

ნების სინქრონულ გაშიფვრას გულისხმობს. პიქტოგრაფია ნახატების საშუალებით აზრის გადმოცემაა, რომელიც ნებისმიერ ენაზე შეგვიძლია გავიგოთ. გრაფიკულ ურთიერთობებში სწორედ ამ ტიპის დამწერლობა ასრულებდა ოდიოგანვე ძირითად როლს. ჯერ კიდევ უძველესი დროიდან გამოიყენებოდა როგორც კომუნიკაციური საშუალება. გრაფიკული ურთიერთობის პირველი გამოვლინება იყო მღვიმების კედლებზე ადამიანის მიერ შექმნილი ნახატები, რომელნიც ასახავდნენ ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებას. გრაფიკული ურთიერთობის უძველესი ხანა, სამ ძირითად პერიოდს მოიცავს: ძველ ეგვიპტურ ბერძნულ და რომაულ პერიოდებს. უკვე ამ პერიოდებშივე ილუსტრირებულ ხელნაწერებში, ტექსტთან ერთად თანაარსებობდა ნახატებიც, რომელიც ხშირად არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ვიდრე თავად ტექსტი. ტექნოლოგიური რევოლუციის შემდეგ თანამედროვე გრაფიკულ ურთიერთობებში ახალი ერა დაიწყო. ტექსტთან ერთად კიბერსივრცებში ხდება უძრავი გრაფიკული გამოსახულებების გაცოცხლება. იქმნება სიტყვაკაზმული მწერლობის არატრადიციული თხრობის სისტემა და მულტიმედიური გარსი. ხდება ტექსტის ვიზუალიზაცია, მონაცემებისა და მათი ადეკვატური გრაფიკული გამოსახულების შესაბამისობის მიღწევა.

ფსიქოლოგების აზრით ადამიანი მხედველობითი არხით ითვისებს ახალი ინფორმაციის 90%-ს და მისი საშუალებით იგი სხვა ადამიანებთან ურთიერთობის პროცესში მრავალრიცხოვან არავერბალურ კომპონენტებსრთავს. ასეთი ტიპის ინფორმაციის გადაცემის საშუალება ადამიანთა ურთიერთობისას ძალიან დიდ როლს ასრულებს. ლიტერატურის დაფის თამაშები და მულტიმედიური გარსი ჩაერთო ამ ყველაზე უმნიშვნელოვანეს ტექტუალურ-გრაფიკული ურთიერთობის პრიმატით აღქვეყნდილ მოვლენაში. პიპერლიტერატურაში გავრცელებული მიმართულება adventure ქაღალდის მწერლობაში უფრო ადრე განჩდა ვიდრე კომპიუტერული სისტემები დაბადებოდა. პირველი ცდები 1940-1970 წლებში იყო. 1950 წელს ფსიქოლოგმა სკონერმა გამოთქვა აზრი ინტერაქტიული ლიტერატურის შექმნის სტუდენტებისთვის განათლების მიღების მიზნით. 1960 წელს იდეა მოტივირებული იყო ლიტერატურული ექსპერიმენტებით. ბორხესი ითვლება მულტივერსიულობის ფუძემდებლად. ელექტრონული ლიტერატურის გაჩერნამდე არსებობდა სხვა ინტერატიული პიპერტექსტის წინაპარი ვერსიები

კორტასარის, ნაბოკოვის, პავიჩის შემოქმედების სახით. მსგავსი პრაქტიკა დღეს უკვე აპრობირებული საშუალებაა, მაგალითად არსებობს შერლოკ ჰოლმის თამაში: „221b Baker Street Detective“, რომელიც წიგნზე არანაკლებ პოპულარულია. როგორც აღვნიშნეთ, დაფის თამაშების მსგავსი ნიმუშები პრეისტორიული ხანიდან არის შემორჩენილი. ის ყოველ დროში ადამიანის სოციალური ცხოვრების შემადგენელი ნაწილი იყო, მაგრამ განსაკუთრებული აღმავლობის პერიოდი მეოცე საუკუნის სამოციანი წლებიდან იწყება. „Monopoly“, „Scrabble“, „Risk“, „Settlers of Catan“, „Ticket to Ride“, „Apples to Apples“ და სხვა ამ ტიპის თამაშები, რომელიც მთელ მსოფლიოში უაღრესად მნიშვნელოვანი ინდუსტრიაა და დღემდე რამდენიმე ასეულ ინტელექტუალურ თამაშის სერიას აერთიანებს. დაფის თამაშების წარმატება იმანაც განსპარობა, რომ ის აბსოლიტურად ყველა სფეროს აერთიანებს: კინოს, ლიტერატურას, ანიმაციას, სპორტს, კოსმოსს და სხვა. რომლებიც ერთ-ერთი შემადგენელი რგოლია, კომიქსების და ვიდეოთამაშების გვერდით კომერციულ ინტელექტუალურ-გასართობ ინდუსტრიულ სტრუქტურაში. დაფის თამაშები ბავშვებს და არამთლოდ მათ, ამოგზაურებს ზღაპრულ ლიტერატურულ სამყაროში და ახალი აღმოჩენებით და ინტელექტუალური თამაშობრივი აზარტით, ანებივრებს მკითხველებს.

დღეს თანამედროვე სემიოტიკა ტექსტად განიხილავს არამხოლოდ ნიშნობრივ თანმიმდევრობას, არამედ მხატვრულ ტილოს, ცეკვას, რაიმე ტიპის უესტს, და ა შ. ტექსტის შესწავლით დაინტერესებული დისციპლინები (თეოლოგია, ისტორია, იურისპრუდენცია, სოციალური ფსიქოლოგია, კოგნიტური ფსიქოლოგია, ლინგვისტიკა და სხვა) ტექსტს იკვლევენ იმდენად რამდენადაც მათ ეს აინტერესებთ. ლათინურად ტექსტი *textus* შეკავშირებულ თხრობას, გადაბმის შეთხზვას ნიშანებს. ტექსტის თანამედროვე დეფინიცია ტექსტს მხოლოდ ერთმანეთთან აზრობრივად დაკავშირებულ წინადადებებს არ გულისხმობს. თანამედროვე გაგებით ტექსტი არის კომუნიკაციური აქტი, კულტურის და ინფორმაციის არსებობის ფორმა. განსაზღვრული ისტორიული ეპოქის პროდუქტი, ინდივიდის ფსიქიკური ცხოვრების ამსახველი კონსტანტა. ოსტმანი ვირტანენის განმარტებით დისკურსი არის ტექსტის დამატებული სიტუაცია ხოლო ტექსტი შესაბამისად დისკურსს გამოკლებული სიტუაცია. ვან დეიკის აზრით ტექსტი მხოლოდ დისკურსში რეალიზებული აბსტრაქტია.

წიგნი სტრუქტურულად ავტორიდან მკითხველისკენ მიმართული ინფორმაციაა. სამაგიდო თამაშები და ლიტერატურული მულტიმედია სისტემურად განსხვავებული მოვლენაა. აქ ავტორი და მკითხველი ერთ კოლაბორაციაშია, რაც ერთ დაუსრულებელ პროცესს ქმნის. ლიტერატურულ თამაშში თავდაპირველად იქმნება ლიტერატურული ორგანიზმი, რომელიც ქმნის არხებს სხვადასხვა მიმართულებით. გამგზავნი – შეტყობინება – მიმღები (გამგზავნი) – შეტყობინება – მიმღები (გამგზავნი) კომუნიკაციური პროცესი. სამაგიდო ლიტერატურულ თამაშში, ისევე როგორც გლობალური კულტურის კონტექსტში დაბადებული ჰიპერლიტერატურული ტექსტი თავიდანვე იქმნება ორმხირივი მოლოდინის და ურთიერთზეგავლენის მოლოდინში. ინტერაქციული ტექსტის ქმნადობისას, რეციპიენტის მიზანია იპოვოს, აღმოაჩინოს ის კოდური შინაარსი, რომლის ინტერპრეტირებულ გაგრძელებასაც მოახდენს. როცა რეციპიენტი შეტყობინებას გზავნის მას მნიშვნელობა კი არ აინტერესებს, არამედ თვით მომხმარებლის მიერ მისი ინტერპრეტირება. ამ დროს საქმე ეხება უკვე არსებული გამოყენებული ფორმის დეკოდირებას და მოდელირებას. რეციპიენტში დიდი მნიშვნელობა აქვს: ინტერაქციის ინტუიციურ ცოდნას, სამყაროს შემცნებით ეფექტებს და კოგნიტურ ინტერპრეტაციებს. ამ ტიპის იორმხირივი ზეგავლენა ქმნის ჰიპერლიტურულურ ცოცხალ იორგანიზმებს, რომლებიც დამოუკიდებელია ავტორთაგან, რომლებიც მათ ქმნიან. ამ შემთხვევაში ნაწარმოების თამაშობრივი პოეტიკა სრულიად იცვლება. მნიშვნელობა არ აქვს ქარდებით თამაშობს რეციპიენტი თუ ქსელში, მულტიმედიური ტექნოლოგიით შექმნილი ნარატივის უნიკალური კოდები, ტექსტუალური ქსოვილი, ლოგიკური და ემოციური მახვილები რადიკალურად განსხვავებულ ბელეტრისტიკის ესთეტიკას ქმნის. ლიტერატურის ტექნოლოგიური ბუნება არასდროს გვევლინება დასრულებულ ფაქტად, იგი მუდმივ ქმნადობაშია ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც ჩამოყალიბების სტადიებს გადის. ქარდების ლიტერატურული თამაშები და ჰიპერტექსტი, როგორც დინამიური ხელოვნების მრავალავტორიანობა არ არის მხოლოდ ელექტრონული ტექსტის ორგანიზებული მყუდრობა. ესაა ტექსტი, რომელსაც ახლავს ხმა, ფერი და გრაფიკა, (შეიძლება გათვალისწინებული იყოს ისეთი ნიუანსები როგორიცაა ყველა ასობგერის ფერთან ასოცირება და სხვა). ჰიპერტექსტის, როგორც დამალული ინფორმაციების ენციკლოპედიური განმარტებები და სხვა

ერთობლიობების ბმული, მულტიმედიური მრავალავტორიანობა მისი დაუსრულებელი ვრცელი მოცულობა დიდ, მონუმენტურ ტილოს ასო-ციაციას იწვევს.

მიუხედავად იმისა, რომ ქსელური ლიტერატურის ექსპერიმენტული ბუნება კომპიუტერის სისტემების შექმნადე გამომუშავდა. თავისი არ-სით ლიტერატურული სამაგიდო თამაშები და ინტერნეტში გავრცელებული ქსელური მნერლობის პროგრამული უზრუნველყოფა, ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. სამაგიდო თამაშები ეს არის სოციალური მოვლენა. თამაშობ – ესე იგი მეგობრობ, ურთიერთობ თამაშის სხვა წევრებთან, მოიგებ ან წააგებ. კომუნიკაციური აქტი თამაშის მთავარი ვერბალური მოვლენაა. ინტერნეტში ლიტერატურული თამაში სრულიად ასოციალური მოვლენაა, იმ შემთხვევაშიც თუ ქსელში სხვა ადამიანებს ეთამაშები ეს ურთიერთობა არის ვირტუალური. არ იცვლება პრინციპი (არარელიეფური თხრობის სისტემა) იცვლება არსი (რაც ხდება ყველაფერი ნამდვილი არ არის).

ამგვარად, ტექსტის ტექნოლოგიური მოხმარების ჩარჩოს გაფართოება ტექსტს ლიტერატურულ თამაშში საქციელად აქცევს, რომელიც განსაზღვრავს შემოქმედებით მცრავობელობას და იმპულსურ პროცესებს. ტექნოლოგია არ ქმნის თხზულებას, ერთის მხრივ ტექნოლოგია შემოიჭრა ლიტერატურაში და მეორეს მხრივ ლიტერატურა აწესებს ხელოვნების ამ ხაზის განვითარების კანონებს.

დამოცვებანი:

ვიდეო თამშების სწავლებისთვის 2004: *The use of computer and video games for learning* A review of the literature Alice Mitchell and Carol Savill-Smith Learning and Skills Development Agency 2004

სამაგიდო თამაში და მედია 2014: *Interactive board games as multimedia convergence* Convergence: The International Journal of Research into New Media Technologies December 2016 22: 647-660, first published on December 15, 2014

ტატიშვილი 2000: ტატიშვილი ლ. „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერნი. თბილისი-კოპენპაგენი: 2000.

TATIA OBOLADZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Nuradin Pridon – Character Traveling from One Text to the Other

By “borrowing” of the characters of classical text of the “Knight in the Panther’s Skin”, contemporary Georgian writer, Aka Morchiladze applies one of the techniques characteristic for postmodernist narrative, in particular, he liberates the character from the time and space limits and ideological imperative of the “Knight in the Panther’s Skin”.

Our goal is, to clarify the relation of Aka Morchiladze’s texts (– “The Book” and “Story of the Tiger and Commander (Oriental Detective Story)”) to the “Knight in the Panther’s Skin” and find out, why the post-modernist author has made one and the same character from the same text the main character of his two different stories.

Key words: Postmodernism; Short-story; Desacralization

ლილი მეტრეველი

თათია ობოლაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ტექსტებში მოგზაური პერსონაჟი – ნურადინ ფრიდონი

ქართველი მწერლის აკა მორჩილაძის ორი მოთხრობის „წიგნი“ და „ამბავი ვეფხვისა და ასისთავისა“ (აღმოსავლური დეტექტივი) მთავარი პერსონაჟი „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი გმირი მულდაზანზარის მეფე ნურადინ ფრიდონია.

სტატიაში შევეცდებით, ერთი მხრივ, დავადგინოთ, რა მიმართება არსებობს პოსტმოდერნისტი ავტორის ტექსტებსა და „ვეფხისტყაოსნის“ შორის, მეორე მხრივ, კი განვსაზღვროთ ტექსტებში მოგზაური პერსონაჟის – ნურადინ ფრიდონის მხატვრული სახის ფუნქცია პოსტმოდერნისტულ დისკურსში.

ნურადინ-ფრიდონის „მხატვრული სახე ქართულ რეცეფციულ ეს-თეტიკაში „ვეფხისტყაოსნის“ ლოგოცენტრულ იდეებს უკავშირდება. ნურადინი ტარიელთან და ავთანდილთან ერთად სამების განუყოფელ მთლიანობას ქმნის და მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს – ნესტან-დარჯვანის ქაჯთაგან გამოხსნაში. აკა მორჩილაძემ კი ნურადინი მოთხრობაში „წიგნი“ განსხვავებული ეთიკური პოზიციის მქონე პერსონაჟად აქცია, გაათავისუფლა „ვეფხისტყაოსნის“ – დროსივცრული საზღვრებისა და იდეურ-მსოფლმხედველობრივი იმპერატივისაგან, უან ფრანსუა ლიოტარის ტერმინს თუ გამოვიყენებთ, „გრანდარატივისგან“, რომელიც ყოფიერების საზრისის გაგებას უნივერსალური პრინციპის საფუძველზე ცდილობს.

მოთხრობაში „წიგნი“ ნურადინი „ვეფხისტყაოსანში“ განვითარებული ამბის ალტერნატიულ ვერსიას გვთავაზობს: კლასიკური ტექსტის-გან დისტანცირებული პერსონაჟი ვერ ახერხებს სიყვარულის იდეისთვის მებრძოლ გმირთან თვითიდენტიფიკაციას, უარყოფს „ურჯულო გურჯთა გამონაგონს“ – ქაჯეთის ციხიდან ნესტანის გათავისუფლებაში თანამონანილეობის ფაქტს, რითაც „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულას ამბის განვითარების საკუთარი ვერსიით ცვლის. „იქ სწერია: ნურადინ ფრიდონი, ინდო ჭაბუკი და მისრელი სპასპეტი წავიდნენ და გააცამტვერეს ქაჯთა ქალაქი, საიდანაც ქალი გამოიხსნესო. არ ვყოფილვარ ქაჯთა ქალაქში!... ვერ წავალ სალაშქროდ მათთან ერთად, იმიტომ, რომ არ ძალმიძის ქალის გულისთვის ჩემს ყმათა ხოცვის ცქერა, არ არის მებრძოლის წესი ქალის გულისთვის ცეცხლის გაჩენა“ (მორჩილაძე 2003: 58).

აკა მორჩილაძე „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტური ქარგის რღვევით, „რეალობისა“ და „გამონაგონის“ დაპირისპირებით მოთხრობას „წიგნი“ „სანდო“ ტექსტის ილუზორულ სტატუსს ანიჭებს, რითაც საფუძველს აცლის „ვეფხისტყაოსნის“ უნივერსალურობის იდეას. ამდენად, რეალობისა და გამონაგონის გამიჯვნა ამ შემთხვევაში პოსტმოდერნისტული ხერხის ფუნქციას იძენს. როგორც ლიტერატურათმცოდნებელა წიფურია წიგნში „ქართული ტექსტი საბჭოთა, პოსტსაბჭოთა, პოსტმოდერნულ კონტექსტში“ აღნიშნავს: პოსტმოდერნისტულ ნაწარმოებში „შეიძლება განმეორდეს მოდერნისტული ძიებანი ისე, რომ ავტორი აღარც ეძიებდეს ტრანსცენდენტურ ჭეშმარიტებას ან ახალ გამომსახველობით გზას. ამდენად, არსთან, არსებითთან მიმართების დაკარგვის ნიშნით ეს ხელოვნება არის კიდეც სიმულაკრა, ასლი ორიგინალის

გარეშე, ფენომენი (მატერიალური გამოვლინება) ზემატერიალური იდეის, ფიზიკური სახე პირველსახის გარეშე (წიფურია 2016: 417-418).

აშკარაა, რომ პოსტმოდერნისტულ მოთხოვბა „წიგნსა“ და კლასიკურ ტექსტს შორის დაპირისპირება არა მხოლოდ ნარატიულ, არამედ იდეურ-მსოფლმხედველობრივ დონეზეც ფორმდება. „ვეფხისტყაოსნის“ წურადინის ეთიკურ პოზიციას, განსხვავებული მსოფლალქმის მქონე და პოსტმოდერნისტული ტექსტის „ახალი მორალი“ ცვლის. კონსტანტინე ბრეგაძის მართებული შენიშვნით, „პოსტმოდერნისტულ ფილოსოფიაში საკაცობრიო ისტორიის მანძილზე ჩამოყალიბებული ნებისმიერი მეტაფიზიკური პარადიგმა აპრიორულად განიხილება, როგორც სუბიექტისათვის გარედან თავსმოხვეული იდეოლოგიური კონსტრუქტი, რომლის დეკონსტრუქციაც უნდა მოხდეს“ (ბრეგაძე 2013-2014: 59.).

ასე რომ, „ვეფხისტყაოსნის“ ამბის დესაკრალიზებითა და ზე-დროულ ღირებულებათა გადაფასებით აკა მორჩილაძე კლასიკური ტექსტის დეკონსტრუქტირებას ახდენს.

საგულისხმოა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები – ნურადინ ფრიდონი, ფატმან ხანუმი და ჭაშნაგირი – აკა მორჩილაძის კიდევ ერთი პოსტმოდერნისტული მოთხოვბის „ამბავი ვეფხვისა და ასისთავესა (აღმოსავლური დეტექსტივი)“ მთავარ გმირებად წარმოგვიდგებიან. ავტორი წინასწარ განსაზღვრული მსოფლმხედველობრივი პოზიციის, ინტენციის გარეშე ქმნის ე. წ. ონტოლურებულისტის (გ. მარგველაშვილი), – თვითკმარ ყოფიერებას და ერთ სიბრტყეზე ათავსებს მხატვრულ და ისტორიულ კონტექსტებს: „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის არაბებისგან გათავისუფლების თანამონაწილებად აქცევს. მოთხოვბის მიხედვით, დიდვეზირის მიერ თეთრნიშნიანი ვეფხვის მოსახებნად წარგზავნილი ასისთავი ნურადინ-ფრიდონი არაბების მიერ დაპყრობილ ბითლისში აღმოჩნდება და დავით აღმაშენებლის ჯამუშის – ფათმა ხანუმის – მიზეზით თბილისის გათავისუფლების საბაბად იქცევა.

აღსანიშნავია, რომ ასისთავის მოგზაურობის მიზანი თეთრნიშნიანი ვეფხვის ძიებაა. ტექსტში დესაკრალიზებულია როგორც ძიების მოტივი, ისე ვეფხვის სიმბოლო (ვეფხვი კი „ვეფხისტყაოსანში“ ნესტანის მხატვრულ სახეს უკავშირდება – „ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხვი პირ-გამეხებული“ (რუსთაველი 1976: 170) სულტნის ძალაუფლების ნიშანს მოთხოვბაში ფიტული ანაცვლებს.

აკა მორჩილაძე, ერთი მხრივ, არალინიალური თხრობის მანერეთ (ტექსტი მონტაჟის პრინციპითაა აგებული, საგანგებოდ გამოტოვებული 1-ლი თავი), მეორე მხრივ, კი მხატვრული და ისტორიული გმირების შეუსაბამო დაკავშირებით პოსტმოდერნისტული დისკურსისთვის დამახასიათებელ თამაშის ესთეტიკას მიმართავს, მოთხრობის უანრის (აღმოსავლური დეტექტივი) განსაზღვრით მკითხველში (კრუ მოლოდინის განცდას აღძრავს და ქმნის სიმულაციურ სამყაროს, რომელშიც „რეალურად“ მომხდარი მოვლენა წარმოსახვის პროდუქტად და ვირტუალურობად, ხოლო ვირტუალური რეალობად გვევლინება.

ავტორი ისტორიული და მხატვრული ნარატივების შეუსაბამო დაკავშირებით მიზანმიმართულად არღვევს ოფიციალურ ნარატივს, უარყოფს ისტორიულ ქრონიკებში აღწერილი ფაქტებისა თუ მოვლენების მნიშვნელობას, უკარგავს „ქართლის ცხოვრებას“ ისტორიულ-დოკუმენტური წყაროს სტატუსს და ყოველგვარი მსოფლმხედველობრივი თუ იდეოლოგიური მოტივაციის გარეშე ქმნის ტექსტს – თავისუფალს „დიდი ნარატივების“ იდეოლოგიური თუ მორალური იმპერატივისგან: შედეგად ვიღებთ ხელოვნების ნიმუშს საზრისის, ჭეშმარიტების ძიებისა და ღირებულებათა პარადიგმის დაფუძნების გარეშე (კონსტანტინე ბრეგაძე). ამ შემთხვევაში ტექსტი აღარ დაიყვანება ერთ კონკრეტულ მნიშვნელობამდე, პოლისემანტურია და უშვებს მრავალგვარი ინტერპრეტაციის პერსპექტივას.

ამდენად, აკა მორჩილაძის ზემოთ დასახელებულ ორივე მოთხრობაში „ვეფხისტყაოსანი“ ინტერტექსტად უნდა გავიაზროთ. ავტორი სხვადასხვა პოსტმოდერნისტული ხერხით („თამაშის ესთეტიკით“, მარგინალი პერსონაჟების შემოყვანით, ისტორიული და მხატვრული ნარატივების გაერთიანებით, მონტაჟის პრინციპის გამოყენებით, სიმბოლოთა დესაკრალიზებით) ახდენს „ვეფხისტყაოსნის“ ლოგოცენტრული იდეების დეკონსტრუირებას.

დამოცვებანი:

აბრამსი 1999: Abrams M. H. *A Glossary of Literary Terms*. USA, 1999.

ბრეგაძე 2013-2014: ბრეგაძე კ. „პოსტმოდერნისტული რომანის პოეტიკა“. სჭანი. 14. თბილისი: 2013-2014.

მორჩილაძე 2003: მორჩილაძე ა. წიგნი. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2003.

რუსთაველი 1976: რუსთაველი შ. ვეფხისტყაოსანი. თბილისი: „განათლება“. 1976.

წიფურია 2016: წიფურია ბ. ქართული ტექსტი საბჭოთა, პოსტსაბჭოთა, პოსტმოდერნულ კონტექსტში. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016.

IVANE MCHEDELADZE

Georgia, Tbilisi

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

“This Persian Tale, Now Done Into Georgian” – Reception of the Plot of “The Knight in the Panther’s Skin” in Polish and Ukrainian Literary Critique

The reception of the “Knight in the Panther Skin” (KPS), both in Polish and Ukrainian literary critique, is associated with the works and essays by prominent statesmen and literary critics of the 19th century (K. Lapchinski, A. Leist, M. Gulak, O. Lototski, etc.) which laid the foundation for new, different standard research and translations in the 20th century. These works reveal different attitudes and determination regarding popularisation of the poem, employing various means, specifically, translations (both partial poetic or prosaic), within the context of World Literature.

Focussing on comparative analysis, this paper discusses a core issue of the plot of the KPS- the oriental origin of the epic (“This Persian tale, now done into Georgian”) as reflected in the works by Lapchinski, Leist, Gulak, Lototski and Malaniuk. According to reputable scholarly sources, besides being a literary and cultural problem, it also poses a geopolitical problem (M. Karbelashvili). This issue is also discussed in a less-known work by a Ukrainian emigrant and prominent culturologist E. Malaniuk, published in Poland (Wschod/orient 1933, Rok IV. Nr.), and recently discovered and explored. This paper pays particular attention to the depiction of the epic’s plot within the context of E. Malaniuk’s theory (synthesis of Eastern and Western cultures).

Key words: *Knight in the Panther Skin, Ukrainian literature, Polish literature, East-West, reception translation, literary relations.*

ივანე მხედელაძე

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„ესე ამბავი სპარსული...“: „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის რეცეფცია პოლონურ და უკრაინულ ლიტერატურათმცოდნეობაში

კულტურული გლობალიზაციით განპირობებული ტრანსნაციონური / ტრანსცივილიზაციური კვლევები შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. ამგვარი კომპარატივისტული მიდგომები აძლიერებს სხვადასხვა ნაციონალური ლიტერატურების, მოვლენებისა და ფაქტების შესწავლას მსოფლიო ლიტერატურის სისტემაში ინტერგაციის გამოსავლენად.

თანამედროვე ისტორიულ-ლიტერატურული პროცესის განვითარება განაპირობებს ლიტერატურათმცოდნეობითის გარდა ისეთი ახალი სამეცნიერო მიდგომების დანერგვას, რომელიც სხვადასხვა დარგებში – კულტუროლოგიაში, ანთროპოლოგიასა და სხვ. იქნება შემუშავებული. თავის მხრივ, ეს ფაქტორი მნიშვნელოვნად უწყობს ლიტერატურათაშორის და კულტურათაშორისი დიალოგის განვითარებას. ქართულ-სლავური ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის საბაზისო მდგომარეობა უდარღ მოითხოვს ემპირიული მასალის ინოვაციურ მეთოდებში გააზრებას.

ქართული ლიტერატურის ძეგლებიდან მსოფლიო ლიტერატურულ ასპარეზზე შოთა რუსთაველის „პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ყველაზე კარგად შესწავლილი და თარგმნილი ტექსტია. მისდამი ინტერესი არასოდეს განელებულა. ეს ტენდენცია ახლოს დგას რ. ველეკისა და ო. ოურენის იდეასთან რომლის მიხედვითაც „დიადი წიგნები“ ლახავენ ნაციონალურ საზღვრებს (თარგმანისა ან სხვა უნივერსალური მეთოდების მეშვეობით) (რატიონი 2015:23) და მსოფლიო კულტურის საგანძურო ხდებიან. ქართულ- საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების მკვლევრებიც „ვეფხისტყაოსნის“ რეცეფციის საკითხებს სხვადასხვა ნაციონალურ ლიტერატურაში ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ, ასეთია პოლონური და უკრაინული ლიტერატურათმცოდნეობითი მასალაც. პრობლემას ეძღვნება სხვადასხვა თაობის ქართველი, უკრაინელი თუ პოლონელი

მეცნიერების ო. ბაქანიძის, მ. ფილინას, რ. ხვედელიძის, ლ. გრიციკის, დ. ოსოვსკასა და სხვ. ნაშრომები*, რომელთაც დახმარებითაც მომზადდა სტატია. ამის მიუხედავად, კომპარატივისტული ანალიზის პრინციპით ნაშრომში განხილული იქნება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 ს-ის დასაწყისის პოლონური და უკრაინული რუსთველოლოგიური ლიტერატურის ცნობილი და ნაკლებადცნობილი მასალები, მათში გამოიყოფა ერთ-ერთი საკვანძო პრობლემის „**ესე ამბავი სპარსულის**“ – ქართული პოემის სიუჟეტის, მისი ნარმომავლობის აღქმის პრობლემა. ცნობილია, რომ მუდმივად სადაო საკითხი იყო არამხოლოდ უცხოელი, არამედ ქართველ მეცნიერთა წრეებშიც. ჩვენი კვლევის ინტენცია განსაკუთრებით გააძლიერა მ. კარბელაშვილის ნაშრომმა – **ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის პრობლემა გეოპოლიტიკის კონტექსტში: საქართველო ევროპა თუ აზია?** (კარბელაშვილი 2014:126-143). 2015 წლის 7 ოქტომბერს „ვეფხისტყაოსნას“ მიეღდვნა ტარას შევჩენკოს სახ. კიევის ნაციონალური უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უკრაინისტიკის ინსტიტუტისა და უკრაინაში საქართველოს საელჩოს მიერ ორგანიზებულ მრგვალ მაგიდა /ვორქშოოფი, სადაც პრობლემამ და დასახელებულმა ნაშრომმა განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია უკრაინელ (და არა მხოლოდ) როგორც მეცნიერთა, ისე სტუდენტთა წრეებშიც. ამის შედეგად პრობლემით ჩვენმა კიდევ უფრო გაძლიერებულმა დაინტერესებამ გამოკვეთა ერთი ტენდენცია – ვეფხისტყაოსნით დაინტერესებული მე-19 საუკუნის უკრაინელი მკვლევრებისთვის კარგად ცნობილი ყოფილა მათი თანამედროვე პოლონელი ავტორების ნაშრომებიც, ისინი იდეურად უფრო ახლოს დგანან ერთმანეთთან და გარკვეულ ტიპოლოგიურ მიმართებებსაც ავლენენ, ვიდრე ამავე დროის რუსი მკვლევართა ნაშრომები. ასევე: თუ გადავავლებთ თვალს ქართულ-უკრაინულ მთარგმენტობით ურთიერთობებს, შეგვიძლია გამოვთქვათ მოსაზრება, რომ პოლონურენოვანი მასალა, არაერთხელ გამხდარა შუამავალი/დამხმარე მასალა ქართული ლიტერატურის უკრაინულ ენაზე თარგმნისა თუ გაცნობის თვალსაზრისით, რამაც გადაგვაწყვეტინა ფართო კულტუროლოგიურ კონტექსტში განგვეხილა ეს ვრცელი მასალა.

* ამ მხრივ გამორჩეული ადგილი უკავია მეოცე საუკუნის 70-იან წლებში პროფ. ლ. მენაბდის რედაქტორობით გამოცემული ტომეული „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“. თუმცა ანტისაბჭოთა ემიგრანტების არქივებიდან ახლახან მოძიებული ზოგირთი მასალა, არ გვხვდება.

ქართული პოემის რეცეფცია როგორც პოლონურ, ისე უკრაინულ ლიტერატურათმცოდნეობაში დაკავშირებულია ცნობილი, მეცნიერების, მთარგმნელებისა და ლიტერატურათმცოდნეების სახელებთან (კ. რდულტოვსკი, კ. ლაპჩინსკი, ა. ლაისტი, მ. გულაკი, ოლ. ნავროცკი, ე. მალანიუკი....). ცხადია ჩამონათვალის გაგრძელება შესაძლებელია სხვა სახელებითაც, რაც გაცილებით ფართომასშტაბით კვლევის საგანია. აღნიშნულმა თარგმანებმა თუ კრიტიკულმა წერილებმა მოამზადა ნაყოფიერი ბაზა მეოცე საუკუნის ახალი, უკვე განსხვავებული დონის კვლევებისა და თარგმანებისათვის. ეს ნაშრომები განსხვავდება მიზანდასახულობითა და სამეცნიერო ღირებულებით, იქნება ეს პოემის პოპულარიზაცია სხვადასხვა საშუალებებით (არასრული პოეტური თუ პროზაული თარგმანები, გადმოცემები შოთა რუსთაველისა და თამარ მეფის „შესახებ^[1]“) თუ მისი შესწავლა მედიევისტიკისა და მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში.

როგორც ცნობილია პოლონურმა რუსთველოლოგიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ევროპაში შოთა რუსთველის პოემის გაცნობის თვალსაზრისით^[1]. პროფ. მ ფილინა აღნიშნავს „პოლონელმა ლიტერატორებმა რუსთაველის თარგმნა (რასაკვირველია ფრაგმენტულად) და შესწავლა დაიწყეს ფრანგების პირველი ცდებიდან 2-3 წელის შემდეგ და პრაქტიკულად, რუსული ფილოლოგის კვალდაკვალ (ფილინა 1991:134).

ერთგვარი დამთხვევაა: შოთა რუსთაველის პოემის პირველი მთარგმნელები, ინტერპრეტატორები (მკვლევრები პოლონეთიდან და უკრაინიდან კავკასიაში გადმოსახლებული, აჯანყებასა და იატაკევეშა) ანტიმპერიული მოძრაობის მონაწილე საზოგადო მოღვაწეები კაზიმეჟ ლაპჩინსკი და ოლექსანდრ ნავროცკი არიან. მეცხრამეტე საუკუნის ქართველ ინტელიგენციასთან დამეგობრებული უცხოელები, მათი დახმარებითა და პნკარედების საშუალებით იწყებნ უმთავრესი ქართული ნაწარმების თარგმნას. გიორგი ერისთავის დახმარებით კაზიმეჟ ლაპჩინსკის მიერ პროზაულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ (Skora Tygrysyja) მთარგმნელის შესავალი წერილითურთ დაიბეჭდა 1863 წელს, ამ დროისათვის ისეთ ავტორიტეტულ გამოცემაში, როგორიცაა «Biblioteka Warszawska». შესავალ წერილში იგი იხსენიებს ამ პერიოდში მისთვის ცნობილ თარგმანებს ფრანგულ და რუსულ ენებზე (უნდა გულისხმობდეს მარი ბროსესა და ი. ბარტდინსკის თარგმანებს). როგორც

მოსალოდნელია, რუსთველის მთარგმნელი და მკვლევარი პოლონელი კ. ლაპჩინსკი საუბარს საქართველოს ისტორიაზე, (როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, იგი იცნობდა ქართლის ცხოვრების ფრანგულ თარგმანს) ავტორის ეპოქაზე მსჯელობით და ისტორიული მიმოხილვით იწყებს და ავტორის ბიოგრაფიულ ცნობებს აცნობს პოლონელ მკითხველს. ქართული ლიტერატურისა და რუსთველის პოემის სიუჟეტის შესახებ კი იგი საგულისხმო მოსაზრებას გამოთქვამს: „XII საუკუნეში სპარსულ ლიტერატურას ბრნებინგვალე ადგილი ეკავა. საქართველო ისე ახლოა სპარსეთთან, რომ არ შეიძლება რუსთველს ფირდოუსისა და ყოველივე სპარსულის გავლენა არ განეცადა. ამ მიზეზის გამო „ვეზხისტყაოსანს“ ახასიათებს ზედაპირული მსგავსება სპარსულ თხზულებებთან. მეორე მხრივ, იგრძნობა ბიბლიისა და ბერძნული კულტურის გავლენა. საერთოდ კი, პოემის ბირთვი წმინდა ქართული ბუნებისა (ლაპჩინსკი 1978: 60). პოემის წამკითხველი, პირველ რიგში ხაზს უსვამს ნაწარმოების ქართულ / ნაციონალურ ნიადაგს და ამით, პოლონელ მკითხველს ქართული ტექსტის სწორ ინტერპრეტაციას სთავაზობს, რაშიც დიდი დამსახურება მიუძღვის მის მეგობარსა და კონსულტანტს გ. ერისთავს. მის მიერ პროზაულად შესრულებულ თარგმანში ვერ შევხვდით პოემის აღნიშნულ სტრიქონებს. თანამედროვე მკვლევრების ავტორიტეტულ ნაშრომებზე დაყრდნობით შესძლებელია გამოითქვას მოსაზრება, რომ კ. ლაპჩინსკის ნაშრომში შეიმჩნევა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის პოლონური ლიტერატურათმცოდნეობისთვის დამახასიათებელი პოზიტივისტური ტენდენციები, რაც მიიჩნევა კომპარატივისტიკის პირველ / საწყის ფაზად (სოლოვეი 2009:504). როგორც შემდგომი მასალა გვიჩვენებს ლაპჩინსკის დასახელებული ნაშრომი უკრაინელი მეცნიერებისთვის საკმაოდ კარგად ნაცნობი უნდა ყოფილიყო. სხვადასხვა არგუმენტებით გამაყარებულ ამ აზრს არაერთი მკვლევრის (მუშკუდიანი, 1986:52 გრიციე 2014:126-135) ნაშრომში ვხვდებით.

თარგმანს, როგორც ლიტერატურათმორისი რეცეფციის ერთერთ ყველაზე მკაფიოდ გამოხატულ ფორმას, მხატვრული ტექსტის გაგების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია „ორიგინალის ადეკვატური ახალი უცხოენოვანი ტექსტის შექმნაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება კულტურული დისტანციის დაძლევას – წერს თარგმანმცოდნე ო. მოდებაძე და თარგმანის საკითხებზე მსჯელობი-

სას გამოყოფს უაღრესად საინტერესო პოსტულატებს წერილის სა-თაურმივე „თავისუფლება და აუცილებლობა: გაგება და ინტერპრეტა-ცია თარგმანში“. თარგმანის თეორიის ავტორიტეტული მკვლევრის ეს მოსაზრება განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე კონტექსტში მსჯელობისას: „მთარგმნელობითი საქმიანობის ძირითად პრინცი-პებზე (ორიგინალთან სიახლოვე) გაგების/ინტერპრეტაციის პრო-ცესზე დაკვირვებისას ჩანს, რომ იგი პირდაპირ დამოკიდებულებაშია მთარგმნელის არჩევანთან, სადაც ცველაზე მკაფიოდ ვლინდება მისი შემოქმედებითი და პიროვნული „მე“. ასე რეალიზდება დიალექტიკური ერთიანობა: აუცილებლობა (ორიგინალთან სიახლოვე) მოითხოვს მთარგმნელობით თავისუფლებას (შემოქმედებით მეთოდებს), მაგრამ ეს თავისუფლება, თავის მხრივ განსაზღვრულია აუცილებლობებით (ორიგინალის ტექსტის მხატვრული პარამეტრებით), თავისუფლებისა და აუცილებლობების სფეროს ურთიერთქმედების მიჯნა განსაზ-ღვრულია თარგმნილი ტექსტის გაგების საზომებით.. გაგების აქტი რეალიზდება განმარტებაში-სათარგმნი ტექსტის ინტერპრეტაციაში (მოდებაძე 2012:155-156). სწორედ გაგების პრობლემები ქმნის მხატ-ვრული ნაწარმოების ქვეტექსტების ჰერმენევტიკულ ანალიზს თარგ-მანში. მაშასადამე, პრობლემის გააზრებაში მნიშვნელოვანია ჩაერთოს პროლოგის პირველი თარგმანები – როგორ შეიძლება გადაიჭრას ჩვენ მიერ მოძიებული თარგმანების საშუალებით კ. ბრეგაძის მიერ შემო-თავაზებული ცნობილი ჰერმენევტიკული პარადიგმა გასაგები – გაგე-ბა – გაგებული (ბრეგაძე 2009:49).

უკრაინულ ენაზე პირველი (არასრული) პოეტური თარგმანი ეკუთ-ვნის კავკასიაში გადმოსახლებულ ოლექსანდრ ნავროცის, რომელიც დედაქალაქიდან საიდუმლო ორგანიზაციაში (კირილე-მეთოდეს საზოგადოება) მონაწილეობის გამო გაასახლეს. კავკასიაში იგი დაუ-მეგობრდა ქართველ ალექსანდრე სარაჯიშვილს. პროფ. ო. ბაქანიძის მტკიცებით ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული რუსული პწკ-არედი ნავროცის თხოვნით სწორედ აღ. სარაჯიშვილის მიერ არის შესრულებული 1889 წელს, დაღესტანში, თემირ-ხან-შურაში (ბაქანიძე 1982:312). სარაჯიშვილის მიერ გაკეთებული პწკარედი გაცილებით ბევრია, ვიდრე ჩვენამდე მოღწეული უკრაინული თარგმანი. სავარაუ-დოდ, ნავროციმ ვერ მოასწორ პოემის თარგმანის დასრულება. აქ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია გასათვალისიწნებელი, პო-

ლონურისგან განსხვავებით მხატვრულ თარგმანს უკრაინულ კულტურულ დისკურსში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. თარგმანის თეორიისა და ისტორიის თანამედროვე უკრაინელი მკვლევარი მ. სტრიხა თავის საეტაპო მნიშვნელობის მონოგრაფიაში საკითხს ყველაზე მკაფიოდ გამოკვეთს „ევროპულისგან განსხვავებით უკრაინული თარგმანის საკითხი სულ სხვაა. მისი განვითარება იწყება XIX საუკუნის დასაწყისიდან ახალი უკრაინული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა და უკრაინის კოლონიური სტატუსისა და ადმინისტრაციული აკრძალვების პირობებში. უკრაინული თარგმანი XIX-XX საუკუნეებში ნამდვილად იყო ორიენტირებული ინტელიგენტთა წრეებზე, რომლებიც რამდენიმე ენას ფლობდნენ. ამდენად იგი ასრულებდა არამხოლოდ ინფორმაციულ (ამ პოტენციურ მკითხველებს ნაწარმოების კითხვა შეეძლოთ როგორც მეტროპოლის /რუსულ, ისე პოლონურ ან სხვაენოვან ტექსტებშიც), არამედ ნაციონალური იდენტობის ქმნადობის ფუნქციასაც (სტრიხა 2006:8-9). შესაბამისად, უკრაინული ლიტერატურის კანონის ფორმირებაში თარგმანის როლი ფუნქციურად განსხვავებულია და კვლევის ინტერესს აძილერებს.

უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ტარას შევჩენკოს სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ხელნაწერი ფონდებისა და ტექსტოლოგიის განყოფილებაში ინახება ოლ. ნავროცეის მიერ შესრულებული თარგმანის ავტოგრაფი. სანიმუშოდ მოვიყვანთ ნავროცეის ხელნაწერიდან აღნიშნული სტროფის თარგმანს:

Це оповідання – фарсіське й єго я
Переклав тепера на грузинську мову,
И сирота –перло все по руках ходить,
І не вдовольняться всі їм милуватись,
Його я надибав и переклав стихами...

(ნავროცეი, ფონდი 21, რვეული 18)

ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელით-ხელ საგოგმანები,
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები,
ჩემმან ხელ-მქმნელმან დამმართოს ლალმან და ლამაზმან ნები.

(რუსთაველი 2010:10)

თარგმანიდან ჩანს, რომ მთარგმნელი თავისი ქართველი კონსულტანტის დახმარებით ცდილობს კულტურული ბარიერის დაძლევას. თარაგმანში უკრაინელი მკითხველისთვის ტექსტი ასე ჟღერს – ეს სპარსული მონათხრობი, ვიპოვე და ვთარგმნე ქართულ ენაზე... ეს და შემდგომი პერიოდის თარგმანების ტექსტები, იძლევა საფუძველს, რომ ქართული კულტურის არმცოდნე მკითხველმა აღიქვას, როგორც სპასრული ლიტერატურის შედევრი. როგორც ჩანს გაგების ეს პრობლემა ყოველთვის იყო უცხოელი მკითხველისთვის და დღესაც აქტუალურია.

ცნობილია, რომ არტურ ლაისტის ნაშრომი ქართული ლიტერატურ-სა და შოთა რუსთაველის შესახებ თავდაპირველად პოლონურ გამოცემაში დაიბეჭდა. ამ პერიოდის უკრაინული ინტელიგენცია ეცნობოდა ავტორიტეტულ პოლონურ გამოცემებს და ქართული ლიტერატურის შესახებ დაბეჭდილი პუბლიკაციებიც უყურადღებოდ არ რჩებოდა. მნიშვნელოვან სამეცნიერო წყაროზე დაყრდნობით ვლინდება, რომ ამ პერიოდში ლოვში მოღვაწე ერთ-ერთი გამორჩეული უკრაინელი შემოქმედი, მნერალი, ლიტერატურათმცოდნე და მთარგმნელი ივან ფრანკო განსაკუთრებით დაინტერესებული ყოფილა ქართული /კავკასიური მასალებით, ეს დასტურდება მისი მდიდარი პირადი არქივით. ალ. მუშკუდიანის კვლევის მიხედვით „ივან ფრანკოს ბიბლიოთეკაში ნომრით 2-839 ინახება ვ. სვეტლოვის წიგნი „კავკასიური გადმოცემები და ლეგენდები“, რომელშიც საუბარია ასევე რუსთაველზე, (უხადია ასევე, რომ ივან ფრანკოსთვის იყო ცნობილი „Biblioteka Warszawska“-ში დაბეჭდილი კაზიმირ ლაპჩინკის მიერ ვეფხისტყაოსნის პოლონურენოვანი თარგმანი (მუშკუდიანი 1986:52).

ლოვში, გაზეთ პრავდაში 1894 წელს დაიბეჭდა, ამ პერიოდისათვის ორიენტალისტური საკითხებით დაინტერესებული ოლექსინადრ ლოტოცკის წერილი „საქართველოს ისტორიულ-ლიტერატურული პერსპექტივები“. ეს ნაშრომი საყურადღებოა, იმით, რომ მის ავტორს პოემა სპასრულიდან ნათარგმნად მიაჩნია. ვერ ვიტყვით, რომ ლოტოცკის ნაშრომზე გავლენა მოქმდინა რომელიმე პოლონურ -- ლაპჩინსკის, თუნდაც არტურ ლაისტის ნაშრომებს, სავარაუდოდ ეს მისი კომპეტენციის / ცოდნის სიმწირეზე მიუთითებს. ამავე აზრს ავითარებს შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის პროფესორი ლ. გრიციკიც „უკრაინაში ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთი პირველი კვლევა, რომელშიც მრავლადაა დამახასიათებელი იმდროინდელი

რუსთველოლოგიისათვის დამახასიათებელი ტიპური შეცდომები, ა. ლოტოცკის ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, რომ ამ მცდელობის მიზანი პოემის პოპულარიზაცია იყო, ავტორმა ვერ მოახერხა ნაშრომი ისეთ მაღალ პროფესიულ დონეზე შეესრულებინა, რომ დედნის ენისა და კულტურის უცოდინარი მკითხველი თუ კრიტიკოსი დაეინტერესებინა“ (გრიციე 2013:135).

მეცხრამეტე საუკუნის დასასრულის „ვეფხისტყაოსნის“ ყველაზე საინტერესო მევლევარია კავკასიაში გადმოსახლებული მეორე კირილე-მეთოდეს საძმოს წევრი და ოლ. ნავროცკის ბიძაშვილი, მრავალმხრივ განათლებული პიროვნება, მიკოლა გულაკი. გულაკის პერსონა დაკავშირებულია ნაციონალური იდენტობის ფორმირებასთან და იგი უკრაინული კულტურის ისტორიაში სრულიად გამორჩეული პერსონაა. მ. გულაკის მიერ თბილისში წაკითხული ლექციები ვეფხისტყაოსნის შესახებ ყველაზე სწორ კონტექსტშია აღქმული და შესაბამისი სამეცნიერო მიდგომებით გააზრებული. გულაკის ნარკევებში ვხვდებით პოემის შედარებითი კვლევის ზოგიერთ მეთოდს, (გენეტიკურ-კონტაქტური და ტიპოლოგიური მეთოდების სინთეზი). გულაკის ლექციები პირველად გამოქვეყნდა 1884 წელს, „კავკასიის ადგილთა და ტომების მასალათა აღნერის კრებულის“ მეოთხე ტომში, ხოლო შემდეგ ცალკე ბროშურადაც გამოიცა. დასაწყისშივე ეხება კაზიმეჟ ლაპჩინსკის დვანლს პოემის თარგმნისა და კვლევის საქმეში (გულაკი 1884:2). ეს ფაქტი და გულაკის, როგორც ვეფხისტყაოსნის მკვლევრის პოზიცია გვაქიქრებინებს, რომ მისი ლექციების შექმნაში ერთ-ერთი დამხმარენი უნდა ყოფილიყო, რადგან იგი გარკვეულწილად შინაგან კავშირშია ლაპჩინსკის პოზიციასთან.

„ვეფხისტყაოსნის“ უკრაინული მკვლევარი მისი სიუჟეტის შესახებ გამოთქვამს მეცნიერულად ყველაზე სწორ მოსაზრებას: „როგორც არ უნდა იყოს, სპარსული ლიტერატურის მცოდნეთა ძიების მიუხედავად პოემის სპარსული პროტოტიპი მიკვლეული არ არის. ამიტომ ბევრი ფიქრობს, რომ ეს პოეტის სატყუარაა, თანამედროვეთათვის თვალის ასახვევი, რადგან პოემის შექმნის მთავარი მიზანი იყო მისგანვე გაღმერთებული თამარის ხოტბა“ (გულაკი 1985:140).

ქართულ პოემაზე დაკვირვებისას მ. გულაკი ნაწარმოების ცალკეულ პრობლემას – სიყვარულის მოტივს განიხილავს დასავლეთში, ტრუბადურების სიყვარულის გაგებასთან ტიპოლოგიური

მიმართების კონტექსტში. იგი ხაზს უსვამს ქალის სიძლიერესა და მა-
მაკაცის სისუსტეს. ამ ასპექტში თამარის, როგორც მეფის და ძლიერი
პერსონაჟის როლს უკავშირებს ტრუბადურების მიერ სიყვარულის
გაგებას „ქალის მხარესაა ავტორიტეტი, ბრძანება, ხელისუფლება,
ტრუბადურის მხარეს კი მოკრძალება და ქვეშევრდომის მორჩილება;
მისთვის სიყვარულის ობიექტი ბოლომდე მიუწვდომელ იდეალად რჩე-
ბა“ და შესადარებლად იყენებს რუსთველის სიტყვებს:

ვის მორჩილობს ჯარი სპათა, ვისთვის ხელობ, ვისთვის მკვდარი
დავუძლურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი
ანუ მომეც განკურნება, ანუ მინა მე სამარი.

გულაკი ცალსახად იცავს პოემის მთავარ საკითხს – მის ქართულ
წარმომავლობას და ასკვნის: „პოემის წაკითხვით მიღებული შთაბეჭ-
დილება ასეთია: „გეფხისტყაოსანი“ არ არის „ილიადის“, „ოდისეას“ ან
„ნიბელუნგების“ ტიპის ეპოპეა. ის არც სიმღერაა სამშობლოს რომე-
ლიმე მნიშვნელოვან მოვლენაზე, როგორიცაა, მაგალითად, „იგორის
ლაშქრობის ამბავი“, „სიმღერა როლანდზე“ და ა. შ. იგი უფრო ჰგავს
ბოიარდოსა და არიოსტოს რომანტიკულ პოემებს, რადგან როგორც
იქ, რუსთველის პოემაში გვხვდება მოქმედ პირთა სასიყვარულო და
რომანტიკული თავგადასავლები, ხეტიალი, ბრძოლები, ნახევრად
ფანტასტიკურ ქვეყნებში“ (გულაკი 1985:145). მიუხედავად იმისა, რომ
პოემა გულაკის აზრით, აღმოსავლური პოეზიის მსგავსად ღვთისად-
მი სადიდებლად იწყება, იგი მკვეთრად განსხვავდება აღმოსავლური
ლიტერატურისგან. თუ გავითვალისწინებთ პროფ. ირმა რატიანის
მოსაზრებას „ანალოგიები კონტაქტების გარეშე უზრუნველყოფენ
კონკრეტული ლიტერატურული ტექსტების სინთეზირებას სპეციალ-
ურ კულტურულ-შემოქმედებით მოდელში. შესაბამისად, კომპარატივ-
ისტიკის მეთოდი წარმოადგენს ლიტერატურულ-ანალიტიკური აზრის
გლობალურ მიმართულებას, რომლის საბოლოო მიზანი შემოქმედების
ლიტერატურული საფუძვლების გამოვლენა და ნაციონალური ლიტ-
ერატურების მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებში ინტენსიური ინ-
ტერგაციის დადასტურებაა“ (რატიანი 2009:207-208), მაშინ ცხადი ხდე-
ბა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პოლონელი თუ უკანელი მკვლევრების
ნაშრომებში გხვდებით პოემის კვლევის კომპარატივისტულ ტენდენციებს.

დასასრულს, მინდა ყურადღება გავამახვილო ერთ ნაკლებადც-ნობილ მასალაზე, რომელზე მუშაობაც შედარებითი ლიტერატურათ-მცოდნეობის პროფესორის ლუდმილა გრიციკის დახმარებით 2014 წლიდან დავიწყე. ნაშრომის ძირითადი შედეგები უკვე აისახა ჩემს 2 პუბლიკაციაში, ასევე პროფ. გრიციკის ნაშრომებშიც. პოლონურ ჟურ-ნალ „აღმოსავლეთში“ (Wschod/orient 1933, Rok IV.Nr) დაბჭყდილია ვე-ფინსტყაოსნის პროლოგის თარგმანი პოლონურ ენაზე და 4 გვერდიანი პუბლიკაცია „Ten, co nosi skórę barsa“ რეცენზიის ბოლოს მინერილია კრიპტონიმი E.M. ლ. გრიციკი (გრიციკი 2014: 86-91) და მე სხვადასხვა წყაროებსა და არგუმენტზე დაყრდნობით მივედით ერთსა და იმავე დასკვნამდე, რომ მისი ავტორია ცნობილი კულტუროლოგი, უკრაინუ-ლი ლიტერატურის ემიგრანტული¹ ფრთის ლიდერი, გენიალური პო-ეტი ევგენი მალანიუკი.

მალანიუკს ეკუთვნის საპროგრამო ესე „მონახაზები კულტურის ტიპოლოგიის შესახებ“ რომელიც გამოაქვეყნა პოლონურ გამოცემაში. ესეში იგი აყალიბებდა აღმოსავლური და დასავლური კულტურების ურთიერთქმედების, კულტურათშორისი კომუნიკაციების შესახებ თა-ვის თეორიულ მოსაზრებებს. მალანიუკი ავითარებს აზრს, რომ ორ-განული და მეტად პროდუქტიულია კულტურულ-ლიტერატურული სინთეზი იქ, „სადაც კულტურული პროცესები სინთეზურ-ფერმენტ-აციულად არსებობს და გრძელდება საუკუნეების მანძილზე (მალა-ნიუკი 2009:321). „მონახაზებში...“ მალანიუკი აღმოსავლეთის შესახებ გამოთქვამს შემდეგ მოსაზრებას: „ჩვენ აღმოსავლეთში გვაინტერე-სებს, თუ როგორ ეწოდება აღმოსავლეთი „ევრაზიულს“, არსებობს აღ-მოსავლეთის ორი გამოხატულება – სამხრეთული – შავიზღვისპირეთი-სა და ირანის კულტურების, არსებითად განათლებული მცირეაზიული ელინიზმითა და ხმელთაშუაზღვისპირეთის გავლენით ნასაზრდოები, ხოლო მეორე აღმოსავლეთი არის მონდოლურ-ალთაური“ (მალა-ნიუკი 2009:321). 1935 წელს გამოთქმული მალანიუკის ეს მოსაზრება კიდევ ერთ არგუმენტად შეიძლება მივიჩნიოთ, თუკი შევადარებთ ქა-რთული კულტურის შესახებ ჟურნალ „აღმოსავლეთში“ ოდნავ ადრე გამოთქმულ მოსაზრებას: „ქვეყანა, რომელიც ორი დიდი კულტურის ირანულ-არაბული და ბერძნული (მცირეაზიული) არეალით არის შე-მოსაზღვრული გაცილებით ადრე ჩამოყალიბდა სახელწიფოდ, ვიდრე თავისი მოძმე ევროპელები. ევროპის ისტორიის დასაწყისში ქართულ

კულტურას უკვე ჰქონდა თავისი გამოკვეთილი ფორმა, რომელიც იყო ამოზრდილი ბიზანტიურ და მდიდარ არაბულ-სპარული კულტურების საფუძველზე (აღმოსავლეთი 1933:78). აქვე იგი წერს, რომ „როდე-საც ევროპის ისტორიას სხვადასხვა დამპყრობლები დიდ საფრთხეს უქმნიდნენ, მათთვის საქართველოსა და ქართული კულტურის როლი განუზომლად დიდი იყო“ (აღმოსავლეთი 1933:78).

მალანიუკი ქართული რენესანსისა და ჰუმანიზმის შესახებ ეყრდნობა 20-იანი წლების პოლონეთში ი. ქავთარაძის კარგად ცნობილ ნაშრომს, რომელსაც უთოთებს კიდეც პუბლიკაციაში (J. Kawtaradze „Gruzja“, str. 52), „უკვე XII საუკუნეში რენესანსის ეპოქა გამოიხატა ორიგინალურ ქართულ ჰუმანიზმში, რომელიც იყო მკაფიო საწყისი და ფანტასტიკური აღმოსავლეთის გაერთიანების შედეგი (ი. ქავთრაძე, „საქართველო“ გვ. 52). მხოლოდ განვითარებული და მომწიფებული კულტურის ნიადაგზე, ხონელის, შავთელის, ჩახრუხაძისა და მსგავს-თა დონის პლეადას შეეძლო გამოევლინა უკვდავი – „ლიტერატურის მეფე“ – შოთა რუსთველი (1169-1245) და მისი უკვდავი პოემა „Wephchwis -tkhaosani“ (აღმოსავლეთი 1933:78). თავად პოემის შესახებ შემაჯამებლად ამბობს მოკლედ, რომ: „ამ დროისათვის შეუძლებელია პოემის წყაროზე მსჯელობა, მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ მას აქვს ორი მნიშვნელოვანი თემა – რაინდობა და სიყვარული, რომელსაც მკვლევარი (იგულისხმება ალბათ ბალმონტის შესავალი წერილი – ი. ა. აყენებს დანტეს, მილტონის გვერდით და აქვე ეს შეიძლება ამ ეპოქისვე უკრაინულ პატრიოტულ პოემას „ამბავი იგორის ლაშქრობისა შეედაროს“ (აღმოსავლეთი 1933:78).

მ. კარბელაშვილი დასახელებულ ნაშრომში წერს „რუსთაველის ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის რაობის გარკვევის კონტროვერზა – ორიგინალურია (ვახტანგი) თუ სპარსული ლიტერატურან „ნასესხები“ (ნ. მარი) მოითხოვს უფრო ფართო კონტექსტს, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს: იგი არის არამხოლოდ აკადემიური ლიტერატურათმ-ცოდნეობითი პრობლემა, არამედ მისი სიუჟეტის გენეზისის საკითხი პირდაპირ კავშირშია მთლი ქართული სულიერი კულტურის ორიენტაციასთან – განეკუთვნება იგი ევროპას თუ აზიას, ხოლო უფრო ფართო კონტექსტით აქტუალურ გეოპოლიტიკურ კონტექსტში გადადის (კარბელაშვილი 2014:126). ამდენად, ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანი იყო გამოგვევლინა, თუ როგორ ხდებოდა ამ მეტად მნიშ-

ვნელოვანი პრობლემის აღქმა პოლონელი და უკრაინელი ლიტერატურათმცოდნების მიერ. ეს გეოპოლიტიკური კონტექსტი, რომელსაც მკვლევარი გულისხმობს ამ ქვეყნის კულტურული ელიტისთვის სხვა დატვირთვის მატარებელი იყო. თუკი პოემის აღმოსავლური წარმომავლობის საკითხი ზოგადად საქართველოს ორიენტალიზაციას გულისხმობდა, ცხადია რომ ეს იმპერიული ინტერესებით იყო გაპირობებული. მგვარი ინტერესები კულაზე მეტად მიუღებელი იყო პოლონელი და უკრაინელი მკვლევრებისთვის, რომელიც სწორედ ანტიიმპერიული განყობების გამო გადმოასახლეს კავკასიაში. ამდენად ჩვენ წინაშე დადგა ამოცანა – მაშინ როგორ აღიქვეს – ესე ამბავი სპასრული ქართულად ნათარგმანები... ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები? – უკრაინელმა თუ პოლონელმა მეცნიერებმა და მთარგმნელებმა. ჩვენ მიერ განხილული პოლონელი და უკრაინელი ლიტერატურათმცოდნების ნაშრომში შეიძლება გამოვკვეთოთ საერთო ტენდენცია, მკვლევრები (კ. ლაპჩინსკი და მ. გულაკი) ავითარებენ ნაწარმოების წარმოშობის ოროგინალურ (ვახტანგისეულ) ვერსიას, რაც განპირობებულია მათი მსოფლიშედველობითა და ქართველი კოლეგების, კონსულტანტების ფაქტორით, ვფიქრობ ასევე უპირისპირდება აღქმის პოლიტიკურ ასპექტებს.

როგორც კვლევამ გვაჩვენა, ლაპჩინსკის ნაშრომმა გავლენა მოხდინა მ. გულაკის რუსთველოლოგიურ დაკვირვებებზე და მათ შორის ტიპოლოგიური კავშირიც შეინიშნება. ამ ნაშრომების კულტუროლოგიური ანალიზისას გამოიკვეთა კიდევ ერთი საერთო ტენდენცია, უკრაინელი და პოლონელი მკვლევრების მიერ რუსთვალის პოემის წაკითხვა არის ნაწარმოების კვლევის კომპარატივისტული მეთოდოლოგია, რომელიც ავტორიტეტული მკვლევრების (ლ. გრიციკი, ე. სოლოვეი) ნაშრომებზე დაყრდნობით ასახავს ამ ქვეყნებში კომპარატივისტულ სტუდიების განვითარების დინამიკას. ნაშრომის ბოლოს განხილული უკრაინელი ემიგრანტის ე. მალანიუკის ნაკლებად ცნობილი პუბლიკაციის ტენდენციები იკვეთება უკრაინაში არსებულ მოდერნისტულ კულტურულ პარადიგმასთან, სადაც აღმოსავლური და დასავლური კულტურული კოდების ინტერფერენციის ტრანსცივილიზაციური საკითხი განსაკუთრებით აქტუალური იყო. ჩვენ მიერ განხილულმა ნაშრომებმა მნიშვნელოვნად განაპირობა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის თარგმანები და პოემის აღქმა უკრაინასა და პოლონებში.

შენიშვნები:

1. ამ მხრივ ერთ-ერთი ადრეული მასალა უკავშირდება ცნობილ პოლონელს, მეფის ადმინისტრაციის თანამშრომელს და სხვადასხვა პერიოდებში (1851-1854, 1868-1872)გაზეთ „კავკაზის“ მთავარი რედაქტორის ივან სლივიცკის სახელს. 1848 წლიდან მან დაიწყო ამ გაზეთში ქართველთა ყოფა-ცხოვრების, ეთნოგრაფიისა და კულტურის შესახებ წერილების გამოქვეყნება. სწორედ მან გამოაქვეყნა 1849 წლის კავკაზის 46-47-ში წერილი შოთა რუსთაველზე, რომელიც თ. კამპამიძის აზრით, ფოლკლორულ მასალას წარმოადგენს (კამპამიძე 2013:65-68), მას სამეცნიერო ღირებულება არ გააჩნია და შეგვძილია პოპულარიზაციის მიზნით დაწერილ ნაშრომად განვიხილოთ.

2. რუსთველის პოემის თარგმნა და შესწავლა პოლონელი ლიტერატურ-
თმცოდნებისა და მთარგმნელთა წრეებში განსაკუთრებით გააქტიურდა
მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში. ხოლო 1920-30-იან წლების პოლონურ
მასალებზე მუშაობისას მეტნილად ქართველი ემიგრანტების მასალებს
ვხვდებით. სრულიად ცალკე პრობლემა 1937 წელს რუსთველის 750 წლის
საიუბილეო ღონისძიებები სადაც აქტიურობდა ქართველი ემიგრაცია – ამ
დროს ვარმავის უნივერსიტეტის პროფესორი წმ. გრიგოლ ფერაძე, გიორგი
ნაკაშიძე. მათი ნაშრომები ცალკე კრებულადაც გამოიცა Szota Rustaweli. Z
okazji jubileuszu 750 lecia urodzin. Warszawa 1937. ჩვენი კვლევის ფარგლებში
არ შევუდგებით ამ მასალების განხილვას, მისი შედეგები უკვე იძეჭდება
კრებულში „პოლონური კავკასია“.

3. უკრაინულ ემიგრაციაში ვეფხისტყაოსნის რეცეფციის ამ დრომდე ცნობილ ზოგიერთ ფაქტს ვხვდებით პროფ. ლ. გრიციკის ბოლოდროინდელ ნაშრომებში. ეს არის პრაღის საზოგადოებრივი კომიტეტის ბიბლიოთეკაში მისი მიერ აღმოჩენილი უკრაინულ ენაზე თარგმნილი პოეზიის ანთოლოგია „**აღმოსავლური პოეზია**“ (Бібліотека українського громадського комітету у Празі. Матеріали до зб. «Східна поезія» // Державна наукова архівна бібліотека (м. Київ). Ф. 4036 оп. 1, спр. 31. 541 с.) 233 გვერდიანი, მანქანაზე ნაბეჭდი და უმეტესი ნაწილი ხელნაწერი ფურცლები, სადაც შეტანილი ნანარმოებების დიდი ნაწილი აღებულია მეოცე საუკუნის უკრაინული პერიოდიკის ფურცლებიდან (გრიციკი 2013 პ:373). ამ კრებულში შესულია ექვსი ქართველი ავტორი-დავითი გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათშვილი, ვაჟა-ფშაველა და სხვ... მათ შორის შოთა რუსთაველი. ლ. გრიციკის მოსაზრებით, „ვაჟა-ფშაველი არ იყო უკრაინული ენაზე მომზადებული, მაგრამ მას უკრაინული ენაზე დაუსრულებული იყო მისი ცოდნა და მისი ცოდნის მიზანი“.

ისტყაოსნის“ ეს თარგმანი იყო ბაჟანის მიერ შესრულებული ვარიანტი, რომელიც უფრო დახვეწილი და დამუშავებული სახით 1936 წელს გამოქვეყნდა. ოქმაზე მუშაობის დროს ჩვენ ასვე მივაკვლიერ პარიზში გამომავალი უკრაინელი ემიგრანტების უმნიშვნელოვანესი გამოცემის, უურნალ „ტრიზუბის“ 1937 წლის 26 დეკემბრის 50(600) გამოქვეყნებულ ინფორმაციას «Шота Руставелі (про відзначення 750-річної річниці Руставелі грузинською еміграцією у Варшаві)», რომელიც ეხმიანება პოლონეთის ქართველ ემიგრანტთა მიერ რუსთველის საიუბილეო ღონისძიებებს.

დამოწმებანი:

ალმოსავლეთი 1933: E.M. „Ten, co nosi skórę barsa“. Wschod/orient IV.Nr 5-4 Warszawa: 1933 Rok.

ბაქანიძე 1984: ბაქანიძე ო. ქართულ-უკრაინული ლიტერატურული და თეატრალური ურთიერთობები. თბილისი: „განათლება“, 1982.

ბრეგაძე 2009: ბრეგაძე კ. ჰერმენევტიკა და მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაცია. სჯანი, 10. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009.

გრიციკი 2013 ა: Грицук Л. “Украинская рецепция «Витяза тигровой шкуре» Руставели: между Н. Гулаком и А. Лотоцким”. სჯანი. 14. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2013.

გრიციკი 2013ბ: Грицук Л. “Эмиграционная модель украинско-грузинских литературных связей начала XX века”. VIII საერთაშორისო სიმპოზიუმის „ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა. მე-20 საუკუნის გამოცდილება. მასალები. ნაწილი I. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2013.

გრიციკი 2014: Грицук Л. “Руставелі в комунікативних моделях Євгена Маланюка”. Тероія літератури: концепції, інтерпрерації. Науковий збірник. Київ: Логос, 2014.

გულაკი 1884: Гулак, М. «О Барсовой Коже Руставели» Девъ Рѣчъ произнесеный въ Тифлисскомъ кружисѣ, 13 и 20 марта Тифлисъ: 1884.

გულაკი 1985: გულაკი მ. „რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“. რუსთველი მხრივლით ლიტერატურაში, ტ. IV. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1985.

კამეამიძე 2013: კამეამიძე თ. პოლონური მასალები გაზეთ „კავკაზის“ ფურცლებზე XIX საუკუნის მეორე ნახევარში. სადოქტორო დისერტაცია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2013.

კარბელაშვილი 2014: Карбелашвили М. “Проблема сюжета поэмы Руставели «Витязь в тигровой шкуре» в контексте geopolитики: Грузия – Европа или Азия?”
სქანი. 15. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2014.

ლაპჩინსკი 1863: Lapczynski, K. SKORA TYGRYSY. Biblioteka Warszawska, tom czwarty, w drukarni gazety polskiej. Poczet nowy tom IV. Warszaw:1863. ახლი: გიორგი და დავით ერისთვების სახლ-მუზეუმი, ექსპ. აღწ. გდგებ S/626-ა

ლაპჩინსკი 1978: ლაპჩინსკი კ. „ვეფხისტყაოსნის“ პოლონური თარგმანის ნინასიტყვაობა“. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, ტ. II. თბილისი: თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1978.

Маланюк 2009: Маланюк Є. Шкіці до типології культур. Вісниківство. Літературна традиція та ідеї. Дрогобич, 2009.

Мოდებაძე 2012: Модебадзе И. “Свобода и Необходимость: понимание и интерпретация в переводе”. ლიტერატურული ძიებანი, XXXIII. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2012.

Мужуковіані 1986: Мушкудіані, О. З історії українсько-грузинських літературно-культурних взаємин XIX – початку ХХ ст. Київ.: Наукова думка, 1986.

ნავრაცეკი 1889: Навроцький О.О. „Одягнений в барсово хутро“. Пoема. Переклад з Грузинського. Відділ рукописних фондів і текстології інституту літератури ім. Т. Г. Шевченка, НАН України. Фонд 21, № 18. Автограф. Зошит, 43 арк.

რატიანი 2009: რატიანი ი. „კარნავალური კულტურა, სოციალური იმაგო-ლოგია და კომპარატივისტული ანალიზის პრინციპები“. II საერთაშორისო სიმპოზიუმის ლიტერატურათმცოდნების თანამედროვე პრობლემების მასალები, ნანილი II. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009.

რატიანი 2015: ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2015.

რუსთაველი 2010: რუსთაველი შ. „ვეფხისტყაოსანი“. თბილისი: „ბაქმი“, (პირველი გამოცემა), 2010.

Соловей 2009: Соловей, Е. Польська літературна компаративістика. Нарис історії польської компаративістики (до 60-х років ХХ століття). Національні варіанти літературної компаративістики. Київ: Видавничий дім «Стилос», 2009.

Сტრіха 2006: Стріха М. Український художній переклад: між літературою і націстворенням. Київ: Видавництво «Факт», 2006.

ფილინა 1991: Филина М. Грузино-польские литературные взаимосвязи XIX –XX веков. Тбилиси: Издательство Тбилисского университета, 1991.

DAVID NACHKEBIA

Georgia, Tbilisi

MA Student

**Peculiarities of Delination of Anthroponyms in the Poem
“The Knight in the Panther’s Skin”
(nominative, ergative and vocative cases)**

The article discusses peculiarities of declension of anthroponyms in the poem “the knight in the panther’s skin” and shows an attempt to explain why Rustaveli rarely uses declension signs in personal names declension. On this issue there is only one point of view in science-Rustaveli deliberately protects the old Georgian language norms.

And the present work is dedicated to the completely different opinions from the existing point of view in science and it is proved with relevant arguments. The main conclusion is as follows: Shota Rustaveli avoided using formants with anthroponyms due to two reasons: in one case to prevent smooth rhythm caused by excess syllables, and in another – ugly poetical forms

Key words: “The Knight in the Panther’s Skin”, Rustaveli, anthroponyms.

დავით ნაზარეგია

საქართველო, თბილისი
მაგისტრანტი

**ანთროპონიმთა ბრუნების თავისებურებანი
„ვეფხისტყაოსანში“
(სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში)**

ანთროპონიმი ბერძნული კომპოზიტია და ქართულად ადამიანის სახელს ნიშნავს (ბერძ. ანთროპოს – ადამიანი, ნომოს – სახელი).

„ადამიანთა საკუთარი სახელები ძველ ქართულში ბრუნებისას საქმაოდ გამოავლენენ თავისებურებებს: ჩვეულებრივ, ისინი სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში უბრუნვისნიშნებოდ, ფუძის

სახით არიან წარმოდგენილი, არ დაერთვით ა ემფატიკური ხმოვანი, იშვიათად აქვთ მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების ფორმები, არ ეწარმოებათ მრავლობითი რიცხვი, არ იკუმშებიან და არ იკვეცებიან“ (სარჯველაძე 1984: 364). ბოლო ორი თავისებურება ანთროპონიმებს ახალ ქართულშიც შემორჩათ, ამიტომ ძველი ქართულისთვის სპეციფიკურად ვერ ჩაითვლება.

თუ გავითვალისწინებთ სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვების ნიშანთა გენეზისს, ანუ იმას, რომ ისინი ნაცვალსახელური წარმოშობისა არინ და სახელის განსაზღვრულობის, ნაწევარის ფუნქციით იხმარებოდნენ, გასაგები გახდება, რომ ანთროპონიმებს, მათი თავისებური სემანტიკიდან გამომდინარე, ამ ელემენტის დართვა არ სჭირდებოდათ (სახელობითი – იგი $>-i$, მოთხრობითი – მან $>-მა(მ)$).

ვინაიდან ანთროპონიმი გაუფორმებელი იყო სახელობითა და მოთხრობითში, ნინადადებაში რიგი განსაზღვრავდა მათ სემანტიკურ ფუნქციას: პირველ ადგილზე ქვემდებარე იდგა, მეორეზე – დამატება, მაგ., ჰეროდე (ქვემდ.) შეიძყრა იოვანე (პირ. დამ.). მაგრამ უკვე ძველ ქართულში ეს პრინციპი დაირღვა, შესაძლოა, ჯერ დამატება-ობიექტი ყოფილიყო, შემდეგ – სუბიექტი. ამიტომ აუცილებელი გახდა ერთ-ერთს დართვოდა ბრუნვის ნიშანი. ანთროპონიმები ჯერ სახელობითში გაფორმდა, ხოლო მოგვიანებით – მოთხრობითში.

„ეს ნორმები ხშირად ირღვევა. საკუთარი სახელები საზოგადო სახელებთან გათანაბრების ტენდენციას გამოავლენენ.

ცნობილია, რომ საკუთარი სახელი ძველ ქართულში არაიშვიათად სახელობითის ნიშნით არის წარმოდგენილი... სახელობითის ნიშნიანი ანთროპონიმი პირველად VII ს.-ში გვაქვს (უვაკვ, მარიამი)...

სახელობითის ნიშნიანი საკუთარი სახელები საკმაოდ ხშირად დასტურდება ქართული ენის ისეთ უმნიშვნელოვანეს ძეგლებში, როგორიცაა: სინური მრავალთავი, ადიშის ოთხთავი, უდაბნოს მრავალთავი, შატბერდის კრებული, ოშკური ბიბლია და სხვა (კახამ, თარჯუჯი, ადამი)...

მოთხრობითმა ბრუნვამ უფრო გვიანობამდე შეინარჩუნა არქაული ვითარება, „ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში საკუთარ სახელებთან მოთხრობითი ბრუნვის -მან ნიშნის ხმარების არც ერთი შემთხვევა არ დასტურდება.

პირველად -მან საკუთარ სახელებთან თავს იჩენს სინურ მრავალთავში (დალილმან, პავლემან)...

IX-XI საუკუნეთა წერილობით ძეგლებში -მან ბრუნვის ნიშანი საკუთარ სახელებთან საკმაოდ ხშირია... ადიშის ოთხთავში, შატბერდის კრებულსა და სხვა ძეგლებში (აბრამიმან, ისაკმან, სალათიელმან)... აღსანიშნავია, რომ ისტორიული დოკუმენტები ხან უნიშნო ფორებს გამოავლენენ, ხან -მან ნიშნიანს... საფიქრებელია, რომ ისტორიული დოკუმენტების საკუთარ სახელთა უნიშნო ფორმები მოთხრობითში განპირობებულია ძველი მნიგნობრული ტრადიციის ზეგავლენით. ცოცხალ მეტყველებაში ამ დროს უპირატესად ნიშნიანი ფორმები უნდა ყოფილიყო გავრცელებული“ (სარჯველაძე 1984: 365).

რაც შეეხება წოდებით ბრუნვას, „IX-XII საუკუნეთა ძეგლებში ზოგჯერ წოდებითის -ო ნიშანი მოუდის სახელებს (გრიგოლო, ბასილო, სამფსონო)… საინტერესოა, რომ ანალოგიური ნიმუში დასტურდება აგრეთვე საისტორიო დოკუმენტში – ცხირეთ-ცხავერის ძეგლში (ბე-გაო)… ამგვარი შემთხვევა გვაქვს „ვისრამიანშიც“ : ვისო“ (სარჯველაძე 1984: 370). ამ ტიპის ფორმები მანიც იშვიათია და მათი არსებობა აიხსნება ცოცხალი მეტყველების გავლენით, მაგრამ სალიტერატურო ენამ ეს მოვლენა არ მიიღო.

საინტერესოა, რა ვითარებაა ანთროპონიმთა ბრუნების მხრივ „ვე-ფხისტყაოსანში“. TITUS-ში მოძიებული მასალის მიხედვით შემდეგ სურათს ვლებულობთ:

სახელობითი ბრუნვა

| | |
|-----------------|----|
| ტარიელ | 41 |
| ტარიელი | 1 |
| ტარია | 1 |
| | |
| ნესტან-დარეჯან | 3 |
| ნესტან-დარეჯანი | 0 |
| ნესტან | 0 |
| ნესტანი | 0 |
| | |
| ავთანდილ | 68 |

| | |
|---------|----|
| სოგრატი | 2 |
| სოგრატი | 1 |
| | |
| დავარ | 3 |
| დავარი | 0 |
| | |
| ფატმან | 17 |
| ფატმანი | 0 |
| | |
| უსამ | 2 |

| | | | |
|------------------|-----------|---------------|----------|
| ავთანდილი | 1 | უსამი | 0 |
| თინათინ | 10 | უსენ | 7 |
| თინათინი | 0 | უსენი | 0 |
| | | | |
| ფრიდონ | 29 | რამაზ | 8 |
| ფრიდონი | 0 | რამაზი | 0 |
| | | | |
| ფარსადან | 2 | დულარდუხტ | 1 |
| ფარსადანი | 0 | დულარდუხტი | 0 |
| | | | |
| სარიდან | 1 | როსან | 1 |
| სარიდანი | 0 | როსანი | 0 |
| | | | |
| რისტევან | 2 | როდია | 1 |
| რისტევანი | 0 | | |
| | | | |
| ასმათ | 19 | მელიქ-სურხავ | 0 |
| ასმათი | 11 | მელიქ-სურხავი | 1 |
| | | | |
| შერმადინ | 6 | | |
| შერმადინი | 0 | | |

როგორც ცხრილიდან ჩანს, სახელობითში ბრუნვის ნიშნით გაფორმებულია მხოლოდ 4 ანთროპონიმი, ამათგან ტარიელი, ავთანდილი და სოგრატი თითო-თითოკვერ, ხოლო ასმათი – 11-ჯერ (თუ რატომ მაინც-დამაინც ასმათი ამას ქვემოთ განვიხილავ).

მოთხოვობითი ბრუნვა

| | | | |
|------------------|-----------|------------------|----------|
| ტარიელ | 30 | სოგრატი | 0 |
| ტარიელმან | 0 | სოგრატმან | 0 |
| ტარია | 0 | | |
| ტარიამან | 0 | | |

| | | | |
|--------------------|----------|-----------------|----|
| | | | |
| ნესტან-დარეჯან | 1 | დავარ | 1 |
| ნესტან-დარეჯანმან | 0 | დავარმან | 0 |
| ნესტან | 0 | ფატმან | 14 |
| ნესტანმან | 0 | ფატმანმან | 0 |
| | | | |
| აკთანდილ | 32 | უსამ | 1 |
| აკთანდილმან | 0 | უსამმან | 0 |
| | | | |
| თინათინ | 3 | უსენ | 5 |
| თინათინმან | 0 | უსენმან | 0 |
| | | | |
| ფრიდონ | 21 | რამაზ | 1 |
| ფრიდონმან | 0 | რამაზმან | 0 |
| | | | |
| ფარსადან | 2 | დუღარდუხტ | 0 |
| ფარსადანმან | 0 | დუღარდუხტმან | 0 |
| | | | |
| სარიდან | 0 | როსან | 0 |
| სარიდანმან | 0 | როსანმან | 0 |
| | | | |
| რისტევან | 1 | როდია | 0 |
| რისტევანმან | 0 | როდიამან | 0 |
| | | | |
| ასმათ | 15 | მელიქ-სურხავ | 0 |
| ასმათმან | 5 | მელიქ-სურხავმან | 0 |
| | | | |
| შერმადინ | 4 | | |
| შერმადინმან | 0 | | |

როგორც ვხედავთ, მოთხრობით ბრუნვაში კიდევ უფრო რთულად არის საქმე, ბრუნვის ნიშნით მხოლოდ ერთადერთი ანთროპონიმი

გვხდება – ასმათმან (ყურადღება მივაქციოთ, რომ აქაც ასმათ ანთროპონიმი გამოირჩევა.

წოდებითი ბრუნვა

| | | | |
|-----------------|---|------------|---|
| ტარიელ | 3 | სოგრატი | 1 |
| ტარიელო | 0 | სოგრატო | 0 |
| ტარია | 0 | | |
| ტარიაო | 0 | | |
| | | | |
| ნესტან-დარეჯან | 0 | დავარ | 0 |
| ნესტან-დარეჯანო | 0 | დავარო | 0 |
| ნესტან | 0 | ფატმან | 3 |
| ნესტანო | 0 | ფატმანო | 0 |
| | | | |
| აკთანდილ | 0 | უსამ | 0 |
| აკთანდილო | 0 | უსამო | 0 |
| | | | |
| თინათინ | 0 | უსენ | 0 |
| თინათინო | 0 | უსენო | 0 |
| | | | |
| ფრიდონ | 2 | რამაზ | 1 |
| ფრიდონო | 0 | რამაზო | 0 |
| | | | |
| ფარსადან | 0 | დულარდუხტი | 0 |
| ფარსადანო | 0 | დულარდუხტო | 0 |
| | | | |
| სარიდან | 0 | როსან | 0 |
| სარიდანო | 0 | როსანო | 0 |
| | | | |
| რისტევან | 0 | როდია | 0 |
| | | როდიაო | 0 |

| | |
|---------------|----------|
| რისტევანო | 0 |
| | |
| ასმათ | 4 |
| ასმათო | 1 |
| | |
| შერმადინ | 1 |
| შერმადინო | 0 |

| | |
|---------------|---|
| | |
| მელიქ-სურხავ | 0 |
| მელიქ-სურხავო | 0 |

დავაკვირდეთ აქაც.

უცნაურია, მაგრამ აქაც რომელი ანთროპონიმი იჩენს თავისებურებას – ისევ ასმათ. თუ რატომ, ამაზე ბოლოს ვისაუბრებ. მანამდე კი გავაანალიზოთ TITUS-ის მონაცემები:

როგორც ვხედავთ „ვეფხისტყაოსანში“ ანთროპონიმთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ნიშნის გარეშე არის წარმოდგენილი, რამაც მეცნიერები მიიყვანა ერთი შეხედვით ლოგიკურ დასკვნამდე – რუსთველი ანთროპონიმების ბრუნებისას იცავს ძველი ქართული ენისთვის დამახასიათებელ ნორმებს. ამ საკითხთან დაკავშირებით, ძირითადად, ეს აზრია გამოთქმული მეცნიერებაში. მაგალითად, ზ. ჭუმბურიძე თავის სტატიაში „მოთხრობითი ბრუნვა „ვეფხის-ტყაოსანში“ აღნიშნავს – „მოთხრობითი ბრუნვის ხმარების მხრივ „ვეფხის-ტყაოსანში“ ძველი ნორმებია დაცული“ (ჭუმბურიძე 1957: 632), თუმცა ვერაფერს უხერხებს ბრუნვის ნიშნით გამოყენებულ რამდენიმე ფორმას (როგორც მოთხრობით, ასევე სახელობით ბრუნვაში) და იძულებულია კომპრომისული გზა მონახოს – „თუ ყოველივე ამას გავითვალისწინებთ, იძულებული ვიქნებით ვაღიაროთ, რომ რამდენიმე შემთხვევაში რუსთველი არღვევს სალიტერატურო ენის ძველი ტრადიციით განმტკიცებულ ნორმებს საკუთარ სახელთა ბრუნებისას და მოაქვს ისეთი ფორმები, რომელიც ცოხალ მეტყველებაში იჩენდნენ თავს“ (ჭუმბურიძე 1957: 632). მეცნიერის მიერ სტატიის დასაწყისა და ბოლოს გამოთქმული ვარაუდები აშკარად ნინაალმდეგობრივი და ურთიერთგამომრიცხველია – შეუძლებელია რუსთველი თან იცავდეს ძველ ნორმებს და თან არღვევდეს; ან ერთი იქნება, ან მეორე. მითუ-მეტეს, რომ განხილულ 3 ბრუნვაში ბრუნვის ნიშნით გამოყენებულ

ზუსტად 20 ფორმას გამონაკლისად ნამდვილად ვერ ჩავთვლით, გამონაკლისი შეიძლება იყოს ერთი ან ორი.

განიხილავს რა აღნიშნულ საკითხს ზ. სარჯველაძეც, ასკვნის: „უნიშნო ფორმათა ეს დიდი სიჭარბე, შესაძლოა, გამოწვეული იყოს პოემის მეტრის საჭიროებით, ან ავტორის მიერ უნიშნო ფორმათა, როგორც სტილისტური ხერხის – არქაიზაციის გამოყენებით. სხვაგვარად ძნელი ასახსნელი იქნებოდა ეს ფაქტი. რუსთველის ეპოქის ცოცხალი მეტყველება (და რამდენადმე სალიტერატურო ენა) უპირატესად ბრუნვის ნიშნით ფორმებს იყენებდა“ (სარჯველაძე 1984: 367). აქ ყურადღებას იქცევს ერთი ფაქტი – მეცნიერმა აშკარად იგრძნო, რომ რაღაც მთლად ისე არ იყო, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა, ყურადღება გაამახვილა მეტრზე, მაგრამ, სამწუხაროდ, მსჯელობა არ განავითარა და მაინც არქაიზაციის აღიარებით დაასრულა საკითხის განხილვა.

სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია ჩემი დაეჭვება: რუსთველი, რომელიც ყველაზე დიდი რეფორმატორია ქართული ენისა და რომელსაც ცოცხალი მეტყველებისთვის დამახასიათებელი ნიშნები ასე უხვად შემოაქვს ენის ყველა შრეში (მორფოლოგია, ფონეტიკა, სინტაქსი, ლექსიკია), რატომ დაიცავდა ძველ ნორმებს მაინცდამაინც ანთროპონიმთა ბრუნებისას?! თან იმ დროს ანთროპონიმებისთვის ბრუნვის ნიშნის დართვა ცოცხალ მეტყველებაში უკვე გაბატონებული ნორმა იყო. თანაც, ჩემი ყურადღება განსაკუთრებით მიიცია იმ გარემოებამ, რომ სამივე ბრუნვაში ბრუნვის ნიშნით გვხვდება მხოლოდ ასმათ ანთროპონიმი და ისიც არა ერთხელ, არამედ საქმაოდ ხშირად – სახელობითში თერთმეტჯერ, ხოლო მოთხოვობითში – ხუთჯერ. რაც შეეხება წოდებით ბრუნვას, აქ მართალია ერთხელ, მაგრამ ერთადერთი შემთხვევაა წოდებითში ადამიანის სახელის ბრუნვის ნიშნით გამოყენებისა. ეს არ შეიძლებოდა შემთხვევითობისთვის მიგვეწერა და ვიფიქრე, რომ ამას რაღაც ახსნა ექნებოდა.

ჩემი აზრით, რუსთველს ძეველი ნორმები კი არ აქვს დაცული, არამედ ეს ფაქტი განპირობებულია სულ სხვა ფაქტორებით: კერძოდ, პოემის ანთროპონიმთა უმეტესობა სამმარცვლიანია (ტარიელ, ავთანდილ, როსტევან...) და მათზე ბრუნვის ნიშნის, ანუ კიდევ ერთი მარცვლის, დამატება გააფერმკრთალებდა ლექსის ექსპრესიულობასა და რიტმს მდორეს გახდიდა (საინტერესოა, რომ, საჭიროებისამებრ, რუსთველი ზოგჯერ ამოკლებს კიდეც სახელებს – როსტან//ტარია).

სახელობით ბრუნვაში სამმარცვლიანი სახელებიდან ბრუნვის ნიშნით თითო-თითოჯერ გვხვდება 3 ანთროპონიმი და სამივე შემთხვევაში მაშინ, როცა რიტმი წელია. ასმათ კი ორმარცვლიანია და სწორედ იგი ფიქსირდება ყველაზე ხშირად (11-ჯერ). ავთანდილი ფორმის გამოყენება კი აშკარად სალექსო საზომით არის განპირობებული, რადგან წარმოდგენილია სარითმო სიტყვად:

„მინდორს ვნახეთ ტარიელი, ცრემლთა ღვრიდა, ველთა რწყვიდა“
(984, 2).

„თქვენცა იცით, გამიზრდია ვითა ძმა და ვითა შვილი.

ამას ასრე მორჩილობდით, არის ვითა მც ავთანდილი“ (167, 1-2).

„ვაზირი ბერი სოგრატი თვით მასთანავე მჯდომია“ (57, 3).

„ასმათი სულსა ულებდა, სიტყვითა საკვირველითა“ (280, 3).

„ასმათი მეუბნებოდა უშიშრად, არ მეკრძალვოდა“ (375, 1) და ა.შ.

სახელობით ბრუნვაში მდგარ არც თუ იშვიათად გამოყენებულ ორმარცვლიან ანთროპონიმთაგან ყურადრებას იქცევს კიდევ 2 სახელი – უსებ და რამაზ. პირველი 7-ჯერ გვხვდება, მეორე – 8-ჯერ* და აბს-ლუტურად ყველა შემთხვევაში ბრუნვის ნიშნის გარეშე. რამაზ ანთროპონიმის საკითხი ადვილი ასახსნელია: 8-დან 6 შემთხვევაში მსაზღვრელად ახლავს ატრიბუტი მეფე („რამაზ მეფე ჩამოვაგდე, ერთმანეთსა გავეხრმლენით“ (446, 3)). ასეთ შემთხვევაში ანთროპონიმი, ბუნებრივია, ნიშნის გარეშე შეგვხვდებოდა (დღესაც ასეა – დავით ალმაშენებელი და არა დავითი ალმაშენებელი), ერთ შემთხვევაში კი მოყვება ზმნა არს („რამაზ არს გინმე ხელმნიფე, მათად პატრონად მჯდომია“***) და ასეთ შემთხვევაშიც სახელი ჩვეულებრივ, ბრუნვის ნიშნის გარეშე გამოიყენება. დარჩენილი ერთი ფორმა კი („ტარიელ დგას დაყმუნვებით, რამაზ ნინა მოეფინა“)** განზოგადებისთვის, ბუნებრივია, არ გამოგვადგება (მითუმეტეს, რომ ისიც ინდო-ხატაელთა ამბავში გვხვდება).

აი, რაც შეეხება უსენ ფორმას, აქ შედარებით უფრო რთულადაა საქმე. სავარაუდოდ, უბრუნვისნიშნიდ მისი გამოყენება რიტმით უნდა იყოს განპირობებული:

* 8-დან 4 შემთხვევაში რამაზ ფორმა გვხვდება ე.ნ. ინდო-ხატაელთა ამბავში, რომლის ავტორობას მეცნიერთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ინტერპოლატორს მიაწერს.

** მოყვანილი სტროფი შეტანილი არ არის პოემის ჩემ მიერ გამოყენებულ ტექსტში.

*** არც ეს სტროფი.

„უსენ გაჰკვირდა, გა-ცა-კრთა, რა შუქნი ნახნა მზისანი“ (1146, 2).

„უსენ მივიდა, ხელმწიფე დახვდა ნადიმად მჯდომელი,

უსენ არიფი მეფისა, მეფეცა მისი მნდომელი“ (1165, 1-2).

სახელობითი ბრუნვის შემთხვევაში, როგორც ვნახეთ, 4 ანთრო-პონიმი მანიც იყო ბრუნვის ნიშნით გაფორმებული. ახლა კიდევ უფრო საინტერესოა მოთხოვობითი ბრუნვის ნიშნით ერთადერთი სახელის გარდა (ასმათმან) სხვა რატომ არ გვხვდება?!^{*}

ჩემი აზრით, ამის მიზეზი შემდეგია: უცნაურია, მაგრამ თითქმის ყველა ანთროპონიმი ბოლოვდება მან ან ან მარცვალზე და მათზე მოთხოვობითი ბრუნვის მან ნიშნის დართვა მოგვცემდა პოეტურად ულამაზო და ძნელად გამოსათქმელ ფორმას, რადგან ორი მან/ან (ნ,მ) მოიყრიდა ერთად თავს:

ფატმან + -მან = ფატმან-მან

ნესტან + -მან = ნესტან-მან

როსტევან + -მან = როსტევან-მან

ფარსადან + -მან = ფარსადან-მან

სარიდან + -მან = სარიდან-მან*

როსან + -მან = როსან-მან**

თინათინ + -მან = თინათინ-მან

ფრიდონ + -მან = ფრიდონ-მან

შერმადინ + -მან = შერმადინ-მან

უსენ + -მან = უსენ-მან

უსამ + -მან = უსამ-მან

რაც შეეხება ტარიელ და აგთანდილ ფორმებს, მათთან ბრუნვის ნიშნის გამოუყენებლობა მარცვალთა ჭარბი რაოდენობისგან გამოწვეული მდარე რიტმის თავიდან აცილებით უნდა იყოს განპირობებული, ხოლო სოვრატ, მელიქ-სურხავ, დუღალდუხტ და როდისა საერთოდ არ გვხვდება მოთხოვობით ბრუნვაში. დავარ და რამაზ კი მხოლოდ თითო-თითოვერ ფიქსირდება მოთხოვობით ბრუნვაში ბრუნვის ნიშნის გარეშე, რაც არანაირი დასკვნის გაკეთების საშუალებას არ გვაძლევს – ასმათ მოთხოვობით ბრუნვაში დაფიქსირებულია როგორც ბრუნვის ნიშნით, ასევე, ნიშნის გარეშე („ასმათ უთხრა: „ლომო, ცრემლით მაგა

* ალიშნული ნათროპონიმი არ გვხვდება მოთხოვობით ბრუნვაში. რომც ყოფილიყო, განვითარებული ლოგიკის მიხედვით, ნინა მაგალითების ბედს გაიზიარებდა.

** აქაც ანალოგიური მდგომარეობაა.

ცეცხლსა რა ერგების!“ (298,1) // „ასმათმან წყალი დაასხა...“ (341,1)). შესაბამისად, ვერ განვსაზღვრავთ, სხვა შემთხვევაში რა ფორმით დაწერდა რუსთველი დავარ და რამაზ ანთროპონიმებს მოთხოვობით ბრუნვაში: ნიშნით თუ ნიშნის გარეშე.

ხშირად გამოყენებულ ანთროპონიმთაგან ერთადერთია ასმათ, რომელსაც არც მრავალმარცვლიანობა უშლის ხელს და არც – ფონეტიკური უხერხულობა* მოთხოვობითი ბრუნვის ნიშნის დართვისას და სწორედ იგი გვხვდება სამივე ბრუნვაში ბრუნვის ნიშნით. თანაც, მოთხოვობითსა და წოდებითში ბრუნვის ნიშნით გაფორმებული ერთადერთი სახელია, მოთხოვობითში 5-ჯერ გვხვდება, წოდებითში კი – ერთხელ:

„ასმათმან წყალი დაასხა, ცნობად მოვიდა ტარია“ (341, 1).

„ასმათმან დამსვა შორს-გვარად გულსა მე ლახვარ-ხებული“ (517, 1).

„რა ასმათმან დაინახა, მოეგება, ცრუმლი სწვეთების“ (836, 1).

„რა ასმათმან დაინახა, განაღამცა გაეხარნეს!“ (908, 2).

„მუნ გვიმასპინძლოს ასმათმან, მას უც ხორცისა ხმელობა“ (1485, 3).

„ჰე ასმათო, მოგვივიდა მოწყალება ღმრთისა ზენით“ (1347, 2).

ამდენად, რუსთველი ანთროპონიმებთან ბრუნვის ნიშნის ხმარებას მოერიდა ორი მიზეზით: შემთხვევათა ერთ ნაწილში ჭარბმარცვლიანობისგან გამოწვეული მდარე რიტმის თავიდან ასაცილებლად, ხოლო მეორეში – პოეტურად ულამაზო ფორმებისა.

რჩება კიდევ ერთი კითხვა: თუკი აღნიშნული სახელები რაიმე მხრივ ხელს უშლიდა პოეტს, რატომ არ აიღო სხვა ანთროპონიმები, განა ყველაფერი მის ხელთ არ იყო?!

ამასაც მოექებნება თავისი ახსნა – ცნობილია, რომ რუსთველს თითოეულ ანთროპონიმში გარკვეული შინაარსი აქვს ნაგულისხმევი, მაგალიდად, ნესტან-დარუჯანიდან მომდინარეობს სპარსული გამოთქმიდან ნესთ ანდრეჯაპან – „სწორუპოვარი“, უფრო ზუსტად „არ არის ქეყნად (მისი ტოლი)“. (რუსთველისეულ სახელთა სიმბოლიკაზე მთელი ტომებია დაწერილი და აქ არ მოვყვები ამის განხილვას), პოეტს

* ასმათ ფორმაშიც ორი მა აღმოჩნდება მეზობლად (ასმათმარ), მაგრამ ეს ანთროპონიმი, სხვათაგან განსხვავებით, უფრო რბილად უდერს, ძნელად გამოსათემელ ფორმას არ ქმნის და, ალბათ, სწორედ ამიტომაც გაფორმდა მოთხოვობითი ბრუნვის ნიშნით მხოლოდ იგი.

სწორედაც რომ გამოყენებული ანთროპონიმები სჭირდებოდა და არა სხვა. თანაც ძველი ლიტერატურული სახელები, ძირითადად, მრავალ-მარცვლიანია (ტარიელსა და ავთანდილს რუსთველი კახასა და დათოს ნამდვილად ვერ დაარქემევდა). რადგანაც საჭირო ანთროპონიმებმა პოეტს რაღაც უხერხულობა შეუქმნა (მდორე რიტმი და პოეტურად ულამაზო ფორმები), ისიც იძულებული გახდა მორიდებოდა ბრუნვის ნიშნების გამოყენებას.

P.S. ბუნებრივია, არ მაქვს იმის პრეტენზია, რომ ეს არის ერთად-ერთი და ჭეშმარიტი ახსნა ამ საკითხისა, მაგრამ მე რაც შემეძლო და როგორც, ისე ავხსენი. დანარჩენი კი რუსთველმა უკეთ უწყოდა.

დამომხმარე:

რუსთაველი 1988: რუსთაველი შოთა. ვეფხისტყოსანი. სარედაქციო კოლე-
გია: ა. ბაქრაძე, ა. ბრეგაძე, გ. გვერდნითელი, რ. თვარაძე, თ მაღლაფერიძე, შ.
ნიშნიანიძე, რ. სირაძე, მ. ფოცხიშვილი, თ. ჩხაიძე, ს. ცაიშვილი, გ. ციციშვილი,
ზ. ჭუმბურიძე, ჯ. ჭუმბურიძე. თბილისი: „ნაკადული“, 1988.

სარჯველაძე 1984: სარჯველაძე ზ. ქართული სალიტერატურო ენის ისტო-
რიის შესავალი. თბილისი: „განათლება“, 1984.

ჭუმბურიძე 1957: ჭუმბურიძე ზ. მოთხრობითი ბრუნვა „ვეფხის-ტყაოსანში“
(ფორმათა ნაირგვარობის საკითხისათვის). საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის მოამბე, ტ. XVIII, № 4. 1957.

<http://titus.uni-frankfurt.de/indexe.htm>